

114
1944/2



მნათობი

4-5

თბილისი
1944

მნათობი

სრულიად-საქართველოს სამხატვრო მწერლების
კავშირის ყოფილივეიერი სალიტერატურო,
სახელოვნო და საბოტკადმოშრთვე-სამოლიტვით
ქერნალი

წელიწადი მოცდაბათე

4-5



19 აკრიწი-მაისი 44
სახბოწგაბი

4013

საკრედიტო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაგსახუჩია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მასაშვილი ალიო (პრეზ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე ვალანტინე
ჭიკაბერიძე ლეო
შინგელაია დონა.

ბელმოწერილია დისამბეულად 27/1-44. ნაბეულ დორმ. რაოდენობა 13 ფ. №0 00352.
შეკვეთა 5 1455. ტირაჟი 5350.

საბეღამის ბეკედითი სიტყვის კოლეგია, თბილისი, ვორჟისის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13, მწერალთა კავშირი, ტელეფ. 7-04-64.

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წლის 1 მაისი, № 70. ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჯანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნი გერმანელ მზადგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულნი და გერმანიის ფაშისტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილნი ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

ჩვენი ქვეყნის ხალხები 1 მაისის დღეს ეგებებიან წითელი არმიის შესანიშნავ წარმატებათა, ვითარებაში.

სტალინგრადათან გერმანელთა დივიზიების განადგურების დროიდან წითელი არმია თითქმის განუწყვეტელ შეტევას აწარმოებს. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ ბრძოლებით განვლო ვოლგადან სერეტამდე, კავკასიონის მთისძირებიდან კარპატებამდე, ანადგურებდა რა ბილწ შტერს და აძევებდა მას საბჭოთა მიწა-წყლადან.

1943-44 წლების ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ მოიგო ისტორიული ბრძოლა დნეპრისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის, დაამხერჩა გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი სიმაგრენი ლენინგრადთან და ყირიმში, მარჯვე და სწრაფი მოქმედებით გადალახა გერმანელთა თავდაცვა იუენი ბუგის, დნესტრის, პრუტის, სერეტის წყლის ზღუდეებზე. თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, ყირიმი, ლენინგრადისა და კალინინის ოლქები, ბელორუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაწმენდილია გერმანელ დამპყრობთაგან. სამშობლოს დაუბრუნდა სამხრეთის მეტალურგია, კრივოროვიეს, ქერჩისა და ნიკოპოლის მადანი, უხვმოსავლიანი მიწები დნეპრისა და პრუტის შუა. ფაშისტური მონობიდან განთავისუფლებულია ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

ასრულებს რა ფაშისტ დამპყრობთაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების დიად საქმეს, წითელი არმია მიადგა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან და ახლა განაგრძობს ბტრის ჯარების განადგურებას რუმინეთის ტერიტორიაზე.

წითელი არმიის წარმატებანი შესაძლებელი ვახდა საბჭოთა სარდლობის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შეოხებით, ჩვენი მებრძოლებისა და ზეთაურების მაღალი მორალური სულისკვეთებისა და შეტევითი აღფრთოვანების მეოხებით, მირველხარისხოვანი საბჭოთა სამხედრო ტექნიკით ჩვენი ჯა-

რების კარგად აღჭურვის მეოხებით, ჩვენი არტილერიისტების, ნაღმტყორც-
ნელების, ტანკისტების, მფრინავეების, მეკავშირეების, მესანგრეების, მტკიცებე-
ბის, კავალერიისტების, მშვერავების გაზრდილი ოსტატობისა და მტკიცებე-
ლობის მეოხებით:

ამ წარმატებებსა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ჩვენმა დიდმა მოკავში-
რეებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებ-
მაც უკავიათ ფრონტი იტალიაში გერმანელთა წინააღმდეგ და გვაშორებენ
ჩვენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ნაწილს, გვაპარავებენ მეტად
ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულითა და საქურვლით, სისტემატურად
ბომბავენ გერმანიის სამხედრო ობიექტებს და, ამრიგად, ძირს უთხრიან
ჟეანასკნელის სამხედრო ძლიერებას.

მაგრამ წითელი არმიის წარმატებანი შეიძლებოდა მტკიცე არ აღმოჩენი-
ლიყო და ისინი გაქარწყლებულიყო მოწინააღმდეგის პირველივე სერიოზუ-
ლი კონტრდარტყვით, რომ წითელ არმიას ზურგს არ უმაგრებდეს მთელი
ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა. წითელმა არმიამ საშობლო-
სათვის ბრძოლაში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა. მაგრამ საბჭოთა ხალ-
ხიც პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე. ომის ძნელ პირობებ-
ში საბჭოთა ხალხმა გადაწყვეტ წარმატებებს მიღწეა საქურვლის, ცეცხ-
ლითი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის მასობრივი წარმოებისა და
ფრონტებზე წითელი არმიისათვის მათი დროულად მიწოდების საქმეში.
განვლილი წლის მანძილზე სერიოზულად გაიზარდა საბჭოთა მრეწველობის
ძლიერება. მწყობრში ჩადგნენ ასობით ახალი ქარხნები, შახტები, ათობით
ელექტროსადგურები, რკინიგზის ხაზები, ხიდები. საბჭოთა ადამიანების ახა-
ლი მილიონები დადგნენ დაზგებთან, დაეუფლნენ ურთულეს პროფესიებს,
გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები. ღირსეულად გაუძლეს ომის განსაც-
დელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ომიანობის
დროის ძნელ პირობებში საბჭოთა გლეხობა დაუღალავად მუშაობს მინდვ-
რებზე, სურსათით ამარავებს ჩვენს ზომიასა და მოსახლეობას, ნედლეულს
აწვდის ჩვენს მრეწველობას. ჩვენმა ინტელიგენციამ კი საბჭოთა მეცნიერე-
ბა და ტექნიკა, კულტურა და ხელოვნება გაამდიდრა ახალი შესანიშნავი
მიღწევებითა და აღმოჩენებით. საშობლოს დაცვის საქმეში ფასდაუღებე-
ლი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა ჯალბს, რომლებიც თავდადებით მუ-
შაობენ ფრონტის ინტერესებისათვის, მამაცურად იტანენ ომიანობის დრო-
ის ყველა სიძნელეს, საბრძოლო საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ
წითელი არმიის მეომრებს — ჩვენი საშობლოს განმათავისუფლებლებს.

სამამულო ომმა ცხადპყო, რომ საბჭოთა ხალხს უნარი შესწევს სისწაფ-
ლები მოახდინოს და გამარჯვებული გამოვიდეს უღარესად მძიმე განსაც-
დელიდან. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭო-
თა ხალხი აღსაყვია გადაწყვეტილებით — დააჩქაროს მტრის გახადგურება,
მთლიანად აღადგინოს ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადოს
ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული.

წითელი არმიის დარტყმებით ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკი ირღვევა
და ინგრევა. შიში და შეშფოთება სუფევს ახლა პიტლერის რუმინელ,
უნგრულ, ფინელ და ბულგარულ „მოკავშირეთა“ შორის. ახლა პიტლერის
ეს ხელქვეითნი, რომელთა ქვეყნების ოკუპაცია გერმანელებმა მოახდინეს

და კვლავაც ახდენენ, არ შეიძლება არ ზედავდნენ, რომ გერმანიის ქვეყნებში აგო. რუმინეთს, უნგრეთს, ფინეთსა და ბულგარეთს კატასტროფული უწყვეტ დან აცილების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვთ: კავშირი გასწყვიტონ გერმანელებთან და გამოვიდნენ ომიდან. მაგრამ ძნელია იმის ვარაუდი, რომ ამ ქვეყნების ახლანდელ მთავრობებს უნარი შესწყვეთ გასწყვიტონ კავშირი გერმანელებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნების ხალხებს მოუხდებათ თვითონ აიღონ თავიანთ ხელში გერმანელთა უღლისაგან თავიანთი განთავისუფლების საქმე. და რაც უფრო მალე შეიგნებენ ამ ქვეყნების ხალხები, თუ რა ჩიხში მოამწყვდიეს ისინი პიტლურელებმა, რაც უფრო მალე შესწყვიტონ ისინი თავიანთი გერმანელი დამპყრობლებისათვის და თავიანთ საკუთარ ქვეყანაში მათი ხელქვეითებისათვის — კვისლინგებისათვის ყოველგვარ მხარდაჭერას, მით უფრო ნაკლებ მხებერპლსა და ნგრევას განიცდიან ეს ქვეყნები ომისაგან, მით უფრო მეტად შეუძლიათ მათ იკონიონ დემოკრატიული ქვეყნების მხრივ ვაგების იჩიდი.

წარმატებითი შეტევის შედეგად წითელი არმია მიაღწა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს 400-ზე მეტ კილომეტრ მანძილზე და გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან გაათავისუფლა ოკუპირებული საბჭოთა მიწა-წყლის $\frac{1}{4}$ -ზე მეტი. საქმე ახლა ის არის, რომ ფაშისტ დამპყრობთაგან გაწმინდოთ მთელი ჩვენი მიწა-წყალი და აღუადგინოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები მთელ ხაზზე, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

მაგრამ ჩვენი ამოცანები არ შეიძლება შეიზღუდოს ჩვენი საშობლოს ფარგლებიდან მტრის ჯარების განდევნით. გერმანელთა ჯარები ახლა მოგვაგონებენ დაკრილ მხეცს, რომელიც იძულებულია წახობდეს თავისი ბუნაგის — გერმანიის საზღვრებისაგან იმისათვის, რომ კრილობები მოიშუშოს. მაგრამ თავის ბუნაგში წასული დაკრილი მხეცი ყველავ საშიშია მხეცია. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მოკავშირე ქვეყნები დამონების საფრთხისაგან რომ ვიხსნათ, საჭიროა კვალდაკვალ ვდიოთ დაკრილ გერმანელ მხეცს და ბოლო მოვუვლოთ მას მის საკუთარ ბუნაგში. ხოლო მტრის დევნისას ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ გერმანული ტყვეობიდან ჩვენი ძმები ბოლანელები, ჩეხოსლოვაკები და ჩვენი მოკავშირე სხვა ხალხები დასავლეთ ევროპისა, რომლებიც პიტლურული გერმანიის ქუსლქვეშ იმყოფებან.

გასაგებია, რომ ეს ამოცანა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გერმანელთა ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი ლონისძიებების საფუძველზე, ერთობლივი დარტყმების გზით აღმოსავლეთიდან — ჩვენი ჯარების ძალებით და დასავლეთიდან — ჩვენი მოკავშირეების ჯარების ძალებით. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ ასეთი კომბინირებული დარტყმით შეიძლება პიტლურული გერმანიის სავსებით განადგურება.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერგანტებო, ოფიცრებო და გენერალებო, პარტიზანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გერ-

მანელ მჩაგვრელთა უღელმწევე დროებით მოქცეულ და გერმანიის კავშირ-
ტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილო ძმებო და დებო! გერმანიის
მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღესასწაულს!

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

წითელი არმიის მიერ ფრონტზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა
პატივსაცემად და ზურგში საბჭოთა კავშირის მუშების, კოლმეურნეებისა
და ინტელიგენციის დიად წარმატებათა აღსანიშნავად, დღეს, მშრომელთა
შაბდლო დღესასწაულის დღეს, 20 საათზე მოსკოვში, ლენინგრადში, გო-
მელში, კიევიში, ხარკოვში, როსტოვში, თბილისში, სიმფეროპოლში, ოდე-
საში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენი წითელი არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა პარტიზანებს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თა-
ვისუფლებიან და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი

საბჭოთა კავშირის მარშალი

ი. სტალინი.



ალ. აბაშელი

ეგნავე ნინოშვილის ხსოვნას

ქართველი ხალხის გულისტქმის
ჭირსა და ღვინში მსლებელი,
შრომელთა გულის ნადვლის
საქვეყნოდ ამღვდებელი!

ღამეულ ქოხთა სინათლეც,
ბედშავთა კერის დადარო,
ცრემლში ჩაძირულ თვალების
სწორუბოვარო მხატვარო!

ამაღლა შენი ნათქვამი
და შენი დროშა გამართლდა,
ხალხმა რომ შენი სახელით
შენს თბილ საფლაქზე ამართა.

შენ იყავ განმთავსებელ
ქარიშხლის წინამორბედი, —
ქარმა დაფლითა დრუბლები,
ცაში აფრინდნენ ორბები.

ასრულდა შენი იმედი
და ის ცხოვრება აყვავდა,
რაც შენს ოცნებას მომავლის
შალალ მწვერვალზე აყვავდა.

სანამ ქართული ხმა ისპის,
სანამ ქართულად მღერიან,
დაგვრჩება უკნობ ყვავილად
რაც შენს ხელს დაუწერია. —

ღამეულ ქოხთა სინათლეც,
ბედშავთა კერის დადარო,
ცრემლში ჩაძირულ თვალების
სწორუბოვარო მხატვარო!

ქედუხეცნი¹

მ თ თ ს რ თ მ ა

ღედაკაცები რომ შეიკრიბებოდნენ, ზურგს უკანაც კი სალომეს ქებაში იყენენ:

— ძალიან მოახერხა, სწორედ ძალიან მოახერხა, ასე ქვრივ-ოხერმა რა ბიჭი გამოზარდა. მართალი რომ თქვას კაცმა, სიტყვა-პასუხით, თვალ-ტანადობით თუ სხვებს სჯობია, თორემ არავის ჩამოუეყარდება, ნამდვილი ოჯახის შვილია, ვინმე თავადი გეგონებო.

თვით სალომე ბიჭის ქებაზე თავსაფარს პირზე ვადიფარებდა, — არ უნდოდა ოდესღაც მომხიბვლელი, ეხლა კი ჩავარდნილი ტუჩებილი ზედმეტად გამოეჩინა და დარცხვენილი ღიმილით მიუგებდა:

— მე რა ღირსი ვარ, მარა ღმერთთან სწორი სჯობს, მართლა კაი ბიჭი ქე გამოიკეთებია.

— მერე რას უყურებ, შე დალოცვილო, დაწერე ჯვარი და გაიკოტრიალე მუხლებზე შეილიშვილი.

— რა ვქნა, შენ გენაცვალე, კაი ამ სიღარიბეში არავინ წამოყვება და ვლახა, აბა, რაღა უჩიო?!

— რათა ქალო, რათა! რაჲს ამბობენ, ახლა ჩვენ გოგოებსაც კითხე, გარჯა და უნარია საქმე, თუარა მიწა და მამული მიწასვე დარჩება.

— შენ რაცხას გვიმალე თვარა, შენ და შენ ბიჭს კიდევ უნდა გყავდესო, გამორჩეული საპატარძლო.

— არა, შენი თავი არ მომიკვდეს, კესარია, მე არაფერი ვიციოდე, და ისე რაღა გამწირავს ჩემი ბიჭი, რომ პირველად მე არ შითხრას თავისი არ ჩეული.

— არ მომწონს, მართალი გითხრა, თუ შენ არაფერი იცი! ე შენი ბიჭი რაცხა ჩაფიქრებული რომ დადის, დედა ხარ, რატომ არ დაუევირდები, იქნებ რამ მწუხარება აქვს გულში და ვერ გიტყვება, — გულწრფელად, დედობრივად უსაყვედურა ვიღაცა უფროსმა დედაკაცმა.

სალომეს ხმა აღარ ამოუღია. ასე ნათლად არ უფიქრია, მაგრამ შვილის უმღიმარი, მარტო სიარული ეს უკანასკნელი ხანი მასაც ზოგჯერ შეუშინებია, მაგრამ საღესტალია მუდამ ზრუნვით დატვირთულ ქალს მოიფიქროს, ასწონდასწონოს და მიხედეს, თუ რას ნიშნავს ყოველი მიხრა-მოხრა, სიტყვა და სულის თქმა შვილისა, თუნდაც ამ შვილზე ლოცულობდეს, მასზე უფინდებო-

¹) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

დეს და უღამდებოდეს. სწორედ ამ ბიჭს სჭირია სალომეს მთელი გულისყუ-
რი, რომ სადმე არ გამოეპაროს ერთი მუჭა მატყლი წინდისათვის... წყველმა
ქორმა არ წაიღოს უქმეებისათვის გადანახული ვარია და მეზობლის წყველმა
ახამ არ ამოკენიტოს სადილ-ვახშმის ერთად ერთი მომწოდებელი ორი ვოჯა
ბოსტანი.

მოხუცებული ქალი კი მეგობრული დარიგების კილოთი განანგრძობდა:

— ხომ იცი, შვილო, არ გეწყინოს ჩემი გაფრთხილება, — ხნით შეილიშვი-
ლად მერგები...

— რას ბრძანებ, ბები, რას ბრძანებ, განა არ ვიცი, გული გეწყის და მი-
ტომ ამბობ.

— ჰო და ყმაწვილ კაცს მწუხარება სევდათ გადაეკცევა და ცოდვია. სანამ
ვისმე უშოვიდე, შენ უნდა იყო მისი მესაიდუმლე. ეს ქვეყანა ისე აობრდა
ჩვენდა საუბედუროდ, რომ თვალის გაშლაზე აღამიანს ველარ დაინახავ იცი,
და მეგობარი სად უნდა გამოინახოს ყმაწვილმა, რომ გული გაუხსნას, სევდა
გაიქაროს. მაგრამ შენ უნდა დაუტკბო, შეუწინდე და გაიგო, თუ რა აქვს
გულში.

მოხუც ქალს მკბთხავის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ხალხს ფული და
ძღვენი მიჰქონდა მისთვის, რომ რჩევა მიეღო, და სალომე როგორ არ მოუ-
სმენდა ყურადღებითა და პატივით.

— გმადლობ, ბები, გმადლობ. ჩემ დაფსებულ თვალს არაფერი შეუმჩე-
ვია საზიფათო... გამოეჩურჩუტდი ამ გაჭირებაში — ხომ იცი, რა გადავიტა-
ნე. ბატონმა კაი მიწა არ შეგვარჩინა, — ქერივ-ობოლი ვერ მოუვლით და
ტყუილა რად ვიზარალოვო, — მეზობლებმაც არ დაგვაკლეს ხელი და ნე
კიყავი ერთი შემტვიცი, მომგერიებელიცა და მუშაკიც.

— ჰაი, ჰაი, — ბანი მისცეს ქალებმა, — ქერივ-ობლის ცხოვრება რამ მწარეა!

— ეჰ, მწარეა ქერივ-ობლობა, და რამდენია ახლა ჩვენში ქერივი და ობო-
ლი. ზოგი ტყვედ არის წაყვანილი, ზოგი მოპკლეს, მაგრამ ბევრი დიღვესა
და საკანში ღებდა.

— მაგას არ იტყვი?... შენთან რომ გტანჯავს — ისაა ცეცხლი! ვერ გარ-
ჩევ, ვინ სჯობია, შინაური თუ გარეული — გინდ მგვლს შეუქამივარ და
გინდ მგლსფერ ძალღს!

— იცი, დესპინე, ამბობენ, ციხე ისევ დაინგრაო.

— რა დმერთი უწყრება იმ ტიპლს?! ერთი კედელი ველარ ააშენეს?!

— რას ააშენებს ნაქირავეები და მოდენილი ხალხი? ქალაქელებისაგან რა
სიკეთე ყოფილა? რა ენაღვლებათ, გაუჭირდებათ, მთას მოაშურებენ; ჩვენ კი
იქეთ უნდა წავიდეთ ქალაქის დასაცავად და გავწყდეთ. თუ მთავარი ვინმე
ტყვედ წაიყვანეს, ფული აქვთ და გამოისყიდინან.

• • •

მამალმა შეორედ იყიელა. საგვე მთვარე ამოსრიალდა. ჩრდილები შავ ნაბ-
დებად გაწვინენ. სალომე ჯიშვარიანის ქალმა ქობის სინდელში შეანძრია
შოლარე ბიჭი და უთხრა: დროა წავიდეთ, ცოტა გზა კი არ გვაქვს გასაღე-
ლიო.

ბიჭს არ სძინებია. შუბოსანის დღეობა, ქრამული, დროს ტარება, — ყვე-
ლაფერი უნდოდა წინდაწინვე წარმოედგინა, რომ არ შერაცხევილიყო, ხამად

არ გამოსულიყო. სიღარიბე ერთთირებოდა, ქალამანი, დაკრებული ნოხა არ მოსწონდა. ბიჭი გამოძვრა დახეული ნაბიდან, ახლად გარეცხილი მკერდის ჩაიცვა.

— რა აქვს დედა ჩემს ამ ხურჯინში ნეტავი? სიბის ქვას რძე ვაადინა — მნელია კლდის მოწველა!

ედიშერთან შემოვიდა მოხუცი დედაკაცი, მისი გამდელი, და სთხოვა, — „ნუ მაწყენ, მე ჩემი ქეუა მაქვს, პირს ნუ გამოიტეხი, ნება მომეცი შენი მკლავი გაეზომოვო“. ედიშერს გაეღიმა და ქალმა ბამბის ძაფიდან დაგრეხილი ზონარით მკლავი გაეზომა და ზონარი გადასკვნა; შემდეგ ედიშერი თვითონ აღვა, კედელს მიეყრდნო, თავის სიმაღლეზე კედელს ხელი მიადედა და უთხრა „ძაძა, ესეც გქირდება უსათუოდ და აღარ გათხოვინებ, გაზომე აბა!“

— უი, შენ კი დაგენაცვლოს ჩემი თავი — არ დაგვიწყნია ჩვენი ჩვეულება აბა მე ცოდვილმა რა ვქნა, წმინდა გიორგიმ, — ეენაცვალე მის განგებას, — შენი თავი კეთილად დამიბრუნა და რით შეგეკადრო მადლი და თაყვანისცემა. — და ქალმა აქაც ააღო ზონარით ზომა, და ის იყო გასკვნა, რომ ქალბატონმა მოახა:

— ჩემთან შემოდი, დსაწებებელ ფულს მე მოგცემ.

— არა, ბატონო, ამის ფული ჩემი აღთქმაა და მე მივართმევ შუბოსანს.

— ესეც მართებული ჩვეულებაა, ნალეკარო, რაიმე სარგებლობა მოაქვს? — ცოტა არ იყოს დაცინვით შეეკითხა ედიშერი.

— უსათუოდ, ბატონო, უსათუოდ. ვულის საოხად, სიყვარულის, ერთგულების განსამტკიცებლად უებარია, ხოლო წმინდა გიორგი აქცევს ყურადღებას, თუ არა, ვერ მოგახსენებ, ჩემთვის არა უთქვამს რა, — ღინილითვე უპასუხა მოხუცმა ბრძენმა.

— დედა-ბატონო, თქვენ რაღას სწირავთ? — მიუბრუნდა ედიშერი დედას.

— მე, შეილო, არც ისეთი ცრუმორწმუნე ვარ, როგორც შენ გგონია, აღთქმით არაფერი აღმითქვია, მაგრამ, როგორც ყოველთვის შესაწირავს კი გავგზავნი — რქებმოქედილ მოზვერს... ათი წელია, რაც გავგზავნიც არ შეიძლებოდა ამ შიშინანობის გამო. ივარჯიშონ ახალგაზრდებმა ჩვენს ყანწებზე...

— მეც მინდა, დედა-ბატონო, შუბოსნობაში ვსინჯო თავი.

— თუ თავის იმედი არ გაქვს, მარტო სინჯვას არ გირჩევ, შეილო, — და მარცხებულ არ უყვარს ხალხს. არ დაგვიწყნია იარაღის ხმარება?

— ცხენზე ჯდომა ხშირად მიხდებოდა, რა თქმა უნდა; ხმალშიაც გავხლვარ, მაგრამ შუბით არ მიბრძოლია.

ათიოდე წელია, რაც ალიერტობის დღეობაზე შორეულ სოფლებიდან ხალხი არ მოსულა. ზოგს მგლოვიანობა უშლიდა ხელს, უმრავლესობას კი მოულოდნელი თარეშის ეშინოდა. და აი ახლა შიშითა და რიდით მოიოიოდა ქვეითი და ცხენოსანი, ურბითა და ტახტრევენებით, რომ მივიწყებული ღმერთი ელოცათ, ხალხი ენახათ და ხალხს ჩვენებოდნ.

ძველებურად არ მოდიოდა უწყვეტლევ ლიანვი. მხიარული და მომღიმორ, მსუბუქად შეგუქრული ხანჯლითა და ხმლით, არამედ თუ ვისმე უჩვეულოდ დაეკვირვებოდა, კი ჰქონდა, ზედ დაეკიდა და სიფრთხილისათვის ყმაწვილები დაეცა და წამოეყვანათ...



— გაცოცხლოს ღმერთმა, შვილო, ჩემხელა შვილიშვილები მოვსწრებოდეს, სამი რამ არ დაგავიწყდეს:

ყოველ გაჭირვებულს, ვინც არ უნდა იყოს, დაეხმარე.

ქალაქში სისახლეს — აქ, ამ ოღრო-ჩოღრო სოფელში, ფაცხა გერძის — უფრო საიმედოა — გაგატანს.

ქალს პატივი ეცი; ცოლს რომ შეირთავ, მზითვეს არ გასდიო. ბაბუა აცხონოს ღმერთმა! — და ჯამიდან რამდენიმე წვეთი ღვინო დააწვეთა ბურს, — შენ ჯვარი გწერია, რანაირად გამოწყრა, როცა ცოლის თხოვნის დროს სიმავერს წაგეჩხუბე, დაპირებული ძროხა რად არ მოგყავსთქო. მოპვარდა ეს ბებერი კი და ამ ხალხში არ დამზოგა ძროხას თხოვლობ, თუ ქალსო. არ გაბედო ამხე ლაპარაკი. უფროსმა მიბრძანა და მე კრინტიც არ დამიძრავს — ასე იყო ძველი დრო. მაპატიე, შვილო, ბებერი ვარ, ყველასათვის კი მინდა და სხვა რომ არატყვი შემიძლია, ენად ვადავიჭეცი.

— კარგი ხალხი ვარ, პატრონი რომ გეყავდეს. ეჰ!

— შაი, შაი, რომ პატრონი არ გეყავს, აი ციხე მესამედ ჩამოქეულაო!

— იქ წინათაც მუდამ ყოფილა ციხე და თავშესაფარი, რა ეხლა უწყობათ ჩემი გამჩენი?!

— როგორ, ელპიტე, როგორ თუ ყოფილა? ეხლა არ დაიწყო განა ციხის აშენება ჩვენმა ღმერთმა?

— ეს, ეს გრძელი ამბავია — შეყოყმანდა ცოტათი მოხუცი ქალი.

— ღამის სათევში ვართ ხომ და კარგ ამბავს რა სჯობია, ღამეს ისე გავითენებს, ვერც კი შევატყობთ.

— კარგი დაგვართოს, კარგი იქნებოდა ალიერტსაც მოვატყუილებდით...

მოხუცმა ქალმა ირგვლივ მჯდომთ მიმოავლო თვალი და რომ შენიშნა, ყველა თავაზიანი თხოვნით უყურებდნენ და მხოლოდ მოკრძალების გამო არათერს ეუბნებოდნენ, დაიწყო:

— ის კლდოვანი ქვა-გორაკი, სადაც ეხლა ციხეს მუდამ აშენებენ და სულ ინგრევა, ოდესღაც ფაშთა და დროთა წინ, თურმე ყოფილა დაბალი ვაკე-მინდორი. აქ ხომ ათასი ზევი ვადაზღართულია ერთმანეთში. ყოველი ზევიდან, ვინც კი წამოიჩიტებდა და მოლონიერდებოდა, აქეთკენ იზამდა პირს სათარეშოდ, დაგლას ეძებდა და სიმდიდრეს, ტყვესა და პირუტყვს, ნოყიერ საბალახეს და უბე წყაროებს. გაუჭირდა ხალხს, მტერი ამ დაკლავილ ზევებში მოულოდნელად ჩნდებოდა და უცხად ხდებოდა უჩინარი. მაშინ ომი ხელდახელა ყოფილა, სარებითა და ქვებით. სხვა იარაღი არა ჰქონია არც მომხდურსა და არც დამხდურს, და აი ერთი ახალგაზრდას უთქვამს, ასე რად უცქირთ ჩვენს განიავებას, სჯობია ჩვენ ერთი ადგილი ავაშალოთ, ზედ ქვები დავყაროთ და როცა მტერი მოვა, შორიდანაც დავინახავთ, იქ შევიხიზნებით, მომხადებას მოვასწრებთ და ქვებსაც დავაგორებთ მომხდურზე, რომ გას-

წყევტოს და მოსრასო. სასაცილოდ იიღეს თურმე ის ყმაწვილი, აბა შთის გაკეთება გაგონილა, რომ ჩვენ გავაკეთოთო! იმ ბიჭს მანაც ახრდეს და დაქვია და ქვის მოზიდვა დაუწყვედა, სულ სალი კლდეების ნატეხები მოაქრანდა თურმე; რაც რომ ჩვენში გამოქვამულებია, ყველა მას გამოუთხრია და აქ მოუზიდნია. მზისა და მთვარის სინათლეზე მუშაობდა თურმე და როცა სიბნელე ჩამოწებოდა, მაშინ კი ათქვამებდა. მაშინ იწყებდა შელოცვას, თუ ლოცვას, ვინ იცის. მუშაობდა ასე დღე და თვე, წესიწადი და კიდევ წელიწადი.

ასე მისმა დაუღალავმა შრომამ შექმნა ის გორაკი. ახალგაზრდას მოეჩქრებამ გასჭრა. სათარეშოდ მოსულ მტერს შორსვე ამჩნევდნენ, იხიზნებოდნენ და უფრო ადვილად იგერიებდნენ.

კიდევ მრავალი დღე, თვე და წელიწადი გავიდა. იმ გორაკის ამშენებელი ახალგაზრდა ყმაწვილი და ბევრი შისი შთამომავალი ვარდაიცვალა, 'სალხა თითქოს უფრო მშვიდად სცხოვრობდა, მაგრამ ღეთის განჩინება იყო თუ მანვინე სულის სიბოროტე, ხალხს ისევე დაატყდა თავზე გარეშე მტერზე უფრო საშინელი უბედურება.

იჭაურ მეფეს ეყოლა შვილი. მეფის შვილს ერთხანს არავის აჩვენებდნენ, მაგრამ ხალხი ბრძენია. ათასი თვალი და ათიათასი ყური აქვს, არაფერი გამოკარება და ჩუმად დაიწყეს ლაპარაკი, რომ იმ მეფის შვილს ხელუბნის მავიჯრად უზარმაზარი, მოლივლივე გველები აქვს გამობმულიო და ეს გველები თოთო ბავშვების ტვინით იკვებებიანო.

ამ ამბის თქმისათვის, ან გადაცემისათვის, ყველას საშინლად აწამებდნენ და სჯიდნენ. ბოლოს მეფემ გადასწყვიტა შვილისათვის ცალკე აშენებინა სასახლე და აუშენა კიდევ იმ გორაკზე, რომელიც უსახელო, მაგრამ ერთსათვის თავდადებულ ახალგაზრდას მიერ იყო ამაღლებული. თვით მეფე მალე გარდაიცვალა და გველის მკლავებიანი უფლისწული გაიფიქრა.

აი ამ სასახლეში შეეჯანით ყოველ დღე შექვანდათ ბავშვები, მაგრამ გამოსული კი არავინ ენახათ. სასახლეს ნამდვილი ამბავი არავინ იცოდა, მაგრამ ხმები თავზარს სცემდა ქვეყნას. ყველაზე საშინელი თითქოს ის იყო, რომ ვინც სასახლის კარიბჭეს ვადააცილებდა, უსასტიკესი სასჯელით, წამებით და ჯოჯოხეთით ემუქრებოდნენ: არაფერი წამოგდეს აქ რაც ნახო, ან გაიგონო, — და ისინიც ნახულით გაშტერებულნი, განავონით გაბრუებულნი, გამოდიოდნენ გისერმოღრეცილნი, მუნჯი და გაშეშებული, თვით ღრმა სარდაფებშიაც ხალხი ცდილობდა პირისპირ არავის შეხვედროდა, რომ თუ საჭირო გახდებოდა აეთქვა, არც მინახეს, არც რა გამოგონია და აბა ვინც არ მინახეს, მას რას ვეტყვადიო. ელვის სისწრაფით ჰქრებოდა ამ სამთავროში ყოველი ღიმი სახეზე და თვალები მუდამ შეცრემლული რჩებოდა; ტურქების კოთხეებში ყმაწვილთაც კი ნაოქები გაუჩნდა. აღარ ისმოდა არა თუ ადამიანთა გალობა და სიმღერა, თვით ჩიტებმაც შესწყვიტეს ჰიკიკი და სტვენა. პაერი დამძიმდა, თითქოს ხელით გასახლეჩი ვახდა და კეშნის ფრინველებმა, საზარი შეხედულობის ემპერებმა, მაჯლაჯუნებმა და ურჩხულებმა უცნობ და უნახავმა ზღაპრით დაიწყეს პაერში ფორიატი.

და როცა ყველას იმედი დაეკარგა, ყველა ბედს შეურიგდა და ყველა მიცვალებულთა სულებივით რიგში ჩამდგარი თვით გაემგზავრა საფლავისაყენ, გამოჩნდა. ვილაც ყმაწვილი — ჭადავი, რომელიც ყვიროდა: მე წავალ, მე წარუღებები შენგს, თლონდ ბავშვი შოშეციით ერთი, რომ მიმიღონ სასახლეშიო.

დადასის დიდხანს ამო იყო! ვერც თვით იმეტებდენ საკუთარ ბავშვს, და არც თავის გამეტება შეეძლოთ რომ შებრძოლებოდენ უხილავ, უცნობ ქალაქუნას. ბოლოს ერთმა ქალმა სთქვა: „ჩემს შვილს მაინც უნდა ვეცნო, და დღეს თუ არა ხვალ, და თუ ხვალ არა, ზეგ! ისევ ამ ჭაბუკმა წაიყვანოს, იქნებ რასმე გახდეს, მე ზომ მაინც არა შემიძლია რაო!“ და როცა ახალგაზრდამ შეფეს გადასცა უცნობ გარემოთი განცვიფრებული ბავშვი და მეფის მხრებიდან გადაიოცლაქნა გველის ორი მოლივლივე თავი, ყმაწვილმა სტაცა მათ ყელში ხელი, იმავე გველებით შეეკოჭა მეფე და ფანჯარაში ვადმოაგდო მთელი ეს სიმყრალდე...

მას მერმე მეფე აღარავის უნახავს; ხალხის რისხვით შეშინებული მსახურნი მიმოიფანტნენ. ხალხის მიერ დაწყევლილ სასახლეს აღარავინ მიჰქარებია, უბატრონოდ მიტოვებულ პალატებსა და დარბაზებს ხავსი ვაუწინდა, ბალახი შევრია და სურთ შემოეხვია; ქარმა და წვიმამ გამოჰფიტა და ბუნების ძალამ საბოლოოდ მიწასთან გაასწორა.

ერთხანს სჯეროდათ, რომ სასახლეში მანვე სულელები იყვნენ დაბუდებულნი, მაგრამ როცა სასახლის უკანასკნელი ნაშთები გაჰქრა, ხალხმაც თითქოს თავისი რწმენა და საწარი შთავნება დაეწყებას მისცა...



ელიშერი უეკირდებოდა ხალხს, ბურთის მოთამაშე ბავშვებს, ჯამბაზს და ტაკი-მასხარას, მოცეკვავეთ, მოჭიდავეებს, და უეკირდა, რომ თვით ვითომ მლოცველნი თავის ცოდვას კი არ ინანიებდენ, არამედ თავის გაქირვების მოსაძობას, სიმშვიდეს, ბედნიერებას მოსთხოვდენ ღეთაებას. აქ არ იყო არც მოსკოვში ნანახი გულზე მჯიზის კვრით ცოდვის აღსარება, არც იტალიის უარყოფა აქაური ცხოვრებისა, არც კამათი მლოცველთა შორის სარწმუნოებაზე. თვით დედაბრები მხოლოდ წუთით შეჩერდებოდენ ეკლესიის კარების წინ, ანთებდენ თავლის სანთლებს და სასწრაფოდ მიდიოდენ, რომ ებაასნათ, გართობილიყვნენ, თავისი ოჯახური ამბები გადაეცათ უნახავ ნაცნობებისათვის და გაეგოთ მათი აზრები.

ეკლესია მეტად პატარა იყო. ეტყობოდა, უძველეს ბალავერზე იყო დაშენებული. პერანგი შემოცლილ ჰქონდა, გარედან მთელი დარჩენილიყო მხოლოდ კარის მარჯვენე თეთრი მარმარილოს ერთი სვეტი და თაღზე მრგვალი თეთრი დაფა, რომლის შუაში ამობურცული იყო მრგვალ კუთხებიანი კონუსებით ნახევარი ბურთი.

კედლების შიდა მხარე მოთენილი იყო ლურჯმარდვიან მარმარილოთი. შიგ ეკლესიაში დიდი ლოდი ეგდო. ეკლესია არ იყო გადამტიხრული კანკელით, თუმცა სატრაპეზო კი ეტყობოდა... მაგრამ, რომ გადაემტიხრათ, მეტად მკირე სივრცე დარჩებოდა კარებსა და აღსავლის კარებს შუა.



განსაცვიფრებლად არის შერჩეული ადგილი შენობისათვის, თითქოს თან შეზრდილი იყო მოასთან. ისეთივე ნაზი, მსუბუქი ისეთივე მხიარული სადა; ხეების შტოებთა შორის როგორ საკვირვლად გამოდის ანარეკლი სი-

ვი და შეუი, თითქოს მართლაც ორწევტიანი შუბი იყოს. ეხლა საცრაურია, თუ რად ჰქვია ლურჯი შუბოსანი...

ერეკნეშული

ეს არ არის შიშისაგან შექმნილი, ცოდვათა მოსაწანიებლად, არამედ სწავლებით და აღტაცებით მშვენიერ ბუნებისადმი. მას არც ვაქცევია უნდა ცანო, არც ვაღერბის სინათლესა და ჰაერს, არამედ სტკბება მზის სხივებით, მთვარის შუქით, მწვანე ქაღებიტ, ყვავილების სურნელებით და შორეული ზღვით.

საუცხოოდ იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა ადგილის ამორჩევა ყოველი ნაგებობისათვის. თითქოს ბუნებრივი მთა და ხელოვნური შენობა ერთმანეთშია შერწყმული და ეს მით უფრო საკვირველია, რომ ადგილი ქრისტეს მოძღვრების წინადაა, უეპველია, არჩეული, კერბთ-თაყვანისმცემლობის დროს, შეიძლება ათასისა და მეტი წლის წინად.

— რადა, შეილო, ეს ხომ წმინდა გიორგის საყდარია?

— დიახ, დედა-ბატონო, მაგრამ საძირკველი არ უგავს ისეთ საყდრებს, როგორსაც ქრისტიანობის დროს აშენებდენ. თვით ეკლესია ხომ მარტო ტრაპეზიდან შედგება. და შიგ ტრაპეზი რომ არის, ეს ხომ ლოდაა, მსხვერპლის ზედ დასადებად და დასაკლავად. ჰგავს, ქრისტიანებს დახვედრით უკვე მზამზარეული საკერბო. იგი დაუნგრევიათ და ზედ ძველის საძირკველზე შესაფერა საყდარი აღშენებით; ასე შეუერთებით ძველი და ახალი; ხალხიც ორივე ღმერთის საყდელს უფრო შეეგუა, ვიდრე ერთისას. ის საკვირველი ნახვერბურთები, ეინ იცას, იქნებ სწორედ ისინი იყვნენ თვით კეპები, რომელნიც მზის სხივსა და მთვარის შუქს ასე უხვად უკუყრიან.

შიკრიკმა ჩამოიარა და ედიშერს და ნალეკაძს უთხრა:

— ზვალ მეფე ვიბარებსთ.

წასვლის დროს დედა მოუბრუნდა ედიშერს:

— წავიდეთ, მოსვენებაც ვინდა, შეილო!

— წავიდეთ ბატონო, მაგრამ აქ კი მინდოდა დარჩენა — მენახა ბარემ, როგორია ხალხი, როგორ ატარებს დროს. აა ეს ჯამბაზებიც. ასეთი რამ ფრანგეთში მინახავს — იქ ეხლა უფრო შინაურ ცხოვრების უკულმართობას, ბერმონაზვნებს დასცინიან, აქ კი, — ედიშერმა მიმოიხედა, — მეფეს. ზელისუფლებას, სამართალს; — ეტყობა, ხალხს რადაც ბოღმა აწევს გულზე და სხვაგვარად ვერ უთქვამს...

— შეილო, რაზე უნდა ვიბარებდეს მეფე?

— უსათუოდ იმაზევე, რაც მოგახსენე. ვფიქრობ და ვერ ვადამიწყვეტია.

— მიიდე, შეილო, მეფის წინადადება, გამოიყენე ამღენი ცოდნა და მოგზაურობა; მეფე მწყალრბელი გეყოლება, ერი მადლიერი და მე ბედნიერი. გვეყოფა ამღენი განრიდება.

— დედა-ბატონო, ვანა მამა ჩემმა რომ სასახლე დასტოვა და სოფელს მოჰკიდა ხელი, სახელი და პატივისცემა ვერ მოიხვევა და სარგებლობა ვერ მოუტანა ქვეყანას?

— მე, შეილო, ჩემი მეუღლის მსაჯული არა ვარ. მე ყოველთვის თავს ცხოვრებულის უღირსად ვივლიდი. მაგრამ ჩემის აზრით მისი მადლი გონება,

სტეპაკა სული, თავდადება და ვანუწყვეტილი შრომა ბევრად მეტ ნაყოფს გა-
მოიღებდა, რომ დიდებულნი და მეფის სასახლე არ უკუეგლო ჩვენს დავაში.
თლით, სხვა კი ვინმე ვერ ავამალღუო.

— დედა-ბატონო, ქსენონი და თავშესაფარი, სკოლა ჩვენი სოფლისა, რო-
მელიც ქალაქისას ეტოქებოდა, მშვიერი, მთაში ლტოლვილი ხალხის დასახლე-
ბა, ფეხზე დაყენება — განა არ ღირს იმ ხალათებად და სამოურაოდ მიცე-
მულ ადგილებად, რომელნიც მაშის ტოლებმა მიიღეს?

— შე დედა ვარ, შეილო, და შენს ბედს მე ვერ გადაეწყვეტ. ჩემი მასწავ-
ლებელი მხოლოდ წლები იყვნენ, შენ კი დიად ბევრი გინახავს, ოსტატთა
შორის გიშრომნია და წიგნებში ამოგიკითხავს. მე მხოლოდ უნდა გაგატე-
ოხილო. ქსენონებს ვეღარ მოუარეთ, რადგან მთელი ქვეყნიდან მოაწყდა
ყოველი საძყარი და ლატაკი. ჩვენს მივარდნილ კოთხეში ნამდვილი ოსტატი
ვერ ძლებდა — ყველას გული გელათსა და იყალთოსაკენ ჰქონდა. ერთი ეს
ნალექარი შეგვრჩა — თითონაც არ იყო გამოჩინების მსურველი და მომზა-
დებაც ოსტატობისათვის არ ჰქონდა საკმაო.

მთა-ღრეებში მიმალული ხალხი რომ ჩაიყვანეთ, აქაც, სოფლად, ცხო-
ვრება მეტად გასაჭირი გაუხდათ — მუდამ დარაჯად უნდა მდგარიყვნენ, რა-
დგან ირგვლივ სილატაკე მათვენ სადაველოდ სდენიდა მეზრბლებს. ერთი
მცირე კუთხე ვერ შიადწვეს მიზანს: მთელი ქვეყანა თუ არ ამაღლდა. კიდევ
ერთხელ გეუბნები, ეს უსწავლებლით ჩემოვის მრავალი წლების განმავლო-
ბაში მხოლოდ დაკვირვებასა და ფიქრს, ცოდნა და პირადი გამოცდილება მე
არ მაქვს, ეხლა შენ უნდა გადასწყვიტო, რა გსურს, ვაითვალისწინო გზა და
მიზანი. ჩემთვის ჩემი განსვენებული მეუღლე სათაყვანებელი იყო და მე მინდა
შენც, შენი მომავალი მეუღლისათვის სათაყვანებელი იქნე. ოღონდ დაუკვირ-
დი, იქნებ სხვა გზა იმავე მიზნისათვის უფრო სწორი და ხელსაყრელი.

დედა და შეილი დადუმდნენ. ორივეს ბევრა ჰქონდა საფიქრებელი და მთელ
გზაზე ასეთ თავსატეხ კითხვებს აღარ დაბრუნებიათ.

მეწერილმანე ებრაელი შალომა ამავლანაშვილი, მისი შეილი ისაკა და საბა-
ლნეში, ვხვებ გადადებულ ორ მათრამაში, ძარში, მინაკიდებ ფუთაებსა, კო-
ლოფებსა და ბატ-ჭათებებს შორის გაჩხირული, გაძვალტყავებული, დამავე-
ბული ცხენი, მიადგნ მთის კალთას. ცხენი ვაიზნდა: ვერც შალომას წყევ-
ლამ და აღვირის ქაჩვამ, ვერც ისაკას ჯოხის სოლავეთ ჩაყვრამ ადგილიდან
ვერ დასძრეს, სანამ მამა-შვილმა თავიანთი კოლოფები არ მოხსნეს და მათი
სიმძიმის ქვეშ თვითონ არ წაიკეზნენ.

შალომა, ხმელი, თმაგაბურძგნული კაცი, ქნეშოდა და ოფლში იწურებო-
და, მაგრამ მაინც ვანუწყვეტლივ იძახოდა: ფართალი, ფართალი, სტამბოლის
აბრეშუში, მოსკოვის ტილო, რა გინდა სტლო და გულო, — ყაზანის ჩითი, სი-
რმა, ძაფი, ვერცხლის ძაფი, ოქროს ძაფი, სამაჯური, ყელსაბამი, ნიშნობის
ბეჭედი, ხარმა, ფარჩა, ზაფერდი, არშია, შალი, თავსაფარი, კვესა, ჯაყვა, სხ-
მართებელი, ლალა, ზურმუხტი, ჭარვა, მარტო-რქა, მარგალრტი, ფერ-უმარი-
ლი, გუნდა და ლახოსტაკი... და მაშის შემდერებას განაგრძობდა შეილი:

— ლეჩაქი, ჩიხტაკობი, თავსაკრავი, ნემსი, ქინძისთავი, მძივი, თაღლითი, არშია, ყასინალი, ლარი, სათითური, ტატლიბი, კევი, შაქარი, შაქრისწინული, ხალვა, ლახათლუხემი...

— უყურე, ამ ურჩიასაც არ შეშინებია და მთელი ავლა-დიდებით წამოსულა!

— შენი იმედით გავებდე, შენზე კი გაიფოფრა შენმა მშობელმა!

— ბრეყვი!

— ბრეყვი რომ ვყოფილიყავ, ვაჟკაცს დამიძახებდი — და ძღვნად შუბს მომართმევდი.

— ეუბოს მეტი ყველაფერი გაქვს, ურჩია. — დასცინა ცოლის გვერდით ამაყად მიმავალმა აზნაურმა.

— შენთვის დასჭირდეს დადამებამდე შენს ჭირისუფალს, და მაშინვე გავჩენს! — სწრაფად უპასუხა ებრაელმა.

— აი, შე... და გაწბილებულმა ოხუნჯმა მათრახი მოიმარჯვა.

— შუბოსანი მფარავს, შუბოსანი...

საკმაო იყო შუბოსანი ეხსენებინა, რომ მათრახიანს გაღიმებოდა, ხელი ჩაეჭია და წასულიყო.

ხალხი ხარხარებდა.

ასე ამ ყვირილით ათავა მამა და შვილმა აღმართი, რომ ჩვეულ ადგილზე თელაველი სომეხი დახვდათ, — სირაჯი, რომელსაც ორი სარი ჩაესო, შედ ფარდაგი გაეფინა და დუქანი მოეწყო.

— ვაიმე, ჩემი ადგილი დაგიჭერია, ოპანეზი..!

— შენი ადგილი? როგორ, წმინდა გიორგიმ ანდერძად დაგიტოვა?

— ე, სულს ნუ წაიწყებდ, ქრისტიანო, ოცი წელიწადია აქ მოვდივარ!

— ჰკერს ნუ ლაპარაკობ, ურჩია, სხვა ადგილი მოსძებნე.

— დასამარხად ყველა ადგილი გარეგებს, ჩემი რჯულის მადლმა რაც შენ აქ არ მოიგო, მეტი არ ნახა შენმა გვარმა და ჯილაგმა.

— ერთი გაიარე, თორემ ისეთ ჩავაფარებ, რომ ნისიებს სულ დაგავეწყებ!

— კარგია, კარგი! — ჩაერია მათ ჩხუბში ვიღაც, — როგორც ეტყობოდა, სელიჭუფლების მქონე, — გეყოფათ აქ გინება!

— ვაიმე, ვინ აგინებს, ოღონდ აქ ლეინის გაყიდვას აპირებს, ხალხი ლეინოში ცურაობს, — და მამა და შვილმა იქით გადინაცვლეს, სადაც ბიჭი და პატარა გოგო ორი ხის შორის თოკს აბამდნენ.

— კიდევ უკეთესი, აქ ხალხი მოიყრის თავს. ეს ბატები და ქათმებიც ძარში შეუშვი, დაიხოცებიან, წყალი მოურბენიე... ისაკა დატრიალდი, იქნებ სადმე კიდევ ერთი საჩი, ან გოდორი იშოვო, თორემ არ ჩაეტევიან, ღმერთმა ხეირი მოგვცეს — მერმე ისევ სირაჯისკენ პქნა თავი და მიამახა: რაც შენ მოიგო, წამლად არ გყოფნოდეს, — და შეუდგა საპალნის დაცლას.

მუშაითმა გადასერ-გადმოსერა ჯარობის მთელი სიერცე, გადალაჯა სუფრებს, ურმებს, დამფრთხალ ცხენებს და ყველას დაანახვა თავისი წითელი ჩაჩი, ოთხი ადლის სიმაღლეზე ჩამოსული, ფერადფერადი ნაჭრებისაგან შეკერილი შარვალე, ინისფერით შეღებილი წვერ-ულვაში, და ვრძელი ჭოკი, რომელსაც ის ებჯინებოდა, როგორც ყავარჯენს და ბავშვებით გარშემორტყმული მზეიდა გაბმულ თოკთან, სადაც მის წინაშე დაეცა ტაკი-მასხარა და ლალაყო:

— მობრძანდი, დიდო ბელმწიფე! რაც სიმაღლე გაქვს, თუ იმდენი ჭკუა



გაქვს, ღმერთი ყოფილხარ, მარა თავი ევახს მიგიგავს, ჰკუაე მტეი სად გექნე-
ბა?! მარა ჩევი ხელმწიფე ხარ და მოწყალედ მიმიღე, დღეში სამტყუნსაში
გამოლახე, ერთხელ მაქამე!

ხალხიდან ვილაცამ მიაძახა:

— შე, სულელო, თუ ხელმწიფეა, ასეთ რამეს როგორ უბედავ, თუ ხელმწი-
ფე არ არის, რად ეთაყვანებოი.

— სისულელით არ მომდის, ჩემო ძმაო, სიფრთხილით, სიფრთხილით! ახლა
ყველა მეფობას ჩემობს, თუ ხელმწიფე გამოდგა — თავი ხომ შეგებარაღე; თუ
ჩემსავით ტუტუცია, რა დამიხარჯავს, რომ ვინანო!

ამ ლაპარაკში მუშაითმა მოასწრო ხეზე მიყრდნობოდა, იქ თავისი ტანთ-
საცმელი გამოეცვალა და ტაკი-მასხარასთან ერთად დაიწყო ვარჯიშობა;
ტაკი-მასხარამ მუშაითის ხერხი გაამხილა:

— უყურეთ ერთი, უყურეთ. ეს ისეენებს, დაბრუშებულ ხელფებს ავარჯი-
შებს, მე კი კისერს მატეხინებს — ეს ნამდვილი ოინბაზობაა და არა ჯამბა-
ზობა.

ორივე ხტოდა, ყირაზე გადადიოდა, ხელეზე დგებოდა. ხალხს განსაკუთრე-
ბით მოეწონა, როცა ორივე თავდაყირა ხელეზე დადგა და ფეხები ერთმა-
ნეთს მიადევს, შემდეგ სასწრაფოდ ერთმანეთს ხელებიც ჩასჭიდეს და აგო-
ლივით დაიწყეს გადაგორება.

შემდეგ ჯამბაზი თოკს მიწვდა, ჯერ გასინჯა და შემდეგ ხელეზე დაიწყო
ტრიალი, მერმე მუცლით თოკს დაეყრდნო და იტრიალა, ჩამოხტა, ოფლი
მოიწმინდა, ხეზე ავიდა, იქ დაჯდა.

— ამისთანა კაცს, ჩემმა მზემ, ხელმწიფობაც ერგება და შეეფერება. შენ
რომ სამართლის სათხოვრად მიხვიდე, ატრიალდება ჯარასავით, შენც ჰკუას
დაგიბნებს და არც ის შეიწუხებს თავს. აბა! აღარ დაჭირდება არც ჰკუა და
არც ენა!

როცა ხეზე მჯდომი ჯამბაზი წამოდგა, თოკს ფეხით სინჯვა დაუწყო, ტაკი-
მასხარა შეევედრა:

— შენ შენი ღმერთი, შენ იქნებ ჩამოვარდე და დაიმტვრე, რალა მეშვე-
ლება, მე ჩემი ნაჰმეფარი ეხლავე მომეცი, მიწაზე თეთროსანი გამიმარჯვებს,
მალლა შებოსანო.

— წადი, გამეცალე, შენთვის არ მცალიაო, — ავლებით უპასუხა ჯამბაზმა.
ტაკი-მასხარა ჯამბაზის წან თოკზე სელებით ჩამოეკიდა და სამუშაოდ არ
უშეებდა; ჯამბაზმა გადასძახა ხალხს:


— მომაშორეთ, ეს მურტალი ვილაც არისო!

ხალხმა ტაკი-მასხარა სიცილით შეკრა.

— ეჰ, თქვენი სამართალი იმიტომ ხართ ჩემზე უარესად, რომ ასეთი სავა-
რთლიანი ხართო: მე ჩემსას არ მაძლევენ, და თქვენ კილევ მე მიკრავთ ხელსო.
და ეხვეწებოდა და ემუქრებოდა ჯამბაზს, „რას მერჩი, რაც მერგება, მო-
მეციო...“

— შარია, შარია — ყვიროდა და ხტოდა, რომ თავი შაინც შეერტყმია თოკი-
სათვის და გადმოეგდო მტერი.

— გამომყე, რამდენს მე ვივლი თოკზე, შენ მიწაზე იარე და მომტყე —
დასცინოდა ჯამბაზი.



— ზევითაც რომ ვიარო, მაინც მომადლორებ, — ისევ სჯობია, შენც ქვევით და მეც ქვევითო, — და ტაკი-მასხარა კიდევ უფრო ცდილობდე, *თქვენი ვიწრო* თოქისათვის და ჯამბაზი გადმოეგდო.

ტაკი-მასხარა ფორხილობდა, ქანაობდა, ეცემოდა.

ხალხი დასცინოდა, იცინოდა.

ვიღამაც დაუძახა:

— რა ღმერთი ვიწყრება, ის ბაწარზე დადის, შენ კი მიწაზე ეცემიო.

— ვაი შენს ჭკუას, არ იცი თავისუფალი კაცი დამჯდარიც უკეთ დაიძინებს, ვიდრე ხელშეკრული დაწოლილიო. ამის მეტი ტვინი რომ არ გაქვს, მიტომაც ხარ შეკრულ-შებოთხილიო...

— მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა! — ხარხარით დაეთანხმა ტაკი-მასხარას სირაჯი.

— ... მე თუ მტყუანი ვარ, აი იმ დიდებულს ჰკითხეთ... ბევრია თუ არა ჩვენში ისეთი, რომ ბაწარზე გაივლის კი არა, ბეწვის ხიდზე სახლდება, ცოლიც იქ ჰყავს და რატომ? იმიტომ რომ ყველაფრისგან თავისუფალია — ღვთისგან, მოყვრისგან, ნათესაობისგან, სინიღისისგან...

— ეი, შენ მანდი! ბევრს ნუ როშავ, თორემ...

ჯამბაზი ქალურა მიმოხრით მიცეკვავდა.

ქვევით მოლზე ტაკი-მასხარა მანჭვა-გრეხვით, ვითომცდა დიდის სიფრთხილით მიდიოდა და თან ფორხილობდა, ეცემოდა და ხალხს აცინებდა. მხოლოდ პატარა ბავშვები უბიძგებდნენ ერთმანეთს და თვალგაფართოვებული უყურებდნენ ორი ადამიანის ამ ჯადოსნობას.

ხალხი ვერ შორდებოდა ორ ხეთა შორის გადამბულ ბაწარს, და თან თამამად ვერც უყურებდა.

— რა აცეკვებს ბაწარზე ამ ოჯახქორს?

— შიმშილი ბატონო, თორემ მაძლარი კაცი ბაწარზე არ დაიწყებს ხტუნვას...

— არ გვეყოფა ისედაც ტირილი და უბედურება, გადმოვარდეს ერთი, ხომ ჩაგმწარდა ყველაფერი!

ტაკი-მასხარამ ქული ვიღაც ბავშვს წაართვა და ხალხს ჩამოუარა შაბაშისათვის. ბავშვი თითქოს ნაწყენი იყო ქულის წართმევით, მაგრამ თანაც უხაროდა, რომ ყურადღების ღირსი გახდა.

— არ დაანებო, ბიჭო, ნაწილი შენია, იცოდე! ბევრს მოგცემს, ისე უშველის ღმერთი მაგას.

იშვიათი ფარა ვარდებოდა ქულში. მაგიერად აძლედნენ კვერცხებს, პურს, ქათმის ნაჭერს და ზოგჯერ ძროხის მთელ გვერდსა და ბარკალს.

ებრაელმა გოგოს მძივის მთელი ანცმა მისცა, მაგრამ, როცა შეაძახეს მუშტრებმა, მათის ხათრით, ერთი ფარა ქულშიაც ჩაუგდო.

ჯამბაზმა მოხსნა ბაწარი, ტაკი-მასხარამ მოიტანა ჩამოთხოული, გააესეს ხურჯინი, აკიდეს ვირიკას და გაუღვენ გზას... ზეგ ოსიურში უნდა გაემართათ ასეთივე წარმოდგენა.



- მოდი, პური ერთად ვჭამოთ, — მიმართა ტაკი-მასხარამ ზურაბს.
- გმალლობთ, აქ ჩვენებთან უნდა წავიდეთ, მიცილიან ალბათ.
- კაი ყაიხი უნდა იყო, საქმე გვაქვს შენთან ცოტა რაზე... მოვილაპარაკოთ.

ვოგონას სუფრა უკვე გაეშალა.

ზურაბმა მორიდებით ფეხი მოიხრია.

— ჯერ ეს ჯამი დაელოთ.

დალიეს.

— აი რა გითხრა, ძმობილო, ჩვენ ზეგ ოსიაურში უნდა ვიქნეთ, დიდი ქორწილია. შენ ღონიერ ბიჭსა ჰგეგხარ... წამო ჩვენთან... იქნებ ცოტა რამ ვიშოვოთ. შენც გეტყობა, ბელელი არ გისკდება ხორბლით და ჯიბე არ გეხევა თეთრით... ჩვენ აი ჩვენს საქმეს გავაკეთებთ, შენ იჭიდავებ...

— რომელი მოჭიდავე მე ვარ?! მე აი ქვის სათლელი საქმე თუა სადმე...

— მე ვანა მართლა ტაკი-მასხარა ვარ? დაბე ჩემს ზელებს... მკედელი ვარ. მაგრამ, გაჭირვება მანახე და გაქცევის გაჩვენებო... აი ამ პატიოსანმა კაცმა მითხრა, ესეც გუთნის დედა, გუთანა რომ ვერ გამოაწყო, ჯამბაზობას მოკიდა ხელი. პო-და მითხრა, ბიჭო, ენამახელი კაცი ხარ, მოდი მე ჯამბაზი ვიქნები და შენც ტაკი-მასხარობა იკადრეო. ხომ გვიყურებ, დავიწყეთ და დღის ლუქმა-პურს ვშოულობთ. თუ დრო გამოიცვალა, მე ჩემს ქურას დაუბრუნდები და ისიც ბელტებს დაუწყებებს ბრუნებას.

— კიდაობას ხერხი უნდა, შე დალოცვილო. კიდაობით კი მიჭიდავრია, მაგრამ ზელობა არ მისწავლია.

— ეპ, ძმობილო, კიდაობის მონასტერი ჯერ არვის უნახავს... ერთხელ წაგაქცევენ, მეორეჯერ წაგაქცევენ, შენც, ხერხია თუ ჯანდაბა, დაისწავლი და შემდეგ შენც წააქცევ. მაგრამ შენ ისეთი ძალა გაქვს, რომ ზოგის ხერხი შენთან ვერ გასჭრის.

— დედაცა შეავს მოხუცებული, იმას რაღა უყო?

— რას იტყვი, კოსტა, — მიმართა ტაკი-მასხარამ ჯამბაზს — ჩემმა მზემ ი დედაც წავიყვანოთ. ის დიასახლისი იქნება და ჩვენ ოთხივე მსახიობები ვიქნებით, რაღა... ერთი ორი რამ კიდევ დავისწავლოთ... ვოგონც რომ შიგვრითოს, თუ გინდა „ტაკობანა“ იყოს. ხალხს მოეწონება. რთველამდე ასე ეიაროთ ჯარობასა და ქორწილებში და მერე თავ თავის გზას გაუდგებით, საკმეხს ვეწევი.

— ენახოთ...

— კამე, ძმაო, რას გვერიდები, ხალხის მოცემულია, მათი ოჯახი აშენდა. ორი დღე კი გვეყოფა, რამდენიც არ უნდა ეთქვოდეთ და მერე კიდევ გამოჩნდება ვინმე ლეთისნიერი.

მათ მიუახლოვდა მესტივრე და ჩვეულებრივი ღიღინით მესალმების შემდეგ უთხრა:

- ჯიბას გაიკარ-ხელია, ან ამოიღე აბაზი, ან კრელი უზალთუნია...
 — დაჯე, ძმაო, დაჯე! უზალთუნის რა მოგახსენო და გულღიანი მიწოდებულ
 ბული ერთი ჯამი ღვინო მიირთვი.
 მესტვირე დაჯდა, პური მოიტეხა და ღვინო მოსვა.
 — დამილოცე, თბოლი ბიჭი მყავ, მამა ვერ დაარიგებს და ბაბუა.
 მესტვირემ გულს ჩააბერა და დაიწყო ღიღინი:
 „ნუ გეშინია თბოლო, მფარველი შენი ღმერთია. ოღონდ კი აუ დაგავიწყო-
 ლეს—“

სოფელს ვერ გაათბობ,
 სოფელს ვერ შემოსავ
 სოფელს ვერ დააბურებ

მაგრამ მშიერს რომ ლუკმა არ გაუწოდო, ისე ნუ გაუშვებ; ტიტველს რომ ხელი მაინც არ დააფარო, ისე ნუ დასტოვებ; გაყინული რომ არ დაზილო, ისე ნუ დააგდებ...

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ნიგნიდან „ომის ღიჩიკა“

მეგობარს

იქნებ იმისთვის, რომ საკუთარი
 რყავი გულით და გარეგნულად.
 იქნებ იმისთვის, რომ შენ სხვაგვარი, —
 მე სხვაგვარი გზა ზედმა მარტუნა.
 რომ შენი მკაცრი, ქილიკა ენა
 მე არ შემეძლო ახლოს მეთმინა.
 იქნებ იმისთვის, რომ შენ ერთხელაც
 არ გამიხსენებ ასე კეთილად.
 მე შენ გეძახი, სადა ხარ ეხლა,
 სად იქნევ მელაგებს ბრძოლას უჩვევი,
 ამაღამ მტერთან მომიწევს შეხლა
 და იქნებ ტყვიას ვერც ვადგურჩები.
 ამაღამ ჩემი სფანური მუხლი
 ვგრძნობ შემახვედრებს მტერთა ბლინდაეებს;
 დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი —
 ზვალ იქნებ ჩემთვის არც ირიერაეებს.
 და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
 არ შორდებოდა — ძალღონე მიხდილს.
 ვინც იწვა თოვლში, სიკვდილს გვერდით
 და მტრის საფარში გზაენიდა სიკვდილს.
 ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში —
 სახეს უსისხლოს და განაოცებს,
 ვინც იარაღთან მოვიდა ბავშვი,
 ვინც ახლა შუბლზე ითვის ნაოკებს, —
 მას შეუძლიან ბავშვობას ზიარს
 ვისაყვედუროს, გაგვიცხოს შორით,
 თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას,
 ბელჩართულ ომში ჩემგან გასროლილს.

მთაწმინდა

მთაწმინდიდან სმოლენსკამდის გზაა შორი,
 უფრო შორი: გზა — ბრძოლის და მწუხარების.
 ვახსოვს ღამე? გავუძევრით ნაღმებს ორნი
 და მტრის ბლინდაეს შევეუკეთეთ ყუმბარები.

ვახსოვს დნებრი? — მღვრიე, როგორც ვათენება,
 დნებრზე მღვრიე შემოდგომის ცივი ქარი.
 დაჩეხილებს ტფილისის ცა გვამთვლებდა —
 ჩვენს საშველად მთაწმინდიდან წამომდგარი.
 მე, დედაშენს არ ვუამბობ შესაწუხარს,
 ვეტყვი მხოლოდ: ომში გული არა კვდება.
 ვეტყვი, რომ შენ წაიქეცი როგორც მუხა,
 როგორც ფშაველ მონადირეს ეკადრება.
 გული დარჩა და, როდესაც, ხელჩართული,
 დნებრს გადაღმა ჩადგა ომის მქლხარება.
 მე ვიგრძენი საჯულეში შენი გული
 და მტრის ბლინდავს შევეუფეთე ყუმბარები.

მირზა ბედრეგანი
 ზნელოცობა

ჩემი ძმა

თოვლით დავარულ ნაძვების ახლოს
 ის იწვა ერთი.
 ის უცქეროდა ღრუბლების მაღლობს
 თვალებით თეთრით.
 არც ხმლის ნატეხი, არც ზუღე ისრის
 არ ეგდო სადმე.
 მხოლოდ მოშაეო შემხმარი სისხლი
 შეენოდა წარბებს.
 ამ სისხლს ზსოვნისთვის მკერდზედ წაიცხებს,
 გულით დაიცავს,
 გმირობას მისას არ დაივიწყებს
 რუსეთის მიწა.

წერილი

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
 რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს.
 რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
 როგორც ყოველთვის, მოაგავს ზვითოს.
 რომ ორთაქალამ ჩაიცვა თეთრი,
 რომ შენ ჩაიცვი კაბა ყვავილის,
 რომ მტკვარი ოზრავს, როგორც ყოველთვის,
 როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის...
 წუხელ ვებრძოდით ცეცხლსა და უკუნს
 და საშინელი ბრძოლების წისლში,
 შე მომეჩვენა სადღაც, ჩვენს უკან,
 ბელებული იდგა ტფილისი.
 ორთაქალაში ყვავდა ნუში,
 მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს



და შენც, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
 როგორც ყოველთვის, მოგაგედი ზვითოს.
 ნუ მოშწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
 ფერებით ყვავის ტფილისი ახლა.
 რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
 და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
 მე ისეც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
 მოაქვთ გულებს საამო ფეთქვა...
 და თუ ბოლომდის ტყვია ღამინდობს
 თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —
 გეტყვი, რომ მოველ სიკვდილნახული
 და სიკვდილამდის შენთან დაერჩები,
 რომ ღამაზია მზე გაზაფხულის
 ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

მომკვდი არმია.

გვ. ბიზონოვი

მძულვარება

მალარიის შეტევა უღმობლად აწამებდა ანდრეი ანდრეევიჩს. მთელ ღამეს ცაე ოფლს ანახმდა, ეჩვენებოდა, თითქო ჯურღმულში მიგჭანებოდა, ამოდებდა. ამოდებდა და თან ესმოდა სროლა, ყვირილი ქუჩაში და ის, თუ როგორ გოდებდა მისი ბინას პატრონი დიასახლისი.

ახლა ლოგინზე წამოჯდა, საბანა გადაიძრო და დაბინდული თვალებით მიჩერდა გატეხილ ფანჯარას, საიდანაც გაღმოვარდნილიყო ქოთანს ყვავილით, მერე ქოთანის წითელ ნამსხერევეებს და ფარდას, რომელსაც ქარი აფრიალებდა.

ძლივს მავიდა ფანჯრამდე, გამხდარი თითებით რაფას ჩაებლაუქა და კარგად ნაცნობ ქუჩას გადახედა. ბოდუნჯაგრძელებად ეჩვენა ის, რაც დაინახა: ორი სახლის იქით ჰქრებოდა ხანძარი, ქუჩაში ნივთები. ბროვა ეყარა, ხოლო კუთხეში მწვანე-ყურტაკებიანი ორი ჯარისკაცი იდგა. მათ მიმოიხედეს და გზას გაუდგნენ.

მამ ის, რასაც გუშან დიასახლასი ჩასძახოდა, სიზმარი არა ყოფილა, მამ ქალაქში გერმანელები იყვნენ. ამის წარმოდგენამ გულა შეუქუშმა. მოგონებანი აიშალნენ მის ზაოენაში. ის უგონოდ დაეცა, როცა ქალაქთან ბრძოლა იყო. ქუჩებზე ყუმბარები ცვივოდნენ, ორმოებს აჩენდნენ ბაღებში და ამსხერვედნენ სახურავებს. შემდეგ მალარიას შეტევა დაეწყო, ამოდებდა, სისუსტისაგან ვერ გაერკვია, რა სდებოდა და ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, თუ რა ზედი ეწიათ დას და მის ორ გოგონას, მოასწრეს მათ წასვლა, თუ ვერა. თავისი თავი დააფიქცდა. ისე დასუსტებული აყო, რომ გაქირვებით ჩაიქვა, და როცა შემთხვევით სარკეში ჩაიხედა, დაინახა გაღურჯებული, ჩაცვივნილი ღოყები, ავადმყოფობის დროს წამოზრდილი წითელი ფერის წვერები, ნაცრისფერი ტუჩები და გავარვარებულა თვალები.

სახლი დაცარიელებული იყო. ყველა ოთახში ღია იყო კარადები და ყუთები, ხოლო ფანჯრები ჩალეწილი.

მხოლოდ ერთი რამ ახსოვდა: უნდა მოსტებნოს და, უნდა მიეშველოს მას. ძლივს იდგა ფეხზე. მაინც გავიდა ქუჩაში და პარკისაყენ წაბარბაცდა.

პირველი გვაში ქუჩის კუთხეში დაინახა. ნაცრისფერი პიჯაკი ეცვა, ქვებზე ეგდო. ხელები ვადეშალა. სახე დასერილი ჰქონდა. მკერდზე სისხლიანი ლაქა უქსრობოდა. თათონ არ იცოდა, რატომ, დაინახა და მკედარს დააცქერდა. ბოლოს იცნო — გამყიდველი იყო პარკის ფარდულიდან. მოკლულს ჯინეები გაღმობრუნებული ჰქონდა.

ანდრეი ანდრეევიჩმა კრიჭა შეიკრა და ბარბაცით განაგრძო გზა. უეცრად მის თავზე ხმაურით დაცვიედა შუშის ნამტვრევები, და ფანჯარაში თმაგაწე-

წილა ქალი დაინახა. გიჟივით გაჰკიოდა. ვიღაცას ხელებმა ფანჯარას მია-
შორეს. კვილი შეწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმის დროს ვიღაცმა
მან შეუწყვეტელი სროლის ხმა, რომელიც ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებო-
ბოდა. იმავე წუთს ვიღაცამ შესძახა ისე გაბრაზებით, რომ მან თავი დახარა
და შეზობელ ეზოში შევარდა. მის ყურთან ორმა ტყვიამ გაიწოლა. გარბინა
ეზო. ყველა კუთხე იცოდა იქ, ყველა მოსახრელი. გაძვრა ფარდულუბს შო-
რის, ხოლო იქიდან ღობის ნახვრეტში და ქუჩაში გავიდა.

შეჩერდა. კედელს მიეყრდნო. მძიმედ სუნთქავდა. შემდეგ წავიდა, მაგრამ
უკვე ფრთხილად, მალულად. მიიპარებოდა, გარშემო ისეღებოდა და როცა
მწვანე კურტაკებს თვალს მოჰკრავდა, დაიძალებოდა ისე მოზერებულვად და
სწრაფად, რომ თითონაც უკვირდა.

აღარ ითვისებდა, თუ რამდენ გვამს წაადგა თავზე. დაინახა მიკლული
ბავშვიანი ქალი, აცახცახდა, და მეორე მხარეს გადავიდა. დაინახა ჩამოხრ-
ჩობილი. ტელეგრაფის ბოძზე ეკიდა, გულზე რაღაც ქაღალდი ჰქონდა მიკ-
რული. დაინახა კიდევ პისხლის ტბორში ჩამხობილი ბავშვი, ხოლო მის
გვერდით — დამსხვრეული ველოსიპედი.

ანდრეი ანდრეევიჩმა იცოდა მხოლოდ ერთი რამე უნდა იპოვნოს და, ნა-
ხოს ის და მისი გოგონები ან გაიგოს, რა დაემართათ. პარკში შევიდა. ყუმ-
ბარებით დაფლეთილმა ასწლოვანმა ბებმა მიიქციეს მისი ყურადღება.
დაინახა კვამლში გახვეული ნანგრევები იქ, სადაც ძველებურა თეატრის
უმშვენიერესი შენობა იდგა. აქ-იქ ცეცხლი კიდევ გადაიბრუნდა ხოლმე გა-
შავებულ თაფხვებზე და ფიცრებზე. კვალი ცისკენ მიიწევდა.

უეცრად ისევ მოესმა გულშავის შეძახილი. აღარ დაელოდა მეორე დამახე-
ბას და რაც ძალა ჰქონდა, მოჰქუსლა.

ყველგან, საითაც კი წავიდა, ხედავდა ხანძარსა და გვამებს, და მხოლოდ
ზარბაზნებას სროლის შორეული გუგუნი არღვევდა იმ საეკორეულ საჩუმეს,
რომელიც ამ საზარელ ნანგრევთა შორის გამეფებულიყო.

არაერთხელ დაეცა სისუსტისაგან. ხელები დაკაშრული ჰქონდა. ბოლოს
ჩამოვდა ნარვალის პირად. განუწყვეტლივ ფიქრობდა მხოლოდ ორ პატარა
ღისწულზე, რომელნიც ვერსად ეპოვნა. მხოლოდ ვაკერ თ დაინახა მათი
ქუჩა, ახლა ნანგრევებად ქცეული, სადაც მწვანე კურტაკიანები გარბი-
გამოზბოდნენ, რაღაც ნივთებს მითარევდნენ, საბარგო მანქანებზე აწყობდნენ,
ხმაინახლეჩილნი ერთმანეთს გასძახოდნენ და მანქანებთან დაფუსფუსებდნენ.

ნარვალის პირად ჩამოხვდარი მიხედა, რომ ის — უბედური, ავადმყოფობით
დაუძლურებულნი, ყოფილი ფოტის მოხელე, უღონო მოხუცი — ახლა მწვა-
ნე ქურჭიან მხეცების ზელშია. მათ შეუძლიანთ სულ ადვილად მოჰკლან და
იგი ვერავითარ ვნებას ვერ მიაყენებს მათ.

ტირილი აუვარდა. ცრემლშორეული იჯდა. აღარ შეეძლო გვამებისა და
ხანძრის დანახვა. მისი საყვარელი, მშვენიერი პატარა ქალაქი ასე კედებოდა
თულწინ.

ანდრეი ანდრეევიჩს გული ეკუმშებოდა ღისწულებზე ფიქრისაგან. ისინი
ხომ ყველაზე უფრო უყვარდა ამ ქვეყნად.

გადასწყვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, ენახა ისინი. ნარვალისა
ამოვიდა, შუა ქუჩაში ჩაუგა და მოკლე, მტკიცე ნაბიჯით გაემართა.

... გერმანელ კომუნდანტის წინ იდგა ქაღარა, ტაღახში ამოსერილი კაცი,
არეული თვალებით, ათრთოლებული ზელებით და ერთსა და იგივეს ამბობდა:

— მომეცით ბავშვები, მომეცით ბავშვები!

გამხდარი, განიერ-მხრებიანი გერმანელი შავებში ჩაცმულ ყველა მუშაკმა და და უთხრა ვადაეთარგმნა, თუ რა უნდოდა მისგან ამ მოხეტიალე როცა ვაიგო, ჯერ ცივად გაიცინა, შემდეგ უცბად შესწყვიტა სიცილი და შეკარად გადახედა ანდრეი ანდრეევიჩს.

— ეგ სულელური ხუმრობაა! — სთქვა მან გერმანულად, მაგრამ დაინახა რა სააოწარკვეთილი, ჯიუტად და გამომწვევად მიჩურებული ფართოდ გაღებული თვალები, წარბები შეიკრა და ახედ-დახედა მოხუცს. მის მოღუწულ სახეზე ზიზღი და სიძულელი გამოიხატა. ბლოკნოტი ამოიღო, ფურცელი ამოხაა, რამდენიმე ატრიკონი დასწერა და ანდრეი ანდრეევიჩს გაუწოდა:

— ვივია, — უთხრა მან თარჯიმანს, — საიდან მიეცე ბავშვები? დეე, ამ პირატყვმა ირბინოს და ეძებოს ისინი, თუ კი უნდა...

ანდრეი ანდრეევიჩი კონდახების ცემით გააგდეს, მაგრამ მას ტკივილი არ უეჭოქნია. ჩაირბინა საფეხურები, ყურადღება არ მიაქცია ჯარისკაცებს, რომელნიც დასციროდნენ და მუჯღუგუნებს სთავაზობდნენ, ღონიერად ჩაბლუჯა მუჭაში ქაღალდი და ისევ იმ ქუჩისკენ გასწია.

ახლა, როცა გუშაგები შექაჩილით შეაჩერებდნენ ხოლმე, გაუწოდებდა მათ ქაღალდს. ისინი წაიკითხავდნენ თუ არა, უშვებდნენ.

ანდრეი ანდრეევიჩი უკანა შესასვლელიდან მივიდა სახლთან. მაგრამ იქ, სადაც უკანა კარები დაკრძე იყო, ახლა ორი სვეტი ბოლავდა და ნანგრევებიდან მაღალი საკვამლე ამართულიყო.

ქეზე ჩამოჯდა და ხანძარს მიაცქერდა, ათიქო ვინმე უნდა გამოსულიყო ნახშირის ხროვიდან და გადაეცა დისა და დისწულეზის ამბავი.

ვილატამ დაუძახა. მიიხედა.

შეზობლად დამწვარ სახლიან ველაც დედაცაი იღგა-და ჩუმად თავისკენ იხმობდა. ქალი იჯდა ნახევრად ჩამონგრეულ კედელს მოფარებული და როცა ანდრეი ანდრეევიჩი მასთან მივიდა და გვერდით ჩამოჯდა, დაინახა მისი ცრემლით დანამული თვალები.

— სად არიან? — იკითხა მაშინვე. — სად არის ანუშკა? ტანია? კატია? წაეიდნენ?

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ცრემლებმა უფრო დაუსველეს სახე. მან ნახშირის ხროვისკენ ხელი გაიშვირა და ზღუქუნით სთქვა:

— იქ არიან, იქ. ყველანი იქ არიან...

მოხუცმა თვალი მიაჩერა იმ ადგილს, სადაც ქალი უჩვენებდა. ხედავდა მხოლოდ ნახშირს, თავებებს და გამურულ ხარა-ხურას. ქალი ჩორჩულეზდა, თან ტუჩები ეკრუნჩხებოდა.

— მოვიდნენ და ყველაფერი ცეცხლს მისცეს. გადაბუგეს. არაფერ გამოუშვეს, ყველანი ცეცხლში დაიღუპნენ, ყველანი...

ერთი წუთით ანდრეი ანდრეევიჩს მოეჩვენა, თითქოს ისევ ეწყებოდა მალარიის შეტევა. მაგრამ ეს წუთი თავბრულამხვევი იყო, რისგანაც შეინძრნენ ნანგრევებიც, ქალიც, ვასცურეს და პერში გაიფანტნენ.

როდესაც გონს მოვიდა, დაინახა, რომ ნახშირის შორის იჯდა მიწაზე. არაფერი იყო. ქალი წასულიყო. იღებდა ცივ ნახშირს და განზე ჰყრიდა, სწორედ ისე, როგორც თამაშის დროს სილას ჰყრიან ხოლმე ბავშვები. ხანდახან თვალებს დახუქავდა და ეჩვენებოდა, რომ ქერთამიან დისწულეებს ეალერ-

სება. ესმოდა მათი მზიარული ხმები, ხედავდა მათ ნათელ ოთახებს, ნათ რვეულებს, წიგნებს, მათ პატარა თეთრ საწოლებს. თვალს ვუჭერდნენ და არა, მის წინ აყუდებელი ნანგრევი რატომღაც უფრო დიდი და ვალდებულებად და ყველაფერს ფარავდა. მოაგონდა საყვარელი დიკო და ჩემად წარმოსთქვა:

— ანა!

ფეხებს შორის თვალი მოჰკრა თავის შიგნით დაგდებულ ქაღალდის ნაგლეჯს. აიღო, აათვალი-ჩაათვალიერა, თითქოს პირველად ხედავსო. ცდილობდა წაეკითხა — ოდესღაც, ახალგაზრდობაში, გერმანულს სწავლობდა, მაგრამ ახლა ბევრი რამ ჰქონდა დაგიწყებული. გაიგო მხოლოდ ის, რომ გერმანული პირუტყვის უწოდებდა. დაჰმკუნა და გადაისროლა ქაღალდი. გული სიბრაზით ეცებოდა. უნდა წაეიდეს ისევ კომენდატურაში და მოჰკლას, მოახრჩოს მწვანე-მუნდირიანი მხეცო. მაგრამ შესძლებს-კი ამას თავისი სუსტი ხელებით? განა კიდევ შეუძლებენ? მოჰკლავენ, როგორც იმ გამყიდავს, ან ჩამოახრჩობენ და ტელეგრაფის ბოძზე ჩამოჰკიდებენ.

იჯდა მუბღებზე ხელზე-შეშობვეული და, თათქო აღსარებას ამბობსო ნანგრევებს წინაშე, იგონებდა შრომაში გატარებულ მთელ თავის სიცოცხლეს, უბრალო რუსი ადამიანის პატიოსან ცხოვრებას. გაკვირვებით შენიშნა, რომ რაც უფრო ცხადად აგონდებოდა წარსული — ისეთი კარგი და ისეთი მახლობელი, — მით უფრო ნათელი ხდებოდა მისი ახრი და თანდათან მშვიდდებოდა.

ქაღალდზე ისევ აიღო, ხელში ჩაბღუჯა და წელი ნაბაჯით წაეიდა. მაგრამ საითაც არ უნდა წასულიყო, თითქო წარეს უვლისო. ისევ ძველ ადგილს უბრუნდებოდა.

მთელი ქალაქი მოიარა. ახლა ყველაფერს აკვირდებოდა, ყველაფერს ამჩნევდა. შენიშნა, სად შეჩერდნენ ტანკები, სად ტვირთავდნენ მანქანებს, სად იბანაკებოდნენ ჯარისკაცები, სად იდგა შტაბი, სადაც გუშაგები არავის უშეებდნენ, სად დააყენეს ავტომობილზე მიბმული ზარბაზნები. ყველაფერს იხსოვებდა, მაგრამ გარეგნობით ეხლა უფრო ჰგავდა გიჟს, ვიდრე დილას, როცა თავისი გაწამებული მოგზაურობა დაიწყო.

მრავალჯერ სცემეს ჯარისკაცებმა. დანცინოდნენ, სახეში აფურთხებდნენ, თმას უვლავდნენ, მაგრამ ის მღუწარედ შეჰყურებდა მათ და ნხოლოდ ქაღალდს გაუწოდებდა ხოლმე. თვალები სისხლით ამოევსო, გული სადღაც ყელში უტემადა, მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ მაინც მიდიოდა, მაინც მიბრუნებდა ქუჩაში. მთერალმა ჯარისკაცებმა სახლში შეათრიეს და ძმარი მისცეს დასალევად. მან ნახევარი ჰიკა შესვა და ტურნები მოიწმინდა. ჯარისკაცებს მიაწონათ თავიანთი გამოგონება, მუხლებზე ხელებს იბარტყუნებდნენ და ხარხარებდნენ. შემდეგ ეზოში გაიყვანეს და ჰიდან ამოღებული ცივი წყალი გადაასხეს. უკვე ჩამობნელებული იყო, როცა აიძულეს ჯოხზე გადამხტარიყო. ერთი ჯარისკაცი უკან იდგა და ზურგს ხიშტით უჩხვლებდა, როცა მოხუცი იგვიანებდა.

ბტოდა ენა-გამოგდებული. ჯარისკაცებს მოსწონდათ მისი სიგაფე და დიდხანს არ გაუშვეს. მხოლოდ მაშინ, როცა ჯარისკაცების ახალმა ჯგუფმა ორი ქალიშვილი მოათარა, რომელნიც ვულშემზარავად გაჰკიდნენ, მოხუცი გაუშვეს და იგი ბარბაციოთ წაეიდა.

მთელ ტანში სტეხავდა. ხელები და ფეხები სტკიოდა. თავი ზმარისაგან უსკდებოდა. ყელს ცხარე ძმარი უწვავდა.

უკანასკნელად მივიდა ნაცნობ სახლის ნანგრევებთან და დაიჩოქა. იდგა თავდახრილი და მღუშარე, თითქოს საულავის წინაშეაო. მაგრამ ახლა ის სულ სხვა ადამიანი იყო. დილანდელი ავადმყოფი, სუსტი, სასოწარკვეთი-საგან აზრდაბნეული არსება უკვე გამქრალიყო, — ნახშირის ხროვასთან იდგა კაცა, რომელსაც აღარ აშინებდა აღარავითარი ტყვილი, აღარავითარი წაშება, აღარავითარი დაცინვა. წამოდგა, ერთხელ კიდევ დახარა თავი დაბლა და ასე თავდახრილი განშორდა ნანგრევებს.

... შტაბში გვიან მივიდა ღამით. შურისძიებას მოწყურებულმა, „მფრინავ დამურას“ სინათლესთან სთქვა:

— მე ყველაფერს ვიტყვი, ვიტყვი, სად რა აქვთ. ყველანი დახოცეთ, გთხოვთ, ყველანი ამოყლიტოთ. ხომ უნდა მიუზღათ სამაგიერო?

— დაბრძანდით, — უთხრეს მას, — თქვენი ცნობები ძალიან სასარგებლოა. გმადლობთ. მაგრამ ცაბცახებთ, ციება გაქვთ, ავად ხართ?

— არა, — სთქვა მან, — ავად არა ვარ. მე ისინა მეზიზღებიან. რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღებიან ისინი!

გიორგი კახაბიძე

სამშობლოს ნათელი

დამსხდარან ერთად აყვავებულ ქალაქის ბაღში
ომგაღახდნილი ტაბუკი და ჭალარა დედა.
იწვევს ყვავილებს სათამაშოდ ფოთლების ტაში,
დღე არის კარგი, მაგრამ ვაჟი ვერაფერს ხედავს.

ბრწყინავენ ნამის წვეთებივით თვალები შუშის,
ლავეარდის შუქი მაინც დამედ მათ ირგვლივ ცურავს,
და რომ გარემოს სილამაზე ვაგს ენთოს გულში,
დედას სიტყვებით ახატვინებს გარემოს სურათს.

ასე განიცდის ის ყელმალალ ყვავილთა ღიმილს,
ტოტიდან ტოტზე მოხდენილად ჩიტების ფრენას,
ბაღის სიცოცხლე როგორ ლაღად სუნთქავს და დვივის
და როგორ ესმით აკაციებს ჭანდრების ენა.

გრძნობამორეულს სურს მივიდეს ხეებთან ახლო,
ახედოს ტოტებს, როგორც ბევრჯერ იცოდა წინათ,
არ შეეძლია აღრინდულად მიდამო ნახოს,
გონების თვალით მაინც მისთვის ქვეყანა ბრწყინავს.

საწუთროს ხილვა არც ექნება აროდეს მკრთალი,
სიკვდილთან ხალხის სიცოცხლისთვის მრავალჯერ მდგარა,
დაჰკარგა ომის ქარიშხალში სინათლე თვალის,
რომ მას სამშობლო თვალნათელი პულოდა მარად.

იმ საყვარელ ნიგნზე მეჭი

ვერ მოასწრო მან ამ წიგნის გადაკითხვა,
მამულისთვის გაეშურა ფრონტზე უცებ,
როს ვეტოვებდა — კვლავ გნახავთო, დინჯად გვითხრა,
კვლავ გაეშლიო მე ამ წიგნის გმირულ ფურცლებს.

წავიდა და ცის და მიწის გრგვინვა ნახა,
 ნახა, ურჩხულს ყუმბარები როგორ გლუჯდნენ.
 ტყე გაკაფა, მდინარენი გადალაზა
 და პირისპირ გულბნელ სიკვდილს შეხვდა ბევრჯერ.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

კვლავ იქ არის... ქლუტს და მისდევს მტრებს კვალდაკვალ,
 ვერ ძლევს ტყვია, ვერც ბნელეთის გველის გესლი.
 ხმალს ალესილს გასაპობად მხეცს რომ დაჰკრავს,
 იმ პირბასრი ხმლის წკრიალა ჩვენ აქ გვესმის.

ვერ მოასწრო მან ამ წიგნის გადაკითხვა,
 წინაპართა გმირობის და გზების წიგნის,
 მაგრამ ვაყი ვალმოხდილი, როგორც გვითხრა,
 დაბრუნდება და ამ გზებზე კვლავ გაივლის.

წიგნს დახედავს, ვით წარსულის სარკის ბრწყინვას,
 გაუღიმიებს შიგ წამოშლილ ტანბრგე გმირებს,
 მაგრამ ახლა მათი საქმე, მათი გრგვინვა
 აღრინდულად ქაბუკს ველარ გააკვირვებს.

მზეს აოცებს ვაეის ბრძოლა, სულის გზნება,
 ზეკაცური გამარჯვება მოაქვს მკერდით
 და მის წლებზე სულ სხვა წიგნი შეიქმნება,
 რომ დატოვა, იმ საყვარელ წიგნზე მტო.

როდინს შორანი

შ ა ვ ი დ ა ქ ა

(ისტორიული ნარკვევი)

რუსი მგელი

პუშკინის ბაღის პირდაპირ, კეცხოველსა და პუშკინის ქუჩების კუთხეში დიდი ოთხსართულიანი შენობა დგას. ამ შენობის შესასვლელთან მემორიალური დაფაა გაკრული. დაფაზე სწერია:

დიდი სტალინი

საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბ) და მსოფლიო პროლეტარიატის
ბელადი

ცხოვრობდა და სწავლობდა აქ, ყოფილ სასულიერო სემინარიაში, 1894 წლის
1 სექტემბრიდან 1899 წლის 29 მაისამდე და ხელმძღვანელობდა ქ. ტფილისის
მეშაოა არალეკალურ წრეებს.

ეს წარწერა რომ არ ყოფილიყო, აივნიან საქართველოს შეჩვეული ადამიანი ყურადღებას არც კი მიაქცევდა ისე ჩაუვლიდა გვერდით ამ ძველ შენობას, რომლის მხოლოდ წინა კედელი თავისი ექვსი სვეტითა და მოკლე აივნით ოდნავ ანელებს შენობის შიშვე შთაბეჭდილებას. მაგრამ ეს მხოლოდ ახლა, დღევანდელი ადამიანისათვის. მაშინ კი, იმ შორეულ დროს, ეს შენობა ყურადღებას იპყრობდა თავისი გარეგნობითაც და თავისი საქმიანობითაც. შენობა ჰგავდა ყაზარმის. იგი ააშენეს ალექსანდრე პირველის დროს, როცა მოკლე რუსეთი ყაზარმად იყო გადაქცეული, და ხეროთმომღერებაც ყაზარმის სტილს მისდევდა. აქ იყო თბილისის სასულიერო სემინარია, ერთ-ერთი ძლიერი ბურჯთაგანი მეფის ტახტისა.

თბილისის ურძელ-აივნიან, ფართო-ფანჯრიან და ცხვრის ფარსავით მიყრილ-მოყრილ შენობებში სემინარია რუსი მგელივით იდგა და ლამაზ არემარეს პირქვეშად გააყურებდა.

არემ-მარე მართლაც მომზიბლაგი იყო. მარჯვნივ მთაწმინდა, საიდნაც კოჯრის ნიაგი ქალაქს შუბლს უგრილებდა. მარცხნივ შუღამ მოძრავე, ხალხით სავსე პუშკინის ქუჩა. პირდაპირ რკინა-ბეტონით ნაგები ქარვასლა, მაღალი, გამკვირვალე, მინის-საბურავიანი, თითქოს ათასერთი ღამის ზღაპრიდან ამოსული.

პირდაპირვე, ცოტა მარცხნივ, ნარიყალა, ციხე-ბურჯი ძველი თბილისისა. ათას ხუთასი წელი იცავდა ეს ლომი საქართველოს დედაქალაქს მტრე-

ბისაგან. ყველას გაუძლო ღომმა, ვერ გაუძლო მხოლოდ მეწის სატრიაშს, გენერალ ერმოლოვს. თუმცა, გაუძლო ამასაც... გენერალმა ბრძანა აცხეთქებინათ ნარაყალა. მაგრამ ვერ მოერიო. მხოლოდ კედლების წინაშე დანებდა. დარჩა საბრძოლო კოშკები და ქონგურები. და ძველი ციხე ბებერი ღომივით დაჰყურებს თბილისს.

სემინარიის ფანჯრებიდან მოსჩანს თბილისის რკინისგზა, სადგური, მთავარ სახელოსნოების მაღალი მიწები. ერთი ხანია, რაც იქ ახალი ცხოვრების დღილი დაიწყო. იქ მუშათა კლასი, ნელ-ნელა ემზადება თავისი ისტორიული მისიის შესასრულებლად. მოვა დრო და „მომავლის ადამიანი“ ჩაიბარებს ქვეყანას, შექმნის ახალ ცხოვრებას.

მაგრამ როდის იქნება ეს? ჯერ მხოლოდ 1894 წელია. ჯერ მხოლოდ ჩანთა ჰქონია მხარზე იმას, ვინც უნდა ჩაუდგეს სათავეში ახალ ცხოვრებას. ჯერ მხოლოდ თოთხმეტი წლისაა ის, აი ის პატარა ყმაწვილი, ცოცხალი, ოდნავ დამცინავი ჰკვიან-თვალუბიანი ყმაწვილი, სულ-განაბული რომ გაჩერდა სემინარიის კბენთან და მიმოიხედა.

ეს არის მომავალი სტალინი.

არ იცის სემინარიამ, რომ მის კარებთან დგას ის, ვინც დალევს ამ ბურჯის კარებსაც და მეფის ტახტსაც. არც ამ ქალამან-გაცვეთილმა დიდებულმა გლეხმა იცის, რომ მას დაკვირვებით უყურებს ის, ვინც უკვე იცის, თუ რატომაა გლეხი უმედური. არც იმ მიღუბიან ქარხნებში მომუშავე „მომავლის ადამიანებმა“ იციან, რომ დღეს, სწორედ 30 აგვისტოს, მათ რიგებში გაიარა პატარა გორელმა ყმაწვილმა, მომავალმა ბელადმა.

ყმაწვილი გაკვირვებულ იყო ზილი ქალაქის ხმაურით, უამრავი ხალხით, შენობებით, ეტლებით, სამხედროებით, ეკრებით, ჩინოვნიკებით. ის ყველას გზას აძლევდა, ყველას გაოცებით შეჰყურებდა. ან ყმაწვილმა რა იცოდა, ან იმ ხალხმა რა იცოდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ის ყმაწვილი შემოვიდოდა ამ ქალაქში დიდებით, როგორც ბელადი და მამა ქვეყნისა?

ჯერ-ჯერობით მან ის იცოდა, რომ სემინარიამო ბერებიც ასწავლიან, ხოლო ბერებს ყველაფერში როდი უნდა დაუჯერო. მან იცოდა, რომ გარდა სამღვთო სჯულისა, არის დარეინის „სახეთა წარმოშობაც“, სადაც ყირაძულა დაყენებული ბერების აზღაუბდა. მან შარშან წაიკითხა ეს საოცარი წიგნი და მაშინვე დაუჯერა მას. დაუჯერა იმიტომ, რომ წიგნი ახალსა და მართალს ეუბნებოდა.

ახლა სემინარიის კარებთან მას გაახსენდა, თუ როგორ წაიყვანა თავისი ამხანაგები გორის ციხეში, როგორ დაატდნენ ციხის ჩამონგრულ კედლებზე და დაიწყეს მსჯელობა განყენებულ თემებზე. სოსოს და მის ამხანაგს, გიგო გლურჯიძეს, ძალიან უყვარდათ მსჯელობა ასეთ თემებზე. გიგომ დაიწყო მსჯელობა ღმერთზე, მაგრამ სოსომ შეაჩერა და უთხრა:

— იცი, ჩვენ გვატყუებენ, ღმერთი არ არის.

— რა? ამბობ, სოსო!

— მე მოგცემ წიგნს, სადაც სწერია, რომ ქვეყანა და ცხოვრება სულ სხვანაირადაა წარმოშობილი, რომ რასაც ღმერთზე გვეუბნებიან, სულ ლაყბობაა და მეტი არაფერი. ადამიანის მოღვაძე ადამ და ევას იქით მიდის...

— რას ამბობ? რა წიგნია ის წიგნი?

— დარეინი... უპველად წაიკითხე. მოგცემ...

გარემოსადმი კრიტიკული მიდგომისათვის ესეც საკმარისი იყო.

ჯერ კიდევ გორის სასწავლებელში სოსოს ერთი საოცარი თვისება აღმოაჩნდა: უღრო იმ წაგნებს უჯერებდა, რომლებსაც სკოლაში არასწავლობდნენ. და ახლაც, სემინარიაში რომ შედიოდა, იცოდა, რომ ღმერთს იმეორებდა. ეს იყო ადგილი ეპირა. მაგრამ სოსომ ისიც იცოდა, რომ აქ სხვა საგნებსაც ასწავლიდნენ, რომ თბილისში მრავალ წიგნს იშოვის კაცი და ბევრს ისწავლის. სწავლის წყურვილი კი დიდი ჰქონდა ბავშვს. ამიტომ სწავლობდა ის თაყვამოდებით გორის სასწავლებელში. ამიტომ დაამთავრა მან სასწავლებელი პირველი ხარისხით და ქების სიგელიც მიიღო. ასე ბრწყინვალედ რომ არ დაემთავრებინა გორის სასწავლებელი, ვინ მიიღებდა თბილისის სემინარიაში? ის ზომ წარმოშობით უბრალო მშენის შვილა იყო და არა სასულიერო წოდებისა?

შინც, სოსოს აზრით, ყველაზე მძიმე ამბავს უკან დარჩა. მთავარი—სემინარიაში მოხვედრა — მიღწეული იყო. ახლა საქირო იყო სწავლა, სწავლა, სწავლა...

და მორიდებული ნაბიჯით აპყვა კბებს.

რევოლუციის აჩრდილი

თბილისის სასულიერო სემინარიაში უმთავრესად სასულიერო წოდების შვილებს ღებლობდნენ. საქართველოს ყოველი კუთხიდან იყვნენ აქ მოწაფეები. ქართველი, რუსი, ოსი, ყველა სწავლობდა აქ, ან უკეთ რომ ვთქვათ, ყველას ასწავლიდნენ არსებული წესწყობილების ერთგულებასა და მორჩილებას, ლეთის შიშსა და რწმენას, ფარისევლობასა და თვალთმაქცობას: ამ სემინარიაში ბავშვები შედიოდნენ ალაღმართალნი, გულწრფელნი, სწავლას მოწყურებულნი, სემინარიიდან კი ბშირად გამოდიოდნენ სულით დამახინჯებულნი, ფარისევლები, მეცნიერების მოძულენი. სემინარია ბერების ხელში იყო. ბერები იყვნენ სულით აფთარნი, გლით გორთზნი, ლეთისა და მეფის სახელით გონების დამჩლუნგებულნი. ურყევად მიიზნდათ ღმერთი, მეფე, მდიდართა ფუფუნება და ღარიბთა ტანჯვა.

სემინარიის რეჟიმიც დიდხანს იყო ურყევი, დიდხანს უხამაედა ამ კედლებში ნაქადაგევი ბნელი აზრი ხალხს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სემინარიის ბნელ ცხოვრებაშიც ხანდახან მეტეორებით გაიფლავებდა ნათელი სხივი გაბედული აზრისა. არა ერთი და ორი ბრწყინვალე მოღვაწე მიუცია სემინარიას ქართველი ხალხისათვის.

რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების თანდათანმა განვითარებამ სემინარიის შავი მყუდროებაც შეარყია. ეს იყო ოთხმოცდაათიან წლებში. განმათავისუფლებელი მოძრაობის ნათელი იდეები სემინარიაშიც შეიქრნენ. სემინარიელები ჩაუფიქრდნენ იმას, რაც ხდებოდა სემინარიის გარეთ. დაეწაფნენ ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს, პისარევს ქართველ ხალხოსნებს და, ბოლოს, 1893 წელს, აშკარა არეულობა მოახდინეს.

იი ის მოთხოვნა, სემინარიელებმა რომ მთავრობას წარუდგინეს

„მის უოვლად-უხამდებლობას საქართველოს ეგზარხოსს,

ყოველი სასწავლებლის დანიშნულება ის არის, რომ აღზარდოს საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის ფიზიკურად ჯანმრთელი, ზნეობრივად ფაქიზი და გონებით განვითარებული. „მნათობი“, № 4—5.

ბული იდამიანი, ამასათვის საჭიროა: პირველად, სწავლა-იღვრის ისეთი სისტემა, რომელიც დამყარებულია ქრისტიანულ სიყვარულზე და იდამიანურ მოპყრობაზე. ჰერცოგ ამ სისტემის გამტარებელნი უნდა იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც სწამთ, რომ სწავლა-იღვრის თვითი სასწავლებლის ზელმძღვანელი არ ანზორცილებდნენ ცხოვრებაში ამ სისტემის დანერგვას, მაშინ სისტემა უბრალო სიტყვად დარჩება, ე. ი. თვით ზელმძღვანელი უნდა იყვნენ შეიარაღებულნი ქრისტიანული სიყვარულით და ჰუმანიზმით, ამას მოითხოვს ქრისტიანობა, ამას მოითხოვს პედაგოგია.

ასეა, მაგრამ ჩვენი სემინარიის მთავრობა თავის პრაქტიკიანული და არაპოზიტიური მიტყუებით და მოპყრობით ჩვენ მხოლოდ სიძულელს გვიღიძობს.

თავდაპირველად, რექტორის, ანსექტორის და მათთან ერთად მასწავლებელ ნ. ი. ბულგაკოვის მოქმედება სკოლაზე ყოველივე საზღვარს და მიყვებით ზნეობრივ დამონებას. და რაც ჩვენითვის ყოველად ატანელია.

თი ზოგიერთი ფაქტები რექტორის, მასწავლებელ ნ. ი. ბულგაკოვის და ზედამხედველების მოპყრობიდან:

ა) რექტორი, როგორც სემინარიის უფროსი, ყველა მასწავლებლისათვის მავალით უნდა წარმოადგენდეს, უნდა უჩვენებდეს მას იდამიანურ მოპყრობას და ზნეობრივ დამოკიდებულებას. პირიქით, რექტორი გვაძვირებს ჩვენ და ჩვენს თხოვნაზე გინებთა და ლინჯვით გვიპასუხებს ხოლმე, როდესაც ჩვენ მივმართეთ მას ბულგაკოვის შესახებ, მან მთელ კლასს ასე უპასუხა: თქვენ ყველას სპილენძის შუბლი და ჩაინის კეფა გაქვითო, ეს მოტარე რექტორი გედიანძღავს უშვიერა სიტყვებით და გვემუქრება ციმშირში გადასახლებით და სემინარიის დაექვეთ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რექტორს ჩვენ ვეჯავრებით, როგორც ჭარბველები. ამას დამამტკიცებელია, სხვათა შორის, ისიც, რომ მან მოსპო სემინარიის ქართული გალობა, რომელიც მას არ სიამოვნებს, როგორც ვი-ამ მიუღებელი და არა შესაყადური.

ბ) ზედამხედველი ე. ვ. ივანოვი და უ. თ. პოკროვისკი ყოველ დღე გვიგინებენ, გვიწოდებენ მხეცებს, სულაღებს და სხვა უშვიერი სიტყვებით გვიპასპინძლებიან. იგივე ზედამხედველები, მაშინაც კი, როდესაც, იტყობებელი საქორების გამო, ეკლესიიდან გარტო გვიშეებენ, კონფლიტში გეწერენ და ამ გატეზობის გამო ყოფაქცევაში ცუდ ნიშნებს გვისაყენ.

გაყვეთილების დროს იმნი ჩემ-ჩემოდ იყურებიან სასწავლო ოთახში, რომ შეინიშნონ ჩვენს სახეზე რაიმე მართების მიღებელი გამომტყველება და ამით ისარგებლონ ჩვენს წინააღმდეგ, ვითომ მასწავლებელი და მისი ავტორიტეტი საკმარისი არ იყოს ჩვენითვის. მაშინ, როდესაც მასწავლებელი, იტყობებელი საქორებისათა გამო, გვიშეებს გარტო, ზედამხედველები ამას დანაშაულად გვითვლიან. მაშინ, როდესაც სემინარიის მთავრობა ნებას გვაძლევს წავეიდო სოფელში, ზედამხედველები ამას ნაკლად გვითვლიან და ყოფაქცევაში იმწინა გვიტყობენ.

ზედამხედველ პოკროვისკის არა ერთხელ უთქვამს ჩვენითვის „ჩვენ ვიბრძობთ თქვენს წინააღმდეგ და ვნახოთ, ვინ აჯობებს“. ერთხელ ამავე ზედამხედველმა გვითხრა: „გეზარბოსს უნდა დაკეტოს სემინარია და მოგსპოთ თქვენა“. ზშირად, როდესაც წირვა-ლოცვის დროს პირველის ეიწერო, იმისაც კი გვეუბნება, შინაგანი სულიერი გამწყობილებით არ დახვედ პირველსა.

ვ) მასწავლებელმა ბულგაკოვმა თავისი შეუწყნარებელი საქციელით ზედამხედველსაც კი ვადაჯობა. მაშინ, როდესაც ეკლესიაში ჩვენს ყოფაქცევას თვალყურს ადევნებდნ ზედამხედველები, ის უფას ეკლესიაში, როგორც ერთი მლოცველიაგინი, და იმავე დროს გედიანძღავს, რომ ჩვენ ღვთის მოსავობით არ ვლოცულობთ, ეს კაცი ისეთი დახვედებული ხასიათისაა და ისეთი პედანტია, რომ ძნელია სხვა ისეთი პიროვნების პოვნა.

ბულგაკოვი არას გზით არ გაგვეკუს გაყვეთილის ახსნის შემდეგ პასუხს ბრტ ერთ შეკითხვაზე და არ აკვირსნის იმ უცნობ სიტყვებსაც კი, რომელსაც თვითონ ზმარობს გაყვეთილის ახსნის დროს, ზშირად მოსწავლე ავადმყოფობის გამო გაყვეთილს არ ესწრება ან განთავსდებულაა გაყვეთილისაგან საპატრიო მიზგზით. ბულგაკოვი კი აღნიშნავს ფერხად „არ არის“ და იმავე დროს დაუსვამს ნიშანს „1“. ზშირად ამათს, ვისაც მინდა გუდაფიყვნ, ვისაც მინდა დაეტოვებ, მე არც სემინარიის გამგეობას ეცნობ, არც რექტორს და არც ეგზარხოსს, მე პირდაპირ მთავარმართებელთან წაველ და მოვასხენებო.



დ) შესაშე თევა, რაც ავტორიძალეს ყოველგვარი საერო რუსული და ქართული წიგნების კიბეზე. ეს წინადა არ ყოფილა, ჩვენ ნებადართული წიგნების კიბეების სტრუქტურა და, რაც ავტორიძალეს მომავალ მოღვაწეობისათვის.

უწმინდესმა სინოდმა ნება დართო, რომ ესწავლებინათ სემინარიაში ქართული ენა და ქართული ლიტერატურა, ყოფილიყო შემოღებული როგორც სლავური, ისე ქართული გალობა, მაგრამ ჩვენს სემინარიაში არ არსებობს არც ერთი, არც მეორე.

აღა ქართული ენა ისწავლება სემინარიაში რუსული ენის საშუალებით, რაც ანტი-მედიოვოგურია და არაერთგვარა საარკველობა, გარდა ვნებისა, არ მოაქვს.

ე) არგვილიარი საშუალება არ არის ეკლესიის დატოვებისა წირვა-ლოცვის დროს ავტორიძალეს ბუნებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რადგან თუ გამოვი, ცუდ თვიურ ნიშანს მიიღებ ყოფიქცევაში. ეს კა მოწაფეთა შორის ბევრ სხვადასხვაგვარ ავადმყოფობას იწვევს.

ვ) მოსწავლეთა შორის სემინარიის მთავრობას ჰყავს ჯგუშუები, რათაც იგი ზნეობრივად ათხსიორებს ახალგაზრდებს და იწვევს მათში შტრობას და შურს.

სემინარიის მთავრობის პადავენ მისამსახურებები, ფერშლები, შვეიცრები და სხვები, და ისინიც ისე უზრდელად ვერტრობიან და ისეთი უშვერი სიტყვებით გვაგინებენ, როგორც უფროსები. მაგ. გვიწოდებენ ლარებს, რადგან თვით მოსწავლეები ბულგაკოვი ზნობად ხმარობს ამ სიტყვას, და არა თუ ამ სიტყვას, ის იფინება ისეთი სიტყვებით, რომელთა დაწერა შეუძლებელია. ასეთი გინება შეიძლება გაიგონოთ სალდათის ბაზარში და ტფილისის მივარდნილ ადგილებში, მხოლოდ ტფილისელ კინტობისაგან.

გნა ყველაფერი ეს მოსათმენია? ეს შეუძლიან იტანოს მხოლოდ სემინარიელმა, რომელი რაღაც სხეუგვარი ამტანი და მოთმენი არსება.

ჩვენც დიდი ხანია ვითმენთ, ვითმენთ არა საათობით და დღეობით, ვითმენთ თეკობით და წლობით.

ნუ თუ იმისათვის არსებობს ეს სასულიერო სასწავლებელი, რომ დაამცროს ადამიანი, და არა იმისათვის, რომ მოამზადონ საზოგადოებისათვის მოღვაწე პირები? არა, მეტის ატანა ჩვენ არ შეგვიძლიან!

ამიტომ ჩვენ, სემინარიის ყველა მოსწავლე, მოვითხოვთ შემდეგ:

1) მამა რექტორმა თავი დაანებოს ჩვენს შეურაცყოფას და დამცირებას, მოისმინოს ზოლმე ჩვენი ვანცხადებები ისე, რომ არ გაველანძლოს, იღვწილი იქნას ქართული ენისა და გალობის სწავლება. მოგვეცეს უფლება ვეკითხოთ საერო მწერლების თხზულებები, როგორცაა დოსტოვესკი, ტურგენევი და სხვები. მიიღოს რექტორმა ზომები, რომ ჩვენ შეურაცყოფას არ გვაყენებდნენ მოსწავლეებზე და ზუღამხედელები.

2) დათხოვნილი იქნას მოსწავლეებელი ბულგაკოვი და ზემოთ დასახელებული ორი ზედა-მედიოვოვი, ენაიფან შეუძლებელია მათი გამოსწორება.

3) არ იქნას მისამობელი ქართული გალობა, რომელიც არაერთი არ ჩამოღვარდება სლავურს, ქართული ენა ისწავლებოდეს არა რუსულს საშუალებით არამედ როგორც სხვანი — ქართული ენა.

4) დაარსდეს სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის კითხვრა, რადგან თუ ჩვენ არ გვეცოდინება ქართული ენა და ქართული ლიტერატურა, ჩვენ საზოგადოების წინაშე მოვალეობას ვერ შევასრულებთ.

5) წირვა-ლოცვის დროს უფლება გვაქონდეს გამოვიდეთ ეკლესიიდან ავტორიძალეს ბუნებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

6) მოისოს სემინარიაში ჯგუშუშობის სისტემა. ჯგუშუშობა ეწინააღმდეგება ქრისტიანულ გრძნობას და ზნეობრივად ათხსიორებს ადამიანს.

სემინარიის მოწაფეთაგან. 1893 წ. 1 დეკემბერი.

მთავრობა დაფატურია. სემინარიელთა ბუნებრივ და ადამიანურ მოთხოვნებში მას რვეოლუციის აჩრდილი მოვლანდა და სათანადო სომები მიიღო. 87 მოწაფე დაითხოვა, 23 თბილისიდან ვალაახალა (მათ შორის ლადო კეტხოველიც, შემდეგში დიდი სტალინის მახლობელი თანამებრძოლი და მეგობარი). ერთ ხაწს სრულიად მიჰკეტეს სემინარია. ბოლოს, როცა აღელვება მიწყწარდა, მთავრობამ ყველა გახანა სემინარია. მაგრამ სემინარია

ახლა დახურულ სასწავლებლად გამოაცხადა. „ბურსა“—ისე შეარქვეს მას მოსწავლეებმა. მთაერობას უნდოდა მოწაფეები ჩინური კრისტობერ მარტინ-ყვიტა საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავისი მუდმივი ზედმეტწილად მკვებუ ჰყოლოდა.

სწორედ ამ წელს, ამ „ბურსის“ გახსნიას, მიიღეს სემინარიაში 14 წლის სოსო ჯუღაშვილი.

მთაერობამ ციხის კარი გაუღო იმას, ვისაც უნდა დაეგზავნა ის ციხეც და ის მთაერობაც.

სემინარიის ისტორიაში ახალი ხანა იწყებოდა.

ლოცვა და სიმღერა

ახალგაზრდა სტალინმა პირველ დღეებშივე შემოიკრიბა თავის გარშემო ამხანაგების ჯგუფი. ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან ბევრი მათგანი მისი ძველი ამხანაგი იყო, გორის სასულიერო სასწავლებლიდან. სტალინის ჯგუფში შედიოდნენ მიშა დაეითაშვილი, პეტა კაპანაზე, გოგი გლურჯიძე, გეცა პარკაძე, არჩილ დოლიძე, ვანო კეცხოველი, სიმონ ნატროშვილი. ამ ჯგუფმა ბეჯითად მოჰკიდა ხელი მეცადინეობას. მაგრამ ჯგუფმა პირველი თვეების განმავლობაშივე იგრძნო, რომ სემინარიის მეცნიერებისათვის არა სცხვლა, რომ სემინარია უფრო მონასტერია, ვიდრე მეცნიერების ტაძარი.

სემინარიის დღე დილის 7 საათზე იწყებოდა. მოწაფეები წამოხტებოდნენ და პირის საბანად მივრბოდნენ. პირის დაბანას თვალყურს აღევნებდა ზედმხედველი. პირის დაბანის შემდეგ მოწაფეებს გაამწკრივებდნენ და ჩიხის სასმელად მიჰყავდათ. მორიგ მოწაფეს ლოცვა უნდა წაეკითხა. ლოცვას ჰკითხულობდნენ გულდასმით, ცერემონიით, აჩქარებისათვის მოწაფე ისჯებოდა. ჩიხის შემდეგ ისევ ლოცვას კითხულობდნენ.

დასვენების შემდეგ გაკვეთილი იწყებოდა. გაკვეთილს წინ უძღოდა ლოცვა. კლასის მორიგე იწყებდა სასოებით, დინჯით. გავიანურებით, რომ რაც შეიძლებოდა მეტად დრო მონდობებოდა ლოცვა და რაც შეიძლებოდა ნაკლები გაკვეთილს:

„მეუფეო ზეცათაო... ნუგეშინია მცემელო... სულს ქვეშაირიტებისაო...“

მოწაფეები შეჰყურებდნენ კუთხეში დაკიდებულ ხატს, იწერდნენ პირჯვარს. გულში-კი ზოგი რას ფიქრობდა, და ზოგი რას. უმრავლესობას არა სწამდა არც ხატი, არც ღმერთი, არც ლოცვა. მაგრამ ყველას სწამდა ის, რომ უამისოდ სემინარიაში არაფერ გააჩერებდა.

გაკვეთილების შემდეგ ლოცვა იყო საჭირო. ამ ლოცვას სხაპანხებით წარმოსთქვამდნენ, რომ ჩქარა გასულიყვენ კლასიდან.

„ღირს არს ქვეშაირიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღმერთს მშობელო“.

გაკვეთილები 2 საათზე თავდებოდა. ორიდან 3 საათამდე მოწაფეები ისვენებდნენ. სამ საათზე სადილობდნენ. სადილის წინ ისევ ლოცვა:

„მამო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! წმინდა იყავ სახელი შენი!“.

სადილის შემდეგაც ლოცვა:

„გმადლობ შენ მეუფეო, რათა განმამადე მე...“

ხუთ საათამდე მოწაფეები ისვენებდნენ. მათ აძლევდნენ უფლებას გასულიყვნენ პუშკინის ბაღში, ოღონდ სრულ 5 საათზე შემოწმებულ შემთხვევაში გამოცხადებულიყვნენ. შემოწმების შემდეგ სემინარიის კარი იკეტებოდა და მოწაფეები გაკვეთილებს ამზადებდნენ.

რვა საათზე: ლოცვა — ჩაი — ლოცვა.

ათ საათამდე — გაკვეთილების მომზადება.

ათ საათზე — ლოცვა — ეახშამი — ლოცვა.

ძილის წინ — საერთო ლოცვა.

ეს ჩვეულებრივი სადაგი დღის პროგრამა იყო.

ხოლო კვარა-უქმე დღეებში ხუთი საათის განმავლობაში დაუსრულებელი წირვა-ლოცვა იყო. არ შეიძლება არც ეკლესიიდან გასვლა, არც კედელზე მიყრდნობა. გაშეშებული უნდა მდგარიყო მოწაფე საათების განმავლობაში და ელოცა, ელოცა...

მოწაფეებს სძულდათ ეს დაუსრულებელი, მომბეზრებელი, მომღვლებელი ლოცვა, მაგრამ გარეგნულის გულმოდგინებით და მოჩვენებითი მოწიწებით ასრულებდნენ მას.

ამინაირად, შეგნებული ცხოვრების გარიყრაყზე, მოწაფეები ძალაუნებურად ეჩვეოდნენ თვალთმაქცობას, ფარისევლობას. სემინარიის მთელი წყობა ყალბი იყო და მოწაფეები სიყალბეს სიყალბითვე უბასუხებდნენ.

ახალგაზრდული გული კი თავისას მოითხოვდა. დაუსრულებელი წირვა-ლოცვით გულგაწყობებული მოწაფეები მიაღებოდნენ ფანჯრებს და გაჟურებდნენ ქალაქს.

თბილისის ცხრათვალა მზე მზიარულად, გულუხვად დაჰქათათებდა ქალაქს. რამდენი მოძრაობა, რამდენი სიცოცხლე იყო ქალაქის ქუჩებში!

აი შუკრიე-შუკრივად მოდიან საბღერები და მოაქვთ ვაშლი, ატამი, ლედვი. აი ფართო თაბახები დაუდგამთ თავზე კინტოებს, ზედ დაუწყვიათ ქარვისდგარი ყურძენი, ატამი, მსხალი, ვაშლი. მარცხენა მხარეზე გადაუკიდნიათ სასწორი, მარჯვენაზე — წითელი ბაღდადი; შებლზე ხეათქი ჩამოსდით, მაგრამ შინც გულსავედ, ხალისიანად გასძახიან ქართულ ხილზე რუსულად შერქმეულ სახელებს:

— დუღი, აბლუკი აბლუკი, დუღი გრუში გულაბი! გულაბი, გრუში... დიდხანს გაჟურებენ მოწაფეები ქუჩას: ფეხაკრეფით, კატის ნაბაჯებით დადიან ბერები და უთვალთვალებენ მოწაფეებს: ხომ არას ამბობენ დეთისა და მეფის საწინააღმდეგოს? ხომ არ ჩურჩულებენ? ეგებ რამე ბოროტი განზრახვა აქვთ გულში და ერთმანეთს უზიარებენ?

მაგრამ განა ბერებში კი არ იციან, რომ ახლა, ამ წუთებში, სემინარიელთა ერთად-ერთი განზრახვა და სტრევილი მხოლოდ ის არის, რომ იყვნენ იქ, იმ ცოცხალ და ხალხით სავსე ქუჩაში ან თავიანთ სოფლებში, სადაც ესოდენ ბევრია ხილი და ხალისი, სადაც ახლა მუშაობაა გაჩაღებული და სიმღერა ეღერს.

აი ვილაცამ ჩამოჰკრა კიდევ ტოროლასავით.

ბერებმა ყური დასცქვიტეს. სოსო ჯულაშვილი ჩამდგარა თავის ჯავახში და შღერის:

„სიმინდსა თონსა დავწყურო,
ერთხმად დავძაბოთ მუშერი,
ნეტბ მაშინ დაგვეაწყედეს.
რომ გლეხი ვართ, უბედური!“

ღერეთანში სიჩუმე ჩამოეარდა, ყველა სიმღერის დამთავრებას უცდის. მოწოდებები ჯგუფ-ჯგუფად დამუგარან. ეს ჯგუფები იმის მიხედვით დაეწყენენ, თუ ვინ საღან არის, რომელი კუთხიდან. გურულები ცალკე, იმერლები ცალკე, და ასე სხვებიც: მეგრელები, ქართლები, კახელები... მხოლოდ ჯღანაშვილის ჯგუფი ჰგავს ერთგვარ ნაქრებ ჯგუფს. იქ ყველა კუთხას ბავშვია. იქ მოწოდებები ხმების მიხედვით დაწყობილან და შეხმატები-ლებულან.

დიდხანს გაგრძელდა სიმღერა. საღამოს კი შედამხედველი იაცკოვსკი, მეტსახელად „თოჭში“, სემინარიის ინსპექტორს შერ ღიმიტრი აბაშიძეს ასეთი მოხსენებით წარუდგა:

— მოწოდებები მღერიან სახალხო სიმღერებს: გლეხურ და გლეხურ ნამგალოს, ჰოპუნას, შავო მერცხალოს. არც ერთხელ არ უგალობნიათ სასულიერო სავალობელი. სიმღერის დამწყებთ ჯღანაშვილია, ხან დავითაშვილი...

ეშმაკების გამოდევნა

სემინარიის მმართველობა დარწმუნებული იყო, რომ რაც უფრო მაგრო მოუტერდა მარწყუს სემინარიელებს, მით უფრო იოლად შიადწყვედა შიზანს. ამიტომ მასწავლებლებს თავს გაუდიდათ და მოწოდებებს უსაზღვრო ტინიზმით ებყრობოდნენ. სულ მცირე ურჩობაც კი ეშმაკის საქმედ იყო გამოცხადებული.

ძნელი გამორჩევა ისეთი საგნისა, რომელიც არ გადაქცეულიყო მოწოდებას აბრეხად აგლებისა და დამცირების წყაროდ.

ძნელი იმინი დაჯერება, თუ როგორ საძაველ ფორმას ღებულა ბერების დამოკიდებულება სემინარიელებისადმი.

აი, მაგალითად, ბერძნული ენის მასწავლებელი ივან. მატყევეი გარტინსკი. გამოიჩინებდა შიზანს, დააყენებდა კათედრასთან, მიიღებდა ბრძნულ გამოხეტყვლებას და ჰკითხავდა:

— აბა, მითხარი, რას ფიქრობ შე ახლა?

კლასი გაირინდებოდა. ეშმაკმა თუ იცოდა გარტინსკის თავი და აგრეთვე ის, რაზე ფიქრობდა აგი!

გულწრფელი მოწოდებები სდუნდნენ. მლიქნელები და მელაკედები შემპარავად უბასუხებდნენ:

— თქვენ, ივან მატყევეი, ახლა იმაზე ფიქრობთ, რომ ღმერთი სიმპირიონია და ერთარსება.

— სულელო, შე მაგაზე ყოველთვის ფიქრობ!

— თქვენ, ივან მატყევეი, იმაზე ფიქრობთ, რომ შიში და მორჩილება იდამიანის სამკაულია.

— რეგვენო, შე მაგაზე ყოველთვის ფიქრობ!

— თქვენ, ივან მატყევეი, იმაზე ფიქრობთ, რომ ღმერთმა გააჩინა მეფე, მდიდრები და ღარიბები...



— ბრიყვო, მე მაგაზე ყოველთვის ვფიქრობ!

სოსოს ჯგუფში ერთმანეთს გადახედეს კმაყოფილებათ. მათ უნახავს მლიქვნელებმა სამი ებიტეტი მიიღეს მლიქვნელობისათვის: სულელი, რეგენი და ბრიყვი. სოსოს ჯგუფიდან არასოდეს არც ერთს — არც მიშას, არც პეტას, არც გუცას, არც გოგოს, არც არჩილს — არასოდეს პასუხი არ გაუცია ასეთ სულელურ კითხვაზე. ისინი გულის ტკივილით შეჰყურებდნენ ამხანაგებს და სწყევლიდნენ იმ კედლებს, სადაც შესაძლებელი იყო ასეთი სისულელე...

მათ იცოდნენ, რომ სემინარიაში კულტურული და გულხმიერი მასწავლებლებიც იყვნენ, რომ სემინარიას საქართველოსათვის არა ერთი და ორი ბრწყინვალე სახელი მიუცია. მაგრამ ტონს მაინც გარტინსკები იძლეოდნენ. ერთ მოწოდეს ინსპექტორმა, ბერმა აბაშიძემ ქართული ეურნალი „კვალი“ უბოვნა. ეს ეურნალი მთავრობის ნებართვით გამოდიოდა, სემინარიაში კი მისი კითხვა აკრძალული იყო. მოწოდე მეტრის-მეტად ცუდი და დაუდევარი იყო. აკრძალული ეურნალი ვერ შეენახნა და უბოვნეს. ბერმა აბაშიძემ რექტორს მოახსენა. რექტორმა არც აცხელა, არც აცივა და თავისი ურჩი მოწოდით პირდაპირ საშუალო საუკუნეებში ამოჰყო თავი: რექტორმა მოწოდე თავის კაბინეტში გამოიძახა. იქ შემოსილი მღვდელი დახედა, მამა ეკონომი. მოწოდემ თვალს არ დაუჯერა, როცა რექტორმა უბრძანა ეკონომსა:

— ამ ყმაწვილს ქაჯები და ეშმაკები შეუჩნდნენ, მამაო, ურჩობს და ქართულ ეურნალებს კითხულობს. გადაუხადეთ ბარაკისი და გამოდევნეთ ეშმაკები მუცლისაგან მისისა...

სანამ მოულოდნელობისაგან გაოგნებული მოწოდე გონს მოვიდოდა, მამა ეკონომი უკვე გარს უვლიდა, საცუებლურს უკმევდა და ლოცვას დადიებდა. დიდხანს აღტა რეტლასმული მოწოდე კაბინეტში და დიდხანს ესმოდა ეკონომის შეშხილი:

„და განიდევნონ მუცლისაგან ამისა ეშმაკი და ქაჯი და იყოს მონა ვსე ღვთისა პოლიეექტი მონიშარი, უტყვი და მორჩილი...“

ბარბაკით გამოვიდა „მონა ღვთისა“ პოლიეექტი რექტორის კაბინეტიდან. არ იცუდა: ცხადში იყო, თუ სიზმარი, კოშმარი იყო ეს, თუ ნამდვილი ეშმაკისა და ქაჯის გამოცხადება ამ ღვთის ტაძარში.

საოცარი მახსიარება

ღრო გადიოდა.

და რაც უფრო გადიოდა ღრო, მით უფრო ძნელი ხდებოდა სწავლას მოწყურებულ სასოსათვის ბერების სისულელესათვის ეგდო ყური. სოსოს უკვე წაკითხული ჰქონდა ფლამარიონი, ლაიელი, სენეკევი, ფეიერბახი. კითხულა ზღა ჩერნიშევსკის. სოსო უკვე ბუშკინის სახელობის საჯარო საბუკთხელოს ამონენტი იყო. რაც უფრო ფართოვდებოდა მათი გონებრავი პორიზონტი, მით უფრო სძულდებოდა მას სემინარიის სჯნები. სემინარიაში მან მხოლოდ ორი საგანი აინტერესებდა: სამოქალაქო ისტორია და ლოგია. ამ საგნებს მთელი გულის ყურით უსმენდა, გაკვეთილით არა კმაყოფილდებოდა და მონათესავე წიგნებსაც კითხულობდა. დანარჩენ საგნებში წიგნს არ აიღებდა, მაგრამ ცუდი ნიშანი მაინც არასოდეს არ მიუღია.

— კაცო, როგორ აბერებ ამას? — შეეკოთხნენ ერთხელ სოსოს.

— როცა მასწავლებელი გაკვეთილს გვიხსნის, ყურს ვუგდებ, — უბრალოდ მან.

ერთმა მოწაფემ, გოგობიამ, სცადა გამოეცადა თავის თავზე ^{ერყენსულში,} ბოზდა სოსო თუ არა. მან ჰომილეტიკის გაკვეთილს, რომელიც ყველა სავანზე მომამბეზრებელი იყო, კარგად დაუგდო ყური. შემდეგ გაკვეთილზე თამამად წამოღვა წინა გაკვეთილის ჩასახარებლად. წიგნი კი არ გაეშალა. გოგობიამ ცუდი ნიშანი მიიღო.

გოგობიას გაეხარა და სიცილით უთხრა ამხანაგებს:

— ბიჭებო, სოსო ტყუილში დავიჭირე. ის ამბობდა: სავანისია ყური დაუგდო და ვიცი გაკვეთილიო. მეც დაუგდე ყური ჰომილეტიკას და ორი არ მივიღე?

— შა-შა-შა! შე სულელო, მარტო ყურისგდება რას გიშველის, მეხსიერება საჭირო! — გაღიზიანებულა გუცამ. — მეხსიერებაც უნდა გქონდეს სოსოსებური.

— ვითომ და ისეთი მეხსიერება აქვს?

ამ დროს გამოჩნდა სოსო და გუცამ რაღაც ჩასჩურჩულა ყურში გოგობიას.

გტყობოდა, არ დაუგერა გოგობიამ. მაშინ გუცამ უთხრა:

— არა გჯერა? წამოდი ბუკინისტებთან და ნახავ.

ბუკინისტების რიგი იქვე ახლოს იყო, ალექსანდრეს ბაღთან. სულ ხუთი წუთის სავალი თუ იყო. დიდ დასვენებაზე სოსოს ჯგუფი ბუკინისტებსაკენ გაემართა.

ჯგუფი ჰიჭინაძის მალაზიაში შევიდა. გოგობიას მაინცდამაინც არც ისე აინტერესებდა ძველი წიგნები, მაგრამ ახლა სოსოს გამოსაცდელად ათი შაური გადასდო.

— რამე საინტერესო წიგნი ამირჩიე, — უთხრა გოგობიამ ჰიჭინაძეს. და დაიწყო არჩევა.

იმავე დროს სოსომ რომელიღაც წიგნი ამოიჩნია და კითხვას შეუდგა. გოგობიამ შენიშნა: ლიპერტი — „კულტურის ისტორია“.

ერთხანს არჩია გოგობიამ წიგნი, ერთხანს კითხულობდა სოსოც. ბოლოს გოგობიამ ხელი სტაცა ლიპერტს და თითი ჩასდო იქ, სადაც კითხვა შეაწყვეტიდა სოსოს. იყიდა ლიპერტი.

როგორც კი გამოვიდნენ მალაზიიდან, გოგობიამ შეაჩერა ამხანაგები და სთქვა:

— ახლავ გავიგებ სიმაართლეს.

გადაშალა ლიპერტი იმ გვერდზე, სადაც თითი ჰქონდა ჩადებული და ჰკითხა სოსოს:

— აბა, გვიამბე, რა სწერია აქ?

სოსომ გადმოსცა იმ გვერდზე წაკითხული და დაამთარა:

„...ჩვენი წარმოდგენა ლიპერტზე ნათლად გვეუბნება, რომ არ შეიძლება არსებობდეს ღვთის ისტორია, არამედ არსებობს მხოლოდ ლიპერტზე აღმართა წარმოდგენის ისტორია და მხოლოდ ამაზე გვაქვს ჩვენ საუბარი ამ კარში“...

— საკვირველია, — წამოიძახა გოგობიამ. — რა საოცარი მეხსიერება ჰქონია სოსოს! ეჰ, შე რომ ასეთი მეხსიერება მქონდეს, სულ არ მოაკვიდებდი წიგნს ხელს.

— მა-მა-მა! — გადახარხარა სოსოსი. — განა ხელს შეგვიძლია, მისხიერე-
ბაც გკონდეს და წიგნიც ისწავლო?

— ჩვენ ხშირად დავდივართ ბუკინისტებთან, — უთხრა გოგონიას პე-
ტამ. — სოსოს ფული არა აქვს წიგნების საყიდლად და სანამ ჩვენ წიგნებს
ვარჩევთ, შიადგება თავისთავს საჭირო წაგნს, წაიკითხავს და დაიხსომებს.

— საკვირველია! — ისევ წამოიძახა გოგონიამ და ამ ღლიდან პეტის მო-
რიდებით ეკიდებოდა სოსოსს.

გოგონიამ ისიც შენიშნა, რასაც მანამდე ვერ ამჩნევდა: სხვებიც მოკრძა-
ლებით ეპყრობოდნენ სოსოსს. ხოლო როცა რომელიმე წიგნზე საუბარი ჩა-
მოფარდებოდა, სოსო გარდაუვალი ავტორიტეტი იყო.

რომელ ენაზე ლაპარაკობდა ბალამის ვირი?

სემინარიელებმა თვალები დაქუციტეს, როცა მასწავლებელმა დაფაზე საჭ-
ლასო სამუშაოს თემა დასწერა:

„რომელ ენაზე ლაპარაკობდა ბალამის ვირი?“

თანამედროვე მკითხველისათვის დაუჯერებელია ეს. მაგრამ ფაქტია. სე-
მინარიის მმართველობა ყოველ ღონეს მიმართავდა მოწაფის ვონებრივი და
სულიერი დამოწინააღმდეგობისთვის. მას არ უნდოდა მოაზროვნე და კულტურუ-
ლი აღამიანის აღზრდა. მისი იდეალი იყო ტუკინების გამოშვება.

რათა თანამედროვე მკითხველმა გაიგოს ამ თემის მთელი უაზრობა, საკი-
როდ მიგვაჩნია ავხსნათ, თუ რა არის ბალამის ვირი.

„დაბადებაში“ ამის შესახებ ასე სწერია:

ებრაელები შიადგნენ ამორეველთა ქვეყანას, ამოსწყვიტეს ისინი და მოა-
ბისაყენ დაიძრნენ. შიადგლთა მეფეს ბალაკს შეეშინდა, მეც არ ამოხრონო
და სთხოვა წინასწარმეტყველ ბალამს — ებრაელები დასწყევლე და ჩემი
ქვეყნის საზღვრებიდან გააქციეო. დამით ბალამს გამოეცხადა ღმერთი და
უთხრა, ებრაელებს ნუ დასწყევლი, ამორეველნი მათ ჩემის ბრძანებით
ამოსწყვიტესო. მაგრამ ბალაკი დაჰპირდა ბალამს განდიდებას. ბალამი შესც-
და, შეეღდა ვირზე და მოაბისაყენ გაემართა. ღმერთს არ უნდოდა ებრაელე-
ბის დამარცხება და ანგლოზი გაგზავნა ბალამის დასაჭერად. ვირმა დაი-
ნახა თუ არა ანგლოზი, უკან გაბრუნდა. ბალამმა სცემა ვირს და ისევ შიად-
რუნა. ანგლოზმა კვლავ არ გაუშვა ვირი. ვირი კვლავ გაბრუნდა. ბალამა
ისევ სცემა და ისევ შიადრუნა. ანგლოზმა ბმალი ამოიღო და დააშინა ვირი.
ვირა გაბრუნდა. ბალამი გაბრუნდა და უფრო მაგრა სცემა ვირს. მაშინ
ბალამის ვირმა ველარ მოითმინა; ენა ამოიღვა და უთხრა პატრონს:

— რა დაგიშავე, რომ სამაჯერ მტემე? ბავშვობიდან ზურგივთ გატარებ და
ცემას რას მემართლები? ვერა ხელავ, ანგლოზი არ მიშვებს, მეუბნება უკან
გაბრუნდიო.

ბალამი დააკვირდა გზას და დაინახა ანგლოზი. ანგლოზმა უთხრა ბა-
ლამს: ვირმა დამინახა და შენ ვერაო? რას ემართლები ვირს? ვირი ღვთის
საქმეს აკეთებსო...

პო-და, სემინარიელებს უნდა გადაქუციტათ: რომელ ენაზე ლაპარაკობდა
ბალამის ვირი?

როგორ უნდა ებასუნათ მოწაფეებს ასეთ, უკაცრავად პასუხია, თემაზე?

ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო სემინარიაში გამეფებული სქოლასტიკის დარღვევა. საჭირო იყო თეოლოგურად გამართლებული სემინარიაში უკვე შენუშავებული იყო ასეთი თემების დაბრუნების ტრიდიცია და მოწაფეებაც არ არღვევდნენ მას.

მართლაც, რომელ ვინაზე დაილაპარაკა ბალამის ვირმა?

მოწაფეებმა სოფიზმსა და სქოლასტიკას მიმართეს:

სასწაული არის ღვთის საქმე.

ვირის დალაპარაკება სასწაულია.

მამასადამე, ვირის დალაპარაკება არის ღვთის საქმე...

როგორც ხედავთ, მსჯელობისათვის საფუძველი უკვე არის. გავყვეთ ამ ხერხს.

ბალამას ვირის დალაპარაკება ღვთის საქმე იყო.

ღმერთი ელაპარაკებოდა წინასწარმეტყველებს, წმინდანებს და ეკლესიის მსახურთ.

მამასადამე, ბალამის ვირა დალაპარაკებდა წმინდანებისა, წინასწარმეტყველებებისა და ეკლესიის მსახურთათვის ვასაგებ ვინაზე.

მოწაფეებმა ლოგიკისა და თეოლოგიის უზღვევი ცოდნა გამოიჩინეს. საშუალო საუკუნეების არაფეებიდან ამოიღეს მტკიცე მიზეზი დებულება „ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია“. ეზუიტური აბდაუბდას ეზუიტური გულდამშვიდებით უპასუხეს.

რომ არაიან იფიქროს, ბალამის ვირის ამბავი ლაფსუსი იყო, მოვიყვანთ თრ მაგალითს კიდევ. ასეთი ამბებით საესეა სემინარიის ცხოვრება.

ისევე ვაკვეთილი. ამხანაღ მოძღვართა პრაქტიკული სახელმძღვანელოს ვაკვეთილია. სცენა ჰუმორისტულ ეტრნალიდან ამოღებულად გამოჩნდება, რომ ისტორიულ დოკუმენტებზე არ იყოს დამყარებული. აი ეს სცენა:

მასწავლებელი: ვინ არის ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარე?

მოწაფე: ქართლ-იმერეთის სინოდალური კანტორის თავმჯდომარე არის საქართველოს ეგზარხოსი.

მასწავლებელი: სწორია.

რექტორი: არ არის სწორი...

კლასში საერთო გოცებაა, რადგან პასუხი სწორი იყო. რექტორი უსწორებს მოწაფეს:

— საქართველოს კანტორის თავმჯდომარე არის ღმერთი და მეფე.

კლასი ფაქრობს, ალბათ, რექტორი ხეშრობსო. ერთი გულადი მოწაფე აღგება და წიგნს აჩვენებს რექტორს.

— დახედეთ, ნამო რექტორო, ნეჩაევის სახელმძღვანელოში სწერია, რომ თავმჯდომარე ეგზარხოსიაო.

— სახელმძღვანელო ძველია, — უპასუხებს რექტორი. — მანდ შეცდომაა. მოწაფე უჩვენებს ახალ გამოცემას და ეუბნება რექტორს: ახალშიც ასე სწერიაო.

— მანდაც შეცდომაა, — დაშვიდებით უპასუხებს რექტორი. — კანტორის თავმჯდომარე ღმერთი და მეფეა. უნდა ვაესწორებინა მასწავლებელს.

ცხადი ხდებოდა, რომ მამა რექტორი შარზე იყო. ყველამ იცოდა, რომ რექტორი და მასწავლებელი გადაკიდებულები იყვნენ. არც ღმერთი, არც



მეფე კანტორაში არ თავმჯდომარეობდნენ.

ახლა გამოცდაზე შევიხედოთ.

რექტორი ჰომილეტიკის გამოცდას ესწრება: მოწაფეები მომზადებულნი არიან, მაგრამ ჩვეულებრივი საგამოცდო დაძაბულობა და ნერვულობა მაინც ეტყობათ. გამოუძახეს ერთს, მხოორცს, მესამეს...

უცხად რექტორი ასეთ შეკითხვას აძლევს:

— რას აკეთებდა ღმერთი ქვეყნის შექმნამდე?

მოწაფეები სდუმან. ვინ იცის, რას აკეთებდა ღმერთი ამის შესახებ არსად არაფერი სწერია. მართალია, „დაბადებაში“ ნათქვამია „ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“, ე. ი. ბნელად ქვეყნის გაჩენამდე და ღმერთი წყალზე დადიოდაო, მაგრამ ჩაითვლება თუ არა საქმის კეთებად ბნელში ყოფნა და წყალში ზეცხალი? ვინ იცის.

მღვდომარეობას მასწავლებელმა უშეელა. ეს მასწავლებელი ძალზე გაიწვია რექტორმა უაზრო შენაშენებით. ბოლოს მასში თავმოყვარეობამ და ადამიანური ღირსების გრძობამ გაიღვიძა: გაბედა და ასე უპასუხა რექტორს:

— ერთი მეცნიერი ამბობს, რომ ქვეყნის შექმნამდე ღმერთი ტყეში წყნელს სტრიდა, რათა ამ წყნელით ის გაეწყებლა, ვინც ასეთ შეკითხვას იძლევა...

მოწაფეებს გულზე მოეშვათ და ხარხარი ასტეხეს.

ასე ცდილობდნენ ბერები განოქზარდათ სემინარიელები „სახებად და ხატებად თვისდა“.

რა შეიძლება იყოს ამაში დადებითი?

სჯეროდათ ვი ბერებს, რომ გამოზრდიდნენ სემინარიელებს „სახებად და ხატებად თვისდა“?

ალბათ, ეჭვი შესდოდათ. რა ვუყოთ რომ სემინარიაში საშუალო საუკუნეებშია გამეფებული? სემინარიის გარეთ ხომ ცხოვრება დულს და გადმოღის. რევოლუციის საშიშარი აზრდილი რახანია დაპქრის რუსეთის თვალუწვდენელ იმპერიაში. საჭიროა სემინარიისა და ცხოვრების შორის ჩინური ზღუდის გაგლება, ამისთვის შემოიღეს „ბღრსა“. საკუარ იყო სემინარიელთა ვაჟელო ნაბჯის გაგება. ამისათვის შემოიღეს ზეერვა და ჩხრეკა.

მოწაფეები წირვაზე დადგებოდნენ, ზედანხედველები და ინსპექტორები ჩხრეკას შეუდგებოდნენ. ერთი წყება ბერებისა წირვაზე უთვალვალეზდა სემინარიელებს, ზომ სასოებით დვანანო. მეორე წყება ვი სემინარიელთა ყუთებს, მაგიდებსა და საწოლებს ჩხრეკდა. ანაფორიანი ეანდარმები არალევალურ ლიტერატურას ეძებდნენ.

წირვაზე სემინარიელებს ესმოდათ:

„იყავ მორჩილი“.

„გიყვარდეს მოყვასი შენი, როგორაც საკუთარი თავი“.

„თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაზე გაგარტყა, მარცხენაც მიღწვირე“.

„სიკეთე ისე პქენი, რომ მარცხენა ხელმა არ იცოდეს, თუ რას შერება მარჯვენა“.

„ნეტარ იყენნ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“.

წირვიდან დაბრუნებულნი ზედადნენ, რომ ბერებს ჩხრეკა მოუხდენიათ. შეურაცყოფილნი, დამცირებულნი, ღონემიხდილნი მიეგდებოდნენ. ჩხრეკამ ისე მოიქიდა ფეხი სემინარიაში, რომ ეს სისხამვლემ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ბერებმა ესეც არ იკმარეს და თვით მოწაფეთა შორის გაიჩინეს ჯამუშები. სემინარიელები ჯამუშებს ზიზლით ეპყრებოდნენ, ბერებს კი ისინი ხელის გულზე დაჰყავდათ. ეს ჯამუშები სხვა სემინარიებიდან გამოგდებული მოწაფეები იყვნენ — ზოგი ქურდობისათვის, ზოგი ზარმაცობისათვის, ზოგი ლოთობისათვის. ბიბლისის სემინარიაში მათ ყველაფერს აბატიებდნენ, კარგ ნიშნებს უწერდნენ, ოღონდ ეჯამუშნათ და კარგი მოწაფეებისათვის სიცოცხლე გაემწარებინათ. ამ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ეპყრობოდა სემინარიის მმართველობა ჯამუშებს.

იყო ჯამუშში ლ., ზარმაცი და უქნარა. რექტორმა იცოდა, თუ როდის გამოიძახებდნენ ამ ჯამუშს, და პირადად დაესწრო გამოკითხვას. ჯამუშში ვერ უპასუხა მასწავლებელს. ცხადი იყო, ჯამუშს ცუდი ნიშანი მოელოდა. მაშინ რექტორმა დაიწყო კითხვის მიცემა და ასეთი „მეცნიერული“ საკითხი დაუსვა:

— რამდენი თავისაგან შესდგება სემინარიაში სადილი?

— ორი თავისაგან, — უპასუხა ჯამუშმა.

— ყოჩაღ! — შეაქო რექტორმა და განაგრძო: რომელ საათზეა სადილი სემინარიაში?

— პირველ საათზე, — უპასუხა ჯამუშმა.

— ყოჩაღ! დაჯექი ჩინებულად იცი საგანი, — შეაქო რექტორმა და კარგი ნიშანი დაუწერა.

ასე ესარჩლებოდნენ ბერები ჯამუშებს, ზოლო ჰკვიან და ნიჭიერ მოწაფეებს სღეწიდნენ. დენა დაუწყეს ჯულაშვილსაც. მიუჩინეს ჯამუშში. სოსომ მაშინვე გამოიწიო იგი. ღამით საეკვო მოწაფის ფეხსაცმელების ღანჩაზე ცარციით ჯგარი გამოხაზა. სისხამ დილით კი ცარციან ჯვრებს გაჰყვა: კვალი საით მიდისო? კვალი რექტორის კაბინეტს მიადგა. ცხადი იყო, თუ რისთვის დადიოდა იგი დღეშანი ღამით რექტორთან.

გაიელის რამდენიმე ათეული წელიწადი და გერმანელ მწერალ ლუდვიგთან საუბარნი სტალინი სიძულვილით გაიხსენებს სემინარიაში გამეფებულ ჩხრეკას და ჯამუშობას. ამ რას იტყვის იგი სემინარიის ეზუიტებზე:

„მათი ძირითადი მეთოდია თვალყურის დევნება, ჯამუშობა, სულში ჩადრამა, აბუჩად აგდება, — რა შეიძლება იყოს ამაში დაღებნი? მაგალითად, თვალყურის დევნება პანსიონატში: 9 საათზე ზარი ჩაისათვის, მივდივართ სასაბლილოში, ზოლო როცა დაგბრუნდებით, ვსედავთ, ჩვენი სანივთო ყუთები აუქმობებიან. თურმე გავუჩხრეკივართ. რა შეიძლება იყოს ამაში დაღებნი?“

ზირსა ზიგან გამაზრება, ისე უნდა, ვით ძვითაჲრსა.

მოწინავე სემინარიელები ვერ ურიგდებოდნენ სემინარიის სულის შემტველ პირობებს. ისინი გამოსავალს ეძებდნენ. ახალგაზრდების მოუსვენარი გონება ვერ ეგუებოდა თეოლოგიისა და ჰომილეტიკის აზღაუბდას. მათი დაგუბებული ენერჯია დანამდვილნი ცოდნის წყურვილი მოითხოვდა თავისუფ-

ფალ პაერს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მეცნიერული ცოდნის მიღება და რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში გარკვევა.

ახლაზრდა სტალინი პირველ წელსვე გაერკვა სემინარიის ხელმძღვანელს. ის მიხვდა, რომ სემინარია არ იძლეოდა ნამდვილ მეცნიერულ ცოდნას. რომ, პირიქით, სემინარია ყალბად ხსნიდა არა მარტო სამყაროს წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობასაც. მეორე კლასში იყო, ე. ი. უკვე 15 წლისა, როცა გაიგო უფროს მოწაფეთა შორის საიდუმლო წრის არსებობა. ეს წრე ლეგალური მარქსიზმის გზას იდგა. ადრინდელი სტალინისათვის დამახასიათებელია ამ ჯგუფთან პისკლა და მყისვე განშორება.

ერთხელ სემინარიაში ახალეგალურად ნომუშავე მოწაფეებმა ქალაქს გარეთ, რკინისგზის ლიანდაგის გადაღმა, კრება მოაწყვეს. სტალინი ამ კრებაზე თავისი განუყრელი ამხანაგებით გამოცხადდა და სთხოვა უფროსებს, აგვიხსენით რას აკეთებთ.

უფროსებმა ლეგალური მარქსიზმისა და ეკონომიზმის პროგრამა გადაუშალეს, ლიტერატურა და ისტორია ვისწავლეთ.

— არა, ეს ჩვენი გზა არ არის, — უპასუხა სტალინმა უფროსებს. — ნებადართული რევოლუცია არსად მომხდარა. საჭიროა რევოლუციური მუშაობა და მუშათა მოძრაობასთან დაახლოება.

— ჩვენი მუშაობა სემინარიის კედლებს ვერ გაცვილდება, — უპასუხეს მას. — ამიტომ ჯერ მეცნიერების შესწავლით უნდა დავემყოფილდეო. შევისწავლოთ და დავაგროვოთ ისტორიული ფაქტები.

— ისტორიული ფაქტების შესწავლით ისტორია არ შეიცვლება, — უპასუხა სტალინმა. — ფაქტები რა ბედენაა? საჭიროა ფაქტების გამოყენება. აი მაგალითად, თქვენ ლეგალიზმის მომხრენი ხართ და ახალეგალურად კი გინდებათ შეკრება. ხომ ბედავთ, როგორ აქვს მეფეს მოწყობილი საქმე?

— შენ ჯერ ჩვენოდენი გახდი და მერე გეასწავლე, — გაბრაზდნენ უფროსები. — რას ამბობ, ფაქტების ცოდნის წინააღმდეგი ხარ?

ახლა სტალინიც გაბრაზდა და უპასუხა:

— ზოგი ფაქტის ცოდნა ატესტატის მისაღებად გამოიღება, ზოგისა კი რევოლუციისათვის.

მატრეა კრება და თან წაიყვანა თავისი ჯგუფი.

დადგა საკითხი როგორ ემუშავე უმცროსთა წრეს? სემინარიაში ზომ ვერ იმუშაებდა? იფიქრეს, იფიქრეს და გამოსავალიც იპოვნეს.

მთაწმიდაში ვინმე ანტონ გოვიშვილის სახლში სცხოვრობდა სემინარიელი არჩილ დოლიძე. არჩილის საშუალებით წრემ ამ გოვიშვილის სახლში დაიჭირავე პატარა ოთახი 5 მანეთად თვეში. იქ დაიწყო სტალინის წრემ ახალეგალური მუშაობა.

უნდა ითქვას, წრის წევრებს ძალიან ახალისებდათ ის, რომ კონსპირატულად იკრიბებოდნენ. ყოველი მათგანის პატარა ცხოვრებაში დიდი და ახალი ხანა დაიწყო. რა იცის რექტორმა გერმოვენმა, ან ინსპექტორმა დიმიტრი აბაშიძემ, ან რა იცის ჯამუშებმა, რომ წრის წევრები ახალეგალურად მუშაობენ და ისიც ახალეგალურ ბინაზე? ან რა იცის იმ პოლიციელმა, გამოგვიგებელი რომ დამდგარა სწორედ მამა-დავითის ქვემოთ, თუ სად მიდიან წრის წევრები, ასე თამამად რომ ჩაუარეს გვერდით მას, უღვაში

პოლიციელს, შეფინს ტახტის დამცველს? წრის წევრებმა ახლემტრად იკრანეს ქვეყანა. ამ ახალმა გრძნობამ წრის წევრები მორალურად დააღიანა დალიან გაიტაცა.

წრეში სოსოს მეორე ახალი გრძნობაც გაეღვიძა: საკუთარი თავისადმი ღრმა ჩუქმენა, საკუთარი ძალის დაჯერება. უნდა გვამდეს, რასაც ავეთებ, უნდა გჯეროდეს შენი ძალისა. აი მაშინ გამოგვივა საქმე. ეს გრძნობა თანდათან და მტკიცედ გაუჯდა ძვალ-რბილში სოსო ჯღღაშვილს...

წრე იკრიბებოდა კვირაში ერთხელ, ან ორ კვირაში ერთხელ. იქ შეიძლება იმ წიგნების გარჩევა, რომელსაც სდევნიდა სემინარია. ილია, აკაკი, ყაზბეგი, ნინოშვილი, შჩედრინი, დოსტოევსკი, ტურგენევი, დარვინი, პლენხანოვი, ჩერნიშევსკი, პისარევი, დობროლიუბოვი. ვაივლის ცოტა ხანი და წრეში გაჩნდებიან მარქსი, ენგელსი, რიკარდო, სმიტი, მალტუსი... წრეში ახალგაზრდა ხელმძღვანელმა ასეთი წესი შემოიღო:

ყოველ წევრს განსაზღვრულ ვადაში მოხსენება უნდა დაემზადებინა ამა თუ იმ თემაზე. ასე თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ემზადებოდა წრე მომავალი ბრძოლისათვის. ვაივლის ორი წელიწადი და წრეს გარედანაც შეემატებინ წევრები. 1897 წლის სექტემბერში, მაგალითად, წრეში შევიდა თბილისისა და კიევის სემინარიებიდან გამოთრეცილი ლადო კეცხოველი. ის ტყვიავიდან გამოექცა პოლიციის ზედამხედველობას და თბილისში არალეგალურად იწყო ცხოვრება. ამგვარად სოსოს საშუალება მიეცა მუდმივი კავშირი ჰქონოდა თბილისის არალეგალურ წრეებთან. ჯერ კიდევ ლადოს ჩამოსვლამდე თვითონაც დაუკავშირდა ერთ-ერთ წრეს: რუსეთიდან გადმოსახლებულ მარქსისტებს და გატაცებით დაეწაფა არალეგალურ ლიტერატურას.

— რომ იცოდეს დაღუპულმა სემინარიამ რას ვაკეთებთ? — იცინოდნენ წრის წევრები...

„დაღუპულმა სემინარიამ“ ერთი კარგი შედეგი მაინც გამოიღო. მან სემინარიელებს ბრძოლის მწყურველი გაუღვიძა და კონსპირაციის გზაზე ააყვანა. „ქიჩრსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით, ქვეითიკისა“. სწორედ აქ კართლდა ეს შოთას ანდაზა. რაც უფრო მაგრა უჭერდა უსამართლობისა და ზევრვის მარწუხს სემინარიის მმართველობა, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას უწყევდნენ სემინარიელები. სემინარიელებმა დაიწყეს თვალის ახვევა, კვალის დაფარვა, შენიღბვა. ეს იყო უხმაურო, ჩუმი, მაგრამ გამძაფრებული ბრძოლა. სუსტები ტყდებოდნენ, მაგრამ ძარღვიანი ბიჭები ისე იტყდებოდნენ, როგორც რკინა გრდემლზე.

სემინარიელებს კარგად ჰქონდათ მოწყობილი შენიღბვა. მაგალითად, ნაწილი რომ ქუჩაში გაიპარებოდა, მეორე ნაწილი სადარაჯოზე იდგა. ვინიცობაა ინსპექტორი ან ზედამხედველი მოიკითხავდა გაპარულს, დანამდებსებული ამხანაგი ეტყობდა:

— გაკვეთილს სწავლობს.

— საჭიროებაზე წაეიდა.

— წიგნი წაუღო ამხანაგს.

ვინ დაუწყებდა ძებნას გაპარულს გვეებერაული ოთხსართულიან შენობაში? სოსოს ჯგუფსაც ჩინებულად ჰქონდა მოწყობილი შენიღბვა და ელასტიური წინააღმდეგობა. არ გაუბრძოდნენ დამე მუთაქის ჩადებას საწოლებში, არც შეკარის მოსყიდვას, ოღონდ ქუჩაში გასულიყვნენ. დაბალი აღმოჩნდა

სემინარიის ჩინური კედელი, ვერ გამოთიშა მან მოწინავე სემინარიელები ცხოვრებას...

ერთხელ სემინარიაში ხმა დაიწყო: ქართული სცენის ქურუმის ლაღო მესხი-შვილი წაიშოდგენას მართავს ქართულ თეატრში, ჰამლეტს თამაშობსო. ქართული მწერლებიც დაესწრებიანო. დაფაცურდნენ მოწინავე სემინარიელები წარუბრები. დაიწყეს მზადება. სოსოს ჯგუფშიაც დაიწყეს მზადება. სოსომ გამოუცხადა წრეს:

— ბიჭებო, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავესწროთ წარმოდგენას, არ ჩამოვრჩეთ სხვებს.

დატრიალდნენ. მოაგროვეს ფული, იშოვეს ყაბალახები და ნაირნაირი ხალათები, გადასაცემლად. მიშა და გუცა მიუგზავნეს მეკარეს, რომ მას კარი გაეღო მოწაფეებისათვის, მიშამ ჰკუთა შეუწო მეკარეს, გუცა საიქიოში საშოთხეს დაჰპირდა, ხოლო დასამტკიცებლად იმისა, რომ ღმერთს უყვარს კეთილი საქმე, გუცამ ფული ჩაუჩხრიალა ზელში.

მოაქაზარავეს საქმე. მაგრამ ახლა ახალი საზრუნავი გაჩნდა. წასვლა ყველამ მოინდომა. ყველასი წასვლა კი არ შეიძლებოდა, ექვს აიღებდნენ. ატყდა კამათი.

— მე დავრჩები, წადით თქვენს — სთქვა სოსომ. — ჩემთან ორიც უნდა დარჩეს, რომ ექვი არ აიღონ.

— არა, არა! — ერთხმად შესძახეს წრის წევრებმა. — როგორ შეიძლება შენი დარჩენა? ჩვენ დავრჩებით.

გაჩნდა მეორე საზრუნავიც. ყველას უნდოდა სოსოს გულის მოგება და დარჩენა. მაშინ თვითონ სოსომ შეაჩინა, ვინ წასულიყო. წავიდნენ სოსო, მიშა, პეტა, გუცა და გოკი.

ვასკელისას შეკარემ გააფრიახილა:

— ბიჭებო, დიდხანს არ დარჩეთ, თორმეტზე აქ იყავით. ხომ იცით, რა მომელის მცეა და თქვენც. თუ გაიგეს?

მოწაფეებმა თავი დაუქნიეს.

ჯულაშვილი რომ დაინახა, მეკარეს გაუკვირდა და ჩაილაპარაკა:

— ეჰე, ასეთი ჰკვიანიც იმარება?

მისი წარმოდგენით სემინარიიდან მხოლოდ საქმიფოდ და საკერნოდ იპარებოდნენ.

ქართული თეატრი იქვე ახლოს იყო, ყოფილი სასახლის ქუჩაზე, მე-5 ნომერში. დიდის სიფრთხილით და გულისტრეკალობით შევიდნენ გაპარულები თეატრში.

თეატრი ვაქედელი იყო ხალხით. არა მარტო ინტელიგენცია, მუშაც და ხელოსანიც ბევრი იყო. სემინარიელებს ძალიან იამათ, რომ გარშემო ქართული ლაპარაკი ისმოდა. მართალია, ბევრს დაჰკრავდა რუსული კილო, მაგრამ სასინხარულო მინც იყო, რომ ირგელივ დეოაენა ესმოდათ. თითქოს გარუსებულ დედაქალაქში ქართული კენძული აღმოაჩინესო.

სემინარიელებს ისიც გაეხარდათ, რომ ჰერო მოხატული იყო დიდ მწერალთა სურათებით: პომპროსი, შილერი, გოგალი, რუსთაველი, გიორგი. ყველა აღტაცებდა უყურებდა ამ ბუნბურაზებს, რომელთაც შესძლეს ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის დანერგვა.

სოსო და მისი ჯგუფი ქანდაკაზე მოთავსდნენ. ზოგს პირი-სახე ჰქონდა ახვეული, ზოგს ხელსაწის ხალათი ჩაეცვა. დიმიტრი ბერიძე, კერძოდ, მათ ნობლად მათ.

მოწაფეები გულდასამით ათვალეირებდნენ დარბაზს და ერთმანეთს წამლავწუმ აღტაცებით აწყვეტინებდნენ:

— აგერ ილია! შენედეთ ილიას!

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს,“ მომავალი შენიას..“

ჩაილაპარაკა სოსომ. მას უყვარდა ილია. ილიამ რამდენიმე ლექსი დაუბეჭდა სოსოს და ერთხელ უთხრა: — მომწონს შენი შრომის მოყვარეობა, შენ დიდი მომავალი გაქვს. მაგრამ შენი მომავალი ლექსში არაა.

— აკაკი, აკაკი ბიჭებო! უპ, რა სხევიანი სახე აქვს! — დაიყვირა მიშამ და აღტაცებით წარმოსთქვა:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვეცდები,
შენზედვე მგლოვიარეო...“

ფარდა აიწია...

არც ერთი სიტყვა, არც ერთი მიხვრა-მოხვრა არ გამოპარეიათ სემინარიელებს. მათ ყოველმხრივ შეკრულ და სხედასმულ ცხოვრებაში ძლიერად შენათა შექსპირის გენიამ და მათი სულიერი სამყაროს პორაზონტი ხელშესახებად გასწია, გაათართოვა.

მაგრამ არ დასცალდათ. გამოპარულებს ბოლომდე დარჩენა. წარმოდგენა გვიან დაიწყო. მოწაფეებს სიტყვა უნდა შეესრულებინათ და თორმეტ საათზე დაბრუნებულიყვნენ სემინარიაში. ისე წავიდნენ, უკანაქნელი მოქმედება არ უნახავთ.

— ეპ, როდის იქნება, სამუალემა გვექნეს თავისუფლად ვიაროა წარმოდგენებზე! — ამოიოხრა, სოსომ.

პ ა რ ც ე ნ ი

გადიოდა დრო. ახალგაზრდა სტალინი უფრო და უფრო შორდებოდა სულიერად სემინარიის. სემინარია კი უფრო და უფრო ცდილობდა მის მოღრკეას.

ერთი ხანია, რაც სემინარიის მმართველობა განსაკუთრებით დანტერესდა ჯულაშვილით. ხედავენ მის გავლენას მოწაფეებზე, ხედავენ მის საოცარ ნიჭს. ხედავენ იმასაც, რომ გულით არა სწავლობს ჯულაშვილი. უკანასკნელ დროს დასრულდა აურჩარებელი პასუხი. მასწავლებლების შეკითხვაზე ერთხანს ფიქრობს, აკიარურებს პასუხს. პასუხი კი სწორია. მიხედა სემინარიის რექტორი, თუ რატომ აგვიანებს პასუხს ჯულაშვილი. ჯულაშვილი გაკვე-

თილს არ ამზადებს, მისთვის საკმარისია ყურადღებით მოუსმინოს მასწავლებლის ახსნას. საოცარი მეხსიერება ჰქონია თურმე. მასწავლებლის შეკითხვაზე რომ პასუხს აკიანურებს, ეს იმიტომაც, რომ ივონებს მასწავლებლის ახსნას. და აბ ასეთი საოცარი, ნიჭიერი მოწაფე, ხელიდან უსხლტებათ ბერებს. ერთმა მასწავლებელმა თავისებურად სცადა ჯულაშვილის პოპულარობის გამოყენება. მან კაბინეტში მიიხმო ჯულაშვილი და უთხრა:

— შენ კარგი კაცი ხარ, ჯულაშვილო. მე ამას ყოველთვის ვეუბნები მასწავლებლებს. მეც კარგი კაცი ვარ, და შენც გაავრცელე ეს ხმა მოწაფეებში. რამდენი იცინეს ამაზე სოსოს წრეში. გუცამ ეს ამბავი მთელ სემინარიას მოსდო. ყველა იცინოდა.

მაგრამ სრულიად არ იყო სასაცილო ბერ დიმიტრი აბაშიძისა და აბალგაზრდა სტალინის დამოკიდებულება. ბერი დიმიტრი აბაშიძე სწვა ბერებისაგან იმით განირჩეოდა, რომ ფანატიკოსი იყო. მას ღრმად სწამდა ცაში ღმერთი და მიწაზე მეფე. იმავე დროს ეს ბერი დიდი კარიერისტი იყო. მისი სანუკვარი ოცნება ეპისკოპოსის მიტრა იყო. მტკიცედ და მარჯვედ მიდიოდა ბერი ამ მაღალი წოდებისაკენ. რა უყოთ, რომ კარიერისაკენ ზიდად მოწაფეთა ცხოვრების გაუბედურება უნდა გაიღოს? განა ამას დაგიდევს ბერი? რამდენი მოწაფე გაუუბედურებია სემინარიას და კერძოდ მას. დიმიტრი ბერს იცის ბერმა, რომ ის სძულს სემინარისტებს, მაგრამ ამას არად დაგიდევს.

ყოველი საშუალება მისაღებია მიზნის მისაღწევად, — აბ მისი მრწამსი და ისიც ყოველ ზომას ხმარობს, რათა დაიმსახუროს ეპისკოპოსის მიტრა. არა ზოგავს ძალღონენს იმისათვის, რომ სულში ჩაუძვრეს მოწაფეს, აფათურის მის გულში ხელი, ზეეროს, ჩხრიკოს, და სახარების უღვეველი ციტატებით იქამდე მიიყვანოს, რომ მოუდუნოს ნებისყოფა, გასტეხოს წელში, ჩაუკლას წყურვილი ნამდვილი მეცნიერებისა.

ამიტომ ბერი დიმიტრი არა ჯერდება ჯამუშების დასმენას, პირადად უთვალთვალებს ჯულაშვილს. დერეფანში, კლასში, საერთო საცხოვრებელში, ჩაიხე, სადილზე, წირვაზე შავი აჩრდილივით დასდევს კვალდაკვალ.

ბერი შაფევერა იყო, დაბალი, შავი ანათორაში, შავ-კამილაკვიანი — იგა ბელზებელს ჰგავდა. ოღონდ, უნდა ითქვას, თვალები ჰქონდა ლამაზი. როცა გაბრაზდებოდა, თვალები წამსვე გადაუსტეფურდებოდა, ცეცხლივით აენთებოდა, გავარვარებულ რკინას დაემსგავსებოდა და მაშინ ბერი მძვინვარე მხეცს ჰგავდა.

ბერ აბაშიძეს ძალიან აინტერესებდა ჯულაშვილი. რატომ არის, რომ ყველაზე ნიჭიერი, საოცარი მეხსიერების პატრონი ჯულაშვილი საშუალოდ სწავლობს? რატომ არის, რომ ფილოსოფია, ლოგიკა, ისტორია შესანიშნავად იცის, ხოლო სამღვთო სჯული არ აინტერესებს? ან როგორ, საიდან განვიითარდა ასე ჯულაშვილი, როცა სემინარია სრულიად არ იძლევა საამისო ცოდნას?

რაც უფრო მეტს აკვირდებოდა დიმიტრი ბერი, მით უფრო მეტ კონსპირატიულობას იჩენდა აბალგაზრდა სტალინი. ხშირად ჩახედავდა ბერი დიმიტრი სტალინის ხელში ვაშლილ წიგნს. მაგრამ გაბრაზებით გაბრუნდებოდა იმდგაცრუებული, როცა ვაიგებდა, რომ მოწაფეს სახელმძღვანელო ეჭირა, რა იცოდა ბერმა, რომ იმ სახელმძღვანელოში ჩაეცვილი იყო არალეგალური ბროშურა?

მეგრამ ერთხელ ბერს ბედმა გაუღიმა. მან სტალინს საჯარო სამკითხველს სააბონემენტო ფურცელი უბოვნა. ამ წიგნით სტალინს ^{საქართველო} პიუგოს „ზღვას მამარალნი“ გამოეტანა. ბერმა მამარალნი წერილობითი მონსენება წარუდგინა რექტორს. წერილობითი იმიტომ, რომ დარჩენილიყო კვალი ბერის ერთგულებისა. რექტორმა დასძინა ასეთი რეზოლუცია დააწერა: „დასაჯოს ხანგრძლივი კარცრით. ჩემ მიერ უკვე გაფრთხილებული იყო გარეშე წიგნის — ე. პიუგოს „39 წლის“ გამო“.

კარცერი იყო ბნელი, პატარა. კაცა ძლივს მოტრიალდებოდა. საოცარი სინდემი ჩამოვლდა კარცერში და პატარა-ფიჭრებს მიეცა.

სწორად იტყვა სოსო? მშობლებს ჰგონიათ, ისწავლის და მოგვეშველებაო. მამა წელგაუშრთავად მუშაობს დღე და ღამ. დედაც სიმწრის ოფლით მოუღობს პურს. მაინც არც ერთი არ იწყვეტს იმედს. ორივე მზიარულად, ხალისიანად შებყურებს მზეს, რადგან მათი მზე და იმედი — სოსო — სემინარიაში იზრდება და კაცი გამოვა, წაეშველება მშობლებს. ღლით მოსინჯა.

და აი კარცერი... კარცრით ვერ წაეშველება მშობლებს...

მეგრამ დაიმსახურა-კი მან კარცერი? რა ჩაიდინა ისეთი? წაიკითხა წიგნი, რომელიც დღისით-მზისით იყიდება ქალაქში, მთავრობის ნებართვით.

მაი და მეფის მთავრობას როგორ მოუწყვია საქმე. იქ წიგნს ჰყიდის, იქ კი წიგნის წაკითხვისათვის კარცერში ამწყვედევს. როგორ უნდა ენდო ან მეფის მთავრობას, ან სემინარიის მმართველობას?

ორივე ერთსა და იმავე უსამართლო საქმეს აცემებს. უსამართლობასთან კი ბრძოლაა საქმით. მეგრამ როგორი ბრძოლა? აი ისეთი, ლეგალისტები რომ ქადაგებენ?

საოცარმა მხსიერებამ სიტყვა-სიტყვით აღუდგინა „კვალის“ წერილები და ლეგალური მარქსიზმის ქადაგება ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ინტერესების ერთიანობის შესახებ. მეგრამ ცხოვრება რომ სხვა გზით მიემართება აი, მეგალითად, თბილისში მუშაობენ რუსეთიდან ვადმოსახლებული რუსი მარქსისტები ფრანჩესკი, ლუზინი და კოვანი. სოსო უკვე იცნობს მათ და ზედაეს, რომ ესენი სულ სხვა ყაიდის ხალხია. ამათ გაუღვივეს სოსოს ნამღვილი რევოლუციური ბრძოლის უნარი.

ერთი ხანია, რაც ის უკვე დადის ამ ვადმოსახლებულ მარქსისტებთან, მუშაობს მათთან არალეგალურად. სწავლობენ თავათ და ასწავლიან მასაც. კითხულობენ და არჩევენ ბროშურებს, გაზეთებს, ეურნალებს. სწავლობენ „კაპიტალს“.

„კაპიტალს“ ვახსენებზე ჩაიციან. წარმოუდგა, როგორ იშოვეს ეს წიგნი. საჯარო ბიბლიოთეკაში „კაპიტალის“ ერთად-ერთი ცალი იყო. სოსოს წინადადებით მუშებს შორის ფული შეაგროვეს. ზოგს შაური გამოართვეს, ზოგს ორი და იმ ფულით დაიჭირავეს კალიგრაფი და ხელით გადააწერინეს ეს სქელტანიანი წიგნი. ყველას აინტერესებდა ეს ხელით გადაწერილი წიგნი და პირველ მეცადინეობაზე წიგნი მიაბრუნეს-მოაბრუნეს, გაუციინეს ფურცლებს, თითქოს დიდი ხნის უნახავი მეგობარი მისტლიყოს...

ამ რევოლუციონერ მუშათა წრეში შეითვისა და განიმტყიცა ახალგაზრდა სტალინიზმა რადიკალიზმი, პრინციპული შეურთებლობა, პირდაპირობა ბრძო-



ლაში... გ. ფრანჩესკიმ ასე უთხრა მას „კაპიტალის“ პირველი თავის შესწავლის შემდეგ:

— ამხანაგო სოსო, მე შეგასწავლე შენ რევოლუციის ანაბანა, შენ კი, ვხედე, ჩქარა რევოლუციის სახარებას „კაპიტალს“ შეგვასწავლი.

ყველას გაეცინა. ი. ლუზინმა კი დაუმატა:

— თუ მოწაფე მასწავლებლად ვაგვიბდა, ამას რა სჯობია?

— მე ის მომწონს შენი, — განაგრძო ფრანჩესკიმ; — რომ თეორიასა და პრაქტიკას არა ჰყოფ ერთმანეთისაგან. ჩქარა დაამთავრე ეგ დაღუპული სემინარია და ამოგვიდექ მხარში...

-- დავამთავრებ კი? — ჩაილაპარაკა სოსომ და კარცერის კედლები ხელოვნურად მოსინჯა.

გველის ტანივით ცივი და სველი იყო კედლები.

არა, შეუძლებელია ასეთ ცხოვრებას შეურიგდეს მებრძოლი ადამიანი. ასეთ ცხოვრებას უნდა ებრძოლოს ადამიანი, უნდა დალეწოს ყველა კარცერი, უნდა გაფანტოს სიბნელე. მაშინ ეშველება დედასაც, მამასაც, ყველა დედას, ყველა მამას, ვინც კი დღე და ღამე ოფლისა ღვრის, ხოლო ამ ოფლით სხვას აცხოვრებს ნებივრად და არხეინად. ცდებიან ლეგალისტები. მოქმედებაა საჭირო და არა გულზელდაკრეფით ქადაგება.

მართლა, რა უსამართლოდია აწყობილი ეს ცხოვრება? როდემდის გასტანს ასე? რაღა მაინც დღეს დაამწყვდიეს? დღეს რაინფხელთა წრეში ლენინის ბროშურას კითხულობენ, პექტოგრაფაზე დაბეჭდილს. ნეტავი თუ დაღამდა? ან თვითონ სოსო როდემდის იქნება კარცერში? რამდენი დრო გავიდა? ერთი სხივი მაინც შემოდიოდეს რომელიმე მზრიდან. ალბათ, კუბოშიაც ასე ბნელა... ფუ!

და გაბრაზებულმა მუშტი შემოჰკრა კარცერის კარს.

რკინის კარმა ყრუდ და ცივად დაიფლრაილა...

დ ი ლ ა

დილა იყო. სემინარიელების ერთი ჯგუფი პუშკინის ბაღში გაიკრიფა. „წვეულ სემინარიიდან“ ათი-თუთხმეტი წუთითაც ვასვლა დიდი შეება იყო მოწაფეთათვის. ზოგი ნერვზე ჩამოჯდა, ზოგმა ხეივანში დაიწყო სეირნობა. მოწაფეებს უხარბანთ თბილისის ხმაურიანი ქუჩების დღილი და ხალისით გაყურებენ მოფუსფუსე ხალხს. აკვირდება ხალხს სოსოც.

ერთმა ზელოსანმა ბიჭმა მიიქცია მისი ყურადღება. ბიჭს ზელსაწყოთი საუსე ჩანთა მხარზე გადაუვდია, „ივერია“ გაუშლია და ნელა მოდის. ეტყობოდა, კითხულობდა გაზეთს.

სოსო დააკვირდა ბიჭს. საოცარი სიამოვნება იგრძნო, გულმა გაიწია, თათქოს ევიწროვო მკერდში ყოფნა. ბიჭი კითხულობდა ლექსს.

დ ი ლ ა

ვარდს გაეფლრაქა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უბრიდა ნივსა.

ტორღა მელა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ვალობდა,
ბულბულიც გახარებულნი
ნაზი ხმით ამას ამბობდა:



ივანე ტორღა გვიანაც,
იღნაღე ჭართველი მხარეო,
და შენც, ჭართველო, სწველითა
სამშობლო გაახარეო!

ეს სოსოს ლექსი იყო. სახელისა და გვარის ნაცვლად მოკრძალებული ფსევდონიმი მოეწერა — „სოსელო“. ბიჭმა იგრძნო დამტკერებული თვალი და შეხედა სოსოს. ერთხანს უყურა ქოჩორა, მოლიმარ-თვალეზიან ყმაწვილს, უცბად მოსწყდა ადგილს და სიმღერით გაიქცა.

— სოსო, სოსო! — გაისმა ამ დროს, — მოდი, მოდი, საანტერესო კამათია. ლეგალისტები იცავენ ქორდანისას აზრებს.

სოსო დაუყოვნებლივ ჩაერია კამათში. ერთი ლეგალისტი ასე ამტკიცებდა და ევოლუციის საჭიროებას:

ივილოთ დავით იუმი. ხომ დიდი ფილოსოფოსია? ორი აზრი არ არის ამის გარშემო. ჰო-და იუმი ამბობს... მოიცა, კაცო, მათქმევენიე! მე როგორც მინდა ისე ვსაბუთებ ჩემ აზრს. იუმი ამბობს რელიგიის განვითარებაზე: ჯერ წარმოიშვა პოლიდემონიზმი, მერე პოლიტიციზმი. მას მოჰყვა გენოთეიზმი, ამას მონოთეიზმი. ასეა ხომ? მე ვამტკიცებ, რომ მონოთეიზმს შესცვლის ათეიზმი. ასეა სოციოლოგიაშიც... ცხოვრება მიდის ევოლუციის გზით. ამიტომ არალეგალური ბრძოლა საჭირო არ არის... ხალხის შეგობრები ნაროდნიკებია. აი მათი გზაა სწორი, თანდათან...

— სთქვა რუქამ არაჲ — გააწყვეტანა სოსომ. — შენ „კაპიტალი“ თუ წავიკითხავს?

— „კაპიტალიც“ წამიკითხავს და პოლიტიკური ეკონომიაც.

— აბა ვერ გავიგია, ძეო...

და ისეთი საბუთები მოუყვანა ლეგალიზმისა და ნაროდნიკების წინააღმდეგ, რომ ყველამ ხახა დაილო. სოსო ამბობდა:

— მარქსისტებმა პირველ რიგში ერთიანი სოციალისტურა მუშათა პარტია უნდა შექმნან. მუშათა კლასმა მკიდრო კავშირი უნდა დაიჭიროს გლეხობასთან. ტყვილად ჰგონიათ ლეგალისტებს, რომ თუ კარგად სთხოვეს შეფის მთავრობას, იგი ყველაფერს კარგს გააკეთებს. კაპიტალისტური წყობილების შესაფლავე პროლეტარიატია...

— საიდან იცო შენ ეგ? პარტიაში ხომ არა ხარ? — კითხა გაკვირებულმა ოპონენტმა.

რასაკვირველია, სოსომ არ უპასუხა მსუბუქ ოპონენტს, რომ სწორედ 1898 წელს ის, სოსო, „მესამე დასში“ შევიდა, რომ შესვლის შემდეგ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ამ „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტული ფრთა. ეს სოსოს წრის წევრებიდანაც ორმა-სამმა თუ იცოდა სემინარიაში.

ამიტომ სოსომ უპასუხა:

— ამას ამბობს ბროშურა „რანი არიან ხალხის შეგობრები და როგორ ებრძვიან ისინი-სოციალ-დემოკრატებს?“



სემინარიაში ზარი დარეკეს და ოპონენტი გაიქცა.

სოსოს გარს შემოეხევივნენ მისი წრის წევრები. მათ პირველად: **გაგვიჩვენეს** ამ ბროშურის სახელო. უსაყვედურეს სოსოს, შენ რაც იცი, ყველაფერს გაგვიზიარებ ხოლმე და რატომ არ გვითხარით აქამდე.

— მეც ახლა წაეჩიოთხე, — უბასუხა სოსომ. — იცით, ახალი აზრებია, სულ ახალი. მახლობელ კრებაზე ავიხსნით.

შემდეგ ხელი ხელში გაუყარა პეტას და მტკიცედ, შთაგონებით უთხრა:

— რაღაც უნდა დამიჯდეს, უნდა ენახო იმ ბროშურის ავტორი...

შავი ლაქა

კარცერის შემდეგ სემინარიის მმართველობასა და ახალგაზრდა სტალინს შორის ბრძოლამ მწვევე ხასიათი მიიღო. ბერებმსთვის უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ სტალინი არ დაემორჩილებოდა სემინარიაში გაბატონებულ რეჟიმს. ახალგაზრდა სტალინიც არ კმაყოფილდებოდა ჩუმი მუშაობით. იმ თავის გარშემო უფროსს მოწაფეებს იკრებდა და აშკარა აგიტაციას ეწეოდა. უკითხავდა მათ არალეგალურ ბროშურებს, აკრიტიკებდა სემინარიის წრეებს, ილაშქრებდა ჯაშუშობისა და ზვერვა-ჩხრეკის წინააღმდეგ.

ბერი დიმიტრი აბაშიძე აშკარად ცდილობდა ჩაეკრა ახალგაზრდა მეამბოხე მეოთხე კლასიდან მეხუთეში გადასვლისას. რა ღონე არ იხმარეს, რა გვარი იეზუიტური საკითხებიც არ დაუსვეს სტალინს სხვებმაც, მაინც ვერ ჩასჭრეს. ორ კვირაში გაიარა მთელი წლის კურსი და იოლად გადავიდა მეხუთე კლასში.

რექტორმა გერმოგენმა დასცინა ბერ აბაშიძეს:

— გაჯობათ ჯულაშვილმა? რად მინდა თქვენი დაუსრულებელი დასმენა? ჯულაშვილი უკმაყოფილებას გამოსთქვამს ჩხრეკის დროს, ჯულაშვილი აქეზებს მოწაფეებს, ურჩობისაკენ, ჯულაშვილი აგრეცელებს რევოლუციურ აზრებს, ჯულაშვილს არალეგალური ფურნალი უნდა ჰქონდეს სემინარიაში. მე ფაქტი მინდა, ფაქტი, საბუთი!

დიმიტრი ბერი მორჩილად იღვა მრისხანე რექტორის წინაშე. რექტორმა ხელი დაჰკრა მაგიდას.

— საბუთი მეთქი, ნიეთიერი საბუთი!

დიმიტრი ბერი გააფთრებული გავიდა რექტორის კაბინეტიდან. ყველა გრძნობდა, რომ სემინარიის ჰაერი ძალზე დახუთული იყო, რომ უნდა გავარდნილიყო მეხი. ბერს ჯაშუშმა უშველა.

ერთ საღამოს, როცა სტალინი და მისი ჯგუფის წევრები გაკვეთილს ამზადებდნენ, დიმიტრი ბერი ფეხაკრფით შეიპარა კლასში და თავზე წაადგა სტალინს. სტალინს გაკვეთილი დაემთავრებინა და არალეგალურ წიგნს კიბხულობდა. ბერი სწვდა წიგნს და წართმევა მოინდომა. სტალინმა წიგნი არ დაანება. აქეთ ერთი იწვევს წიგნს, ნეორე იქათ. ბერი გაბრაზდა და შეუყვირა:

— ვერა ხედავ, ვინა ვარ?

— როგორ ვერ გხედავთ? ვხედავ შევ ლაქას, — მშვიდად მიუგო სტალინმა.

ბერმა წიგნი წაიღო. როცა ვადაშალა, ფენიმორ კუპერის გამარჯვებული ველურაციით დაიყვინა. არალეგალურ წიგნში მეორე, უფროსწამიწიწი საბუთი აღმოჩნდა. ეს იყო სტალინის არალეგალური კურსის „განმარტება“ მეთაური. მეთაური სტალინის ხელით იყო დაწერილი.

ბერი ბედნიერი იყო. კმაყოფილი იყო რეპტორიც. მთავრობას ხელთ ჰქონდა ნივთიერი საბუთი.

1899 წელს 29 მაისს რეპტორ გერმოგენის თავმჯდომარეობით შესდგა სემინარიის მმართველობის სხდომა. სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ბერმა დიმიტრიმ. მან სატყუა ასე დაამთავრა:

— სემინარიის დასამშვიდებლად, ღვთისა და მეფის ერთგული მწყემსებას მომზადების უზრუნველსაყოფად, სემინარიაში რევოლუციის საშიშროებებს თავიდან ასაცილებლად საჭიროა ძირშივე მოვკრათ ხე ბოროტებისა. საჭიროა იოსებ ჯუღაშვილი გარიცხულ იქნას სემინარიიდან...

იმავე დღეს სემინარიის შენობიდან გამოვიდა ახალგაზრდა სტალინი.

არც დარდი, არც ყოყმანი არ ეტყობოდა. გამოვიდა გამარჯვებულივით, თითქოს საშინელ ურჩხულს დააღწიოთ თავი. არც კი მიუხედავს უკან, სემინარიისაკენ, სადაც ხუთი წელი გაატარა. მტკიცე ნაბიჯით ჩაჰყვა პუშკინის ქუჩას და გაემართა რკინიგზის სახელოსნოებისაკენ. იქითკენ, სადაც ელოდა მას „მომავლის ხალხი“.

ამიერიდან სტალინი მთლიანად რევოლუციის ეკუთვნის. ამიერიდან ის ხდება პროფესიონალი რევოლუციონერი და ჩქარა სულ არალეგალურად იცხოვრებს. ლეგალურად ის მხოლოდ ციხეებში იქნება, მანამ, სანამ გაჰქრება ძველი ცხოვრების შავი ლაქა.

გიორგი შატავაშვილი

თამარის დაკარგვა პარის ქალაქში

„თამარს დემნა ქმრად უნდოდა — შოთაც
უყვარდა: დარბაზის მგოსნად უნდოდა.
დემნას უნდოდა თამარი დედოფლად, თვითონ
მეფობა სურდა — შოთა მეგობრად უნდოდა.
შოთას უნდოდა თამარი სატრაფოდ, დემნა
მეგობრად... აბა, რას გაიხარებდნენ?“

მესხური თქმა

1

უკან ჩამორჩნენ თამარს რაყიფნი:
მეოცნებენი, შოთა და დემნა,
მათ საუბარით გადაელეს შიბნი
მთების და გაჰყვენ ვარდების ტევნარს.

იყო მისი... ყვაოდა ვარდი,
ვარდის ქალაქში, ვარძიის აზლო,
ორი ჰაბუკი, ავისილი დარდით,
აჰყვა აგარის და თმოგვის მალღობს.

იარეს დიდხანს, ვერ ნახეს ვერსად,
ეჭებდნენ ნაველს ვარდის ბილიკზე,
ველარ წააწყდნენ მის ფეხის მტვერსაც,
ჩამოსხდნენ ლოდზე და სევდა იგრძნეს...

სიყრმის ტოლები და განუყრელად
ერთად მავალნი, როგორც ჩრდილები,
სატრაფოს ძებნაში ქცეულნი მტრებად
უმშერდნენ მიწას თავდაბრილები.

იყო დრო, როცა ბრწყინვალე ბედი
მეგობრობათვის მეგობარს სურდა,
გაჰქრა იგი დრო და ერთმანეთის
მათ უბედობაც თითქოს შეშურდათ.

ექვით ავსილნი და უჩუმარნი
 მზის გადახრისას შოთა და დემნა,
 სხვადასხვა ბილიკს ვაპყენენ მღუმარნი,
 ვარდის ქალაში სატრფოს საძებრად.



2

საქართველო

უფრო უარეს მწუხარე მაშინ
 ვარძიის ქვაბში იჯდა თამარი,
 მის წინ გაჩენილ ცრემლებს ტბაში
 კრთოდა თვალების ნაკამკამარი.

ხან დანანებით, ხან გალიმებით,
 მარტოდ დარჩენილს ღალატის ზევთან,
 აგონდებოდა მას რაყიფები,
 თანშეზრდილები და ცრემლს აფრქვევდა.

აგონდებოდა დემნას თვალები
 წყვედიად ღამეში გამკრთალი ელვა,
 მაგრამ აღმოჩნდნენ იღუმალუბი —
 და, ის თვალები მან დააბნელა...

მეორეს, ამაყს და ჰაეროვანს,
 მოჰქონდა გული ლექსად ნახარი,
 მაგრამ თამარმა სხვა გზა ვერ ჰპოვა:
 იმ წმინდა გულში დაკრა ლახვარი...



აწ რომელ მხარეს არიან ვაენი,
 ან სიყმაწვილის სად გაჰქრენ დრონი?..
 თამარს შერთვია ჭიკარა თმაში,
 ჩამქრალან თვალნი გასაშტერონი..

სევდით დასცქერის ვარძიის წყაროს,
 მისმა თვალებმა ეს წყარო ზარდა,
 აწ რალას ჰპოვებს ის სანეტაროს,
 მას ხომ შოთაც და დემნაც უყვარდა!

3

ვარდის ქალაქში ამოდის მთვარე,
 დაკარგულ თამარს მწუხრით დაეძებს,
 და ჩამოხედავს კენტად მოარეს,
 დემნას, დაცემულს მუხლისთავებზე.



ის უსინათლო მოარღვევს ღამეს,
ემღერის, სწყველის ბრმა ბედისწერას;
ჰკივის:

იბოვნე?..

მაგრამ მრისხანედ
ვარძიის მღვიმე გუგუნებს: ვერა!..
ზევით კი, სადღაც, ლავეარდის თაღთან,
მიიწვ თამარის მზის მოფიცარი —
შებენდილობით შეთენილი სახტად
ქართული სიტყვის ზის ობიჯარი.

მოაგონდება... შეხედავს მთვარეს,
თავს მიანებებს გრძნეულ სიმღერას,
ჰკივის:

იბოვნე?..

მაგრამ უწუბარედ
ვარძიის მღვიმე გუგუნებს: ვერა!..

სოფ. თეალიძე,
1939 წ.

ყინცვისის ანგელოზი

მოთხრობა

გულმწყრალად იყო შიომ. ფანასკერტელთ გვარს არ მოსვლია ასეთი ბავთი. სიტყვა ვერ შეუსრულა ვერც მეფეთ-მეფეს, ვერც თავის სასიძოს. მერმე თავად თამარ მეფემ შეურჩია სასიძო.

ყვრიმალს ისრესდა თავადი. ყველამ იცოდა ეს ზედმიწევნითი სიბრანის ნიშანი იყო. შემკრთალმა მნათემ ათრთოლებული ხელებით ძლივს გაუღო საყდრის კარი. ქარდაკრულ ასკილეით მოიხარა, ვაატარა თავადი.

ყინცვისის საყდარი თითქმის დასრულებული იყო. აქა-იქ თუ აკლდა შელესვა ან ქონგურების მოპირკეთება. შიდა მხატვრობას კი სულ ცოტადა აკლდა, მაგრამ მაინც იგი იყო შიომ ფანასკერტელის გულწყრომის მიზეზი. აი ეხლაც ისევ მოავლო თვალი საყდრის თაღებს და კამარებს... მადლიან ოსტატის ხელით იყო მოხატული საყდრის შინამო. მოკრძალებით მოუბრუნდა შიომ მარცხენა კედელს. აქ მეფეთ-მეფე თამარი იყო ნასახი, მეფურ მამა-შვილითურთ. თამარის ნება-სურვილითა და განძით აშენდა ყინცვისის ტაძარი, ზოლო ფანასკერტელის მიწა-წყალზე იყო იგი. უმეტესი გარჯა და რუღუნე მან იტვირთა სიამით. მოკლე ხანი აღუთქვა მეფეთ-მეფეს. ახლა სოახლოვდა დადებული ქამი, თითქმის გასრულდა შენობა... შიომმა მადლა აღმართა მზერა, ზარისხის ძელებს შეაყოლა. ისევ შემთაწვა გულისწყრომა. სარკმელთ შუა მოუხატავი კედელი იყო დარჩენილი. თვალზე ლიბრად ედო შიომს ეს სითეთრე.

— ეჰ, აღარ დასცალდა, ცოტაც გაქმლო იმ მადლიანს! — მხატვარი მოიგონა შიომმა. სამი წელიწადი. მხატა მან ყინცვისის კედლები, თითქმის დაამთავრა, და ეს რაღა ბედენა იყო — მხოლოდ ერთი ანგელოზი აკლდა ყინცვისს... მაგრამ აქ სხვაც იყო ჯიერობის მიზეზი: კადნიერი ფიქრი შეეკიდა ფანასკერტელს, იმ ანგელოზის სახედ თავისი ასულის საზე ეწადა ეხილა კედელზე. მამის ერთასი, დანიშნულ ქალისა. ეხლა ქორწილის თარიღიც მოახლოვდა. შემოდგომით მოეა სასიძო, ზოლო საყდარი არც დამთავრებულია, არც ნაყურთხი.

— მერმე და სად ვიპოვნო ეს მუნჯი ოსტატი? — ხმაბაღლა ცხარობდა შიომ. რაღა მუნჯი გვიანდერძა მაინც და მაინც? გვარის თქმა მოესწრო მაინც. ჰოდა სად იპოვნოს შიომმა, დარუბანდიდან — არეზამდე გადაკიმულ საქართველოს სამეფოში, მაინც და მაინც მუნჯი, ყრუ-მუნჯი ოსტატი. ზშირად სხვის მოწვევას ლამობდა შიომ, მაგრამ მსცოვან ოსტატის ანდერძი გარდუვალ კანონად ედო. სასახლის კარზედ აღზრდილს თავადაც უყვარდა მხატვრობა, აფასებდა. იცოდა — ერთი სხვა ყაიდის კედელხატული სულ აღრევდა ასეთ შესანიშნავ მხატვრობას. და მუნჯ მხატვრის ძებნაში იყო შიომ. მრავლად აფრინა შიკრიკები სრა-მონასტრებში, მრავალი ოსტატი ნახა. სახელო-

ვანიც იყვნენ მათ შორის, მაგრამ ყველა „მეტყველო“ გამოდგა ერთი იყო ოღნაე ენა-ბლუ, მუნჯი კი არ სჩანდა არსად.

იღვა საყდარში და ყვრიმალს ისრესდა შიომ. ამ დროს ვერვინ შეპბედავდა მას, გარდა მისი ასულისა ლელაისი.

— ენას ამოვართმევ, დავამუნჯებ... დაკაყრუებ ვინმეს. — ბობოქრობდა იგი. საყდრის კამარები ყრულ იმეორებდნენ მუჭარას. ამაზე უფრო ბრაზობდა შიომ. ხმაშალალი ფიქრი ცოცდა, ოღონდ სიხუმე უნდა ყოფილიყო ირგვლივ, აქ კი თაღებიც ეტრჩხებოდნენ თითქოს.

უეცრივ საყდრის კარი რჩხით გაიღო და მოურიდებელი ფეხის-ხმა მოესმა შიომს. სახეზე გადაურბინა ელვამ. მისწვდა ხარაჩოზე დაგდებულ ფუნჯს და მოტყნია შემოსულს. მას წინ ლელაი იდგა: ასეთი ცქრიალა, ამზურებულ თვალებით, ნათელ ღმილით გამშვენებული, დაუდგრომელ ხალისით საცესე. თავი შეიკავა შიომშია.

— მოდის, შამი! — შესძახა ლელაიმ და ყელზე ჩამოეკიდა თავადს.

— ეინ მოდის? — ღუჯუთ შეეკითხა მოხუცი. თვალი აარიდა თავის დაქალბულ, კეკლუც ასულს, ხარაჩოს ზემოთ „ცალიელ სითეთრეს“ შეავლო თვალი. აქ, აქ სწყუროდა მას თავისი შვილის მარად უმკუნარი სილამაზე ეხილა. ფანასკერტელთ ვეარის უკანასკნელი ნაშიერი იყო ლელაი.

— ო, დავამუნჯებ ვინმეს, დავამუნჯებ! — შფოთავდა გულზეაგი.

— იოვანე უტყვი მოდის!

— იოვანე უტყვი კიდაა? — თავზედ ხელი გადაუსვა მოხუცმა.

— მუნჯი მხატვარი, ვარძიაში მიუგნია შარიდანს.

— დიდება შენდა, ღმერთო! — ბირჯვარი გადაისახა თავადმა, უმალ გაკცვა გაქცეულ ასულს.

ყინცვისისაკენ მომავალი საურმე გზა ტყე-ტყე გასდევდა ძამის ხეობას, მერმე აღმართს შეპკიდებოდა ქედის კალთაზე. უღრან ტყის მწვანე ზოლქვებიან ხალიჩაზე, ქვემოდანვე აჩნდა ამაყად აზიდული გუმბათი. უფრო ახლოს, აქა-იქ ვალავანიც გამოჩნდა, მაღალ ფერდოზე შემდგარი.

დაქვეითდა იოვანე უტყვი, ვამყოლები და ჯორ-ცხენები წინ გაისტუმრა. დიდხანს უმზერდა ყინცვისის გუმბათს... ფერებით თუ ილხენდა მხატვარი. ბაცი და მუქი მწვანე ტალღებად მოწყებოდა მთის კალთებს. ოღნაე ჩადრეკილ უბის შუაგულში ვეება მიტრასავით იდგა გუმბათი და ირგვლივ შეღრუბლულ მზის სპივზოლები შემოფრქვეოდა. მუნჯს ჩახშული გული გაულო ხედმა. სიამით აკცვა საცალფეხო ბილიკს. ვიდოდა მსუბუქად, მაგრამ ნელა. მაღალ ტანს უფრო აჩენდა თალხი, ტრეტებამდე დასული სამოსი. დინჯად მიარბევდა ყაითანშემოვლებულ წელს. ვანსწავლულ მხატვრის შარნად წელზე დიდ-პატარა ფოჩი ეკიდა. აღმართზე დასცხა მოსულს. გადაჩვეულა ხანგრძლივ მგზავრობას. შეაწუხა კუმტულიანმა წამოსახამმა, ვადიგდო კისერზე.

სახე გამოუნდა მხატვარს. ფერმკრთალ შუბლზე დასდებოდა ნაადრევი ღარული. სწორ სახეს უმშვენებდა შავი, კისრამდე დასული, მიჯრით ტალღული თმა და ზომიერი ახალგაზრდული წვერ-ულვაში. იოვანე მიუახლოვდა

ყინცივისსი გალაგანს. ბჭესთან შემოეგებნენ მწე-მხატვრები, უსტები, ხუროები. ყველას სწადლა ეხილა მხტოვან მხატვრის ანდერძით თქმული შესი საყვარელი მოწადე.

ქალთა ჯგუფიც იდგა აქვე. ლელაიც შებიზნულიყო შათ შორის.

იოვანეს არც შეუშინეგია ხალხი. მან ჩუქურთმა შეამჩნია ბჭის თავზე: ფოთლების ხლართში ოსტატურად ჩაწული საყსე მტევენები. მოეწონა ნაკეობა. ბჭის მოჩუქურთმებულ ძგიდეს ჩააყოლა მზერა. შიდა მხარე შორენკეცებით იყო მოპირკეთებული. ჩუქურთმის ბოლოში მზერა შეაჩერა იოვანემ: ძგიდესთან მიყრდნობით, ქალთა ჯგუფში შემალული, იდგა ასული. იდგა და მას უმზერდა ამზიურებულ თვალებით. ჩუქურთმაში ამოტვიფრულ ანგელოზად ეჩვენა იგი იოვანეს. ჯერ შეტოკდა, მერმე მიეახლა, ხელი წარზიდა, თითქმის არ სჯეროდა თვალისა. გრძელი დათლილი თითებით შეეხო ლელაის მკლავს. მარმარილოს შეხებია ასე ოსტატი. უეცრივ სითბო იგრძნო, ალბათ მკერივი სილბილეც. ფიცსლად მოკუშმა ხელი. თითები შეერუჯა 'თითქოს. უძრავად იდგა ლელი. ჩუქურთმას თუ შეეხორცა დასტურ. გაკვირვებით უმზერდა მოსულს, მერმე მინაბა თვალები.

არ გაუგია იოვანეს ხალხში უხერხულ სიჩუმის ჩამოვარდნა, იგი ლელაის უმზერდა კარიბჭეზე გაკრულს. მხატვრის წარმოსახვაში ლელაის ფრთები გამოესხა მხრებზე... ცოცხალი, თავანკარა თვალები ოდნავ მიეზნიდა... თალბ პეროვან სამოსში გამოიკვალთა და კედელ-ხატულიდან ჩამოსულ ანგელოზის სახით მოეგლინა ყინცივისში ჩამოსულ მხატვარს.

მიმოიხედა ლელაიმ: ქალები შემოსცლოდნენ. მარტო მდგარს შეუძიძდა საჩუმე. მოსწყდა ბჭეს და წკრიალა კისკასით შესხლტა ალაყაფში, თითქოს აფრინდაო ანგელოზი. არც კისკასი ვაუგია ყრუ-მუნჯს. დინჯად მიჰყვა, კარიბჭის ვადავლისას პირჯვარი ვადისახა და ვალავანში შევიდა თავდახრალი.

დიდ კაკლის ქვეშ, ლორფინზე წამომჯდარი, მხატვარს ელოდა შიომ. იგი კი შორიახლოს იდგა და საყდრის აღნაგობას შეჰხაროდა. გამოცდილ თვალით ჯერ წახნაგიდან გაჰხედა, მერმე ირგვლივ შემოუარა. თავადი არც შეუშინეგია, ისე შევიდა საყდარში.

— ამაყი და მიუკარები ყოფილა, — შიომს მოახსენებდა შარიდან, — თუ არ მე ეწონა, ხელს არ გააკარებს თურმე.

— არ მოეწონაო?... — ვანრისხდა შიომ, — ვით დაიწუნების ყინცივისი — წამოდგა, იხმო ლელი, თავადაც შევიდა საყდარში.

თავშწველი იდგა მუნჯი. კედელ-ხატულობას გატაცებით დასწაფებოდა. სიამის ნათელი დაჰფნოდა სახეზე. თავის მხტოვან მასწავლებლის უკანასკნელ ნაღვას სცნობდა. ყალმის ყოველი მონაქნევი, ფერის ნაირსახე, ხატულთა იერი, ყველაფერი ნათესაური გრძნობითა და გონებით იყო გამთბარი. გული რომ დაიდინჯა ახლა, აუნქარებლივ, გულდასმით იწყო ყინცივისის ხატულ სამყაროში შესვლა-დამკვიდრება. აქ-იქ შეამჩნია ხელის მიკლები. დაუთავრებელი სახეები. ვანსაკურებით მარცხენა კედელზე, მეფეთა მხარის ზემოთ, თეთრად გამოკროოდა მოუხატავი ადგილი. ოდნავი ხაზების ფარგი ამვლავნებდა მხატვრის ვანზრახვას. ანგელოზის გამოსახვა სწადლა აქ მხატვარს, ზოლო არ დასცალდა, თაბაშირი შეხმობოდა ისე.

მოწაფემ გაუგო მასწავლებელს, მოწაფემ თავის გულის თქმასაც გაუგო იქნებ. მიმოიხედა, კარის ზვეს თუ დაეძებდა ვალაენისას. ვაზანს მკითხველში გახლართულს. საესე მტევნებიან ჩუქურთმას, თუ ჩუქურთმის ძირიდან უტრენილ ანგელოზს.

მხატვარიმა ლელაი გაპლანდა შემოსავალში. კვლავ შეაკვირდა და შერმე მიზი ნატიფი სახე სარკმელთა შორის წარმოიდგინა... შემობრუნდა კიდევაც. მეტყველი სახე-პირი ქონდა ყრუ-მუნჯს. შიომ უსიტყვოდ მიხვდა მუნჯის ზრახვას, ჩვეულებრივ ხმამაღალი ფიქრი მოუვიდა:

— ეს მუნჯი თვალმეტყველი ყოფილა, გულმეცნიერიც!—განზე გამღვარო ნაამები შეჭყურებდა მხატვარს. არც იმაზე წყრებოდა, რომ მხატვარი აქამდე არ ეხალა მას. სურვილი შეუხსრულოს, სურვილი ასეთ დროს ღმობიერი იყო შიომ.

იოვანე კვლავ მიეხალა ლელაის, მუაბლად დაძხარა თავი, ზარაჩოსაკენ მიიწვია ზელით. ვერ მიხვდა მუნჯურს ლელაი, თუ იმორცხვა იქნებ. ტანში აიწურა, ოდნავ შემკრთალი. მამინ იოვანემ, მეტად ღმობლად, მოკრძალვებით ზელი ჩაჰკიდა მჯავში და წინ წარუძღვა. გაწყრა ლელაი, იუკადრისა ასეთი საქციელი, მით უფრო მამის თვალთა წინაშე. მაგრამ უჩვეულოდ გაინაბა და მიჰყვა ნებას. სდუმდა შიომ. არ მოუწონა მხატვარს ზრდილობა, უტიფრობად ზაუთვალა, არც შეარჩენდა სხვას, მაგრამ ეხლა სხვაგან იყო მისი გულისყური. აკვირებულ აზრს შესკიდებოდა. თავის წინაშე გამართლებაც კი მოუნახა მუნჯის საქციელს: „მუნჯის ენა ზელით“. მეტად იამა, რომ მუნჯის ზრახვა მის ზრახვას ასე ზედმიწევნით დაემთხვა.

თავად ულამაზო იყო შიომ. პირ-ბუდალა, სახეს ბოლოსტიკეს ომში მიღებული ნაიარევი უსერავდა, ცხვირიც კეხიანი ჰქონდა, თან ნაყვავილევი იყო გოროზი. ჰოდა შეილის სალამაზეს მეტად აფასებდა. უყვარდა კიდევ „თავის ერთას“ სილამაზის ქების მალულად მოსმენა. ეხლაც ზარობდა: „ქეშმარიტად ანგელოზის დარი ყოფილაო, ლელაი“. ზარაჩოზე ავიდა იოვანე. მიყვა ლელაიც, თან მამას უმზერდა მალულ შიშით. კიბის თავზე მოპრუნდა მხატვარი, ლელაის ქვეგახედვას ვაყოლა თვალი, მხოლოდ ეხლა შენიშნა შიომ. მიხვდა მის ვინაობას, ზრდილად სცა თაყვანი. ზელი შეუშვა ლელაის. მისი ვინაობაც გაარკვია უეცრივ.

— ჰეი, ჯდჯიმი! ბალიშები! — გასძახა შიომმა გარეთ. უმაღ ჰოართვეს. ზარაჩოს ცალკერძ საამო სარეცელი გაუკეთეს ლელაის.

მხატვარს სამგზავრო კაბა არც გაუხდია ისე შეუდგა საქმეს, სარკმელთ შორის კედელს ძველი ბათქაში უმაღ ჩამოფხეკა, და ახალ შემოქმედებით ზრახვებს და ოცნებებს მიეცა მთლიანად.



შიომ ფანასკერტელს დინჯ ლაფშურით მიჰყავდა თავისი საღარი. გულდამშვიდებით მიეშურებოდა სასახლისაკენ — მამას ციხესთან. ყინცვისის მობატულობის დამთავრება საიმედო ზელში იყო. ახალგაზრდა კი სჩანდა ოსტატი, უკმებიც, მაგრამ მუნჯას თვალეზში იმდენი გონება და აზრი იგრძნობოდა, რომ შიომ აპატიებდა ყველაფერს.

გვიძინეთის გავლის დროს მალეშარბოლი შემოეყარა. გრავილი რიარტვა სასიძოსავან. ბერდა გვარელი შემოდგომაზე ნიშნავდა ქორწილს უფროსა-კითხვასაც უგზავნიდა თავის დანიშნულს.

შიომმა სიამით მოავლო თვალი ძამას ხეობას. ფერდობებზე მკვლები შეპსეოდნენ მოწვეულ ყანებს. სოფლებში აქა-იქ უკვე ლეწვა იყო გასურებული. ბაღებში და ვენახებში მწიფდა ხილი. აღარც შემოდგომა იყო ცხრა მთის იქით. გული საგულეს მქონდა შიომს. ურბნელს წინასწარ აცნობა ყინცვისის გურთხევის თარიღი. ქორწილის სამზადისსაც შეუდგა უმაღლ.

ფიცხელი შრომა და ქაპანწყვეტა იყო ყინცვის. ოწინარებით ეწეოდნენ დიდ ლოდებს, ამთავრებდნენ ვალიანს, ამირკეთებდნენ შენობებსა და სადგომებს. ხოლო იოვანე მუნჯი ბეჯითად და აღგზნებით ჰხატავდა. ამთავრებულა იმას, რაც აღარ დასცლოდა მის მხტოვან მასწავლებელს.

თავისადმი მეტად სასტიკი იყო იოვანე. შრომამა: მუყათით და დაუხარული. მხატვრობა ხომ ერთად ერთი იყო, რაც მას აკავშირებდა ვარემოსთან მისთვის, დაბადებიდან ყრუ-მუნჯისათვის ვარემოც იმდენად არსებობდა, რამდენადაც ფერთა და ხანთა ნაირსხვაობას შეიცავდა. ჰოდა ქეშმარიტად მხოლოდ ხატვის დროს. სიცოცხლობდა შემოქმედი, სხვაფრივ უსამარო მიცვალბულს ჰგავდა უფრო. ხოლო სიცოცხლე სწყუროდა აბალგაზრდა მხატვარს — სიცოცხლე და შემოქმედება. დღისით მეტრე საყდარში მუშაობდა. აქ მთელი კანკელი და საეურთხეველი იყო მოსაბატავი. ხოლო მთავარ საყდარში თითქმის ყველაფერი მოათავა. თავის მხტოვანი მასწავლებელიც დანატა მარჯვენა კმარის ძირზე. ოღონდ, როცა მზე ყინცვისის სამხრეთის სარკმელში შემოანათებდა და მისი ჩუქის ნართი ჩრდილო კედელზე დაწეებოდა, მაშინ სახე ეცვლებოდა ყრუ-მუნჯს. ხარისოსაკენ მიილტვოდა მიზიდული და შინაგანად ამაღლებული.

იცოდა ლელაი მოვიდოდა იქ. ყრუსათვის მუდამ უეცარი იყო მისი გამოჩენა. შემოკრთებოდა საყდარში, საგანგებოდ შერჩეულ თაღს სამოსში გამოწყობილი, ჩუმად ჩამოჯდებოდა ბალიშებზე და მხატვარს კედელზე გადაჭონდა მისი ნახი და სწორუბოვრად ნატოფი სახეტანი.

დიდხანს, დიდხანს უმზერდა ხოლმე მუნჯი შემოქმედი თავის ანგელოზს. თვალთა კილოებში სწვდებოდა უხილავ ხანებს და სხივებს. პირის უპეებში ამჩნევდა დამილს თუ მოწყენას, წარბების თამაშში გრძნობდა შოშმინს, თუ დაუცხრომელ წყურვილებს.

დღითი-დღე უფრო ძალუმად იხორცებდა შემოქმედი ლელაის არსსა და სახეს.

დღითი-დღე ლელაის სახე სრულდებოდა კედელზე... როგორც ყოველ ლამაზმანს, მასაც უყვარდა სარკეში მზერა, მაგრამ ეს სულ სხვა იყო. სარკეში მის წინაშე მუდამ ცქრილა, მეტად ცოცხალი და თავნება ლამაზმანი იდგა. აქ კი არა... აქ თავნებობა — კდემამ შესცვალა. ცელქობა — შინაზებოლმა დაოკებამ, დაუდგრომლობა — ოდნავ სეედა მოცულობა ოცნებამ. მაგრამ ჰოი, უცნაურობავე. არც ერთი გრძნობა, არც ერთი ფიქრი არ იყო მისთვის უცხო. ლელაი აქ უფრო სცნობდა თავის თავს... გამოცნობილ ამოცანასავით ჰხედავდა კედელზეტულზე თავის გულის პასუხებს... ოღონდ ქვეშეცნეულად გრძნობდა ქალს, რომ მისი სახე და გული სხვის გრძნობებში იყო გატარებული, ნაგზნები, დახვეწილი და მარადიულ ცხოვრებისათვის ფერ-ხანებში გამოვლენილი. აქ მიწიერი ქალურობა ებრძოდა ანგელოზურ ზეციურობას.



...არც უქმად იჯდა ლელი, საქარგი მოაქონდა — თევთიკის მოყიპობით-
 ლი ჩაბალახი. ჩუქურთმის ნაყმიც კი გამოართვა მხატვარს. იჯდა, იდგო, უქმად
 მკვდლობდა ლელი.

ერთხელ კი თავად ვერ გაიგო ისე წასთვლიმა. იოვანემ უტია ხატვას. დიდ-
 ხანს უმზირა მარაოსავეით დაწყობილ წამწამებს. მერმე მიებალა ნებიერად
 მიწოლილ ასულს, ჩუქურთმა მისი კაბის კიდეს. ასე წმიდანებს ეამბო-
 რებიან მხოლოდ. არ გაუღვიძნია ლელის, ოდნავ შესწორდა, ჩაბალახი გაუ-
 ვარდა ხელიდან. იოვანემ აიღო ჩაბალახი, ღბილი თევთიკი და ყირმიზის ოქ-
 რომკედი იგრაძნო. სათბო მოეფინა, უეცრივ თავისდა უნებურად მხარზე გა-
 დიდგლო ლელის ნახელავე. შეკრთა. ისევ ჩაუღო კალთაში. მალული ფიქრი
 თუ გაუსხლტა ხელიდან. მან არ იცოდა ვისთვის იყო განკუთვნილი ეს ჩა-
 ბალახი, ეინ იცის, რა წადილი აფორიაქებდა ახალგაზრდა მხატვარს. მეტი
 ვერ იმუშავა იმ დღეს. ბათქაში შეაშრა ხელში.

ზეიადი სიჩუმე მაინც უმძიმდა დაუღვრომელ ლელის. სიჩუმე მუნჯ
 შემოქმედის სამყარო იყო. ლელისი კი სწორედ პირიქით. ბუნებით მოკისკა-
 სე, მოძრაი და ფიცხელი იყო იგი. ცხენს მოახტებოდა უბლოს, ტყეში
 გაიქრებოდა უჯბო-უკვლოდ. ყიყინს დაკრავდა უეცარს. დაატრთობდა შინ-
 დის საკრეფად წასულ გოგოებს. სიმღერაც უყვარდა და შუშპარიც. იო-
 ვანე მხატვართან კი უცნაურად მოკრძალებული იყო, მაინც უმძიმდა ზეიადი
 სიჩუმე. ერთხელ ფანდურიც კი მოიტანა საყდარში. ერთობოდა. ღიღინიც
 კი შეაყოლა ხმადბალი. ოღონდ არ ესმოდა იგი ყრუ-მუნჯს. უმზერდა მის
 შოღერებულ ყელა, ნებიერად შეპობილ ბაგეებს, დაუმთავრებელ მთქანარე-
 ბად ეჩვენებოდა მას სიმღერა. ვერ აიტანა, გამოართვა ფანდური, განზე გა-
 დაუღო. არა უთქვამს რა ლელის: განცვიფრდა — პირველი შემთხვევა იყო,
 რომ დაუწუნეს დაკვრალიღინი.

გარედან ხშირად ტაშ-ფანდურა სმენია ლელის, გაპარავც განუზრახავს
 აღერღილს, სახის ნაკვთებში თუ ამოიკათხავდა ყრუ-მუნჯი მის განზრახვას,
 ჩუმი მუღრით შეპხვდავდა ლელის. სურვილს ჩაუქრობდა უმაღ. ფეხს აღარ
 მოიცივლიდა იგი.

ერთხელ ვეღარ გაუძლო ლელიმ... იოვანე დიდის ყურადღებით ფერებს
 აზამებდა, ხიტონს და წამოსასხამს უხატავდა ანგელოზს. გარედან საყდრის
 თაღებში ცეკვა-თამაშის ხმა შემოიჭრა. ცდუნებას ვეღარ აღუდგა ლელი-
 გარეთ გაიპარა ჩუქურთმა.

ქალები მოსულიყვნენ, შინდის მკრეფავენი, ტაშ-ფანდურა გაემართათ გა-
 ლაყანში. ლელიც შეერია მათში. დაუარა კიდევაც. სულ დაავიწყდა: მხატ-
 ვარი, ანგელოზი, დიდგვარობა. თავდავიწყებით შუშპრობდა, ალაღებდა
 ახალგაზრდულ ჯანსა და მოხდენილ ტანადობას. შევნოდა ბაცი ცინფერი
 ზიტონი და მოლის ფერი წამოსასხამი. მსუბუქი სატერფელები დღდამიწას
 სულ არ ეხებოდნენ თითქოს.

უეცრივ უნებურად შემოტრიალდა, — თითქოს უხმოვ უძანდა ვიღაც. შე-
 დგა. შემობრუნდა. საყდრის კარში იოვანე იდგა და უმზერდა. ცეკვის აზრს
 ვეწ ჩასწვდომოდა გულმეცნიერი. საკრავების ხმა არ ესმოდა ყრუ-მუნჯს,
 ხოლო კოლოს გარეშე ცეკვა მანქვად ესახებოდა.

ხშირად შეპყრია მოციკვავეთ, მუღამ ობლობა უგრძენია უფრო მძაფრად,
 უფრო ნამეტურ.

ლელაიმ იგრძნო მუნჯის მარტოობა. შეეცოდა. უტია ცეკვას. საყდარში წაპყვა ისევ. მაგრამ მეორე დღეს, როცა ლელი კვლავ გაიჭირდა, გააყლია მუნჯი. ამან უფრო შეაძრწუნა ქალი. თავად მიაკრძნო მუნჯის მიმართ. გატაცებით ხატავდა ლელის პირი-სახეს. უსევადებდა შარავანდღეს. მსუბუქ ბოლქვებად უყალბავდა კულულებს, ცოცხალ ნაკეთებს ეალერსებოდა თითქოს და ისე ხატავდა — ლელი აღარც იყო საჭირო. ეწყინა ლელის, ხიწვად მოხედა, თავად არ იცოდა რად, მაგრამ ეწყინა. გაბუტული ჩამოჯდა შორი-აქლოს.

მხოლოდ ხანდაყოლებით შეხედა მას მუნჯმა, შეაკვირდა, ქალის ქუთუთობებზე წყენის ცრემლი შენიშნა. უტია ხატვას. სველი ტილო ჩამოათარა ბათქაშს.

განზრახ ნელა მუშაობდა მხატვარი. მეტად ფრთხილობდა. საერთოდ გაბედული და გამრჯე ხელი ჰქონდა. სწრაფი და გაწაფული. მხოლოდ ანგელოზს ხატავდა ნელა. თითქოს დამთავრების ეშინოდა კიდევაც. სველ ბათქაშზე ერთი მოსმის წესიც უარყო... ხელოვნურად ინახავდა ბათქაშის ნოტიოს... ფერების შეზავების უფრო საიმედო, ახალწესურიც შემოიღო. კვერცხის გულს ხსნიდა კირნარეე ხსენში, ფერებს შელხამებდა ზედმიწევნით, სურინჯს და ვენეტციურ სინეურს, ზურმუხტის მწვანეს და ლაქეარს, სპილოს ძელს ნახშირს და ყურძნის შავს. ლბილ განციდილ ფერებს სთხზავდა, არას იშურებდა... ყველაფერს აქსოვდა ამ კედელხატულს... თავის ნიჭს, გამოცდილებას, სურვილებს, უჩუპარ ფიქრებს და ტკივილებს, მუნჯის გულის ყურს, ყრუს თვალმასხილობას, ახალგაზრდა შემოქმედის შეუცნობ იმედებს.

კვერის ბეწვის ყალბით უხატავდა თვალ წარბს, სიასამურის ბეწვით უჩრდილავდა ოდნავ შესამჩნევ ფერთა თამაშს ტუჩებზე და ლაქებზე. ირმის ბეწვიან ფუნჯულებით უსევადებდა ხიტონის ქობებს და ნაოქებს... სატერფელების სირმებს. პინდურ ღრუბლით ალბობდა პირშემშრალ ბათქაშს, ხოლო ბაღდადურ თივთიკის ფარატივით ამშრალებდა ზედმეტ ნოტიოს. ნაკეთებ-ნაკეთებდა უმატებდა ბათქაშს, ხშირად ჩამოფხეკდა ხოლმე, ხელახლად იწყებდა ხატვას.

დადგა სათელისაი — ყოველ მხრივ გასრულდა ყინცვისი. იოვანემაც დაამთავრა შიდახატული. ყინცვისის ანგელოზი გამოვიდა ყველაზე უმაღობესი და ნეტარქმნილი. შექპაროდა ყველა, ხოლო მისი შემოქმედი უმეტეს ყოვლისა, რამეთუ იგი მისი ცხოვრების სწორუბოვარი კედელ-ხატაც იყო და კედელ-ხატულიც. ჩვეულებას უღალატა მხატვარმა, ანგელოზს თავის სახელი მიაწერა. დამშვენდა ასომთავრული სურათს.

წმინდა ნიკოლოზის სახელზე აკურთხა ურბნელმა საყდარი. დიდათ მოუწონა შიომ ფანასკერტელს ნაღვაწი. თღონდ მონაზონი უბნობდნენ ხელმოდარებით: „მეტად ხორციელი ანგელოზი გამოსვლიათ მხატვარს“. მსგავსებაც მეტად თვალსაჩინო იყო. ზოგმა მკვრებელთნათაც მიიჩნია. ურბნელს შეასმინეს. შორსმკვრეტელი იყო ურბნელი, ბეცობა დაიჩემა. სულ ვერ შეაძნია ანგელოზი. შიომს ვერ შეპბედეს ვერაფერი.

რთველიც მოითავეს. ქორწილის ჟამიც მოახლოვდა. მალე მსრბოლნი და მომკითხვენი გაშლირდნენ. მითქმა-მოთქმა და სამზადისი იყო შეწყვეტილში. ოღონდ ყინცვისში, იოვანე მუნჯი იყო უწინდებურად მიუკარები და გარეგნულად მშვიდი. რამოდენიმე დღეა აღარ ამოსულა ლელაი. საერთოდ დაცალიერდა ყინცვისი. ყველანი ახალს იცვამდნენ, მოიკაზმებოდნენ და სადღაც მიდიოდნენ ჭვევით. იოვანე ამჩნევდა — მაგრამ არავის ჰკითხავდა მაინც. იქნებ მალული შიში და იჭვი აფრთხობდა მხატვარს. სულ მართო იყო. ოქროვარაყიან მცირე ეტრატზე გატაცებით ხატავდა რაღაცას. არვის უჩვენებდა. თუმც არც ვის უკითხავს მაინც. როცა გაასრულა მცირე ხატული, სასობით დაახვია ეტრატი, შენასკვა აბრეშუმის ყაითანით და თავქვეზე დაეშვა. ამის მეტი არც ვასულა სადმე, ყინცვისში მოსვლის შემდგომ. შემხედურნი თვალს აყოლებდნენ მხატვარს — ჰკვირობდნენ: „ყრუ-მუნჯიც თუ მიდისო ქორწილზე.“ გზას უტევდნენ კრძალვით.

შარაგზაზე გავიდა იოვანე, მუშაში მიდიოდა დინჯად და წელში ჭრბეულად, ასე მხოლოდ საყდარში თუ დადის ამაყი მლოცველა, რომელიც გოლგოთას ატარებს გულში.

დამტვერილ გზას მისდევდა იოვანე. არც მოდილებულ ძამას შხუილი ეწმოდდა, არც დოლაბების ზრიალი, არც კაკლის ხეების ჭმა-მრავალი შრიალი. არც ის გაუგია, როგორ წამოეწივნენ ცხენოსნები. თორშე ჩამჯდარი რაინდები მოაგლეუბდნენ ცხენებს.

— ჰეჰეი! — შესძახა მოწინავე რაინდმა, ყველაზე ახოვანმა და სახიერმა. ყინვანამ დაჰვარა მდინარის შხუილი, ზოლო რას მისწვდებოდა ყრუ-მუნჯს. მხედარმა კისერი მოუდრიკა აქადებულ ცხენს. გვიანდა იყო. ცხენმა მკერდი გაკჭრა ჭვევით. შარაგზაზე დაგორდა მხატვარი.

ბედით გადარჩა დათქერვას.

დაქვეითდა რაინდი, ზეწამთაყენა დავარდნილია შეათვალიერა გაკვირებულით.

— ზომ არ დაყრუვდი, ძმობილო?

იოვანე გაოგნებული უმზერდა რაინდს. ვერ გაეგო, რა მოხდა. უეცრად შეძრწუნება დაეუფლა მხატვარს.

— დამუნჯდი კიდევაც? — ოდნავ ვაწყრა რაინდი. მერმე გრაგნილი შეამჩნია, შარაზე დავარდნილი. აიღო, მიაწოდა. აზრმიუცემლად გამოართვა იოვანემ: გულში ჩაიკრა გრაგნილი, თან თელს ვერ აშორებდა რაინდს, მის დათორილ მკერდს. უფრო — მის მხარ-მკერდზე მოგდებულ მოყირმიზულ თივთივის ჩაბალახს. მისი ნახატობა და ნახელობა თუ იცნო მუნჯმა.

— ყრუ-მუნჯია, ყინცვისელი მხატვარი! განუმარტეს რაინდს.

უეცრივ იოვანემ ხელი შესტაცა ჩაბალახის ყურს... ლბილი თივთიკი და ყირმიზის ოქროშვედი იგრძნო... ზელს კი ველარ გრძნობდა. სადღაც გულის სიღრმეში ბრმა ტკივილი იშვა, უეცრად ამოქმედა ტკივილმა. ჩაბალახის ყურში გრაგნილი გამოუსკვნა, მკერდზე დაუსვენა რაინდს.

მიხვდა რაინდი. იაშა. ხმამალლად შეესიტყვა იოვანეს:

— ჩემ ლელაის მივართმევ, შარაგზაზე დავარდნილ ყრუ-მუნჯ მხატვრისაგან, — მხარზე დაადო ხელი, თანაგრძნობით მოუთათუნა, მერმე ცხენს მოახტა, ჩორით დასძრა. თან ვაჰყვა მაყრიონიც.

მტვრიან შარაზე იდგა მტვერნაყარი ყრუ-მუნჯი შემოქმედი. იდგა, დიდხანს იდგა. გზა იკლანებოდა, ტორტმანობდა გზა, მაყრიონს მისდევდა უკან:

რბევით, ზანზარით... მტვერის თეთრი ბოლქვები ქარგაკრულ სუღარებზე იშლებოდნენ და იფინებოდნენ.

უძრავად იდგა იოვანე. მერმე მობრუნდა, ტანშეძრულ ნაწიჯინა შექნის-ნა ყინცვისის ბილიც. მწუხრის ეამს, მასავით ყრუ-მუნჯი იყო ბილიცი.

არ იცის იოვანემ რამდენი ზანი გავიდა, რამდენი დღე-ღამე. იცის მხოლოდ, რომ ეხლა საღამოა. კაკლის ხეებს კარგახანია მოზიდული ჩრდილები დაეზინათ, მერმე ძირს დადრკნენ ჩრდილები და ეხლა, უსხეულო მაცვალებულელებით წვანან გაღაფანში.

გუმბათი ჩაიბინდა. მუჭი და მური წაიციხა. ჩრდილ მორყეული, წაფერდებულად უჩნდა იოვანეს. გაღაფანში და სადგომებში მხოლოდ მსახურნი და ფარეშნი ფუსფუსებდნენ. ერი საყდარში იყო. ყველა იქით ილტვოდა. იცის, თავის თვალით ნახა მაყრიონის მოსვლა.

ჯვარასწერაზეც ურბნელი მობრძანდა. სტუმრებიც უამრავნი იყვნენ. ჯვარასწერთ ვერ შეხვდა ოღონდ. ვერც საყდარში შედგა ბიჯი.

მაგრამ როცა შიშვე ბინდი ჩამოწვა, რალაც უსაშველო მარტოობა იგრძნო. იგი მარტოობაში იყო აღზრდილი. გარე სამყაროსთან მხოლოდ ფერი და ხანი აკავშირებდა ყრუ-მუნჯს. ღამე მუდამ სულიერ უძღურებასა და სიცილიერეს გრძნობდა. ყოველი ბინდი ღამე — მისთვის სამარე იყო უფრო. ეს ღამე კი განსაკუთრებით ბინდად და შავად უჩანდა მას. აღარც არსებობდა თითქოს... მხოლოდ გულის ძგერას, ტკივილამდე დასულ გულის ძგერას გრძნობდა. უცერივ ციციანათელა გაპლანდა, ძლივს და ბეტუავდა რიცი. ჩაქრობას პლამობდა... შემოღვამის, უკანასკნელი, ფერწასული ციციანათელა ალბათ. იქნებ არც იყო ციციანათელა, არამედ სანთელ-ანთებული ვანმე მლოცველი — ან მიფერფლილ იმედის უკანასკნელი ნაბერწკალი. საყდრის კართან გაუჩინარდა სხივი. იქნებ საბაბი იყო მხოლოდ — აქ თუ გადაწყდა ყრუ-მუნჯის ბედი. იგი ფიცხლავ ადგა, სწრაფი ნაბიჯით მიწვედა კარს — ფიქრზე სწრაფად, რომ არ მოებრუნებინა ფიქრს — შეიდიდა საყდარში. კუთხეში მიდგა უმაღ.

არავის შეუმჩნევია მისი შემოსვლა. უამრავი ხალხი გატაცებით უმზერდა ჯვარდაწერილთ. უსმენდა ურბნელის ლაღადისს. ქალის ველამტრებით განათებულ საყდარში დაკუბული ჩურჩული და საკმეველის სურნელი სუფევდა. ჩრდილს დაეძებდა, კუთხეში იკრუნჩხებოდა მუნჯი შემოქმედი. ასე გრძნობდა: თითქოს მას უმზერდა ყველა. ერნი და ბერნი დასციინოდნენ, ხითხითებდნენ ზელმოფარავით. ნაერთი უზარმაზარი მრუდე თვალი უმზერდა და ჭილაედა მას. ვერ გაუძლო, ხელები აიფარა სახეზე. არ უსმის ყრუ-მუნჯს ურბნელის ზვიადი ლაღადისი, გუნდის გალობა, მხოლოდ საკმეველის სურნელი უთრფოლებს ნეატოებს და შორეულ წარსულს, მეხსიერებაში ღრმად დაშთენილ დედის კალთას აგონებს იგი. მისი მთელი ცხოვრება ხომ ცხალთ დანახული სიზმარი, ან სიზმრად ნასახი ცხადება იყო.

შინაქრავი სიზმრები იცოდა ყრუ-მუნჯმა; შიშის შეეხადებაც რომ არ ძალუძს ხმის აოღდმით შეიმსუბუქოს, რალაც რომ მოაწვება ყელში და იქ ურდულივით ჩაირაზება.

ერთი სიზმარი განსაკუთრებით სდევდა მას, აი ეხლაც თვალდახეული სდგას მის მიერ შექმნილ მხატვრობის წინაშე, განირაღებულ საყდარში, ზალხის წინაშე და ხედავს იმავე სიზმარს.

მიდის ანთებულ საკირებს შორის. ცხელა, მეტად ცხელა აღმური ედება, სიმწრის ოფლი ჩამოსდის. საკირებს ძირმწვანე ალის ენები შებშიათ თავებზე. ზოგან ვარვარა ქვანავეერცხლებად ჩაშლილან უქვე. ერთგან ფეხა ჩაესხლტა დაბნეულს. არა, ნიადაგი გამოეცალა ფერხითი. აი ეხლაც სდგას და ვედარ გრძნობს ნიადაგს. ხელებს ასეხავეებს, პირს ალებს რატომღაც, იქნებ ხმის ამოდებას ღამობს მუნჯი, მაგრამ ურდული უძევს ხახაში. წამიც და საკირეში დაეშვა თავყირა. უშქარი ძირმწვანე ალის ენები შემოესივნენ სხეულს. უშქარი კბილები გაქრეს. აი თავად ჰხედავს, როგორ ნახშირდება მასი მკლავი, ხელი, სხეულის ყოველი ნაკეთი. როგორ ვარვარდება ძვლები, ნავეერცხლებად იქცევიან, მერმე ნაცარ-ტუტად, თუ კირნარეე ხრეშად. საოცრად იკლავება ნახეულევი... იხვევა, შრება, კირქვევდება... ბოლოს გაცივდა საკირე — საკირეში ნივარა ანდა. უბრალო ლოკოკინის ნივარა. ოღონდ ლოკოკინა არ იყო შიგ. მხოლოდ ნაჭუჭი. ცალფერი იყო ნაჭუჭი. საკირეს ცეცხლზე მზარავი იყო ეს საშინელი სიცალიერე.

თვალი გაახილა შეძრწუნებულმა იოვანემ.

საყდარში თითქმის აღარავინ იყო... სიცალიერე, საშინელი სიცალიერე იყო საყდარში. თითქოს ნივარას ჰგავდა საყდარიც.

ხატებთან ბერი-მნათე დადიოდა, აქრობდა სანთლებს. შეაკვირდა მნათეს, წელში დახვეული ებეწა. ნივარას ჰგავდა იგიც. მალა იხედა, გუმბათის კამარას შეახიზნა თვალი. ქალი ჩაექროთ. ფეიდანაც ხახალა ნივარა უმწერდა. გადმობრუნებული საკირე და ნივარა ხელი მოისწრო, — პირუჯვარის გადასახვა დააპირა, — ვერ შესძლო, — თითები ნივარებავით დახვევოდნენ, ლოკოკინა კი — ლოკოკინა არ იყო არსად.

გამობრუნდა. მნათეც გასულიყო. საქმეელის სურნელიც თუ გაიყოლა მნათემ. საფლავის ლოდების სიმძიმით დააწვა ბინდი... ნატორწილევი საყდრის ბინდი და მარტობა.

შეჰხარდა, პირველად შეჰხარდა მარტობა საყდარში. გაიჭრა კარისაგან. შეჯგუფული ხეობრები, ღეთის ვლახები, კიდევ იდგნენ გარე კიბეზე. შედგა იოვანე. მხოლოდ აქ, სანთლის შუქზე დაინახა ადამიანთა ტანჯული სახეები: ტკივილებით დაღარულნი, სენით დამახინჯებულნი, სულითა და ხორციით დატყენი და განწირულნი. სიბრახის და სანანულის გრძნობამ ერთდროულად შეიპყრო იოვანე. უბეზე გაიჭრა ხელი, მოაგონდა ოქროთი საცხე ქისები, შიომშა რომ უწყალობა გასამრჯელოდ. პა, ვიხცივის ანგელოზის საფასურად... ლელაის სახე-ხატულის სანაცლოდ. ფიჭრიც შეჰხარდა შემოქმედს, გადმობრუნა უბე. კიბეზე დაცვივდნენ ოქრო-ფლურები, დაგორდნენ, აჭრილდნენ. არც ეს გაუგია ხელოვანს. ვით მწარე ნალექს, ისე იშორებდა შიომშის საფასურს. რით მორიელების ბუდეს, ისე იჯიჯგნიდა უბეს. ფორთხავდნენ მის ფერხით ხეობრები, მათხოვრები — აცახცახებულ ხელებით მკრეფდნენ ოქროებს. სიბრახემ დასძლია იოვანე, ხელი დაავლო ერთ-ერთ ხეობარს, აიტაცა, ახლო მოზიდა, სულ ასლო: ჩახედა ხანეში. მას უმწერდნენ: ნატანჯი, მეტად მეტყველი, ზედმეტად მეტყველი თვალები. ქვეშეცნეულად მიხედა იოვანე, რომ ეს ხეობარიც მუნჯი იყო... და მუნჯის თვა-

ლებში საყვედური ამოიკაობა: „რას მერჩი, ამ კიბეზე შენს წინაშე მე ვფორთხავ, შენც ხომ ფორთხავ საღლაც, იქნებ ცოტა მაღალ კიბეებზე იქნებ გზაზე... ჩვენ ყველანი გადათელილნი, განწირულნი ვართ და ამ პირს საშველი არსად“.

გველნაკბენივით უტია განზე იოვანემ. ღამის წყვილიად შეეხიზნა.

საარაკო ქორწილს უხდიდა შიომ თავის ერთას. უამრავი ხეცატაკი დაიგ-
ლა, უამრავი ღვინო შეისხა. მრავალი სადღეგრძელო ითქვა. ნელი შებრუტე-
ბული ტატიოთ ივებოდნენ და იცლებოდნენ ვეება ყანწები და საწყდღურე-
ბი. სიძეც სახელოვანი ჰყავდა შიომს—ბერდა გვარელი... თვით მეფეთა-მეფის
თამარის არჩეული, პირმართალი ვაჟკაცი და უებრო რაინდი. ახლაც შორე-
ულ ლაშქრობაში მიჰყვებოდა თანატოლსა და თანშეზრდილს — უფლის-
წულს. ნაქორწილევს უმალ უნდა დასწეოდა ლაშქარს.

თამარის ბრწყინვალე კარზე ხანმოკლე ყოფნისას გაიცნო ლელაიმ ბერდა-
ნორჩები იყვნენ ორივე. მერმე ნიშნობაზე იყო ბერდა ძამას ციხეში, ახლაც
ქორწილი. ნაკლებად იცნობდა თავის საბედოს ლელაი. ყინცივილიდან წამო-
სული მოაქენებდა ცხენს. არად აკლებდა მაყრიონის ჩამორჩენას. თავნებაა
ლელაი, შიომის პირმშო და მხოლოდშეთენილი. ბერდა-რაინდის გამოცდაც
სწადს, იქნება უკანასკნელი ნავარდიც სწყურიაა ჯვარდაწერილს. მოოქრო-
ვილ ქოშის ქუსლი მალულად აკადრა ქურანს. ნახტომი უფრო გაშალა ქუ-
რანმა. ბერდა-რაინდი მიჰყვა მხოლოდ, შიომმაც დასტყვილა თავის საღარა.
შორი-ახლოს მიჰყვებოდა იგიც. მაყრებმაც მიუშვეს ცხენები. მოგუგუნე სიმ-
ღერა კორიანტელივით მოგორავდა ჩაღამებულ შარაზე. გზა-ჯვარედინზე და
მოსახვევებში მეჩირაღენი ხედებოდნენ მაყრიონს. ლაპლაპა შექზე ცხენოს-
ნები უეცრივ ამოიზრდებოდნენ და სწრაფლ ჩაიკეცებოდნენ ბინდბუნდში.
ხამრავალი ჰუპუ რჩებოდა უკან.

დაწინაურდნენ ლელაი და ბერდა. ქალს მოსწონდა რაინდის არული. გე-
რეთ ცხენს უწონებდა მხოლოდ. სასახლის წინ, ალაყაფთან, ცხენიდან ჩამოხ-
ტომა არ ისურვა ლელაიმ. არც შეაჩერა. უტევეს მეჩირაღებმა. ბერდა-რაინ-
დიც მიჰყვა. ცხენი დაუფრთხა მხოლოდ. მტკიცე მკლავით დაიოკა უმალ არც
მაღალ კიბესთან ისურვა ლელაიმ ჩამოსვლა. ოდესღაც ძამას აღუთქვა ზემ-
რობით: „ამ კიბეზე ცხენს ამოვაქენებო ჩემს ქორწილზე“. ახლა მოავონდა
ლელაის. თავისნათქვამა იყო თავადის ასული. რაინდიც ვერ დასჯაბნაა გე-
რეთ. კიბეზე მიაგდო ცხენი, ზე-შეაქენა სულმოუთქმელად. ნალეპმა ცეცხლი
გამოკვესეს კიბის ხარისებზე. ოდნავ შეყოყმანდა ვაჟი. გოროზ სიმამრს არ
სწყენოდა ასეთი ქტევა მერმე მათრახი ვადუქირა ტაიჭს. ყალყზე შედგა
ტაიჭი, დაკრა კამარა. ერთ ნახტომით ახტა შუა კიბეზე. კიბის მიღმა გადაც-
ვივდნენ მეჩირაღენი. კიბის- თავთან მისწვდა რაინდი ლელაის. უმალ დაქ-
ვეითდა, თვითნებურად წელში შესტაცა ხელი და ძირს ჩამოსვა.

ამა ლელაის ვაჟის მკლავი და არც იამა.

უმალ თაფლი და შარბათი მოართვეს მეფე-დედოფალს.

— ეი შემისრულე მუქარა, ლელაი-ჩემო, მაგრამ მეუღლევც ღირსეული
შეგახვედრე, არც ის ჩამოგრა...—შორიდანვე როზროხებდა ნაამები შიომ...

— ვეყო, გავონილა ამ სიმაღლე კიბეზე ცხენდაცხენ ასელა... ზოგი ძლიერს
აფორთხდება ზოლმე ზედა...—დაყვავებით სტუქსავდა სიმამრი სიძეს.

— გაგვიდიდგულდნენ ახალგაზრდანი, ლაღმა დრომ მოუწყურათ, — გაბარებული „შესჩიოდა“ სტუმრებს თავადი.

გათენებას, დაღამებას, ისევ გათენებას, მხოლოდ შეჩირაღენა... აქრობდნენ და ანთებდნენ ჩირაღებს. ლხინა ჯირითი მოსდევდა, ჯირითს ყაბახი. ან ისევ დრომა... შაირი და პაექრობა, შუშპარი და ფერბული. ყველგან პირველობდა ბერდა-რაინდი. ხელმოფარვით შესცქეროდა ლეღი და გულს სითბო ეფინებოდა თანდათან. უკვე ცნობისმოყვარეობაზე მეტი იყო ეს ჩუმი თვალთვალი. ისიც შენიშნა ლეღამ, რაინდიც მალულად შეპაპებდა მას... თვალს გააჩრდიბდა უმაღ. ამ წუთიერ შეხედვაშიც გაეჭურ უტეობას პერძობდა ლეღი. თავნება ასულს აკვიმატებდა ეს. მალული ქიშპობა იყო მათ შორის.

ღღეები ველარ ივარაუდა შიოშმა, სოლო ყურში ჩააწვეთეს, შეახსენეს ლაშქართ მიმავლობა სიძისა...

შწუხრისას სუფრა გარეთ გააშლევინა, დიდ კაკლის ქვეშ ირჩია. მესაწოლე ფარესთ ლეღის მოსვენება უბრძანა. სიძე მოხსნო, ბრაზნარევე ბრინწით შეესიტყვა:

— ცხენები დარახტულია უკვე, ხეღ აღრეულად დიდი გზა გიწვეს, ევეო, ლეღისაც მტაცებ... — ყვრიმალი შეისრისა მოხუცმა. — ეპ, ვაჟი შემარჩენოდა კიდეც... — სიტყვა აღარ დაამთავრა თავადმა, სანთლის არაყი მოატანინა, დააღვინა სიძეს...

— შენთვის გამაზრდია ანგელოზი... მჩაგრავ მოხუცს და ისაა, იცოდე, შენც მოხუცდები, ევეო... — კენტი ცრემლი გაღმთავდო ნამთვრალევა მოხუცმა. იმორცხვა რაინდმა, თავი დაჰხარა. უმეტესს შეწითლდა ისიც ნაღვინევი. გულის ზიდვამ შაინც დასძლია ვაჟი, სისახლისაყენ გაეპარა თვალი. შიოშმა ბაღდადით მოიწმინდა ნაირევი შუბლი, უღვაშებზე გადისვა ბელი, გადაჰკოცნა რაინდი, მერმე ყურში დასწვდა, აუწია გულდაგულ, დაოკებულ სიბრაზით აუწია ყური, და ჩუმაღ დაითხოვა სუფრადან. თავად ჩაუღგასუფრას თამაღად, ვეება ყანწები მოატანინა მსახურთ, ფანასკერტელთ საგვარეულო ყანწები.

ფარეშმა მიაცილა და ზედ კართან ჩაუქრო ჩირაღი. დაკაქუნება არ იკადრა რაინდმა. იცას — ათასი საუენიახო ყური და თვალი აქვს ჩაბინდულ ტალავარს, კიბეს. ღეღაბრები, გამზრდელები, ძიძები „ხელის მადლს“ მოსთხოვდნენ, „პირის ნახვისას“, „სასთუმლის გაშლისას“, „ძილის ტეხისას“ და ათასს სხვა საქოქმანო და ორქოფულ მიზეზის გამო. ჩუმაღ მოსწია კარი. შუა კაკვით იყო დაკეტილი შიგნიდან. ხანჯლის შვილი შეაპარა კარდაკარ შუა, ამოაგდო საყვრი. ახლა ჯიბეზე გაიკრა ხელი, მარჯვნივ და მარცხნივ გადაჰყარა ოქროს ფლურები, თავად კი მოსმით, უფლებამოსილობის შეგრძნებით შეაღო კარი. შიგნიდან ჩაიკეტა უმაღ. დააყურა — ფუსფუსე და კიბეზე ფორთხვა ისმოდა გარედან. მამინ შემობრუნდა ბერდა-რაინდი. ერთადერთ სანთლის შუტბინდზე იხილა ლეღი. გახედა ულოდნელად. მის წინ ყინცივის ანგელოზი იყო სკამლოვინზე წამომჯდარი... იმავე სახით... იმავე სამოსში... მან საყდარშიაც შენიშნა ეს მსგავსება. მხატვარი მოაგონდა მამინ, გზაზე დავარდნილი მხატვარი. ვაჟის გულმა მისწულად იგრძნო, რომ აქ მარტო ოსტატობა არ იყო ჩაქსოვილი. ახლაც დაიბნა, ვერ გაეგო, მის წი-

ნაშე მხატვრის ნაოცნები წმიდანი იყო, თუ ფანასკერტელის თავგება/და ფიცხი ასული.

ქალმა იწყინა ვაეის ასეთი უტიფარი შემოსვლა პირი ზმბრუნს/სანამ მე ჩამოვარდა უხერხული. ბერდას გრაგნილი მოაგონდა ჩაბალახის ყურში შემბღლი. მიაწოდა.

— ლელი, გზაზე დაეარდნილმა, ყრუ-მუნჯმა მხატვარმა მოგართვათ...

— იოვანე მუნჯმა—ფიქრმა უკბინა ლელაის. ამდენ ზანს არც მოპოვებია მხატვარი, ესლა კი ეტკინა, რატომღაც ეტკინა ეს „გზაზე დაეარდნილი“. ვამოართვა გრაგნილი. გაშლა სწადა, სანთელს მოავლო ხელი. უეცრივ ფაეის შიშივე, მაგარი ხელი დაედო შაჯაზე, სარეცელისაყენ მიზიდა ქალი.

ლელაიმ თვალი დახუჭა. არა, ეს ის ლბილი, მოკრძალებული ხელი არ იყო, შინაგანი თრთოლვით შეძრული ხელი, ხარაჩოსაყენ რაჟ მიპზიდა ყინცვისში. არამედ — შიშივე, მაგარი. ნებამტკიცე ვაეური ხელი იყო. თითქოს უფლება-შოსილი ხელი.

გრაგნილი გაუვარდა ლელაის. გადახრილ სანთლის ცრემლებიც დაედვენთა იატაკს. ჩაქრა სანთელი. იატაკზე საკინძის სადაფის ღილაკები დაცვიფდნენ კიდევ. იუკადრისა ფანასკერტელის ერთამ ასეთი საარაკო უტიფრობა, მაგრამ ბნელაში თითქოს შამის სიტყვები იყო დარხებული:

— „კი შემისრულე ბუქარა, ლელი ჩემო, მაგრამ მეუღლევ დირსეული შეგახვედრე“...

...და ლელაიმ სიბნელეში იგრძნო, რომ იგი აწ კიბეზე ვეღარ ამოაქნენებს ცხენს. მისი და ყინცვისის ანგელოზის გზებიც გაიყარნენ. ეტკინა ლელაის სადაფის ღილაკებს, ცრემლებიც მიპყენენ მდევრად.

...სარეცელისაყენ ლტოლენასს ვაემა გრაგნილს ფეხი დააბიჯა, უცაბედად დაათლა გრაგნილი. არც გაუგია, ისე დათელა.

ომახი, მკერდსაყენ ფშვინვა ესმოდა ლელაის. გვერდით დაფურებულ სტელს გრძნობდა. ალბათ, დიდი დრო გავიდა, იქნებ საუკუნე.

არ ეძინა, თვალი ვერ მიელულა ლელაის. სარკმლის ლანძვებში საყენ შთვარის სხივი ჩამოიდვარა. ლელაიმ სხივს გააყოლა თვალი. სხივი იატაკზე დაგდებულ გრაგნილს დაადგა. ჩემათ ადგა ლელი. აილო გრაგნილი. აბრე-შუმის ყაითანი შეჩანა სათუთად. სარკმელთან გაშალა — შთვარის შუქზე. ყინცვისის ანგელოზი ეხატა გრაგნილზე... და იქვე ქვემოთ, ანგელოზის ფერხით, მუხლ-მორთბული მლოცველი, კელაბრით ხელში. სხივი მხოლოდ გაფითრებულ შუბლსა და ზომიერ შავ წვერ-უღვამს უჩენდა მლოცველს. იცნო იგი ლელაიმ. ისევ ეტკინა გული, იმდენი მუდარა იყო ამ ხატულში... უტყვი, გამოუთქმელი მუდარა. ლელაიმ მალულად გადახედა ნებიერად მიძინარე ბერდას.

მოვარე ჩიბუბნა ღრუბლებში. ბერდა ვერ გაპლანდა ქალმა, მხოლოდ ომახი, მკერდ-საყენ ფშვინვა — ისმოდა რაინდის... რალაც უცხო იყო ამ ფშვინვაში... იყო უცხო და არც იყო, მხოლოდ გმინვა არ ყოფილა არამც. გრაგნილს კი გმინვა ასდიოდა უტყვი.

...და უეცრივ გარდუვალი სურვილი შეეჭიდა ლელაის. უკანსკენლად ყინცვისის ასვლის სურვილი. მუდროში მიჯდომა და ოცნება მომავალ რაინდზე. თავის მოყირმისული ოცნება შეეცოდა ლელაის. იგრძნო: ყველა ოცნებანი იქ დარჩა ალბათ ყინცვისის ანგელოზს, მას კი ქალის განწირულო-

ბა შერჩა. ტლანქი სინამდვილე, ფრთაშეკვეცილი თავისუფლება. ო, უნდა ავიდეს ახლა, ახლავე. ხეალ დილით უკვე ქმარს გაჰყვეს უნდა. უნდა იქნის, როდისღა ნახავს ყინცვისის ანგელოზს. დიახ, მხოლოდ იგი ამოძრავებდა ლელაის. ასე ირწმუნებდა თავს, აქ იყო პირველი ბზარი. არწმუნებდა და არც თუ სჯეროდა თავისი. ხელად მოეშადა. შეისწორა ოდნავ დათელილი „ყინცვისის“ კაბა. მოიგდო ქმრის ნაბადი და ჩაბალახი. ჩუმად გავიდა დერეფანში. უკანა კართი გასხლტა თავლისაკენ. არვის გაუგია მისი გამოსვლა. აქა-იქ ბეუტავდნენ ჩირაღნები. სთვლემდნენ გადაინთვრალი მეჩირაღნენი. კაქლის ქვეშ კიდევ ღრეობდნენ საყინძე გახსნილი ბერი-პაპანი.

თავლასთან ლელაიმ ცხენი გაპლანდა დარახტული. მისწვდა, მიეაღერსა. მოუშვა ცხენმა, უტია ქერის ხრამუნს. მიიღერა მკერივი კისერი, ქალის მკერდს შეახო ნესტო. მიყუჩებულმა ყრუ-ლამ გადაურბინა ქალს. ვაჟის თავნება ხელი თუ შეახსენა მკერდმა.

ბერდას ცხენი იცნო ლელაიმ. იამა და არც იამა. მოსართავი შეუტყირა ცხენს, ლეგამი ამოსდო, ჩუმად გადიყვანა უკანა ბილიცზე. შეცდომისას უჩვეულო სიმძიმე იგრძნო. ძველებური სისხარტე აღარ იყო წელში და მუხლებში. ვაჟური უნაგირი ეხამუშა. ცხენმა თავი მოსტაცა უმაღ. გააპირდა-პირა გზისაკენ. ღობეებს გადაეველო ააგზე. ძლივს მისცა ცხენის არულს საჭირო გეზი. გრივალეით მიჰქროდა ცხენი. ტვირთი თუ ემსუბუქა დარახტულს. უკან ჩამორჩა მიძინებული ციხე-სოფელი. ძაღლის როყით ყუფა გასხლტა სმენის მიღმა. შერამე ბოგირის ძელებზე ფლოჭვების ხმიანხ. გახელებული ტაიქი ძლივს შეაბრუნა საყდრისაკენ. აღმართზე მოუშვა, აქ კი დაიოჯა ცხენი. მიაღწია გალავანს. მიიბა იქვე. მცირე ჰიშკრით ჩავიდა გალავანში. არც აქ შეხვედრია ვინმე. საყდარს მიაშურა ლელაიმ.

საყდარი კურთხევის შემდეგ არ იტტებოდა არაოდეს, მაგრამ ფართოდ გაღებულ კარს მაინც არ მოელოდა იგი.

— შიგ არ იყოს ვინმე მლოცველი? — გაათქირა და ჩუმად შესხლტა ნაბად ნახვევი.

...ყინცვისის ანგელოზის ფერხთით იდგა, მუხლთმართონმული მლოცველი კელაპტრით ხელში. სხივი მხოლოდ გაფითრებულ შუბლსა და ზომიერ შავ წვერ-ულეაშს უჩენდა.

იცნო მლოცველი ლელაიმ. ხოლო ეს კი ვერ გაეგო, გრავნილს უმზერდა, მთვარის შუქზე განათებულს, თუ სინამდვილეს, ყინცვისის წიაღში შემთხვევით შესწრებულს.

დიდხანს იდგა ლოცვად ყრუ-მუნჯი. არც ირხეოდა. პირჯვარს ისაავედა ხანდახან. იქვე ახლოს, თადის ბინდ-ქვეშ იდგა ლელაი. ხელთ გრავნილი ეპყრა შეძრწუნებულს, იდგა და ვერ დაერღვია დიადი სიჩუმე.

უეცრივ შეიბზა მლოცველი. ზე-წამოდგა. კელაპტარი შემართა. ლელაიმ მხოლოდ ესლა შეამჩნია სარკმელთან მიყუდებული კიბე. ზედ შედგა ფეხი იოვანემ, მარჯვნივ დასწვდა ქილაკში ჩაწებულ ფუნჯს. ავიდა კიბეზე, მისი ჩრდილი შავად დაედო ყინცვისის ანგელოზს. ჩრდილს ანთებული კელაპტარი ეპყრო და ფერმუქი ფუნჯი. კრივა შეეკრა ლელაის. მიიქრა კიბის ძირს.

იქნებ სანთელს ჩამოეღვენთა ცხელი კურცხალი, იქნებ ყრუ-მუნჯის დაწვებზე დაგორებული ცრემლი იყო — ლელაიმ არ იცის. იცის მხოლოდ, რადაც ცხელი, მდუღარე დაეცა მას ზემოდან, დაუდღერა დაწვი. ჩამოკყვა

ლოყის, პირის უბემდე ჩამოაღწია. იქ შედგა წვეთი, სადაც გალიმების მტერი ორმული უკამაშებდა ლელაის.

არ მიიწმინდა ლელაიმ უცხო ცრემლი. მისი მიერი ცრემლს მისი მიერი.

რა მოიპოქმედოს ლელაიმ. ფუნჯი აწინებს ლელაის. ხელი თუ აღმართა შემოქმედმა... კიბე გამოუშალოს. მიწაზე დააბხოს, დაანარცხოს მუნჯი. ვერა, ვერ შეპბედა ხელის შემლა. საწინელი სიცხადით იგრძნო, რომ ყინცვისის ანგელოზი მხოლოდ ყრუ-მუ... შემოქმედისა იყო, მხოლოდ და მხოლოდ. ალბათ ერთად-ერთიც, რაც ოდესმე მის გააჩნდა უძვირფასესი.

დახუტა თვალები, კიბის ძირში ყრუდ აქვითინდა ლელაი. წასვლას ლამობდა, მაგრამ ფეხი ვერ დაეძრა, სიმწრით მოქანცულს. მალე ფუნჯი ჩამოვარდა-ზემოდან. მუქ-რუხი ლაქა დააჩნია იატაკს. მას გათავდა — აღარ არის ანგელოზი.

შეტორტმანდა ქალი, მოსმით შეაპყრო მზერა.

არა?! ყინცვისის ანგელოზი მიბინდულ სილამაზით ისევ უმზერდა ლელაის, უფრო მიმზიდველი მოსჩანდა. იგი. მხატვარს ახლა მუქი ზოლები ჩაეყოლებინა აშლილ ფრთებში. მუქ-რუხი ამით ქვედა კიდეში თავის სახელი წაეშალა იოვანე მუნჯს. აღარ იყო მოხდენილი ასომთავრული.

მიხედა ლელაი: თავის გული გასწირა შემოქმედმა, ოღონდ ლელაი ვერ გასწირა მაინც. მხოლოდ ეხლა იგრძნო ქალმა: ვითარ კანუზომელად მადლა სდგას იგი მასზე, ბერდაზე, შიომზე — სულგრძელობით, აღამიანურად სიღაქიზით და სისპეტაკით.

მუხლი შიართხა ფანასკრტელის ასულმა.

არც შებრუნებულა, ისე ჩამოვიდა კიბეზე მუნჯი. ახლა ქვევიდან შეპბედა კედელს, სადაც მან ასეთი სასოებით გამოჰხატა ასული, რომელსაც უშურველად მიუძღვნა მთელი თავისი ნიჭი, ძალა, გულის სიმზურვალე და ოცნების სითბო.

მაგრამ იქ... მალე ველარაფერს პბედავდა იგი. იქ რაც იყო, მისი არ იყო. აღარ იყო მისი. შავი, სამგლოვიარო აშია ასევალებდა ანგელოზის ფრთებს, შირაგანდელს, ტერფებს. და რაღაც გაუგებარ ფერთა თუ ზილვათა თამაშის გამო ეს სიშავე დიდ, პირლია ცალიერ ნიყარად მოეჩვენა იოვანეს. კელაპტარი შეუტოკდა მხატვარს. თათქოს კედელ-ხატულებიც შეტორტმანდნენ კამარებზე. თავი ჩაპლუნა, თვალებზე ხელი იტაცა მუნჯმა. სახე აღარ უჩანდა — თითქოს კელაპტარი ადგა მხრებზე, თავადაც კელაპტარივით იწოდა მხატვარი. ამ დროს ხელი შეეხო მის. შეკრთა ყრუ-მუნჯი, მოიხედა — მის წინაშე ყინცვისის ანგელოზი იდგა. დიახ, მის მფრ დახატული. შავ აშიიდან თუ ჩამოდგა, კიბეზე ჩამოვიდა და მის შემოქმედის წინაშე წარსდგა სევდიანი და უსაშველოდ მიმზიდველი.

შეაკვირდა მხატვარი, ღრმად ჩაპხედა თვალებში, სულის ფსკერს თუ ჩასწვდა. ვერ გაუძლო მზერას ფანასკრტელის ასულმა, თავი ჩაპლუნა. მაგრამ საკმაო იყო თვალმისან მხატვრისათვის, გულმეცნიერ შემოქმედისათვის, ან უფრო უსასო მიჯნურისათვის — სრულიად საკმაო იყო.

თვალის კილოებში, მინაბულ მზერის უკუფენაში მან შეამჩნია ახალი ნაკვი, ოღნავი კდმა, ოღნავი თენთი.

მიჯნურმა იგრძნო: მის წინაშე იდგა ნებიერი მანდილოსანი და არა კდმა-მამოსილი მეოცნებე და თავნება ქალწული. არა, მის წინაშე ყინცვისის ანგე-

ლოზი აღარ იდგა, არამედ მისი ორეული, ფრთაშეკვეცილი და შინაგანად მოღუნებული. ელვამ გადარუჯა მიჯნურის სახე. ნაბიჯი წარსდგა ქალისკენ. იგრძნო ქალმა, ყოველი ამოიკითხა მუნჯის მეტყველ თვალებში. უკან დახრ-
კა. ილტვოდა ლელაი. მონუსხულივით მიჰყვებოდა კელაპტარ აღმართული მლოცველი და ყინცვისის ანგელოზის შემოქმედი. თითქოს ყველა კედლე-
ბიდანაც ჩამოვიდნენ უზარმაზარი კედელ-ხატულები: მონაზნები, ბერები, განდგომილები, მამათმთავრები, წმიდანები, მეომრები, მეფეები, მთავრები... მოსდევდნენ გაქცეულ ყინცვისის ანგელოზს და მის შემოქმედს.

ილტვოდა შიშნაკრავი ლელაი, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მუნჯი. კარის ზღურბლზე ფეხი წაიკრა ლელაიმ, მერმე — კიბეზე დაეშვა, ხეიბართ კიბეზე. ანაზღად ცხენის კიხვინი შემოესმა ვალაენის ბკიდან. ბერდა გვარელი მოა-
გონა ტაიქმა. მეუღლე მისი. აზიდა წელი, გაეხვია ქმრისეულ ნაბადში, მი-
სივე ჩაბალახში შეხიზნა სახე და უეცარი ძალა და საყრდენი იგრძნო. შე-
წამოიჭრა, უტია განზე. კაკლის ხეს ამოეფარა გამწყვრალი.

გვერდით ჩაუარა ყრუ-მუნჯმა. მიანადებდა კელაპტარს და ისე მიდიოდა მთვარეულივით. თითქოს წინ ისევე ანგელოზის ნეტარი ჩვენება მიუძღოდა.

ვალაენის კიბეს მისწვდა მხატვარი. მეტი აღარ დაუცდია ლელაის. გავარდა კარი-ბჭეში, ცხენს მოასტა, მყისვე დაეშვა თავქვე. ბილიკი ვარს უვლიდა ხეობას და მერმე ბევრად ქვევით ვალაენის ძირში გაივლიდა ისევე. იქიდან ზე-
შეხვდა ვალაენს მხედარმა. მალაა ზედ ვალაენზე ჩრდილი მოსჩანდა მთვარე დაკრული, წინ ციცინათელასავით ბუტბაღა კელაპტარი. აი კუთხეს-
თან მივა მალე, მერმე კედელი უზვევს მარჯვენა. ცხენი შეაჯავა მხედარმა. გულის ძგერით უმზერს მთვარეულს. კივილი აღჩნობს ლელაის. გულის კი-
ვილი. აი ცოტა კიდევ და მობრუნდება, ცოტა კიდევ...

არა, არ მობრუნდა — შედგა, შეჩერდა... არ გადმოვარდეს! არ გადმოვარ-
დეს! კივილი ებჯინება ყელში, მაგრამ ხმა თუ დაჰყარა ლელაიმ, ენა თუ ჩაუყარდა. დამუნჯდა იქნებ, დამუნჯდა თავის შემოქმედივით, აი იქ ვალაენ-
ის მიუწყდენელ სიმაღლეზე რომ სდგას, ანთებულ კელაპტრით. სდგას და ტორტმანობს, თავდაც იწვის კელაპტარივით.

... და კივილი ვაიკაწრა ბილიკზე. დაფრთხა ცხენი, მოსტაცა თავი. ქენებით დაეშვა თავქვე. ხეობის ბინდიდან გავარდა. მთვარედაღერილ ბილიკზე მიპ-
ქრის თმა-გაშლილი, ხელ-აპყრობილი ასული. ნაბადი გადავარდნია და ცხენს ეთრევა დამხობილ ჩრდილივით. ჩაბალახის ყურთ-მაჯები ქარდაქარ გაშლია ფრთებივით და თითქოს ბილიკი აღარც არის, სპილენძის ფერ სივრცეში მიპ-
ქრის მხედარი.

ვალაენის სიმაღლიდან თუ გაჰლანდა იოვანემ გაქცეული ანგელოზი. ფე-
ხი წარსდგა. გადმოაბიჯა სივრცეში, ვალაენის მიღმა, სპილენძის ფერ სივრ-
ცეში. შემობრუნებულმა მხედარმა თვალი შეასწრო მომწყვდარ ვარსკვლავი-
ვით ვადასერილ შუქს კელაპტრისას.

ჩრდილი ჩამოეთვარცხა ხეების კენწეროებს, მერმე ლორლიანს, ხრიალ-ხრია-
ლით ჩაგორდა, მხელ ხეობაში ბილიკის მიღმა.

უმეტესად დაფრთხა ცხენი. უგზო-უკვლოდ გაიტაცა ზარდაცემული ყინ-
ცვისის ანგელოზი. და გაქცეულ ანგელოზს ხელთ ეპყრო მისი შემოქმედის, ყრუ-მუნჯის უკანასკნელი გრაგნილი, როგორც ლოცვა უკანასკნელი.

ბონდო კუხელავა

მვიდობილი

დაგირბია მტერმა ბინა, დაგიკარგა დედა.
საქართველომ გაგიღიმა, საქართველოს ხედავ,
გეფერება ჩანჩქერები, გიფერება მთები,
მზის სხივებით იჭოჩრება შენი ქერა თმები.

ქართველ ქალმა ჩაგინუტა ვარდისფერი ბავშვი,
შენი ტრფობა ჩაწნულია ზავერდოვან ხმაში.
გაგიშლია „დედაენა“, წაიკითხე „ია“.
იან ყული მოიღერა, სითბო შეგაფრქვია.

გაიხარე, დედობილმა მოგიქსოვა წინდა.
იასავით სანატრელო, იასავით წმინდავ...
არ იტირო გენაცვალე, არ იტკინო ვული.
მომლიმარი შეგეყრება დედა დაკარგული.

უზანები ჩხიძე

გიორგი სანაძე

ტრაპიზია 5 მოქმედებად.

მოქმედები პირნი:

თეიმურაზ I — ქართლ-კახეთის მეფე.
დიონიზე — თბილისის მიტროპოლიტი.
გიორგი ხაკაძე — სარდალი და მოურავი ქართლისა.
ზურაბ ერისთავი — არაგვის ბატონი.

ქვეთარ ორბელი	}	ქართლის დიდებულნი.
ფარსადან ციციშვილი		
ქაიხოსრო ჯავახიშვილი		
ბარათაშვილი		
მუხრან ბატონები		
ამილახვრები		

ავთანდილ — გ. სააკაძის შვილი.
თენგიზ — ორბელის ვაჟიშვილი.
ბახუტა ჯიღაური — ორბელთან გაზრდილი გლეხი.

ელია დიასმიძე	}	სააკაძის ძმად გაფიცულნი.
მახუნა ვაშაყაშვილი		
მახუნა ჩივაძე		

გიგია	}	სააკაძის შვილები.
ტუხა		
დედას ბიჭი		
შველიკა		
პეტრე		
ნისო		
დათუნა		
გიგოლა		

იმერელი ჯარისკაცი.
თამარ — სააკაძის დედა.
როდამ — ქვეთარის დედა.
დარეჯან — ქვეთარის ცოლი.
მწვეინარ — ქვეთარის ქალი.

ყორჩი-ხანი — სპარსეთის ჯარის მხედართმთავარი საჩხრთველოში.

უსუფ-ხანი	}	სპარსელი სარდლები.
ალი-ყული-ხანი		

მოქმედება სწარმოებს ქართლში 1622 წლიდან 1626 წლამდე.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ქვემო ქართლი, სოფლითი.

ქვეთარ ორბელის კარ-მიდამო, დიდი ეზო გალაგნილ და საომარი ქონგურებით. მარცხნივ ილაყაღის რკინის კარები, მარჯვნივ ძველებური სახლი გრძელი, შეფოთილი სვეტებიანი აივნით. აივნიდან ეზოში ეშვება ქვის კიბე. შუა ეზოში აღმართულა ძველი მუხა, რომლის წინაც ჰქვის რგვალი მაგიდა დგას ქვისავე სიჯდამით. აივანზე სხედან: მოვლემარე როდამი, რომელიც ხანგამოშვებით კრიალოსანს ათამაშებს, დარეჯანი ხელსაქარვით და მზეციანარი დავითის ფსალმუნით. ეზოში მოშორებით ფარეკაობენ თენგო და ბახუტა, ჯავშან-მუზარადით შეჭურვილნი.

მზეციანარი — (კითხულობს) „რად განგვიშორენ ჩვენ, ღმერთო, სრულიად; განრისხდა გულისწყყრომა შენი მცხოვართა ზედა სამწყსოსა შენისათა. მოიხსენე კრებული შენი, რომელ მოიგე დასაბამისაგან; ისენ კვერთხითა მკვიდრობისა შენისათა, მთა სიონი, ესე რომელსა დაემკვიდრე მას შინა“.

თენგო — (ხმაღს დაჰკრავს) დამრჩი, კახელო!

(მზეციანარი შესწყევტს კითხვას, ზოგელმარე როდამი შეერთება და თვალებს დაჰქვტას).

ბახუტა — (დაკერას აიცილენს) ვერა, ბატონო.

თენგო — (კიდევ დაჰკრავს) დამრჩი, კახელო!

ბახუტა — (ისევ აიცილენს) ვერა, ბატონო.

თენგო — (შემოჰკრავს მხარზე) ეხლა ხომ მოგხვდა?

ბახუტა — მომხვდა, ბატონო.

(თენგო და ბახუტა მორთულობას ისწორებენ).

როდამი — რისთვის შესწყვიტე, მზეციანარო, ფსალმუნის კითხვა?

მზეციანარი — დავიღალე, დიდედი, ძლიერ.

შენც ხომ ჩასთვლიმე, სულ ერთია აღარ მისმენდი.

(მოფერებით) ეხლა ცოტა ხანს დავისვენებ, ზომ კი, დიდედი?

და შემდეგ, როცა მოისურვებ, ისევ გიკითხვა.

როდამი — (სიყვარულით) დიდო ეშმაკი რამ ბრძანდები, ვინც კი არ გაცნობს. ერთი უყურეთ, თავი როგორ მოიმკვდარუნა!

აჰა, სულ წაგალ, გავცლები, აღარ დავდგები.

(როდამი მიდის).

მზეციანარი — (დაედევნება, მოეხვევა) ჩემო დიდედი, მართლა ჯავრობ? არა გრცხვენია?

როდამი — აა, შე ცუდლუტო, დამაცადე, მე შენ გიჩვენებ!

(შედის ოთახში).

თენგო — აა დადექი, ერთი დარტყმა კიდევ ჩემზეა.

დარეჯანი — კარგია თენგო, გაათავე!

თენგო — აი ეხლავე, დედა-ჩემო, ერთი და დამრჩა.

დადექი მეთქი, ჯილაურო!

(ფარეკაობენ. თენგო რამდენჯერმე დაჰკრავს, მაგრამ ბახუტა აიცილენს. მზეციანარი დამბრუნდება. თვალს ადევნებს).



ბახუტა — (ორჯერ ზედი-ზედ მოახვედრებს)
 ორივე მკლავში დაიჭერთ, ბატონიშვილო.

თენგიზ — (გაჩერდება) მართალი არის, დაეიჭერი.

მზევინარ — ესლა რას იტყვი, ზომ დაგძლია?

თენგიზ — მართლა დამძლია ამ კახელმა.

ერთიე კიდევ და გავათავოთ.

ბახუტა — როგორც მიბრძანებთ, ბატონო ჩემო.

მზევინარ — ზომ ზედავ, გჯობნის, დაეხსენი, რად არ ეშვები?

თენგიზ — როგორ თუ მჯობნის?

აბა მიყურეთ, თუ მაჯობოს.

(იწყობენ ფარკაობას).

დარეჯან — როგორ იქნება. ეგრე, შეილო, აღარ ეშვები!

ბახუტაე წადი, მოეცალე მაგ დადარეულს.

ბახუტა — (განაგრძობს ბრძოლას)

რა ვქნა, ბატონო, რომ არ მიშვებს?

თენგიზ — (დაპყრავს თავში) მოგზვდა თუ არა?

ბახუტა — (განაგრძობენ) მოწხედა, ბატონო.

(ესლა ბახუტა დასკრის და ხმალსაც გაავლებინებს ხელიდან).

მზევინარ — აბა, ეგეც შენი შემოპკარი ესლა, ბახუტა!

ბახუტა — უიარალოს როგორ შემოეკრავ.

თენგიზ — ეპ, დამამარცხა ამ კახელმა, მართლა მაჯობა,

— მაგრამ იცოდე, ჩემს შერცხვენას როდი შეგარჩენ.

ბახუტა — კარგად კეჭნაობთ, მაგრამ ცხარობთ, ბატონიშვილო.

თენგიზ — (იხდის ჯავშანს) გამარჯვებული დამარცხებულს როდესაც აქებს,

ამით თავის თავს, მეგობარო, მეტად აღიდებს.

ბახუტა — არა, მე მართალს მოგახსენებთ, შენი ჭირიმე,

მხოლოდ სიფიცხეს ბრძოლის დროსა უნდა ერიდოთ.

თენგიზ — (უფრო ხუმრობით) არა უშავს რა, ჯილაურო, ვაგისწორდები.

(აირბენს აივანზე. შივი დედასთან, მოეხვევა).

ზომ არ მიწყრები, დედა-ჩემო, ჩემო დედიკო!

დარეჯან — განა გიწყრები, ჩემო ყველა, ჩემო სიცოცხლე.

შენი სურვილი ჩემთვის, შეილო, კანონი არის,

მაგრამ, ზომ იცი დედის გული, ვშიშობ ყოველთვის,

აბე მგონია, დაიჭრები, რამეს მოიწყევ.

თენგიზ — აბა როდესაც ომში წავალ, მაშინ რასა იქ?

დარეჯან — არ ვიცი, შეილო, ჩემო დედა, მაგას ნუ მკითხავ.

მზევინარ — ეპ, ვაჟი ვიყო ერთი...

თენგიზ — შენ, ქალბატონო!

მოდით აქ ჩემთან, სულ დამავეწყდა

(ხუმრობით დაიჭერს) შენ ზომ ბახუტას ემბრობოდი ჩემს წინააღმდეგ.

მზევინარ — (ცდილობს თავი გაინთავისუფლოს)

ვაიმე, დედა, ვაი, მიშველე!

დარეჯან — ნუ აწვალე, შეილო, დაეხსენ.

მზევინარ — გამიშვი ხელს, საძაგელო, გამიშვი ჩქარა.

თენგო — (გაუშვებს) აჰა, ეგეც შენი!

კიდევ დაიწყებ, ქალბატონო, გამოსარჩლებას?

მზევინარ — უჰ, გიჟი, გიჟი, გადარეული დამაცადე!

თენგო — ჩუმად, თორემ ეხლავე დაგწყწავ.

(წაიწეხს. შხეინარი გაეცლება).

მზევინარ — მაჰა სად არის, დედა-ჩემო?

დარეჯან — მცდე-დედოფალს უნდა შეხედეს, წინ ნოეგებოს.

თენგო — რ ტომ სპარსელი ქალი მოჰყავს დედა, ჩვენს მეფეს?

დარეჯან — ასეთი არის, ჩემო შვილო, შაჰის სურვილი.

თენგო — ასულა არის მართლა შაჰის მგფის მეუღლე?

დარეჯან — ეგ შეილისშვილი უნდა იყოს შაჰ-აბაზ მეფის.

თენგო — მაგ სვიმონ მეფეს არ აქებენ, ხალხს როდი უყვარს.

დარეჯან — ეჰ, ჩემო შვილო,

როგორც ისურვებს შაჰ-აბაზი, ისე იქნება.

თენგო — როდის იქნება, რომ ჩაძაღვდეს ეგ სისხლის მსმელი!

დარეჯან — სსუ, ჩუმად, შვილო!

ფრთხილად იყავი, აგრე რივად ნუ ლაპარაკობ.

მზევინარ — (რომელიც აქამდე იყინიდან გაჰყურებდა გალავანს იქით)

ერთი შეხედეთ, ზედავთ დაბლა, ქვევით მთის ძირას?

ურციხევი ჯარი მოსდებია მთლად არე-მარეც.

თენგო — (იხედება) მართლა რამდენი ჯარი არის.

დარეჯან — (იხედება) ღეთისნშობელო, შენ ცაგვიფარე!

მზევინარ — ნუ თუ ასეთი წესი არის, რომ შაჰის ასულს

მთელი სპარსეთი მაყრიონად უკან მოსდევდეს?

თენგო — ალბათ, ის მათი მოწინავე მხედრობა არის,

იმათ ნაკვალევს თან სდევს, როგორც შავი ღრუბელი,

ცხენის ტერფთაგან ავიარდნილი, აშლილი მტვერი.

(შორიდან ოდნავ ისმის საყვირის ხმა).

გესმით საყვირი, როგორ უზიზიხს ჯარს შესაყრებად?

დარეჯან — მზე ჩაესვენა და ალბათ, ჯარიც

ამალამ საღმე აქ მახლობლად დაბანაკდება.

თენგო — დედა, მეც წავალ მაჰა-ჩემთან, მეფეს შევხედები.

დარეჯან — რას აზრობ, თენგო, აგრე წასვლა როგორ იქნება?

წელან მაჰა-შენს რომ ზღუბოდი, მაშინ სხვა იყო,

შენ კი მარტოკა ვინ მიგმევეს მეფესთან ახლოს.

მზევინარ — ეს ვინ მოიჭრა ჩვენს კარებთან აჩქარებელი?

თენგო — მგონი, ჭაბუა უნდა იყოს? სწორედ ის არის.

(შემოდის ჭაბუა).

დარეჯან — რაო, ჭაბუა? რა ამბავს იტყვი?

ჭაბუა — თქვენს დღეგრძელობას, ქალბატონო!

აქეთ სტუმრები ღარსეულნი მობრძანდებიან.

ჭაუთარ ბატონმა ეს მობრძანა, მეუწყებიან.

დარეჯან — (გაჰყურებს) საიარეელია, რომ ასეთი დიდი ლაშქარი

გამოიმეტა შაჰ-აბაზმა ქორწილისათვის!



ჭაბუა — დიდძალი ჯარი ჩამოვიდა, მეტად დიდძალი
და მათ მოდენას დასასრული თითქოს არც უჩანს.

მზევინარ — ბატონ მამა-ჩემს ვინ მოჰყვება, ხომ ვერ იცნობ?

ჭაბუა — პირველად თითქოს გამიჭირდა მე მისი ცნობა,
ცოტა არ იყოს, გამოცვლილა სხვა ქვეყანაში,
მაგრამ რა წამსაც მოიხედა, ხმა ამოიღო,
მყისვე ვიცანი მოურავი, დიდი სარდალი
და, ვგონებ, ზურაბ ერისთავიც თან უნდა ახლდეს.

თენგო }
მზევინარ } (ერთად) ვინ მოურავი?

დარეჯან — სააკაძე?

ჭაბუა — დიად, ბატონო, სააკაძე, სწორედ ის გახლდათ.

თენგო — (ვახარებულად) მართლა, ჭაბუა? სად არიან? აქეთ მოდიან?

ჭაბუა — აქეთ, ბატონო, სადაც არის კიდევაც მოვლენ.

მზევინარ — (თოფის ხმა) აგერ გუშაგი იმით მოსვლას სროლით
გვაუწყებს.

დარეჯან — შეილო მზევინარი
დიდ ქალბატონს სთხოვე მობრძანდეს
(მზევინარ გარბის).

ჭაბუა გასწი, ალაყაფის კარი გააღე!
რას ნიშნავს ნეტავ ეს ლაშქარი, თან სააკაძე,
მასთან ზურაბის ჭაბრუნებაც საქართველოში?
(შემოდის როდამ).

ძვირფასო დედა, მომიტყვევთ, იმისთვის გიხმეთ,
რომ უცხო სტუმართ, საბატოთ, წინ მიეგებოთ.

როდამ — წავიდეთ, შეილო!

აგერ სტუმრებიც, თუ არ ეცდები, მობრძანდებიან.

(ალაყაფის კარებში შემოდინან: ჭავჭავაძე, სააკაძე, ზურაბ ერისთავი, მათი მსახურე-
ბი და სპარსული მეომრები. წინ მიეგებებიან როდამ, დარეჯან, მზევინარ, თენგო და
მოელი სახლობა ჭავჭავაძის).

გიორგი — სალამა თქვენდა, ღირსეულო, ბატონო როდამ!

მეტად მიხარის, აგრე კარგად, ისევ მხნედ გხედავთ.

თქვენც, ბატონებო, უმდაბლესი ჩემი სალამი.

როდამ — კეთილბედი იყოს შენი მოსვლა, შეილო გიორგი.

შენი კვლავ ჩვენში დაბრუნება, მშვიდობიანად.

მჯერა, რომ ხალხი, შენი ხალხი კვლავ ისევ გიყვარს.

არ გაიმეტებ შენს ქვეყანას ისაოხრებლად,

ისე, ვით შეილი არ გასწირავს შემცოდვ დედას,

თუნდაც რომ იყოს დედისაგან შეჩვენებული.

გიორგი — ბატონეცემულო ქალბატონო, ძვირფასო როდამ!

მე ჩემი ხალხი ვით მიყვარდა,

კვლავ მეტად მიყვარს, ათასჯერ მეტად.

მასგან სიშორემ სიყვარული კი არ ჩააქრო,

არამედ უფრო გააღვივა, გააცხოველა.

და განა ხალხმა გამდევნა მე საქართველოდან?

ის ჩემი მტრები უფრო მეტად ხალხის მტერია;



მაგრამ დე, ლმერთმა ამატიოთ, მე არ მოვკითხავ.
 (სპარსელების ვასავონად).

არა საომრად დღეს მოვესულვართ საქართველოში;
 მშვიდობა მოგვაქვს, მეგობრობა დიდებულ შაჰის.

მოგვეყავს ასული ირანისა ქართლის დედოფლად
 და ჩვენი ზალხად, ამ მოყვრობას, მწამს, დააფასებს.

როდამ — შენი სიტყვები, ვით მალამო, ჩემს გულს ხედებიან,
 იყავ დღევრძელი, შეილო ჩემო, სამარადისოდ.

დარეჯან — რად არ ინება ჩვენმა მეფემ აქ მოსვენება?

გიორგი — განა არ ვთხოვეთ.

მაგრამ ისურვა ჯართან ერთად ლანის გათევა.

ჩვენც იმის სურვილს, მის ბრძანებას დავემორჩილეთ.

ქავთარ — ვთხოვ, დედა-ჩემო, მიიწვიო დიდებულები,
 ხომ იცი, ყველა დაღლილია, გზა გამოვლილი,
 ამით ვახშიში ეჭირვება და მოსვენება.

როდამ — ვთხოვეთ, მომიტევოთ, ბატონებო, რა ვქნა, დავბერდი,
 წელთა სიმრავლემ ზრდილობაც კი გადამაეწიყა.

აბა, მობრძანდით, ბატონებო.

(ყველანი მიდიან, შოლოდ გიორგი და ქავთარი ჩამორჩებიან).

გიორგი — აქ ყველაფერი ვით დავტოვე, ისევ ისეა,

აი ეს მუხაც, ძირ-მაგარი ბებერი მუხა.

ხშირად მიყვარდა აქ დაჯდომა, ფიქრი, ოცნება.

ასე მგონია, თითქოს ერთი საუკუნეა,

რაც შენთან სტუმრად, ჩემო ქავთარ, აღარ ეყოფილვარ,

თუ არა ეცდები, იმის შემდეგ...

ჰო, მართალია, იმ დაწყველილი ლამის შემდეგ,

როცა დღევნილი სპარსეთისკენ მივისწრაფოდი.

ქავთარ — ცუდი დრო იყო, მოურავო, მოუსვენარი.

ბევრი ნაცნობი, მეგობრები აღარ არიან.

ზოგი აქ ჩაქლეს, ზოგი უცხო მხარეს გაიქცა,

და დათარეშობს ქართლში დღესაც შფოთი, ამბოხი.

გიორგი — ცუდი დროება გამოვცადეთ... გამოვიარეთ...

(შეხედავს მნიშვნელობით).

და კვლავ ვინ იცის, უარესი იქნებ მოგველის.

ქავთარ — კვლავ უარესი?

გიორგი — (მიმოიხედავს) ქავთარ, მითხარი, შენს მეგობრად კიდევ
 მსახავ,

თუ მოლაღატედ მივაჩნივარ, როგორც ბევრ ვინმეს?

ქავთარ — გეტყვი პირდაპირ, იქვი ხშირად მეც გულს მიტანჯავს,
 თუმცა გონება საშინელ აზრს ვერ ურიგლებს.

გიორგი — მამ ჩვენი ქვეყნის აოხრება, გახრწნა, დაცემა...

ქავთარ — (აწყვეტივნებს) არა, ვერ ეიტყვი შენით არის, შენი ბრალია,
 მაგრამ პატივი შაჰის კარზე, ნდობა, დიდება,
 თან აოხრება ქართლ-კახეთის, მთელი ქვეყნისა,
 იქვის აღმძვრელი არის მეტად, დამეთანხმები.

და ბევრიც ფიქრობს, რომ მოქმედებ შურისძიებით.



გიორგი — ეგ ზმები არის დაგდებული ჩუაი მტრებისგან.

შავით ცდილობენ ჩემს დაცემას.

არ შეეუღლები, ჩემო ქავთარ, თავის მართლებას, საქემან ჩემმან და თვითონ გამოჰაინოს.

ჩვენში ჰკვიან კაცს გუდახიან, ვაჟკაცს და მართალს და ხარ ასეთი ჰეშმარტად, მე თვითონ ვიცე, თანაც სანდო ხარ, მეგობარიც, თუ არა ცვლები, ამიტომ მსურდა საუბარი ერთ დიდ საქმეზე.

აღზათ, ვაკვირებებს, ასე ვჩქარობ, მოსულსთანავე, მაგრამ ეს საქმე დაყოვნებას როდი-ღა ციმენს და მეც ვისწრაფი, რომ გაუწყო ეს საიდუმლო.

მზევინარ — (ცემორბის) დიდო სარდალო, ვთხოვეთ მობრძანდეთ და დაისვენოთ.

ქავთარ — შენი ნათლული თუ იცანი? ჩემი ასული.

(მოჰყავს გიორგი სახლისაკენ).

გიორგი — ჩემი ნათლული? ნუ თუ ეს შენი მზევინარია?

მზევინარ — ჩემო სახელი ბატონ სარდალს არ დაეიწყინია.

გიორგი — (ხუმრობით) რის დაეიწყება, რასა ბრძანებთ,

ისეთი გივი რამ იყავი, ჩემო მზევინარ...

ქავთარ — (იცინის) ისეთი დარჩა, მოურავო, ისეც ისეთი

(საერთო სიცილი).

გიორგი — არა თუ მართლა?

მზევინარ — დიდო სარდალო, სიცრუეა, არ დაუჯეროთ.

(სიცილით შეფარებთან ერთ წუთს სენა ცარილია. შემდეგ ეზოში გამოჩნდება კაბუა, გლვს რაღაცს დაასაქმებს, გლვნი გარბის).

ქავთარ — (გამოდის) კაბუაე, ჩემო!

კაბუა — (საჩქაროდ წამოვად) რას ბრძანებთ, ბატონო ჩემო?

ქავთარ — აბა შენ იცი, მარჯვედ იყავ, არ შემარცხვინო, ღირსეულ სტუმრებს ღირსეული ვახშამი უნდათ.

კაბუა — ვიცი, ბატონო, თქვენ მაგისი წუ გეღვიქრებათ.

ქავთარ — მიხმე ბახუტას, აქ მოვიდეს ჩემთან, საჩქაროდ.

კაბუა — (წავა. ფეხის) ეპეი, ბახუტაე!

ბახუტა — ოჰოჰ! რა ვინდა?

კაბუა — ბატონი გახმობს, გამოაქეც (ბახუტა მორბის).

ქავთარ — ბახუტაე ჩემო! დამით დარაჯინ დააყენე საუშეგოზე. ყოველთვის თვითონ შენ ვახინჯე, ფხიზლად იყავი.

ბახუტა — დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თვალს არ მოვხუტე.

(მიდის და მკითხავს ეჭაბის) ოჰოჰ, მათიაე!

აქეთ წამოდი, თან ბიჭებიც წამოიყვანე.

ქავთარ — (მართო) თითქოს მოურავს რაღაც დაქრო სტანჯავს, აწუხებს,

რომლის გამხელა კიდევაც სურს, თან ეშინია.

ჩემთან გიორგი გულდანდობით იყო ყოველთვის,

სჩანს საიდუმლო მეტის-მეტად თვალსაჩინოა,

რომ ვერა ბედავს მის ანოთქმას, მის გამეღვენებას.

მაფიქრებს დიდად ეს ლაშქარი, მისი სიმრავლე,

იმათ აქ მოსვლას, თქმა არ უნდა, სხვა მიზანი აქვს.
 არ მომწონს ვერაც შამ-აბაზის ეს დამოყვრებაც...
 ჩვენში რაც მის' ხმაღს გადაურჩა შეუმუსვრელი,
 იმას მოყვრობით, შეგებრობით გაანადგურებს.
 და ჩემი ყნოსვა, თვალთა ზედვა, თუ არ მატყუებს,
 რაღაც საშიში ჩვენს ქვეყანას უნდა ელოდეს.

(დასასრული პირველი სურათისა)

სურათი მეორე

იგივე ეზო, რაც პირველ სურათშია. მთავარიანი ღამე. დროგამოსვებით ნელი სიო აშრი-
 ლებს ხის ფოთლებს. მღების ძირას დამჯდარა ბახუტა და ნადვლიანად დალიდნებს
 ფანდურზე. სიმღერის დროს აივანზე მზეციენარი გამოჩნდება. იგი სვეტზე მიყრდნო-
 ბილი ყურს უხადებს ბახუტას ღიღინა.

ბ ა ხ უ ტ ა — (ფანდურზე ამღერებს):

ქალაუ, შენმა მერდინმა
 პაერში გაიფრიალა,
 სახე გამოჩნდა, თვალებმა
 ელქასებრ გაიკრიალა,
 ცხელმა ნიავმა დამჭროლა,
 გზად შენკენ დამატრიალა,
 გულს ცეცხლი შემოაყარა
 და ჩალად ამაბრიალა.
 ქალაუ, მითხარ, შენი ვარ,
 გულს რაღად დამეზურება?
 მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
 ნისლი არ მოებურება,
 გუნება გუნებასა ჰგავ,
 სიტყვა ხო ორძე ერიათ
 ჩემი და შენი გამყრელი
 ნუშცა ზეთი ღმერთია.

(დაკვრა გაითავა. თავი ჩაქადა, დაფაქრდა. მზეციენარი დაეშვა კიბეზე და შეუძ-
 ნევლად მიუახლოვდა).

მზეციენარ — ვისთვის მღეროდი აგრე გრძნობით, გულ ნადვლიანად?

ბ ა ხ უ ტ ა — (შეკრთება. წამოდგება) ისე... ემოეროდი, მხოლოდ ჩემთვის...
 ძიღმა დამძლია, მინდოდა, ძილი რომ გამეფრთხო.

მზეციენარ — მართლა, ბახუტავ? (ღიმილით) მე კი მეგონა,
 შენს გულის სატრფოს მთვარიანში ლექსებს უმღერდი
 და შენ კი თერძე ძილს აფრთხობდი.

ბ ა ხ უ ტ ა — (ოდნავ ნაწყენი) თუნდაც რომ ვინმეს ვუმღეროდე,
 ვანა ვეისთვის ქალის ტრფობა საძრახისია?

მზეციენარ — მე ეგ არ მითქვამს.

(ხუმრობით) მერე ვინ არის შენი გულის ამორჩეული?

ბ ა ხ უ ტ ა — აბა რად გინდათ, რომ იცოდეთ?



მზევინარ — (ღიმილით) განა გეწყინა, რომ ვიციანზე?

ბახუტა — (შერცხვით) არა... რად ბრძანებთ?

მზევინარ — (ეშმაკური ღიმილით) ლამაზი არის?

ბახუტა — ვინ?

მზევინარ — ის შენი სატრფო.

ბახუტა — პო, ლამაზია.

მზევინარ — შენ ხომ მეღუქსეს გეძახიან, მოშაირე ხარ.

სატრფოს შესახებ შაირი რამ, ალბათ, ექნება.

(მიაჩერდება) მას ხომ უყვარხარ?

ბახუტა — (ნაღვლიანად) ეგ რომ ვიცოდე... აბა, რა ვიცი?!

ეჰ, „განა ლაღი ვარ, რომ ვმღერი —

გულისა დარდსა ექიარეო“¹, ხომ გაგიგიათ?

მზევინარ — მერე, არ პკითხავ იმ შენს სატრფოს? რად არ აცნობებ?

იქნებ იმასაც შენი ტრფობა გულს მოსდებია?

ბახუტა — უარი რომ სთქვას?

გული ხომ მაშინ უფრო მეტად დაბეჩავდება.

მზევინარ — უაის რად გეტყვის?

(ოდნავ გატაცებით) ეგეთი კარგი ვაქცაი ხარ, ზრდილი, ჭკვიანი, თვალ-ტანადობით მშვენიერი, გამოსარჩევი.

ბახუტა — შენ ეგრე ფიქრობ?

(დააკვირდება) შენ რომ ისეთ ვაჟს... აი თუნდა როგორიც მე ვარ...

მზევინარ — რაა, ისეთ ვაჟს?

ბახუტა — (შეჩერდება).

მზევინარ — (დაფინებით) სთქვი, დაასრულე.

ბახუტა — (ყოყმანებს) აი ისეთ გონჯს, როგორაც მე ვარ

შეპყვარებოლი,

შენ რას იზამდი? აბა როგორ მოიქცეოდი?

მზევინარ — მე რაა ვიზამდი? მე... არ ვიცი,

მაგრამ, შენ ხომ სხვა ქალი გიყვარს, მე რაღა მკითხავ?

(ბახუტა თავს დახრის, ეტყობა ძლიერი მღელვარება).

რაზე დაფიქრდი? რად გაჩუმდი?

ბახუტა — ფიქრობ აქედან გაგეცალოთ, სადმე წავიდე.

მზევინარ — (ნაძალადევი ზუმრობით) სატრფოსთან ნიხვალ?

ბახუტა — არა, ვშორდები.

მზევინარ — (იციინის) მაშ რად მაღიზარ?

ბახუტა — თქვენი სახე რომ არ ვიხსლო.

(შვენიერი გავერვებული მიაჩრდება, ბახუტა თავს ჩაღუნავს უხერხული სიჩქერით ჩამოვარდება).

მზევინარ — ჩემი სახე? შენ...

ბახუტა — ამ სიტყვებისთვის როგორც გსურდეს, ისე დამსაჯე,

განა მე ჩემს თავს არ ვებრძოლე, არ დავუშალე,

მაგრამ ამ გულმა, ამ ტილმა არ შეისმინა.

ვერ ამოვგლიჯე სიყვარული ჩემი მკერდიდან.

მზევინარ — (თითქოს თავისი თავის შეეშინდება)

რატომ მითხარი ეგ, ბახუტავ, არა გრცხვენია?

ბ ა ხ უ ტ ა — (გაბრუებული, გრძნობით დამთვრალი)
 მე თვით არ ვიცი, როგორ მოხდა, გათხოვეთ რომ შემინდობდნენ...
 თითქოს გონება დამიბნელდა, ჰკუა დაგვარე, გინდა რა...
 მთელს ჩემს არსებას რაღაც ძალა დაეხარონა
 და მათქმევინა საიდუმლო წმინდათა წმინდა.
 რა გქნა, რომ გულმა, ჩემმა გრძნობამ მე დამიბონა
 და თვით არ ვიცი, რას ვაკეთებ, რას ვლაპარაკობ.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — (სიყვარულით) რა გქნა, რა გითხრა, ვით გაგვიცხო, რომ
 მეტრალეში.

ბ ა ხ უ ტ ა — ხელო ველარ მნახავ სულ ერთია — გადვიკარგები
 და ამ წასვლისას გეტყვი მაინც, თუნდაც გამეცხო,
 რომ შენ ხარ ჩემი სალოცავი, ჩემი ცისკარი,
 შენა ხარ იგი, ვისაც მე აქ წუღან ვუმღერდი.
 შენზე ვოცნებობ, მხოლოდ შენით ვცოცხლობ, ვსულდგმულობ,
 შენდამი ტრფობა ამ ჩემს გულსა სწეავს, ანადგურებს.
 ერთი რას მითხარ სანუგეშო, შენთვის მოვკვდები,
 სთქვი, მზევინარო, სთქვი ქალ-ღმერთაჲ, ერთხელ ჩემთვისაც —
 მზემ ერთხელ ჩემთვის გააშუქოს, გამოანათოს.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუ, ბახუტაჲ, ნუ ლაპარაკობ,
 იქ მამა-ჩემსა არა სძინავს, არც დიდ მოურავს.

ბ ა ხ უ ტ ა — დაე, ვაიგონ, ყოველივეს მე თვითონ ვეტყვი,
 ნეტავი ზეჩავს აი აქვე ხმლით ამკუწავდნენ.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — ხომ არ გაგივდი, შე საწყალო, რა გემართება?

ბ ა ხ უ ტ ა — შენით ვაგვივდი, რა გქნა, ჩემო... შენით ვაგვივდი,
 თორემ საუბარს ასეთს შენთან, ვით გავნედავდი?

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — რად გინდა ჩემი სიყვარული, აბა მითხარი?
 სულ ერთი არის ამის ნებას არაფერ მოგვეცმს.

ბ ა ხ უ ტ ა — ნება რად უნდა სიყვარულსა, რა დააკაგებს,
 ოღონდ შენ მითხარ, შენ, თანხმობა, ვინ დამიდგება,
 თუნდა მთელ ლაშქარს დავუხვდები, შეგებრძობლები.
 მთაში წაგიყვან, ხევსურეთში, მთლად ვადაგვარავგ.
 გინდ ოსმალეთშია ვადაგიყვან, გინდა სპარსეთში.
 ოღონდ მიბრძანე, ვხლაჲ, აქვე შენთვის მოგვეცდები.
 მხოლოდ ერთხელ სთქვი, რომ გიყვარვარ, ერთხელ სთქვი მხოლოდ,
 გულს ნუ შიტანჯავ, მეც კაცი ვარ, ადამიანი.
 და თუ კი ვძულვარ, მზევინარო, ან გეჯავრები,
 მამინ შორს წავალ, ვაგშორდები, ვადვიკარგები,
 და ვერასოდეს ველარ მნახავ, ველარ მინილავ.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — არა, ნუ წახვალ, იქ იყავი, არ მეჯავრები.

ბ ა ხ უ ტ ა — არ გეჯავრები? მამ გიყვარვარ ცოტათი მაინც?

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — (თავის თავს ებრძვის) პო, შეიძლება... შეიძლება ცოტა
 მიყვარდე,

თუმც არა, არა, მე ვერ გეტყვი, არა, არ ვიცი...
 რას ვლაპარაკობ, ღმერთო ჩემო, რა მემართება!

ბ ა ხ უ ტ ა — შენ? შენ გიყვარვარ? შენ მზევინარ?
 სთქვი ერთხელ კიდევ, გამაგონე, განიმეორე.



- მზევინარ** — მგონი, მიყვარხარ... ჰო, მიყვარხარ.
სიყვარულია თუ რა არის, მე თვით არ ვიცი,
მხოლოდ მე მინდა, რომ ყოველთვის ჩემთან გხედავდე
შენ გაყურებდე ან და კიდევ შენს ხმას ვისმენდე.
რამდენჯერ მსურდა შენთვის შეთქვა ეს ყოველივე,
მაგრამ რა ვიცი, ვერ გითხარი, ვერ ვაგიმელაწენ.
- ბახუტა** — თითქოს შე ვერძინობდი, მაგრამ არა, არა შეკეროდა.
მე მაგის ფიქრსა ვით შევძლებდი, ვით ვაგებდავდი.
რისთვის მტანჯავდი, საყვარელო, ტყბილო მზევინარ?
- მზევინარ** — რამდენჯერ ჩუმად აივანზე, აი იქ, ვმდგარვარ,
იქ, იმ სვეტებთან, საათობით გარინდებული,
როდესაც დანით აქ მარტოკა იჯექი ხოლმე
და დამღეროდი შენს ფანდურზე ლექსებს ნაღვლიანს.
მხოლოდ ჩვენ ორნი, მე და ჩოვარე გრძნობდით მუდამ.
რამდენჯერ მსურდა მოესულიყავე, მოგფერებოდა...
რამდენჯერ დამით დაფწოლილვარ თვალცრემლიანი
და შენზე ფიქრში, ოცნებაში, ჩამძინებია.
- ბახუტა** — (აღტაცებულად) ნეტავ თუ არის ან ყოფილა სხვა კიდევ ვინმე
ქვეყნად ჩემსავით ბედნიერი, შეყვარებული?
ნეტავ ეს დამე საუკუნეთ გაღმტკეოლეს
და არასოდეს, არასოდეს აღარ ვათენდეს.
- მზევინარ** — კმარა, გვეყოფა, დროა უკვე, უნდა წავიდე!
- ბახუტა** — ერთ წუთს იყავი, მხოლოდ ერთ წუთს!
- მზევინარ** — არა ძვირფასო, ნუღარა მითხოვ, უნდა წავიდე.
- ბახუტა** — ნუ თუ ასეთი ჩანმოკლეა ბედნიერება,
მაგრამ არა, არა, რას ვამბობ!
ხარბი ყოფილა კაცის გულს, გაუშაძლარი,
წადი, მზევინარ, აღარა გითხოვ, არ დაგაკაეებ.
- მზევინარ** — დამე მშვიდობის, მეგობარო, ჩემო ძვირფასო!
(ორივენი ბნტინტიურად წაიწვიენ ერთმანეთსიკენ, მაგრამ შეჩერდებიან. მზევინარ
თავს დახრის და ნელის ნაბიჯით წავა, მიუტარება. ბახუტა დიდხანს სდგას გაქვადე-
ბული, შემდეგ წამოვა. დაჯდება. გაბრუნებულია, თითქოს არა სჯერა ყოველივეს
რაც მოხდა).
- ბახუტა** — ოჰ, ღმერთო ჩემო!
ნუ თუ ოცნება სინამდვილედ მართლა გადიქვა.
მეხას მიეყრდნობა, თვალს დახუჭავს. მის სახეზე ნეტარების ღიმილი დაკრთის. შე-
უვებლად აიღებს ფანდურს და იწყებს ღიღინს, ჩუმად, ოდნავ გასაგონი ხმით. მას
სურს, თითქოს ამ სიმღერაში თავისი უდიდესი ბედნიერება ჩააქსოვოს).

ქალაუ, მითხარ, შენი ვარ,
გულს რაღად დამებურება?
მთას თუ მზის შუქი ათუნებს,
ნისლი არ მოებურება.
გუნება გუნებასა ჰვავ,
სიტყვა ხო ორივე ერთია,
ჩემი და შენი გამყრელი
ნუმიცა ზეითი ღმერთია.

იგივე ეზო, ნამუდამივე. მივიჩინებ ნათელი ღამე, კბეებზე ჩამოდის ღამის-გაღვიძების
ერისთავი. მოსვენება ეტყობა.

ზ უ რ ა ბ — როგორც კი ქართლის მიწა-წყალზე ფეხი შემოვდგა,

თითქოს დაეკარგე მოსვენებაც, ძილიც, სიმშვიდეც.
თითქოს ეს წლობით დანალექი ბოღმა, ნალექი.
ლაპის რომ მოსკდეს ნიადვრად ამ ჩემს მკერდიდან.
როდის იქნება მივალწიო სასურველ მიზანს?
როდის იქნება მტრის ოჯახებს ვაწიოკებდე,
მათ ნაახლარსა გაესცქეროდე გატიალბულს
და ქვრივ-ობლების კენესა, ოხვრა ცისა სწვდებოდეს?
არ დაიღია ეს ხრიოკი, სევდის აღმძვრელი,
ეს გადამწვარი, უსიცოცხლო, რუხი ეულები.
თითქოს თბილისი სადაც გაჰქრა, გადაიკარგა.
უცხო-მხარეშა დალეული მწარე დღეები,
ჩემი მეუღლე დაგდებული ისბანს მიველოდ,
შურისძიებას მაკისრებენ შეუბრალებელს,
რომ მტერს მიუზღა ათას წილად სამაგიერო.
მა არ დავზოგე მე, დვიძლი მამა, გაეანადგურე,
სხვა კიდევ უარესს ჩემგან უნდა გამოელოდეს.
ვითომ ამისთვის მე ოდესმე მომიკითხება?
ეოდვ და მადლი ქვეყნად მხოლოდ მოგონილია
და ამ ზღაპრებით ჩემი გული როდი შეკრთება.
რომ არსებობდეს ეოდვისათვის მართლაც განკითხვა,
მამინ ძლიერა შამ-აბასი, ქვეყნის მპყრობელი,
რომლის ნათესავს ავსებს მხოლოდ სიბაღი, ცრემლები,
მყრალ, გახრწნილ ლეშად უნდა იყოს გარდაქცეული
და მის გულ-გვამსაც ჭია-მატლი უნდა ფურჩნიდეს.
მაგრამ მე ვბედავ ის ზეიმობს, ბედნიერია,
მისი ცხოვრების გზას ვარსკვლავიც უფრო ანათებს.
მე რად მომიკითხავს ეს ცხოვრება სამაგიეროს,
თუ კა სხეებს, დიდებს, ჩემზე ეოდვილთ არ ეკითხებათ?
მსურს, რომ შევიქმნე ერისთავი უძლიერესი.
შემდეგ, ვინ იცის, იქნებ ქართლის...
მაგრამ ამისთვის, ჩემო გულო, უნდა გაქვადე,
რომ სიბრაღულმა, ცრემლმა, კენესამ არ მოგაღუნოს.
დღეს ჩემს მფარველად, ჩემს დამხმარედ გამოჩენილა
უძლიერესი მეფეთ-მეფე, ირანის ლომი,
ვინ გამიბედავს ამის შემდეგ წინ გადამიღვებს?
ვინ გამიბედავს შემებრძოლოს საქართველოში?
უნდა ვესწრაფო, ფრთა შევასხა ფარულ ოცნებას,
რადგან შემდეგში ასეთი დრო აღარ იქნება.
ოჰ, მოთმინება დამიკარგა ამ გზამ ტიალმა,
გული გაწყალდა, ველარ ითმენს, წინ მაისწრაფის.
(ნათქვამი დიქტანობა მაგდას).



გიორგი — (ადრე გამოჩნდება აივანზე ქვეთართან ერთად. ერთხანს მის ჩერებთან ზურაბს. ლაპარაკობენ საიდუმლოდ). როგორც გითხარი, ვამიმზადე ის ქალაღები. და სააღო კაცი მომინახე მათ წასაღებად.

(ანიშნებს ქეთარს — წაედეს, თვითონ ზურაბისაკენ მიდის).

შენა ხარ, ზურაბ?

ამ უჩროვო დროს რად ამდგარხარ, რად არა გძინავს? ზურაბ — ათასი ფიქრი ამეშალა, ძილი გამიქრთა.

გიორგი — რაღაც გაწუხებს, ვგონებ, ზურაბ?

მე შემომესმა თითქოს კიდეც იმუქრებოდით...

ზურაბ — შურისძიება არ მასვენებს, მიმდგრევეს გონებას, გახელებული სისხლი მორგავს, მხუთავს, მჭაქმებს. მინდა, რომ ზალე ჩემს მტრებს შევხვედე, გავანადგურო. მისთვის დაეკარგე მოსვენებაც, ძილი, სიმშვიდე.

გიორგი — მერე ვინ არის ჩვენი მტრები? ე. ი. იმუქრები?

ზურაბ — როგორ ვინ არის?

ვინც ჩვენს მიწა-წყალს მოგვაშორა, ვინც ჩვენ განგვედევნა.

ჩვენი ქვეყნიდან გადაგვკარგა უცხო მხარეში.

ვინც ჩვენს სურვილებს შეეპრძოლა, წაააღწედა,

ვინც განდევნილის მწარე ხედვრი განმაცდევინა.

სამაჟიეროს ქართლის მკვიდრნი გარდამიხლან.

მალე ნახავენ მათ სახლებში, ზურებში, მინდვრებში

მხოლოდ სიკვდილი და შიმშილი დათარეშობდეს

და ქართლის ველებს რწყავდნენ ისევე სისხლის წვიმები.

გიორგი — შურისძიებით, ჩემო ზურაბ, დაბრმავებულხარ.

რა დაგიშავა მთელმა ქართლმა, მთელმა ქვეყანამ?

ერთმა თუ ორმა თავგასულმა ურჩმა თავადმა

ჩვენ საქართველოს მოგვაშორა, გაგვაბოროტა

და განა მისთვის მთელი ქართლა უნდა გაეწიროთ?

ზურაბ — ისე აზვავდა ამ ჩემს გულში რისხვა და ბოღმა,

მართალს და, მტყუანს ჩემი ხმალი ვეღარ გაარჩევს.

გიორგი — განა საწყალ ხალხს არ ეყოდა, რისაც სტანჯავენ,

რომ ჩვენ ზედმეტად არ შევმუსროთ, არ ავიანგრიოთ?

ჩვენი მეფენი, თავადები, როგორც ძალები

ერთი ერთმანეთს მისციან, ჰგლეჯენ, ჩეხავენ,

ჰყიდიან ნამუსს, თავის სინდისს, ხალხს, მთელს ქვეყანას,

ცოლს ქმარს სტაცებენ, დედას — შვილსა, დას — ძმას და მამას.

მთელი სპარსეთი, ოსმალეთი, მთელი ეგვიპტე

ტყვედ გაყიდული ქართველებით ავსებულთა.

ამას სჩადიან დიდებულნი, ქვეყნის მპყრობენნი,

ვისთვისაც ხალხი შრომობს, დღე-ღამ სბცოცხლეს სწირავს.

და უხლა იცი? იცი შენ, ზურაბ,

რისთვის მომანდო ეს ლაშქარი მე შაჰ-აბაზმა?

რათა ავყარო მთელი ქართლის მკვიდრი მცხოვრებნი

და მათ ადგილას ყიზილბაშნი აქ დაესახლო.

ზ უ რ ა ბ — რაო? რას ამბობ, მოურავო?

გ ი ო რ გ ი — კარგად ვერ იცნობ შენ შაჰ-აბაზს, ცხიერს დღემდე.

რომ ამოსწყვიტა კახელები საკუთარ ხელით.

დასწვა ქვეყანა, ააოხრა, გაანადგურა,

ასი ათასზედ მეტი სული წინ გაირეკა

და ვინც გადურჩა ამ საშინელ მოგზაურობას,

დაძრწიან დღესაც მახანდარანს, ქირმანს, ფერიას,

უსახლკარონი შხამით სავსე უღაბნოებში.

კიდევ უარესი, რაც იგემა შაშინ კახეთმა,

დღეს ქართლისათვის არის მისგან გამზადებული.

ჩვენივე ხელით გვათხრევიანებს საკუთარ საფლავს.

ზ უ რ ა ბ — ეგ შეუძლოა, მოურავო, ე, რ დაეიჯერებ.

გ ი ო რ გ ი — კახეთი მოსპო, ეხლა ქართლსაც ეს დღე მოელს,

ასე თანდათან საქართველო სურს მოინელოს.

ზ უ რ ა ბ — საეჭვო არის, მოურავო, შენი სიტყვება,

რადაც სხვა აზრი გიღვეს ვულში, სულ სხვა განზრახვა.

რა სარფა არის შაჰისათვის ჩვენ რომ აგვეაროს

და ჩვენს მაგივრად სპარსელები აქ დაასახლოს?

გ ი ო რ გ ი — ოჰ, ერისთავო!

შაჰ-აბაზი, თუმც ვერავია, მაგრამ ბრძენია.

მისი გონება, გამჭრიახი, მეტად შორს ხედავს.

დღეს საქართველო რუსეთსაკენ მუდამ გაყურებს,

ჩვენი მეფენი რუსთ ხელშიწიფეს ეგედრებიანი,

რათა დაგვიხსნან შაჰ-აბაზიანთ ქვეყნებისაგან.

ითხოვენ შველას, დახმარებას, მათ მფარველობას,

ჩვენა და რუსებს ერთი რჯული გვეერთიანებს.

ამას ყველაფერს ხედავს კარგად ბრძენი შაჰ-აბაზ,

არ მოსწონს ჩვენი შეგობრობა რუსეთის ხალხთან,

აფიქრებს ისიც, რომ რუსეთი სამხრეთის საზღვრებს

შეუჩერებლად აფართოვებს, გვიახლოვდება.

და რადგან ძალით ვერ გატეხა ქართველი ხალხი,

რომ გაეხადა თავის ერთგულ მონა-მსახურად,

მან გადასწყვიტა ერთის დაკვირვით ბოლო მოუღოს,

აღგაფოს იგი სამუდამოდ მიწის პირიდან.

ამიტომ უნდა, რომ აყვაროს მთლად მთელი ქართლი

და მის ადგილას სპარსელები აქ დაასახლოს.

კავკასიაში სურს რომ ჰყავდეს ერთგული ხალხი,

რათა დაუღვას მან საზღვარი რუსების წინსვლას.

და თუ აყვარეთ ქართველები, გადავსახლეთ,

ვიღაზე უნდა იბატონო, ერისთავო?

ცარიელ მთებზე ან და ვიღაც ყიზილბაშებზე.

და თუ შაჰს უნდა განადგურდეს ქართველი ერი,

ჩვენ რად დაგვიწოდო? რად უყვარვართ მხოლოდ ჩვენ ორნი?

თავისი ბნელი საქმისათვის დღეს მას ვჭირდებით

და საბოლოოდ სხვების ხვედრი არც ჩვენ აგვეცდება.



ქართული
ენების ინსტიტუტი

ზ უ რ ა ბ — ნუ თუ ასეთი დავალებით გამოგისტუმრავ?

ნუ თუ ამისთვის ჩაგაბარა სპარსთა ლაშქარი?

ვერ დავიჯერებ, ის ქართველებს ისე აქებდა,

ის წამოსვლისას ისე რიგად შეფერებოდა...

(შეჩერდება, დააკვირდება) იქნებ გამოცლა გსურდეს ჩემი შენ,

მოურავო?

გიორგი — არა, მერწმუნე, მხოლოდ კარგი მწადიან შენთვის,

თუ ამ საქმეში ჩვენ ერთმანეთს დავებმარებთ,

თუ ერთს პირს შეგვკრავთ,

ჩვენ შეგვიძლია მთელი ერი გადავარჩინოთ.

მხოლოდ მომენდე, გამომყევი, ნუ მიორგულებ.

და თუ დამღუბავ,

მაშინ იცოდე, შაჰ-აბაზი არც შენ დაგინდობს.

ზ უ რ ა ბ — მერე რას ფიქრობ?

რით შეგვიძლია ავიციდინოთ უბედურება?

გიორგი — უნდა შაჰ-აბაზს გადავუდგეთ დაუყოვნებლივ

და ეს ლაშქარიც განაღვტურდეს, აქ დამიარბოს.

ზ უ რ ა ბ — ძნელი საქმეა მოურავო, კარგად დაფიქრი,

ბოროტი შაჰი დალატისთვის შურს ვით იძიებს.

განა მძევლება დაგაეიწყდა, იქ რომ დაეყარეთ?

ჩემი მეუღლე, შენი შვილი, შენი პაატა.

ვით დავიჯერო, საკუთარ შვილს გამოიმეტებ?

გიორგი — მეტად მძიმეა ღვიძლი შვილი მაშამ გასწიროს, —

მაგრამ, როდესაც წყდება ბედი მთელი ქვეყნისაჲ

ასე რომ არ ვქნათ ერისთავო, მაშინ მერწმუნე

აბაზი მაშა შეგვეჩვენებს, ათასი შვილი,

ამიერიდან უკუნითი უკუნისამდე.

ზ უ რ ა ბ — ოჰ, მოურავო!

მთელა გონება ამირიე, ყველა ზრახვები.

გიორგი — შენც უნდა დასამო ამ საქმისთვის შენი მეუღლე.

სამაგიეროდ სხვა ქალს შეგერთავ, უფრო უკეთესს.

თავს დავესხმები ფეიქარ-ხანს, კახეთის მართველს,

მშვენიერ ლელას გამოვტაცებ, ღღარსაბ მეფის დას,

და შეგერთავ ცოლად, მეფის ოჯახს დაგაკავშარებ.

გაგაძლიერებ როგორც მეფეს, თუ მომენდობი.

შემდეგ, ვინ იცის, იქნებ ქართლის სამეფო ტახტიც...

ზ უ რ ა ბ — (გულზე მოხედება) რასაც მპირდები, შემომფიცე, რომ

ამისრულებ.

გიორგი — ვფიცავ ჩემს სინდასს, ერისთავო, ჩემს ვაჟაცობას,

რაც რომ დავპირდი, ავისრულო ყველა უკლებლივ.

შენც შემომფიცე, რომ მომყვები, არ მიღალატებ.

(უბოშო გამოჩნდებათ ქეთარი და ბახუტა).

ზ უ რ ა ბ — ვფიცავ, ვიბრძოლო შენთან ერთად, მეც, მოურავო,

და ჩვენს განზრახვას, საქმეს ჩვენსას არ ვუღალატო!

გიორგი — (ქეთარს) სად არის, მომეც ქაღალდები?

(ბახუტას დააკვირდება) ეს არის, ქეთარ, შენი კაცი? ხომ იცო კარგად...

ქ ა ვ თ ა რ — (გააწყვეტინებს) ნუ გეშინია, კარგად ვიცნობ, ჩენს ოჯახშია ბავშვობიდან იგი გაზღლილი, რადგან დაობლდა ნიაღრევეად. მაგის მშობლები ამოსწყვეტეს სპარსთა მხედრებმა, ვით საკუთარ თავს, შეგიძლია ისე მიენდო. ეს ბარათები, როგორც მითხარ, ისე დაეწერე. (ძღვეს ქალაღის პატარა გრავიღებს).

გ ი ო რ გ ი — (ბახუტა) აქ მოღი ჩემთან! როგორც ინათღებს, ვიღრე ჯარი აიყრებოდეს, გასწი ნოსტეში. იქ მონახე ვაშაყაშვილი და გადაეცი საიდღუმლოდ ეს ბარათები. იმ ვაშაყაშვილს, დიხსომე, პაღუნა ჰქეიან. უთხარ სასწრაფოდ შეასრუღოს, რაც აქ სწერია. ხუთი დღის შემდღე ჩამოვიღეს ჩემთან კრწანისში და ყოველივე დაწერიღებდთ შემატყობინოს. (ქვეთარი აიენისაიენ წაეა, დაყურებს).

მაგრამ გახსოვდეს, ერთი სიტყვა არსად წამოგცდეს. გახსენ ბალიში უნაგირის; გამოარღვეე, ეს ბარათები შიგ ჩასდვეი და ამოყერე. ეს ბარათები სხვამ რამ ნახოს და წაიკითხოს, ყვეღს დაგვღუბავ, ქვეყანასაც გაანადგურებ, ისმის მამღის ყვიღი, გიორგი გაღსაცეს ქალაღებს). მაშ ასე, გასწი და აიცი ვითხარ, არ დაივიწყო.

ბ ა ხ უ ტ ა — თქვენი ბრძანება ასრუღდება, დიღო სარდაღო! (თავს უტარეს გაეა. ისმის მამღის ყვიღი).

ქ ა ვ თ ა რ ი — (აქამღე სახღსა და ეზოს ათეღიერებდა) თითქოს ოთახში ვიღაც დაღის, ვიღაც ძიღფხიზღობს, სჯღობს წამობრძანდღთ, ბატონებო, და მოისვენოთ. მამალიც ყვიღს და საღაც არის გათენღება.

გ ი ო რ გ ი — (სიხარულით) წაეიღეთ, ქავთარი გაღვღიღღ. ღამემ ქართღის ბეღი უკვე შესცეღა. (პირვეღი მოქვეღების დასარღღი).

მ ო ქ მ ე ლ ბ ა მ ი ო რ ა ბ

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საკამის ეზო კრწანისში. მარჯენივე სასახლე. შუაღულ ეზოში გაზღლიღა სღფრა. მარტხნავ ეზოს კღთხეში თავი მოღურღათ შეთქმულღებს: თეღმტრახ და ქეიხოსრო მღუხრანბატონებღს, ქავთარ ორბეღს, ზაზა ეიციშვიღს, აღათანგ ბერბეღულიძეღს, დაღვით ჯანღიერს, გღსებღს: პავღუნა ჩიევაძეღს, პავღუნა ვაშაყაშვიღს, გიორგი ქავთარაძეღს, ხოსრო ქარსიძეღს და ეღღია დეასამიძეღს. ქავთარ ორბეღი და მღტრანბატონი ქეიხოსრო ნარღს თამაშობენ. იენის მოაჯირზე დღურღნობიღი მღზეციწარ ეზოს გაყურებს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო მ ლ ხ. — ჩარუ-სე-მეტქეი, კამათეღო! შენც არ მომიყვეღ, რაა, ბატონო, ამ იღგნებღს ვეღარ გადაერჩი?

ქ ა ვ თ ა რ ი — გაგიორგულღა კამათეღი, თეღადიშვიღო, აბა, დღუ-ბეში, კამათღლებო, არ მიღალატო! ბეღდავ, თეღადო, ნატერა უნდა ასე ასრუღდეს. (ზეიღიღი).



ქ ა ი ხ ო ს ო რ — ზოჯადოვა კამათლები, თქვენ მზესა ვფიცავს
 ხ ა ზ ა ც ი ც ი შ ვ. — დროა ფარხმალი დაყარო, მუხრან-ბატონო,
 ქ ა ი ხ ო ს ო რ — წესი არის მამაცთაგან მოჭირვება ჭირთა თმენა.

აბა ეს ვნახოთ რა იქნება, აბა, — დუ-ბარა!
 არ შეისმინა კამათელმა ჩემი მუდარა.

ქ ა ე თ ა რ ი — ესეც შამში-დუ, თუმცა, ბატონო, ვერაფერი სკადრისია,
 მაგრამ ეს კაცი, სხვა გზა არ მაქვს, უნდა მოგიკლა.

თ ე ი მ უ რ ა ზ — აბა, დუ-ბარა, ქანოსრო, ეხლა გჭირდება.

ქ ა ი ხ ო ს ო რ — თუ ეხლაც კიდევ, ქავთარ ჩემო, არ, გამიშართლი,
 მაშინ ხელს ვიღებ, ბატონებო, სანადლეოზე.

(შეგუფლებიან მოთამაშების გარშემო. ალაფადის კარებიდან შემოდის ბასტა და
 სახლისკენ მიემართება).

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — ბახუტა, შენა?

სად დაიკარგე, სად გაიქვეც ჩვენი სახლიდან?

ბ ა ხ უ ტ ა — ასე ინებეს მამა თქვენმა და მოურავმა.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — თუ აღასრულე შენი სიტყვა და მომერიდე?

გადაგავიწყდა, ალბათ, უკვე შენი ტრფიალი.

შეიბ გრძნობებიც ნიავს გააყვა, მიმოიფანტა.

ბ ა ხ უ ტ ა — არამც თუ ნიავს, თვით ჭირიშხალს, გრიგალს მძვინვარეს,
 არ შეუძლია წართაცოს ჩემი გრძნობები;

მაგრამ დიდ სარდალს, ვით დაეტოვებდი,
 ვიდრე თვით იგი არ მეტყოდა, არ დამითხოვდა.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — სჩანს, მოურავი „სხვეებზე“ მეტად შეგვეარება?

ბ ა ხ უ ტ ა — იმ „სხვეებზე“ მეტად, თქვენ რომ ფიქრობთ, არა, მერწმუნეთ.
 ის საყვარულა სულ სხვა არის, უფრო ციფრი.

აქ კი თაყვანს ვცემ ვაჟაკობას, კაცის გმირობას,
 თაყვანს ვცემ საქმეს, დიად ზრახვებს,

ზრახვებს, რომელსაც ბავშვობიდან გულში ვატარებ
 და ველი მუდამ, მოუთმენლად იმით ხორცშესხმას.

ასე გამზარდა, მზევინარო, თქვენმა ოჯახმა,
 ასი სიცოცხლეც რომ გამაჩნდეს, არ დაფიქრდები,
 ყველას იმ საქმეს შევწირავდი, ვანაცუალებდი.

ოო, მზევინარო, მოურავი დიდი კაციც
 მისი გონება გამკრიაბი შირს იყურება

და მისი აზრიც ზეკაცური, კეთილშობილი,
 ღრუბლებში სცურავს და თითქოს ღმერთს ესაუბრება.

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — საკვირველია, ვინც კი მაგ კაცს უახლოვდება,
 ყოველთვის ხდება მისი ეგრე მალმერთებელი
 ან და მოსისხლე, საშინელი მძვინვარე მტერი.

ბ ა ხ უ ტ ა — ეგეთი არის, ალბათ, მუდამ ხვედრი ძლიერთა,
 ხვედრი იმ პირთა, ვინც ხალხის საქმეს,
 განუზომელი თავგანწირვით ემსახურება.

ეგეც ხომ ეტრფის განუყრელად სასურველ მიზანს
 და თუ კი შეხვდა დაბრკოლება დასახულ გზაზედ,
 როდი დაზოგავს, გადალახავს, მოსპობს, წალეკავს,
 ან მასთან ერთად დაემხოზა, დაიღუპება,

ასეთ ვაცს მუდამ მტკრმოყვარე არ დაეღვეა.
 როცა მასთან ვარ, ჩემი თავიც ვმირი მგონია.
 ხშირად ოცნება ამიტაცებს, ცაში ამაფრენს
 და გადამიშლის თვალწინ უცხო, სულ სხვა ცხოვრებას.
 ასეთ დროს მუდამ მეც არ ვიცი, ეს რატომ ზღვება,
 ჩემი გონება, ჩემი გრძნობა შენსკენ მოიწევს,
 რათა გაუწყოს საიდუმლო, ნატვრა გულისა.
 შენთან ვარ ამ დროს მე ყოველთვის გონების თვალით.

მზევეინარ — შენი ნათქვამი ვერ გავიგე ორაზროვანად,
 რა საიდუმლო?

ბახუტა — რა საიდუმლო? (ვაჩერდა) არაფერი.
 ნაყოფი იყო, ზღვათ, იგი ფიქრის, ოცნების.

მზევეინარ — შენ რაღაც იცი და მიმაღაე, არ გსურს გამხელა.
 დე, აგრე იყოს, გამოკითხვით არ შეგაწუხებ.

ზოგი ქალივით მე როდი ვარ ცნობისმოყვარე.
 შენ ეს მითხარი, აღარ ფიქრობ უკან წამოსვლას?

ეს ჩემი გული წაირიტაცე, აამღელვარე
 და მყისვე გაჭრი, გადიკარგე, ვიღარსად გხედე.

რთგორ გავიგო შენი ქცევა ეგზომ საცნაურ?

თუ ვინმე გეყვარს, ჩვენ ყოველთვის მისკენ მივილტვით
 და არა მისგან იღუშალად უგუგაქცევით.

არ ვარ ეაქაცი. მე ქალი ვარ, სუსტი ბუნების,

მაგრამ იცოდე, გულში თუ კი რამ გადავსწყვრტე, ამოვიპერი,
 ან შევისრულებ, ან მივწვდები დასასულ მიზანს,

ან და მეც მასთან, იმ მიზანთან დავიღუბები.

თუ არ შეგეძლო საყვარული, არც უნდა გეტყვა.

ბახუტა — შენი სიტყვები საყვედურის მხოლოდ მახარებს,
 რადგანაც ვხედავ, სოყვარული გალაპარაკებს,
 მაგრამ ჯერ უკან ვერ წამოვალ, ვერ დაფრუნდები,
 ვიდრე სარდალი ერთ დიდ საქმეს არ დაასრულება.

მზევეინარ — სარდალს საქმენი არასოდეს არ დაეღვეა.

ბახუტა — მე ვსთქვი ერთ საქმეს.

მანამდე, აღმათ, მე კიდევაც რომ წაიზვიდე,

შუა იქნება გაყოფილი ჩემი სიცოცხლე

და ჩემი გულის ნახევარიც იქვე დარჩება.

მზევეინარ — მას რად მითხარი, რომ გიყვარვარ, თუ ამის შემდეგ
 ჩვენ სამუდამო განშორება გველოდებოდა?

ჰმ, ღმერთო ჩემო, რამდენი რამ მე გადავიტანე:

თეთრი, უძილო ღამეები, დღე და ღამ ფიქრი...

ფიქრი იმაზე, რად გამშორდი, სად დაიკარგე!

ეტிரოდი ხშირად, მსურდა ყოფნა განმარტოებით.

სწუბუნენ ყველანი.

უკვირდით დიდად უცნაური ჩემი მოქცევა.

ჩემს გასართობად რა არ სცადეს, რა არ იღონეს,

მაგრამ ამ ჩემს გულს არაფერი არ ახარებდა.

- ბახუტა — ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუ თუ ამდენი მწუხარება მე მოგაყვამე?
 მზევინარ — და ამის შემდეგ იმიზეზებ რაღაც საქრეებს, ერისნულს
 ვანა ჩსურვებ, რომ ვიტანჯო დაუსრულებლად? ვინაა ჩსურვება?
- ბახუტა — შენ ხომ არ იცი, მზევინარო, თუ რა მაკავებს.
 მზევინარ — არც მსურს ვიცოდე!
 მე აღარ ძალმიძს ავიტანო ასეთი ყოფნა.
 წავიდეთ სადმე, გადავიკარგოთ
 ოჰ, ღმერთო ჩემო!
 ჰკუთავა გონება ვით დავკარგე სიყვარულისგან!
- ბახუტა — ეხლა არა,
 ისეთი რამ მაქვს სარდლისაგან დავალებული,
 ჯერ ვერ წაშოვალ, გვედრები, მაგას ნუ მომთხოვ!
- მზევინარ — მაშ როდის აბა?
 მამაჩემს უნდა მუხრან-ბატონს რომ ვამატანოს.
 ოჰ, ღმერთო ჩემო, აღარ ძალმიძს ასე ცნაურება!
- ბახუტა — ოჰ, ნუ მთხოვ აგრე,
 ხუ თუ არ გესმის, მზევინარო, მოვალეობა?
 არა, არ ძალმიძს მივატოვო ეს დიდი საქმე,
 თუნდაც დავკარგო სიყვარული, ჩემი სიცოცხლეც.
- მზევინარ — აგრე აფასებ მაშ ჩემს ვაძინობას?
 გულქვა ყოფილარ, უმადური ადამიანი.
 და არც ხარ ღირსი სიყვარულის.
- გიორგი — (ზურაბთან ერთად გამოდის საბლიდან)
 ეხლა წავიდნენ ფშაჟ-ხევსურთა მოციქულები,
 შემორიგებას, ერისთავო, გვედრებიან
 და მეც მგონია, მათ დაპყრობას ამაოდ ცდილობ.
 ბატონყმურ უღელს შიულები ვერ აიტანენ,
 ყოველთვის იყენენ უბატონო, თავისუფალნი.
- ზურაბ — როცა ხეებზე ჩამოვკიდებ მათ შეთურებს
 და მათ სოფლებსაც ვადავებუკავ, დავაწიოყებ,
 მაშინ მერწმუნე მრტყლებიან, შეეჩვევიან.
- გიორგი — მე შაინც ვირჩევ, მაგ შიულებს ნუ გაახელებ.
 მთის ხალხი, ზურაბ, როდი დასთმობს თავისუფლებას
 და ვფიქრობ, ტყვილად აიბზებრებ, გადაიმტერებ.
 (ბაბუტას) შენ უკვე მოხველ?
 (გვერდზე ვაიყვანას) რაო, რა ვითხრეს, რა შეიტყე ნეფის შესახებ?
- ბახუტა — სთქვეს, ოლთისიდან გონიისკენ გამგზავრებულა
 და რუსთ მეფესთან წასასკელლად ემზადებაო.
- გიორგი — მართლა? ეგრე სთქვეს?
 ბახუტა — დიად, ბატონო.
 რა დასრულდება ეს ზეიმი, თვითონვე მოვლენ
 და ყოველივეს დაწვრილებით მოგახსენებენ.
- ზურაბ — (რომელიც მზევინარს ესაუბრებოდა)
 ამის შესახებ დღესვე ვეტყვი მამა-თქვენს ქავთარს.
 (სააკაძეს) კარგი იქნება ხომ, გიორგი, შენი ნათლული
 ჩემს უმცროს ძმას ზაალს რომ შევერთათ?

გ ი ო რ გ ი — ჩინებულია, დიდებული საქმე იქნება!

მ ზ ე ვ ი ნ ა რ — არაგვის ბატონს საქმროდ აბა ვინ დაიწუნებდა?
მაგრამ, თავალო, გათხოვებას ჯერ არ ვაბირებ. (მიდი)

ზ უ რ ა ბ — (მიადახებს) შენც არ მომიკვდე, უარის თქმა როდი ვაგვიას!
(ავთანდილ სახლიდან გამოდის თენგიზთან ერთად).

ავ თ ა ნ დ ი ლ — მე და თენგიზ მამა-ჩემო სანაძლეოს ვდებთ:

ხმალში მე და მან ერთმანეთი გამოვიწვიეთ.

მოწმედ იყავით, რომ ჩვენს ორში ვინც დამარცხდება,

თვალ ახვეული ორ დღეს უნდა იარებოდეს.

ვ ი ო რ გ ი — მხოლოდ არ დასჭირათ ერთმანეთი.

და ხმლის მოქნევა საქიროა, გამოგადგებათ,

„ვცთა ცხენსა შარა ვრძელი და გამოსცდის დიდი რბევა“.

ზ უ რ ა ბ — „მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა“.

თ ე ნ გ ო — „მართ აგრეთვე მელექსეთა ლექსთა ვრძელთა თქმა და ხევა.“

ავ თ ა ნ დ ი ლ — „რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.“

გ ი ო რ გ ი — მისმინეთ ეხლა რასაც გეტყვით: წადით ორივე

და როს შეხედოთ ყორჩი-ხანი მობრძანლებოდეს,

უკან წამოდით და იმ წუთში შემატყობინეთ.

ბახტუავ, გაჰყევ და შენ იცი, ფხიზლად იყავი.

ბ ა ხ უ ტ ა — მესმის, ბატონო! (მიდიან)

(საკაძე და ზურაბი წაიღე მოთამაშეთა ჯგუფისაგან, რომელთა შორის ამ დროს სიცილი იტყდება).

თ ე ი მ უ რ . მ უ ხ . — (რომელიც ნარდს თამაშობდა)

თქვენ მზესა ვფიცავ, ქავთარ ჩემო, სევა-დუ იყო.

ქ ა ვ თ ა რ ი — თქვენ არ მიმიკვდეთ, რასა ბრძანებთ, ჩარი-დუ ვახლდათ.

თ ე ი მ უ რ ა ზ — მამინ, ბატონო, წამიგია, ასე გამოდის?

ქ ა ვ თ ა რ ი — ასე მგონია მეც, თავალო, წაგებულა.

ზ ა ზ ა ც ი ც ი შ . — ბედი არ გწყალობთ დღეს ორთავე მუხრან-ბატონებს.

ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე — რა ქნას კარგმა მონარდმა, თუ დუ-შაში არ მოუვა?

ქ ა ი ხ ო ს რ ო — (თეიმურაზს) ადგეს იგი მონარდე და დაანებოს თამაშს
თავი (სიცილი).

თ ე ი მ უ რ ა ზ — ქავთარ ორბელო, ამ შერცხვენას მე არ შეგარჩენ.

გ ი ო რ გ ი — ვინ გაიმარჯვა, ბატონებო, ან ვინ დამარცხდა?

თ ე ი მ უ რ ა ზ — ქავთარ ორბელმა დაგვაძარცხა, ჩემო გიორგი.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — თლონდაც სხვაგან, სხვა საქმეში ნუ დავმარცხდებით.

ამას როვორმე გადავიტანთ, არაფერიია.

გ ი ო რ გ ი — მე მგონი დროა, რომ შევედგეთ უკვე ჩვენს საქმეს,

თორემ სტუმარნი უდროვო დროს შეგვესწრებიან.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — რად დაგვიძახე მტერს, მოყვარეს, ორივეს ერთ დღემ?

გ ი ო რ გ ი — რომ არ აიღოს მტერმა იქვე ჩვენს განზრახვასზე.

განა იფიქრებს, ბატონებო, დღეს ყორჩი-ხანი,

რომ მას გარშემო შეთქმულები მოუსტლებიან?

ე ლ ი ა დ ი ა ნ ა მ . — ეგ ჩინებულად გიფიქრია, დიღო სარდალო.

გ ი ო რ გ ი — მას ღვათის შეწვევით, მეგობრებო, საქმეს შევედგეთ.

დროა განზრახვა შევასრულოთ, დავაბოლოვოთ.



თორემ სპარსელებს ამ ბოლო დროს თითქოს დასჩემდათ მოუსვენრობა, უნდობლობა, ზედმეტა იქვი, და დახანება ჩვენს მხრივ კიდევ საქმეს წაახდენს. ეტყობა უკვე, შაჰ-აბასმა ყნოსაჲ აიღო, რადგან საბუთი ამისათვის აგერ ხელთა მაქვს. (იღებს ქაღალდის პატარა გრაგნილს).

შენ იცი, ვგონებ, ქაიხოსრო, სპარსული ენა, ვთხოვ, წაიკითხო და აქ დამსწრეთ გადაუთარგმნო.

ქაიხოსრო — (ბარათს ჩააჩერდება)

საიდან? როგორ? ეს ბარათი ხელთ ვინ ჩავიდგო?

გიორგი — ხუთი დღის წინად ვნადირობდი ლოქინის ბევში, მარტყოფის და ნორიოს ახლოს.

უცბად შევნიშნე გზაზე ერთი სპარსი მხედარი,

იგი საეჭვოდ იქით-აქეთ იხედებოდა

და თანაც ცხენსა გამალებით შიამქარებდა.

რადაც მიაზრა თათქოს გულმა, ვბრძანე შეპყრობა.

იგი აღმოჩნდა, ბატონებო, შაჰის შათირი

და ამ ბარათით ყორჩი-ხანთან ეშურებოდა.

ჯანდიერი — ვთხოვთ წავვიკითხოთ, რა სწერია მუხრან-ბატონო!

ქაიხოსრო — (კითხულობს) „გიბრძანებთ შენ, მონას ჩვენსას,

სარდალ ყორჩი-ხანს: მოსწყვიტე სრულად კახნი,

შეუდღე ეხლავ ქართლისა აყრას, მოჰკეთე თავი

სააჯაძეს და საჩქაროდ წარმოამგზავნე. შაჰ-აბას“.

თეიმურაზ — ხელაუთ იმ ვერავ, ბოროტ კაცსა, რა განუზრახავს!

ჯანდიერი — ძაღლის ყნოსვა აქვს, თუ რა არის, როგორ გაიგო?

ქავთარი — უნდა აჩქარდეთ, თორემ ვხედავ, საქმეს წაგახდენთ.

ზურაბ — უნდა ვიფიქროთ, ბატონებო, რომ შაჰ-აბასი,

უეჭველია, გამოგზავნის მეორე შათირს,

რაკი ვერა სცნობს, ვერ მიიღებს ბრძანების პასუხს,

და ამიტომაც დროს ნუ ვკარგავთ, საქმეს შევუდგეთ.

ქაიხოსრო — გვითხარ, გიორგი, როდის ფიქრობ მტერზე თავდასხმას?

გიორგი — უნდა გავიგოთ უპირველეს ჯარისა რიცხვა,

რა ძალა შეგვწყვეს ბრძოლისათვის, უნდა ვიცოდეთ.

თეიმურაზ — მუხრან-ბატონებს შეგვიძლია გამოვიყვანოთ

ათას ხუთასი მეომარი.

ქავთარი — ათას კაცს, ვგონებ, მეც შეგვიძლია საორბელოში.

ზაზა ციციშ. — ერთი ხუთას კაცს მეც შევიძლებ, რომ შევგაროვო.

ელია დიას. — ზუთასსაც კიდევ მე მოვიყვან სამესტეთოდან.

ჩივაძე პაპ. — მე, ქარსაძე, ვამაყავილი და ქავთარაძე ათას გლეხამდე შევავაროვებთ.

ჯანდიერი — მე იმელი მაქვს კახეთიდან გამოვიყვანო ხუთი ათასი მეომარი.

ზურაბ — სამი ათას კაცს არაგველებს და მთიულებსა მე მოგვუყვებთ.

ხერხეულიძე — სამას კაცამდე მცირე რაზმი მეც მიყვლება.

გიორგი — ორი ათასი მეომარი ჩემი იქნება.

• ამგვარად, თითქმის თავს შეეწყურით თხუთმეტი ათასს.

სამუხრანოში დღეს, საფურცლეს, ბანაკად არის
ოცდაათი ათასი სპარსი და, ვგონებ, მეტიც.
ათი ათასიც კახეთში ჰყავს ფეიქარ-ხანსა.
სამი ათასი თბილისშია, ათასი მცხეთას,
სხვა ციხეებშიც უყენიათ მცირე რაზმები,
მაგრამ მთავარი, ჩემის აზრით, სამუხრანოა.
თუ კი საფურცლეს დავამარცხებთ სარდალ ყორჩი-ხანს,
სხვა იმათ ჯარებს ეს ამბავი თავზარსა დასცემს
და უბრძოლველად, დამერწმუნეთ, დაგვენბდებიან.

ქ ა ი ზ ო ს რ ო — რა წესით ფიქრობ, მაინც გვითხარ, ომის დაწყებას?

გ ი ო რ გ ი — მიუღოს ძალებით მტერს საფურცლეს უნდა დავესხათ

და ეს თავდასხმა უნდა მოხდეს გაძთენიისას.

რაც შეიძლება მოაგროვეთ ბუკა-საყვირი,
და სათითაოდ დაურიგე ყველა იებრძოლებს.

როს დაიწყება გარიყრაზე მტერზე მისევა,
უნდა ისმოდეს ყოველ მხრიდან. საყვირის ხმები,
მტერს რომ შეეჭმნეს წა-მოდგენა დიდძალი ჯარის.

მოწინავე რაზმს ერისთავმა უნდა უთავოს.

ნიშანს ეგ მოგვეცემს დაწყებისას

და მცხვე შემდეგ თავის ჯარებით ბრძოლას ასტეხავს.

თუ ვინ საიდან შემოუტევეს, რომელი მხრიდან,

ამას შემდეგში სათითაოდ ყველას გაცნობებთ.

რომ არ აღუძრათ იქვე რამე სპარსელ მხედრობას,

დანიშნულ დამეს მე დაერჩები სპარსთა ბანაკში.

ჩ ი ვ ა ძ ე — შენ იქ ყოფნა საშიშია, დიდო სარდალო.

გ ი ო რ გ ი — არა, პაპუნა, მე მგონია, ასე სჯობია.

ვარდა ამისა, განზრახვა მაქვს, თავდასხმის დამეს

ასი ურემი, დატეირთული ხილით, სურსათით,

უღძოფნა საიუქრად ყორჩი-ხანს და იმის მხედრობას.

ამ ურემებს მინდა გავაყოლო ასი მებრძოლი

სულ დარჩეული ევაკაციები, გლეხის შვილები.

დამე ისინა დარჩებიან სპარსთა ბანაკში,

ფარულად ღვინოც უნდა ასევე სპარსელ შეომრებს,

და რა წამსაც კი საყვირის ხმებს გაიგონებენ,

უნდა დაიწყონ ჩირადნებით ჯარში-სირბილი,

მორთონ ყვირილი, ხმაურობა, აღრზაურა,

გვიშველეთ, გვეკლავენ, რუსის ჯარი თავს დაგვესხაო.

ქ ა ი ზ ო ს რ ო — მანამდე ხმებიც გავაერცელოთ,

ვითამე მოჰყავდეს თეიმურაზს რუსების ჯარი.

გ ი ო რ გ ი — მოულოდნელი თავდასხმის და განგაშის შემდეგ

უეჭველია აირევა სპარსთა ლაშქარი,

რაც მათ შემუსვრას გაგვიადვილებს.

გლეხებს მოთავედ უნდა გაჰყვეს ვაშაყაშვილი.

როგორც მოვარებით საფურცლესი ყორჩი-ხანის ჯარს,

ჯანდიერისა და ზურაბის ორივე რაზმი

უნდა წავიდნენ კახეთისკენ ფეიქარ-ხანზე.

- დანარჩენები, ჩვენ, ავიღებთ მცხეთას და თბილისს.
 და მეორე დღეს დავიძვრებით ქაზეთისაკენ.
- ქავთარ** — რაც შეიძლება აჯანყება უნდა დამქარდეს.
- გიორგი** — ათი დღე კიდევ, მე მგონია, საკმაო არის.
- ზურაბ** — ათი დღის შემდეგ ხარებაა.
- კარგი იქნება ამ დღეს მოხდეს სწორედ თავდასხმა.
 ჩვენი ნიშანიც საიდუმლო ხარება იყოს.
- გიორგი** — ძალიან კარგი, თანახმა ვარ, მამ ხარება დღეს.
 ეხლავე უნდა თეიმურაზს კაცნი ვაახლოთ,
 რომ ოცდა ოთხ მარტს შემოვიდეს ფარულად ქართლში.
 ივი ვონიას იმყოფება და როგორც მითხრეს,
 რუსეთისაკენ ამ დღეებში წასვლას აპირებს.
- ზურაბ** — მეფე, რომელიც სამარცხენოდ მტერს გაეპყევა
 და უბრძოლველად ხელთ ჩაუგდებს თავის ქვეყანას,
 არ არის ღირსი ხელმეორედ ისევ გამეფდეს.
- გიორგი** — მის მეფობის ქვეშ შეიძლება მხოლოდ ამ ეპიოდ
 ორი ქვეყანა, კართლ-კახეთი, გაერთიანდეს,
 ამას ჩვენ ყველა, ბატონებო, უნდა ვეცადოთ.
- ავთანდილ** — (შემობრბის, უკან თენგო და ბახუტა მოსდევენ)
 მამა, გამოჩნდა ყორჩი-ხანი თავის მხლებლებით.
- გიორგი** — გასწით, სახლობას გადაეციოთ, რომ გამოვიდნენ.
 (ავთანდილ და თენგო მიდიან).
 ჩვენი შეკრება ერთად კიდევ სამში არის,
 მხოლოდ კავშირი ერთმანეთში, როგორც აქამდე,
 მით უმეტესად დღეს შემდეგ არ უნდა შესწყდეს.
 თქმა აღარ გინდათ, მოგობრებო, ფრთხილად იქნებით.
 აგერ სახლობა გამოვიდა, ჩვენც შევეურთღეთ.
- ქაახოსრო** — ბატონო თამარ!
 ნარდის თამაშით მოგვეკლა სწორედ თქვენმა გიორგიმ.
 დაწყყდით შიმშილით და სადილი კი არ გველირსა.
- თამარ** — ისე სადილი, დიდებულო, როგორ ივარგებს,
 თუ არ აკურთხა ყორჩი-ხანმა ეს ჩვენი სუფრა
 (საილი. ქანგურებზე სოლას ისტებენ სტუმრების პატივსაცემად).
- ჯანდიერი** — მართალსა ბრძანებთ, გულხმიერო, ბატონო თამარ!
 ყორჩი-ხანი წმინდა კაცია, მხედარი ღვთისა.
- ქაახოსრო** — დიდი ალაპის მოციქულის ბრძენი მოწაფე.
 (ალაყაფის კარებში შემოდან ყორჩი-ხანი და სხვა ხანებ. ყველანი ეხალმებიან მათ).
- გიორგი** — შენის სახით ჩემს ოჯახში, დიდო სარდალო,
 შემოდის ლომი ირანისა, ბრძენი შაჰ-აბას.
 უსაზღვრო არის სიხარული პირადად ჩემი
 და აქ დამსწრეთა ჩვენი ქვეყნის დიდებულების.
 ეს დღე, სარდალო, საწყისია ბედნიერების.
 კეთილი იყოს შენი მოსვლა, მხედართმთავარო.
- ყორჩი-ხანი** — გმადლობთ, სარდალო.
 არა მარტო მე მეგობრობა შენი მახარებს,
 მას მეფეთ-მეფე, შაჰ-აბასიც დიდად აფასებს.

გორგი — და მეც ვეცდები გაგამართლო ეგ დაფასება.

თამარ — ზომ არ მოგქანიათ, დიდებულო, გზამ, სიარულში,
 ყორჩი-ხან — ოპ, რასა ბრძანებთ!

საუცხოვოა გაზაფხულზე ეს თქვენი ქართლი,
 მანდვრის ყვავილით დანაქარგი შწვანე ველები,
 თეთრი ატმები, ნაზი ია. დიდებულის!
 თითქოს იღვიძებს ეს ბუნება განახლებული.

თამარ — (მნიშვნელობით)

როს გაიღვიძებს, დიდებულო მზედართმთავარო,
 უფრო დიადი, თვალწარმტაცი მაშინ იქნება.

გორგი — გთხოვთ რომ მობრძანდეთ, ბატონებო, სუფრა მიგველის.

(პირველი სურათის დასასრული)

სურათი მეორე

სპარსელების ბანაკი საფურცლენი. კარვის წინ ნოზზე, მზარ-თებოზე წამოწოლიდა
 სიაცაძე. გარშემო უსხედან: ავთანდილ, ბახუტა ჯილაღური და პაპუნა
 ჩივაძე. შუღამეა. დროგამოშვებით შორიდან თუნაფ მოისმის სპარსული ნაღვლიანი
 სიმღერა და გუშავთა ყვილი. ლაპარაკობენ საიდუმლოდ.

ბახუტა — დღის სინათლეზე არსად სჩანდა არც ერთი კაცი,
 ეზლა კი მოდის ყოველ მხრადან ურიცხვი ჯარი
 და სპარსთა ბანაკს სალტესავეთ გარშემო ერტყმის.

გორგი — სიფრთხილზე მართებთ მეტად დიდი,
 რომ არსებობა ჯარმა თვისი არ გაამეღვენოს
 და დაიფაროს თავის თავი დანიშნულ დრომდე.

ჩივაძე — მაგაა ნუ შიშობთ.

თუ კი არ იცის კაცმა მათი ბინა, საღვამი,
 კიდევ რომ სძებნოს საგანგებოდ, ვერ აღმოჩენს.

ბალბა ტყეებში, ნაპრალებში მიმალულია
 და დათქმულ ნიშანს ელოდება გარინდებულის.
 ჩქაში არ ისმის მათ გარშემო, სიჩუმე სუფევს
 და ფარავს ყველას მტრის თვალთაგან ლამის წყვედიადი.

გორგი — წადით ორნავე, დაიმილეთ დაბლა ბუჩქნარში,
 თვალი გეჭირთ ბანაკისკენ, ნუ მოაშორებთ.

თუ შეამჩნიოთ მოძრაობა უჩვეულო რამ,
 მყისვე მაცნობეთ, ყოველდღე შემატყობინეთ.
 (ბახუტა და ჩივაძე მიდიან, გამოჩნდება ვაშაყაშვილი).

ბახუტა — ვინ ხარ? ვინ მოდის?

ჩივაძე — ეინა ხარ-მეთქი?

ვაშაყაშ. — მოყვარე ვარ. „ხარება მოდის!“

ჩივაძე — შენ ხარ, პაპუნა?

როგორ გიკითხო, რას შვრებიან შენი ბაჭები?

ვაშაყაშ. — კარგად ვართ ყველა.

ლბინია დიდი, მეგობრებო, სპარსთა ბანაკში.
 და საქმეც მიდის ჩინებულად, როგორც ჩვენ გვინდა.
 სად იმყოფება მოურავა, ჩვენი სარდალი?



ბ ა ხ უ ტ ა — აგერ იქ არის, კარავის წინ წამოწოლილი.

(ჩივიძე და ბახუტა გადიან).

გ ი ო რ გ ი — აქა ვარ, აქა, აქეთ მოდი, ჩემო პაპუნა.

ვ ბ შ ა ყ ა შ ვ. — (მიდის) თვალთ ვერაფერს ვახედები, რა სიბნელეა!

(სააკაძესთან დაჯდება).

როგორც გვიანდოდა, ყოველივე ისე მოეწყო.

დიდი მადლობა მოგახსენეს სპარსთა სარდლებმა,

თან ყორჩი-ხანმა დაუბატა: მოურავისგან

ვარ მე ისედაც მეტი-სმეტად დავალბული

და ეხლა კიდევ ასეთ ხარჯით რად შეწყუბნაო.

ააკი შებინდდა, ყორჩი-ხანის ყველა სარდლები,

თავიანთ კარვებს შეეფარნენ და ეხლა უკვე

თქვენგან გაგზავნილ ტყვილ სასმელებს შეეპყვიან.

ლხინმა მათ ისე დაავიწყათ მოვალეობა,

რომ მთელი ჯარი უპატრონოდ გაშვებულია.

ჩვენი ბიჭებიც მასპინძლობენ ყველას გულუხვად

და ბევრი გდია უკვე სპარსი იქვე ურმებთან

ღვინით დამთვრალი, გაღუნული.

გ ი ო რ გ ი — ძალიან კარგი!

როგორც კი ჯარი, მტრის ბანაკი ძილს მიეცემა

აიხნით ყველამ იარაღი და მზად იყავით.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ — ჩუ! ვილაც მოდის (წამოდგება)

(ჩივიძეს და ბახუტას მოჰყავთ პირაკრული სპარსელი).

ნ ი ვ ა ძ ე — ამიოდ ცდილობ, მეგობარო, თავის დაღწევას,

რაკი ჩემს ხელში მოხვდი უკვე, მორჩა, ვათავდა!

(მოურავის წინ დააგდებენ სპარსელს).

ბ ა ხ უ ტ ა — გაჩერდი-მეთქი, ნუ ფართხალებ, შე არამზადა.

ამ ძაღლის შვილმა, როგორც კატამ, ისე დამკაწრა.

ვ ი ო რ გ ი — სად შეიბყარით? ან ვინ არის, რად დაკავეთ?

ბ ა ხ უ ტ ა — აი იქ ხეზე გასულიყო დასაზვერადად

და ამ თქვენს სადგომს, მოურავო, უთვალთვალებდა.

გ ი ო რ გ ი — აუბსენით პირი ეხლავე.

რკინტი არ დასძრა, არამზადა, თორემ იცოდე,

წუთისოფელს ვამოგასალმებ.

ვინ გამოგგზავნა? (სპარსელი სდუმს)

სთქვი, თორემ მოგკლავ, ჩემის ხელით, გველის წიწილო!

(ხელს წაადუნებს).

ვინ გამოგგზავნა საზვერადად?

მ ზ ვ ე რ ა ვ ი — ვატყვი, ნუ მომკლავ.

ყორჩი-ხანმა გამოგგზავნა.

გ ი ო რ გ ი — რა დაგავლა?

მ ზ ვ ე რ ა ვ ი — შენთვის თვალ-ყური მთელი ღამე შედევნებინა,

ვას ეჭნებოდა შენს კარავში ღამით მიმოსვლა,

ან თუ შენ საღამე წახვიდოდი,

უნდა ყოველი სარდლისათვის შეუწყებინა.



- გორგი — მამ სჩანს, ყორჩი-ხანს იქვე უკვე აღებული აქმა
და ჩემთან ერთად სხვებიც სურდა ხელში ჩაეგდო.
ძალიან კარგი. ეხლა საქმე დასწრებაზეა.
(ბახუტას) აუკარ პირი მაგ თხუნელას,
წაიყვანეთ ეხლავ, საჩქაროდ
და კლდიდან ხევში გადაჩეხვით, ვადაისროლოვით.
ეხლა ეგ ჩვენთვის აღარ არის უკვე სავირო.
- მზვერავი — (პირაქრული სააკაძეს მუხლებზე შემოეხევეა და პატიების
სთხოვს. წკმუტუნებს, ტირის და ემუღარება) მა... მა... მმ...
- გორგი — მომამორეთ ეს არამზადა.
- ავთანდილ — მამა, ცოდვია, მამა-ჩემო, ვთხოვ, აბატიო.
- გორგი — რას ლაპარაკობ, აბა რა დროს სიმზაღუღლია!
ომია ეხლა, მტრის დაზოგვა არ შეიძლება.
- მზვერავი — (ეხლა ავთანდილს ეხვევა მუხლებზე და ემუღარება შემ-
წეობას)
- ავთანდილ — მამა-ჩემო, ეხლა ნუ მოკლავ,
ჩვალისთვის იყოს, ხვალ თვითონ შენ გაასამართლე.
ცოდვია, მამა, ეშინია, როგორა ტირის.
- გორგი — ცოდვა არის!
ერთი მას ხელში ჩაეარდნოდი, მაშინ ნახავდი,
როგორ სასტიკად, უღმობელად მოგეჭკეოდა.
შენ მოწყალებას ნაადრევად, ეხედავ, არიგებ.
ჩვენ წინ მტერი სდგას, ათჯერ მეტად ჩვენზე ძლიერი
და თუ დავმარცხდით, მთელს ქვეყანას დაღუბა ელის.
სანამ ფეხზე დგას კიდევ მტერი, არ წაქცეულა,
მისი დაზოგვა, შეზრალეა უაზრობაა.
აბა, ბახუტავ, მომამორე, ნულარ აყოვნებ.
- ავთანდილ — ეხლა ნუ, მამა, ეხლა ნუ მოკლავ!
რაღაც სურს გითხრას, მამა-ჩემო, თითქოს განიშნებს.
- გორგი — რაო, რა გინდა?
აუხსენი, ბახუტავ, პირი.
- მზვერავი — (პირის ახსნის შემდეგ სულს ითქვამს)
ოპ, სარდალო, დიდო სარდალო!
ოღონდ ნუ მომკლავ, დიდ საიდუმლოს მოგახსენებთ,
მხოლოდ ნუ მომკლავ, გვედრებდი, გემუღარებდი.
- გორგი — სთქვი, გაათავე.
- მზვერავი — ამ დილით სარდალს მოუვიდა შაჰის ბარათი
და, როგორც ვცანი, გიპირებენ მალე შეაყრობას.
ეს საიდუმლო მთელს ბანაკში არავინ იცის,
თვითონ სარდალის ახლობელმა, სანდო პირებმააც,
რადგანაც შიშობს ყორჩი-ხანი, რომ ეს ამბავი
არვინ გაცნობოთ და გაქცევით თავს არ უშველოთ.
მე ეს გავიგე სულ შემთხვევით, შაჰის კაცისგან,
იგი, სარდალო, ჩემი ახლო მეგობარია.

გორგი — მამ ეგრე არა, ყორჩი-ხანო?

ენახო ჩვენ ორში თუ რომელი რომელს შეიპყრობს.

(მზერავს) მიჩუქებია ჯერ აქამად შენთვის სიცოცხლე.

შეპყარით მაგრა და დაადგეთ იქ, ჩემს კარავში.

(მზერავი შეჰყავთ კარავში და უკანვე ბრუნდებიან).

წადით, თქვენს ადგილს დაუბრუნდით, ფრთხილად იყავით.

(საჩქაროდ მიდიან).

ვაშაყაშვილო, გამოგზავნეთ თხოთმეტი კაცი,

უნდა გარშემო დაეაყენო აქ გუშაგებად.

მარჯვედ იყავით, არ აჩქარდეთ, ნიშანს ელოდეთ.

და როგორც წაველ ყორჩი-ხანის თავდასასხმელად,

შეგატყობინებ, მომეშველე შენი ბიჭებით.

ეხლა კი გასწი, ნუ აყოფნებ, შენს ხალხს მიხედე.

ვაშაყაშვი. — ეხლავე, სარდალო!

(ვაშაყაშვილი მიდის, სააკაძე ერთხანს მოუსვენრად დიდს, შემდეგ თანდათან წყნარდება და ისევ კარავის წინ წამოწეება).

გორგი — (ავთანდილს, რომელიც პანაქისკენ გაიყურება)

შოდი, აქ დაჯექ, დაისვენე, მანდ რას უდგეხარ?

(ავთანდილი ჯდება).

ავთანდილ — (სიჩუმის შემდეგ)

მამა! რამდენი დიდი ომი გარდავიხდია?

და ნუ თუ ერთხელ, ერთხელ მაინც შენ არ შემკრთალხარ?

ნუ თუ სიკვდილის არასოდეს შეგშინებია?

გორგი — ჯარის ბედით, ჩემო შვილო, ბევრჯერ შევემკრთალვარ,

ხალხის დაღუპვის არა ერთხელ შეგშინებია,

მაგრამ ჩემს თავზე რომ შეფიქროს, ეგ როდი მახსოვს.

ხშირად როდესაც ჩვენს ხელთ არის-სხვების სიცოცხლე,

მამინ ჩვენს პირად ბედ-იღბალზე ნაკლებად ვფიქრობთ.

ავთანდილ — მამ შიში შენს გულს ერთხელაც არ მიპყარებია?

გორგი — ძალიან ძვირად, იშვიათად, აღარც კი მახსოვს.

ის კი მინახავს ომის დროსა, ბევრჯერ მინახავს,

რომ მტრის შეომარს, ჩემს ცნობაზე,

თავზარდაცემულს, შეშინებულს, ფერი შესცვლოდეს,

მყისვე დაეგდოს ბრძოლის ველს, გამშორებოდეს.

ავთანდილ — ვინ იცის, ალბათ, მამა-ჩემო,

რამდენი უცხო მეომარი ომში მოგიკლავს!

გორგი — ჰო, ალბათ, ბევრი... როდი მახსოვს... ბევრი მომიკლავს.

ავთანდილ — მაინც ისეთი ხომ გქონია, მამა, შემთხვევა,

ამხედრებული შენზე მტერი შეგბრალებოდეს,

ან და სიცოცხლე შენ მტრისათვის გეჩუქებინოს?

გორგი — ძალიან ბევრჯერ, ჩემო შვილო, ჩემი მახვილი

უკვე გაწვდილი, აღმართული შესამუსრავად

შეჩერებულა და უსისხლოდ ძირს დაშვებულა,

მაგრამ რად მაძლევ ასეთ კითხვებს?

სჩანს, შენი გული ვერ ისვენებს, შფოთავს, მღელვარებს.



თუმცა ყოველივე... ეს ისეთი ბუნებრივია...
 დრო მოვა, ალბათ, ომის ხმაურს შენც შეერჩევი.
 ვცადე ომში, დაჯერებით, მშვიდად შეხვიდე,
 უნდა ხელმარჯვედ სცემდე მახვილს, ფარ-ხმალს ზნარობდე,
 მაგრამ ვონება ამ დროს უნდა საღიდ მსჯელობდეს.
 მეტი სიფიცხე, აჩქარება, საქმეს წაახდენს,
 ანგამად გირჩევ, ნუ იფიქრებ შეცოდებაზე,
 ჯერ ქაბუჯი ბარ, თანაც ომში გამოუცდელა
 და ხშირად ზდება, ზოგი მტერი თავს შეგებაბრალებს,
 ფარ-ხმალსაც დაპყრის, დაიჩოქებს, დაგვმორჩილდება,
 მაგრამ იმავე დროს მარჯვე წამი თუ ხელთ მოიგდო,
 მუხანათურად ჩაგვეცემს მახვილს ფარულად ზურგში
 და გადითელავს კეთილშობილ, რაინდულ ქცევას.
 ადამიანის შესაბრალის, სათნო სახის ქვეშ
 ხშირად იფარავს თავს ვერაგი, ბოროტი გული.
 ვაეკაცზე მეტად ბოროტს, ჯაბანს უნდა ერიდო.
 რაც ვითხარ, კარგად დაიხსომე, არ დაივიწყო.
 ეხლა კი წადი დაისვენე, თვალს მოატყუე,
 იფიქრე მხოლოდ ჩვენი ჯარის გამარჯვებაზე.
 როდესაც ბრძოლის დასაწყისი მოახლოვდება,
 შე თვითონ მოვალ, გაგაფრთხილებ, შეგატყობინებ.

მე თან დიღ — შენ არ იფიქრო, მამა-ჩემო, რომ შეშინოდეს,
 მადლეებს მხოლოდ მოლოდინი ჯერ არ ნახულის,
 შინადავს თითქოს და მსურს ომიც მალე დაიწყოს.
 რად აგვიანებს ბიძა ჩემი ნიშნის მოცემას?

გ დ ო რ გ ი — ჯერ ადრე არის, მოისვენე, წადი, დაწეკი.

(ეთანდელ შედის კარავში. საკაბე იდგება. სპარსთა ბანაკს დიღხანს გააყურებს).

შესწყუდა ხმაური, დაიძინა უკვე ბანაკმა
 და არე-მარეს დაეუფლა წყვედიადი ბნელი.
 ობლად გაისჰის სადღაც მხოლოდ გუშაგთ ყვირილი
 და მღერის ვიღაც სპარსულ მანგებს, თითქოს მოსთქვამდეს.
 იქნებ გრმნობს კიდეც იმ სპარსელის გული, ბუნება,
 რომ მისი დღენი, მისი ყოფნა გაუხარელი
 უნდა დასრულდეს მისთვის უცხო, სხვა ქვეყანაში.
 მეტი რისთვის? რა დარჩენია აქ, გურჯისტანში,
 იღაც საწყალს, მშვიტ-მწყურვალს, დატაქ ქირანანელს,
 რომ აქ დასტოვოს თავის ძვლები, თავის სიცოცხლე?
 მხოლოდ იმისთვის, რომ ასე სურს მის მეფე-ბატონსა
 რა მრუდე არის, უსამარტლო წუთისოფელის
 ერთის სურველს, ნებაა, პრძანებას,
 ძალუღს მოუხპოს ასი ათას ვაეკაცს სიცოცხლე
 და ამხედროს ერთმანეთზე უცხო ერები.
 ეს უთვალავი ურდოები, ხალხის ლიანგი,
 რომელსაც უნდა და სწყურია კიდეც სიცოცხლე,
 და ამ ძვირფას განძს მას სტაცებენ ნაძალადევათ



რად არ იფიქრებს ერთხელ მაინც, რად არ ისტრეგებს, თავის მამა ლი შეიპარუნოს, შეატრიალოს და ძირს დაამხოს თავისივე შექმნილი კერპი? მაგრამ ჯერ ხალხი თავის ძალას ვერ გრძნობს, ვერ ხედავს. და თუ კი იგრძნობს მას ოდესმე? ვინ მაშინ მათ — ხელისუფალთ, ქვეყნის მპყრობელებს! ვინ მათ, როცა ათასი წლის ბოლშე, ნაღველი ხალხის გულიდან დაიდევრება, გადმოინთხება. მაგრამ იქნება კი ოდესმე ასეთი ქაში? დადგება ვინა ისეთი დრო, რომ დიდი, მძლავრი თავისზე დაბალს, თავისზე სუსტს არა სჩაგრავდეს? რა დაუშავა, თუ გინდ ჩვენმა მცირე ქვეყანამ უდიდეს საბარსეთს, სახელგანთქმულ, ძლიერ შამ-აბასს? რად უდილობს მოსპოს უცოდველი, უმწეო ხალხი? ვინა იმისთვის, რომ სუსტი ვართ? მას ძალა შესწევს, ამიტომ ფიქრობს დაუსჯელად ჩვენს გადათელვას? მაგრამ სტყუედება, საქართველოს ვერ მოინელებს, როგორც ვერ შესძლეს მონელება მისი ბერძნებმა, რომელებმა, მონღოლებმა და ბიზანტიამ. ამ ქვეყანაში რამდენ ტომებს გადაუვლია, მაგრამ კვლავ სიცოცხლობს საქართველო, კვლავაც იცოცხლებს, მათი დიდება კი გადაჰყვია, ჩაბარდა წარსულს. ხვალ ჩვენი ხალხი კვლავ იქნება თავისუფალი! და ათასჯერაც რომ დაგვადგან მონეს უღელი, ათასჯერ შეესძლებთ გადავიპროთ, დავამხოთ მტერი. ვერ გასტეშს ძალა თავისუფალ ხალხის ბუნებას! ჩემს გულში წედან სიბრალულმა დაისადგურა, მაგრამ მიუძღვის ჩემს შეილს მხოლოდ ამაში ბრალა. მისმა აქ ყოფნამ, ჩემთან ერთად, თითქოს მომაღბო და გულს აღმიძრა უჩვეულო, უცხო გრძნობები. მაგრამ შორს ჩემგან სიბრალული წინ თმი მელის და მერყეობას აქ აღგილი არ უნდა ბქონდეს. ის, ვინც მერყეობს, ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებს! როგორ აციედა. არაგვის თელში განთიადს მოაქვს. დრო არას უკვე ბრძოლისათვის ჯაგმანს ვიცეამდე. (მეორე სურათის დასასრული)

მისანე სურათი

სპარსთა ბანაკი საფურცლებში, ყორზი-ბანის კარავი, მოშორებით დგას ორი გულმაგო ისკანდერ და ბექირ. ნაშუადამეია.

ბექირ — შესდგე, ვინა ხარ?

ისკანდერ — ვინა ხარ-მეთქი, სად მოდიხარ?

(გამოჩნდება ანდუაფარ ამილახვარი, რომელსაც ისკანდერ და ბექირ უღებთ გზის გადაუღობავენ).

ამილახვარი — ნუ გეშინიანთ, მოყვარე ვარ, ამილახვარი.
გთხოვთ, გამატაროთ ყორჩი-ხანთან.

საქმე მაქვს მეტად საჭირო რამ, დიდად სასწრაფო.

ბექირ — არ შეგვიძლია, ვერ გაგიშვებთ, დიდ სარდალს სძინავს.

ამილახვარი — საქმე მაქვს-მეთქი, გეუბნებით, გთხოვთ, ნუ
მაყოვნებთ.

ისკანდერ — არ შეგვიძლია. ნება არა გვაქვს.

ამილახვარი — ნუ მელობებთ, გამეცალეთ, თორემ დმერთს ვფიცავ,
დამაჯარგვინებთ მოთმინებას, იარაღს ვიხმარ
და გზასაც მაშინ, დამერწმუნეთ, ძალით გავიკვლევა.

ისკანდერ — ხმლით რომ აგვეჭოთ აი აქვე, თუ გინდ ეხლავე,
შინც, თავადო, ვერ გაგიშვებთ, არ შეგვიძლია.

ამილახვარი — იქით გამშორდით, გამეცალეთ, გასწიეთ შუბი!

ბექირ — გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ.

ყორჩი-ხან — (ქარავიდან თავს განიკყოფს)

რაო, რა მოხდა? ვინ ხმაურობს, რა ამბავია?

ისკანდერ — ამილახვარი გახლავთ თქვენთან, დიდო სარდალო.
სურს თქვენი ნახვა, აღარ იშლის, ველარ ვაკაევებთ.

ყორჩი-ხან — რა ამბავია, ანდუყაფარ? (დბრაჯუბს) გამოატარეთ!
ამ უღროვო დროს რად მოსულხარ, რამ შეგამფოთა?

ამილახვარი — ცუდი ამბავი, მხედართმთავარო.

ეხლავ დასტოვეთ განსვენება, თბილი საწოლი,
ტანთ შეიმოსეთ, აღიქურვეთ ჯავშან-ფარხმალით,
თორემ დრო მიდის,

და მტერიც თავზე დაგადგებათ ისევ მძინარეთ.

ყორჩი-ხან — სად არის მტერი? ან ვინ გეუბრძვის, გამაგებინე?

ამილახვარი — ყველგან, გარშემო, ტყე-ბუჩქნარში, კლდის ნაპრა-
ლებში

ჩამსხდარა მტერი, მიჩქმალულა და ნიშანს ელის,

რათა მზაკერულად თავს დაგესხას,

მტრის ჯარებით ხარ ყოველ მხრიდან შემორკალული.

ყორჩი-ხან — ვინ არის მტერი, გეკითხები, გამაგებინე?

უცხო ქვეყანა ვერ შესძლებდა ასე სისწრაფით,

იღუმალად თავზე დაგესხმოდა.

ვინ არის-მეთქი, ვინ, გამცემი? ვინ გვიღალატა?

ამილახვარი — თქვენი კეთილი მეგობარი,

თქვენი სარდალი, მოურავი პატივცემული.

ყორჩი-ხან — ოჰ, საოცრება!

ოჰ, გულთმისანო, დიდებულო ბრძენო შაჰ-აბას!

შენი გონება გამჭირაბი შორს იხედება

და ყნოსავაქ შენი არასოდეს შენ არ გღალატობს.

ეი, ისკანდერ!

მომეცი ეხლავ იარაღი, ზუჩ-მუზარაღი,

ბექირ, გაიჭეც ყველა სარდლებს აქ დამიძახე.

ოჰ, მე უგუნური, ბიყუში, რისხვის ღირსი ვარ.

რად არ შევიბყარ დროზე იგი, რად არ მოვკალი,



- როგორც კი ვცანი დიდებული შაჰის ბრძანება?
 მაგრამ განიხებ შენს განზრახვას, ოპ, მუხანათო!
- ჩქარა, ისკანდერ, ჩქარა-მეთქი, ნუ აგვიანებ!
- ისკანდერ — ეხლავ, ბატონო, მომავლს კიდეც, აი ინებეთ.
- ყოჩი-ხან — (რომელსაც ისკანდერი აცმევს)
 ოპ, როგორ ჩქარობ და ვერაფერს კი ვერ ახერხებ.
 რა დაგემაართა? ისე რიგად კრთი და ცახცახებ,
 თითქოს შეგყროდეს ავი სენი, ციებ-ციხელება.
 ვგონებ შიშისგან მაგ ხელეზზე დამბლა დაგეცა.
 მომეც აქ ჩქარა ეგ ჯავშანი. მე თვით ჩაიცვამ.
- ალი-ყული-ხან — (შემორბის) რა ამბავია? რაზე მიხმე მხედართ-
 მთავართ?
- ყოჩი-ხან — აჰყარე შენი თავრიზელნი, ალი-ყული-ხან,
 გარს შემოერთყი სააკაძეს, ეხლავ საჩქაროდ,
 შიბიყარ, მოჰკალ, როგორც გსურდეს, ისე მოექეც,
 მხოლოდ ცოცხალი არ გაუშვა, არსად გაგეჰცეს.
 ხომ გესმის კარგად? აბა ისწრაფე!
- ალი-ყული-ხან — თქვენი ბრძანება აღსრულდება ეხლავ, სარდალო.
 (ალი-ყული-ხან გარბის).
- ყოჩი-ხან — (ისკანდერს, რომელიც კიდეც აცმევს)
 ჩქარა, ისკანდერ, გაათაფე, რა გემათება?
- ისკანდერ — შორჩა, ბატონო!
 აი ინებეთ, დაიხურეთ ეს მუზარადიც.
- ყოჩი-ხან — რად არ მოდიან, სად არიან ჩემი სარდლები?
- ანილატარი — უკვე ინათუბს, სადაც არის, მხეოართმთავარო.
 აშაღეთ ეხლავ თქვენი ჯარი, თქვენივე გააწყვეთ,
 როგორც რიგია, ბრძოლის წესზე, მტრის შესახვედრად,
 თორემ სარდალნი არ მოდიან, აგვიანებენ.
- უსუფ-ხან — მხედართმთავარო, რად შეძახდით? რაზე ამდგარხართ?
 ან და საომრად რად ბრძანდებით განმზადებულნი?
- ყოჩი-ხან — დიდი ხანია უკვე ვიხმე, სად ხარ, უსუფ-ხან?
 ან სად არიან დანარჩენი ჩემი სარდლები?
- უსუფ-ხან — რა მოგახსენოთ, დიდებული, ალბათ, კარგებში.
 თქვენი ბრძანება ეს-ეს არის ეხლა ვადმომცეს
 და მეც ამ წუთში გამოვეშურე.
- ყოჩი-ხან — ხალხი აჰყარე, გაიქეცი, დაჰკარ განგაში,
 მეც ეხლავ მოგდეგ, ჯარს საომრად თვით გავუწღვები.
 მტერი ჩვენს ბანაკს გარს არტყია, დალატი არის.
- უსუფ-ხან — როგორ? დალატი? ვინ გაბედა?
- ყოჩი-ხან — ვაიქეც-მეთქი, გეუბნები, ნუ აგვიანებ.
 (ამ დროს ყოველ შრიდან მოამბის საყვირები. მივილი არე-მარე იცხება შათი ხმებით).
- აჰ! გველო, გველო, მოლაღატე, კიდეც დამასწარ!
- უსუფ-ხან — ალაპ, ალაპ, შენ დაგვიფარე!
- ყოჩი-ხან — ერთი ინტედი დამრჩა კიდეც, ალი-ყული-ხან.
 თუ ვერ გაასწარ, მოურავო, თუ კი შეგიპყრეს?
 მაშინ მაგ შენს ბრბოს მე ერთ წუთში გაეანადგურებ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად ხარ ისკანდერ?

მტერთან საომრად ხელ-ცარიელს, უხმლოდ მაგზავნი?

ჩქარა ფარ-ხმალი მომიტანე, შვიშარა ძაღლო!

ისკანდერ — ავერ მზად გაზღავეთ, დიდებულო, გათხოვეთ რომ ინებოთ.

(ყორჩი-ხან აიღებს ხმას და ისე გარბის. მას ისკანდერი დადევნება ფარით ხელში).

ამილახვარი — ეხლა სინქარე ამოია, ვეღარ გიმწვლით.

(ომის ხმაური მატულობს).

ალიყული-ხან — (შემორბის)

ვეღარ მიტუსწარ სააკაძეს, მხედართმთავარო.

(ამილახვარს) სად ბრძანდება დიდი სარდალო?

ამილახვარი — ვეღარ მიტუსწარ?

ალიყული-ხან — დიად, თავადო, გაქცეულა.

საით წაბრძანდა ყორჩი-ხან, თავადიშვილო?

ამილახვარი — ამ გზით წავიდა, აი აქეთ, ალა-ყული-ხან.

(ალიყული-ხან გარბის ინდუყადარი აღღლებული ყურს უდგნს ომის ხმურს)

მე, როგორც ვატყობ, ცუდად მიდის ამათი საქმე.

სჯობს, რომ გავიქცე, თავს ვუშველო, ცოლშვილს მივხედო.

(საჩქაროდ გდის ერთხანს სენა ცარიელია. შორიდან მოისმის ხმები: „ოივს უშველეთ, გაიქცეთო!“ ახლოდება შემოტევის ყვირია, თოფის ხმა, ომის ლაშქრული-შემორბიან ყორჩი-ხან და ისკანდერ).

ყორჩი-ხან — საშინელება, ჯოჯოხეთაა ირგვლივ ყველგან!

სადღია უკვე უძლეველი ჩემი მხედრობა?

გაპქრა, დაირღვა ყოველივე ელვის სისწრაფით.

არ მომისმინა ჩემმა ჯარმა არც ერთი სიტყვა,

თითქოს დაპყარა ჩემი ცნობა, თავის გონება!

(ხმაური მატულობს).

ისკანდერ — გათხოვეთ, გვედრებით თავს უშველოთ, დიდო სარდალო.

მტერი მოიწევს, ახლოვდება ბრძოლის ხმაური.

ყორჩი-ხან — წადი, გამშორდი, გამეცალე, მზდალო, შვიშარა!

ისკანდერ — მე გავაბარებთ, გამომყევით, დიდო სარდალო.

ყორჩი-ხან — როგორ მიბედავ მაგის თხოვნას, რომ მე ქურდულად

შენთან, ლაჩართან, გამოვიქცე, გამოვიპარო?

(შეუტევეს) გამშორდი, თორემ ჩემის ხელით მოგკლავ, აჯუწავ!

ისკანდერ — რას შემართლებათ, დიდებულო, რა დაგიშავეთ?

აჰა, მივდივარ, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

(შემორბის უსუფ-ხან).

უსუფ-ხან — დიდო სარდალო, ვერაფერი ვეღარ გავაწყვე,

შენი მეტბრძოლი, შიშისაგან შარდაცემულნი,

ერთი ერთმანეთს აწყდებიან ცნობა მიხდილნი.

ფეხით სთელავენ წაქცეულებს, მთვრალებს, მძინარეთ

და ისმის ყველგან საშინელი ლანძღვა-გინება.

თანაც დამრწიან მთელს ბანაკში, როგორც ლანდება,

ვადაც უცნობნი ანთებული ჩირაღდანებით

და გაპყვიან, საშინელი შეშარაფი ხმით:

რუსის ჯარი მოპყავს მეფეს, თავს უშველეთო.

ყო რ ჩ ი-ხ ა ნ — ოპ, სააკაძე, სააკაძე!

უ ს უ ფ-ხ ა ნ — პირუტყვნიც დაფრთხენ ცეცხლს შუქზე,

სააკაძე
სააკაძე

დაპლავებს ჯაქვნი, მიატოვებს თავის სადგომნი
და უთვალავი აქლემების, ცხენის ჯოგები,
დაფეთებულნი მიმოქრიან, ცოფმორეულნი,
სრქსავენ მებრძოლთ და მთელს ლაშქარს ანადგურებენ.
მთელი ლაშქარი ეხლა უკვე ბრზის წარმოადგენს,
რომელიც ფაქრობს მხოლოდ თავის გადარჩენაზე.
და ჯარის ბედიც ეხლა უკვე განწირულია.
ვთხოვთ, რომ დასტოვოთ ეს ბანაკი, მტერს მოერიდოთ,
ნუღარ იყოვნებთ, წამოდიეთ ჩქარა!

ყო რ ჩ ი-ხ ა ნ — ეგ შენი რჩევა უსუფ-ხანო, უაზრო არის,
სიკვდილს ვავექცე მე იმისთვის ბრძოლის ველიდან,
რომ შერცხვენილია, ლაფ-დასხმული შაჰის წინ წარგსდევ
და იქ მივიღო ისპაანში მისი ხელიდან,
ვით საჩუქარი, მოწყალეობა, ტანჯვით სიკვდილი?
არა, უსუფ-ხან,

მახვილით ხელში აქ დავიკებ მე მოთმინებით
და ხვედრს ბედისგან გამზადებულს დაველოდებო.
მე აქ დავეარგე ყოველივე, ჯარი, დიდება
და ჩემი დღენის დასასრულიც აქ უნდა იყოს.

უ ს უ ფ-ხ ა ნ — როგორც გვინებოთ, დიდებულო, თქვენ უკეთ იცით.
ეხლა მეც ვფიქრობ, უაზროა ჩვენი გაქცევა.
იყავ მშვიდობით, შეიძლება ვეღარც კი შევხვდეთ.
(გადის).

ყო რ ჩ ი-ხ ა ნ — მე კი მგონია ჯოჯოხეთში მალე შევხვდებით.
(გარედან მოისმის სააკაძის ხმა).

გიორგი — ეხლავ გაიქცე, გადაეცი მუხრან-ბატანებს,
საგურამოზე ვადავიდნენ
და გაქცეულ ჯარს წიწამურთან გზა გადაუჭრან.
(შემოდინა: სააკაძე, ავთანდილ, ბახტა, ჩივაძე, ვაშაყაშვილი და მეომრები)
აა, აქ ყოფილხარ, დიდებულო მხედართმთავარო?
და ჩვენ კი თურმე სულ ამოღე სხვაგან გედებლით.
დაპყარე ეხლავ იარაღი, დავვემორჩილე.

ყო რ ჩ ი-ხ ა ნ — მე იარაღი არასოდეს არ დამიყრია
და მით უმეტეს მას არ დავყრი შენს წინ, გამცემო!
მოდო, მობრძანდი, აჰა, ვიცდი, გმირო ნაქებო,
ჩემთვის კი მხოლოდ მოლაღატე, გველა ორპირო!
რადას უდგენარ? მოდი-მეთქი, მსურს შერკინება,
მსურს, რომ მახვილით ვაგიგმირო ბოროტი გული!

გიორგი — მაგ თავხედობას არ შეგარჩენ, ეხლავ განანებ.
და მაგ სიტყვებსაც მყრალ ხახაში, უკანვე ჩაგჩრი.

გაქვეყნებული
გაზეთებისათვის

აბა, დიდები, თუ კი შეგწევს გამბედაობა.

(იბრძვიან, სააკაძე ჰკლავს ყორჩი-ხანს).

სიკვდილი გასურდა და საწადელს კიდევაც მისწვდი.

(გარედან ისმის მძლავრი ყვირა, შეძახილები, ლაშქრული. შორიდან ყრუდ მოისმის ზარის რეკვა. შემოდან: ზურაბ ერისთავი, ციციშვილი, ჭეთაძე, თენგიზ, სოსრო ტარსიძე, ჭეთაძე, დიასამიძე და სხვა მეომრები).

ზურაბ — ძმავო გიორგი, გამაზრდებია ნუ მოგეშალოს!

ქავთარ — ჩემო გიორგი, გამარჯვება მომილოცნია!

ხალხი — გაუმარჯოს ჩვენს დიდ მოურავს!

გიორგი — (ეხვევა ზურაბს და ქავთარს)

ჩემო ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენი ოცნება, ჩვენი ნატვრა განხორციელდა.

ხალხნო, გილოცავთ გამარჯვებას!

გაეტებთ შტერი და იგრ უკვე სასიკვდილოდ დაკოდილია.

მაგრამ რომ მოვსპოთ საბოლოოდ,

უნდა ფეხ-და-ფეხ უკან მივყვეთ, არ მოვასვენოთ.

(ყორჩი-ხანს გვამწე).

თავის ქარავში დაასვენეთ, არვინ შეეხოს,

ხვალ მაგის თავი ცხვრის გულში გამოხვეული

ძვირფას საჩუქრად შამ-აბასთან უნდა წარვგზავნო.

აბა წაეცდეთ, ბატონებო, ნულარ ვაყოვნებთ.

(მადიან. გარეთ ყვირა და სიმღერა მატულობს. ისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ მოურავს!“ „გაუმარჯოს დიდ სარდალს!“).

(მეორე მოქმედების დასასრული)

მოკმედეზა მისამი

სურათი პირველი

ღრბაში მეფე თეიმურაზის სასახლეში. სცენაზე არიან: ქაიხოსრო მუხრან-ბატონი, ფარსადან ციციშვილი, ქაიხოსრო ჯაფახიშვილი, ბარათაშვილი, ამილახვარი და სხვა დიდებულები. ყველას აღზნებული და გაბოროტებული სახე აქვთ.

პირველი ხმა — სჯობს, რომ ეხლავე თეიმურაზს შევატყობინოთ.

მეორე ხმა — არა, თავადო, ჯერ ჩვენ თვითონ გამოვარკვიოთ.

ბარათაშვილი — სანანიებლად შემდეგ ყველას რომ არ შეგვექმნეს,

იგი ეხლავე, ღირსეულნო, უნდა შევიბუკრაო.

პირველი ხმა — უნდა შევიბუკრაო, მართალია.

მეორე ხმა — დარბაისელნო, ნუ აჩქარდებით.

მესამე ხმა — სცდებით, თავადო, დაყოვნება საქმეს წაახლენს.

ამილახვარი — გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ, დიდებულნო.

საქმეზე ვგრე ჯიჭურ მისვლა როგორ იქნება?

უნდა გულდასმით მოვიფიქროთ, აწწონ-დაწწონოთ

და ყოველივე შემდეგ მეფეს შევატყობინოთ.

ბარათაშვილი — ჯაფახიშვილმა რაც აქ ბრძანა, მართალი არის:

თუ არ ავლავებთ ღროზე იგი, ყველას დაგვამხობს.

მუხრან-ბატონი — რა მართალი?

პირადი მტრობა ჯავახიშვილს აღაპარაკებს,
რადაც წერილმანი, ოჯახური დევა და შუღლი
და ერთი ასად ახვიადებს სააკაძის ბრალს.

ჯავახიშვილი — ვიცით, მოურავს რისთვის იცავ, ექომაგები:

თქვენი ისარი ორისავე ერთ მიზანში სცემს.
იგი შენ გშველის, შენ გამართლებს, შენ კიდევ იმას.
ასე მოქმედებთ შეწყობილნი, შეთანხმებულნი,
რადგანაც გინდათ მთელი ქართლი დაისაკუთროთ.
მაგრამ, იცოდე, ვერ იმეფებთ, მუხრან-ბატონო,
და ვერ დაჯდებით ქართლის ტახტზე ვერც შენ, ვერც იგი.

მუხრან-ბატონი — წყალს ამღვრევ, ვხედავ შენს განზრახვას, ჯავახიშვილო.

რად დაგავიწყდა ასე მალე იმისი ღვაწლი
ქვეყნის წინაშე?
მან გამოიხსნა მთელი ერი დაღუპვისაგან
და ეხლა გინდათ წაახდინოთ, მოსპოთ, მოთხაროთ!
რა ჩაიდინა ასეთი რამ, რა დაგიშავათ?

ციციშვილი — შეფობა უნდა სააკაძეს, არ გავამეტებთ.

მუხრან-ბატონი — სტყუი, მიჰქარავ, ცილსა სწამებ ტყუილ-უბრალოთ!

ბარათაშვილი — მართალი არის, ჩვენც გავიგეთ, შეფობა უნდა.

დიდებულნი — არ გავამეტებთ, არ იქნება, არ გავამეტებთ!

ციციშვილი — დარბაისელნო, მომისმინეთ, სარწმუნოდ მითხრეს,
რომ მას გლეხების დახმარებით და შემწობიან
სურს ამოსწყვიტოს თავადობა მთელი ქართლისა.
წაართვას ტახტი თეიმურაზს და თვით გამეფდეს.

(დიდებულებს შორის მღელვარება).

ხედავთ, თავადნო, რას გვიზნადებს ჩვენი სააკაძე?
ეხლა ხომ გესმით, რად შრომობდა, რისთვის იბრძოდა?
მაგრამ ყველაზე სავალალო კიდევ იგია,
რომ ჩვენში გაჩნდნენ გამყიდველნი, მოღალატენი
და ბნელ საქმეში სააკაძეს ეხმარებიან.

მუხრან-ბატონი — ოჰ, შხამიანო გველო, მოკვდი!

(გაძირობს ხმას და ციციშვილს შეუტყვის).

ციციშვილი — (ხმალს ამოიღებს) ტყუილად გგონია გაგექციევი, აბა
მობრძანდი!

ჯავახიშვილი — (ხმალს აიღებს და მუხრან-ბატონს გადაელოდება)
ფეხი არ დასძრა, გირჩევნია, მუხრან-ბატონო!

(სამივენი შემოესევიან, აწყნარებენ).

ბარათაშვილი — სირცხვილი არის, ბატონებო!

ამილახვარი — არ გეკადრებათ!

ბმები — როგორ იქნება, ვთხოვთ, დაშვიდდეთ!
(ჩქარი ნაბიჯით შემოდის თეიმურაზი, რომელსაც ზურაბ ერისთავი
მოჰყვება).

თ ე ი მ უ რ ა ზ — რა ამბავია? (უხერხული სიჩუმე) რა ამბავია, დიდებულ-
ნო, მე გეკითხებით?

(ისევ სიჩუმე) ეხლაც ჩაავეთ ყველამ ხმალი!

(უკვირდით ჩააგებს ხმალს, მუხრან-ბატონი აღიღებელი, გაფართებული დგას.
მან შეფის ბრძანება თითქოს ვერ გაიგონა. თეიმურაზ ტახტზე აღის).

ზ უ რ ა ზ — (შშვიდად, მტკიცედ და თითქმის ბრძანების კილოთი)

ბომ გაეგონეთ, რაც გიბრძანათ მეფეთა მეფემ?

ჩაავეთ ხმლები, დიდებულნო!

(ორივე აგებს ხმალს, მუხრან-ბატონი ჩააგებს ხმალს თუ არა, შეტრიალდება და შეას
კარბისკენ გაეშურება).

თ ე ი მ უ რ ა ზ — სად მიდიხარ, მუხრან-ბატონო?

მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ი — გაუხოვთ მომიტევეთ, მბრძანებელი!

არ შემიძლია... მამატიეთ... უნდა წავიდე (გაღის).

თ ე ი მ უ რ ა ზ — მაცნობე ეხლაც, ციციშვილო, რად წაიხრებეთ?

ცი ც ი შ ვ ი ლ ი — სააკაძეზე, დიდო მეფეზე, ვლამარაკობდით.

ჯავახიშვილი ქაიხოსრო შემოგვჩიოდა,

რომ მოურავმა მეტის-მეტად შემაფიწროვა

და აღარ ვიცი, რა ვიღონო, ვას მიემართო.

თქვენი ამ ამბით შეწუხებას ეერც კი ზედავდა.

ზოგი რამ მეც ვთქვი, მართალია, დიად, მეცა ვთქვი,

რადგან ბოლო დროს მის შესახებ ბევრი რამ შესმის

და, სავალალოდ ჩვენდა, მესმის საშიში ხმები,

არამც თუ ჩვენთვის, მბრძანებელი,

არამედ თქვენი ტახტისთვისაც დიდად საშიში.

სწორედ ამაზე შელონებით ვმუსაიდობდით

და რა მოესმა მუხრან-ბატონს ჩვენს საუბარში

თავის შეგობრის სააკაძის ავად ხსენება,

მყისვე განრისხდა, იძრო ხმალი, შემომცტია.

იძულებული შევიქენი, თავი დამეცვა.

ძლივს დააკავეს იგი, ნეფევე, დარბაისლებმა

და რომ თქვენ არა, ალბათ, კიდევ არ დასცხრებოდ

და შესაძლოა სულ უბრალოდ ხმლით აგვექუწე-

ეკვი მაქვს, მეფევე, მუხრან-ბატონი და კიდევ სხვებიც

საკაძისგან უნდა იყვნენ წაქეზებულნი.

მას სურს დავგამხოს, მოკვინელოს, ყველა დავგხოცოს

და ამ საქმისთვის გლებთა ჯარიც თურმე მზადა ყავს.

ეს რომ არ იყოს, მბრძანებელი, ვით გაბედავდა

ჯავახიშვილს ამოგდებს, ასე წახდენას?

რას შევესწართ, ბატონებო, რა დრო დავგიდგა,

უნდა ყოველ წუთს მოგვლოდეთ ლალატით მოკვლას,

ან და დარბევას, ზოხრებას, განადგურებას.

თ ე ი მ უ რ ა ზ — პირველად მესმის ეგ ამბები, დარბაისელნო.

განა ისეთი მოურავმა რა ჩაიდინა,

რომ საფრთხეშია, დიდებულნო, თქვენი სიცოცხლე?

ან შენ, თავადო ქაიხოსრო, რა გაწყენინა?

მითხარ ყოველი გულახდილად, ნუ დამიშალავ!

ქ ა ი ხ ო ს რ ო — გთხოვთ, დამიფაროთ, მეფეთ-მეფევე, სააკაძისგან.

ველარ გაუძელ იმის მტრობას, თავგასულობას.
 აღარ მაქვს ძალა, თავი ჩემი თეიონ დავიცვა,
 ამიტომ ვითხოვ, მბრძანებლო, შენს შემწეობას.
 შემომისია, მეფევე, ვილაც ცალქალამნიძე,
 კაცი ყაჩაღი, ავაზაკი, ოხერ-ტიალა.
 სასახლე თავზე დამაქციეს, გამანადგურეს.
 მთელი ქონება დაიბაცეს, გაანიავეს.
 ჩემა ცოლ-შვილიც ფეხშიშველი, შინით მოცულა,
 შუადამისას უგზო-უკვლოდ გარდაიხვეწა
 და მესამე დღეს სადღაც ტყეში ძლიეს-და მოვნახე.
 მეც ხომ შემთხვევით, მბრძანებლო, სიკვდილს გადავარჩე,
 თუმცა მერჩია მომკვდარიყავ, ასეთ სიცოცხლეს.
 თავს რას დავეძებ, ცოლ-შვილს ვტირი, ოჯახს, ქონებას.
 ვაი ამ ყოფას, ამ სიცოცხლეს, რა დღეს მოვესწარ!
 სად დავეშალო, მბრძანებლო, მის ჰძულეარებას,
 საით გავიქცე, გთხოვთ, მიჩიოთ, ვის შევეხიზნო?
 და, ვფიცავ, წავალ, ავიყრები, დავიკარგები,
 რაღვანაც ვხედავ, ქართლში აღარ დამედგომება.

თ ე ი მ უ რ ა ზ — ჩემო ძვირფასო ქაიხოსრო, გთხოვ, რომ დამშვიდდე.

მე თვით მოვიხმობ სააკაძეს, დღესვე, სასწრაფოდ
 და თუ დამტკიცდა, შენს საქმეში დამნაშავეა,
 შენს წახდენაში მოურავსაც ბრალი მიუძღვის,
 ვფიცავ ჩემს სინდისს, არ დავზოგავ, სასტიკად დავსჯი
 და ვაზღვევინებ ათას წილად მას ყოველივეს.
 (ღებად აყვირდება)

ნებას არ მივცემ მე არავის, რომ ქართლ-კახეთში
 თავის ნებაზე ითარეშოს ან იბატონოს,
 თუ გინდ ასჯერაც მოურავი იგი რომ აყოს.

ქ ა ი ხ ო ს რ ო — გმადლობთ, მეფეო!

ამიერიდან ზედი ჩემი თქვენს ხელთ იქნება
 და როგორც ვსურდეთ, ინაცვალეთ ჩემი სიცოცხლე.

ზ უ რ ა ბ — (მშვიდად) რომ აილაგმოს იგი მართლაც, დიღო მეფეო,
 ურიგო საქმე არ იქნება, დროულიც არის,
 თორემ მთელ ქართლის თავადობას ჩამოვაშორებს.
 და თუ გავშორდა ყველა, მეფევე...

თ ე ი მ უ რ ა ზ — სანამ მეფედ ზის, ეს იცოდეთ, თეიმურაზი,

თქვენი წახდენის ნებას იგი არავის მისცემს.
 კაცი გავზაენეთ მოურავთან, საჩქაროდ მიხმეთ.

ქ ა რ ი ს კ ა ც ი — დიღო მეფეო,

მოურავი გვახლათ თქვენთან
 და ნებას ითხოვს შემოსვლისას.

(ყველანი შეშლილდებიან. თეიმურაზიც მოულოდნელობაგან უზარბულობას ატრ-
 ძნობს, მაგრამ არ ამჩნევს და მცირე სიჩუმის შემდეგ უბრძანებს ვარისკაცებს.)

თეიმურაზ — უთხარ, მოვიდეს.

(ყველანი გვერდზე მიდგებიან, თითქოს მოურავს გზას უთმობენო. *სწორედ შენზე ვლადიკავშირისა*
კაძე).

გიორგი — (დაბლა თავს დაუკრავს მეფეს, დიდებულთ)

სალამი შენდა, მბრძანებელო, დიდო მეფეო!

თქვენც დიდებულნო, უმდაბლესი ჩემი სალამი.

(თეიმურაზ ორკოფულ მდგომარეობაშია).

თეიმურაზ — როგორ გიკითხო, მოურავო, რაზე დარჯილხარ?

გიორგი — საჩქარო საქმემ თქვენსკენ, მეფეე, წამომიყვანა

და მსურდა, იგი რომ პირადად მეუწყებინა.

თეიმურაზ — კაცს ვაგზავნიდით შენთან ეხლა, დროულად მოხველ.

შენს აქ მოსვლამდე სწორედ შენზე ვლადიკავშირით.

თურმე დღე და ღამ შრომობ ჩვენთვის, მთელი ქვეყნისთვის,

აგებ ციხეებს, გლუხებსა წვრთნი ბრძოლებისათვის.

დიდებულები, მოურავო, დიდად გაქებდნენ,

მხოლოდ მათ შორის ერთი კაცი ცოტა გემდურვის.

მას ეს არ უთქვამს, მართალია, მაგრამ გავიგე...

გიორგი — ვინა, მეფეო?

თეიმურაზ — ჯავახიშვილი ქაიხოსრო.

თაუზე დასხმია მას შენი ყმა ცალქალამნიძე,

მისი ქონება და სახლ-კარი დაურბევია.

გიორგი — ჯავახიშვილმა, თუ კი ჩემზედ ძვირი არა სთქვა,

ისე, მეფეო, მოსვენება არ შეუძლია,

თორემ რაც უთქვამს, ვგამბავი უკვე ძველია.

მაგას ნოსტედან გაეტანა ჩემი ნაზირი,

თუ არა ვცდები, სამი სოფლის და ვგონებ მეტიც.

ამისთვის იყო; დაედევნა ცალქალამნიძე

და რაც დამართა ჩემმა კაცმა, მე უბრალო ვარ.

ამის ბასუხი, თავის ჭკუას თვითვე მოჰკითხოვს.

ქაიხოსრო — დიდო მეფეო, თვით განსაჯეთ, დამეთანხმებით,

ჩემს აზრებს ვილაკ გლუხი ვერ გაბედავდა,

რომ მოურავის მფარველობა არა ჰქონოდა.

რას მემართლება, მბრძანებელო, რა დაეუშავე?

ეხლაც, მეფეო, გამიჰირდა, დიდად შეეწუხდი,

თორენ მაგის ძვირს ვით ვიტყოდი, ვით გაბედავდი?

ვინ იცის, მეფეე, მოურავზე რა არ მსმენია,

მაგრამ არა მაქვს ჩვეულებად კაცის შესმენა.

ისიც კი მითხრეს, ვითომც სურდეს ტაბტის წართმევა,

თქვენი განდევნა...

თუ, ვგონებ, მოკვლა, როდი ვიცი, კარგად არ მახსოვს.

ჩვენი გაწყვეტა, თავადების,

თითქოს ამისთვის გლუხთა ჯარიც უკვე მზად ჰყავსო.

მაგრამ მოვსულვარ ვინა თქვენთან ამის შესახებ?

გითხარით რამე, მბრძანებელო? ხომ არ ვყოფილვარ?

თუმც ეალი მულო ქვეშევრდომის, მეუწყებინა,



მვრამ, მეფეო, მოვერიდე ამის წყენებას.
და ეხლაც, აბა, თქვენს წინ ენას როგორ დავსძრავდი,
რომ სხვას არ ეთქვა აქ შემთხვევით ჩემი ამბავი.
შე ვითხოვ მხოლოდ, ჩამომეხსნას, რას შემართლება?
ნუ ამოხრებს, ნუ დაღუპავს ჩემს წვრილ ცოლ-შვილსა.

გიორგი — ერთი შეხედეთ!

შეხედეთ ერთი, ბატონებო, როგორ გასაწყლდა!
დიდო მეფეო, ამ საბრალო, უმანკო მტრედმა
შევრი ცუდი რამ ჩაიდინა ჩემს წინააღმდეგ.
როს აქ არ ვიყავ, დაარბია ჩემი სახლ-კარი,
ჩემი ძმა მოკლა, რაც გამაჩნდა, ცეცხლში დამიწვა.

ასული მთხოვა შვილისათვის, შემდეგ დამიგდო.

ველის სიმაგრე გამიტება და დაქცია,

თავად ფარსადანს გამოსთხოვა სამასი კაცი,

თავზე დამასხა მოსაკლავად ანაზღეფულად,

ძლივს გადაეურჩი, გავეცალე, ხანდაც გავიქეც.

არ მოერიდა დედი-ჩემის ხანდაზმულობას

და სურდა მისთვის, მოხუცისთვის, ნამუსის ახლა.

რის შემდეგ დედა ლიხთ-იმერეთს გარდამიხეწა.

რომელი ერთი ჩამოეთვალო მაგის საქმენი.

მვრამ, მეფეო, ეხლა მაგას სულ სხვა აწუხებს,

მაგას სწადიან, აგამხედროს ჩემს წინააღმდეგ,

შენც, მბრძანებლო, თავადობაც მთელი ქართლისა

და ამისათვის ათასნაირ ჭორებს ავრცელებს.

ხომ მოისმინეთ, რა მოჩმახა, რა მოიგონა,

ვითომც შე მსურდეს თქვენი მოკვლა, ტახტის წართმევა.

ციციშვილი — ასეთი ხმები დადის შენზე ყველგან, მთელს ქართლში.

გიორგი — ხმები, თავადო, თავის თავად როდი დადიან,

თუ იგი ხმები სიბოროტით არავის დააქვს.

ციციშვილი — გლეხთა რაზმები რად შეჭრიბე, ვისთვის ამზადებ?

გიორგი — მტრის წინააღმდეგ, ციციშვილო, მტრის წინააღმდეგ!

ციციშვილი — რომელი მტერი? მგონი, ფაეზე არავინ გვესხმის?

გიორგი — როცა დაგვესხმის, მაშინ უკვე გვიან იქნება.

ციციშვილი — გლეხებს რათ გვართმევ, რად ამხედრებ ჩვენს წინა-

აღმდეგ?

პირველი დიდებული — მართალი არის, გლეხებს გვართმევს.

მეორე დიდებული — პასუხი გაგვეც, მოურავო!

გიორგი — ეგ როდის იყო, ბატონებო, გლეხებს გართმევდით?

ან ვის წავართვი?

ციციშვილი — სად გაგონილა, ბატონებო, რომ გაქცეულ ყმებს

კაცმა მამული მიუბოძოს, ანთავისუფლოს?

და მერე ვისი? სახელმწიფო, მეფის მიწები,

და ისიც სხვის ყმებს, ჩამოსახრჩობ, გაქცეულ გლეხებს.

8. „მნათობი“, № 4—5.

ეროვნული
განმათავსებელი

უფიციე თქვენს მზესა, ასეთ რამეს არ მოესურებოდა.
არც გადმოცემით ჩემს ძველთაგან გამიგონია.
რა უფლება აქვს სააკაძეს, გამაგებინეთ,
ჩემს ყმებს მოეჭვეს, როგორც იმას მოესურვება?
რაღა ფაზი აქვს ამის შემდეგ ჩემს თავადობას,
თუ ჩემს ნებაზე ჩემს გლეხს ველარ დაეიმორჩილებ?
სამწუხაროა, ბატონებო, რომ სააკაძე
მეფის უფლებით აღმურვილა, აწვაებულა,
და ეხედავ ქართლსაც, როგორც მეფე, ისე განაგებს.

ბართაშვილი — ნებას არ მიეცემთ იბატონოს თავის ნებაზე.

ამალაქიარი — არ გვინდა, მეფეც, სააკაძის მოურაობა.

თეიმურაზ — (ისევ ორპოფულ მდგომარეობაშია, იცის სააკაძის

სიმართლე, მაგრამ მაინც ეკითხება)

დარბაისელნო, გახოვთ დამშვიდდეთ!

მიიხარ, გიორგი,

ნუ თუ, სწორია ყოველივე, რასაც ამბობენ?

ნუ თუ ყმებს ართმევ დიდებულებს, გამაგებინე?

გიორგი — მე გაქცეულ ყმებს ვაბრუნებ მხოლოდ,

და მათ ვასახლებ სახელმწიფო მიწა-მამულზე.

ეს ხომ თქვენც იცით, ამის ნება ხომ თქვენც დამართევით?

თეიმურაზ — რაც შეეხება გაქცეულ ყმებს, ეგ მართალია.

თვითონ მოგეცი, კარგად მახსოვს, მაგის დასტურია,

მაგრამ სხვა გლეხებს, მშვიდობიანს, ვერ შეეხება.

გიორგი — და არც ვეხები, მბრძანებელს.

ვით მოგახსენე, გაქცეულებს მხოლოდ ვაბრუნებ

და მათ ვასახლებ განაპირა ყამირ მიწებზე.

იმის მაგივრად, რომ გაიქცნენ სხვა ქვეყანაში,

ჩვენს მტრებს მიუმხრონ, მათთან ერთად შემოგვესიონ,

განა არა სჯობს დაეასახლოთ ქვეყნის საზღვრებზე

და სახელმწიფოს თავისუფალ მიწა-მამულზე?

ყმასაც არ ჰყარავთ, თანაც იქნეთ საზღვრის დამცველებს.

ციციშვილი — თუ კი მამულებს მიუბოძებთ, ანთავისუფლებთ,

ასე, ბატონო, ყველა ყმები გაგვეჭცივიან.

მთელი ქვეყანა აირევა, განადგურდება

და შენს სამსახურს, მბრძანებელს, ველარც ჩვენ შევსძლებთ.

ბართაშვილი — მართალი არის ციციშვილი, დიდო მეფეო!

დიდებულნი — მართალი არის, ყმებს გეართმევენ, მართალი არის!

გიორგი — ხალხი, მეფეო, ომებიდან დარბეულია,

ველარ უძლებენ გადასახადს, ამათ სამსახურს,

სტოვებენ სახლ-ქარს, თავის ცოლ-შვილს, ტყვენი ვარბიან,

ვარბიან მთებში, ოსმალეთში, უდაბნოებში.

ასე მცირდება, ღარიბდება ჩვენი ქვეყანა.

ციციშვილი — რადგან აქეუბ თვითონ შენვე, შენვე ხელს უწყობ.

გიორგი — კარგ მებატონეს გლეხი არ გაქცევა,
 მაგრამ როდესაც მტრზე მეტად ჩვენვე ვაწამებთ,
 როდესაც ხედვენ, გამკითხავი არაინა ჰყავთ
 რა დარჩენიათ გარდახვეწის, გაქცევის მეტი?
 თუ გინდა, მეფეე, საქართველომ რომ იარსებოს,
 მდაბიო ხალხი, გლეხნი უნდა განაძლიერო.
 უნდა მოშენდნენ, დაესალონ, მოლონიერდნენ,
 რადგან ეს ხალხი ჰკეებაეს, მეფეე, მთელს სახელმწიფოს.
 თუ ერთი პირი არ შეეკარით დიდმა და მცირემ,
 თუ არ გამრთელდა, მბრძანებლო, ქვეყნის წყლულები,
 თუ არ შეერთდა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე,
 ვერ გადაჩება შენი ხალხი განადგურებას
 და მოისპობა ქართველების მოღვა, ხსენება.
 მტრებით ვართ, მეფეე, ყოველ მხრიდან გარს შემორტყმული.
 მტრის ურდოების ირგვლივ მხოლოდ ოკეანეა
 და მისი ზვირთნი, ისლამისაგან წაქეზებული,
 ზედ აწყდებიან შემორდვეულ ქვეყნის ჯებირებს,
 რათა წაგვლეკონ სამუდამოდ მიწის პირიდან.
 თუ არ აღკვეთეთ სამეფოში შური და მტრობა,
 ეს კინკლაობა, ერთმანეთის რბევა, მიხტობა,
 ვერ დაგიფარავს რომის პაპი, ვერც რუსთ ხელმწიფე,
 ამოდ, მეფეე, მათგან შევლას დაელოდები.
 შენ თვითონ ნაბე შენი ყმანი, ნაბე, მეფეო,
 მძიმე ტვირთის ქვეშ ერი შენი ვით იტანჯება.
 ნანგრევები და დარჩენილან მთელ სამეფოში
 და მძოვრის სუნი არ გამქრალა ნასოფლარებში.
 ამათ, მეფეო, ხალხის კენესა როდი-ლა ესმით,
 შათი გონება მხოლოდ ერთ აზრს გაუტაცნია,
 მხოლოდ ერთი რამ შათ არსებას დაუფლებია
 და იგი არის განდიდება მწვავე სურვილი.
 ყოველ მათგანს სურს, სბებზე მეტად ქლიერი იყოს,
 ყოველ მათგანს სურს, იბატონოს საქართველოში
 და ამ მიზნისთვის არ ზოგავენ აღარც თვით მეფეს,
 აღარ ინდობენ ცოლ-შვილს, ძმას და ერთი მეორეს.
 ის სახელმწიფოდ ვერასოდეს ვერ გაიხარებს,
 ვერ დაიმკვიდრებს სამეფო ტახტს ვერც მისა მეფე,
 სადაც ყოველი ქვეშევრდომი აღვირ-წახსნილა
 და ფეხ-ქვეშ სთელავს თავის ქვეყნის კეთილდღეობას.
 შენც ხედაე, მეფეე, ვშრომობ დღე-ღამ, თავს არ ვიზოგავ,
 მაგრამ ეს შრომა ნაყოფს, მეფეე, ვით გამოიღებს,
 როცა ჩემს ნაშრომს სხვა ათასი ხელი ძარს ამბობს.
 ამათ ვებრძოლო, თუ ქვეყნისთვის ვიშრომ-ვიღვარო?

ციცი შვილი — ვიცით, თუ რისთვის მოღვაწეობ თავგამოდებით.

გიორგი — არა იმისთვის, დიდებულო, რასაც შენ ფიქრობ.

მე რომ მდომოდა გამეფება, ტახტი, გვირგვინი,



ამის შემთხვევა ხელსაყრელი მე ბევრჯერ მქონდა.
 მაგრამ შენც უწყვი, ქართლის ტახტი მას ჩავაბარე,
 ვისაც ეს ტახტი ეკუთვნოდა მემკვიდრეობით.

ციციშვილი — რად გინდა ტახტი, ან სამეფო სამკაულები?

განა არა ხარ ისეც მეფე, უგვირგვინოდაც?
 განა ქართლ-კახეთს არ განაგებ, შენ არ პატრონობ?
 უშენოდ საქმე სამეფოში არ გარდაწყდება.
 ჯარებს შენ ჰკრებავ, შენ აშენებ ციხე-სიმაგრეთ,
 გლეხებს ასახლებ, თავადობას არბევ, აოხრებ,
 გსურს, ომს ანტეხავ, ვისაც გნებავს, დაეზავები,
 ესაუბრები, როგორც მეფე, ზონთქარს, რომის! პაპს...

თეიმურაზ — (იყვირებს შეურაცყოფილი და მოთმინებიდან გამოსული) ბმა!

ხმა გაიკმინდე, ციციშვილო, ეხლავ გიბრძანებ!
 როგორა ბედავ ჩემს წინაშე ასეთ საუბარს?
 მამ შე ვილა ვარ? მამ შე მეფე აღარ ვყოფილვარ,
 თუ ჩემს საქმეებს ყოველივეს სხვები განაგებს.

ციციშვილი — მეც მაგას ვტირი, მბრძანებულო, ტყუილად მიწყობი,
 მეც მაგას ვტირი, სააკაძე რომ გაამეფე.

ამ მხილებიბისთვის თუ გინდ მოჰკალ, აჰა, მეფეო!
 (იჩოქებს) დამკარ მასვალ!

შენი ხელიდან სიხარულით სასჯელს მივიღებ,
 რადგანაც ვიცი, კვლავ უარესს წინ შევეყრები.

ბარათაშვილი — დიდო მეფეო, დაგვიფარე ჩვენც, შენი თავიც,
 ან და გაგწყვიტეთ ერთიანად, ის გვირჩევნია.
 ან ჩვენი თავი უნდა დათმო, ან სააკაძე.

ამილახვარი — მართალი არის, სააკაძე ჩამოგვაშორე.

დიდებულნი — უნდა გაგვშორდეს, გაგვეცალოს, უნდა გაგვშორდეს!

თეიმურაზ — (ცდილობს დააჩუმოს აღელვებული თავადები)
 დარბაისელნო, გამიგონეთ, დარბაისელნო!

დიდებულნი — უნდა გაგვშორდეს სააკაძე, უნდა გაგვშორდეს!

თეიმურაზ — დარბაისელნო! (ყვირის)
 მეფე გაბრძანებთ!

(თეიმურაზის ყვირილზე უცხად დანუღმებიან. ამ დროს კარებში შემოიპრება დ-
 კანცული შიკრიკი, რომელსაც უკან კარისკაცი მოსდევს).

შიკრიკი — დიდო მეფეო,

ქეთარ ორბელმა გამომგზავნა თქვენთან საჩქაროდ:

სპარსთა ლაშქარი უთვალავი შემოგვესია.

იგი მოედვა ნაშავერას, ხრამის ნაპირებს.

სწვავენ, იკლებენ ყოველივეს, რაც გზაზე ხედებათ,

და თან შუაგულ ქართლისაკენ ეშურებიან.

(ყვილანი შემკრთლნი გაჭავილებია:).

სურათი მორაბი

მარაბდა. პატარა მინდორი, შარკნივ ხის ძირში წყარო გამოდის, ნახევარდღის
 ისმის ხშირი თოვის ხმა დროგამოშვებით ზარბაზნას ქუხილს.

ბ ა ხ უ ტ ა — (სცენას გადაირბენს და კულისებიდან ცხახის)

ოპოოუ! პაპუნაე!

ვაშაყაშვილო!

ვ ა შ ი ყ . ხ მ ა — ოპოოუ!

ბ ა ხ . ხ მ ა — სარდალი გეძებს,

ჩქარა წამოდი და თან ხალხი წამოიყვანე!

ვ ა შ ი ყ . ხ მ ა — ოპოოუ, მოედევარ!

(ბ ა ხ უ ტ ა შემოდის, ოფის იწმენდის, შემდეგ წყაროსთან მიდის, სევას, რამდენიმე
 კაცის თანხლებით შემოდის აგრეთვე ვ ა შ ი ყ ა შ ვ ი ლ ი).

ვ ა შ ი ყ ა შ ვ ი ლ ი — რა ამბავია, მოურავი რაზე მეძახის?

ბ ა ხ უ ტ ა — დღეს ცუდად მიდის ჩვენი საქმე, გვძლევენ სპარსელები.

აბა წავედეთ, ნულარ აყოვნები!

ვ ა შ ი ყ ა შ ვ ი ლ ი — (უკან მომავალთ) აბა, ბიჭებო, აუჩქარეთ, გამოიარეთ!
 (ბახუტა და ვაშაყაშვილი საჩქაროდ გადიან. სცენაზე კვლავ-გაგულად გადაირბენენ
 მეომრები).

პ ი რ ვ ე ლ ი მ ე ო მ ა რ ი — (მეორეს) ცუდი ამბავი უნდა იყოს, როგორც
 ეტყობა.

(გაირბენენ).

მ ე ს ა მ ე მ ე ო მ ა რ ი — (მეოთხე და მეხუთე მეომრებს) ასეთი ომი, საში-
 ნელი, ჯერ არ მინახავს!

მ ე ო თ ხ ე მ ე ო მ ა რ ი — რა სიცხე არის ე ტიალი, სულს ვეღარ ვითქვამს!
 (გაირბენს).

მ ე ე ტ ვ ს ე მ ე ო მ ა რ ი — (მე-7 და მე-8 მეომრებს) მგონი, ზურგიდან
 დაგვიარეს მაგ წყეულებმა.

მ ე შ ვ ი დ ე მ ე ო მ ა რ ი — ახალ-ახალი ჯარი მოსდით მაგ ურჯულლებს.
 (გაირბენენ).

(მეომრებიან ტუხა და დაიუნა).

ტ უ ხ ა — ამ სიკვდილის წინ მოდი, ბიჭო, წყალს შაინც დაველე (სევას).

დ ა თ უ ნ ა — (შეჩერდება) ეპეი, შვილსო:

ჩემი ტყავი, როგორც ვატყობ, დღეს დაიხვეა.

(მიდის წყალთან).

ტ უ ხ ა — ეპ, შე სულელს!

ტყავების შეტი რა ეყრება დღეს მარაბდაში.

ძველის მაგივრად ჩვენი მეფე ახალს გიყიდას.

გ ი გ ი ა — (შემოდის) რაზე შეჩერდით? აბა, გასწით!

(მიუბრუნდება უკან მომავალთ).

აბა, ბიჭებო, მარდად, გამოიარეთ!

ტ უ ხ ა — ერთი უყურეთ დედას ბიჭსა,

როგორ დათვით მოძუნძულებს.

(გადაირბენენ დედას ბიჭი, პეტრე, მიხო, ლევანი, მგელია და სხვები. დედას ბიჭი
 და მგელია ჩამორჩებიან).

დედას ბიჭი — (სევას დიდბანს).

მგელიკა — კარგი, გეყოფა, შე ოხერო, ხარი ზომ არ ხარ სტრუქტურული
განმარტოვება

დედას ბიჭი — უპ, რა ცივია!

— რა ბული დადგა ე ვერანა, როგორ ჩამოწვა.

მგელიკა — აბა, წავიდეთ, დედას ბიჭო!

(გარბიან. კულისებიდან ისმის მგელიკას ხმა: „ვისაც მოკლავს, ის მოკლავს ნა-ღირსა შევის ტყისასა“. მარცხნიდან აჩქარებული გამოდის თეიმურაზი თივისა ამა-ლით ეტყობა, ბრძოლის ველიდან გარბის. წინ შემოეყრება ქაიხოსრო ჯავახიშვილი).

თეიმურაზ — რა ამბავია ქაიხოსრო?

ჯავახიშვილი — ცუდი ამბავი, მბრძანებელო, გზა მოჭრილია.

თეიმურაზ — გზა მოჭრილია?

პირველი მხლებელი — გზა მოჭრილია.

მეორე მხლებელი — მამ დაეღუპულვართ?

ჯავახიშვილი — ეს არის ეხლა ყორჩიბაში, რომელიც გუშინ ისე სასტიკად დაეპარცხეთ და გავაქციეთ, თავზე დაგვესხა, მბრძანებელო, მოულოდნელად და გადაგვიჭრა ერთად-ერთი დასახევი გზა.

თეიმურაზ — ნუ თუ სამშველი აღარ არის?

სად-ღა არიან მოურავი ან ერისთავი,
ბარათაშვილი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი
ან სხვები კიდევ?

ქაიხოსრო — ყველა მოსწყვიტეს ერთმანეთს სპარსთა ჯარებმა
და ცალკე იბრძვის თავ-თავისთვის ყოველი რაზმი.

თეიმურაზ — მამ რა ექნათ ეხლა, რა ვიღონოთ?

(ჯავახიშვილს).

ნუ თუ ვერ გავალთ, ვერ გავარღვევთ?

ციციშვილი — (შემოდის) ტყუილი-ღაა, მბრძანებელო, ყოველივე ცდა-
უკვე არ ძალუძს ბრძოლა ჩვენს ჯარს, გატეხილია.
მთელი მარაბდა დამპყრულებით, მკვდრებით აივსო
და ვინც გადარჩა, დაღლილობით ფეხზე ვერ დგება,
ძირს ეცემიან რეტ დასმულნი, გაბრუებულნი.

(ისმის მძლავრი შემოტევის ხმა, ხველანი იჭით წაიწვიან, იყურებიან).

თეიმურაზ — როგორ სისწრაფით მოიწვიენ, რა გვეშველება?

ციციშვილი — თუ არ ვიღონეთ რამე, მეფეც, არ მოვიფიქრეთ,
აქაც ხომ მალე გაწადებიან, დავიღუბებით!

მესამე მხლებელი — (უცბად გულზე ხელს იტაცებს) ვაი, მი-შვე-ლეთ!
(მკვდარი დაიემა და ფერდობზე დაგორდება).

ქაიხოსრო — აქეთ გამოდით, მბრძანებელო, ტყვია არ მოგზედეთ!
(უკან დაიხვეწ).

ამილახვარი — (თითქმის შემორბის).

თეიმურაზ — რას იტყვი ახალს,

რად მიატოვე ბრძოლის ველი, ამილახვარო?



- ამილახვარი — (შეშინებულა) მთელი რაზმი გამინადგურეს,
 ყოველი მხრადან გვაწყდებიან სპარსთა ჯარები.
 მოჰკლეს ბაიდურ ციციშვილი, ხერხეულიძე,
 კახთა სარდალი ჯანდიერი, დასქრეს ზურაბი.
- თეიმურაზ — ოჰ, ღმერთო ჩემო!
- ჯავახიშვილი — თანაც ხმა დადის საშინელი რაზმიდან რაზმში, —
 მოჰკლეს მეფეო, ყველგან ამას ვაიძახიან.
 თურმე მოუკლავთ თეიმურაზ მუხრან-ბატონი.
 ჯარს თქვენ ჰგონიხართ, შიშის ზარმა მოიცვა ყველა.
- თეიმურაზ — (სასოწარკვეთილი)
 ოჰ, ღმერთო ჩემო!
 დარბაისელნო, მირჩიეთ რამე.
- ციციშვილი — რაღა გირჩიოთ, მბრძანებელო, ომი წავაგეტ.
 გამოსავალი ერთი დარჩა, თუ კი არ მიწყენთ...
- თეიმურაზ — თუ კი რამ იცი, სთქვი, გვიხსენი განსაცდელისგან.
- ციციშვილი — თუ ვსურთ, მეფეო, რომ სიცოცხლე შევიწარჩუნოთ,
 კაცნი ვაფეხავნოთ, საფიცარი ვთხოვოთ ყორჩიბაშს,
 რომ არ გვექნება არაფერი არც ჩვენ, არც ცოლშვილს
 და დავმორჩილდეთ... მბრძანებელო, ძალა აღმართს ხნავს.
- თეიმურაზ — ეგ გამოსახა შენმა ჰკუამ გამოსავალი?
 თუთ ვაფიყარო მე ხელფეხში ჩემით ბორკილი?
 არა, თავადო, ეგ არ ძალშიძს, არ შემიძლია,
 უმჯობესია აქვე მომკლათ.
 მხოლოდ იქ შავთან, შავ-აბასთან, არა, არასდროს.
- მეომარი — (შემორბის) დიდო მეფეო,
 გზა გაარღვია სააკაძემ, გთხოვთ, რომ გამოწყვეთ.
- თეიმურაზ — ასი ოქრო სამახარობლო!
 ზომ არ გვატყუებ?
- მეომარი — არა, ბატონო.
 დიდხანს ვიყავით სპარსთა ჯარით გარშემორტყმული,
 გზა არსად იყო გასაქცევი...
- ციციშვილი — გაგვიძებ, ძმაო,
 და ეგ ამბავი ჩვენს ღიღ მეფეს გზაში უამბე.
- თეიმურაზ — უნდა აფჩქარდეთ, მართალია.
- მეომარი — მომბრძანდით, მეფეე (გაღიან).
- (სკვნა ცოტა ხანს ცარიელია. შემდეგ უფროს ძმის შატრას ზურგზე მოკიდებული
 შემოჰყავს დეხებ-გადამტვრეული უმცროსი ძმა ლექსო).
- შატრია — უჰ, მოეკვდი, ძმაო.
 ძალა აღარა მაჭვს, უნდა აქ ცოტა შევისვენო.
 (ლექსოს ძირს დაუშვებს).
- ლექსო — ოჰ, ჩემო დედაე!
- შატრია — (წყალს სევამს. შემდეგ წამოდგება, ძალზე დაქანცული და
 შემკრთალი გარშემო იყურება)
 საით ვაფიქცი, აღარ ვიცი, ყველგან მტერია.

ლექსო — ოჰ, შექრიავ, ბიჭო, შექრიავ!

შექრია — ვხლავე, ძმაო, ცოტას კიდევ სულს მოვებრუნებ.

ლექსო — იცი, რა გითხრა?

შექრია — რა იყო, ძმაო?

ლექსო — მოდი, მესროლე ეგ დამბაჩა, უმჯობესია.

შექრია — რაო, რას ამბობ?

ლექსო — სულ ერთი არის, კაცად მაინც აღარ ვარგევარ.

შექრია — როგორ, ძმის სისხლი დაეპტეცო, ჩემივე ძმისა?

ლექსო — მაღლი იქნება, ვიტანჯები.

ველარ წამიყვან, ველარ... თავსაც დაღუპავ.

შექრია — რას ამბობ, ბიჭო, შენს ცოდვაში როგორ ჩავდგები?

ლექსო — არა, ეგ ცოდვა არ იქნება, უფრო მაღლია.

მთელი სიცოცხლე უნდა ვიყო კუტი, საყვარი,

ხალხში, ტოლებში, ქვეყანაში გამოსხლეტილი.

არა, მესროლე, გვედარები, გემუდარები.

განა ერთ ტყვიას დამამადლი?

შექრია — რაებს მიქპარავ, ნუ სულელობ, აბა, წაეიღეთ!

(შეიასყვანად).

ლექსო — არ წამოგყვები, ამას იწით აღარ წამოვალ.

შექრია — რას ამბობ, კაცო? (სროლა ახლოედება)

გესმის? მოდიან, მოგენახავენ, ამოგეწყვეტავენ.

(უდილობს აყვანოს, ლექსო არ ნებდება).

ლექსო — არა, გითხარი არ წამოვალ,

ერთი ტყვია გშურს შენი ძმისთვის?

მაშ რაღა ძმა ხარ, თუ შევ დღისათვის არ გამოდგები?

შექრია — ბიჭო, რად გინდა რომ ცოდვა გქმნა, ძმის მკვლელო გაგზავნა?

ლექსო — მაგითი მხოლოდ ტანჯვისაგან შენს ძმას დაიხსნი,

თუ ცოდვა არის, მაშინ სვი ჩემმა სულმა ზღოს.

(მეხვი და სროლა სულ ახლოს მოისმის. შექრიას შიში იყვობს, ზოუსვენრად იწირიალდება).

შექრია — აი მოდიან, დაეიღუპეთ, ახლა რაღა გქნათ?

ლექსო — მესროლე, მორჩი, გაიქეცი, შენს თავს უშველე.

შექრია — (პირუჯვარს იწერს)

ღმერთო, შემინდე, უბრალო ვარ, ღმერთო, შემინდე!

ლექსო — მე შემინდებიხარ...

აბა შენ იცი... შეილს გაბარებ...

არ დამიჩაგრო, უმამობა არ აგრძნობინო...

შექრია — (დამბაჩას ესერის და ჰკლავს ლექსოს. გაქცევის დააპირებს.

ამ დროს სცენაზე ხუთი მეომარი შემოვარდება ტანისამოს-შემოფლეთილინი)

პირველი მეომარი — ეი, ვინა ხარ?

შექრია — ქართველი ვარ, ნუ გეშინიათ...

მეორე მეომარი — თუ ქართველი ხარ, მოდი აქ, გვერდში ამოგვიდებ.

(შექრია შეუერთდება. ისერიან).

აბა, ბიჭებო, გენაცვალებთ, დასცხეთ მეგ წუნკლებს!



შაქრია — (ტყვია მოხელება) ვაიმე, დედავ. წამოიწყეს, შავრამ დაეცემა.
სპარსელებს ხმები გარედან)

პირვე. სპარსელი — დაჰყარეთ ჩქარა იარაღი!

მეორე სპარსელი — სულ ერთი არის, ველარ წახვალთ.

მესამე სპარსელი — დაგვემორჩილეთ!

მეოთხე მეომარი — ვისაც მკლავი გაქვთ ვაჟაკისა, ახლოს მობრ-
ძანდით.

მეხუთე მეომარი — აბა, ბიჭებო, სულ ერთია, ყველას დაგვბოცვენ
და ვაჟაკურად მაინც მოგვედეთ.

პირვე. სპარსელი — დაჰყარეთ ყველამ იარაღი!

(ყოველ მხრიდან სპარსელები გამოჩნდებიან).

მესამე მეომარი — აბა, ბიჭებო, არ შეშინდეთ, მხარი მხარს მივცეთ!
(თავს ესხმინ).

სპარსელები — აბა, დაჰყარით ამ გიაურებს!

მეოთხე სპარსელი — გააგდე ხმალი, ძაღლის შვილი!

მეხუთე მეომარი — ჯერ შენ გაგზავნი საიქიოს, მერე დავაგდებ.

(ხმალს შემოჰყრავს).

მეოთხე სპარსელი — ოჰ! (დაეცემა. სპარსელებს თანდათან ემა-
ტებიან ყოველი მხრიდან. ქართველი მეომრები ბრძოლით უკან იხე-
ვენ და, ბოლოს, იბრძვიან ერთმანეთზე მხარმიდგმულნი, ზურგ შეტ-
ყვეით, ასე რომ მათი რგოლი ყოველი მხრიდან იგერიებს მტერს.)

მეოთხე მეომარი — აი შეიღოსა: თითო კაცზედ ათი მოდიხართ!

(ხუთი კაცის წრე ბრუნავს და იბრძვის. მეორე რაზმელი იწყებს სიძღვრას, სიძღვრ-
იღვზნებულთა განწირულებით, შავრამ მტეჟარე, შეუბოვარი, მუღგარი. ისმის იარაღის
ჩაბიჩუბი. ქართველების წრეს თანდათან ერთმან სპარსელები. აღარ მოსჩანან, შავ-
რამ სიძღვრა მაინც ისმის თანდათან აკლდება ხმები. დასასრულ, ისმის ერთი კაცის
ხმა. ისიც შეწყდება. წრე გაიხსნება და გამოჩნდებიან დაბოცილი ქართველები სპარ-
სელების გეგმებით გარს შემორტყმული).

სპარსელი — (ფეხს დაჰყრავს მკვლარს)

უჰ, თქვე ძაღლებო!

ერთი შეხედეთ, რამდენი ხალხი გაწყვიტეს!

(შემოდის ყარჩიბაში მღვდლებით).

ყარჩიბაში — სასჯელს მიიღებთ მაგისტვის ყველა საკადრისს.

ჩვენს ხელში იყო იგი უკვე ტყვედ ჩაეარდნილო

და თქვენ გაუშვიეთ, თქვენ მიეცით ვნა გასაქცევი.

სპარს. მეთაჟრი — დიდო სარდალო!

როდესაც მოკლა სააკაძემ ამირ-გური-ხან,

ჯარი შეშინდა, აირია...

ყარჩიბაში — ვის შეუშინდა? ერთი მუჰა ხალხს, ძმთ იერიშს.

შაბადახან!

შაბადახან — რას მიბრძანებთ; მხედართმთავარო.

ყარჩიბაში — გთხოვ, შენის ჯარით მცხეთისაკენ ეხლავ გასწიო.

ჩვენბ მიუსწრო, გადაუჭრა ვნა თეიმურაზს.

იგი ეცდება, რომ გაიქცეს იმერეთისკენ.

შაბადახან — ეხლავ, სარდალო (გადის).

ყორჩიბაშ — (გაპყურებს) ეს რა ცეცხლია?

სპარს. მეთაური — სოფლები იწვის, მბრძანებელი.

ყორჩიბაშ — ვისი ჯარი სდგას იმ მხარეზე?

სპარ. მეთაური — ხოსრო მირზასი, მბრძანებელი.

ყორჩიბაშ — (თავისთვის) ოვითონვე სწვავენ და არბევენ თავიანთ ქვეყანას.

(შემოდის სვიმონ მეფე, თან ახლავს რამდენიმე ქართველი თავადიშვილი).

მომილოცნია გამარჯვება, სვიმონ მეფეო,

თუმც უნდა ვითბრა გულახდილად, მარაბდის ომი

სპარსთა მხედრობას მეტის-მეტად ძვირად დაგვიჯდა.

ეცადე, ტახტი ხელმეორედ აღარ დაკარგო.

სვიმონ მეფე — ჩემო ძვირფასო ნათესავო, დიღო სარდალო,

მე შაჰის პატივს ვერასოდეს ვერ გადავიხდი

და ძალმიძს მხოლოდ, სიკვდილამდე მას ვემსახურო.

(ხელს გაუწვდის) შენ კი ყორჩიბაშ, სვიმონ მეფე და მისი ქართლიც,

ვწამდეს, ღვაწლისთვის რომ მეფურად დაგაჯილდოვებს.

(დასასრული შესაბამე მოქმედებისა)

სოლომონ თაყაიძე

კავკასიონის კაჩებთან

XXI¹

ზორი ნათელი

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ნაწილმა ფრონტის სამხედრო საბჭოს ბრძანება მიიღო, გადასულიყო ბაქსანის ხეობაში და დაეკავებინა ის პოზიციები, რომელნიც მანამდის გვარდიელთა დივიზიას ეჭირა.

ბატალიონი, რომელშიაც სამსონი და მისი მახლობელი თანამებრძოლნი იყვნენ, არიერგარდში მოხვდა, ხოლო ეთერი მედიკურ-სანიტარულ რაზმს გააყვია.

შეცდომისაგან იყო გადახრილი, ნაღიკში რომ შევიდნენ. გზაზე ქელი ამოდ ცდილობდა გაერთო ეთერი, რომელსაც სამსონის განშორება ასე არასოდეს არ დაჰმძიმებია. არ უნდოდა ეს სხვებისთვის შეემჩნევინებინა, მაგრამ ძალა არა ჰყოფნიდა, რომ ჩვეული მხნეობა მოეკრიბა. მტკიცედ მიიპიჯებდა, მის მოხდენილსა და მკვრივ აღნაგობას მცირეოდენი მოდუნებაც ვერ შეპარვოდა. მხოლოდ სახეზე აღბეჭდვოდა მწუხარება სულია. ნათელი გზა ისე გაიარა, რომ არაფრისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ ამ აგარაკით ლამაზად მოკაზმულმა ქალაქმა აღუძრა ინტერესი, ცნობისმოყვარეობით მიმოავლო თვალი სუფთა ქუჩების გასწვრივ ერთსართულიანი შენობების ფონზე მშვენიერი კოშკებისით გადმომდგარ ახალ სახლებს და სიცოცხლას უტკანობი ეშხით გამარწყინებულ ბალებს.

ქალები სასტუმროს საერთო ოთახში მოთავსდნენ.

ეთერმა მესამე სართულიდან გაჰხედა ვრცელ და მდუმარე ბაღს. შვებით ამოისუნთქა. გულმა გაელა მოსთხოვა. ტანისამოსი გონება-გათანტულად გაისწორა და კარისაკენ გაემართა.

— ეთერიკო, მეც მოვდივარ. ქვევით დამიცადე. — მიძახა ქეთომ, რომელიც მხედრული სისწრაფით შლიდა საწოლს.

სასტუმროს ექსტიბულში, შესასვლელ კარებთან, სავარძლების გვერდით

¹ გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 3.

მალალი სარკე იყო. ეთერი უნებლიედ შესღვა ამ სარკესთან და, რაკი/მახლობლად არავინ ეგულებოდა, აუჩქარებლად შეათვალღერე. ყველგან — ფიცი. წარბები შეჭარა, სახის ნაოქებს დააკვირდა, მერე ნაღვლებს დასწვებდა სიღრმეში ჩაიხედა და სამსონი წარმოუდგა, სწორედ ისეთი, სამი დღის წინათ რომ ნახა ცხარე ბრძოლიდან გამოსული, მხნე და თვალ-ანთებული.

ხელმარცხნივ საპარიკმახეროს კარს შალვა ყიფშიძე მოადგა. იმ დღეს ჩამოსულიყო არმიის შტაბში სასწრაფო საქმის გამო. მკლავი მორჩენოდა. ისე სუფთად იყო გამოწყობილი, რომ ვერავინ იფიქრებდა, თუ წინა დღეებში ერთობ მწვავე ბრძოლის აღში იყო გახვეული.

ეთერმა სარკეში დაინახა მისკენ მიშავალი შალვა. შეკრთა, მოჩვენება ეგონა. სწრაფად მიიხედა და შეშინებული ხმით წარმოსთქვა:

— აჰ, შალვა!

შალვა უსიტყვოდ მიეახლა. ეთერის ხელი აიღო. ეტყობოდა, უნდოდა ხელზე ეკონა, მაგრამ თავი შეიკავა, მერე ხელით მოეფერა, თან ეთერს სახეზე თავისი ბასრი თვალების სხივი შეაფრქვია.

ეთერმა თავი დაჰხარა.

— რა ბედნიერი შეხვედრაა! — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა შალვამ და ეთერს მხარზე ხელი ოდნავ შეახო.

ეთერმა ინსტინქტურად უკან დაიხია.

შალვა გამოერკვა, თავისი სიღარბაისლე მიიშველია.

— არ ვიცი, რა უნდა მენატრა ახლა ამ შეხვედრაზე უძვირფასესი. ხვალ უთუოდ ერთად მოგვიწყევს მგზავრობა. ამბობენ, რაღაც საუცხოო ხეობა უნდა გავიაროთ. ახლა კი... ერთი საათი თავისუფალი დრო მაქვს. მოდი გავიაროთ, აქაური ბაღი დაგათვალღეროთ.

პასუხს არ დაუცადა, გაბედულად გამოსდო ეთერს მკლავში ხელი და კარისაკენ გაიყოლია.

სწორედ ამ დროს ჩაირბინა ზევიდან ქეთომ. შალვა თუმცა ზურგშექცეული იყო, მაგრამ დანახვისთანავე იცნო. შესღვა. ღანკვიფრდა. ფერმა რამდენჯერმე აუარ-დაუარა სახეზე. სიხარულმა აიტაცა. ის იყო, ადგილიდან უნდა მომწყდარიყო და კიბეზე ჩაშავალ შალვასთან მიქრილიყო, რომ უშალვე უხერხულობამ შებოქა. რა უფლება აქვს? მხოლოდ ერთხელ, როცა წამოვიდნენ, იმ ღამეს შეხვდა შალვას განმარტოებულად, შერცხვა, თავი დაჰხარა. შალვამ აღურსით დაუსვა მხარზე ხელი და თვალეში ჩაახედა. მაშინ გაეხსნა ქეთოს მეცხრე ცის კარი და სიყვარულის შუისაგან სახეზე აღმური მოედო. „მივიღვართ, დობილო, მივდივართ, აბა შენ იცი! იქ უთუოდ შევხვდებით ერთმანეთს,“ — უთხრა შალვამ და რაზეულებსაკენ გაეშურა.

მას შემდეგ ასე შორიდან მოჰქრა რამდენჯერმე შალვას თვალი. ახლა როგორ მივიდეს? რა უთხრას? ეთერისათვის რომ არ გაენდო თავისი საიდუმლო, კიდევ პო, თვალთაჩქობა-კი ქეთოს ნეტის-მეტად ეძინებდა. რა ბედნიერი ქალია ეთერი! ყველას მოსწონს, თავის დაქვრაც იცის. შესანიშნავი საქმრო ჰყავს და... იეთუ შეუძლიან, რომ შალვასაც ეჩიყვარულოს? არა, ეს წარმოუდგენელია... კი, მაგრამ...

მეტი ფიქრი ქეთომ ვერ შესძლო. პირველად ჩაეწვეთა გულში მავნაღვლიანი ექვის შხამი. სრულიად უჩვეულო გრძნობა დაეხადა. თითონაც არ იცოდა, საიდან წარმოიდგინა, რომ შალვა მისი საკუთრება იყო, მისი სიცოც-

ხლის დედაარსი. ახლა სხვა ეუფლებოდა... გააფთრდა, თვალები მკაცრად მოქუბა.

„ასე ზომ, ეთერ, კარგი, მე შენ გადავიხდი სამაგიეროს!“
 ში და არასოდეს რომ არ ზმანებია, ისეთი ეშმაკობა გაითვალისწინა. მაგრამ ვერ სავეხებით უნდა დარწმუნდეს. შორი-ახლო გაპყვება და თვალს ადევნებს.

ფრთხილად გადადგა ფეხი, ისე ფრთხილად, თითქო კატა ფრინველს ებარებაო. ჩასავალ კიბესთან შეჩერდა. იმწამს ბალის კიშკაროან მისულ ქალვაც ხედავდა მხოლოდ, სხვა ყველაფერი, ცა და დედამიწაც, მასი ცნობიერების ნიღმა არსებობდა.

შალვა ეთერის მკლავის სითბომ, ნექტარივით რომ იღვრებოდა მთელს მის არსებაში, ამ მოულოდნელმა განშარტოებამ მომხიბლავი ბუნების წიაღში ისეთ გუნებაზე დააყენა, როდესაც ადამიანი, სიცოცხლის უმაღლეს მწვერვალზე ასული, დროის მდინარებასაც ვერ ამჩნევს, არც ის ახსოვს, თუ განუცდია რაიმე წარმავალი და ამო.

ეთერმა იცოდა, თუ რისი თქმა სურდა შალვას. ისიც იცოდა, რომ უმჯობესი იყო არ ეთქმევინებინა, მკაცრად შესიტყვებოდა და ცივად განშორებოდა, მაგრამ იმდენად მძლავრად სჩქედდა შალვას არსებიდან გადნომავალი ჯაღო სიყვარულისა, რომ ენა დაემა, გაორდა.

— შშვენდებოდა, იმ შორ ნათელს, რაც უკვდავია ქვეყანაზე, მე ახლა შენში ვხედავ, ეთერ... რასაც ვეძებდი, მხოლოდ შენში ყოფილა... ვიცი რასაც მიპასუხებ. სამსონი ჩემი გულითადაც მეგობარია, მაგრამ... იქნება ეს ბედისწერაა. ძნელია ბრძოლა ისეთ გულთან, რომელსაც არ შეუძლია არ უყვარდეს...

ეთერმა მუხლებში სისუსტე იგრძნო, კვებაროვნებთან მდგარ რკინის სკამისაკენ გაიწია. როცა ჩამოსხდნენ, შალვამ ეთერის უღონო ხელი აიღო და ნაზად აკოცა.

დეკორატიულ მცენარეებს მიფარებულმა ქეთომ ეს რომ დაინახა, სიმწაჩისაგან ტუჩზე იკბინა. შეეშინდა, ასეთ მდგომარეობაში მყოფი არ დამინახონო და სასტუმროსაკენ გაიქცა. სულმოუთქმელად აირბინა ოთახში. საწოლში ჩაენსო, პირი ბალიშში ჩაარგო. ცრემლი წასკდა, მზრები აუცაცხადა.

— რა მოგივიდა, გოგო?— შეეკითხა ახალგაზრდა, პირმრგვალი, შავგვრემანი ექთანი, რომელსაც ამხანაგები მეტასხელად მთისჩიტას ეძახდნენ.

ქეთო გაშეშდა. როგორც იყო, ცრემლები შეიკაფა, პასუხის გაცემა-კი ვერ შესძლო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ეთერი რომ დაბრუნდა, არც იმას გავლპარაკი, თავი მოიმიძინარა ენათ უთქმელი ბოღმით შეპყრობილმა.

XXII

ჩაბუნის ხეში

მეორე დღეს შალვამ სასტუმროს ეზოში უქანა კარებთან დააყენებინა შოფერს საბარგო მანქანა. მკვირცხლად გადავიდა კაბინიდან.

მთისჩიტა შეეგება.

— აბა, მომდერალო, წადი, ჩამოიყვანე ყველანი, არ დაიგვიანონ, — უთბ-

რა მთისჩიტას და ეზოში გაბრუნდა. შოფერი გაიყოლია მანქანაზე და ადგილ-
ში მერხას მოსატანად.

ქალე ყველანი მანქანაზე წოთავსდნენ. მხოლოდ ქეთომ მოხმამღწევი ტყუპის
ცა, — თქვენ წადით, მე მეორე მანქანას გამოვყვებიო.

მამინ შალვა მივიდა ქეთოსთან, მხარზე ხელი შეეხო, მღიმარე თვალებით
მიუაღერა.

— რაღაცა მოწყენილი მეჩვენები, ქეთო? ასწი თავი, შემომხედე!

მყისვე გაღწეა ქეთოს გულში ყინულივით ჩამდგარი ნაღველი. მონუსხუ-
ლივით იხედა და სახე გაუწითდა, გაეცინა. თან თავისდაუნებლიედ ცრემლი
აუციმციმდა გაბრწყინებულ თვალებში. სწრაფად შებრუნდა, თავის ზარგს
ზელი დაავლო და ამხანაგს მიაწოდა მანქანაზე.

ქალაქს გასცილდნენ. ხიდზე გავიდნენ. სამხრეთისაკენ შეუხვიეს.

მთისჩიტამ სიმღერა დაიწყო. თითქმის ყველანი აჰყვნიან.

ეთერი შალვას გვერდით იჯდა. სიმღერას რომ თავისი წკრიალა ხმა შეუერ-
თა, გული ისეთმა გრძობამ შეუთრთოლა, რომელშიაც მიყუჩებული სევ-
დაც იყო და ნაზი სიხარულაც.

გზა კარგი იყო. მანქანა უხმაუროდ მისრიალებდა.

მთელი ხმით მღეროდნენ.

ეთერმა თითქო ფრთა შეისხა, თავის ხმას გაჰყვა, სამსონთან გაჩნდა. გულ-
მართლად შეაცქერდა თვალებში. „ნუ გეშინიან, სულ შენთან ვარ, შემოგვე-
ლე“, — ანუ გეშა რატომღაც სამსონი და სიმღერასთან ერთად განაგრძო ფიქ-
რი: „ხომ გარკვეულად უბასუხა შალვას? ხომ უთხრა, რომ ეთერის სი-
ცოცხლე სამსონს ეკუთვნის? ამიერიდან შალვას ზტკიცედ ეცოდინება, რომ
ეთერი არ არის ისეთი ქალი, როგორც მას არაერთხელ შეხვედრია ცხოვრე-
ბაში. ეთერი ქართველი ქალია, ბოლომდის გამტანი, სიყვარული ყვავილიდან
ყვავილზე როდი დაფარფატებს. იგი ერთარსია, ვანუყოფელი... თუმცა... რა-
ტომ სიამოვნებს ეთერს, შალვა რომ მის გვერდით ზის და ყოველთვის, რო-
დესაც ეთერს თვალს შეავლებს, უნებლიედ ამფლავებს თავისა გულის საი-
ღუნლოს? ეს... არა, როგორ შეიძლება შეიძლოს ადამიანი, რომელსაც
თავდავიწყებით უყვარხარ? შალვა საუცხოვო ეთერია, პატროსანი, ნეგობ-
რისათვის თავდადებული... მოიცა... აქ ისეთი უღრანი იწყება, გზა თუ და-
გებნა, უფსკრულში გადაიჩეხები...“

შალვა სიმღერის დიდი მოყვარული იყო. თითონაც მეტად საამო ხმა
ჰქონდა.

ამ დილით ეს ძველი ქართული სიმღერა მის განწყობილებას საესებით
ემთხვეოდა. მასში მეტად დიდი იმედი ბრწყინავდა. იგი უთუოდ გულჯიფ-
რიანი კაცის მოგონილი იყო, რომ სიცოცხლის ხანმოკლეობაზე ფიქრი და
ნაღველი გაექარწყლებინა.

შალვამ უსაზღვრო ტრამალს ბოავლო თვალი. ფრონტისაკენ მიმავალი გზა-
ტყევილის ნაპირებზე ჩამწყრივებული ახალგაზრდა ხეებზე და ტელეგრაფის
ბოძები სივრცეში იკარგებოდნენ, ლევა ნისლივით გაწოლილ სივრცეში, ხო-
ლო დასაყვებითი ოდნავ მოსჩანდა ზღვის ტალღასავით დაგრაგნილი გორა-
კუნძის ზოლი.

მშვიდი და ნათელი დღე იყო. მანქანის სარბოლაში შემონაჭროლი ჰერმეტიკ სიამოვნებას ჰგვრდა მგზავრებს.

მღეროდა შალვა და თან გარემოს ათვალეებდა. პირველად რეზონანსი მგზავრეში და მას ყურადღებას უნებლიედ იპყრობდა ბუნების მრავალსახეობა. სადღაც გულს რომელღაც კუნძულში ჰფეთქდა ის კაეშანი, რომელიც ეთერის პასუხმა გაუღვივა გუშინ.

ტანკსაწინააღმდეგო ოპრობები, სანგრები და ძელმიწურები უკან მოიტოვეს. იქ მყოფი ქართული მეომრები შორიდან იცნეს. სოფელში შესრიალდნენ, ერთსართულიან თეთრ სახლებს ჩოქროლეს და მთის ძირს მიუახლოვდნენ.

შალვამ დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი ფერდობზე შეფენილ ტყეს, მოწაბლისფროდ შეგუშობათულ, შემკნარ ფოთლებიან თეთრ წიფლებსა და შემოდგომის ფერთა საუხვით მოხატულ სვრებს.

უფრო შორს, მწვერვლებს ოპრობკედით მოქარგული ფარჩები ჩაეცვათ.

რა დიდებული სანახობაა! ქედები ქედებს გადაკდობიან, მყინვარები თოვლიან თხემებს დაციმციმებენ, პიტალო კლდეები ზვიადად დასცქერიან უფსკრულებს.

აღმართი მიხვეულ-მოხვეული გზით აიარეს. ამ სანახებმა შალვას დასავლეთი საქართველო მოაგონა, ნიავემა მეტად ნოყიერი მიწის ნაცნობი სურნელება შემოაგება.

აღარ მღეროდნენ. ამ სოფელმა, რომელსაც ფრონტის სახლოვე თითქმის არაფრით არ ემჩნეოდა, უცხო მზარეში მყოფ ქალიშვილებს შინ მშვიდობით დაბრუნების ნატვრა აღუძრა. ზოგი მათგანი ომის წინ ღამით დედასთან წვებოდა, შიშით მარტო გარეთ ვერ განდიოდა, ახლაც რა ცეცხლში გამოიარეს და კიდევ ვინ იცის, რა საშიშროებას უნდა ებრძოლონ ამ პირველ ხეობებში!

მთისტიტამ მოსაწყენი დღეშილა ვერ აიტანა და საათნოვას სიმღერა წამოიწყო, აღმოსავლურად მოწყრიალე ხმაში ქნარის სიმების სევდიანი ძღერა ჩააქსოვა.

მიჭროდა მანქანა. მთების მახლობლად, მზისგან გაბრწყინებულ ვაკეზე მეტად ღამაზი დაბა გამოჩნდა. მგზავრები ცნობისმოყვარეობით გაკუყრებდნენ ამ უცხო დაბას და გულს აყოლებდნენ მთისტიტას სიმღერას, რომელშიაც მგოსანა უკვდავ სიყვარულს უგალობდა.

ქეთოს დღეს რამდენჯერმე შეეცვალა განწყობილება. ხან შალვას სახლოვე, მისი დილანდელი მიფერება ნეტარებით ავსებდა. არაფერი არ უნდა ქეთოს, სრულიად არაფერი, ოღონდ შალვას ისე ახლო ხედავდეს და მისი ვაკეკაცური თვალების შუქი შემოეთინებოდეს ხოლმე. განა არ იცის, რომ შალვა ვერ ამჩნევს, თუ რა ცეცხლი ტრიალებს ქეთოს გულში. იქნება არასოდეს არ გაიზიაროს. თუმცა... რატომ არ შეიძლება, რომ შალვამ ქეთოს ყურადღება მიამციოს? სიყვარულს ყველაფერა შეუძლია... ასეთი იმედი რომ ჩაესახებოდა, ალტაცებით აყოლებდა ხმას სიმღერას, უნებლიედ მიაცქერდებოდა შალვას, რომ როგორმე მისი თვალების სხივი დაეჭირა. ხან-კი სახე მოედრუბლებოდა, თვალებს მოკუტავდა და გამზე მიიხედავდა. ამ დროს გუნებაში ეთერს ეშუქრებოდა: მოლაღატე, გაუტანელი. შესანიშნავი საქნოო მყავს და ამ კაცს რას გადააკიდებია? შერე როგორ უყვარდა ქეთოს ეთერი. მის-

თვის სულს არ დაიშურებდა. ახლა-კი, ზედაე, როგორ ვასწიროა სიყრმის შეგობარი. ნეტავი მაინც არ იცოდეს ეთერმა, თუ რა დღეშია ქეთევანის ვადგელას სხვა რომ ყოფილიყო, შალვას ქეთოსკენ მოახედებდა, ისევე, როგორც ახლა, დაიცადოს...

მგზავრებზე დაბამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კოხტა სახლები, სისუფთავე, სკოლის დიდი შენობა ვრცელ ეზოში, ახალი ნაგებობანი, — ყოველივე ეს ნათელი კულტურის ელფერით შესდგომოდა ამაყი მთების კალთებს.

მალე გზაზე აქეთ მომავალი გვარდიელები შემოეყარნენ. მძიმედ მოაბიჯებდნენ სასტიკი ბრძოლის ქარცეცხლში მრავალჯნის წრთობილი ვაჟკაცები. ქარ-დაკრულ სახეებსა და მკაცრი ელვარებით ანთებულ თვალებში ემჩნეოდათ, თუ რა ძნელა გზა გამოეგლოთ ციცაბო კლდეებსა და ჯურღნულოვით ჩაბნელებულ ხეებში.

ხელმარჯვნივ, ხავსიან სიბებიდან დაქანებული ღელის ნაპირებზე ხავერდოვან მღელვს ჩაუქროლეს და მალე თავს წამოადგათ. ეამთა მდინარებში მრავალფენად შეფოლადებული კლდეკარი.

შალვას განწყობილებაში ნელი-ნელ შეაქრა შარადისობის ცივი სუნთქვა. ყველაფერი გაივლის, ამ დაძაბული ბრძოლების სიმწვავეც მიწელდება, შალვას გულში მგზნებარე სიყვარულის ალიც პირველ საწყისს დაუბრუნდება, დარჩებიან მხოლოდ ეს სალი კლდეები, ეს მშობლიური მთები. ამიტომ არიან ესენი ესოდენ ქედმაღალნი და თანაც რაღაც უცნაური ძალით ჩაბნეილებულნი.

— იცი, რა, — გადაულაპარაკა ეთერს შალვამ: — აღამიანი თუმცა მიწის ნაწილია... ჰო, სწორედ იმიტომ, რომ მიწის ნაწილია, თავს ლაღად მაშინ გრძნობს, როცა დედამიწის ზედაპირზე მოძრაობს, ცას, მზესა და ვარსკვლავებს შეგხარის. აქ-კი... შეხედე, რას ჰგვიანებს ეს ფრიალო კლდეება! აღამიანს ზღაპარშიაც ვერ გამოუგონია ისეთი დევგმირი, რომელსაც შეეძლოს ამ უზარმაზარი ლოდების აწევა.

ეს რომ სთქვა, ყური უცნაურ შრიალს მიაბყრო. კოკისპირულ წვიმასავით ახლოვდებოდა ეს შრიალი. ზევს პირთამდე აესებდა.

ანაზღად, ხელმარცხნივ გამოჩნდა იგი, აღმასივით მოკამკამე ჩანჩქერი, ერთი კი არა, მრავალი, ფენა-ფენად გადმოშვებული ცამდის აღმართულ ფრიალო კლდეზე.

მოსახვევში, ნაპრალზე გადებულ, ცალ მხარეს ერთობ საშიშრად ჩაზნექილ ხიდზე გავიდნენ. ჩეგვი ახლა ხელმარჯვნივ მოშხუოდა.

პიტალო კლდეში გვირაბავით გამოკვეთილ ვიწრო გზას რომ გასცილდნენ, ხევმა მხრები გადასწია, კოხტად აიკრიბა თავისი ფერად-ფერადი კალთები. გულგაშლილი ხევის ორივე მხარეს თვალს იტაცებენ თხემების ნაირ-ნაირი ნაპირება, ვით საღცხოვოდ მოჩუქურთმებული დარბაზები, ცაღაწვდილი კოშკები, უძველეს ციხეთა ქონგურები და მტერთათვის მიუვალი კარიბჭეები.

აგერ თანდათან გაიშალნენ თვალშეუწყვდიელია ფერდოები. გამოჩნდნენ შეყვითლებული ბალახით დაფარული საძოვრები და სათიბები.

შორს, მხრებშედგმულ ქედების ნაოქებზე, ცხერის ფარა გადმოეფინა. მალე შუბის წვერივით ჩამოდგა მაღალეხიანი მთა და ხევი ორად გაიყო.

მარჯვნივ აუხვიეს. სოფელში მისვლამდის დიდი ხანი არ დაპყვნებიათ. მთების უბეში, ხმაგამულად მოჩქრიალედ მდინარის მახლობლად, გზასთან,

შევაკებაზე ერთპარტულიანი ქვის გრძელი შენობა იდგა: ახლო-მანლოს სხაზრო ფარდულეებით ჩამწკრივებულიყვნენ მცხოვრებთა სახეუბრეწეწეწე ქვის სახლთან რამდენიმე მანქანა და საბარგული იდგა. მხედრებმა დაეკლათ. ზოგი უკვე სადილობდა, ზოგი ახლა ამზადებდა ცის ქვეშ გაჩაღებულ ციციბლზე.

ქალებს მეომრები სიხარულით შეეგებნენ, მიიბატიყეს, სანოვავე მოუკითხეს. თციოდე წუთის შემდეგ დაბლობიდან თავახდილი სამგზავრო მანქანა ამოსრიალდა. შალვამ შორიდან იცნო ნაწილის კომისარი — კოტე ონელიძე და შტაბის აფიცრები.

კოტე შუბინის კაცი იყო, ტანმაგარი, ჩასკვნილი, მკვირცხლი, მგზნებარე. მხედრულად არ იყო გამოწყობილი. უბრალო საშინაო კოსტუმი ეცვა.

— უყურეთ, სად ყოფილა?! — წამოიძახა კოტემ და შესაგებებლად წამოშდგარ შალვასაკენ ხელი გაიშვირა. — შე ოხერო, ასე როგორ გამოგვასწარი? — გაჯავრებულეით მიმართა და დასძინა: — მოდი, მოდი, შენთვის ერთი ადგალი გვაქვს. შალე, შესასვენებლად როდი გვცალია.

— ახლავე.

შალვა თავის თანამგზავრებთან მიბრუნდა, ყველას თვალი მოავლო, ნაგრამ მათ შორის მხოლოდ ეთერს ხედავდა.

ქალები ადგნენ.

შალვამ გვერდით ჩაუარა ქეთოს. სულ არ შეუძინევია მისი ანთებული თვალები. ეთერს ხელი გამოსდო და სახლისაკენ გაიყოლია.

— ცუდი არაფერი ჩაგჩაჩეს გულში, თუ გიყვარდე, — უთხრა მღელვარე ხმით: — რა გქნა, ასეთი ვარ მე... სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან თან წამყვება ის შუქი, რომელიც შენ ჩემს სულში ანთე... ვინ იცის, როდის გნახავ?

ეთერი შეკრთა. შალვას ხმაში ასეთი თრთოლვა შეამჩნია, როგორც სარულიად მოულოდნელი იყო ამ ვეფხვივით შეუპოვარი ვაყკაცისაკან. შეეცოდა. უნდოდა თავი აეწია და თვალებით მიალერსებოდა, მაგრამ რაღაცამ ეღვასავით დაქრა გულში და თავი კიდევ უფრო დაახრევინა.

— ხომ გითხარი, რომ შენ ჩემი შორი ნათელი ხარ, — განაგრძო შალვამ. — ვივლი, მუდამ შენსკენ ვივლი... ახლა კი ნახვამდის!

სთქვა თუ არა ეს, წელში გაიმართა, მხრები გაშალა, თითქო საბრძოლო ბრძანება ჰოესმიაო. სწრაფად გასწია მანქანისკენ. ახლა მასი უებრო აღნაგობა, მისი მოქნილი მიხვრა-მოხვრა აგზნებულ მიჯნურს-კი არ ანეღავნებდა, არამედ მრავალგზის წრთობილ მებრძოლს.

მანქანა დაქანებულ ფერდობზე შესახვევს მიეფარა.

ეთერმა ამოიოხრა. მიმოიხედა. სერისაკენ მიჩერებული ქეთო მოჰხვდა თვალში. გვერ გავიგებულად უშვირა, მერვ უკვბ შებრწუნდა, თავისი თავი შესძავდა. რა გულხარბი ყოფილა ადამიანი! ერთხელაც არ მიახედა შალვა ქეთოსაკენ არც გულში და არც დღეს. რას ჰვავს ეს? რამ გაჰხვავა ეთერი უცნაურ ბურანში? რატომ შებოქვა ისეთმა განწყობილებამ, თითქო მახლობელ მწვერვალებიდან მზე ამოდიოდა და იგი მზე მარტოოდენ ეთერს ეგუთვნოდა? საბრალო გოგო, ვინ იცის, რა არ წარმოიიდგინა.

გულმა მოსთხოვა ეთერს, რომ ღაუფოვნებლივ მისულიყო მეგობართან, მიფერებოდა, გაემხნევებინა.

მაგრამ ქეთომ რომ ეთერის ხმა გაიგონა, ისე შეეშინდა, თითქო ფეხებთან გველი გაუსრიალდაო. მყისვე შებრუნდა, ეთერს სახე ზიზღით აჰრიდა.

შთის მწვერვალები ნასლში დაინაქნენ, უღელტეხილზედაც ბურუსი ჩა-
 მოწვა.

ჩაბნელებულ ხევისაყენ დაქანებულ, მიმოკლანილი გზა გაქედილი იყო:
 საბარგულები, ცხენები, მანქანები, მხედრები ურთიერთს გვერდს ძლივს უ-
 ლიდნენ.

ანაზლად სივრცე გაიბზარა და ნისლის სიღრმიდან თვითმფრინავი ზუზუ-
 ნით ამოსრილდა, სულ დაბლა, ასიოდე მეტრზე გადაუქროლა ორწოხს, ფო-
 ლადისფერი ფრთები შეარხია და ქედს მიეთარა. ეს ჩვენი „უ-2“ იყო.

— გენაცვალე სულში ბიჭო ვარო, მაგან უნდა სთქვას, თვარა ჩვენ აბა რა
 ვართ, კიასაყით დაფლოდილობით მიწაზე! — ჩაილაპარაკა კოლია ბარბაქაძემ
 და სქლად გახვეული თამბაქო მოსწია, ღრმად ისუნთქა.

— არც მასეა საქმე: ადამიანზე უდიდესი ამ ქვეყანაზე არათფერი არაა,
 მხოლოდ...

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! — შეაწყვეტინა კოლიამ სიტყვა დავით ჯა-
 მიახას: — რა არის ეგ შენი აღამიანი? ჰკარი წვიბურტი და შორჩა! დავიჩე-
 მებია — სიკვდილშიაც სიცოცხლის დანახვა შეიძლება... აბა, როგორ? სად?
 აბა, წიხარ, სად არიან ახლა ჩვენი ბიჭები? სადაა ჩვენი ლადიმე გიორ-
 გაძე? რას გაჩუმდი?

— უსვინდისო ვიყო, თუ მასე მსჯელობა შეიძლებოდა, — ისწია თავი
 მხართუძოზე მიწოლილმა დავითმა. — სიტყვას უნდა ჩაუქვირდე, მისი ლე-
 დააზრი უნდა გაიგო...

— ეჰ, გაბამს ახლა თავისებურს! ჩემდათავად მეყოფა, რაც გავიგე...

ქედზე ისხდნენ. აღმართი ამოათავეს და აქ შეისვენეს. მათთან ირაკლი
 იყო კადეც, მაგრამ ის საუბარში მონაწილეობას არ იღებდა, ზმელი ბალო-
 ხი და ფიჩხი შეეგროვებინა და ცეცხლს აჩალებდა.

კოლია ამ საღამოს ერთობ ცუდ გუნებაზე იყო. როგორღაც ისე მოეწყო,
 რომ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ვერსად ვერც ღვინო იშოვა,
 ვერც არაყი. საუცხოო გზა გამოიარეს, ყოველ მოსახვევში უღამაზესი სანა-
 ხობა იწლებოდა, მაგრამ კოლიას გული დახურული ჰქონდა; ცივად მოა-
 ლებდა თვალს უცხო მიდამოს და ისე მწუხარედ გაჰხედავდა დაუსრულებელ
 გზას, თითქო იგი უფსკრულისაყენ მიიშრებოდა. დაღონებული მიდიოდა.
 არ მოსწონდა გაშლილ ველიდან ამ ბირქეში მთემის სიღრმეში შემოსვლა.
 „უკაცრავად, კოლიას ასე აღვიღად ვერ მოატყუებთ; — ბუზღუნებდა თავის-
 თვის, — ახალი სტრატეგიული პოზიციები უნდა დავიკავოთო. გამოტყდით
 და პირდაპირ სთქვით, რომ უკან ვიხვეთ. ყველა იმას გვაგალებს, ერთი
 ნაბიჯი უკან არ გადადგაო, ჩვენ-კი პირდაპირ წვევარაშში მივდივართ. ამ
 მთებს თუ გადავაბიჯებთ, შერე შორჩა.. ჟსაა საქმე?“

დავითიც არ იყო მაინცა-ლა-მაინც აღტაცებული ბუნების მრავალფერადი
 სიღამაზით. იმდენი რამ განიცადა უკანასკნელი კვირის განმავლობაში, რომ
 შთაბეჭდილებათა საწყაო თითქმის ანოვსებული ჰქონდა.

ზოლო ირაკლიმ, მთემში რომ შევიდა, ისეთი საამო სიმშვიდე იგრძნო, თითქო იღუმლად დედის ხელები მოეხვია და მიუალერსა. ძმები უფლებების შემდეგ ასე ძლიერ პირველად აუჩქროლა გული სიცოცხლის ხატსა. მისი მობხადა, მთის ნიავე ღრმად შეისუნთქა და შორეულ საძოვრებს გაჰხედა. უჩრბობა მწყემსობაში გაეტარებინა. ბევრჯერ ყოფილა ქციის ხეობაში და თრიალეთის კალთებზე.

მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გასულა, მაგრამ ახლა ლანდივით-ლა თუ მოსჩანს ის მწვერვალი. თან უნებლიედ ადარებს ირაკლი ამ არე-მარეს სივრ-მისას შეთვისებულ მხარეებს და დიდ მსგავსებასთან ერთად მეტად თვალსა-ჩინო განსხვავებასაც ხედავს. აქ ეს კლდეები, ეს ღრმა ხეობები, ეს სერები ისე გამოიყურებიან, თითქო დიდი ხანი არ არის, რაც აქ აღამიანი დაემკვიდრა. იქ-კი, საქართველოში, ყოველ ბორცვს, ყოველ ზეგანს, ყოველ ფერდობსა და უღელტეხილს აღამიანის ნაკვალევი ატყვია. ხომ ისე გაშიშვლებულია ქციის ხეობა, მაგრამ აბა დააკვირდი, რამდენი ძველი ნანგრევია, ტაძარი, ციხე-სიმაგრე და მიწაში ღრმად ჩაფლული ძეგლები!

„იქნება ეს განსხვავება მხოლოდ მოჩვენება იყოს, — ფიქრობდა ირაკ-ლა, — ერთი თვალის გადავლებით რას დაინახავ. ამ ჩვენ ვიცავთ ეხლა ამ შემოსასვლელებს. ბევრი ჩვენგანი დაიმარხება აქ. ნუ თუ ჩვენი კვალიც წაიშლება?.. შენც აყვები ხოლმე! რა დროს ეგაა!“ — უსაყვედურა თავის თავს. მერე ამ ხეში აღძრულ საამო სიმშვიდის შესანარჩუნებლად განვლადი ბრძოლები წოცონა. „ჰეი, ბაჰო, მიხეი! რაი-ლა ამბავი მიუტანო შენს ცოლ-შვილს? უღვთოდ დამტოვე, შე ბედშავო! შენ კი სულა იმფოთებ, მოისვენე, ძმაო. ბევრ წუნკალს დაუბნელე მზე და... ჯერ კიდევ აქა ვართ, ამ მთების მაღლით გაკაყებულნი“...

ირაკლიმ რომ ცეცხლი დაანთო, კოლიამ ცალყბად შეათვალიერა და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა:

— გაგონილა ამისთანა უღმერთობა? ქრისტიანი კაცი ამ სიმაღლეზე ამოხვიდე, ასეთი ცეცხლი გააჩაღო და ფრთი მწყადი ვერ შესწვა? მერე კიდევ პატარას რომ გადუქნაწილებდით, ცხონება რა იქნებოდა? ეჰ!..

— უსვინდისო ვიყო, თუ შენ ღვინის მეტი რამე გავთნდებოდეს, — თავის შესაქეველად გაახელა ღავითმა.

ამ დროს მათ სამსონი მიუახლოვდა. სახეზე თითქო მიწისფერი დასდებოდა. თვალები-კი ჩვეულებრივად უბრწყინავდა.

— ბიჭებო, არტილერისტებს ქვემების ამოტანა გაუჭირდათ, ჩავიდეთ და მივეშველოთ, — მიმართა მათ სამსონმა.

უღელტეხილის მახლობლად, დაქანებულ ფერდობზე, ტრაქტორი ჩახჩახებდა. კესავეთ მიიწვედა ზევია, ეგება ქვემებს მიაგორებდა. მეორე ქვემები გათფლიანებულ ცხენებს აქონდათ. მხედრები შეუჩერებლად ყიყინებდნენ. სატრანსპორტო ოცეულის მეთაურს, სოსო ტატიშვილს ღაფღაფა სახე კიდევ უფრო წამოღვივებოდა. ცხენებს ზისი ხმა და ხელის შეხება ძალღრნეს მატებდა, რადგან კარგად იცოდნენ სოსოს მზრუნველი გულის ამბავი. ახლა სოსოც ოფლში იყო გაწურული. თუმცა ჭკარა საკმაოდ გარეოდა ამ 39 წლის კაცს, მაგრამ თაფლისფერი თვალები ქაბუკივით ანთებული ჰქონდა. შესძახებდა ხოლმე ცხენებს და მტკიცე ნაბიჯით მიიმართებოდა ზევით, მკერივი და ომახიანი.

აქვე იყო არტლევგიონის კომისარი კლამენტი ვალანია, ტანმოკრილი, მკვირცხლი, მუდამ მგზნებარე. უბრალო ხალათზე ძველქონის ჰქონდა გადაკიდებული, თვითონაც პატარა კახის დროინდელ გავონებდათ თავისი გაუტეხელი ოპტიმიზმითა და მშობელა ქვეყნის უანგარო სიყვარულით.

წინა ღამეს წვიმამ გზა დაასველა. ამიტომ გაუძნელდათ უღელტეხილზე ასვლა. სამსონმა რომ თავისი მებრძოლები ჩაიყვანა ნისახმარებლად, შემდეგაც კარგასანი იწვალეს. ბოლოს, ზოგორც იყო, აღწიეს ორა ათასი მეტრის სიმაღლეს. აქედან დაქანებული დაღმართი იწყებოდა. თანაც გზა გაშვდილი იყო გვარდიელთა საბარგულებითა და მანქანებით.

სოსომ ორივე გვერდით თვლები ჩააკვრევინა და ისე ჩაპყვინნ დაღმართს. მოსახვევთან მანქანა დაკურდა და საბარგულს დაეჯახა. ცხენები ბეწვზე გადაჩნენ.

ციცაბოები ველარ ჩაათვეს. სოსომ ტყვიის-ფერად გადანისლულ ხეცს ჩაბნედა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ნუთუ აღარ უნდა დამთავრდეს ე ვერანა? ასეთი გაჭირვება ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!“

ღამდებოდა. საღდაც შორიდან აღწევდა მდინარის ყრუ ჩქრიალი.

სამსონი საცალფეხო ბილიკს ჩააყვა. დავითი, კოლია და ირაკლიც მას მიპყვნენ.

ჩამოხნულდა. ბილიკს ველარ ამჩნევდნენ, გზას ალღოთი მიიკვლევდნენ. ფხვი რომ დაუცურდებოდათ, მთის ბალახის ხმელ ღეროებს ეკიდებოდნენ.

ღამის საფარველს ქვეშ ხევი თითქო უცნაური ფარდებით ამოიფარა, უფსკრულმა უფსკრული შეარხია და რევიტონ ჰაერიც მზარავად აშისინდა.

რამდენჯერმე ეგონათ, დაბლობამდის ჩავადწიეთო, მაგრამ კვლავ რომ დაღმართს წააწყდებოდნენ, მოთმინებას ჰპარგავდნენ. ბოლოს ბეკობს გადაღმა ცეცხლი დაინახეს. კვალის სუნი მოხედაო.

ციცხლთან ერთი გვარდიელი იჯდა. საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჩასკვნილი ჭაბუკი იყო. მრგვალი სახე ჰქონდა, ფართო შუბლა და წვერილი, ცისფერი თვალები.

სამსონმა გვარდიელს სალაში მისცა, სახეზე არ დაჰკვირვებია, ცეცხლის ბირას დაჯდა დაღლილი. ირაკლი, დავითი და კოლიაც მახლობლად დასხდნენ.

გვარდიელი სამსონს მიაკვრდა. თვალებში ნაპერწყლები აუკეიფდა, ტუჩები შეერხა, თავი განზე გადასწია და სამსონს ქვემოდან ახედა.

— ეს რა? თვალი ხომ არ მატყუებს? შენ სამსონი არა ხარ? — გაოგნებულად ჩაილაპარაკა გვარდიელმა და თავისი ფართო ხელი ისე ასწია, თითქო თვალი უნდა მოიჩრდილოსო.

სამსონს მოეჩვენა, ვითომ ეს ნაცნობი ხმა ერთობ შორი მანძილიდან მოესმა. უკრაინის ველებში გადაფრინა და პირველი სასტიკი ბრძოლები მოაგონა. უმაღლე შეათვალიერა ჭაბუკი და აღტაცებით წამოიძახა:

— სენქო! ძმობილო!

წამოხტნენ. მძლავრად მოხვიეს მკლავები ურთიერთს. კარგა ხანს ვერც დაჯდომა მოახერხეს, ვერც სიტყვის თქმა, მხოლოდ ძმური სიყვარულით ანთებული თვალებით, ამტკავებდნენ თავიანთ უსაზღვრო სიხარულს.

— როგორ წარმოვიდგენდი, რომ შენ აქ გნახავდი! — სთქვა ბოლოს სამსონმა და წეგობარს ახედ-დაიქდა. — აბა ერთი გადადგი ნაბიჯი, ვნახო, ისევ ისა ხარ თუ არა?

მიხილ სენკოს უცებ საზე მოღერებლა, მწარედ გაელიმა, სამსონს თვალი მოარიდა და ორაზროვნად უპასუხა:

— რა ვიცი... ისეთი საღლა ვიქნები!

სამსონს მეტის-მეტად ეუცხოვა სენკოს ნაღვლიანი ზმა, მისი პირქუში გამომეტყველება. წინათ რაღაც ისეთი მარილი ჰქონდა ღის გამოთქმას, მის გამოხედვას, მის მიხვრა-მოხვრას, რომ კაცს უთუოდ ღიმილს მოჰგვრიდა. ახლა კი...

კოლიამ გვარდიელს თვალი მოსწყვიტა, დავიდი და ირაკლი შეათვალიერა აღუღევებულმა, უნდოდა მათთვის რაღაცა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა და თავი გაიქნია.

სენკომ სამსონი გვერდით მოისვა. ზელი მოჰხვია.

— აბა, მეგობარო, მომიყევი: სად, როგორ?

სამსონს მოუთბენლად უნდოდა გაეგო სენკოს თავგადასავალი, ამიტომ მოკლედ მოსკრა:

— როგორც მხედავ... ცოცხალი ვარ, ვიბრძვი.

— ჩვენი მამედის ამბავი ზომ არაფერი იცი?

— არა, მეორედ რომ დავიჭერი, მერე აღარ გამოვიდა, რა მოუვიდა.

— მეორედ დავიჭერი? ეგ როდის? ჰო, მე მაშინ, ალბათ, ჰოსპიტალში ვიყავი... ეს მითხარი: შალვა ყიფშიძე თუა ნეტავი ცოცხალი?

* — ისევ ისეა, როგორც გინახავს. ჩვენთანაა, ბატალიონის კონისარია.

— ო, ეგ ძალიან გამახარე, ძმობილო! შალვა ბუნებამ ბრძოლისათვის გაუჩინია. თუმცა... ალბათ, ისევ ისე კონტაიზმს და გოგოებს თვალეზსა სჭრის, არა?

სამსონს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დაეზარა. ამიტომ თვითონ შეეკითხა:

— ტატიანა პავლოვნასი ზომ არაფერი იცი?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, მგონია, სტალინგრადალელებთან უნდა იყოს.

— შენ, ძმობილო, კატერინა როგორა გყავს?

სენკომ შუბლი შეიკრა, თვალეზი დაჰხარა. ჯიბიდან ქისა ამოიღო და თამბაქო გაახვია, მოუკიდა, ზედიზედ მოსწია. ამასობაში რაღაც მეტად ღიმი მწუხარების მათუყვებელი სიხუმე ჩამოვარდა. ყველანი მიხედნენ, რომ ამ წრთობალი მეომრის არსებაში რაღაც ენით გამოუთქმელი ბოღმა ბოზოქრობდა.

— დსდი ზანია წერილი არ ღიგილია? — კვლავ შეეკითხა სამსონი.

სენკოს მწარედ გაელიმა. სარტარია, არასოდეს არ უნახავს სამსონს სენკო ასე დაღერემილი. ბირჩით, ამხანაგს რომ მოწყენას შეამჩნევდა; რაიმეს ისეთს მოიგონებდა სენკო, ისე შეუჩნდებოდა, რომ უთუოდ გააციებდა, გულიდან ჯავრს გადააყრეკინებდა. ახლა-კი ენა ვერ დაუძრავს ტანჯვისაგან გულდაზურულს.

— ჩემი ამბავი რა საკითხავია! — ჩაღაპარაკა სენკომ. — აგერ აქ მართო დავრჩი. საბარგული გავგიფუჭდა, ბიჭები რაზმეულს გაჰყვენენ. ისეთ გუნებაზე ვიყავი ამ შავად ჩამოზურულ მთებში, რომ აღარ ვიცოდი, სიცოცხლე რა ჯანდაბათ უნდა აღამიანს. მაინც ცეცხლი დავანთე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემი გულიც ამ ცეცხლსა ჰგავს. მხოლოდ ერთი განსხევებაა:

იგი მინამდის არ ჩაქრება, სანამ ჩვენი მტრების ბუნავს არ გადავწყვას.

— გადაკრულად ლაპარაკობ. შენ ეს მითხარი, მოსპიტილიდან ჩვენი მოხვედრი? კატერინა სად დასტოვე? მინც

— მინც არ მეშვები. იცი, რა ძნელია, ძმობილო, ძველ იარაღზე ხელს შეხება? რა გაეწყობა, ვიამბობ... განსაკუთრებული თითქმის არაფერია. უკრაინა ხომ დიდი ქვეყანაა. აბა რომელ უკრაინელ მებრძოლს ნახავ, რომ რაიმე დიდი უბედურება არ განეცადოს... მოსპიტილიდან წლის მიწურულში განიკვება. კატერინაც ჩემს ნაწილში მოეწყობ. მალე შეტევაზე გადავდივით. სასტიკი ბრძოლები იყო. ხანდახან თვითონ ეშმაკი ვერ გაერკვეოდა, ისეთი ჯოჯოხეთური ცეცხლი ჩაღებოდა. რა ხერხს არ მივმართე, რომ კატერინა ზურგში გამეგზავნა, მაგრამ ვერ დავითანხმე, გული მეუბნებოდა, რომ იმ დღეებში მისი იქ დარჩენა საბედისწერო იქნებოდა. იცი, ძმობილო, ხანდახან კაცმა გულის შინაგან ხმას უნდა დაუჯერო. დაცილილი მაქვს. არ ვიცი, რა არის ეს, ბედისწერის შიკრიკია თუ თვათონ სიკვდილის ცივი სუნთქვა... ეჰ, რაც მოხდა, იმას ხომ ვეღარ გამოვასწორებ. გერმანელები გარემოცვას გვიპირებდნენ. ჩვენი ოცეული მეტად მნიშვნელოვან ზღუდეს იცავდა. ბოლოს რ კაცი-და დავრჩით. მეორე დღეა, არაფერი გევიპოია, მაგრამ ამას ვინ დაეძებს — ვაზნები გველევა... დღამდნ. ირგვლივ ყველაფერი გაყინულია. დამხმარე ძალა არა სჩანს. რა გაეწყობა. ეტყობა, აქ გვიწერია სიკვდილა... არ ვიცი, დაკვირვებისარ თუ არა... სიკვდილი რომ ძალზე მოგიახლოვდება, სიცოცხლე მაშინ ერთიორად უფრო მიმზიდველი ხდება. რალაც არის ამ ოხერ სიცოცხლეში მიუწევდომელი: რამდენიც არ უნდა სდიო, მინც წინ მიგაქინებს. მტკიცედ გადაწყვიტეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გვებრძოლა, მხოლოდ ვაზნები რომ გველეოდა, ეს კი სასოწარკვეთილებაში გვაგდებდა... მტერმა, მგონი, ალლო ალლო ჩვენს განწირულ მდგომარეობას და შეისვენა, რომ განთიადზე შემოეტია. ღამეც ისეთი ჩამოწვა, გეგონებოდა, ამ ქვეყნად სითბო და სინათლე არსად აღარ მოიპოვემაო... რა დამაძინებდა! უზარმაზარა ქვეყნიერება, ცივი და უღმობელი ქვეყნიერება თითქო მხოლოდ მე შემომყურებდა თვალეში, აცა, როდის ჩასთვლემს, რომ თავზე დავახვავდეთ... უცებ რალაც შრიალი მომესმა. გამაქრეოლა, გულის ის ძარღვი შეიჩხა, რომელიც სამშობლოს უკვდავ ძალასთან მაკავშირებდა. მიწურიდან ავიხედვილაცა მოხობავს გაყინულ თოვლზე. „მიშა“, მომესმა ჩემი ძახილი და მაშინვე პიტანი, — ის იყო კატერინა. ვაზნებს მოათრევდა, პურიც მოგვიტანა. უნდა გენახა, რა სიხარული აენტო ჩვენს ცივ მიწურში! განა მართო მე, ყველანი, ვინც იქ იყვნენ, სულს გასწირავდნენ კატერინასათვის. განსოვს მისი ოქროსფერი თმა და ფართო, ცისფერი თვალეები? გაყინული თეთრი ხალათი რომ ვიხიდა და ვაგვიღიმა, მეგონა, ფრთები შემესხა და ჩიტვით აფერინდი... იცი, არის ბოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ბედნიერი წუთი, რომლისათვისაც ღირს სიცოცხლე, თუნდაც ათეული წლები იტანჯო. არ ვიცი, იქნება ამას თავის სანუგეშებლად ვამბობ... განთიადი ახლოვდებოდა. კატერინას წასვლა არ უნდოდა. მთვინიზეზე, ბრძოლაში ხელს შემეშლი-მეთქი და როგორც იყო გავისტუმრე...

დილას სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ჩვენ კლდესავით ვიდგქით. მერე დამხმარე ძალა მოგვეცედა. მტერი უკუვაქცეოთ... და სწორედ იმ საღამოს ჩენი წილი ქვეყნიერება სიკვდილას ფერით შეიმოსა. კატერინას შუა გზამ-

დისაც ვერ წიედწია, ნაღმას ნამსხვერვეს მოეკლა... მახსოვს, თეთრი ღმე იყო. გაყინული მიწა ამოვთხარეთ. ჩემი ხელით ჩაეაწინე, მწველად რინა. ისეთი დაწმენდილი, ისეთი გამჭვირვალე სახე ჰქონდა, მართლაც მისი მისა ოქროსფერი თმის შუქი მოსჩანდა... და აი, მოვდივარ მას შემდეგ, მშობილო. სიკვდილისა იმას ეშინია, ვისაც ის შუქი არ უნახავს, რომელიც მე კატერინას სამარიდან გამომეყა. სიკვდილი როგორ მომერევა, როცა სამშობლოს მტერი სჯიჯგნის. კატერინას სამარეც იქაა. მე იქ უთუოდ მივალ... იცი, ბანდახან, გულს რომ ჯავრი ხავსივით მოედება, რაღაცა ძალა თავს ამოწვეინებს და შორს გამახედებს. მაშინ მარტო როდი ვარ, ყველანი ჩემთან არიან, ჩემი თანამოძმენიც და ყველა ქვეყნის საჯეტოსო შვილებიც. და ჩვენ გრიგალოვით შივდივართ წინ, რომ ნაყარტუტად ვაქციოთ ჩვენი მტრების ბუნაგი, რომ საესებით ამოვთხაროთ მათი ბილწი ფესვები. ვიცი, ამას დრო უნდა. არაფერია, გაეუძლებთ. იმათ იციოთ, იმ კაცაქამიებმა, თორემ ჩვენ რა, განა ვანთიადის მონატრული მზეს არ გაუღინებს? მე კი ჩემდათავად კატერინას სამარიდან გამოყოლილი შუქა შეყოფა, რომ ათას ჯურღმულში გადმერე და იქ მივადწიო, სადაც ჩვენს ამწიოვებელს გველივით თავს გაუჩქავენ...

ღუმილი ჩამოვარდა. სამსონმა სიტყვა ვერ იბოვნა, რომ მეგობრისათვის რაიმე, სანუგეშო ეთქვა.

ირაკლიმ რუსული არ იცოდა, მაგრამ მაინც მიხვდა, თუ რა ნაღველი ღვიოდა სენკოს სიტყვებში. თავისა მამოაგონდა, შავი წარბები შეიქმუნა და ბნელ სივრცეს გაძხვდა.

დავითს მეტის-მეტად მოეწონა ამ ჩასკვნილი ჭაბუკის მტკიცე გამომეტყველება, მისი ნაამბობის დედაზრი.

— ჭირისუფალიც ასეთი უნდა! — დაარღვია ღუმილი დავითმა. — ნამღვილი ვაქცაიცი ყოფილხარ. კაცი ის არის, ვისაც გაჭირვება და მწუხარება ვერ გასტეხს და თავის მართალ საქმეს ბოლომდე მიჰყვება...

კოლიასაც შეეძლო ეთქვა რაიმე, ცოტაოდენი რუსული იმანაც იცოდა, მაგრამ, მისი აზრით, ახლა, ძველი მეგობრების ასეთი შეხვედრის დროს, მშრალ სიტყვას არავითარი ფასი არა ჰქონდა. ამ უხერხულ მდგომარეობაში რომ იყო, ზევიდან ჩამოსული საბარგულის ზმა მოესმა. რაღაც იაზრა, ადგა, გზისაკენ გაემართა. კლიმენტი ვალანიაა და სოსო ტატიშვილს შეეფეთა. წამსვე უამბო მათ, თუ რა შესანიშნავ მეგობარს, მძაღნადიც უკრიანელს შეხვდა სამსონი, რა წამება და ცეცხლი გამოუვლია იმ შეუპოვარ ვაქცაცს.

— მოდა, — განავრძო კოლიამ, — სივლახე არ არის ახლა, ქართველი კაცი ასეთ საყვარელ აღმამიანს გადაეყაროს და ერთი ქრისტიანულად არ დალოცოს? ჭე მიხედებათ რაზე მოგეყვებით ეს ამბავი. ვიცი, სოსო ხელშემონახული კაცია. უგება რაიმე ვაქეთ წამოღებული. შეუხვიოთ აგერ, ცხვრის ხორცი გვაქვს. ცეცხლს კიდევ უკეთესს გავაჩაღებთ, ხელად შეიწვება.

კლიმენტის ღმილი მოერია, კარგად იცნობდა კოლიას. თამადადაც-კი ყოფილი მის მიერ გაწყობილ სუფრაზე.

— კარგი, ბატონს არ ვაგიტეს, — უთხრა კლიმენტიმ კოლიას და მხარზე ხელი დაქრა. მერე სოსოს მიმართა: — საბარგულზე ყუთში ერთი ბოთლი სპირტია, ბიჭებს. უთხარი და მოგცემენ.

— ოჰ, თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა! — წამოიძახა კოლიამ. — მე არ ამბუნებთ კაცი!

აჩქარდა. გზის პირას, ბნელაში, შამფური გამოსჭრა. შემსუხველია და სოსო რომ ცეცხლთან მივიდნენ და სენკო გაიცნეს, მწვალი უკვე აგებული იყო.

კლიმენტი და სოსო დაღლილი იყვნენ. ცეცხლის პირას მიწვნენ. სამსონისა და სენკოს საუბარს ყურს უკლებდნენ. რამდენი რამ მოიგონეს პირველ ბრძოლებში ერთად წრთობილმა მეგობრებმა! მამედსა და შალვა ყიფშიძეს ხშირად ახსენებდნენ.

— აცი, სამსონ, ძმობილო, — სთქვა სენკომ, — სულ ვნატრობდი: ნეტავი-მეთქი ეს ომი რომ დამთავრდება, ერთად შეგვეყარა შენ, ეთერი, შალვა, მამედი, ტატიანა პაელოენა და, გახსოვს კიდეც, ჩვენი ნარიკა... ეჰ, ეს ოხერი ცხოვრება განა შენს გემოზე გატარება? ვინ იცის, საღ მიგამწყვდევს!

სენკომ ხელი ჩაიჭნია. ეტყობოდა, კიდეც უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ სიტყვა ვერ ამოვიდა, სათუთუნე ამოიღო და თამბაქოს გაეხეხას შეუდგა.

კოლიამ უკვე შემწვარი მწვადი ირაკლის გადასცა. ადგა, სპირტი წყლიან მათარებში ჩაასხა, გემო გაუსინჯა, მერე ნემო გაშალა, ზედ მწვადი და პურის წაჭრები დააღაგა.

— აბა, ამხანაგებო, მიირთვიეთ, — რუსულად დაიწყო კოლიამ და უკებ შეჩერდა, კლიმენტის მიძხვდა: — თუ გიყვარდე, ბატონო კლიმენტი, ერთი ამ ჩვენს ძვირფას მეგობარს ვადაუთარგმნე: კეთილი გულით მოძღვნილი მცირედით შეიწირების თქვა.

ყანწი გაავსო, პირველად სენკოს მიაწოდა.

სენკომ თავისი ნაპერწკლიანი თვალები ირგვლივ მოავლო, მოკლედ მოსჭრა:

— აბა, კარგად ვიყო!

ერთის მოთქმით გადაჰკრა, ეცოტავა, ყანწს ახედ-დახედა.

კოლიას გაეღიმა, გუნებაში გაიფიქრა: ნეტავი ერთი ჰინჭილა მომცა, რომ ამ ახალ ნეგობარს სმა ვასწავლოო. მერე კლიმენტის მიმართა:

— ბატონო კლიმენტი, გვეცი პატივი და თითო ჰიქა დაგვალევიან ისე, ჩვენებურად.

კლიმენტი ისედაც მგზნებარე, მკვირცხლი, დაუცხრომელი კაცი იყო. რამდენიმე ყანწი რომ ჩამოატარა, თავისი ვიწროდ აშვილდული წარბები ეშხით შეარზია, თაფლისფერი თვალები გაუბზრყინდა და მოკლე სიტყვაში ძმოზოსა და მეგობრობის ცეცხლი აანთო.

— გენაცვალე სულში! — დაემოწმა კოლია და ყანწი აავსო, სოსოს მიაწოდა.

ამ ბნელ ღამეში ცეცხლის შუქით განათებულ სახეზე რომ დაჰკვირვებოდი სოსოს, უთუოდ ქართლი წარმოგიდგებოდათ თავისი ატმის ბალებით, თავისი ვენახებით, თავისი დინჯი მეტყველებით და გულგახსნილი თვალებით.

— რა ვუყო მაგ ვერანას! — დაიწყო სოსომ. — ერთი ვაჟკაცი ომი იყვეს, გულის ჯავრს ადრე ამოვიყრიდა. ხშირად ვერა ხედავ, ცეცხლი საიდან სოდის. ამას წინათ მოულოდნელად ყუმბარები დაგვაყარეს, ცხენი მომიკლეს. ოიშე, ის რთ გამახსენდება, გული მიღონდება! რაღას ვიზამდი, შეგ-

ხსენი აღვირი, გადაეუბრუნე თავი, შუბლზე ვაკოცე და წამოვედი.. ვინ გამოთქვამს, გულში რამოდენა ბოღმა გროვდება, მაგრამ არა მისწვს, გაუძღვება..

კოლიამ ირაკლის ხელი გადაჰხვია, ნელი ხმით მრავალყამიერი დაიწყო. ღრმა ხევში ჩაფენილი ქუფრი ფარდები შეირჩნენ. დღეგრძელობისა და გამარჯვების ჰანგი ცამდის აიჭრა.

კატერინას სიკვდილის შემდგვ სენკოს აღარ უმღერია. სხეები რომ მღეროდნენ, არც ის ახარებდა. ახლა კი უცებ მოეჩვენა, თათქო კატერინა გვერდით ამოუდგა და ძველი უკრაინული სიმღერა წამოუწყო. სენკომ ხმა ააყოლა.

სამსონი კარგად იცნობდა ამ ხმას, გულის სიღრმეში ჩამწვდენს, ზარივით წკრაილას. განუკურნელი სევდაც იყო იმ წარსტაც ხმაში და უკვდავი იმედიც, წამების ცეცხლში წრთობილა იმედი.

მეგობრები ყურს უგდებდნენ სენკოს და იღუმლად გრძნობდნენ, თუ როგორ უხმობდა იგი საყვარელი არსების სულს, უკრაინის ველეზში დარჩენილს.

XXIV

განამგზული გულის კარხანი

ქეთომ მადლობიდან გაჰხედა ბაქსანის ხევს. მთების მწვერვალები ჩამავალი მზის სხივებს მოევიარყნა. დიდებული სანახაობა იყო. რაღაც ქედმაღალი და თანაც ერთობ მიმზიდველი ელფერით გამოიყურებოდნენ კლდოვანი თხემები, რუხი ფერდობები და ტყით შემოსილი სერები. იქ ადამიანის ხელით აგებულ ძველ ძეგლებს იშვიათად შეხვდებოდა. ანაგვიროდ თვით ბუნებას მრავალ პყლია აქ თავისი ხუროთმოძღვრები, რომელთაც მთელი შემოვარენი ნაირნაირი ციხე-დარბაზებითა და ცადაწვდილი კოშკებით შეუშკიათ.

აგერ ჩრდილოეთ-დასავლეთით უზარმაზარი ტაძრის გუმბათივით აღმართულა დროთა მდინარებაში მრავალნაირად მოჩუქურთმებული ჯავარიანი კლდე, რომლის სიღრმეშიაც, გეგონება, უამრავი ლამპარი ანთიაო.

სახლის ბანზე იდგა ქეთო. სოფელი ფერდობზე იყო შეფენილი ქორედ-ქორედად. ქვევით, მდინარის პირად, პატარა მდნლორი იყო საზნაე-სათესი. სოფლის მისასვლელს ალვის ხეები ამშვენებდნენ. იქვე, ხევში, დღე ჩამოდითადა, ხოლო პატარა წისქვილის გვერდით, ვაკეზე სკოლის ფართო შენობა იდგა, ერთსართულიანი.

ახლა უკვე რამდენიმე დღეა, რაც ამ შენობაში მდსანბატია მოთავსებული.

ქეთო გამოძინებულა იყო, მაგრამ გულიდან ჯავრი მაინც ვერ გადაეყარა. არ იქნა, ვერ გაინთავისუფლა თავი რაღაც საძგელი ფიქრებისაგან. კარგად იცოდა, რომ ამ ახირებულ გრძნობებს არ უნდა აპყლოდა, მაგრამ ვნებათა დასაძლევად მარტოოდენ ცოდნა როდია თურმე საკმაო. გუწინწინ მაინც არ ენაბა შალვა. ეზოში რომ შემოვიდა, ისეთი მშვენება შემოჰყვა, თითქო ქეთოს სულში გაზაფხულის ყვავილები გაიფურჩქნენო, მაგრამ რა? როგორც კი გაიგო, ფაერე დაჭრილებს გაჰყვაო, ქეთოს არც-კი შეჰხედა, შუბლი შეიჭრა და სწრაფად გაბრუნდა.

„შერე, შენ რა გინდა?“ შეათასჯერ ტყითხებოდა ქეთო თავს თავს, მაგრამ დამშვიდების ნაცვლად უფრო მეტად შმაგდებოდა. — უკვლავ უფრო ეთერის ბრალიაო, — ამბობდა გუნებაში. — ის რომ არ ჩარეულყოფილა, ჩნდება ქეთოს უთუოდ შეამჩნევდა. ამის საბუთიც ჰქონდა ქეთოს...

მიდიოდა შუკაში გულნალელიანი ქეთო და გვერდით რომ ქალებმა და ბავშვებმა ჩაუარეს, მათთვის სახეზე არც-კი შეუხედნია.

ქიშკართან ვუშავად თოფიანი ქალიშვილი იდგა, ქეთოს ახლო მეგობარი, პირსავსე, თეთრგვრემანი სიმა ხეთაგური. არც ამას მიხედა ქეთომ. სიმაპ ჯერ გაუღიმა, შერე წარბები შეხხარა და მკაცრად ჰკითხა:

— რას გეგზარ, გოგო? ასე რამ დაგაღონა?

ქეთო ამხანაგს განცვიფრებით შეაქქერდა. — ნუ თუ იმდენად დაეუფლა ეს შავი ნაღველი, რომ სახეზედაც ემჩნევა?

— ისე... რაღაც მომავონდა, — გაურკვეველად უბასუხა სიმას და ეზოში შევიდა. ხელმარცხნივ, დაბალი ტყემლნარის განაპირას ცეცხლზე ქვაბი იყო შედგმული. თავისი საქმის კარგი ოსტატი, პირმრგვალი, მეტად ლამაზი მხარეული ვახშამს ამზადებდა. მახლობლად რამდენიმე ახალგაზრდა ქალი კარტოფილს ფეკენიდა.

სწორედ ამ დროს სოფლის თავზე მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა, დაბლა დაეშვა, ატრქარებლად შემოაელო წრე და უკან გაბრუნდა.

ეზოში მყოფთ თვითმფრინავისათვის თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ, — უკვე შეჩვეული იყვნენ.

გავიდა მცირე ხანი და აფეთქების ხმა მოისმა. შემდეგ გამოირკვა: ხიდი-სათვის დაემიზნებინათ, მაგრამ ვერ მოეხვედრებინათ.

ქვის კიბეებთან ცხენშებულორ ორთვალა საზიდარი იდგა, ჩარდახიანი. თეთრხალათიანმა სანიტარმა და მომყოლმა ცხედარმა საზიდარიდან საკაცე გადმოიღეს და მისაღებ ოთახისაკენ გაემართნენ...

ქეთომ დაქრილებს დახედა შევეგრემან სახეზე; მწვავე ტყვილებით ანთებულს თვალების შუქი ჩასწვდა გულში და თავისი დარდი გაუქარწყულა. სწრაფად ჩაიცვა ხალათი, საქმეს მკვირცხლად შეუდგა.

საკაცე იატაკზე დასდეს. შუახნის ვაჟეაცი ნაღმისაგან მხარსა და მკლავში იყო დაჭრილი. სახვევიდან სისხლი ეონავდა.

ქეთო დაიხარა, რომ მკლავი გაესწორებინა. დაქრილმა მომყოლ ამხანაგს ახედა, უსიტყვოდ ანიშნა, შენ მომხედეო, შენ უფრო გენდობიო. საოცრად გაკაეებული იყო, ერთხელაც არ დაუცვენსია. ეტყობოდა, მთელი თავისი ძალღონე შემოკრებილი ჰქონდა, სიცოცხლის იმ მიჯნასთან იდგა, რომლის იქით გახედვა შეუძლებელი იყო. მაღიმალ სუნთქავდა მხოლოდ, ოთახში მყოფთ ხანგრძლივად აცქერდებოდა, ცეცხლშემოთებულ გულს იყურებდა. ამით თავისდა უნებლიედ უფრო მეტ თანაგრძნობას ამსახურებდა.

იქვე გრძელ სკამზე ორი ახალ-მოყვანილი დაქრილი იჯდა კიდევ. ქეთომ იმათაც მიჰხედა, საბუთები გამოართვა. ერთ ჰაბუკს, რომელსაც ნაღმის ნამსხვრევი მოხვედროდა ფეხში, ცრემლი მოერაო. ქეთომ კუშტად შეაგლო თვალი. ჰაბუკს შერცხვა და თავი დაღუნა. უთუოდ იგრძნო იმ წამს, რომ აქ ცრემლისა და წუხილის ადგილი არ იყო; აქ მხოლოდ იმას ბაძავდნენ, ვახაე, სიმწრის ოფლი რომ სდიოდა, ცვენესა მაშინაც არ აღმოხდებოდა.

ექიმმა დაჭრილებს თავთავიანთი ადგილები მიუჩინა. ახლგაზრდა ქალებმა საკაცე ასწიეს.

დერეფანში მკრთალი სინათლე იღგა. ვარიოდე თვის წინააღმდეგობას ღლით სხესე ბავშვების მხარული სიცილი ისმოდა, ახლა-კი, იტყოდით ფვით კედლებიც მტკიცეულ წუთებს ითვლიანო.

დაჭრილი იატაკზე მდებარე საკაცეებზე იწვნენ, ტანჩაცმულნი, ერთი მეორეზე წაბრდამხარ მიყრდნობილნი. ქეთომ რომ კარი შეადო, ყველამ მას შეჭმედა, ყველას თვალში რაღაც მოლოდინი გამოკრთოდა, თუმცა კარგად იტოდნენ, რომ იმ ღამეს იქ უნდა დარჩენილიყვნენ, საველე პოსპიტალში მეორე დღეს წაიყვანდნენ.

გარეთ ბნელი ღამე იყო. მთები ღრუბლებს დაებურა.

ოთახებსა და დერეფანში მძიმე სიჩუმე სუფევდა. ვინ იცის, რომელი დაჭრილის შეწრიალებული გული ღამობდა ახლა განრიდებოდა ამ აკლდამასავით თაღმკერულ სადგომს, გადაფრენილიყო მთემს გადაღმა და თავისიანებისათვის გაეზიარებინა სულის იღუშალი კვნესა.

უცებ დერეფანში ფანდური აეღერდა. შანგი კავშიანი იყო, მაგრამ შტად საამო, მთლად მახლობელი, მთლად შშობლიურა. ფანდურა მედიცინისადი მარო კაიშაური უკრავდა. თუმცა მარო ჯერ ახალგაზრდა ქალი იყო, მაგრამ თმა მთლად გაკალარავებოდა, შავფერეშანი იყო. ღიმილშიაც სუფდის შუქი უკრათოდა.

ქეთოს ფანდურმა დარდი აღუძრა. თვათონაც ეუცხოვა, რომ აქ, სიკვდილსიციოცხლას ბრძოლის აღმურში, თავისი ვიწრო პიროვნული საგონებელი არ შორდებოდა. გარეთ გავიდა, გუშაგად მდგარ ამხანაგს გამოესაუბრა.

ეზოში საზიდარი შემოჭრიალდა. დაჭრალი მოიყვანეს ქალი იყო. მოწყობისაგან გაიგეს: ღვინვრადიდან დები გამოიზნულიყვნენ. უმცროს, ჯომელიც ახლა საკაცით გადმოჰქონდათ, ბავშვი წამოეყვანა. საბჭოთა მეურნეობაში მოწყობილიყვნენ. ხევიში, ბაქსანის პირად იღგა ორსართულიანი შენობა. გერმანელებმა შორსმსროლელი ქვემეხებით დაანგრეს იგი. ქალს ბარძაყი ჰქონდა დამსხვრეული.

საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს სავსებით გონიხიდილი, გაშეშებული ქალი. თეთრი, ბადრი სახე გაფითრებოდა. წწებარება არ ემჩნეოდა. დადრონი ცისფერი თვალები გახელილი ჰქონდა და სადღაც შორს, ამ ქვეყნის იქით იმზირებოდა. არა კვნესოდა.

ჭირურგმა თავი გაიქნია, არავითარი იმედი აღარ იყო. მარჯვენა დეზი ბარძაყთან მხოლოდ რამდენიმე ძაფზე ეკილა.

ქალს არც ის გაუგია, დეზი რომ მოჰკვეთეს და ცალკე დასდეს.

თვალები კვლავ გახელილი ჰქონდა და შორს იცქირებოდა.

დილას მისაღებ ოთახში, იატაკზე, მკვდარი ესვენა. უფროსმა დამ საზაფხულო საბანი შემოახვია და შქიდროდ ამოკერა.

სამარე ეზოში ამოთხარეს, ღობის მახლობლად. მიცვალებული საკაცით გაასვენეს.

წინა დღეს იქვე დამარხეს ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ქართველ გუგაკი.

შენობის გვერდით ორ ადგილას იყო კიდევ მღწა შეზვანული. იქ გვარდიელები იყვნენ დაკრძალულნი.

ქეთამ დას ბელი გამოსდო და სამარეს შიამორა. ქალი ერთხელ კიდევ მიბრუნდა, ხანგრძლივად უცქირა ახალშეზინულ მიწას. ცრემლები გადმოსცვივდა, რაღაც შემამსუბუქებელი ნისლი ჩამოწვა თიხტყდა და ჩხუჭუ ულოდნელად დაღუპული დის სახე შორეულ ლანდს დაემსგავსა. ქიშკრისაკენ რომ გაემართა, თან გაჰყვა მღელვარე გრძნობა უდანაშაულოდ დასჯალისა, რომელსაც ჰგონია, რომ ირგვლივ ყველა და ყველაფერი მას თანაუგრძნობს, მაგრამ ამის გამოთქმა არ ძალუძს, რადგან ბუნებაც უტყვი და ადამიანიც.

ქეთამ იქვე, ტყემლნარში, შეუხვიან. მზარეული ცხვარს ატყავებდა, მიწაზე ცხვრის თავები და ფეხები ეყარა. ახალგაზრდა ქალები კარტოფილს ფეშქვნიდნენ. მახლობლად ცეცხლზე შედგმულ ქვაბიდან წყლისფერი ორთქლი ამოდირდა და დაბალი ხეების შტოებს ეფინებოდა.

სხვა ღროს ქეთოს ასეთ შემთხვევაში გული როგორ მოუსვენებდა, ვის-ნესთან არ მისულიყო და თავისი წუხილი არ გაეზიარებია. ახლა-კი გაოგნებულად იდგა და უცქეროდა, თუ როგორ ხელმარჯვედ ატყავებდა ცხვარს მზარეული.

ქიშკარში მხედარი საზიდარში გაბმულ ცხენს შემოუძღვა. ქეთო ფიქრთაგან გამოერკვა და შესაგებებლად გაეშურა.

ჩარდახი რომ გადასწიეს, თივაზე მწოლარე შუახნის ვაეკაცი ნახეს, რომელმაც ქალებს კუშტად შეხედა. ამ ღროს ზედა საკაციდან ექვსისა თუ შვიდი წლის ბავშვმა გადმოსწია თავი.

— დედა, ღმერთო! ბავშვი, ვოგო, ბავშვი! — წამოიძახა მარო კაიშურმა და ყმაწვილს ხელი მოჰხვია, ფრთხილად გადმოიყვანა.

ბავშვი დინჯად, შეუშფოთებლად გამოიყურებოდა. ფერმკრთალი, ლისაზი სახე ჰქონდა, ნაზი აგებულებისა იყო, ტანმაღალი. ყველას გულდანდობილად აკვირდებოდა თავისი ნათელი თვალებით. ლაპარაკი მაინცა და მაინც არ ჭხასიათებოდა, მხოლოდ შეკითხვაზე უპასუხებდა აუჩქარებლად.

ფორახზე მჯდარიყო, დედა შორი-ახლო მიჰყვებოდა. უცებ სივრცეში გერმანელების მიერ გამოსროლილი ნადმი აშხუილდა. ფორანთან ადექდა, ბავშვი ფეხში დაიჭრა.

მისაღებ ოთახში გაუშალეს ბავშვს ლოგინი, რომ აქ ყველა მიეხედა, ყველა მიჰყურებოდა.

— უყურეთ, რა ოქროს სახე აქვს, რა ჰქვიანი თვალები! — ამბობდა მარო და ბიჭიკოს ღვიძლ დედასავით ეხვევოდა.

ძნელი სათქმელია, როგორ ისახებოდა ყმაწვილის გონებაში ყოველივე ის, რაც ახლა მის ირგვლივ ხდებოდა.

ექიმმა: ახალშოყვანილ მებრძოლს გადაჩენა სიულოცა. რამდენიმე კრილობა ჰქონდა, მაგრამ საშიში არც ერთი არ იყო. მებრძოლმა მაინც ნაღვლანად ჩაილაპარაკა:

— ვაი, რა უდროო ღროს გამაფუქქეს იმ წუნკლებმა!

ქეთო მიუხვდა, რომ მებრძოლს ახლა ძალიან უნდოდა ელაპარაკა, ვის-შესთვის თავისი თავგადასავალი გაენდო, ამიტომ თან გაჰყვა და გვერდით მიუჯდა.

— საკვირველია, რა დროს მოგვესწრო იმ კაცმა, როგორ გვისწავა, — თა-
ვისთვის ჩაილაპარაკა მებრძოლმა.

— ვინ? — შეეკითხა ქეთო.

— ახლავე გეტყვი... ჩვენი ათეული მთის ძირას იდგა. განთიადზე შე-
მოგვესივნენ გერმანელები და რუმინელები. ორჯერ მოვიგერიეთ მათი აე-
რისი, მაინც არ მოგვეშენენ, ტურებივით მოძვრებოდნენ სიშინდას ჩალებ-
ში. ბევრი ჩავაძაღლეთ. სამი ამხანაგი მოგვიკლეს. ბოლოს გარს შემო-
გვეტყუნენ. ზურგს უკან ცაცაბო კლდეებია. ვხედავ, გამოსავალი აღარაა.
დავიჭერი... ეპ, ჩემს სიცოცხლეში არ დანავიწყდება, ისე გამწვა ტანში
სურვილმა, ისე მომინდა ერთი ავმღარაყავი და პირდაპირ ხისტით დაე-
ძვრებოდი იმ წყევლებს. მაგრამ რაღას ვიზამდი, წელი მოწყვეტილი
მქონდა... მამ მორჩა, შშესდობით ცოლა და შვლო, ვანობ გუნებაში.
პო-და, სწორედ ამ დროს გაისმა გვერდიდან გამალეზული სროლა და ყო-
ფინა. მაშინვე მივხვდი: ჩვენი ბიჭები იყვნენ. მერე დადი ხანი აღარ ვა-
სულა, ორ ცეცხლში მოყოლილი გერმანელები თითქმის სულ გააყლიტნენ...
გავიხედე და შოდის ის, წინ წოუძღვება ბიჭებს. ეს შესამედ არის, მაგ
კაცმა რომ სიკვდილს გადამარჩინა.

— ვისზე ამბობთ? — შეეკითხა ქეთო.

— ა? არ მითქვამს? ჩვენი შალვა ყოფიშობი.

— რას ამბობთ? ნახეთ? კარგად არის?

— შალვა? ლომივითა... ერთი ძალიან ნაკითხი ბიძამყავდა, იმან იცოდა
ძველი ამბების მოყოლა. მას რომ ეტსმენდი, ბევრჯერ წარმომიდგენია შალ-
ვასებური ვაყვანი. გგონია, არავეთარი საშველი აღარაა, იღუპებიან თავკან-
წირული ბიჭები. ვახიხდავ და სწორედ ამ დროს გამოჩნდება იგი თავისი ბე-
დაურით, დასწყვიტებს, ჩამოუტროლებს მტრებს და გამარჯვება ხელში გე-
პიროს...

კარგა ხანს ილაპარაკა დავრილმა. შეზარხოშებულსა ჰგავდა. მამაცი მეო-
მარი იყო. ბრძოლაში სირცხვილი არ უტამია, მხოლოდ საზიდარზე რომ დაა-
წვინეს და აქეთ გამოისტუმრეს, მაშინ შეიპყრო შიშმა. საოცარი სიმძაფრით
გაითვალისწინა, თუ როგორ ბეწვზე გადაჩა და გააყროლა. მაშინ ტკივი-
ლიც-კი დააიწყდა, რადგან ნათლად ხედავდა საზარლად პირდაღებულ უფს-
კრულს... მხოლოდ აქ განთავისუფლდა იმ შიშისაგან. ამიტომ ესაუბრებოდა
ქეთოს ასე ხალისიანად. ბოლოს უცებ უწია დაღლილობამ, თვალი მიკრულა.

ქეთო გულდასმომებული გავიდა ვარეთ. არც პაერში მდგარ საამო სით-
ბოსათვის მიუტყევია ყურადღება და არც შხის სხივებით გაბრწყინებულ
მთათა ფერღობისა და კლდეებისათვის. ჯერ ოცი წელიც არ შესრულებო-
და, მას-კი ეგონა, უკვე ვებრდებო.

უცებ ქიშკარში შემოსულ სამსონს მოჰკრა თვალი. პირველად შეკრთა. მე-
რე ისეთმა სიხარულმა შეიპყრო, თითქო დეიქლი შმა მიუხედაო. კიბეზე
ჩაირბინა, მიეგება.

სამსონს ეტყობოდა, რომ ძალზე დაღლილი იყო, ჩქარა ევლო, მძიმედ სუნ-
ტყავდა. მოლოდინით ანთებული თვალები-კი ჩვეულებრივად უბრწყინავდა.

— როგორა ხართ? — სწრაფად იკითხა სამსონმა.

— ჩვენ რა გვიშავს... თქვენ საიდან მოხვდით აქ?

— გზად გამოვიარე... ეს მითხარი, ეთერი სადაა?



- დაქრილები წაიყვანა.
- აჰ... ნუთუ გზაზე ავტოლი!
- რამ შეგაკრთოთ? გინა ასე საშიშია იქით?
- როგორ მინდოდა მენახა...
- ნუ გეშინიანთ, მალე მოვა.
- ვინ იცის... გამძაფრებული მდგომარეობაა...

ჭეთომ თარულად ახედა ფერგამკრთალ სამსონს, შეეცოდა. თან გუნებაში თავის თავს ეკითხებოდა, ვუთხრა თუ არაო? ბევრი ყოყმანის, დრო არა ჰქონდა, უცებ გადასწყვიტა:

— სამსონ, გავიაროთ აგურ, სკამზე ჩამოესხდეთ. რაღაც უნდა ვითხრაო.

სამსონმა ჭეთოს სიტყვებში ყური მოჰკრა ისეთი მესაიღუმლის ხმას, რომელიც არ უნდოდა გაეგონა, მაგრამ მაინც იზიდავდა. გულმა რაღაც უსიამო უახრა. სკამზე მძიმედ დაეშვა, თამბაქო გაახეია.

— სამსონ, ძმაო...— დაიწყო ჭეთომ. უნდოდა ეანხნა: ეთერსა და შალვას შორის რაღაც კავშირი უნდა ებმებოდესო, საჭიროა დროზე ყურადღების მიქცევა, რომ საზღვარს არ გადასცდნენო. მაგრამ მალე შესტოპა, ისე გაშოუვიდა, თითქო ეთერს შალვა ჩაეთრიოს, სამსონის წინამე თავისი მოვალეობა დაევიწყნოს და...

ჩქარობდა, სხაპა-სხუძით ლაბირაკობდა, რათა მოესწრო იმისი თქმა, რასაც გაწამებული გული უკარნახებდა. თვალწინ ეთერის მიერ მოჯადოებულ შალვა ედგა, მის განათავისუფლებას ესწრაფოდა და ის კი არ იცოდა, როგორ იყო მისი საქციელი, კარგი თუ ცუდი.

XXV

პირადი და საერთო

სამსონს მდინარის შუილი მოესმა; იგრძნო, რომ პირი გამშრალი ჰქონდა. წისქვილის ღართან ჩაუსვია, წყალი პეშვით აიღო და მოსვა, სველი ხელი შუბლზე მოისვა.

თავზე დაშვებული ნაჯადი ბორბალს ენარცხებოდა და გაბმულად ჩქრილვებდა. ასე ჩქოლავედა ახლა სისხლი სამსონის გულში, ყურები მზარავად უბტუოდა. ჯერ მოლიანად გარკვეული არ იყო, მაგრამ ის-კი იცოდა, რომ მისი წილი ქვეყნიერება ინგრეოდა. შერე რამოდენა ყოფილა იგი, ეს მისი სიკეთარი ქვეყნიერება! შესაძლოა, ეს ის ანკარა თვალია, რომელიც გარს იკრებს მთელ გარემოს, რასაც მხედველობა სწვდება. ჩაჭრება თვალა და გარემოდან არა დაჩივბა-რა. გული-კი, გრძნობათა ეს ოკეანე, თავის სიღრმეში იტყვეს თურმე ისეთ ნაპრალებს, სადაც სამსონი მხოლოდ ახლა აპირებს ჩახედვას.

კიდევ მოსვა წყალი. მზარზე აეტომატი გაისწორა. კბოღესთან გადმომდგარ ჭეთოს თვალი მოჰკრა, შუბლი შეიკრა. ასე ეგონა, ვიღაც მეშურნე ხარბად უცქეროდა, თუ როგორ ეცლებოდა სამსონს ფეხქვეშ ნიადაგი.

გზაზე ავიდა, ხიღისაყენ გაემართა. ინსტინქტურად ცდილობდა ისე ეგლო, რომ სხვას არ შეემჩნია მისი განწირული სტლისკვეთება. ორღობეში უნებლიედ შეჩერდა. სად მიღას? ვის უტოვებს თავისი სიცოცხლის თავშესაფარს? როგორ უნდა იაროს დაუსრულებელი მარტოობის პირისპირ? ან რა

აზრი აქვს? ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა! როგორ წარმოიდგინოს, რომ ამერიიდან ეთერს ელდარ ნახავს?

ეს რომ გაიფიქრა, ისეთი სათუთი გრძნობა აღებრა, თითქო ქუთუჩი მხატვარი შევივით ნახი და უსუსური არსება ყოფილიყო და სასტიკ გრაგალში უფსკრულის პირად მღვარიყოს. ნეტავი მაინც შეეძლოს სამსონს მიუშველოს, სამშვიდობოზე გამოიყვანოს. მორჩა, ყველაფერს ბოლო მოეღო. საბრალო ეთერი! განა მისი ბრალია, თვითონაც რომ ჯუტრღნულში გადაეშვა და სამსონიც გადაიყოლია? არა, კარვად იცნობს სამსონი ეთერს, იცის მისი სათნო ვულის ამბავი... რა თავდადება, რა ღრმა სიყვარული გამოსტკვიოდა მუდამ მის თვალბში, როდესაც ბრძოლიდან გამოსულ სამსონს ნახულობდა, როდესაც თვითონ გამოშვავდა დამავეებული! განა ახლა არ იყო, მდინარის პირად რომ ისხდნენ ბედნიერნი და ეგნატეს წერილს კითხულობდნენ?

„აჰ, ეთერ, ეთერ, ნუ თუ მართლა დაიპარვე ჩემთვის სამუდამოდ? ნუ თუ მართლა გამწირე?“

ტუჩთან ცრემლი ჩამოუვარდა. შეკრთა. თავი გაიქნია. ცრემლი მოიწყვიტა. გაშმაგდა. მიდიოდა და იმუქრებოდა: „ასე ხომ, შალვა!.. კარგი, შევხვდებით ჩვენ ერთნაერთს, დამადეგი, თუ ბიჭი ხარ წინს მოლაღატე, გაუტანელი არც შეგობრობა, არც ძმობა, არაფერი შენ არ გცოდნია!“

უკანასკნელი სიტყვა ხმაოდლა წარმოსტევა, თან მოეჩვენა, თითქო რაღაც საძაგელ ქვეწარმავალს ჰკიდა თვალი. კბილები დაახრქიალა, ავტომატს ხელი მოუჭირა და ჩაალაპარაკა:

„მე შენ გაგისრეს თავს, თუ ბიჭი ეყოფილვარ, მიწასთან გაგასწორებ.“

სწრაფად მიდიოდა, მოძრაობაში უფრო მძაფრად გრძნობდა გულში ჩაგუბებული ბოდმის დღილის და ეს ძალას მატებდა, უნდოდა უფრო მეტის სიმწვავით განეცადა თავისი უბედურება, თავისი მარტობა. დაე დაუშრეტელ ცეცხლად შემოენთოს ეს წუთები, არაფერია, გაუძლებს მანამდის, სანამ შალვას შეხვდება. მერე-კი ვისი ბედიც იყოს, იმან იცოცხლოს... თუმცა სამსონს რად უნდა სიცოცხლე უეთეროდ? ვილასთვის? რისთვის? შემოეცალა ყველაფერს მიშნიდელი სამოსი, ჩონჩხად იქცა. რად უნდა დედამაწა, თუ შიგ ფესვებს ვერ გაიდგამს? რად უნდა მზე, თუ მისი სხივები ვერ გაათბობენ?

თეშარაზე რამდენიმე საბარგული იდგა, ერთის კოფოზე შაქრო მაისაშვილი იჯდა და თანბაქოს აბოლებდა. მეზობლნი ვრის პირად მიწოლილიყენენ მინდორზე, მზვარეში. ისეენებდნენ შორიდან მომავალნი.

კოლა ბარბაქაძემ კარგახანს უტკირა მოახლოვებულ სამსონს. მერე დაევიტს გადაულაპარაკა:

— იცოდე, სამსონს რაღაცა ცუდი ამბავი გაუგია. შეხედე რას უგავს სახე!

დაევიო მხარეთებზე იყო წამოწოლილი, ისეთ ფიქრს გაეტაცნა, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო. მძიმედ წამოაწია, სამსონს მიაჩერდა.

— მართალი ხარ... ჭმა გადატკრილი იქნება. მოვემწყვედიე თ ამ ზამთარში აქ.

— ქე მაინც სჭვა მხარეში ჩავრჩენილიყავათ. ქრისტაანი კაცი ერთ წვეთ ღვინოს იშოენიდა.

სამსონს ხმა არ ამოუღია, ფეხზე წამომდგარ მხედრებს წინ ჩაუარა და გზა განაგრძო. ყველანი მიჰყვნენ. დაიძრნენ საბარგულები, აქრიალდნენ ბორბლები.

გზა მდინარის მახლობლად მიიმართებოდა. გაღმა-გამოღმა ცაღაწერილი მთები იყო, ალაგ-ალაგ — პიტალო კლდეები, ღრმა ქვაბულები, დეკორატიული გაღმომდგარი კონცხები. ფერდობებზე ირმისფერი ბალახი ბუჩქნარს უზღვეს. კი მთას უბებში თითქმის ხელუხლებელი ტყეები იყო ჩახურავილი.

მდინარე აქა-იქ ხმას უმაღლებდა, მხეფებს ისროდა, ლოდებსა და კლდეებს აწყდებოდა აქაფებულად.

მეომრები ჩაფიქრებული მიდიოდნენ. არც სიმღერა, არც საუბარი. სახეებზე რომ დაქვეარებოდათ, იტყოდით, ყველა საკუთარ საგონებელს შეუბყრობო.

ეს უკანასკნელი დღეები მაინც რაღაც ნაწილში ჩიხსა ჰგავდა. ერთად-ერთი გზა აერთებთ მამისონის უღელტეხილთან და ღარიბალთან. შამთარი კარზეა მომდგარი. საიდან უნდა მიიღონ ტყვია-წამალი, სურსათი? რამდენიმე ხნის შემდეგ კავკასიონის მთავარ ქედს ჯიხვიც ვერ გადმოლახავს.

სულ სხვა განწყობილება იყო, პირველად რომ ბრძოლაში ჩაებნენ. როცა ნათელი პერსპექტივა გაჟვს, სიკვდილი გზას ვერ გადაგიჭრის. მართალია, მდგომარეობა მაშინაც ბეტის-მეტად მიიმე იყო, მაგრამ ახლანდელს მაინც არ შეედრება. დავითს კარგად ახსოვს ის დილა, ფრონტისპირა სადგურში რომ გადმოვიდნენ მატარებლიდან. ირგვლივ ყველაფერს თითქო თვალი გასაქცევად უჭირა. ზღვრივ ტალღასავით მოედინებოდნენ გააფთრებული ავაზაკების მიერ წარდაცემული ადამიანები. ერთი ლტოლვილი ქალი დავითთან მიიჭრა, უახროდ ჰკითხა რაღაცა, მერე გამეშდა, ცრემლები წაჰკადა... მუშინ ჩასწვდა დავითი, თუ რას ნიშნავს, მტერი რომ ბუდიდან ამოგაგდებს. მაგრამ მაშინ ამ სურათებზე დავითი და მისი თანამებრძოლნი ვერ შეაერთეს, პირიქით, რაინდული, მამა-პაპური ცეცხლით აეგზნენ და მოძალბებულ მტერს ეკეფნენ. როგორ აფროფიანდნენ პირველი გამარჯვებით, როგორ გაიზარდნენ!.. ახლა თუმცა გამოცდილება მეტი აქვთ, მაგრამ რაღაც ისეთ სიღრმეში შედიან, საიდანაც გამოსვლა, მგონი, შეუძლებელი იყოს.

სამსონი წინ მიდიოდა.

უცებ შეკრთა. თითქო ცა გაიბზარაო, ისე მოულოდნელი იყო სამსონისათვის, ზურგს უკან რომ სიშდერა წამოიწყეს.

ეს კოლია ბარბაქაძე იყო. საერთო დღეშილი და მოწყენილობა ვერ აიტანა, ირაკლის გვერდით ამოუდგა, სხვა მომღერალ ბიჭებსაც თვალით ანიშნა და მხედართა მკეჭარე ხმა მთის მწვერვალს მისწვდა.

ტაფობს მიადგნენ. ზიღზე გავიდნენ. მაღლობზე, დაქანებული ფლატანს პირად, რამდენიმე სახლი მოსჩანდა. იქ უნდა გაეცლო სამსონს. მხედრებო გზის მახლობლად დიბანაკდნენ. დავითი, კოლია და ირაკლი გაიყოლია სამსონმა და სამეთაუროსაკენ გაემართა. აღმართს რომ შეუდგა, მაშინ მოაგონდა, რომ დავითის მეთაურს უნდა წარსდგომოდა. „რასა ეგევი, უცნობ ადამიანთან თავი არ შევირცხვინო“, გაიფიქრა და წელზე ქამარი გაისწორა, ქული მოიხადა, თავზე ხელი გადაისვა. „ეპ, მორჩა, ჩემი საქმე წასულია! — ამბობდა გუნებაში. — ყველაფერს ბალისი უნდა, მე კა ვატყობ, დიდხანს სიცოცხლე აღარ მიწერიან... ან კი რა ეშმაკად მიწდა, ნეტავი არ გავჩენილიყავი“...

— უკაცრავად, სამსონი — მოკრძალებით მიმართა კოლიამ. — ნამეტარი

მოწყინე დღეს... რა მოხდა? რაიმე ცუდი ხომ არ გავიგია, ჩვენ რას გვიმი-
ლავ, ერთი დედისშვილები არ ვართ, თორემ ისე...

სამსონმა კოლიას ახედ-დახედა, მერე დავითი და ირაკლიმ შეაფარეს და
ნაძალადეოდ გაიღიმა.

— რა უნდა განეგოს... ისე არა ვარ რაღაც გუნებანი, — უბასუხა კოლიას
და სახე აარიდა, საუბარი სხვა სავანზე გადაიტანა: — ვნახოთ, რას დაგვავე-
ლებენ... ჩვენი მეთაურიც გავიცნოთ...

ზეგანზე რომ ავიდნენ, სამსონი სამეთაურობაკენ გაემართა, ხოლო კო-
ლიამ, დავითმა და ირაკლიმ სახადილოში შეუხვეს.

— ბიჭებო, თქვენ აქ დამიცადეთ, ახლავე მოვალ, — სთქვა კოლიამ და
სწრაფად გარეთ გავადა. ეზოში გაიხედ-გამოიხედა. ონკანთან იდგა რამდენ-
იმე მხედარი, მაგრამ იმათში ნაცნობი ვერაინი შეამჩნია. ავერ ფართო შე-
ნობის წინ ჩარდახიანი ურემივით გადახურულ მანქანა დგას. ეს საფრონტო
გაზეთის რედაქციისა უნდა იყოს.

მანქანას ვერადით ჩაუარა კოლიამ, ფართო შენობის კარები შეადო. იქ წი-
ნით კლები ყოფილა, ახლა შიგ გაზეთის სტამბა და რედაქცია იყო.

კოლიამ რედაქციის მუშაკს, ნოე არუშაძეს მოჰკრა თვალი. იმედი მიცა.
— ნოეს ვაუმარჯოს, ნოეს! — შიამაბა გახარებულმა.

ამის შემდეგ კოლიას ბევრი აღარ დაუთენებია. ბიჭებს ერთი ბოთლი არა-
ყი ჰქონდათ შემონახული. კოლიამ სასადილოში ზელად სუფრა გააწყო,
ნოესთან ერთად გაზეთის სხვა თანამშრომლები — ლუკიანე ტეხურელი და
პეტრე კოლხიდეცი მიწვია. თამადობა, ცხადია, თვითონ იყისრა.

სამსონს სამეთაუროსთან მაიორი მიხეილ ოდიშელი შეხვდა. კომისართან
ერთად შევიდნენ. ფართო ღუმელის გასწვრივ ტანტი იდგა. ლოვინზე სა-
ზაფხულო საბანა იყო გადაფარებული, ფანჯარასთან — მაგიდა, ტელეფონი,
ორიოდე სკამი.

სამსონი კონისარს კოტე ონელიძეს კარგახანაი იცნობდა. ყოველთვის მოს-
წონდა ეს ჩასკენილი, პირნათელი კაცი. კოტე ძალიან აღელვებულად რომ
ყოფილიყო, მის ზმას მიანც რაჭული კილოსათვის დამახასიათებელი სიღინ-
ჯე და აუჩქარებლობა ახასიათებდა.

სამსონი რთაბში შესვლისთანავე ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქო
მამასავით მახლობელ ადამიანთან მისულიყო. შეერთა: კოტემ ჩემს გულში
არ ჩაახედოს, თავი არ მომეჭრასო. ამიტომ პარველად ვერ დააკვირდა, მაგი-
დასთან რომ ტანზაღალი, მხრებგანიერი კაცი იჯდა. შიოლოდ შემდეგ არა-
ერთხელ მოჰკონებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხშირად ადამიანის პირ-
ველად გაცნობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებას. შესაძლოა, ეს იმიტად
იყო გამოწვეული, რომ სამსონი იმ დღეს თავის პირად ნაჭუქში იყო მომწყვ-
დეული და ახლა ეს არწივისებური გამომეტყველებით დამშვენებული ვაჟკა, ი
რომ ნახა, შერცხვა თავისი განკერძობისა. ამ კაცში ძველი ქართული მხედ-
რული სული განსხივრებულიყო. ეს იყო მეთაური — პოლკოვნიკი გიორგი
ფარაძე. მოვროს სახე, შავგერეშანი, კეჩიანი ცხვირი, გამკრიახი თვალები,
კლდისავით მტკიცედ ნაჭედი აგებულობა.

ავიროდებოდა სამსონი გიორგის და იღუმლად ნატრობდა, როგორმე თავი-
ვიდან მოეცილებია დამამყირებელი, გამანადგურებელი წუხილი, რომ არ
10. „ნათობი“, № 4—5.

დაცემულიყო ისეთი მხედრების თვალშია, როგორც გიორგი, მახვილი და კოტე იყო.

ტელეფონი აწყრილდა. ყურმილი კოტემ აიღო. მცირე ხვეწუნს მოჰყვებოდა ჩაილაპარაკა:

— ხარაზორიდან შემოუტევათ.

უნაოქო სახე მოედრებლა კოტეს, ხმადაღლა იკითხა:

— რამდენი მოგაკლეს?... აბა... იმათი თხუთმეტია მოკლული?

ამას შემდეგ საშსონი კოტეს შეკითხვებისა და განკარგულებების მიხედვით ასკენიდა, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტის იმ უბანში.

— გამოიყენეთ პარტიზანები, იშოკეთ იარაღი და დოკუმენტები.

— ტყვიამფრქვევის ცეცხლი უწყევს იქა?

— პარტიზანები წამოიყვანე!

— საარტილერიო ცეცხლი გაუჩინე პერიოდულად, რომ დაჭაბულ მდგომარეობაში იყვნენ.

— ფრთხილად იყავი.

კოტემ ყურმილი დასდო. ამხანაგებს თვალი მოჰკლავდა.

— მდგომარეობა მალე აღუდგენიათ... ჩვენი ხუთი მოუკლავთ. მკედრები ცეცხლისქვეშ არიან, ჯერ ვერც იპიბი ახერხებენ მისვლა, ვერც ჩვენები, დღემილი ჩამოწარდა. სამსონი ამ წამს კვლავ გიორგისგან მიღებულ შთაბეჭდილებას ჩაუვივრდა და გაიფიქრა: „სწორედ ასეთი იქნებოდა თაღის სიჭაბუქეში აცაქის თორნივე გრისთავი... ასეთი მკვეთრი იერი... დაუღალავად ზრუნვა საქვეყნო საქმისათვის“...

გიორგიმ ქაღალდები ბოლომდე ჩაათვალიერა, წამოდგა. მალე ფრონტის სამხედრო სამკომო უნდა წასულიყო.

კოტემ მიხვილ ოდიშელს ახედ-დახედა, სწორედ ისე, კაცს რომ რამე სასიამოვნო მოაგონდება ზოლზე და დიმილი მოერევა.

— შე კაცო, კარგი არ გამახსენე! — ჩაილაპარაკა კოტემ. — ანის წინაა საჩუქარი მივიღე, რამდენაზე ბოთლი ზვანჭკარა შენთვის შემოვიმანებ.

მეორე ოთახში გავიდა, ღვინო შემოიტანა, ჩაის კიჭაში დაასხა.

ქართველისათვის ღვინო ოქროს ვასალებია, რაც არ უნდა გულდახურული იყოს, იგი მაინც მიუღდება, მზის, ცისა და ვარსკვლავების შუქს აუნთებს, ვრწმობებს აუჩქეფებს, წრფელა და აღმადრენს.

გიორგიმ კიჭა ხელში შეატრიალა, დასდგა, ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა. თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მრისხანე საფრთხის წინაშე ვართ. მძიმე დროა. თველი არ უნდა დავხუჭოთ, მაგრამ ჩვენ მაინც გავუძლებთ მტრის კარბი ძალების მოწოლას. ჩვენ გორიდან ვართ, ბელადის სამშობლოდან. მძიმე წუთებში ამას ვიგონებთ. ამასთანავე ახლა ჩვენთან არის, გამარჯვების ურყევი რწმენით გვასულდგმულებს, გვებს გვიჩვენებს და ყოველ ჩვენს ნაბიჯს თვალყურს ადევნებს... იცით ვინ? მართალია იმაზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ, მაგრამ ახლა ყოველ ნებრძოლს გავებულად აქვს, რომ ქართველი ხალხის საამაყო შვილი აქ არის, ჩვენთანაა. ამიტომ ვიცით, დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ. ჩვენ უკვე შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი დივიზიის სახელოვანი საბრძოლო გზით. ჩვენი ვაჟაკების ძმობა და ამხანაგობა უკვე სისხლითაა შემტკიცებული. უკვე მრავალმა მებრძოლმა მოიხვეჭა სახელი. არასოდეს არ დავივიწყებთ კაბიტან ბუხაიძისა და პოლიტბელ კანკაიას თავგანწირვას. ჩვენ მრავალი

წრთობილი მეომარი გუყავს, ამათზე უნდა მიეუთითათ ყველას და ვთხრა: „აბა, სცადეთ და ჩამორჩით!“

ვიორგიმ იქ მყოფთ თავისი გამპირიანი თვალი მოავლო. სამსონს უხედავად ვენა, რომ ეს გამომცდელი შეხედვა მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ამ კაცს, ამ ჩვენი ღრთის თარნიკეს, მხოლოდ საქვეყნო ფიქრი აღუღებდა, სამსონს კი... აი ვიორგიმ ახლა გულთამხილავევით იცის, რაც აწუხებს სამსონს, იცის და აურთხილებს: აბა, სცადე და ჩამორჩით.

იშვიათად მომხდარა, რომ სამსონს მეთაურისათვის თვალი ვერ გაესწორებინოს. არასოდეს არავითარი ხინჯი არა ჰქონია გულში. იცოდა, რომ ყველას წინაშე პირნათელი იყო. ახლა საიდან განინდა მის არსებებაში ეს მღრღნელი ჭია? რა ძნელი ყოფილა, კაცს თუ პირადსა და საერთოს შორის გადებულნი ხიდი ჩაუტყუდა. მიწრად იტყუვა, არავისათვის გმოსადევი აღარ არის. სამსონმა ამ დამამციკრებელ მდგომარეობას როგორმე თავი უნდა დააღწიოს, უნდა გაფოლადდეს... „სისხლით შემტკიცებულნი ძმობაო“, სთქვა ვიორგიმ... მერე?

ტანში მზარავემა ერთვლამ დაუარა: შალვა წარმოუდგა. თვალები მკაცრად მოკუტა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „არაფერია, გავსწორდებით“...

XXVI

მხოლოდ სიყვარული

კლდოვანი მთებით გარსშემორტყმულ ტაფობში ღრუბლიანი ღამე ჩამოწვა. დუმილია. მდინარის შორი შრიალიც არ ისმის. არც ნიავი ჰქრის.

ბატალიონის სამეთაუროსთან ჩუმად, უსინათლოდ მისრიალდა სამგზავრო მანქანა. კოტე თნელიძემ შოფერს რაღაცა უთხრა და ძირს ჩავიდა. ბნელაში ძლივს გააჩნია ერთსართულიანი ქვის სახლის ჩამონგრეული კედელი, რომელსაც წინა დღეს გერმანელთა ქვეშეხის ყუშმბარა მოხვდა.

ნანგრევს შემოღარა. საღებურებს ჩაჰყვა, სარდაფში შევიდა. იქ ვიწრო და დაბალი მიწური იყო, ორთვალი. პირველში ტელეფონის მახლობლად თავი იყო გაშლილი; ხოლო მეორეში, უფრო ღრმად ამოთხრილში, ტიცრის ტახტი თუ მაგიდა იდგა. იქვე ტელეფონთან მეკავშირე იყო მიწოლილი, ვიდაცას ხმამაღლა ეძახოდა.

— შემოტევა დაიწყო... — მოახსენა კოტეს მეთაურმა.

კოტე თავზე მიწვა, მხარი მიწას მიაყრდნო, ტელეფონის მილი აიღო.

— ... ჰა?... მერე?... საიდან?... თქვენ რას აკეთებთ?..

მკვეთრად დაპარაკობდა კოტე. წამოთვებულ სახეზე ემჩნეოდა, რომ ამ წამს მისი გონება უცნაური გამალებით მუშაობდა. ზანდაზან ხმას აუწევდა:

— კაცო, შე ოხერო, არ გესმის, რომ ვეუბნები?... ცეცხლი ცოტათი წინ გადასწვი, ჩვენები არ დააზიანო!

გარეთ ამ ღრთს ღამის საფარველს ზედიზედ ფლუთდნენ ქვეშეხთა ყუშმბარები. იუღებდა მაღალ თხემზე, ლანდივით გამოინაკეთებოდა მთების შოლი და იბზარებოდა თრწობთა გრუხუნით ათრთოლებული სივრცე.

დაბლობში შემოსასვლელს ხანჯლისებური ცეცხლი ღობავდა, გზებსა და ბილიკებზე ტყეისა და ნაღმის ალთნაკადი იღვრებოდა, ამ მიმართულებებს

მტერი ხშირად აწყდებოდა, მთვრალ ჯარისკაცებს ფსიქიურ იერიშზე უშვებდა, მსხვერპლს არ ერიდებოდა, მაგრამ მიზანს ვერ აღწევდა. მისი იმ დამეს ახალ ზერხს მიმართეს, ერთ მეტად მნიშვნელოვან ტყვეამფრქვევს, იქ განლაგებულ მცირერიცხოვან რაზმს გარემოცვის საფრთხე შეუქმნეს.

ამ რაზმს სამსონი მეთაურობდა. უკვე რამდენიმე დღეა, რაც ეს ზღუდე დაიკავა. ირგვლივ ყოველი ბილიკი, ბორცვი, კლდე და ბუჩქნარი შესწავლილი ჰქონდა. მტრის პირისპირ, მოგზაო გორაკის ფერდობზე იყვნენ განლაგებული. რჩეული ბიჭები ჰყავდა, ჰქონდა ერთი დახვის ტყვიამფრქვევი და ხელუწყობარები ბლომად.

მზერავეებმა რომ ცნობა მოუტანეს, მტერი იერიშზე გადმოსვლას აპირებსო, სამსონმა ჰაიფიქრა: „ბნელი ღამეა, შეშინებას გვიპირებენ“...

სწრაფად გასცა საჭირო განკარგულებანი. გადახალისდა, გაჯიქდა. გულის სიღრმეში გადაამალა გამუდმებული მოლოდინი რაღაც საშინელისა და საბედისწეროსი. ამ უკანასკნელ დღეებში იღუმალად სულ ამას ნატრობდა, რომ როგორმე შალვას არ შეხვედროდა, რადგან იცოდა თავს ვერ შეიკავებდა, უბედურება დატრიალდებოდა. იმავე დროს ხანდახან ისეთი შიშველი რისხვა შეიპყრობდა, მზად იყო მიეტოვებინა ყველაფერი, შალვასთან მიპრილოყო და მიწასთან გაესწორებინა. ძალიან უნდოდა, რომ ეს ბოროტი ცდუნება დაეთრგუნა, გაწმენდილიყო, მაგრამ თანდათან უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ ეს მის ძალღონეს აღემატებოდა.

ახლა საქმე რომ გაუჩნდა და გრძლად გათხრილ სანგრებში მიმოდიოდა, ისეთ შვებას გრძნობდა, თითქო ღვინო დაეღოს და შეზარხოშებულყოფს.

— აბა, მაგრად იყავი, წუნკლები შეშინებას გვიპირებენ, — გაღაუღაპარაკებდა ხოლმე მებრძოლს და არიგებდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ხოლო ისეთებთან, როგორიც კოლია, ირაკლი და დაკითი იყო, გამამხნევებელი სიტყვის თქმა არა სჭირდებოდა, პირიქით, ამ ბოლო დღეებში იყო ხოლმე შემთხვევა, როდესაც სამსონს ისინი ამხნევებდნენ, უნებლიედ განზრახულ საქციელზე ხელს აღებინებდნენ.

— რას ფიქრობ, კოლია, როგორ გუნებაზე დადგებიან. ფრიცები ამ შემოტევის შემდეგ? — შეეკითხა სამსონი ტყვიამფრქვევთან მიმჯდარ ბარბაქაძეს. დაიხარა, თვალებში ჩაჰხედა.

— მაგ წუნკლებს კუდით ქვას ვასროლიებთ, — უპასუხა კოლიამ.

სამგზის მოიგვრის იმ დამეს იერიში.

ბრძოლა კარგა გათენებულზე ზინელდა. სამი მებრძოლი კიდევ მოაკლდა სამსონს. მარცხენა ფრთაზე მეტად სამიში მდგომარეობა შეექმნა. ამიტომ თავისი ძალები ხელახლად გადააჯგუფა. თვითონ ირაკლი გაიყოლია და მარცხენა ფრთის ცენტრში ჩადგა, ხოლო დანარჩენები, მათ შორის დაკითი და კოლია თავისი ტყვიამფრქვევით, მთავარ მისასვლელთან დასტოვა.

ნისლი ნელნელა აიკრძა. გორაკები, ფერდობები და დაბლობები წვიმას მუქი ფერებით გადაექარგა, ხოლო ქედები და ახემები პირველი თოვლით გადაფარულაყვნენ.

იმ სანგრის გასწვრივ. სადაც კოლია და დავითი ისხდნენ, ვაკეში რამდენიმე მოკლული გერმანელის გვამი ეგდო.

„მავათი რჯული ვაჩქადა, ქე არ ღამთარსენ ამ დილას.“ — ^{მეცხენეული} ~~მეცხენეული~~ კოლია და ცდალობდა მკედრებისთვის თვალი აერიდებინა, მაგრამ ხანდახან უნებლიედ მიიციქვრდებოდა, ისეთ გუნებაზე დგებოდა, თითქო სათლაეებიდან გახრწნილი ნემსები ამოეყარათ და ირგვლივ შმორის სუნი ვრცელდებოდა.

სამსონმა არგ-მარე გულდასმით დაათვალიერა. არ მოეწონა. ძალა არა ჰყოფნიდა. ბატალიონის მეთაურს აცნობა. ვიზნები და ხელყუბმარებიც არ ჰქონდა საკმაო. მერე კიდევ ამ დილით... არასოდეს არ ყოფილა ასეთ საძაგულ გუნებაზე... აქამდე ეგონა, გული პირთამდე ამოვსებულია შხამით, მეტს ველარ დაიტევსო. მაგრამ ანლა... რაა ეს? ნუ თუ თვითონ სიყვდილიც სანატრელია? რამდენი იერიში მოიგერია, რამდენი დაჭრილი გაიატუმრა... ეთერი კი არსადა სხანს, აღარ აინტერესებს სამსონის ბედი. სხვა დროს შალვა განა ამდენხანს არ მოეწველებოდა? გული უგრძნობდა და გამოეშურებოდა... დღეს თავს აღარ იწუხებენ... „ეგ, საწყალო ჩემო თავო, რა გულუბრყვილო ყოფილხარ! მეგობრობასა და სიყვარულზე უმადლესი თუ რამე იყო, არ გეგონა... უცებ აიხადა ყველამ ნიღაბი და გაუმაძღარი პირუტყვი გამოჩნდა... მოკვდა, ვის ენადლეები“...

ამ დროს მტერმა ნაღმსატყორცნიდან ცეცხლი გახსნა. ქვის ნამსხვრევმა სამსონს თავზე მზუილით გადაუარა.

„ამას ახალი იერიში მოჰყვება, — გაიფიქრა სამსონმა, — რა გაეწყობა, ზოხდეს, რაც მოსახდენია.“

გამ ყრუებული ღმუილი და გრუხენი მიწელდა. სამსონს გმინვა მოესმა. მახლობელ სანგარს მიაშურა. ირაკლის ნაღმის ნამსხვრევი მხარში მოხვედრათა, მარჯვენა მკლავი მომსხვრეული ჰქონდა.

— ვაი დედასა, რა დროს ვილაღატე, სამსონ, რა დროს წაგხდის!.. — დაშული ხმით ბუტბუტებდა ირაკლი და გამშრალ ტუჩებს იცენერდა.

კრილობები ისეთი იყო, რომ სამსონმა სისხლის შეჩერება დიდხანს ვერ მოახერხა. ძალიან ჩქარობდა, უნდოდა ირაკლი იერიშის დაწყებამდე გაესტუმრებინა. ბოლოს თვითონ ამოუღვა ნარცხენა მხარში, ფერდობზე ჩააცილა, ბილიკზე გაიყვანა.

ირაკლის სახეზე მიწის ფერი ედო, სიტყვის თქმა უჭირდა, გამხმარ ტუჩებზე ენას ისვამდა.

— კარგი, შენი კირიბე, ძნაო... აწი მე თვითონ ვივლი. იქნებ ბედმა არ გამწიროს და კიდევ ამოგიდგე გვერდში, — ძლივს დასაჯა ხმა ირაკლიმ და სამსონს დაუშრეტელი სიყვარულით ანთებული თვალები შეანათა.

სწრაფად დაბრუნდა სამსონი თავის სანგარში. ორიოდვე წუთს თავი მიწას მიაყრდნო, რომ გულის გამალბებული ცემა დაეყუჩებია. მერე ლოდებს ამოეფარა და ზოხვით კონცხს შემოუარა, დავითი და კოლია ინახულა. ირაკლი რომ დაიჭრა, მათთვის არ უთქვამს. უნდოდა დავითი წაეყვანა, მაგრამ გულმა არ უქნა. „ამათ ტყვიამტრქვევი აქვთ, ჯერ ვაზნებიც ეყოფათ, დიდხანს გასძლებენ, იქ-კი, ვინ იცის... თუ განწირული ვარ, ჯანდაბას ჩემი თავი!“ — გაიფიქრა და უქან გამბრუნდა.

დაბლობს გადახედა. აგერ ირაკლი ვაგზე ჩასულა. რა საცოდავად მიდის.

ვეფხვს არ ჩამოუვარდებოდა სისწრაფეში, ახლა-კი... ჩაჯდა, ვაი თუ გული შეუწუხდა. სისხლისაგან დაიკლება. წავა, მიეშველება, მაგრამ ~~ჩქარა~~ ეკლესიის დატოვება არ შეიძლება... ასეა, მმასავით საყვარელი ვაგვეტყვი ჩემს გოგონებზე, ვერ ეხმარები... იმათ-კი, ვისაც საკუთარი სულის ნაწილად სთვლიდი...

უცებ თვალები გაუშტერდა სამსონს. ეს ვინ არის? ბუნებებს გამოსცილდა, ირაკლისავე მოდის... ეს ჩაემულობა, მთელი აღნაგობა, მიხვრა-მოხვრა, ეს ჩანთა... ის არის, ეთერია...

სუნთქვა შეეკრა სამსონს. მკერდზე ხელი მოისვა, თითქო საკინძის გახსნას ლამობსო. ანაზღად მოზღვავედა მის მძლავრ არსებაში დაგროვილი ძალა სიყვარულისა და ზე აღიტაცა, გარდაქმნა, გაბზარული გული გაუმთელა. აგერ მოდის ის, სულზე უტკბესი, მოდის და თან მოაქვს მშობელი ქვეყნის მთელი სიტურფე, გაზაფხულის ყვავილთა უკვდავი ელვარება. როგორ შეიძლება, რომ იგი შეიმღერეს, წყაროსავით ანკარა, უღრუბლო ლაქვარდევით მოკამკამე. ისევე ის არის ეთერი, გულმართალი, სპეტაქო, თავდადებული. ზედაც, როგორ უშემირად მოემართება? ხანდახან შესდგება, მალა იხედება, სამსონს ეძება. შორს რომ არ იყოს სამსონი, ხმას მიაწვდენდა...

ეთერი გულწასულ ირაკლისთან მივიდა. ჩამიჭხლა.

სამსონი შორიდან გარკვევით ვერ ხედავდა, მხოლოდ მიმხვდარი იყო, რომ ეთერი ახლა ირაკლის ქრალიობებს ხელახლა უხვევდა. ალბათ, გაეხსნა და სისწლი სდიოდა.

მა, როგორც იქნა, წამოაყენა ეთერმა ირაკლი, მიჰყავს. ხედავ, რა ვაჟაკცია და როგორ უჭირს ფეხას გადადგმა ისევე ჩაიკეცა, გაჭლი თუ წაუვიდა...

„იჩქარე, ეთერ!“ — ამბობს გუნებაში სამსონი და ირგვლივ იხედება, მტერი ხომ არსად სჩანსო.

„გერმანელმა სნაიპერმა თუ მოჰკრა თვალი, დაიღუპება“.

ეს რომ სამსონმა გაიფიქრა, საოცარია, სულ რამდენიმე წამიც არ გასულა და ისეთი შხელილი მოეხმა, თითქო ეილაცამ ჰაერში გრძელი წნელი ელვასავით მოიქნაო. სადაც მდინარის გაღმა იხუვლა სროლის ხმამ.

ჩამუხლებულმა ეთერმა თავი ასწია, შეტორტმანდა. უცებ მოსწყდა, პირქვე ჩაემხო. სროლა რამდენჯერმე კიდევ განმეორდა.

სამსონს თვალთ დაუბნელდა, ცა თითქო მოირღვა და თავზე დაემხო, სული შეეხუთა. წამოიშართა, წელი ვერ ასწია. მუთუ ასე უაზროდ, ასე უცებ დამთავრდა ყველაფერი?! რა უძლური ყოფილა სამსონი! როგორ უსუსურად მისჩერებია ზვავავით მოშვავებულ გარემოს, რომელიც საცაა უფსკრულში ჩაიტანს.

„წელს ზემოთ მოხვდა, სნაიპერის ტყვიას როგორ გადაუტრჩება, მკვდარიო“... ამ ფიქრმა ტვინი გაუხერცა. თავი ქვაზე მიარტკა. გამოერკვა. წამოიშართა. უნდა გადაბტეს, მიეშველოს... მაგრამ...

არა, აქედან დაძვრა არ შეიძლება, იერიშია მოხალოდნელი...

ამ ყოყმანში იყო, როდესაც რამდენიმე მხედარი გამოჩნდა. ჩვენები არიან, ეთერისაკენ მიდიან... მოიკა, დაშვდიდი გულში იქნება ცოცხალია... მივიდნენ... ასწიეს... გაშეშებულია... მკვდარია...

მუხლები მოეკვეთა სამსონს, ცივმა ოფლმა დაასხა. თავი მიწას მიადო, თვალი დახუტა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ასეთ მდგომარეობაში. გრძობდა მხოლოდ, რომ არგვლივ ყველაფერი რაღაც უსახო ნისლივით იგრაგნებოდა და ებნებოდა, ფენა ფენას ეკეცებოდა და დაუსრულებლად იზრატებოდა. ხსოვს გულჩაფერვლილ სამსონი იღვრდა, ნამკეცივით იხრებოდა არარაღქმნილი...

სადღაც ყუმიბარები სკდებოდნენ, ტყვიამფრქვევა აკაკინებდნენ, ყიყინობდნენ, ავტომატებს ისროდნენ. მაგრამ სამსონისათვის ახლა სულ ერთი იყო, რაც მოხდებოდა, იგი უკვე ამ ქვეყნის მიღმა იმყოფებოდა.

აგერ თითქო ცის დასალიერიდან მოესმა:

— რუსო, დაგვენბდი!

ეს ძახილი რამდენჯერმე განმეორდა.

სამსონმა თავი ასწია, ღრმად ვათხრილ სანგარში მიმოიხედა, ავტომატის დისკოებსა და გრანატებს დააცქერდა.

— რუსო, დაგვენბდი!

სამსონს რაღაც ჩანჩქერისებური ნაკადი შემოესხურა, ცნობიერება გაუმახვილდა, აენთო. გრანატს ხელი ჩავლო. ფერდობს ფრთხილად გადახედა. მობრძანდით! სწორედ თქვენთან შეხვედრა სწავია ახლა სამსონს.

— რუსო, დაგვენბდი!

რა ახლოს მოსულანი აგერ ქვეებს ეუარებთან...

გრანატი მარჯვედ მოიქნია. ქვეების ნამსხვრევები სამსონის სანგარშიაც ჩამოცვივდა.

გრუბუნნი მთის უბეში დაინთა. კვამლი აიკრია.

თითქო წვიმის მსხვილი წვეთები ეცემიანო, ისე აშხაფუნდნენ სამსონის თავს ზემოთ ავტომატის ტყვიები. თვალე მარცხნივ გააპარა. ამ მხარესაც ამოცოცებულან. დრო აღდგათი შეუტრია, ტყვის ბაღეში ხელი მოიქნია. მეორე, მესამე, მეოთხე გრანატი მიაყოლა.

გამბული გუგუნნი და ტკრციალი რომ შეწყდა, სამსონი უშიშრად წამოიშართა, არეს თვალი მოავლო. ააა, ვინც ცოცხალი დარჩა, თავქვე ეშვება, გარბის. ავტომატი მოიშარჯვა, ხან ჯერს ჯერზე აყრიდა, ხან სათითაოდ იღებდა მიზანში. უკანასკნელს დისკო რომ დაიკალა, მხოლოდ მაშინ შეჩერდა. მკედრებსა და დატრილებს ზიზლით თვალი აარიდა, სანგარში მიმოიხედა... ორი გრანატი დარჩენია.

„ნეტავი ბიჭები როგორ არიან? — იკითხა და თვითვე უბა... — სამამ მე აქ ვდგევარ, იმათ ალყას ვერ შემთარტყამენ, ამასობაში დამხმარე ძალა მიუვით“...

ჩაჯდა. ჩაფიქრდა. მკლავები მკერდზე დაიჭლო. არასოდეს ასე ცხადად არ წარმოუდგენია თავისი თავი სანგარში, სავსებით გამქრალი, მიწად-ქეუელი. გონება-გაფანტულად ჩამოტება მოშაო მიწა სანგარის ნაპირს, თითებით დაფრხენა, დააცქერდა. საკვირველია, ეყო ადამიანი, ჰქონდა მხედველობა, გრძობა... ახლა ესლა დარჩა. ამას არც თვალი აქვს, არც ყური. არც არავინ აწუხებს... ვითომ ესაა მარადისობა? კი, მაგრამ, აი ეს ზმელი ფესვი, მოვა გაზაფხულა და მიწის ამ ნატებსში რამდენიმე ძირი ბალახი ამოვა...

მიწის ნაფრხვენი გადაყარა. გრანატები აიღო, აუჩქარებლად მიაკრა ერთიმეორეზე. მარჯვნივ, მოხერხებულ ადგილზე დასდო. გულის ჯიბიდან წიგნაკა ამოიღო. შიგ ეთერთან ერთად გადაღებული სურათი ჰქონდა. იგი

გადაიღეს, ფრანტზე წამოსვლის წინა დღეს. დახედა. თვალები ცრემლით გადაუნისლა. ნერწყვი გადაუღამა. სურათი ჯიბეში ჩაიღო... ~~ერთნაირად~~ ხელი შეახო. ამან თითქო დაამწიდა. პირველი თოვლით გადათქარა ~~მხარე~~ მხარეებელ თხემებს გააბნედა. დაუსრულებელისა და მიუწყვდომელის ცივი სუნაქვა იგრძნო. სადღაც თითქო ეთერის თვალღმის სხეობა იღვდა. უნდოდა გაყოლოდა ამ სხეებს, მაგრამ რგი მალე ჩაჰქრა. სულარისფერ შვევრგალებს თვალი აარიდა, ცას მიაბყრო. იქაც მზეს თეთრი ღრუბლები გადაჰფენოდნენ. აქა-იქ ჟონავდა მხოლოდ ელვიანფერი ნათელი.

რა ახლოს ასვენია ახლა ეთერი. ოცი წუთის გზა არ იქნება. სამსონი კი ისე შორს ხედავს, როგორც აგერ, იმ ღრუბლის ქულას, რომელიც თანდათან იცრციება და სივრცეში ინთქება...

ყვივნა მოესმა. ტყვიამფრქვევის მთელე ჯერი. ეს კოლიაა. ეაზნები ელევია. „ასე, ძმებო, ასე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე... თქვენ იქნება მოგის წრით დამხმარე ძალამ, მე-კი“...

ისევ გრანატს შეახო ხელი. „მოვიდნენ, ერთად აუფეთქდებით“...

ეს გადაწყვეტილება ახლა ურყევი იყო. შეეძლო დარწმინდიყო სავსებით მარტო თავისი თავის წინაშე. მაგრამ სწორედ ამ წამს წარმოესახა თავისი სოფელი. დედა დაინახა, გული აღჩვილდა... მერე თითქო შორიდან მოაკრა თვალი თავის, თავს, შეაცერად შესძახა: „პატ, შე გლახა! კაცი სიკვდილშიაც ვაეკაცი უნდა იყო!“

ყური მიაბყრო. სროლა მხოლოდ კანტი-კუნტად ისმის. ვიღაცა მოტოხავს. ერთია, თუ რამდენიმე? მოვიდნენ, რაც მტერი იქნებიან, მით უკეთესი.

გრანატი აიღო, მხარით სანგარს მიაწვა, მოემზადა.

ფეხის ხმა მოახლოვდა. მგანი ერთია. სხვები, ალბათ, ჩასაფრდნენ...

ფრთხილად გადაიხედა... გაშეშდა... თვალი ხომ არ ატყუებს? ეს ხომ შალვა ყიფშიძეა!

შმაგად შეტრიალდა სანგარში სამსონი. ჩაჯდა, უმაღლვე წამოიმართა. უკანასკნელ დღეებში გულში ბოღმად დარგოვილი რისხვა ცეცხლად შემოენათო. ამ წამს ხვადი ლომივით მზად იყო, მოწყვეტით გადამხტარსყო და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დასტკვრებოდა თავის მოქიშპეს. იცოდა, რომ ეთერი მკვდარი იყო, მაგრამ ეს კიდევ უფრო ამხედრებდა შეენაღვლიანი ვნებით აზვავებულს იმ კაცის წინააღმდეგ, ვინც ასე ფეხქვეშ გასთელა მეგობრობა და სიყვარული. სამსონს ხომ სიცოცხლე მაინც აღარ უწყრია. ბარემ ერთად გაჭრნენ...

შალვამ სანგარში ჩაიხედა... თავდაბრილი სამსონი ეუცხოვა. ჩაბტა, მხარზე ხელი შეახო... სამსონმა გველსაკებნივით განზე გაიწია, შალვას ავი თვლით ახედა.

არასოდეს არ ყოფილა შალვა ასე დათითხნილი. გეგონებოდა ტალახიანი ზერელიდან ახლა გამოძვრო. ხალათი და შირვალი რამდენიმე ადგილას გახეული ჰქონდა, მტვერიან სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა, ელიებოც ოფლისაგან დასველებოდა. მხოლოდ მისი ბასრი თვალები ელავდნენ ჩვეულებრივად.

— რა მოვიღია, ბიჭო, ძალიან დაიღალე? — შეეკითხა სამსონს და ჩვეულებრივად ხელი კვლავ მხარზე დასაყრდენად ასწია.

სამსონმა თვალი დაჰხარა, უკან დაიხია.

შალვამ თითქო რაღაცა იაზრა. შუბლი შეიკრა. ყრუდ ჩაილაპარაკა:

— რაღას ვაყოვნებთ... წამო, ეთერა გზმობილობს.

სამსონი უცებ მოეშვა. გააგრესოლა. უცნაური ნათელი შემსრულებელი ლიდან რაღაც დაიძრა და თავიდან ფეხამდის ოდნავ მსუსხავი ნაკადივით დაუარა, დახული ხმით იკითხა:

— ცოცხალია?

ამ დროს კოლია და დაეითიც მოვიდნენ. მტრის რაზმები შალვას მიერ მოხერხებულად მოწყობილი დარტყმის შემდეგ შემსრულებელი და უფსრულებელი იყვნენ. ჩვენები ახალ ზღუდეს ამაგრებდნენ.

ერთად წაეიდნენ ეთერისა და ირაკლის სანახავად. სამსონი ხმას არ იღებდა. რაღაც ორმაგი გრძნობა დაუფლებოდა. შალვას პირს არიღებდა. თითონაც არ იცოდა, ის ზრახვები აერთიანდნენ, რომლებიც შალვას მიმართ გულში გაუტარებია, თუ კვლავ ეჭვის შსამი ეწვეთბოდა... ვინ იცის, როგორ არის ეთერი? იქნებ სასიკვდილოდაა დაჭრილი... მერე კიდევ, რას ეტყვის ეთერის თვალები სამსონს? იმ სხივს შემოაფრქვევს, რომელიც მარტოოდენ იური სულის თანამზობიდან გამოკრთის, თუ...

გზა გადაჭრილი იყო. ღრმა ხეობაში მოწყვედილ ქართველი მეომრები ზურგიით ძნელად გადასასვლელ მთაგრეხილებს იყენენ მიბჯენილი, ხოლო ჩრდილოეთიდან მტრის ჭარბი ძალები აწებობდათ. მთახლოვებული ზამთარი ქარბუქითა და ზვავებით იმუქრებოდა. იწყებოდა გადაწყვეტი ბრძოლა კავკასიონის კარიბჭეებთან მოწალეებულ დამპყრობელთა შესაღუსრავად.

უკვე გამზადებული იყო პირველი ექსპედიცია, რომელსაც მთავარი ქედი უნდა გადაეღებოდა. ექსპედიცია უნთაერესად მთასვლელებსაგან შესდგებოდა, მაგრამ რაკი ამით რამდენიმე დაჭრილი, მათ შორის ეთერი და ირაკლი, უნდა წაეყვანათ, ამიტომ ამითან ერთად სანიტარი ზესო ვოგოლაძე და მედიკური მუშაკები — ქეთო და მარო მიდიოდნენ.

საკაცეებზე მოთავსებული დაჭრილები უკვე ეზოში გამოეყვანათ. ირგვლივ მთასვლელები ფესფუსებდნენ, ჩანთებში საგზალს ალაგებდნენ.

ეთერმა ქეთოს სთხოვა: აგერ განაპირას, გრძელი მაგიდა რომაა, იქ ნომოთავსეო. ეს იმიტომ, რომ სამსონი თუ მოვიდოდა, განმარტობებულად ენახა. ეზოში რომ შევიდნენ, სამსონი დაწინაურდა. ძებნა არ დასპირებია, გულმა პირდაპირ ეთერისაგან ვააჭანა.

თვალთ დაუბნელდა სამსონს, თუ მართლა ასე ვადითრებულა ეთერის სახე? თითქო ირგვლივ სუღარა აქვს შემოფენილი... მხოლოდ მისი ლამაზი თვალები ციმცამებენ ცასკრის ვარსკვლავით... რას ეტყვიან ისინა? სასიცოცხლო მწვერვალზე აიტაცებენ თუ სასიკვდილო უფსკრულში გადაისვრიან?

შეაღლა... ხმა არ დაუძრავთ. ეთერის თვალთაგან გამოკრთალმა ნათელმა უამარ სამსონს ყველაფერი. უსაზღვროებას სწედებოდა ეთერის ნაამზობი, დაუსრულებელი, ვით თვით სიცოცხლე. თანაც ვიგი სხვა არა იყო-რა, მხოლოდ სიყვარული იყო.

ბოლოს ეთერმა დაუზიანებელი მარცხენა სელი ასწია, ჯერ შუბლზე მოუსვა სამსონს, მერე ნეკაბზე. მართოდეარე ხმით ჩაილაპარაკა:

— გტოვებ, ჩემო... შენ იცი...

სამსონს ყელის ძარღვები მწვანედ შეეკუმშა, გულიდან დაეძრული მღერ-
დარება ვერ შეიკავა, ცრემლი მოსწყდა და ეთერს მკერდზე დაეკრძა.
შორი-ახლო მდგარმა შალვა ყიფშიძემ შებლი შეივრა, შებრუნდა, მდი-
ნარისაკენ გაემართა.

თვალგაშტერებული დავითი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მლაშე
ცრემლი ტუჩით დაიჭირა, ხოლო გულანჩქროლებულმა კოლია ბარბაქაძემ
დავითს ილაყვი ჰკრა და ირაკლისთან გაიყოლია.

ირაკლის შავგვრემანი სახე კიდევ უფრო ჩაქუფრებოდა. მკაცრად გამოი-
ყურებოდა, ეტყობოდა, მთელი ძალ-ღონე შემოეკრიბა, რომ წუხილი არ გა-
მოემეტაკნებინა.

დავითმა ორი სიტყვის თქმა ძლიერ მოახერხა. სევდიანი ღუმილი ჩამო-
ვარდა.

— პო, შერთლა! — ვითომ რაღაც მოავიწყდა კოლიას: — წადი, ძმაო, მშვი-
დობით იარე! მხოლოდ ერთი კა გახსოვდეს: კოლია ბარბაქაძე ისე არ მოკ-
ვდება, რომ შენს ქორწილში ყანწი არ ასწიოს და კახელებს იმერული ქეი-
ფის შნო და ლაზათი არ უჩვენოს.

ეს რომ სთქვა, დავითს ცალყბად გაჰხედა:

— რას მიყურებ, ვილოსოფოსო? ნუ გეშინია, შენც იქ მიყოლები. აბა,
ბავო, გადაქინძილების გემო მაშინ ნახეთ, აი. არა, ირაკლი? გენაცვილე
'ულში...

ქეთო მოკრძალებით მიუახლოვდა განკერძოებულ შალვას. უნდოდა რაიმე
ეთქვა გამოთხოვებისას, მაგრამ მღელვარებამ აიტანა, ენა დაემა.

შალვას ანთებული თვალების სხივი შისწვდა, გამოერკვა, ქეთოს მიჰხედა.

— აჰ, ქეთო... მამ მიდიხარ? აბა, შენ იცი, რა მარჯვედ იქნებით! — ჩაი-
ლაპარაკა და ნაბიჯი გადადგა. ჩვეულებრივამებრ ქეთოს მხარზე ხელი დაადო,
ბასრი თვალებით მიუალურსა.

ამ ბედნიერი წუთით ფრთაშესხმული ქეთო მეცხრე ცას შისწვდა. მერე
სულ უკვირდა, როგორ გაბედა, მაშინ რომ სელები აღაპყრო, შალვას ყელზე
მოჰხვია, თავი დაუწია და შუბლზე აკოცა.

მერე ხნის შემდეგ შალვა კორდიდან სივრცეს გაჰყურებდა; კარგა ხანს
ივალისწინებდა მეტად მკაცრი ბრძოლის შორ გზას. მერე ახალი თოვლით
გადაფარულ მწვერვალებს გაჰხედა. სულში ის წმინდა მშობლიური ნათელი
ჩაწვდა, რომელსაც ესოდენი სიუხვით აფრქვევდა ეპითასელაში გაკავებული,
თავისი უბიწო ეშხით ცისიერის მპყრობელი კავკასიონი.



ლავროსი კალანდაძე

სიმონ ჩიქოვანის კომეზია

(მისი ლექსების წიგნის: „ჩემი მამულის“ გამო)

საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ შეტი გზება და ცეცხლი შეჰპაიტა საბჭოთა პოეზიას.

ამ ომის მრავალფეროვანი თემატიკა ნაყოფიერად აისახა სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში. ამ მხრივ მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ბრძენი ბელადისა და სარდლის თემა პოეტის მთელი პოეზიის ძირითადი თემაა. მაგრამ ამ მოტივს პოეტი მარტო ოდნური ფორმით როდი გამოხატავს, — იგი ცდილობს ბელადის მაღალი ადამიანური არსი და ბუნება გვაგრძნობინოს ჩვენი ეპოქის გრანდიოზული მოვლენების ეთარებაში.

სიმონ ჩიქოვანი მტრის ძლევას ურყევ რწმენას ამხანავ სტალინის სახელს უკავშირებს, რადგან პოეტის სიტყვით, ის არის „რვალი და თვალი გადამწყვეტ ეპოქის“. 1941 წლის 3 ივლისს ბელადის მიერ წარმოთქმული სიტყვა იყო საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე ბრძნული მოწოდება:

„ომის მყოფადი განსაზღვრე დილით,
ჯივის პერანგად მოგვერგო თქული.
მამულიშვილიო, კიდევდე — კილით,
სარდალს უსმინეთ, — რეკავდო გული!“

საბჭოთა კავშირის ყოველ მკვიდრს ემხო ბელადის ფრლადი, მისი ფიქრი და სიტბო „ღარადივით აესხა მებრძოლს“. იგი დრომად მიჰყვება ურყევ მოლაშქრეს, დაბრილ მეორეებს კრილობას უხევეს, ყველას მამობრივად უნერგავს ძალას. ბრძოლად ჰქრის მისი სიბრძნე და რკალში მოტყეულ ვაჟეაცს ხსნის გზას უჩვენებს, მტრის ძლევას შთავგონებს ჩვენს პარტიზანებს, სწაიბერებს, მწვერავეებსა და საბჭოთა შავარდნებს.

პირქუმი და მრისხანე იყო ჩვენი საბჭოთა სასმობლითაჟეის 1941 წლის ნოემბრის დღეება. ფაშისტთა შეჯავშნული ურდოები მოსკოვის კარიბჭეებს ეხეტებოდნენ. თითქოს ცრცაბოზე დაქანებულ შავს ლოდს უნდა დაეღუწა სოციალიზმის დიდი აჟვანი. მაგრამ უბადლო, გილიათმა გამართა პარჯენა, ფოლადის ზღუდედ შეჰკრა ლაშქარი, ლოდის სრბოლა შეაჩერა და პირი უქცია უფსკრულისაკენ. უტეხი ძალა, ბრძნული სიმშვიდე და საბჭოთა ხალხის უდრეკი ნებისყოფა მკაფიოდ გამოხატა ამ დროს დიდმა მხედართმოავარმა ამხანაგმა სტალინმა. სიტყვის თუ პოეტური ფორმის რა

სიღრმე ჩაიტევს ამ გრანდიოზული ისტორიული მოვლენის აზრსა და სურათს!

1941 წლის ნოემბრის დღეები საბჭოთა ხალხის დიდი გამაჯობის ერთ უმძაფრეს მოაქმენტს წარმოადგენენ. დაუფარყარ წუთებს და ბელადის სახეს აღბეჭდავს პოეტი თავის ლექსში „ამხანაგ სტალინის სიტყვა წითელ მოედანზე“:

„გახსნეს აღლუბი შვიდი ნოემბრის,
წითელ მოედნით დასკეპი მტკაცდელ
და მამაცობა ყოველ შვირის
ფაცხლად აქციე ფოლადის ცხედრ“.

სიმონ ჩიჭოვანის შემოქმედების დამახასიათებელი თვისებაა მძაფრი პატრიოტული გრძნობა, სამშობლოს ღრმა სიყვარული. უმაღლესი და უმშვენიერესი სიმართლე სამშობლოში პყვივის, რადგან თვით სამშობლო არის სიმართლე:

„ქართლის ცხოვრებას ბრძენი მინათებს,
ჩემი გულია სანთელი ღამის,
რადგან ერთია ქვეყნად სიმართლე
და ეს სიმართლე მამულში პყვივის“.

პოეტის პატრიოტული მოტივი საკმაოდ ძლიერი რომანტიული განხრით ხასიათდება. საქართველოს ისტორიულ წარსულის შესანიშნავი მატერიალური ძეგლები, კულტურისა და ხელოვნების ოსტატები, ძველი ქართველი გეომრება და სახელმწიფო მოღვაწენი, მატინაეებიდან და ძველი ლეგენდებიდან წარმომდგარი სახეები — პოეტის აღფრთოვანებული შთაგონების საგნები არიან. პოეტი არ იშურებს ფერებს, პეტაფორებს, რეალურ შედარებებსა და სახეებს მათი მშვენიებისა და სიდიადის გამოსახატავად. მაგრამ ეს არ არის წარსულის იდეალიზაცია და სამშობლოს დღევანდელი სანამდვილიდან განდგომა. პირიქით, პოეტის შემოქმედების ეს რომანტიული ნაკადი ამ საუცეთესო კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობის ძიებაა, რომელიც განახლებულ სამშობლოს ფუძემდებია შემონახული. ბელადის სიბრძნით ანთებულ სამშობლოს ახალ ცხოვრებას წარსულის სალი და წმინდა ფესვებზე ასაზრდოებენ. წარსული ახლავს ახალ ცხოვრებას:

„გორის წარსული ეკროდა გზნებით
ჩვენა ცხოვრების გზნებას და ღაზისა,
როგორც მტკვარს და ლიხვის შებმით
ბუნების მიერ შექმნილი ფრაზა“.

ყოველი ერთი, ხალხთა ოჯახში გამოჩნდება მხოლოდ საკუთარი სახით, თავისი ისტორიულ-კულტურული ინდივიდუალობით.

საქართველოს რომ არ ჰყოლიდა რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ლევთ აღმაშენებელი და პატარა კახი; მას რომ არ შე-

ექვსა წარმტაცი თქმულებები და ლეგენდები, ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატები, ვარძია და თმოგვის ციხე, ის, ცხადია, მოკლებულნი იქნებოდნენ ერთენულ კულტურული ინდივიდუალობის ნიშნებს და ვერცხმავდნენ კულტურის საგანძურში შეიტანდა თავის წვლილს.

სწორედ ასეთი ეროვნული მეობის ნიშნებად და სამკლავად იქნა გააზრებული სიმონ ჩიქოვანს თავის პოეზიაში საქართველოს წარსული ისტორიის ფაქტები და სახეები. ერი, სამშობლო და მისა დღევანდელი ვითარება შედგგია ისტორიული განვითარების პროცესისა. ამიტომ მის არსებაში უკვალოდ რადია გამჭრალი მისი წარსული, — იგი გარდაქმნილი და შენივთებულია მის ახალ სახესთან, ახალ არსებასთან. ამ შენივთების კრისტალემა ეძებს პოეტი.

აი უკვდავი შემოქმედებითი განზრახვის ნაშთი — ვარძია. პოეტი გვიხატავს უსახელო ოსტატთა უანგარო ღვაწლს, რაც ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის სახსრად გარდაიქცა, რამაც ჩვენ აგვამილა და დაგვამშვენა:

„შენ ჩვენთანა ხარ, როგორც გულითქმა
და გვიამყებს შენი მარჯვენა,
შენმა სვეტებმა, შენმა ჩქურთმა
მალა აგწია და დაგვამშვენა.
მძლავრი ფიჭვები გვაზე აქარგა,
გვაზე დღეაზე სულის ნაღველი,
რადგან სახელი უკვე დაჰქარგა,
ვარძია ივსა შენი სახელი“.

ჩვენი სულიერი კულტურის ანკარა სათავეების ცხოველი გრძნობაა გაცხადებული ლექსში „მიძღვანა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებისადმი“. ამ ლექსში ნათელი პოეტური ფერებით არის გადმოცემული ფასდაუდებელი შემოქმედებითი შრომა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატებისა, რომლებიც უკვდავი პოემის შიარებში ნაგრძნობ სახეებს ხატავდნენ ყალბით, ქმნიდნენ ქართულ სტილს, ქართულ ბაზებს, ქართულ გრეხილებს. ლექსი ფორმიდაც არ არის მოკლებული შესანიშნავ პლასტიკურ სახეებს:

„ნესტანებეთ ვეფხვი გარწემო
შენოსლობიან ხელნაწერს შინც,
ქრელი ფურცლები რომ დამშვენონ,
თათებს უწყვიან წკრიალა შიარს“.

ქართული ყალმას შთაგონებული მოღვაწენი, რომლებიც ღამეებს ათევდნენ, მკონის ბადეში ფართქალებდნენ, სწვავდნენ სანთლებს და თითონაც იწოდნენ შემოქმედებითი ცეცხლით, იმავე დროს სამშობლოს მხედრებიც იყვნენ, მისი ღირსებისა და დამოუკიდებლობის თავდადებული დამცველები. ისინი ღამით ყალბით მოქმედებდნენ, მაგრამ როდესაც ეას რიყრავის ფერი გაეკროლდა,

„ხმლებს აელვებდით წიგნით აღზრდილი,
რომ შუა გაეგმოთ სამშობლოს მტერი“.

ჩვენი ხალხის ისტორიულ ტრადიციის მართალი ძარღვია აქ. გუთონი, კლამის, ყალმის და ხმლის შეჯვარება ისტორიულად აწრთობდა ქართველი ხალხის ხასიათს.

პოეტის ფანტაზია უძველეს წარსულსაც აწვდებდა. იგი არმაზის ამრდილებშიც ეძებს სამშობლოს მშვენიების სათავეებს. ძველი მცხეთა, მისი დამე, სუროში გახლართული, ქვას მოდებული ივერიის ქვარტლი და სერაფიტის ტურფა ლანდი პოეტის შინაგანი ზილივით აღძრული სახეები არიან. ამ სახეებში მოსჩანს პირველქმნილი კვამლი ჩვენი ისტორიული ყოფისა. უძველესი, წარმართული დროის მცხეთა პოეტს მიჩნეული აქვს თავის დედულეთად. მემკვიდრეობის თაობიდან თაობაზე გადასვლის პროცესს თითქოს უკვდავების ძარღვი მოაქვს პრეისტორიიდან. ამიტომ არ დამქანარა ძველი მცხეთის ვაზის ფურცელი, სერაფიტის თმით ზნაღაც მორთულია ქართლი. თითქოს ძველი საქართველოს სურათა აღბეჭდილა არმაზის დროგადასულ სამარხებში შემონახულ მშვენიერი სერაფიტის სახიერებაში:

„უბოდ როგორ აღბეჭდილხარ,
 ზული ჩემი რად დამშა!
 ქვაზე მყოლი სამღერა ხარ,
 არ გაცივდ, არ დაიფშენა!
 ჩემი გული არ გათელო,
 აღსდევ, თმებით ამრიალდი!
 შენ ხარ ძველი საქართველო,
 შენ ხარ ჩემი ზეაშიადი“.

ქართველი ქალის სულიერი და ფიზიკური მშვენიების მემკვიდრეობითა ნაკადის ერთ-ერთ სათავედ მოსჩანს პოეტის ლექსში სახე ეპოთა აღმწერლის წიგნიდან გაცნობილ, სამშობლოს ავბედობით განაწამებ გვანცა დედოფლისა, პოეტი ეძებს ამ სახეებთან დამაკავშირებელ მშობლიურ ძაფებს:

„ეგებ რაქაში აღზრდილი სარო
 ჩემი წინაპრის იყავ დობილი,
 ვახსნა ამკობდა თვალების წყარო
 და ნაწნავები, ლექსად წლობილი“.

და არა მარტო სულიერი და მატერიალური კულტურის მემკვიდრეობის საუნჯეებში, არამედ სამშობლოს ბუნების წილნადაც სკერეტს და გრძობს პოეტი საქართველოს სულის მოძრაობას. ყოველი ხალხა ზომ უეჭველად რაღაცნაირად წააგავს თავისი ქვეყნის ბუნებას. ბუნება თავის თავად სამშობლოს ნაწილად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ იგი გაშინაარსიანებული არ არის თავისივე ხალხთან ერთგვარი მშობლიური კავშირით.

აი წუნდას ტბა, რომელიც მესხეთში მდებარეობს, თმოგვის ციხის მახლობლად, პოეტს აღქმული აქვს, „როგორც ნესტანას ნაზი უსტარი“, როგორც დიდი შოთას პოეტური შთაგონების საგანე:

„ეგებ ეს ტბა შენი გულისთქმაც,
 საბე-შეცვლილი ეხლა ზმგვარად
 და ჩარჩენილი მთებში ღრთიმოდ,
 ზუნების თვალი თმოგვიან ჩამდგარბ.“

იქნებ შიგ სიხანეს შვოსნის ოცნებას,
 ხალხისთვის უცნობ ვარაშ და წყლულებს,
 მრავალ თაობას და გადმოცემას,
 შეინებენ ვინუცღელი და გარდასლულებს?"



სამშობლოსა და დადა ბელადის შოტივეების პოეტურ შერწყმას წარმოადგენს ლექსი „გორის ციხე“. ცოცხალი ლირიკული გუნებით ასახავს პოეტი ქართველი ხალხის გმირული წარსულის ნაშთს და ქართლის მომხიბლავ ბუნებას, რაც ხალხის სიბრძნით გასხვივონებულ აქვნად დაერწო ბელადის ყრმობას და სიკაბუჯეს. სამშობლოს სითბო და სიტკბო, მისი გმირული წარსული, მისი გულწარმობი ბუნება და ხალხის სულიერი კულტურის წყარო ასაზრდოებდა კაბუჯ გენიას:

„როგორ შეირგო დედის ძუძუთი
 ქართლის სიტკბო და წილო თითო,
 გორის ციხე და მტკნარის დუღღნი
 და რუსთაველის სტრიქონის სიტკბო“.

და ამ წმინდა მშობლიური ნაკადების გამო ეძმო სამარადისოდ ბელადის სიბრძნე რუსულ გენიას.

ინტერესი წარსულისადმი სიმონ ჩიჭოვანის პოეზიაში, არ არის თვით მიზნობრივი. ამ ინტერესს ბაღებს სწორედ იმის შეგნება, რომ ისტორიული მემკვიდრეობის ყველა საუნჯის ნამდვილი გამოვლინება სტალინური ეპოქის პირობებში ხდება, რომ მათ სრული მოქალაქეობრივი უფლება განახლებულ საქართველოში მოიპოვეს. განახლებულ საქართველოს სული კი პოეტის ლექსებში ნაგრძნობია ბაღარებიდან დაჩრებულ სიხარულად, კვირტების გაფეთქვად, ბუნების ვალბად. ამის გამო თვით პოეტის სულში „სკად მიფუტურული სიტურფე ხარობს“.

სამჭოთა პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ძლიერი პოეტური იდეა შესანიშნავად გამოხატა პოეტმა სამამულო ომამდე დაწერილ ლირიკულ ლექსში „მერცხლის ბუდე“. ამ ლექსში გამოვლინებულია უწრფელესი სიყვარული სამშობლოსადმი და სიცოცხლის დამკვიდრების ძლიერი გრძნობა. მკვირცხლი მერცხალი, პატარა ოსტატი, ლავგარდამზე იშენებს ბუდეს. მერცხლის კვერცხები ნაკვერცხალივით ინახავენ სიცოცხლის წუთებს, პოეტს სურს თავისი ნაწერებიც ფარჩად ჩაუფოს მერცხლებს ბუდეში, რომ ლექსში შოირთხან ფები, შეტწოვონ მასში ჩაღვრილი გრძნობის სითბო, რათა დისაბანი მისცენ ახალ სიცოცხლეს:

„მერცხლებო, ფრთები შეებთ ნახულს,
 ნუ გაფრინდებით, ცქვიტებო, შორეთს,
 ჩვენს სამშობლოში ზამთარ და ზაფხულ
 სითბო არის და საზრდოსაც შოებთ.
 მრავალი წელი დათბობდით მიწას,
 ქართული ბაღც ცეცხლივით ტოკავს,
 ქართლი მინის სიხარულს იცავს
 და დაზამორებაც გაზაფხულს შოკავს,
 ხალხის გუჟანი, ქალაღზე თქმული,
 იქნება თქვენი ბუდის მუხარი
 და ჩვენი გენის ცოცხალი სული
 ფრთებშიც იღვლევის დანატლარი“.

აქ ადამიანის შემოქმედებით გაშინაარსიანებული სიცოცხლე განსჯილია როგორც უმადლესი მშვენიერების დაუსრუტელი წყარო. ამ წყაროს ადგილი კი სამშობლოა, რომელიც მაისის სიმართლეს იცავს. ამ წყაროს მკურნალობა იდრის ღიბლღეზე დგას მისი მთლიანი ფორმაც. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტს ზოგჯერ უსუსტდება გართულ სიტყვის პოეტური ელერისა და პოეტური სახის პლასტიკურობის გრძობა. პოეტის ზოგიერთი ლექსის ზოგი სტრიქონი თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს, ხოლო ზოგიერთი პოეტური სახე არა კონკრეტული და ბუნდოვანია. აი თუნდა აქ: ეს თავისთავად კეთილშობიანი სიტყვა „დანაქუხარი“ ამ ლექსის ლირიკულ აღწერებაში უცხო ელემენტად გამოიყურება:

„და ჩვენი ჭვეწის ცოცხალი სული
ფრთხილად იღვლებს დანაქუხარი“.

ამ ფრაზის აზრი გასაგებია, მაგრამ სახე „ფრთხილად იღვლებს დანაქუხარი“ შეტად ბუნდოვანია, მიუხედავად ამისა, ლექსი „შერცხლის ბუდე“ ერთ-ერთ საინტერესო ლექსად უნდა ჩაითვალოს.

„ახალი ცხოვრების ცინცხალი დენა“ იყო ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყოფის ბუნებრივი ევოლუცია. მაგრამ ვერაგმა მტერმა დაარღვია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშვიდობიანი ცხოვრება. თავით ფეხამდე შეიარაღებული ფაშისტური ურდოები მოადგნენ ჩვენს საზღვრებს. პოეტის პატრიოტულ ლირიკაშიც მძლავრი საბრძოლო ნაკადი შეიჭრა. ეს კარგად იგრძნობა პოეტის „შესანიშნავ ლექსში „დილა უღელტეხილზე“. ეს ლექსი ძალიან ნათელია, რაც სამწუხაროდ, არ ითქმის, პოეტის ზოგიერთ ლექსზე. ეს გვარდინირითიანი რეპარაციული ლექსი, რომლის ყოველ სტროფსა და სტრიქონში მახვილების თანახარი განაწილება და რიტმის ბუნებრივი მდინარება არის დაცული, ძალდაუტანებლად იკითხება და სწრაფ ემოციონალურ გავლენას ახდენს:

„შე მღუთთან გადავიღამე,
ჭირმა ღრუბელი დათენთა
გათენდა, სუსტი გინამე,
გაიღვიძეო, გათენდა!“

შეიდი გულადი და ბურადი მთა უხმობს პოეტს. მეფობს მხედრული სიწყნარე და ხალასი დილის წყარადი; სამშობლო ჭვეწნას სიტურფე გაშლილად იღანდება ბრძოლისა და შრომის მშობლიური ემბლემა — ხმლით და ვენახით მთრქმული ციხე და მარანი და ეს დილა ეძახის პოეტს, ეძახის ყველას:

„მშელს ვაშროთ ვარიმი,
არ დავიშროთ სიცოცხლე,
შეწირო, როგორც ზვარავი.
დაეწებ, მიწა მიბოძე,
წავილო ცეცხლი მარავი,
მეტრდს შოვიდარო ცისმარე,
ვიყო მტარვალთა შევეთელი.
შეიდი ძმა მიხმობს შრისხანე,
გურჯანელი თუ მღუთელი“.



და, ბოლოს, შეთავაზებული ძალის მოწოდებად გაიხმის ლექსის დასრულები

„უთვალავ დიღას გილოცავ,
რაც შეგიქმნია აქამდე,
ვისურვებ, მტერი მიღწეო,
გაკადო, როგორც კაფადი.
ჩაფრთხილ მიწის ნატეხი,
ქარმა ღრუბელი დათენთა.
აღეჭო, მთებო, აფეჭო,
მხედრული დილა გათენდა!“

გაიღვიძეს მთებმა ბრძენი ბელადის მოწოდებაზე, წამოდგნენ ჩვენი ქვეყნის დევ-გმარები. განა ხალხის ხელს მწვერვალების, ჩვენი ქვეყნის მთების წამოდგომა არ იყო ის, რომ სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმის კენსახორციელებლად მოვლენილმა დიდმა ქართველმა ლაგრენტი ბერიძემ უძლეველ კოპორტად შეადგულა ჩვენი გმირული არმიის ნაწილები და კავკასიის კარებზე მომდგარი მტერი უკუაგდო, სასიკვდილოდ დასჭრა?

აღეჭო, მთებო, აფეჭო!..

ადგნენ მთები... და მათ შორის ზოგნი გმირულადაც დაეცნენ. მტერს შეაღწეეს თავიანთი მშვენიერი სიცოცხლე ქართველმა მეომრებმა — მუთაძემ და ბუხაიძემ. მათი ხაფლაგები, თვლივით წყვილი, ყაბარდოს ველზე არის, მაგრამ:

„როს შენიუთლება შეტევის ვინი,
წამოღებთან ქართველნი მიწათ,
ამხედრებულნი იწყებენ ყოიანა:
წერი იხიეთ, აღსრულდეს ფიცა!“

ყაბარდოს ველზე მტერთან ვაფთორებულ ბრძოლაში დაიღუპა საბჭოთა კავშირის გმირი თავდადებული ქართველი ვლ. კანკავა. გმირის უკვდავება აღწეკდილია პოეტის სიტყვებში:

„თითქოს სიმშვიდით გვიჩნა,
მტერს ჩაუტეო ნაღველი
და, როგორც დროშა, გვიჩნა
შეპრდზე ვაჟაკის სახელი“.

უკრაინის მიწაზე ორმა საბჭოთა დევ-გმირმა, მიშაკოვმა და შალამბერძემ, მრავალი მტერი გაელიტეს და სიმაღლე შეინარჩუნეს. გმირობის დადი, როგორც გმირთა უკვდავება, დღესაც ატყუა ბორცვს. იქ მალე აღსდგება ბაღი, გმირთა ცხოვრების დასაღარი.

პოეტი ზოგად საგმირო-პატრიოტულ ფაბულაზე აგებულ ლექსებითაც გვიბატავს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მეომრების გმირობას და თავდადებას.

სასიკვდილოდ დაჭრილი საბჭოთა მებრძოლი გოლიათურად ერკინება

საზიზღარ მტერსა და სიკვდილს. მას არა სურს მტერმა დაცემული ნაოს, არა სურს დახოცილი შეხედეს სიკვდილს:

ეროვნული
გინგაპროტესტი

„თიფე იმსხვერპლა მამულის მტერი
და დიხზე მღვარი დახვდა სიკვდილს“.

ცხრა ვაჟაკის დედამ ქართლის დროშა დაულოცა შეილებს. როდესაც მუხანათი მტერი თავს დაგვესხა, ვეფხებივით შეიჭრენ ისინი ბრძოლაში, დედა კი:

„დასძაბოდა, თმები განიძარცვა,
თავდადებით აქვხებდა მწედარო.
ცხრა მარჯვენა დროშამ აღინაცვლა,
დაუბრელად დაუბრუნდა დედას“.

ვერაგ მტერს უნდოდა მოესპო ის, რაც ჩვენი ქვეყნის ხალხებს მრავალსა-უყუროვანი ისტორიის მანძილზე უდიდესი შრომით, მსხვერპლით და მთელი თავიანთი სულიერი და ფიზიკური ძალების დამძავით შეუქმნიათ, უნდოდა ჩაეჭრო ის, რაც უკვდავია ხალხში და რითაც უკვდავია ხალხი — ჩაეჭრო მათი კულტურა, მათი თავისუფლება.

მიზანდასრული მტრისადმი უსაზღვრო მძულვარებით არის გამსჭვალული პოეტის მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსები. ეს მძულვარება არის შემტევი და ქმედითი, გმირული სულის ნაჯარნახევი.

პოეტის პატრიოტიზმი, როგორც სჯერათოდ ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმი, შორს არის ყოველგვარი ეიწრო ნაციონალისტური თვალსაზრისისაგან. იგი სოციალისტური ჰუმანიზმისა და ხალხთა სტალინური შეგობრობის საფუძველზეა აგებული.

ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომელიც პოეტმა მკაფიოდ გამოსთქვა ლექსებში „ვინა სთქვა“ და „არ დაერქმევა პატარა მხარე“, ორგანულად უკავშირდება, საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური შეგობრობისა და მშობის გრძნობას.

რუს და უკრაინელ ხალხთან ქართველი ხალხის შეგობრობის ისტორიული საწყისების ლირიკული გახშიანება ისმის ლექსების ციკლში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. ეს მოტივი განსაკუთრებულ სიყვარულით არის გამოთქმული ლექსებში „სამფერიანი ხმა“ და „დავით გურამიშვილის მიერ ცილოს და ხმის ძიება“.

„სიმღერა დავით გურამიშვილზე“ უსიუვეტო ლირიკული პოემაა, გაშლილი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ფაბულაზე. პოეტი მისთვის დამახასიათებელი შემოქმედებითი ხერხებით ასახავს ამ ლექსებში მძაფრ პატრიოტულ მოტივს, რუს და უკრაინელ ხალხთან შეგობრობის იდეას, გურამიშვილის შემოქმედების ფსიქოლოგიური ნაკადებისა და ჰუმანიტური, მისწრაფებების დაბადებას, გურამიშვილის პირადი თავდადებისა და შემოქმედების ეპიზოდები გააზრებულია, როგორც ქარნაცადი საქართველოს ისტორიული მაჯისცემა, შეთანხმებული და შეწყობილი ჩვენი ეპოქის პროგრესულ მისწრაფებებთან.

პიტლერული კანიბალები ვარაუდობდნენ საბჭოთა ხალხის დიდი და ძმური ოჯახის დანაწილებას, თეთოყელისათვის ცალ-ცალკე მონობის უღლის

დადგმის და მხატვრული სამსაღის დანერგვას. მაგრამ დიდმა სამართლებრივ ომმა უფრო მეტად გამოაწიროთ ხალხთა სტალინური მეგობრობის, და უმეტესად მაღალ გრძნობას გამოხატავს პოეტის მოსკოველ მეგობრებთან ერთად თულ სიტყვებში:

„ვერა, ვერ შესძლოს დაძლევა კრულმა,
კრულთან დაიშვრა მტარვალის ძელები.
ჩვენ შეგვეართა ცხოვრებამ ბრძნულმა
და განუწყველად დაერჩებით ძმები“.

სიმონ ჩიქოვანი ჯანსაღი ოპტიმიზმის პოეტია. იგი ცხოვრებისშიერი სიღამაზისა და სიცოცხლის დამკვიდრებას უმღერის. სიცოცხლის უმაღლესი აზრი, კუშმარტება და მშვენიერება ადამიანში და ადამიანის მომქმედ ძალებშია. მასალისა და ნიუთების კულტი, რაც პოეტის ადრინდელ ლექსებს ახასიათებდა, დაძლეულია ახალი ადამიანის გრძნობათა გამოსახვით. პირადულიდან საზოგადოებრივამდე ამაღლება და ხალხში ვადასვლა შიანია პოეტს უკვდავებისა და მარადისობის სათავედ („პირველი შინაწერი“). დამახასიათებელია, რომ პოეტის ლექსთა სამკაულების — სახეების, მეტაფორების, შედარებების ყველაზე მეტად გავრცელებული მასალა არის დილა, რიჭრაჟი, ცისკარი და ვანთიადი. თათქმის პოეტის ყველა ლექსში თენდება, ცისკარი დგება ან დილა არის სისხამი თუ ნათელი. სინათლისა და ღია ფერების სიყვარული ხალხისა და იმედიაანობის ნაკადად სჩქეფს პოეტის ლექსებში. პოეტს არ იზიდავდა შავი და პირქუში სფერები და ფერები. მის ცნობიერებას არა ბზარავს ფეკადენტური მკვალი, და მით უმეტეს გენანებათ, რომ სინათლის ესოდენ მოყვარული პოეტის ლექსები ზოგჯერ ვერ არიან ნათელი, სინათლის გრძნობა პოეტის ლექსების სულია და არა სახე.

სიცოცხლის დამკვიდრების ჯანსაღი განწყობილების გამომხატველია ლექსი „ნიჟარა“. ეს ლექსი პოეტის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებასაც გამოხატავს. კოლხიდაში ნაპოენი ნიჟარისა და შექსპირის „ჰამლეტი“ ცნობილი თავის ქალის დაპირისპირება წარმოადგენს ამ ლექსის ფაბულას. უფრო დაწერილებით შეეჩერდებით ამ ლექსზე.

ღანიის პრინცი, საფლავის ვათხრის დროს ამოყრილ თავისქალათა გამო წარმოსთქვამს მწვევე სარკაზმითა და პესიმიზმით გამსჭვალულ მონოლოგს. იგი ხელში იღებს ხელმწიფის ხუმარა იორიკის თავისქალას და ამბობს, რომ ამ გახრწნილ თავისქალაში ხუმარას ოხუნჯობის ნაბერწყლის ნაკვალევაც აღარა სწამს... „წადი ეხლა ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარ, რომ თუნდ ერთი ადლის სახეც ფერ-უმარბილი წაითხუპნოს, იმის ბოლო შინც-ეს არის“... ასევე გახრწნილია და მყრალი სუნი ასდისო, ალბათ, დიდი ალექსანდრეს თავისქალასაც.

ჩვენს პოეტსაც შექსპირივით სურს მონოლოგით ილაღადოს, მაგრამ თავისქალის ნაცვლად ის ხელში იღებს კოლხიდაში ნაპოენ ნიჟარას, ხოლო პესიმიზტური ფილოსოფიის ნაცვლად ის სიცოცხლის დამკვიდრების სიმღერას ამბობს.

ცნობილია, რომ ნიჟარა, ზღვის ლოკოკინის ეს სადაფის ბუდე, თუ გაბზარული არ არის, როცა მას ყურზე მიიდებთ, შიგნიდან მოისმის დახშული ხმაური. და აი, პოეტს ეს ნიჟარა აქვს გააზრებული მთელი სამყაროს სი-

ცოცხლის პატარა უჯრედად. შიგ სევდა და ვარამი როდია, შიგ არის მხოლოდ გალობა, მხოლოდ ტალღა შიგნით ჩამჯდარი. ნიქარა ცხრუტუნსაჲს ქუცირესი ხმების საყანია. შიგ პოეტის მავთეობაც ცხოვრობს. ჩქრუქს მისაქმის აფრების ფრიალი, პურის ღაღანი, ზღვაურის ხმაური. პოეტი ამ წარმატება და ცოცხალი ხმების მიბაძვას ელტვის. მას, ისევე, როგორც ნიქარას შეუგაროვებია ზღვის ხმაური, სურს შეაგროვოს ხალხს ხმა და შექმნას მარად მჩქეფარე სიცოცხლის დამკვიდრების მშვენიერი სიმფონია:

-და როცა მერჯოს ზღვისაგით თბილი საუფაფე,
ეს ხმა უკვდავი ჩაიფიქლო და ვილალობო.
იმან გამართოს, როგორც არსობს მებრეს ვარსკვლავი,
თვით სამარეშიც ვიღუღუნო და ვიჯალობო“.

ეს უმძველად გახსნალი თბინისტური მსოფლმეგრძნების ძლიერი ღირსკჷლი გამოსახვაა.

მეგრამ პოეტის თბინიზი არ არის ცალმხრივი და ტლანქი, მას ნაღველიც ვწევია ხოლმე. და განა არის სევდამიუჯარებელი ადამიანი? სულის ერთგვარა წუხილი ადამიანის შემომქმედა ძალების განუწყრელი თანამგზავრია ცხოვრების უკეთ და უკეთ მოწყობისა და ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობისათვის მუღმივი შრომისა და ბრძოლის გზაზე. ასეთი წუხილი საფხვებით ადამიანურია და ის უცა არ არის პოეტისათვის. ნაღველიც სულის ძალაა ერთგვარი. პოეტი კი ადამიანის სულის გაღვიძებული ძალებით იხიზლება ყოველთვის.

დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გამოხატავს პოეტი პირად სევდას საყვარელი დის დაკარგვის გამო. ნუყვე ვულისტიკვილით აღწერს იგი, თუ როგორ ითხოვდა შეელას შექმილებული, სიცოცხლენ მოწყურებული ქალი-შვილი, როგორ აკოცა მას სიკვდილმა შუბლზე და როგორ დაიწვა სიციხით.

„მეგრამ, მეონია, როგორც ხარონი,
მამა შეგბედება მდინარის ძროსს
გაოცდებთან თელთა წყარონი,
რომ ამირად განზღარი გნაბობ.
ნაი არა ჰყავს, აღზაო, მამილოს,
ავიტატებს და გავიყვანს წყალში.
შენზე ტირილით ჩივნას დაიღობოს,
მდინარის პირად ნატეგრავს წაშლია“.

ღრმა პირადი ნაღველი გამოხატა პოეტმა ლექსებში: „მამის ჩვენება“, „ღის დარგული ღნაბი“, „ღედა-ჩემი“, „ნანგრევის სურო“ და სხვ. მეგრამ იმდენად სათუთი, ღრმა და რეალურია ეს ნაღველი, რომ იგი პირადულის საზღერებს სცილდება, იგი ნათელ სიცოცხლეს უფრო ნერგავს, ვიდრე სასოწარკვეთილებას.

პოეტი დიდის ხალისითა და სიყვარულით შეჰყურება სტუდენტთა ქალაქს, სადაც სჩქეფს სიჭაბუკე და გაზაფხული, სადაც მგზნებარე ახალგაზრდობა ხარბად ეწაფება მეცნიერებას. ასეთივე ვზნებითა და სიყვარულით ხატავს პოეტი საბავშვო ბაღის ცხოვრებას. იქ სიმართლისა და მშვენსერების სული ჰყვავის:

„სიპართლის მთქმელი ბავშვთა ბაგენი
 ატმის ღერებით აწებენ ღიმილს,
 ნორჩთა თვალბუმბე შე შიდაგენი,
 როგორ ციხციხებს ვარსკვლავის ქაში“.

სიმონ ჩიჭოვანი
 შინაგონი

სიმონ ჩიჭოვანი ზშირად ელტვის თავის პოეტურ იდეების გამოსახვის საშუალებათა გართულებას. „შემოქმედებას სართულე უყვარს, მხოლოდ გასაგებ ენით ნათქვამით“, — ამბობს იგი ერთგან. მაგრამ გართულებისაგან მისწრაფება ზოგჯერ პოეტის შემოქმედებითი მეთოდის ხელოვნურ ელემენტად იქცევა. იგი ართულებს ალაგ-ალაგ პოეტური მეტყველების გასაგებობასაც. ამიტომ სიმონ ჩიჭოვანის ზოგიერთ ლექსს, — თავისი იდეური შინაარსით უაღრესად ხალხურსა და ღრმა სოციალურ გრძნობათა გამოხატველს, — ხალხურობის ელფერი ეცლება.

სიმონ ჩიჭოვანის შემოქმედება, გამოვლენილი ახალი ლექსების წიგნით „ჩემი მამული,“ — ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ მძლავრ ნაკადს წარმოადგენს.



შალვა დადიანი¹

„პოეტმა ისეთ წერტილზე უნდა დააყენოს მკითხველი, რომ ეს უკანასკნელი მიიღოს მკვიფრანს ხედავდეს“.

ბ. პელინსკი.

არსებობს მხატვრული სიტყვის ოსტატთა ორი კატეგორია. პირველი გაურბიან მკვეთრ სახეებს და სურათის ნათლად ჩვენებას, მეორენი საწინააღმდეგო გზით მიდიან. შალვა დადიანი არ ეკუთვნის მწერალთა იმ ჯგუფს, რომლებიც ვერ გვაყენებენ ისეთ წერტილზე, საიდანაც მთელი მკვეყანა მოსჩანს. მაგრამ ისე რთული და მრავალფეროვანია ეს მწერალი, იმდენ ენარსა და სფეროს მოიცავს მისი შემოქმედება, რომ ძნელია ამ დასაყრდენი წერტილის ყოველმხრივ დახასიათება, თუმცა სურათი ბოლომდე ნათელი და გარკვეულია. საჭმე რომ გეჭონდეს მარტო რომანისტთან, მაშინ შედარებით იოლი იქნებოდა მისი შემოქმედების ანალიზი. მაგრამ ჩვენს წინაშე უფას არა მარტო ბელეტრისტი, რომელმაც მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები შესძინა მშობლიურ ლიტერატურას, არამედ იმავე დროს ნიჭიერი აქტიური და რეესორი, გამოჩენილი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე. ამიტომ იძულებული ვართ მხოლოდ ძირითადი შტრიხებით დაეხატოთ ეს უღაოდ ორიგინალური პორტრეტი.

ორი საუკუნის მიჯნაზე გაიშალა შალვა დადიანის მრავალმხრივი შემოქმედება: იგი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და გაგრძელდა მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე. 1896 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ბელეტრისტული „წმინდა ცრემლების“ შემდეგ შ. დადიანის შემოქმედებითი გზა ერთნაირად მიემართებოდა პროზასა და დრამატურგიაში, ხოლო მის პარალელურად თეატრალურ ხელოვნებაში. უფრო ადრე, 1893 წელს, შალვა დადიანმა „ქუჯის“ ფსევდონიმით გამოსცა ლექსების მცირე კრებული „ნაპერწყალი“, რომელიც ცხრაშეტი წლის ახალგაზრდის პირველი ლიტერატურული გამოსვლა იყო. ამ წიგნში მან პირველად გამოამჟღავნა თავისი პოეტური კრედიტო, რომელიც ნაპერწყალად აქვითო, რომ ალად გადაქცეულიყო.

რა სპეციფიურობა შემოიტანა ამ ახალგაზრდა მწერალმა? რა წარმოადგენდა მისი შემოქმედების იდეას?

შალვა დადიანის მხატვრულ პალიტრას თავიდანვე ზალზური ხასიათი ჰქონდა. მან თავიდანვე გვიჩვენა ჰემიარტი სისადავის ხელოვნება, მისი ძალა და ფუნქცია. ყოველი მისი სიტყვა, სახე, თუ მეტაფორა თითქოს ამტკიცებდა: „პოეზიის მიზანი იმაშია, რომ გამოხატოს იდეა განსაზღვრული სინთსტიტით, ისე, რომ მთელს მკვეყანას შეეძლოს მისი დანახვა და გრძნობა.“

¹ მოხსენება შ. დადიანის დაბადების 70 წლისთავისა და შემოქმედებითი მუშაობის 50 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე რუსთაველის საბ. თეატრში. 1944 წ. 26 ივნისი.

პოეტმა განუწყვეტლივ უნდა აიაროს ადამიანთა გონების საფეხურები, რათა დააკმაყოფილოს ყველა ისინი. ლოგიკა და გრძნობა... მან უნდა დაემსახუროს ტოცხალი საღებავების ქვეშ. აზრების მთელი ქვეყანა უნდა მისი სიტყვების სიტყვაში, ფილოსოფიური სისტემები შეაჯამოს ერთ სურათში“. ბალზაის ეს დებულება კარგად უნდა გამოხატავდეს დადიანის მხატვრული შემოქმედების სპეციფიურობას, მის იდეას, მის მიმწრაფებას. იდეის ზუსტად გამოხატვა ისე რომ მკითხველმა დაინახოს და აგრძნოს იგი, დააკმაყოფილოს „ადამიანთა გონების საფეხურები“, ერთ სიტყვაში მოიცავს აზრების მთელი ქვეყანა, „ფილოსოფიური სისტემები შეაჯამოს“ ერთ სურათში, გადაგვიშალოს ცხოვრება სრული სახით — ეს ტენდენცია ყოველთვის წარმოადგენდა შალვა დადიანის მხატვრული სიტყვის, მისი მთელი შემოქმედების ესაუბრებელი იდეალს. ამიტომ ჩვენი მწერალი შორს იდგა „წმინდა ხელოვნების“ აბსტრაქციებისაგან, უარყოფდა უსავნო პოეზიას და ცხოვრებისაგან განდგომას. შესაძლოა ახალგაზრდა მწერლის ეს მისწრაფება ყველაზე სრულყოფილად სცენაზე გაქრამ გამოხატა, როცა ერნესტო როსით გატაცებულმა 1893 წელს ქუთაისის თეატრს მიამურა. არისტოკრატიის შთამომავალს ეს უცნაურობად ჩაუთვალეს, ისევე როგორც უცნაური სწანდა მისი სახელოვანი მამის ნაკო დადიანის, — თავის დროზე ცნობილი ლიტერატორის, ლინგვისტისა და ფილოსოფოსის საქციელი: მან თავის შვილს მხოლოდ შინაური განათლება მისცა და იმდროინდელ სკოლაში არ შეიყვანა. მაგრამ ნიჭიერ ახალგაზრდისათვის მამის მდიდარი ბიბლიოთეკა, ოჯახის ლიტერატურული ატმოსფერო და მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე ინტელიგენცია საუკეთესო სკოლად გადაიქცა. ქართული კლასიკური, თანადროული და მსოფლიო ლიტერატურის, აგრეთვე მეცნიერებათა დამოუკიდებლად შესწავლამ ჭაბუკს შალვა ვახუშტაშვილი გონებრივი პორტიონტი. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ძვანე მანაშელი და კირილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ლოლობერიძე, მამია გურიელი და მკველე — იმდროინდელი ინტელიგენციის ბევრი სხვა მოწინავე წარმომადგენელი მას გონებრივ საზრდოს აძლევდნენ. ამ დროს იკონებს მწერალი, როცა ამბობს: „...ისეთი ატმოსფერო იყო ჩემს ვაჭრობაში — მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, პოლიტიკასა და სოციოლოგიაზე მესმოდა სულ საუბარი. ჩვენს ოჯახში იკრებებოდნენ მამინდელნი რჩეულნი ქართული საზოგადოებიდან. უცხოელებიც, განურჩევლად მსოფლმხედველობისა, და მეც ადრე მიეჩვიე საზოგადოებრივ საკნებზე ჩაფიქრებას და, როგორც ახლა იტყვიან, თვითგამორკვევას“.

ამ წრეში შალვა დადიანმა შალვა შეითვისა ბელინსკის დებულება, რომ „ინც ხელოვნებას ართმევს უფლებას საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახუროს, ის ვი არ ამალეებს, არამედ ამცირებს მას, ვინაიდან ხელოვნებას ართმევს ყველაზე უფრო სასიცოცხლო ძალას, ე. ი. აზრს, და აქცევს რაღაც სიმბარიტული განცხრომის საგნად“. ამ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურის იდეამ შალვა დადიანი ქართულ თეატრში მოიყვანა, სადაც მის ნიჭს მხრუნველად ისეთი დიდი ოსტატი აღმოუჩნდა, როგორიც ლადო მესხიშვილი იყო.

ქუთაისის თეატრის სცენაზე ეს მოღვაწეობა გრძელდება 1899 წლამდე. მანამ გარდაცვალების შემდეგ (1896 წელი) შალვა დადიანი ცდილობს შეაქოს თავისი ცხოვრების ზარეუნი — გაიაროს სკოლის კურსი, მისცეს ცოდნის სისტემატური ზასიათი, შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში. ამ მიზნით

მიდის ახალგაზრდა მწერალი და მსახიობი მოსკოვში, ცდილობს დედას უმალეს განათლებას, მაგრამ ვერ ახერხებს: სტუდენტთა მტრულ კატორღა გამოხვედზე მისთვის ამოიღარ ჩაივლის, ხალხის ინტერესებისთვის სხვა-სხვით გატაცებული ახალგაზრდა ამ მოვლენების ცენტრში აღმოჩნდება, რეპრესიების დროს ჩხრევენ მის ბინასაც და მიიკეცი... ხელნაწერები, წიგნები. მას უკვე აღარ შეუძლია იფიქროს უმალეს სასწავლებელზე, ბრუნდება საქართველოში და კვლავ შედის დრამატულ დასში. მამის ანდერძმა, რომელიც ქაბუკის ცხოვრების გზის მანათობელ შექუჩრად იქცა, შალვა დადიანზე წარუშლელი კვალი დასტოვა. ის „დრო“ და „ამხარე“, „ნათელი არის“ განსუქრეტა, ირგვლივ კვამლისა და ნისლის მოშორება, ვხის გაგუნება, მტრისა და მოყვარის ვარჩევა, მშობელი ქვეყნის „წმიდად დაცვა“, რაზედაც ჯერ კიდევ ყმაწვილს მამის ანდერძი მიუთითებდა, შალვა დადიანის სამოქმედო პროგრამად იქცა სცენაზე, ხალხში, ლიტერატურაში.

თეატრი ნახთვის არ წარმოადგენდა მხოლოდ აქტიორული ხელოვნებას ტაძარს. ეს საუკეთესო ტრიბუნა იყო ხალხში გასასულელად, მის სამსახურად, უფრო ფართო მასშტაბისა, ვიდრე 14 წლის შალვა დადიანი: ხელნაწერი ეურნალი „მოზარდი“, სადაც „დახელოვნებულ რედაქტორს“ თავის ორგანოში ერთ-ერთი მომავალი ცნობილი რევოლუციონერი „თავისებურ რევოლუციურ დინამიტებს უწყობდა“.

მაგრამ თეატრში შალვა დადიანი მარტო აქტიორული შემოქმედებით არ შემოიფარგლა. მართალია, მან 280-ზე მეტი როლი შეასრულა, მათ შორის სუბმათაშვილის სოლეიმან-ხანი და ოთარ-ბეგი, შილერის კარლ მოორი, სარდუს ფუშე, გორკის მსახიობი, ერისთავის ლეონიძე, ნავაშინის სიკო, ანდრეევის მარონოვი, მაგრამ ეს ტვირთი მას ხელს არ უშლიდა ეთარგმნა შექსპირის „რომიო და ჯულიეტა“, „ქირეველის მორჯულება“, შილერის „მარიამ სტუარტი“, ბაირონის „მანფრედო“ და „სარდანაპალი“, ანდრეევის „პაუღეამუსი“, ბიერნესტ ერნე ბიერნსონის „გაკოტრება“ და პოდმანატილის „ელექტრა“; სცენისათვის გადაეკეთებინა ქიაჩელის „ტარიელ ვოლვა“, ერისთავის „ხედის ტრიალი“, ილია ქაქვიძის „გლახის ნაამბობი“ და მრავალი სხვა ნაწარმოები; როგორც რეჟისორს დაედგა ასზე მეტი პიესა და ქართული თეატრი დაემკვიდრებინა იმ სახელოვან რეალისტურ გზაზე, რომელსაც საფუძველი დასო აბაშიძემ, ლადო მესხიშვილმა და ვატე მესხმა ჩაუყარეს.

ამ გზაზე შალვა დადიანმა გამოატარა აქტიორისა და რეჟისორის, დრამატურგისა და მოქალაქის ის შიშივე ტვირთი, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის დროს საერთო ხედვრი იყო ყოველი ხელოვანისათვის. მთელი რიგი სეზონებისა და „მოგზაური დასის“ ხელმძღვანელი თავისი ბრწყინვალე ნიჭით სწევდებოდა მაყურებლის გულს საქართველოს ყველა კუთხეში. მისი აუდიტორია ყოველთვის მართლა „ხალხი იყო, მშრომელთა ლიანვი“. იგი მჭიდრო სულიერ ურთიერთობას ამყარებდა ბაქოსა და ნოვოროსიისკის მუშებთან, იყენებდა თეატრს, როგორც ხალხის გათვითცნობიერების, შეგნების, ამადლებსა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ ბრძოლაში მახვილ იარაღს. უკიდურესი ნივთიერი ხელმოკლეობა ვერ ბოროკავდა მას.

ამ წლებს ეკუთვნის დადიანის მრავალი მოთხრობა, თეორი ლექსი და მინიატურა, რომლებშიაც მწერალი ალეგორიულად, მაგრამ ადვილმსახვედრი ფორმებით გვიხატავს ეპოქის რევოლუციურ მაჯინდემს, მშრომელი ხალხის ბრძოლას სოციალურა უსამართლობის წინააღმდეგ, თანაუგრძნობს

ამ მოთხოვნას, ხელს უწყობს მას. ყველა ეს ნაწარმოები ტენდენციური იყო, მაგრამ ტენდენცია თავის-თავად ვლინდებოდა მდგომარეობიდან და მოქმედებიდან. შალვა დადიანის რეალიზმი იცავდა ამ პრინციპს, რომელიც ველად ეხველსმა განსაზღვრა მარგარიტა ჰარკნისადმი წერილში 1887 წელს.

მინიატურები, რომლებიც 1904-1907 წლებშია დაწერილი, პირდაპირ პასუხს იძლევიან დროის მიერ წამოჭრილ საკითხებზე. ეს იყო პირველი რევოლუციის აღმავლობისა და დღემავლობის მხატვრული უკუფენა. როგორც ცნობილია, „რუსეთის რევოლუცია მთელ ისტორიულ ხანას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ეს ისტორიული ხანა ორი პერიოდისაგან შესდგება. პირველი პერიოდი, როდესაც რევოლუცია აღმავლობისაკენ მიდიოდა. ოქტომბრის საერთო პოლიტიკური გადაცვიდან დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე, იყენებდა რა მეფის სისუსტეს, რომელიც მანჯუურიის ველურზე დამარცხებას განიცდიდა, ანადგურებდა ბუღაჯინის სათათბიროს და ერთი მგორეზე ჰგლეჯდა ხელიდან მეფეს დათხოვებს, და მეორე პერიოდი, როდესაც იაპონიასთან ზავის დადების შემდეგ მთლიანდებულ მეფე იყენებს გლეხობის მერყეობას, ლიბერალური ბურჟუაზიის შიშს რევოლუციის წინაშე, მოწყალეობის სახით მიუგდებს მათ ვიტეს სათათბიროს და გადადის შეტევაზე მუშათა კლასის წინააღმდეგ, რევოლუციის წინააღმდეგ. რევოლუციის რეაღ სამიოდე წლის განმავლობაში (1905 — 1907 წლები) მუშათა კლასი და გლეხობა გადიან პოლიტიკური აღზრდა ისეთ მდიდარ სკოლას, რომლის გავლაც მათ არ შეეძლოთ ჩვეულებრივი მშვიდობიანა განვითარების ოცდაათი წლის განმავლობაში“.¹

მთელ ამ მდიდარ პერაოდს მოიცავენ შალვა დადიანის მინიატურები, რომლებშიაც ავტორმა ალეგორიული ფორმით გამოხატა რევოლუციური აღმავლობა, იერში ძველი წყობილების წინააღმდეგ და პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული რეაქცია. მართალია, ეს მინიატურები მხატვრულად არ არიან სრულყოფილნი, მაგრამ მათი ლაკონიური ხასიათი, ძირითადი იდეის ლამიდარული გამოხატვა, მშრომელი ხალხის — მუშებისა და გლეხების — ბრძოლასათვის მხარის დაჭერა, გამარჯვებისათვის ხელის შეწყობა მათ გარკვეულ პოლიტიკურ და ლიტერატურულ ღირებულებას აძლევს. ძნელი არ იყო მკითხველს სწრაფად გაეგო ავტორის მისწრაფება მინიატურაში „სიხარულის არის ცრემლები“, რომელიც დაწერილია 1904 წელს. ის „სიხარულე“, მწერალი რომ გვიხატავდა, ან „სინათლე“, „ყრუ გრავინვა“, „გრძელა საუკუნე“, „ქარი“ — მკითხველში გაუგებრობას არ იწვევდა. „ხოლო მინიატურის ფინალი მთლიანად ამიშველებდა სურათს:

„ქალაქში? გესმით რა ხრილია? არა, ეს არ გავს მოთქმა-კენესას. ეა ყიფინაა, შორი კი, მაგრამ ნყარი, ძლიერი, თითქოს შედგდა ძალთა-ძალი და, ჰე, მქუხარებს... ავერ სინათლე... ღმერთო ჩემო, ეს სიხარია? ხომ არ ვგაყდები, თუ მაღლურ ფერიად წარმოტაცეს და სიხარში სამოთხის კარს უნდათ მიშავდონ, რომ კვლავ გული უფრო მომიკლან...“

არა, ჰა, ხმა მესმის საიშედო, გმირული ხმები... წელი გავმართეთ, აწ შევინძრეთ, ირიტრატავა! აღსდგეი მონავ, აწ შევიგე ბნელში აღარ ხარ! რაღად ემზობი აბა პირქვე, თამამად და წინ...

¹ იხ. „საქართველო კ. პ. (2) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 113.

ერემლები მახრჩობს.

მხოლოდ... სიხარულის არის ცრემლები...¹⁾

ერემლები

2022-01-11 11:11:11

ეს სიტყვები ორმოცი წლის წინათ დაიწერა. შემთხვევით არა მყარ, რომ მწერალი ამ პანგებს გამოსცემდა თავისი მხატვრული შემოქმედების არსენალიდან. ასეთივე მოტივები დაუდო მწერალმა საფუძვლად ამ პერიოდში დაწერილ „ჩამოკრულებს“ — „მდინარეს“, „ენგურს“, „მეორე მდინარეს“, „შხის... ქიატს“, „ფალავანს“. მათი საერთო ტენდენცია შემდეგი სიტყვებით გამოიხატება: „ჩვენ წინ მივდივართ“ ეს იყო პირველი რევოლუციის წინსვლა, მისი იერიში ძველი წესწყობილების წინააღმდეგ.

ეს სოციალური პრობლემატიკა ზდება საფუძველი შალვა დადიანის რევოლუციამდელ დრამატურგიულ შემოქმედებაშიც.

შალვა დადიანის დრამები, რომლებიც დაწერილია 1905 წლიდან 1917 წლამდე, ფართო სოციალური ტილოებია. ავტორი თანადროულ თუ ისტორიულ თემატიკაში ორგანიულად აქსოვს ეპოქის აქტუალურ პრობლემებს და როგორც სიტყვების განვითარება, ისე კვანძების გახსნა და მომქმედ პირთა პერაპეტული დამოკიდებულება შეპირობებულია დროის ასპექტით. ფანტასტიური სანახაობა „მღვიმეში“ დაწერილია 1905 წელს, პირველი რევოლუციის ქარიშხალში, და მისი ძირითადი იდეა ექსპლოატაციის, ჩაგვრის, შონობის ბორკილების დამსხვრევაა. ეს პიესა 1905 წლის რევოლუციის ბოლო პანორამას წარმოადგენს. მუშა ფიცხელა შეუპოვარი და თავდადებული მებრძოლია. ის მზად არის ყველაფერი მოახმაროს თავისი ძმების — შრომელების განთავისუფლების საქმეს. მისი სიტყვები მტკიცეა და პირდაპირი. ის უშიშარია, მას სწამს შრომელთა მართალი საქმის გამარჯვება. ის ბრძოლაში მხოლოდ ნამდვილ საქმეს სცნობს და უკუაგდება უნაყოფო დაბრუნებებს. ფიცხელას საუკეთესოდ ახასიათებენ მისივე სიტყვები პირველ სანახაობაში: „ჩვენ კი... ჩვენ, შმიერ-მწყურვალნი, სიცივისაგან აკანკალებულნი ჯურღმულს ჩაგვზავნეს. რისთვის? მისთვის, რომ იქიდან ჩვენ წინათლე მივცეთ ამ ბნელ ქვეყანას. აი დახედეთ ჩემს შიშველ ტანსა და შექვიდილ ზელ-ფებს. ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეთ, რას ნიშნავს ესა? მე და ჩემისთანები აღმასის და სხვა სხივის-მომცემ მადაროებში, ჯურღმულებში ვმუშაობთ... მაგრამ... ჩვენ დავამტვრევთ ამ ბაწია ბოქლომებს... მაშინ, ვაი ყველა მათი გამოკალთ ჩვენ, შავი ხალხი, შიშველ-ტიტველნი, მაგრამ თავისუფალნი და ჩვენსა გაშლილს თითებით დავლუწთ იმ ბუნაგებს, სადაც ჩვენი დამღუპველნი ჩაბუდებულან, დავანგრევთ ამ მყარ კედლებს, სულის შემხუთველსა, ჩამოვთხლევთ ამ ხავსს, კედლების გამამარჯებელს, და ჩვენვე დავანგრევთ თაღს, მყარსა და მტკიცეს. ჩვენ ჩამოვშლით მას და ჩამოვუშვებთ იმ საუცხოო მზეს, რომელიც ყველას აგრე ენატრება. მაშ, გაუმარჯოს მუშა-საღალსა!“²⁾

ასე ლაპარაკობს „მღვიმეში“ ფიცხელა და არ შეიძლება მასში არ დავინახოთ ის შეურთებლობა, ენტუზიაზმი და გამარჯვების რწმენა, რაც შრომელ მასებს თან სდევდათ ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის პერიოდში. როგორც აღვნიშნეთ, ეს პიესა დაწერილია ამ ოთხი ათეული წლის წინათ

¹⁾ იხ. შალვა დადიანი: წიგნი პირველი, გვ. 18.

²⁾ იხ. შალვა დადიანი: „პიესები“, ტ. I, გვ. 17, 18, 19.

და მასში მკაფიო გამოძახილი ჰყოფა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესმა მონაცემმა.

შალვა დადიანის მახვილი მხატვრული თვალისათვის შეუმჩნევლობად უტყუარად ჩენილა თავისი დროის საჭირბოროტო საკითხები. ქეშმარიტი ხელოვანის მზნებარებით გამოვხარა იგი, ეპოქის მაჯისცემას და რეალისტმა მხატვარმა თავისი შემოქმედებით პალიტრის საგნად აქცია ის, რაც აღელვებდა, ძალას აძლევდა და ასულდგმულბდა ხალხის ფართო მასებს. შალვა დადიანი თავიდანვე გამოვიდა, როგორც სახალხო შემოქმედელი, ხალხის მიწრაფებათა გამომხატველი ხელოვნებაში.

მაგრამ როგორი იყო ეს რეალიზმი? ცხოვრების ასლი თუ გადმოწერა, როგორც საერთოდ ესმოდათ რეალიზმი? არც ერთი და არც მეორე. იგი თავიდანვე უარპყფდა რეალიზმის ასეთ გაგებას. ამ გაგებას თავის დროზე შეებრძოლა სალტიკოვ-შჩედრინი რუსულ ლიტერატურაში, როცა მიუთითა, რომ „ჩვენ ხანდახან შეცდომით გვესმის ის აზრი, რომელიც აქვს სიტყვა „რეალიზმს“ და ხალხით უფრთხვბთ მას ბუნებიდან უბში მექანიკური გადმოწერის რაღაც მაგვარს, მსგავსად იმისა, როგორც მატერიალიზმის გაგებას ბევრი უფრთხვბს ყოველგვარი ფიზიკური მძღრობის ცნებას“.

რეალიზმი არ ნიშნავს სინამდვილის მექანიკურ გადმოწერას. ცხოვრება გააზრებული უნდა იყოს, საჭიროა „ტიპური ხასიაფების ტიპურ გარემოებაში გადმოცემის სისწორის“ დაცვა, როგორც ენგელსი მიუთითებს. აღებულისა ის, რაც ტიპური და აუცილებელია იმისათვის, რომ ცხოვრება გადმოიცეს დამაჯერებლად, ცოცხლად და ოსტატურად. მაგრამ ხელოვნება მარტოდენ ტიპურის გზით ვერ წავა. რომანში ან ხელოვნების რომელმე ძეგლში ყველაფერი როდია ტიპური. ამ უკანასკნელის გამოსახატავად მრავალი მეორე და შეათხარისხოვანი დეტალია საჭირო. მაგრამ ყველა ისინი ძირითადი იდეის გამოხატვას, ტიპურის სრულყოფას ემსახურებიან. არ შეიძლება, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის უკვლავ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ ტიპურ მოვლენად მივიჩნიოთ უკანასკნელი სურათი, სადაც ერთნეტლის მომგვრელი სიმძაფრითაა აღწერილი ზამთარში ოთარაანთ ქვრივის სიკვდილი გიორგის საფლავთან. მაგრამ ეს სურათი უდიდესი ოსტატობით დახატული ეპილოგია, რომელიც შეილისადმი დედის უსაზღვრო სიყვარულის — ამ ტიპური მოვლენის — მკვეთრ გამოხატვას წარმოადგენს. მთელი მოთხრობის მანძილზე მწერალი მრავალი დეტალით, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ ტიპურნი, გვიჩვენებს გიორგისადმი ოთარაანთ ქვრივის უსაზღვრო სიყვარულს. ეს სიყვარული ნამდვილად მშობლიურია და, ბოლოს, გადამწყვეტიც. ამ სიყვარულმა მიიყვანა ოთარაანთ ქვრივი, მოხუცი ქალი, თავისი შეილის გიორგის საფლავთან. ამ სიყვარულმა საბოლოოდ შეაჩერა ბრძოლითა და ტანჯვით განაწამები დედის გულის ძგერა და იგი შეილის სიყვარულს შეეწირა. ამგვარად, შეილის საფლავზე დედის გარდაცვალება არ არის ტიპური, მაგრამ იგი ემსახურება ტიპურის — შეილისადმი დედის უსაზღვრო სიყვარულის — სრულყოფილ მხატვრულ გადმოცემას.

რეალისტი მხატვარი არ არის ბუნების ასლის გადამღებო „ხელოვნების ამოღანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ვადაილოს ბუნების ასლი, — არამედ გამოხატოს იგი. შენ უბადრუცი ასლის გადამღები კი არა ხარ, არამედ პოეტი“, — ამბობდა „უცხო შეღვერას“ ავტორი. ეს „პოეტი“ ჯერ კიდევ

არისტოტელემ დაახსიათა უკვდავს „პოეტკაში“, როცა მას სინამდვილეზე მეტის გამოხატვის უფლება მისცა.

შალვა დაღინის შემოქმედებაში ამ რეალიზმს ვხვდებით. მისი პირველი ახალ-როგორც მის პირობას, ისე დრამატურგის. თუ „მღვინეში“ იველისტი მწერალი ამ ესთეტიკური პრინციპების გამოყენებით თავისი დროის მოთხოვნებზე ამბობს გვიხატავდა, 1907 წელს დაწერილ პიესაში „როს ნადიმობდნენ“ ავტორმა გვიჩვენა ფეოდალური და ბურჟუაზიული ურთიერთობის რღვევა და ახალი საზოგადოებრივი კლასის, მუშათა კლასის, ბოლო თავისუფლებისათვის. აქედან სიამს, რომ მწერლისათვის ეს თემა შემთხვევითი არ იყო და მას ზღირად უბრუნდებოდა. ეს პიესა ყურადღებას იქცევს მუშათა კლასისა და გლეხობის კანშირის ჩვენებით და შეიძლება ითქვას, იგი პირველი დრამატული ნაწარმოებია, რომელიც ამ თემას გვიხატავს.

თავდაზნაურობის ისტორიული გადაგვარების, მისი შინაგანი ძალების დაცლისა და გამოფიტვის ამოთხოვად გვევლინება „შენი კირიშე“. ამ საღებავები ბუნებრივი და გადაუჭარბებელია. მასალა მწერლისათვის ისე ნაცნობია, რომ გგონიათ, ავტორს არაფერი გამოუგონია დრამატული ფაბულისათვის.

მაგრამ ამ პერიოდის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს კომედია „კუშინდელი“. ეს პიესა მთელი პართული დრამატურგიის მიღწევად არის აღიარებული. სიტყვიერი მასალის სიუხვე, ტიპების დიპაზონი, ეპოქის კოლორიტის საუტხოვად გამოცემა ამ კომედიას აძლევს უფლებას იწოდებოდეს კლასიკურად. მასში ყველა ტიპი თუ მოქმედი პირი მხატვრულად არის დასრულებული. პირველყოფლისა ეს ეხება თავად კოწიას, შალვა ბინტროშიძეს, აღიკოს, კეცინა ჩიტუნიას, კეცელას, მანრის უფროსს და ჯიბო კვანტრიშვილს.

ამ კომედიაში ხასიათები რატატურად არაა გამოკვეთილი და უნებურად გვაგონდება ის სირთულე, რომელიც ოდესღაც შენჩინა ლესინგმა თავის თეატრალურს რეცენზიებში. აქტიური კულტურისა და დრამის შესახებ იგი ლინინაქა: „წესების ყველაზე უფრო მკაცრ დაცვას არ შეუძლია სავაგერო მიზნოს ხასიათების გამოხატვაში უმნიშვნელო შეცდომასაც კი“. ხასიათების გამოხატვა ყველაზე უფრო რთული თუ არა, ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი და არსებითი სირთულე მაინც არაა. ხელოვნანს ხასიათის გამოხატვად ჰკირდება უკიდესი გამოცდილება და რატატობა — ბოლომდე შენარჩუნებული უნდა იქნას ის, რაც მხატვრული ნაწარმოების დასაწყისში გადაიშალა მკითხველისა თუ მნახველის წინაშე. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ხასიათი სტატური და უცვლელი უნდა იყოს, თითქმის პირველად გახსნილი ხასიათი ბოლომდე უცვლელი დარჩეს: მხდალი, რომანის დასასრულსაც მხდალი მოგვევლინოს, შარმაცი — ისეუ შარმაცად, ტრაბახა — ისეუ ტრაბახობით გვართობდეს. არა, ხასიათების განვითარება, კანონზომიერი ცვლილება ხელოვნება უნდა გვიჩვენოს ბუნებრივად, დამაჯერებლად, ისე, რომ საფუთავლი მზიხე ამ განვითარებისა და ცვლილებებისა იყოს დასაბუთებულად, გამართლებული, დამაჯერებელი, მკითხველს ოდნაედაც რომ არ აეჭვებდეს იმაში, რაც მოხდა. მე ავიღებ-ვინიშნის რომანს, რომელშიც ავტორმა უკიდესი რატატობით გვიჩვენა ახალგაზრდა ბერტონის სტლიეი

გარდაცემა, ის მიიშე ტრაგედია, რომლის შედეგად ბრმა მორწმუნე, მეოცნებე და ღვთისმადიდებელი ყმაწილი გადაიქცა შეუპოვარ ათურქულე გაზრდა იტალიის“ გამოჩენილ მოღვაწედ და რევოლუციონერად რივიერესად. ამ გარდაქმნაში არაფერი არ არის დაუგებებელი, თუმცა აღნიშნული აქვს გადაჭარბებას. მაგრამ იგი თვალს და ყურს არ ეხამეშება, ხასიათებს კი აძლიერებს. ძნელია მხატვრისათვის ხასიათის ისე ჩამოყალიბება და განვითარება, რომ ფაბულის მსვლელობაში უზადო დარჩეს. მაგრამ ამას აღწევენ ნიჭიერი მწერლები და, „გუშინდელნიც“ შალვა დადიანს ასეთ ოსტატთა შორის წარმოგვიდგენს.

ორი ისტორიული ქანრის პიესა — „ვარამი“ (1916 წელი) და „გეგეკორი“ (1915 წელი) ავტორმა მიიჩნია, როგორც „ოცნება“ — „ღუგუნდა“. პირველი თამარ შეფის ეპოქას გვასახტავს, ხოლო მეორე სამეგრელოში ბატონყმობის ხანას. „ვარამი“ მძაფრსოციალურ დრამას წარმოადგენს. ხალხის გულხსატემას ავტორი სწევდება, შეფესაც მიახვედრებს, თუმცა, გზის ჩვენება არც ერთს არ შეუძლია. ეს პიესა არ არის თამარის ისტორიული ზოტბა. ეს მეთორმეტე საუკუნის შინაგანი დრტკინვის გამოხატვაა და იმდროინდელი სოციალური ძალების კიდილის უკუფენაა. „გეგეკორში“ ავტორმა გვიჩვენა დემოკრატიული იდეებით შთაგონებული, განსწავლული ახალგაზრდა, რომელიც აშკარა ბრძოლა უცხადებს უამართლობის ინსტიტუტს. ავტორი ეთილშობილი, მიმზიდველი ფერებით, ორგანიული მთლიანობით გვიხატავს მას და მკითხველს თუ მაყურებელს ოდნავი ეკვიც არ ეპარებათ, რომ გეგეკორი და სიღუ თავიანთი იდეებით სხვა ეპოქას ეკუთვნოდნენ. ეს პიესები ხალხში ნერვაგდნენ სიყვარულს ქეშმარიტებისადმი, სირთულილს ნაგვრელებისადმი, აღაგზნებდნენ სამართლიანი საქმის დასაცავად, პირდაპირ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ, და ამაში იყო მათი იდეურ-მხატვრული ღირებულება.

შალვა დადიანის ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობანი მთელი ძალით გაიდურჩქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლებამ, მადლიერმა ხალხმა 1923 წელს შალვა დადიანს დიდი ზეიმიით გადაუხადეს სამწერლო, სასცენო და საზოგადო მოღვაწეობის ოცდაათი წლის იუბილე.

თავისი დიდი მხატვრული ტილოები შალვა დადიანმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნა. „ნაპერწყლიდან“, „გიორგი რუსი“, „კაჟალ გულში“, „ჩატხილი ხაი“, „ნინოშვილის გურია“, „თეთნულდი“ ქართული მკითხველისა და მაყურებლისათვის ფართოდ არის ცნობალი.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში შალვა დადიანმა პირველმა გვიჩვენა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების შექმნა, მშრომელი ხალხის დარაზმვა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. პიესა „ნაპერწყლიდან“ მონუმენტური მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც დრამატურგმა შექმნა ამხანაგ ლატერნტი ბერიას ბრწყინვალე მშრომის საფუძველზე — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. „ნაპერწყლიდან“ გადაიქცა ხალხის საყვარელ დრამატიულ ნაწარმოედად, მიმზიდველ და აღმადგრთოვანებელ სპექტაკლად. ამ პიესაში დადიანმა ჩააქსოვა მთელი თვისი ოსტატობა, სიყვარული და

ყოფნა. ავტორმა დიდი ექსპრესიით გვიჩვენა ახალგაზრდა სტალინის გენიალური სახე, მისი დაუცხრომელი ბრძოლა, მასების დარაზმების წინააღმდეგობა უნარი, მშრომელთა უსაზღვრო სიყვარული თავისი დიდი მშვენიერებისა და ბელადისადმი. პიესაში ნაჩვენებია პერიოდი 1901 წლიდან ტამერფორსის კონფერენციამდე, როცა ლენინი და სტალინი, „მთის არწივი“ და „მგზნებარე კოლხიდელი“ პირველად ხედებიან ერთმანეთს, ნაჩვენებია ეს პერიოდი ყველა თავისი სოციალური ფენითა და ძირითადი ტენდენციით.

პიესა ვითარდება ორი ძირითადი სიუჟეტური ხაზით. მათ ავტორი ფონად იყენებს მთავარისა და არსებობის გამოსახატავად. ერთის მხრივ, საბაგოს მოხელის ზიკოვისა, ხოლო მეორეს მხრივ—მუშაველიმუშეის ოჯახის დაპირისპირებით დადიანმა შესძლო ჩვენს წინაშე დაეხატა არა მარტო ორი ფენა, არამედ, ამ დროს მოქმედი ყველა საზოგადოებრივი კლასი. მეოცე საუკუნის გარტირაციი საქართველოში ნაჩვენებია რეალისტური ფერებით. და როცა პიესას კიბოხელობთ და სპექტაკლს ხედავთ, თქვენს წინაშე მთლიან სურათად დგება მთელი ეპოქა, თავისი მამოძრავებელი ძალებით, ადამიანებით, აზრებითა და მისწრაფებებით. შესანიშნავად გვიჩვენა ავტორმა, თუ როგორ შეხედნენ ბათუმის მოწინავე მუშები ახალგაზრდა სტალინს, რომელიც 1901 წელს ჩავიდა მათთან და რომელმაც გააჩილა ბრძოლა კართველი „ლეგალური შარქისტების“ წინააღმდეგ. მოაწყობ მუშათა წრეები, დარაზმა ისინი თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშები გრძობენ, რომ ბათუმში ამხანაგ სტალინის ჩასვლის შემდეგ „სულ სხვა ქარმა დაქროლა“. მუშა სევერიანე ამბობს: „ხელმძღვანელის ჩამოსვლის შემდეგ თავს ამაყად ვგრძობ, მუშის სახელწოდება აღარ მეთაკილება“. შალვა დადიანმა დამაჯერებლად გვიჩვენა მუშების კლასობრივი თვითშეგნების ამაღლება, მათი ბრძოლა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. აქ ნელისა დავახასიათოთ ამ პიესის ყველა ღირსება, — პიესისა, რომელმაც კართულ საბჭოთა დრამატურგიაში ღრმა კვალი გააფლო და რომელიც მის საუკეთესო მიღწევას წარმოადგენს.

შალვა დადიანის პიესები — დრამა „თეთნულდი“ და კომედია „კაკალ გულში“ საბჭოთა სინამდვილეს ასახავენ. ორივეს ერთად მხოლოდ იმიტომ ვიხსენიებთ, რომ მხატვრული სიძლიერით ისინი გარკვეულ ადგილს იკავებენ ჩვენს დრამატურგიაში. „თეთნულდი“ ძველი და ახალი სფანეთის ბრძოლას გამოხატავს. ერთ მხარეს დგას მოხუცი არგისი, ძველი სფანეთის აღათებისა და ტრადიციების დამცველი, ხოლო მეორე მხარეს — ახალგაზრდა გელახსანი, რომელიც ცდილობს დაიმორჩილოს თეთნულდის მიუღწევი მწვერვალი — „ღმერთების სადგომი“, როგორც მას არგისი უწოდებს. პიესის სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ იმარჯვებს ახალი, საბჭოთა სფანეთი და თეთნულდის მწვერვალზე მართლაც აღის ადამიანი — გელახსანის მუღღლე. ეს პიესა საბჭოთა ალბინიზმის ძალასაც გვიხატავს. შემოქმედებითი ოსტატობის, დრამატული ინტრიგებისა და გმირების ფსიქოლოგიური სამყაროს ჩვენების მხრივ „თეთნულდი“ შალვა დადიანის საუკეთესო პიესათა რიცხვს ეკუთვნის.

ცნობილი კომედია „კაკალ გულში“ იდეურად ვერ არის დახვეწილი. ავტორმა კერძო და ზოგად მკაცრად ვერ განსაზღვრა, იმითმ საბჭოთა აპარატში ბიურკრატისმის შემოსევები მას განზოგადებულად გამოუვიდა,

ტივიურ ფორმაში. ამან, ბუნებრივია, დასწია ოსტატურად დაწერილ კომედიის იდეური ღირსება.

დრამატურგიაში ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად შალვა დადიანი რომანებსა და მოთხრობებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ რიგ პუბლიცისტურ, პოლემიკურ, ლიტერატურულ და აქტუალურ პოლიტიკურ წერილებზე, რომლებსაც იგი ხშირად აქვეყნებდა ჩვენს პერიოდულ პრესაში.

მხატვრული პროზის დარგში დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს რომანი „გიორგი რუსი“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა.

„შალვა დადიანის ვრცელი რომანი „გიორგი რუსი“ პირველი ისტორიული ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა პროზაში. მასში ასახულია მეთორმეტე საუკუნე. ისტორიული ფაქტების სისწორით გადმოცემა, უაღრესად რთული სინთეზის შედარებით საღვ. განვიხარება, მდიდარი სიტყვიერი მასალა, ეპოქის ღრმა ცოდნა, ტიპების ფსიქოლოგიური სამყაროს ოსტატური გამოხატვა ამ ნაწარმოებს აყენებენ ქართული მხატვრული პროზის თვალსაჩინო ნაწარმოებთა რიგში. ეს ნამდვილად ისტორიული რომანია, მიუხედავად მისი ზოგიერთი ნაკლისა. ავტორმა ოსტატურად დაგვიხატა რომანის მთავარი მოქმედი პირები — თეიმურაზ მეფე, გიორგი (იური) რუსი, მისი აღმზრდელი კუზმა, პოეტი გოდერძი ჩორჩანელი, ვარდან დადიანი, უტანდარი და მრავალფეროვანი გალერეა ადამიანებისა, რომლებიც ამ ვრცელ ნაწარმოებში არიან გამოყვანილნი. რომანი უქაზახიციდანვე იპყრობს მკითხველს. ავტორმა პირველი სტრიქონებიდანვე გადაწყავს მკითხველი მეთორმეტე საუკუნეში, სწრაფად აჯადოებს მას, სწორედ ისე, როგორც დობროლიუბოვი ამბობდა ტურგენევიზე — პირველივე სიტყვით გვხიზლავსო. „გიორგი რუსი“ ფართო ისტორიული ტილოა, რომელიც შესრულებულია პროზის ნიჭიერი ოსტატის ყალბით. ასეთივე მხატვრული ძალით იწყება დაუმთავრებელი ისტორიული რომანი „ურდუში“, რომელიც სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას გვიხატავს სახელგანთქმული მჭედლის უბნ მიქაეას ხელმძღვანელობით.

ამ რომანებში ისტორიულ პირებთან ერთად ავტორი გამოგონილ ტიპებსაც გააძლევს, მაგრამ ეს ოდნავაც არ ამცირებს მათ ღირსებას.

გამოგონებას ხელოვნებაში ყოველთვის ჰქონდა და აქვს ადგილი. არც შეიძლება ხელოვნება წარმოვიდგინოთ გამოგონების გარეშე. მაგრამ ეს გამოგონება, მოწყვეტილი რეალობას, იმის, რაც ცხოვრებაში ხდება ან შესაძლებელია მოხდეს, ნაკლებად დამაჯერებელია. ასეთი „გამოგონება“ არც „გიორგი რუსში“ და არც „ურდუში“. აქ გამოგონება მკაცრად ემყარება სინამდვილეს, ვინაიდან ავტორმა იცის, რომ თუ გამოგონება მოწყვეტილია სინამდვილეს, არა მგავს მას, ძნელია მათ შორის საერთოს გამოჩვენება, მაშინ აღარ შეგვიძლია დაეინახოთ კვ. შმარიტი ხელოვნება. ოდესღაც ასე აყენებდა სკოტის სერვანტესი, როცა მიუთითებდა, რომ „გამოგონება მით უფრო უკეთესია, რაც უფრო მსგავსია იგი სიმართლის, და მით უფრო სასიამოვნოა, რაც უფრო აბლოა ნამდვილთან და შესაძლებელთან“. ეს უკანასკნელი აბსოლუტურად აკლდი და არა ჰქონდა საშუალო სატყუნიების რაინდულ რომანებს. ამიტომ იყო, რომ სერვანტესმა მათ შესახებ სთქვა: „ისინი მოკლებულნი არიან ყოველგვარ კვ. შმარიტ ხელოვნებას და თავიანთი უსარკებლობით ღირსნი არიან ქრისტიანული სახელმწიფოდან განდევნისა“. ასე გა-

აძვეა არაქვეშაირიტი, არანამდვილი ხელოვნება დიდმა რეალისტმა და ამით მსოფლიო ლიტერატურას განვითარების ახალი პერსპექტივა გაუჩინა. ისტორიულ რომანებში გამოგონების ადგილის სწორად ფაქტობრივად რეალისტური პრინციპის დაცვამ შალვა დადიანს საშუალება მისცა შეექმნა ისეთი ფართო ეპიური ტილოები, როგორიც არის „გიორგი რუსი“ და „ურდემი“.

არსებობს კიდევ მხატვრული აზროვნების ერთი სპეციფიკური დარგი, რომელსაც გვერდს ვერ აუღლით, როცა შალვა დადიანის შემოქმედებას ვახსიათებთ.

მეცხრამეტე საუკუნის კლასიკური პროზის გაცოცხლება თეატრში ისეთი პაესებით, როგორიც არის „ჩატეხილი ხაღი“ და „ნინოშვილის გურია“ შალვა დადიანის შემოქმედებითს გამარჯვებულ უნდა ჩაითვალოს. ეს არ არის ილია ჭავჭავაძისა და ეგნატე ნინოშვილის მხატვრული პროზის „დრამატიული კომპილაცია“, თუ ამ მწერლებს ბელეტრისტიკა სცენაზე ჩვენ მთლიანი სახით ვნახეთ, ადვილი გასაგებია ამისათვის რა დიდი შრომა და მხატვრული ფანტაზია იყო საჭირო. მაგრამ დადიანს ჰქონდა საკმაო გამოცდილება ხელი მოეციდა ამ საქმისათვის. უფრო ადრე მან კარგად დასძლია ეს ამოცანა, როცა დავით კლდიაშვილისა და მთელი რივი სხვა მწერლების შემოქმედება ვაასცენიერა.

ჩვენს ცროში მწერალს უდიდესი მოვალეობა აკისრია. იგი არა მარტო მწერალია, ამ სიტყვის ძველი გაგებით. საბჭოთა მწერალი მოწინავე მოქალაქე და ხალხის ინტერესების მსახურია. საბჭოთა ადამიანების მორალური და სულიერი ძალების აყვავებისათვის დაუცხრომელი მებრძოლია. ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა მწერალს „ადამიანის ხულის ინჟინერი უწოდა“. უადრესად დიდსა და სამატიო ამოცანას შეადგენს აღზარდო ადამიანის სული, განამტკიცო მისი მორალური ძალები, შთაუწერავს საყვარელი ჩვენი მართალი საქმიანობა. შალვა დადიანი ათეული წლების მანძილზე სახელოვნად ატარებს მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და მოწინავე მოქალაქის სახელს. ამიტომ აფასებს მას ლენინ-სტალინის პარტია. ამიტომ აფასებდა და აფასებს მას ჩვენი ხალხი. ამიტომ ვხედავთ მის პორტრეტებს და მხატვრულ ნაწერებს როგორც რტყულ, ისე უკრაინულ, ბელორუსულ, ესტონურ, ლიტვურ, ფრანგულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე გამომავალ ეურნალ-გაზეთებში.

შალვა დადიანი ეკუთვნის ძველი თაობის იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც მოესწრენ ჩვენი სამშობლოს ბედნიერებას. 1937 წელს ხალხმა იგი აირჩია სსრკ-ის სახელის უმაღლესი საბჭოს დებუტატად. ლიტერატურის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის შალვა დადიანი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს. დაბადების 70 წლისააგზე და ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისააგზე მას გადაეცა მეორე ორდენი. „ექტობიოგრაფიაში“ შემთხვევით არ ვკითხულობთ მრავლისმეტყველ სიტყვებს: „გამამეღაწეობა: სიბერე ტკბილი დამიდგა“. ხალხს საყვარელმა მწერალმა ეს სიტყვები 1938 წელს წარმოსთქვა, როცა მას სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილე გადაუხადეს.

შალვა დადიანი სახლობს ხელოვანია. სამამულო ომის დღეებშიც ასე წარუდგა იგი თავის ქვეყანას, თავის ხალხს. მას ხედავენ წითელი არმიის ნაწილებში, სოციალისტურ მიწებებზე, ფაბრიკა-ქარხნებში. და ყველგან სიტყვით, მხატვრული შემოქმედებით ის უწერავს გულში საბჭოთა ადამი-

ანებს საბოლოო გამარჯვების შტკიცე რწმენას. ნარკვევებსა და მოთხოვნებში „საქართველო“ მწერალმა ჩააქსოვა პატრიოტული გრძნობები. ვეძიებ ვენა საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა. დიდი სტალინის სტალინიან ადრთოვანებული შემოქმედი ხალხის მისწრაფებათა გამომხატველია. ფაშისტი ვანდალებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებას, ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულებას იგი ახმარს მთელ-თავის ძალას „სიტყვით, წერით და მოქმედებით“.

შალვა დადიანმა დიდი შრომით შექმნა თავისი მხატვრული შემოქმედება. თუ ეკონომიურ ტერმინოლოგიას მოვიშველიებთ, ხელოვნება მართლაც „შრომატველია“. ტყუილად არ ამბობდა ერთი გამოჩენილი რეალისტი, რომ პოეტური ნაწარმოებნი ხბადებიან დიდი შრომისა და დიდი განცდის შედეგადო. მან ყველა დიდი მხატვრული სახე, მონუმენტური ტიპი, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურამ მოგვცა, ამ სფეროში მოათავსა. მწერლის ღვაწლს კი დამახებრებულად უწოდა „უკვდავი შრომა“ და რაჩარდსონის კლარისა, ანდრე შენიესკაილა, ტიბულის დელია, არიოსტოს ანეელიკა, დანტეს ფრანჩესკო, მოლიერის ალექსტი, ბომარშეს ფიგარო, ვალტერ სკოტის რებეკა, სერვანტესის დონ-კიხოტი მიიჩნია უფრო რეალურ ადამიანებად, ვიდრე ის ამდვილად ხედავდა ცხოვრებაში. ასეთი შრომის ტვირთს ათეული წლების მანძილზე ატარებდა შალვა დადიანი. გვინდა ერთი სპეციფიურობა კიდევ აღვნიშნათ—მხატვრული სრულყოფის მიღწევას ის ყოველთვის ცდილობდა, როგორც დასაწყისში მივეუთითეთ, სისადავის ხელოვნებით. სისადავე თითქოს ერთნაირი ძალით სჩანს მის პროზაულ და დრამატიულ ნაწერებში. მისი თხრობა ბუნებრივი, აუჩქარებელი, ღრმად გააზრებული და ბოლომდე ნათელია. იქ ძნელად იპოვით ისეთ ფრაზას ან სიტყვას, რომელიც ესთეტიკური სიამოვნების ნაცვლად, სინანულს იწვევდეს ან აზრს აბნელებდეს. შალვა დადიანი იმ ბედნიერ ოსტატთა შთამომავალია, რომელთაც შესძლეს ყველა სიტყვა მათი კმაყოფილი დარჩენილყო. ეს არის მისი ენის საიდუმლოებაც და გასაღებიც.

გარონტი ჭიანჭი

ეგნატე ნინოშვილი

(გარდაცვალებიდან 50 წლიათვის გამო)

ეგნატე ნინოშვილის მოღვაწეობის უკანასკნელი წლები დაკავშირებულია ახალი თაობის გამოსვლასთან ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ამ თაობამ თავის თავს შესაძენ დასი უწოდა, რათა გამოეჩნოდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით მომქმედ თაობას, რომელსაც მან თავიდანვე მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა.

ეგნატე ნინოშვილმა თავისი მსოფლმხედველობა მკაფიოდ თავის ორ პუბლიცისტურ წერილში გამოხატა, რომელნიც მან „ქველში“ მოათავსა 1893 წელს („ძველი დავა ახალ ქერქში“ და „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“). ამ დროს მას უკვე კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა „ივერიასთან“, და ეს წერილები ძველი თაობის და მისი ბეჭდვითი ორგანოს წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ ის ეკამათება არა ილია ჭავჭავაძის, არამედ მისი გაზეთის თანამშრომლებს, შეველეს (დ. მიქელაძეს) და პლებს (ნ. ხიზანიშვილს). ილია ჭავჭავაძის სიტყვები („ჩემო კარგო ქვეყანავ, რისთვის მოგიწყენია, აწყყო თუ არა გწყალობს, მოშავალი შენია“) მას ეპიგრაფადაც-კი აქვს მოყვანილი.

ეგნატე ნინოშვილი უკვე იცნობს მარქსისტულ აზროვნებასაც და კლასთა ბრძოლის თეორიასაც, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მას ნათლად ჰქონდეს გარკვეული მარქსიზმის ურთიერთობა ჰეგელის ფილოსოფიასა და მეცხრამეტე საუკუნის საბუნებისმეტყველო მატერიალიზმთან. ძველი და ახალი თაობის ბრძოლა მას, უწინარეს ყოვლისა, წარმოდგენილი აქვს არა როგორც კლასთა ბრძოლის ანარეკლი, არამედ როგორც ფილოსოფიური და ზნეობრივი პრინციპების შეჯახება. იგი სწერს: „დავას იწყვეს ის გარემოება, რომ ძველი თაობა, აღზრდილი თავისდროინდელ სწავლა-მეცნიერების თეორიებზე და ზნეობრივ პრინციპებზე, ველარ ითვისებს იმ თეორიებს და პრინციპებს, რომლებიც მისი მოხუცების შემდეგ ახალმა თაობამ შეიმუშავა და გაარკვია... მართლაც, ის თაობა, რომელიც აღიზარდა და დაბერდა შელინგის და ჰეგელის მეტაფიზიკაზე, რა თქმა უნდა, ველარ შეითვისებდა ბიუხნერის, მოლერშტის, ჟ. ფობტის და სხვა მისთანა ახალ მეცნიერთა მატერიალურ მიმართულებას და ოგიუსტ კონტის პოზიტურ ფილოსოფიას; ის თაობა, რომელსაც მოხუცებამდე მტკიცედ სწამდა კიუვეს თეორია, მოხუცების დროს ველარ შეითვისებდა დარვინის ევოლუციონურ თეორიას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა ბუნებისმეტყველებაში; ის თაობა, რომელსაც მო-

ხუცდამდე ჭეშმარიტებად მიაჩნდა მალტუსის, სეის, ბასტიას და სხვა მისთანა პოლიტიკო-ეკონომების მოძღვრება, რა თქმა უნდა, მოხუცების დროს ვეღარ შეითვისებდა კარლ მარქსის საპოლიტიკო-ეკონომიურ მოძღვრებას, რომელმაც ძირითადი ცვლილება მოახდინა პოლიტიკო-ეკონომიურ მეცნიერებაში.

მაგრამ ახალი თაობა, ეგნატე ნინოშვილის აზრით, თავისი თეორიული შედეგებით და ზნეობრივი პრინციპებით ყოველთვის მაღლა როდი სდგას ძველ თაობაზე; როდესაც რაიმე მიზეზის გამო ერის პროგრესი ფერხდება, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდის უღონო და მოღუნებული ახალგაზრდობა, რომლის ცივი გული ჭეშმანიურ გრძნობებს ვერ ითვისებს, ხოლო სუსტი კეუა მაღალ აზრებს ვერ სწვდება. ასეთი იყო ის თაობა, რომელიც სამოციანელებს მოჰყვა რუსეთსა და საქართველოში. „და დიაღაც საფუძვლიანია მესამოცე წლების მოღვაწეების ჩივილი ახალი თაობის უიდეალობაზე და დაწვრილმანებაზე“.

რას საჭირო, რომ რუსმა და ქართველმა ერებმა ვინახონ პროგრესის გზაზე სვლა, შეფერხებული გარეგნული მიზეზების წყალობით, რომელთაც ეტორი, ალბათ, ცნებურული პირობების გამო, არ ასახელებს, ვინაიდან საფიქრებელია, რომ ამ ერების პროგრესის მთავარ შემფერხებელ მიზეზად იგი ოთხმოციან წლებში დამყარებულ პოლიტიკურ რეაქციას სთვლიდეს. ამისათვის საჭიროა ისეთი სოციალურ-ეკონომიური წესწყობილების დამყარება, რომელშიც „ერის ყოველ ნაწილს გამოუკლებლად თანასწორად შეეძლოს ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად გაუმჯობესება... კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდა კიდეც ძლიერ მოინდომოთ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებთ და; უნდა მოგახსენოთ, არც სასურველია მისი შეყენება არა თუ საქართველოსთვის, არც ერთი ქვეყნისთვის“. მაგრამ კაპიტალიზმს ერის მცირე ნაწილისთვის სიმდიდრე და უზრუნველი ცხოვრება მოაქვს. უდიდესი ნაწილისათვის კი — აუტანელი შრომა და სიღარიბე. მრეწველობამ და კაპიტალისტურმა წესწყობილებამ აგერ ჩვენშიც იჩინა თავი: „მას არც ჩვენი ნებართვა ეჭირვება, არც ჩვენი ქება-დიდება. მოდის ჩვენთან დაუკითხავად. ინტელიგენციის და მწერლობის მოვალეობა ამ შემთხვევაში ის არის, ისე მოუშხადოს ნიადაგი სიმდიდრეს, რომ მუშას თავისი ნაშრომი რჩებოდეს, ქუჩაში ადამიანი შეშშილით არ კედებოდეს და მდიდრის ძალს ამ დროს დღეში თუმანი არ ჰქონდეს“. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას იგივე მოუეა, რაც, მაგალითად, ძველი ასირიის, ბაბილონის, საბერძნეთისა და რომის ცივილიზაციას მოუეიდა, რომელიც იმიტომ დაეშო, რომ მასში მხოლოდ ერის ერთ ნაწილს ელო წილი.

მკითხველ საზოგადოებაში ეგნატე ნინოშვილი უფრო ცნობილია როგორც მხატვარი, ვიდრე როგორც მოაზროვნე პუბლიცისტი, მაგრამ, როგორც მისი კრძო მიწერ-მოწერიდან სჩანს, ის ბოლო დროს ფიქრობდა საესეებით პუბლიცისტკაში გადასულიყო. „კვალის“. რედაქტორ-გამომცემელს ანასტასია თუმანიშვილ-წერტილისას ის სწერდა: „ჩვენს ქვეყანაში აზროვნებას სძინავს და მხოლოდ ზანდაზან ბოდვისაგან ნაპერ-ნაწყვეტად წამოიძახებს იმას, რაც უკვე ნახევაი საუკუნეა სააზროვნო არქივში არის გადადებული. იმიტომ საჭიროა რომელიმე სამწერლო ორგანომ ვალად ჩასთვალოს ჩვენს ქვეყანაში აზროვნების გამოფხიზლება“. თავის ბელეტრისტულ ნაწერებშიც ეს კისრუ-

ლობდა არა მარტო მხატვრის, არამედ ბრალმდებლის როლსაც. ის პრალს სდებდა არა გერძო პირებს, არა დავით დროიძეებს, ტარიელ ყვლევეძეებს, ლევან ძველსენიძეებს ან მოსე შწერლებს, არამედ მთელ ავადმჯობურად და თავადანაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებას და მის ბიუროკრატიულ და პოლიციურ აპარატს.

ეგნატე ნინოშვილის ბელეტრისტულ ნაწერებს შორის მის ისტორიულ რომანს „ჯანყი გურიაში“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რომანი დაწერილია წერილობითი წყაროების და ზეპირად გადმოცემული ცნობების დიდი ცოდნით. იგი საუცხოო მასალას წარმოადგენს იმ რთული ურთიერთობის განსაცნობად, რომელშიც გურულების აჯანყება დაიწყო და განვითარდა 1841 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში. ისტორიული პირების, აჯანყების სამხედრო მეთაურის, ყოფილი ოფიცერის თავადი ამბაკო შალიკაშვილის, ოსმალეთის აგენტის ჰასან-ბეგ თავდგირიძის, გლეხთა წინამძღოლების როსტომა მეჯიხურისა, პეტრია შვედლისა და თაიძის გვერდით ავტორს გამოყვანილი ჰყავს მოგონილი პირები, რომელნიც სრულად ბუნებრივად თავსდებიან რომანის ჩარჩოებში და არ არღვევენ მის რეალისტურ სტილს.

ავტორი თავისუფალია ყალბი რომანტიზაციისაგან და სრულად დამაჯერებლად ხსნის როგორც აჯანყების დაწყების, ისე მისი დამარცხების მიზეზებს. როგორც ცნობილია, გურულების აჯანყებას პირველი საბაზი ახალი ფულადი გადასახადის შემოღებამ მოსცა. ოსმალეთის აგენტები, ჭობულეთის მფლობელის ჰასან-ბეგ თავდგირიძის მეთაურობით, შეეცადნენ ანტირუსული მიმართულება მიეცათ მოძრაობისთვის და ამ მიზნით კავშირი გააბეს სპარტისტულად განწყობილი გურული თავადანაურობის ელემენტებთან. მაგრამ როდესაც აჯანყებაში გლეხკაცობის ფართო მასები ჩაებნენ, მოძრაობამ სტიქიურად რევოლუციური ხასიათი მიიღო: გლეხკაცობამ მიზნად დაისახა არა რუსეთიდან გამოთიშვა, არამედ ბატონყმობის მოსპობა. ამას მოჰყვა თავადანაურობის განდგომა მოძრაობისაგან. აჯანყებულთ ბოლომდე შოლოდ ამბაკო შალიკაშვილის მსგავსი უტეხი ვაჟკაცები შერჩნენ.

მაგრამ ეგნატე ნინოშვილი სრულიადაც არა სთვლის უნაკლოდ აჯანყებულ გურულა გლეხკაცობის ყოფაქცევას. ის დიდი ობიექტურობით გვისატყვის მის პირველ მასობრივ გამოსვლებს, ღამის მიტინგებს, ფიცის მიღებას, ინტელხიზმს, რომელსაც ის განიცდის გამარჯვების შემთხვევაში. მაგრამ ამასთანავე აგვიწერს გლეხკაცობის დაქსაქსულობასაც, შეუგნებლობას, შემარცხებლობას, სულმოკლეობას. ბოლოს ის გვისატყვის მოლაღატე გლეხებსაც, რომელნიც ჯაშუშების ან მტრის დამჭაშუშების როლებს ასრულებენ, მწელაძეებს, ივანიკებს, კოზიებს და სხვებს. მართალია, აჯანყებულთა მეორე გამოსვლა, რომელიც აგვისტოში ხდება, უფრო ორგანიზებულადაა მოწყობილი, ვიდრე გაზაფხულის გამოსვლა იყო, მისი მიზანიც უფრო ნათელი ხდება, მაგრამ დიდად დამახასიათებელია, რომ საკმაო იყო ეილაც პროვოკატორს დაეძახა, რუსები უკანიდან მოგვადგენო, საკმაო იყო მოლაღატეებს გლეხების ერთერთი ბელადი ბესია უკანიდან დაეჭრათ, რომ შეამბოხეთა მთავარი რაზმი გაფანტულიყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა რომანში გიორგია. ის უმემკვიდროდ დარჩენილმა თავადიშვილმა იშვილა და აღზარდა, მას რუსეთში უნივერსიტეტის ვერსი აქვს დასრულებული. მან არ იცის, რომ შინამოსამსახურის „უკანონო

შვილია“, თავისი თავი თავისი მამობილისა და დედობილის ღვიძლ შვილად მიიჩნია. რუსეთში ყოფნის დროს მას მოწინავე იდეები შეუფერხებლად თავისი აზროვნებით ხალხოსნებისა და დემოკრატების წინამორბედებად აღიქმებოდა. როდესაც გურიის ამბოხების მეთაურები გიორგისთან მიდიან, როგორც განსწავლულ კაცთან, და რჩევას ჰკითხავენ, ის დიდ პოლიტიკურ წინდახედულებასა და სიფრთხილეს იჩენს. ის უმტკიცებს მათ, რომ რუსეთისგან გამოთიშვა საქართველოსთვის უდიდესი უბედურება იქნებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენი ძველყანა წინანდებურად ბარბაროსი მეზობლების სათარეშო ასპარეზად გადაიქცეოდა.

როდესაც გიორგის რჩევისა და სურვილის წინააღმდეგ აჯანყება იწყება, ის გადასწყვეტს, რომ მას უფლება არა აქვს გულხელდაკრეფილი იჯდეს, ის მემამოხეებს უერთდება და სცდილობს აჯანყის მიზანი შეიცვალოს, ესე იგი ჩვენმა ხალხმა რუსებს ვი არ ვაუწიონ წინააღმდეგობა, არამედ მონობას ანუ ბატონყმობას“. მას იმედი არა აქვს, რომ აჯანყებული ხალხი გაიმარჯვებს, მაგრამ თუ სასწაული მოხდება და გლუხკაცობა მოწინააღმდეგეს მოერევა, ის ოცნებობს გურიაში რესპუბლიკური მმართველობა დააარსოს. ამრიგად, გიორგიმ თავდაპირველად სალი პოლიტიკური აღლო გამოიჩინა, მაგრამ შემდეგ პოლიტიკურ რომანტიზმში გადავიდა: ცხადი იყო, რომ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში გურიაში რესპუბლიკური წესწყობილების დამყარებაზე ოცნება მხოლოდ ვაუსწორებელ ფანტაზიორს შეეძლო.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ თვით გიორგი თავისი იდეალიზმით ავტორის იდეალურ ზრახვებს გამოხატავს და მისი ფანტაზიის ნაყოფს უფრო წარმოადგენს, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეში არსებულ ტიპს.

გიორგი ბოლომდე ერთგულებას ინარჩუნებს აჯანყებულ ხალხისადმი. ხოლო როდესაც აჯანყება მარცხდება და გურიაში რეპრესიები იწყება, ის ოსმალეთში გადაიხვეწება. იქ მას რუსეთიდან შეგზავნილ პოლიტიკურ ჯაშუშად მიიღებენ და თავს მოსტრიან კონსტანტინეპოლის შოედანზე. ამ დროს გურიაში თავის საწოლში სიკვდილს ებრძვის მისი საცოლდე „ვეფხისტყაოსნის“ იდეებზე აღზრდილი თავადის ქალი გული, რომლის სიყვარული უბედურად დაიწყო და უბედურად დასრულდა. მას თავდაპირველად დიდ დანაშაულად მიიჩნდა თავისი ძმის შეყვარება, ხოლო როდესაც შემდეგ გამოამკარავდა, რომ გიორგი მისი ძმა არ იყო, მათ შეუღლებას საქმროს უცხოეთში გაქცევამ შეუშალა ხელი.

ასევე ტრაგიკულად არსებობს მეორე შეყვარებული წყვილის — გლუხი ქალის მანასა და აზნაურის შვილის სიმონის რომანი, რომელიც ეპიზოდურად და აწერილი ავტორის მიერ. სიმონს მძიმედ დასტრიან, ხოლო მანას ვაიტაცებენ ვიგინდარები, რომელნიც აჯანყებულთ მიეტმასნენ, როცა მათი საქმე კარგად მიდიოდა, ხოლო დამარცხებისთანავე მათ უღალატეს.

რომანში სწორადაა ნაჩვენები ეროვნული შეგნების სისუსტე ორმოციანი წლების საქართველოში. ნაკლებ დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენს მცორე რეცხოვანი გურულების რაზმის მიერ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეგრელების ჯარის დამარცხება და „ალაიაში გაძვრენა“. ესე იგი შეჯვარედინებული თოფების ქვეშ გატარება. ბოლოს, დიდი რეალიზმიითაა მოხაზული მასანბეგ თავდგირიძე და პეტრია სალაძე.

თავის პატარა მოთხრობებში — „გოგია უიშვილი“, „უცნაური სურნი“, „პალიასტომის ტბა“, „არშიყნი“, „განკარგულება“, „პარტახტე“^{საქართველო} ნინოშვილი გურიის სოფლის პირქვეშ სურათებს იძლევა. ეს ^{საქართველო} გამოთქვლებლივ ტრაგიკულად მთავრდება. გოგია უიშვილის ტრაგედიის განსაკუთრებით ის ვარსკოება ამჟღავნებს, რომ მისი ოჯახის დაწიოკება ახალი წლას წინაღობით ხდება, როდესაც ის ოცნებობდა ჩიხილაკით და გაწყობილი ხონჩით შეხედროდა ტრადიციულ კალანდის. ის ვერ იტანს თავმოყვარეობის შელახვას, საჯაროდ „გაროზგვას“ სოფლის სამმართველოს ეზოში და შინ დაბრუნების შემდეგ თავს იკლავს. ამას მოსდევს მისი ცოლის ჰქუაზე შეშლა და მისი კარმიდამოს გავერანება.

მხატვრული თვალსაზრისით „პალიასტომის ტბა“ ნინოშვილის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობად შეიძლება ჩაითვალოს. აქ დიდი დამაჯერებლობითაა გადმოცემული ნახევრად გაბროლეთარებული გლეხის და მისი ვაჟის ბრძოლა არსებობისათვის, მათი უმწეობა გამძვინვარებული წყლის სტიქიონის წინაშე, მათი დაღუბვა პალიასტომის ტბაზე, ბოლოს, ბუნების გულგრილობა ამ თავისებური მსხვერპლთ შეწირვის შემდეგ.

„სიმონა“ სოციალური პრობლემისადმი მიძღვნილი მოთხრობაა. ამ მოთხრობაში ეგნატე ნინოშვილმა დაგვანახვა ის დანაწილება, რომელიც გურიის გლეხთა ცხოვრებაში მოხდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. თუმცა დავით დროიძე წარმოშობით გლეხია, მაგრამ კაკლის ხისა და სემინდის ვაჭრობით მას მოზრდილი თანხა შეუძენია, ქრთამის შემწეობით სასულიერო წოდების კაცად ჩაწერილა, ხოლო თავის ვაჟიშვილებსათვის ცხოვრების ახალი გზები უჩვენებია: ერთი მათგანი ვაჭარი გამხდარა, ერთი პოლიციის მოხელე, ერთიც ოფიცერი. ამრიგად დავით დროიძის ოჯახი თითქო ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიული კლასის უჯრედს წარმოადგენს. მაგრამ ეს უჯრედი არ არის ჯანსაღი. ამ კლასს საქართველოში ისეთი საიმედო მომავალი არა აქვს, როგორც ევროპის ბურჟუაზიას ჰქონდა თავისი ახალგაზრდობის ასაკში. ნინოშვილის შეხედულებით, ქართველი ბურჟუაზია უპერსპექტივო სოციალური ძალაა, ის ჩანასახშივე იშლება ზნეობრივად.

დავით დროიძის უფროსი ვაჟიშვილი, რომელსაც დიდი სავაჭრო ჰქონდა ქალაქში, ვაკოტრდება, ვალებში ჩაეარდება და ვალოთდება. მისი ცოლი სხვა, უფრო ბედნიერი კომერსანტის საყვარელი გახდება. მეორე ვაჟიშვილს ყალბი ქალაღლის შედგენისთვის ციმბირში გაგზავნიან, ხოლო მესამეს, ტიტოკო დროიძეს, ყაჩაღად გაეარდნილი სიმონა მოჰკლავს თავისი ცოლის გაუპატიურებისათვის. მარტოდ-მარტო დარჩენილი დავით დროიძე სიბერეში იძულებული გახდება თოხით ირჩინოს თავი.

სიმონაში ავტორმა აგრეთვე დაგვანახა, რომ ყაჩაღად გადავარდნას გურიაში ღრმა სოციალური მიზეზები ჰქონდა. ის ყაჩაღები, რომელთაც ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში თავიანთი ვაჟკაცობით გურიაში სახელი გაითქვეს, უბრალო მძარცველები და კაცისმკვლელები როდი ყოფილან. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, სოციალური უსამართლობის და ძალმომრეობის მსხვერპლნი იყვნენ და რადგან სხვანაირად პროტესტის გამოცხადება არ შეეძლოთ, ყაჩაღთა რაზმებს აღგენდნენ, რათა შური ეძიათ თავიანთი მჩაგრელების წინააღმდეგ. ამიტომ ხალხი მათ იფარავდა მთავრობის აგენტებისაგან, ხოლო, როდესაც ისინი იღუპებოდნენ, ლექსებს უძღვნიდა მათს ხსოე-

ნას. ისინი არსენა ოძელაშვილის შემკვიდრებები და შეგნებულნი რევოლუციონერი გლეხების წინაპრები იყვნენ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გენატე ნინოშვილი არც ამ მოთხრობაში იკვლევს ხალხის ყალბ იდეალიზაციას. თუ სიმონას, სრულიად უსამართლოდ, რამდენჯერმე იჭრენ და ციხეში ამწყვდევენ, ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტოდ დავით ღარიბაშვილს, რომელსაც ეშინიან დამოუკიდებელი, ამაყი, გულფიცხი ახალგაზრდა მეზობლისა, — ამაში ბრალი მიუძღვის სოფლის ხალხსაც, რომელიც სულმოკლედ ყველაფერში დავითს ეთანხმება, სანამ ის ძლიერი და გავლენიანია, ხოლო როდესაც ის ღარიბდება და მარტოვდება, მას თავის დაქვრის ღირსადაც არა სცნობს.

„ქრისტიანეში“ აღნიშნულია ის უარყოფითი ზნეობრივი გავლენა, რომელსაც ქალაქი ხშირად ახდენდა სოფელზე რევოლუციის წინაპერიოდში. ამ მოთხრობის პირველი ნაწილი მაინც და მაინც ორიგინალურად ვერ ჩაითვლება: გამოუცდელი და დანდობილი ახალგაზრდა ქალის შეცდენა უქმი და გაღალატებული ყმაწვილი კაცის მიერ, მისი მიტოვება ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვითურთ, ტრადიციულად მოაზროვნე დედ-მამის შეზღუდვა. — ყოველივე ეს უბოლოდ მრავალჯერ დამუშავებული თემის ვარიანტს წარმოადგენს. თავის თავად არც ის არის მოულოდნელი და საერთაშორისო ლიტერატურის მეტეორამოუყვებელი ამბავი, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი პროსტიტუციის გზას ადგება. შორს რომ არ წავიდეთ, ილია ჭავჭავაძემ თავის „გლახის ნამბორი“ ქრისტიანს მსგავსი ქალის ტიპი მოგვცა თამროს სახით. მაგრამ ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში როსკიბი ქალი მოჩვენებასავით გაიჭროლებს მკითხველის თვალწინ, ეგნატე ნინოშვილი კი მთელს იმ გზას გვიჩვენებს, რომელსაც ახალგაზრდა საყვარლის მიერ მიტოვებული ქალი გლეხის ქოხიდან ქალაქის საროსკიბოში მიჰყავს, საროსკიბოდან — საავადმყოფოში, ხოლო საავადმყოფოდან — ჭიჩაში. ის გვიჩვენებს იმ ზნეობრივ კრიზისსაც, რომელიც მის სულში ხდება.

„ჩვენი ქვეყნის რაინდში“ ტარიელ მკლავაძის სახით, ეგნატე ნინოშვილმა ერთ-ერთი უმართლესი ტიპი დაგვიხატა. მართალია, უსაქმობით, ფიზიკური სილამაზით, ქალებზე ნადირობის სიყვარულით მას ჰგვანან „ქრისტიანეს“ გმირები ლევან ძველსენიძე, იასონ უჭმაძე და „სიმონას“ გმირი ტიტოკო ღარიბაშვილი, მაგრამ ტარიელ მკლავაძე მაინც ყველაზე დამთავრებული წარმომადგენელია ფიზიკურად საღი, ხოლო ზნეობრივად გადაგვარებული ქართველი პროვინციული თავადზნაურობისა.

ტარიელ მკლავაძე არც ბოროტ ადამიანად დაზღუდულა, არც დანაშავედ, ის მხოლოდ უკუღმართმა საზოგადოებრივმა პირობებმა გარყვნა. ბავშვობაში მან არაჩვეულებრივ გულადობასთან ერთად ბევრი კარგი თვისება გამოამჟღავნა: „არ იყო ჭირვეული და ბოროტი, იშვიათად წაეჩხლებოდა თავის ტოლ ამხანაგებს, თუმცა-ღა კი გრძნობდა უპირატესობას მათზე თავისი ფიზიკური ღონით; თუ მაინც და მაინც გააჯავრებდა ვინმე, მაშინ კი დათვივით დატოვებდა, თუნდაც გამჯავრებელი ორი-სამი წლით უფროსი ყოფილიყო“.

მთავარი მიზეზი, რომელიც ტარიელ მკლავაძეს ზნეობრივ დამახინჯებას იწვევს, მისი და მისი გარემომცველი საზოგადოებრივი წრის უსაქმურობაა.

რაში უნდა დახარჯოს შრომას შეუჩვეველმა, მოწყენილმა, კარგად გამოყვე-
ბილმა, ჯანსაღმა ახალგაზრდამ თავისი მოჭარბებული ენერგია, თუ არ ღიბინ-
ში, ჩხუბში, ქალების დევნაში? და როგორ შეუძლია ნან უკან დაიხიოს, როგორ
დაბრკოლების წინაშე, როდესაც ყოველ მის გამარჯვებას ხანჯლის ტრიალსა
და სიყვარულის ღარში მისი უახლოესი წრე ტაშის ცემით ეგებება? ერ-
თადერთი ლიტერატურული სახე, რომელსაც ის იცნობს, რუსთაველის ტა-
რიელია, მისი წაბაძულობით ტარიელ მკლავადე ცდილობს კაცი შუაზე გახ-
ლინოს ან თავი სვეტს შეუტაკოს.

რაც შეეხება ტარიელ მკლავადის ანტიბოდს, სპირიდონ მცირიშვილს, ის
მკითხველში, ავტორის განზრახვის წინააღმდეგ, სრულიადაც არ იწვევს აბსო-
ლუტურ თანაგრძნობას. ქართველი მკითხველისათვის, რასაკვირველია, მიუღუ-
ბელია ტარიელ მკლავადის პრიმიტიული ზეკაციური მორალი, რომლითაც ის
ლაპობს ჩვეულებრივ მოკვდავთა საზოგადოებაში მიღებულ ზნობრივ ნორ-
მებზე მაღლა დადგეს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის მიუღებელია სპი-
რიდონ მცირიშვილივით ბეჩაფი მამაკაციც, რომელიც ცხოვრების საბრძოლო
ასპარეზზე მთავარ იარაღად წიგნს იყენებს, რევოლვერს კი მხოლოდ მას შემ-
დე მიმართავს, როცა საყვარელ არსებას დაჰკარგავს.

ისევე, როგორც ეგნატე ნინოშვილის სხვა მოთხრობებში მომქმედი ქალები,
სპირიდონ მცირიშვილის ცოლი დესპინეც მკრთალადაა მოხაზული. რო-
გორც ეტყობა, ავტორი ქალების საზოგადოებას უფრო სუსტად იცნობდა,
ვიდრე მამაკაცებისას, და მძაი დარიკოები, მანაები და დესპინეები ერთმა-
ნეთს პგვანან ტყუბად დაბადებული დებივით. ისინი თითქმის ყველანი ძალიან
ახალგაზრდები, ლამაზები და სათნოებით აღსავსენი არიან, მხოლოდ ზო-
გიერთს შავი თვალები აქვს, ზოგიერთს ცისფერი და ზოგიერთს კიდევ თაფ-
ლისფერი. გამოხატვის მხოლოდ ქრისტიანე წარმოადგენს თავისი განსაკუთ-
რებული ზედით და სულიერი განცდებით. ამ ქალების უდიდესი უშეღებობა
ისაა, რომ მათ თითქმის გამოუკლებლივ იტაცებენ და ნამუსს ზდიან.

„ჩვენი ქვეყნის რაინდში“ რკინისგზა, თავისი სადგურათ, ზევისს მიერ გა-
ფუძვებული ლიანდაგით და დაგვიანებული მატარებლით, საბედისწერო
როლს ასრულებს მოთხრობის სიტუეტის განვითარებაში. ქართულ ლიტერა-
ტურაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ბელეტრისტულ ნაწარმოებში
უპიროვნო ტექნიკური ძალა გამოსულიყოს ადამიანების გვერდით. თვით ეგ-
ნატე ნინოშვილის პატარა მოთხრობის „გამარჯულების“ მომქმედი პირი
კაცია მუნჯადე მხოლოდ იმიტომ დაიღუბა, რომ მან დაღლილობა ვერ დას-
ძლია, რკინისგზის ლიანდაგზე დასდო თავი და მატარებლის მსხვერპლი გახ-
და. ნაკლებ აქტიურ როლს ასრულებს რკინისგზა გიორგი წერეთლის „პირ-
ველ ნაბიჯში“. მაგრამ შეიძლება ამ რომანსა, რომლის ხელნაწერი ავტორს
ეგნატე ნინოშვილისთვის დაბეჭდვამდე წაუკითხავს, მასზე ერთგვარი გავ-
ლენა მოეხდინოს: ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ იერემია წარბა რამდენ-
იმედ ტარიელ მკლავადის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს.

გიორგი წერეთლის „რუს მგელში“ გამოყვანილი სოფლის ადვოკატის სამ-
სონ ჯიბიაშვილის პარალელს წარმოადგენს აგრეთვე ეგნატე ნინოშვილის
მოსე მწერალი. მაგრამ აქ სწორედ უფრო პარალელზე შეიძლება ლაპარაკი,
ვიდრე საკუთრივ ლიტერატურულ გავლენაზე. ორივე მწერალმა, ერთნაეთ-
თან ძლიერ მდგომარეობაში ლიტერატურული მიმართულებით, ერთი და იმავე მიტად

გაგრცელებული საზოგადოებრივი ტიპის სხედასხვა ვარიანტი ასახა. ორივემ დაგვანახა, რა ზიანის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის ზერეულად განათლებულ ადამიანებს, რომელთა მადაც უბერიოდ დაყენებულ დაბალ მოსახლეობაზე სკოლას გაუძლიერებია, მაგრამ სამაგიეროდ სინდისის წმა სრულწინად დაუდუმებია.

მოსე შწერალი ყველაზე უარყოფითი სახეა ეგნატე ნინოშვილის მიერ შექმნილ გალერეაში. ის უფრო ანტიპატიურ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ტარიელ შკლავაძე ან დავით დროიძე: ანგარების კარნახით, რაღაც ხუთი თუმნის გულისთვის ის თავისი კლიენტების გულუბრყვილობას იყენებს და რამდენიმე კაცს ღუბავს. ხოლო ის გარემოება, რომ მოსე შწერალი თავისი გააძვერობით და უტიფრობით თავისი თავის გადარჩენას ახერხებს კატორღისაგან, მკითხველს უფრო ამხედრებს მის წინააღმდეგ.

„მოსე შწერალში“ ეგნატე ნინოშვილი განსაკუთრებით ენებიანად გამოვიდა თავისი დროის საზოგადოების მამხილებლის როლში. როგორც თვით მოსე შწერალი, ისე ბოროტი და შურიანი ბაგოატა ქერაძე, რომლის დასმენით უნათლოშვილები იღუპებიან, წარმოშობით გლეხები არიან. მხოლოდ პარველი ზნეობრივად ყალბ განათლებას გაუხრწნია, ხოლო მეორე—კერძო საკუთრების კულტს. ამრიგად, მოთხოვნიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ თავდაზნაურულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მარტო მაღალი წრეები კი არ იყვნენ დაავადებულნი, არამედ მთელი საზოგადოება საჭიროებს შეკურნალობას და გადახალისებას.

ეგნატე ნინოშვილს ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ ის თითქოს ობიექტური მხატვრის როლს ივიწყებდა და მამხილებელ პუბლიცისტიკისკენ იხრებოდა. ეს საყვედური არ იყო სავსებით მართებული. მუდმივი ვაჭირების გამო მას არ შეეძლო თავისი ნაწერებისთვის მხატვრულად დასრულებული ფორმა შეეცა. თვითონაც ხშირად თავმდაბლად აღიარებდა, რომ მის მოთხოვნებს შესწორება სჭირდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის მოთხოვნებში ის მიზნად არ ისახავდა მარტოდენ ესთეტიკური სიამოვნება მიენიჭებინა მკითხველისთვის, ის ცდილობდა ჰუმანური გრძნობები გაეღვიძებინა თავისდროინდელ საზოგადოებაში, სიბრალულის გრძნობა გამოეწვია უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანებისადმი, დაენახებინა, რომ მთელი ეს საზოგადოება საჭიროებდა გარდაქმნას. და ამ მიზანს მართლაც აღწევდა თავისი ზნეობრივი პატიოსნებით, სიმართლის სიყვარულით და მიუღვაობლივობით, რომელიც შორს იყო ცივი ოლიმპიელის გულგრილობისაგან.

პასილ ბარნოვის ისტორიული რომანები

შემოქმედებითი მეთოდი და მხატვრული სტილი

მხატვრული ნაწარმოები სინამდვილეს ასახავს უმთავრესად ადამიანებით, ხასიათებით. „ხასიათი ქეშმარიტად მთავარი ხელოვნებაში... ხასიათის გარეშე არ ვლინდება არაერთი ინდივიდუალობა-ო“, — ამბობს პეგელი.) ამიტომ ხასიათის და მგირის პრობლემა ისტორიული რომანის ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მომენტია.

ისტორიული პიროვნების ხასიათის დახატვა მეტად რთული პრობლემაა, რომელიც ადვილად გადასაწყვეტი როდია თვით ძალიან დიდი მწერლებისათვისაც-კი. ლევ ტოლსტოი „ომსა და შშვიდობაზე“ მუშაობის დროს, 1866 წელს, თავის მეგობარ პოეტ ფეტს სწერდა: „ხასიათების და მოფიქრების გარდა, მე მაქვს კადვე მოფიქრება ისტორიული, რაც მეტის-მეტად ართულებს ჩვენს მუშაობას და რასაც, როგორც ჩანს, ისე ვერ ვართ ვეე თავს, როგორც საჭიროა. ამის გამო იყო, რომ პირველ ნაწილში ხელი მოვკადე ისტორიულ მხარეს, ხასიათი კი დგას და არ იძვრის. ეს არის ნაკლი, რომელიც ნათლად შემაცნობინა თქვენმა წერილმა და რომელიც, ვფიქრობ, გამოვასწორებ“.) სწორი პროპორციები ისტორიულ სინამდვილესა და პერსონაჟის ხასიათს შორის, ისტორიული სინამდვილის ისე გახსნა, რომ პერსონაჟი არ იღვევს ერთ ადგილას, არამედ მოძრაობდეს, ვითარდებოდეს და თანაც ემთხვეოდეს ისტორიას, — ყველაფერი ეს მეტად ძნელი და პასუხსაგები ამოცანაა ყოველი ისტორიული რომანის ავტორისათვის.

ე. ბარნოვი ოსტატია ხასიათების დახატვაში. ამოტ კურაპალატი, გრივოლ ხანძთელი, გურანდუხტ, თინათინ, ნოშრევანი, ხვარამზე, ამზილი, თებრონია, შუქია, ბაქურ ათაბაგი, გოდერძ ბურდული, საამ გოსტაშაბი-შვილი და სხვები გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული ხასიათები არიან. ისინი მთელი ნაწარმოების მანძილზე მოქმედებენ, ვითარდებიან, ჰქმნიან კოლიზიებს და ყოველ ეპიზოდში თავიანთი ადამიანურა „მეობის“ ახალ მხარესა და თვისებას ამჟღავნებენ. „პერსონაჟები დასაწყერის მოთხრობისა თუ რომანისა ნათლად მიდგა თვალწინ, თათქოს სარკეში ციყურები და ყველაფერს აშკარად ვხედავ“, — ამბობს ე. ბარნოვი.) დიად, წარსულ ცხოვრების სარკეში ხედავდა იგი უკვდავ სახეებს — ამოტ კურაპალატისა, გრივოლ ხანძთელისა, თამარ მეფისა, გაორგი სააკაძისა, თინათინ გურიე-

¹) „Vorlesungen über die Aesthetik“, 1927, I, 319.

²) Л. Толстой — „Полное собрание сочинений“, под ред. П. Бирюкова, 1913 г. т. XXI, стр. 182.

³) ე. ბარნოვი — „თხზულებანი“, წერა-კითხვის გამ. საზ. გამ., ტფილისი, 1920 წ., ტ. I, გვ. XVI.

ლისა და სხვებისას. გრ. ყიფშიძესთან საუბარში ვ. ბარნოვი უთქვამს: „სურათები თვალწინ მიდგას, პერსონაჟებს ისე შევხვდები, თითქმის სცენაზე დადიანო და ვხედავ, ვინ რა უნდა წარმოქმედოს...“¹⁾ სიათასა და ბუნებისათვის“¹⁾. პერსონაჟის ყოველი მოქმედება და გამოვლილი ბილვა, შინაგანი მღელვარება და გულის ოდნავი გაბრუნდება-კი არ გამოვხარება ვ. ბარნოვს და იგი ცალმას ერთი მოსმით აქანდაკებს დაუღიფყარ სახეებს.

ვ. ბარნოვის რომანებში უშუალოდ ერწყმის ერთმანეთს საკეთრივ ისტორიული და კერძოდ ყოფილი პლანი. მათ შორის არ არსებობს დამორჩება, განხეთქილება.

ცნობილია, რომ სასიყვარულო-რომანიული ინტრიგების მატარებელ პიროვნებად ვალტერ სკოტს ყოველთვის განაჩყავს გამოვონილი პერსონაჟები, რომელნიც სიუჟეტურად დაკავშირებულნი არიან ისტორიულ მოვლენებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ეს გარემოება, რასაკვირველია, იწვევს ინტერესის გაორებას. ვ. ბარნოვი მოვლენების ჩვენებისას მიჰყვება იმ გზას, რომელიც მოცემულია ალფრედ დე ვინის „სენ-მარში“ და საერთოდ ფრანგი ისტორიული რომანების ავტორების უმეტესობის ნაწარმოებებში, სადაც სასიყვარულო ინტრიგება დაკავშირებულია ისტორიულ პირებთან.

ვ. ბარნოვი წარსულში ეძებს ძლიერ ვნებებსა და მხატვრულ სახეებში წარმოგვიდგენს მათ ბრძოლას, კოლაზიებს. მას უყვარს პიროვნება, როგორც დიდი დრამატიზმის დამტყვი არსება, და ენამუქერობით გვიშლის თავის პერსონაჟთა მღელვარებასა და ფიქრებს. მართალია, პერსონაჟების ერთ ნაწილზე მწერალი დაფრთხილებით მოგვითხრობს (მათი სიტუეტური აფექციის მიხედვით, სხვებზე შედარებით ნაკლებს მსჯელობს, მაგრამ თხრობის მიმდინარეობაში ამ უკანასკნელთა როლიც ბოლომდე და თვალნათლივ არის გახსნალი. ვ. ბარნოვის რომანებში არ არიან „დაკარგული“ ან „დაიწყებულ“ პერსონაჟები, როგორც ეს გვხვდება ბევრი დახელოვნებული მწერლის ნაწარმოებშია-კი.

ვ. ბარნოვი აკვირებს მკითხველს ადამიანური ხასიათების სრულყოფილი გამოხატვით. მისი გმირები კი მკითხველის წინაშე წარმოსდგებიან დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნებით — საუბრით, მოქმედებით, მანერებით, უჩვენობით, ტანსაცმლით, იარაღით და სხვ. ვ. ბარნოვის რომანებში ეჭრა ენახავთ სქემატიურ დაყოფას გმირებისას — კეთილ და ბოროტ არსებებად. იგი ჰქვნიის რთულ ხასიათს, რომელსაც საერთოდ არა აქვს რა პირობითი ფსიქოლოგიური ნომენკლატურის ხასიათებთან. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელ დეტალს გამოგვიყვამს გრ. ყიფშიძე „ტრფობა შამშელის“ პირველად გამოქვეყნების თაობაზე. იგი სწერს: „როდესაც ავტორმა რომანში მიაღწია კრიტიკულ მომენტებს, ვკითხვ: „აჰა, ახლაა საქმე, ორა ბუმბერაზი — აშოტ დიდი და არა ნაკლებ დიდი და დიდბუნოვანი გრიგოლ ხანძთელი ერთმანეთს უნდა შეეჯახნენ და როგორ გაიტანა-შეთქი თავს ამ ვიწროვებში, ან რას მოუხერხებ იმ გარემოებას, რომ ორივე ძლიერი და ორივე ერთნაირად კანონიერი და ბუნებრივი გრძნობა... ერთმანეთს უპირისპირდება რომანში და რომელს მხარეზე უნ-

¹⁾ იქვე, გვ. 15.

და დადგე-მეტქი“. ვ. ბარნოვიმა პასუხად დაახლოებით ასე თქვა: „ქვე არ“ მსტიქერებს, არც მაშინებს, ჩემი სარკე მეტყვის, როგორ უნდა მოქცევს ან ერთი, ან მეორე. ამ ორი გრძნობის ქიდილში-კი, რასაც ჩემი სარკე ერთ-ერთი გაიმარჯვებს და ეს გამარჯვება იქნება სრულიად შექნებური და ბუნების კანონივით აუცილებელი. მე თვითონ კერძოდ მონაწილეობას არ ვიღებ ამ ბრძოლა-ქიდილში, ჩემი ვალია— ის დაეხატო, რასაც ვხედავ ჩემის გონების თვალთ, რასაც სარკე მიჩვენებს. მე იქნებ სხვაფრივაც მიხედოდეს მივსართო გმირთა მოქმედება, საქცაელი, სიტყვა-პასუხი, მაგრამ ჩემი საკუთარი წდომა და სურვილი აქ არაფერ შუაშია. იქ ის უნდა ითქვას და იქნას, რაც სათქმელია და სათქმელი გარდუვალის კანონის ძალით.“) მართალია, ამ სიტყვებით ყოველივე ნათლად და დამაჯერებლად არა აქვს მწერალს გამოთქმული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ერთგვარად მაინც ვვირყევს თავისი შემოქმედებითი მუშაობის მეთოდის ზოგიერთ მომენტს, რომლის მიხედვითაც იგი ძალიან ბევრად თავის ნაწარმოებებში გმირებს, ხასიათებს.

ერთი და იგივე ხასიათი, ისევე, როგორც სიტუატურა სქემა, ხშირად მეორდება ვ. ბარნოვის რომანებში. ეს გარემოება მისი შემოქმედების სუსტი მხარეა. ამზაილი („არმაზის მსხვერვა“), ფარსმან ვოდერძიანი („ხაზართა სასძლო“), გარდან („თამარ მრწემი“), ფარნაოზ („სახიფათო სიყვარული“), ზურაბ ქოლრაიაშვილი („ნათელმოსილი“), ბაკურ ათაბაგი („დედოფალი ბიზანტიისა“), ნოსრევიან („მიმქრალი შარავანდედი“), ვოდერძი ბურღული („განგების რკალში“), საამ გოსტაშაბიშვილი („ისინი ცისკარი“) და სხვანი დიდად მსგავსი ხასიათები არიან, რო ულთაც ძირითადად ერთნაირი თვისებები აქვთ, ერთნაირ სიტუაციებში არიან მოქცეულნი. ყველანი სრულიად გამოხატავენ რაინდას კეთილშობილურ თვისებებს, ვაჟკაცობას, თავდადებას, სატრფოსა და სანაშობლოსადმი განუსაზღვრელ სიყვარულს. ბევრს სასახლო საქმეებსაც აკეთებენ ისინი და საჭირო შემთხვევაში სიცოცხლსაც-კი ვასწირავენ ზოლმე. ისინა არსებითად განასახიერებენ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ გმირებს. შეიძლება ითქვას, რომ მათი ხასიათისა და გარეგნობის ჩამოყალიბებისას ვ. ბარნოვს უთუოდ წინ იდგა ტარიელისა და ავთანდილის დიადი, უკედავი სახეები. ასევე, თინათინისა და ნესტან-დარეჯინისაგან მომდინარეობს ვ. ბარნოვის ქალთა სახეებიც: ხათუთა („დედოფალი ბიზანტიისა“), ზვარამზე („არმაზის მსხვერვა“), თინათი („ისინი ცისკარი“), თამარ („თამარ მრწემი“) და სხვ. ქალ-ვაჟთა სამიჯნურო ურთიერთობა ვ. ბარნოვის რომანებში ხშირად ძალიან ემსგავსება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სურათებს. მწერალს თავისი ასტორიული რომანების შექმნისას თითქოს ყოველთვის მხედველობაში აქვს რუსთაველის პოემის გმირები, მათი თავგადასავალი, მოქმედება, შეხედრები და დიალოგები. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია „არმაზის მსხვერვა“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „განგების რკალი“, „მიმქრალი შარავანდედი“ და „ისინი ცისკარი“. „არმაზის მსხვერვაში“ ბევრია ისეთი დეტალი თუ ეპაზოდი, რომელიც პირდაპირ იმეორებს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სიტუაციებს. საკმარისია მოვიფიქროთ, ერთის

1) ვ. ბარნოვი — „ახზულუბანი“, წერა-კითხ. გამ. საზ. გამ., 1920 წ., ტ. I, გვ. XVI—XVIII.

მხრივ, — ამზაალისა და მირიანის ასულის ხეარამხეს მიჯნურობა და ამ მიჯნურობის გარშემო გაშლილი პერიპეტეები, ხოლო მეორეს მხრივ — ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტან-დარეჯანის სამიჯნურობის ურთობა.

„არმაზის მსხვერველს“ მთავარი პერსონაჟი ამზაალი მირიანის ოჯახს არის შეზრდილი, მეფე-დედოფალი მას შევიდევით უყურებენ. იგი მეტად მოხდენილი და სწორუბოვარი გმირი-რაინდია, სამეფო ჯარის მხედართ-მთავარი. მას შეჰყვარებია მირიანის ასული ხეარამხე, მასზე ოცნებობს მუ-ღამ. ხეარამხეს გულშიაც ანთია სიყვარულის კოცონი, მაგრამ შეყვარე-ბულნი დიდხანს ვერ ახერხებენ გამოუტყდნენ ერთმანეთს სიყვარულში. მალე ამისი საბაბიც მიეცემათ. ამზაალი ბაქარს მიჰყვება საომრად, ეთხო-ვება დედოფალსა და ხეარამხეს. ამზაალი შეხედა ქალს და მოახსენა: „შე-ნი ნაქონა რამ ნივთი მფარველ ხატად მომეკლინება იმ განსაცდელში“. „ქალმა ვაუღიმა ამ თქმავედ. შეიხსნა მელავანდი“: „ჩემს სახსოვრად გქონდეს ესა, დედასთან ერთად გლოცავ, მოგანიკოთ გამარჯვება თქვენ და ჩვენს ლაშქარს“. ამზაალი გამარჯვებული ბრუნდება. ამ გარემოებამ ქალის ვული უფრო მოაჯადოვა. უცხოელ მეფეთა შეილები თხოულობენ ხეარამხეს, კერძოდ წერილი გამოუგზავნა ხატაველთ მეფეს, ქალს სთხოვს მირიანს თავის შვილისათვის, თვით ვიახლებათ მალე პირადად, გაიგო ეს ხეარამხემ, არ სურს გაჰყვეს უცხოელს. შეწუხებულმა ხეარამხემ დაუძა-ხა მოხუცებულ შიმღწევარს, გაუმკლავნა თავისი გულისტკივილი და უბრძა-ნა დაუკონებლევ მოუყვანა მასთან ამზაალი. იმასაც უნდა შენთან მოსე-ლაო. — უბნება შიმღწევარი ხეარამხეს. გამიჯნურებული ამზაალი ვი-ევიით დადის განმარტობებულ, არავითარ ხალისს არ იჩენს. ვადასცეს მას ხეარამხეს წერილი, რომელშიაც ეწერა: „მიახელ ეხლავეო“. ამზაალი მა-შინვე გაემართა სასახლისაკენ, ეახლა ქალს, ეთაყვანა. ხეარამხე ტახტზე იჯდა, ანიშნა ანზაილს მის გვერდით დამჯდარიყო. „ვიცი, გიყვარვარ, — მიმართავს ხეარამხე ამზაილს. — ამისრულე სთხოვარი, პარძლოდ უნდი-ვარ ხატაველთ მეფეს, მაგრამ მას ვერ გაუყვები. დამიმტკიცე სიყვარუ-ლიო“. ამზაალი მზადაა სატრფოს სურვილები შეასრულოს, თუნდა ეს სი-ცოცხლის გამწირვასაც მოითხოვდეს. შეძღვეში ამზაილმა საარაკო გმირო-ბა გამოიჩინა — დაამარცხა გოლიათი რაინდი — თურანელი. ამ გამარჯვე-ბამ უფრო ასახელა იგი. ხეარამხემ კვლავ ახმო ამზაილ თავისთან. „მეფ-ლო ოთანში. ქალთა მზე თვით მოეგება, გადაეხვია... იალერსეს, იმხიარუ-ლეს, მრავალი სთქვეს ჟხმოდ, უსიტყვოდ“... საბოლოოდ შეჰფიცეს ერთ-მანეთს სიყვარული. — „მომეცი ფიცი, არ გაჰყვები სხვას, არც ხელმწი-ფეს“. — „გითხარ, მიყვარხარ, სიცოცხლე ჩემი შენი სიცოცხლე, ქვეყანა შენი ჩემივე ქვეყანა, ღმერთები შენი ჩემივე ღმერთები“. უდავოა, რომ ეს ამბავი მოყვანილ ეპიზოდებში დიდად ემსგავსება ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტან-დარეჯანის სამიჯნურო ისტორიას.

ცალკეული მხატვრული სურათების გადმოცემისას ვ. ბარნოვი „ამირან-დარეჯანიანის“ გავლენასაც განიცდის. ასეთია „არმაზის მსხვერველ-ში“ და „განგების რკალში“ ბუმბერაზთა შეტაკება იარაღით ძალ-ღონის და ვაეკაობის ჩვენების მიზნით. იმავე წყაროდან მომდინარე ეპიზოდი გვაქვს „ტრფობა წამებულში“. ეს არის ბრძოლის ასაარგზე შეხვედრა ცნობილი რაინდის გობრონ ხერთვისელისა და incognito-დ გამოჩენილის ჰაბუკ.

აშოტ კურაპალატისა. ეს უკანასკნელი ეპიზოდი მოგვეგონებს აგრეთვე ვალტერ სკოტის „ივენგოში“ მოთხრობილ ეპიზოდს, როდესაც უჩინარდ ლომგული incognito-დ ბრუნდება ინგლისში, გამოდის რაინდებს შუენიანებაში მოგონილი გვართ და ნილაბით, და მრავალ სახელოვან ვაჟაკს ამარცხებს.

ვ. ბარნოვის მიერ წარმოდგენილი ხასიათები, გმირები უმეტეს შემთხვევაში ცქვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს და მათი შეჯახება ჰქმნის კოლიზიებს. კონტრასტული სახეებია აშოტ კურაპალატი და გრიგოლ ხანძთელა, გურანდუხტ და შუქია, ზურაბ ჭოდრაიაშვილი და დიმიტრი ბატონიშვილი, მარიამ და ტასიკო, გიორგი სააკაძე და შადიმან ბართაშვილი და სხვ. მათი ინტერესების შეჯახებებს საფუძველზე ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ყოველთვის იქმნება გამაფრებელი დრამატის შესძეველი კოლიზიები.

სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ვ. ბარნოვი თავის გმირებს ხატავს „ფრესკული მხატვრული მანერით“¹⁾. ეს მოსაზრება მთლიანად არ შეიძლება გავრცელებულ იქნას ვ. ბარნოვის შემოქმედებაზე და, კერძოდ, ისტორიულ რომანებზე. ქალთა სახეების (ხეარაშხე, შუქია, მაკრინე, თინათო და სხვ.) ასახვისას მწერალი მართლაც მიმართავს „ფრესკულ მხატვრულ მანერას“, სამაგიეროდ არაფრით არ უდგება ეს პრინციპი ისეთ პერსონაჟებს, როგორც არიან გიორგი სააკაძე, შადიმან ბართაშვილი, საამ გოსტაშვილი და სხვ. პერსონაჟების ხასიათები ვ. ბარნოვის რომანებში ყოველთვის იხსნებიან ფაბულის შინაგანი დრამით და არა აღწერილი და გარეგანი სურათების ჩვენებით. მთავარი პერსონაჟები სრულყოფილად ამქლავებენ თავიანთ ხასიათს და იმავე დროს გვეხმარებიან გვევლოთ მცორეზარისზოვანი პერსონაჟების ხასიათებიც. მისი ისტორიული გმირები არ არიან განყენებული იდეის გამოხატულებანი, არამედ განაზორციელებენ ცოცხალ რეალურ ხასიათებს.

ზოგჯერ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვ. ბარნოვი აღამიანებს მოსაჯვ გადაჭარბებით გამოხატული და გამომქლავებული მგრძნობელობით და ენებიანობით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო სინამდვილეში, მაგრამ მის მიერ ასახული ადამიანთა მოქმედების შინაარსი, აზრი ყოველთვის მართალია საზოგადოებრივი და ისტორიული თვალსაზრისით. ასევე ხშირად ხატავს აგი მონომანებს, ერთი ენების ადამიანებს, მაგრამ მისი პერსონაჟების მეტწილზე მიიწევი ვერ ვიტყვი, რომ ის, როგორც ხასიათი, იყო ყალბი, ნაძალადევი. მწერალი იმდენად აძლიერებს თავისი გმირის თვისებების რელიეფურობას, რამდენადაც ეს აუცილებელია ხასიათის გასაგებად. ვ. ბარნოვი პერსონაჟის ყოველ აზრსა და გრძნობას აძლევს იმ დროის ტემბრს, კოლორიტს, ნიშებს, რომელშიაც სწარმოებს მოქმედება.

ვ. ბარნოვი თავის რომანებში უმთავრესად რჩება რომანტიკოსად. ლირიკული თბრობა, სახეობრივ-პოეტური საშუალებების (ეპიტეტები, მეტაფორები, ჰიპერბოლა, აწეული ემოციურობა და სხვ.) სიმკვეთრე, ხასიათების დებატევა, წამოღებელი აქვს სწორედ რომანტიკული პოეტიკიდან. მაგრამ წარსული ცხოვრების ისტორიულ-ყოფითი მოვლენების ჩვენებისას იგი გამოდის რეალიზმიდან, თუმცა ეს რეალიზმი განსაკუთრებული,

¹⁾ ვ. ბარნოვი — „ფრად-ფრადი“, გამ. „ფედერაცია“, 1934 წ., სიმ. ჩიჭოვანის წერილი, გვ. VII.

ბარნოვისებურაა, თუ შეიძლება ასე ითქვას „გარომანტიულუბულია“. მაქსიმ გორკიმ ერთხელ შენიშნა, დიდი მწერლების შემოქმედებაში რეალიზმი და რომანტიზმი „თითქმის ყოველთვის ერთადაა წარმოდგენილი“-ო¹⁾. ამ მოსაზრების ნათელ დადასტურებას გვაძლევს სწორედ ვ. ბარნოვი მთელი თავისი შემოქმედებით და კერძოდ ისტორიული რომანებით. იგი იძლევა რომანტიზმისა და რეალიზმის ორიგინალურ შეერთებას, თანაარსებობას.

ვ. ბარნოვის ისტორიული პროზის ძირითადი სტრუქტურული პრინციპია მკვეთრად გამოხატული დრამატიულობა, შეერთებული ფილოსოფიურ პრობლემურობასთან. მისი მიზანია, რომ ფსაქოლოგიური მხრით შევიდეს ისტორიაში, მოვლენათა განვითარებაში. ვ. ბარნოვის მეტწილ რომანებში მრავალრაცხოვან ფარააციებად განვითარებულია ერთი და იმავე გვარის სქემა და მდგომარეობა. ეს მხატვრული პრინციპი მომდინარეობს ვალტერ სკოტიდან. ვ. ბარნოვის რომანებში ერთგვარ სქემას და მდგომარეობას უმთავრესად ჰქმნიან სატრფიალო ამბები.

ვ. ბარნოვის, როგორც ისტორიული რომანების ავტორის, ღირსება აღწერის ოსტატობაა. იგი შესაფერისად იცნობს იმ გარემოებას, რომელსაც აღწერს. შორეულ ეპოქებს, ყოფას, მოვლენებს იგი აგვიწერს იშვიათი სურათოვნებით. ისტორიული კოლორიტი ყოველთვის გადმოცემულია სისრულით. ისტორიულ პირობებსა და მდგომარეობას იგი თან ურთავს ეპოქის ყოველგვარ აქსესუარს და ამ საფუძველზე ჰქმნის შესანიშნავ კოლორიტს. მკითხველს მის რომანებში ამათუიმ ეპოქას მუდამ მოაგონებენ ძველი დროის საგნები და ტერმინები, რომლებსაც ჰპარბად იყენებს ავტორი. მისი რომანებია აღსავსეა კოლორიტული სურათებით, ისტორიული გარემოს და ყოფის აღწერებით, რაც იმას მეტყველებს, რომ მწერლისათვის კარგად ნაცნობია ქვეყნის წარსული და მისი ისტორიული ტიპები. ძველი ეპოქის სულიერი და მატერიალური კულტურის ზედმიწევნით ცოდნით, ძველი ეპოქას ადამიანთა ფსიქოლოგიურ სამყაროში შესვლით, ვ. ბარნოვი იძლევა ისტორიული ყოფის სულს, არომატს. ან მხრივ მან გვასწავლა წარსულის წარმოდგენა თითქმის ხელშესახები ცონკრეტულობით.

„სიძველის აღდგენის“ მეოთხე ვ. ბარნოვს ძალზე რთული აქვს. მისი „ანტიკვარული“ საქმიანობა მრავალფეროვანია. იგი იტევს არა მარტო ისტორიკოსის, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფის, არქეოლოგის, ზნეჩვეულების და ფსიქოლოგიის მკვლევარის მუშაობას. მან კარგად იცის წარსულის ისტორიული დეტალები. თავისი გმირების პირით ვ. ბარნოვი ყოველთვის ხმარობს ტიპურ ძველ გამოთქმებს, სიტყვებს, რომელიც უკვე კარგა ხანია აღარ არის ხმარებაში (თუმცა ამ შემთხვევაში იგი ყოველთვის ვერ იტავს ზომიერებას, ხშირად უჭიდურესობაში ვარდება). მთელი ამ კომპლექსით იგი გვიჩვენებს ძველი ყოფის დამახასიათებელ მოვლენებს და ამით მას შევყავართ „ეპოქის სულში“.

ვ. ბარნოვი მრავალ გვერდს უთმობს ისტორიული გარემოს აღწერას. მის რომანებში ადამიანებთან ერთად ცხოვრებას ჰქმნის ბუნება, ციხე-კოშკი, ტანსაცმელი, იარაღი და საერთოდ მთელი გეოგრაფიულ-ანტი-

¹⁾ М. Горький — „О литературе“, изд. „Советский писатель“, Москва, 1935 г., стр. 195.

კვარული მასალა. მაგრამ ვ. ბარნოვის რომანებში არ გვაქვს ის ძველ-მარცხობა, რაც ახასიათებს ვიქტორ ჰაუგოს მის ცნობილ ნაწარმებს ლეთისწიშობლის ტაძარში“. ამ რომანის ნამდვილი „გმირი“ არაა მისი მთავარი მთავარი, არამედ შენობა — პარიზის ლეთისწიშობლის ტაძარი, ქვეში გამოხატული საშუალო საუკუნეების კულტურა, ქვეში გამოკვეთილი ფეოდალურ-კათოლიკური ტრადიცია. ტაძრის ასახვაში ვიქტორ ჰაუგო აღწევს უდიდეს ოსტატობას. ვ. ბარნოვის მხატვრული თხრობის ცენტრში მოქცეულია არა რომელიმე შენობა, საგანი, ან ბუნება, არამედ ადამიანები და რეალური მოვლენები. ვ. ბარნოვი მძაფრ ბრძოლას აწარმოებს ზუსტად შესწავლილ არქეოლოგიურ დეტალებთან, ცდილობს დაუბრუნდეს ისინი მთლიან პოეტურ იდეას, რათა შექმნას დასრულებული მხატვრული სახე ძველი ცხოვრებისა.

ვ. ბარნოვი ხშირად ერთი წინადადებით მთელ ამბავს გვაუწყებს, რის გამოც ამბის შესახებ თხრობა მრავალფეროვნად იშლება და მოსაწყენი არა ხდება. რომელიმე ეპიზოდი ან სახე ნაჩვენებია ერთი ან ორი წინადადებით, მაგრამ ისე დროულად და ოსტატური გამოთქმით, რომ გკოთხეულის ცნობიერებაში იქმნება სრული შთაბეჭდილება ასახული ვითარებისა. მაგალითისათვის საკმაოა სურათი რომელიღაც გალანშერებისა შაპ-შაბურის წინააღმდეგ: „მოიგრაგნებოდა-რომეღელთა ძალა, ფეხთა მტვერი ღრუბლად მოსჩანდა“... („არმაზის მსზვრევა“). ხელოვნური ორიოდ სიტყვით გაშალა მწერალმა ბიზანტიელთა მოსვლის ამბავი, მაგრამ ჩვენს წინაშე აისახა გრანდიოზული პანო მრისხანე დამპყრობელთა დაუნდობელი შემოსევისა. კიდევ ერთი მაგალითი ამ ხასიათისავე: როცა აზნაილი დაპირილი დაასვენეს მის სამყოფელში, სანახავად მივიდნენ დედოფალი ნანა და ხეარამზე. ამ უკანასკნელის მიწვლამ აზნაილს მთლად დაავიწყებინა ძნელად ასატანი ჭრილობა-კი: „ველარ გრძნობდა ვერაფერს ტკივილს. შზად აყო მოვალერსა ჭრილობისათვის: მან გააბედნიერა იგი, თავის ფეხით წოიყვანა მის ოჯახში მისი მზეთა-შზე“ („არმაზის მსზვრევა“). ამ ორიოდ სტრიქონში იგრძნობა განუხაზვრელი ტრფიალება და სიყვარული აზნაილისა, ხეარამზესადმი. მსგავსი მაგალითები ბევრია არა მარტო „არმაზის მსზვრევაში“, არამედ ვ. ბარნოვის ყოველ მხატვრულ ნაწარმოებში; ასეთივე დიდი აზრი აქვს მიკუთვნებული ვ. ბარნოვის რომანებში მხატვრულ დეტალსაც. გავიხსენოთ სცენა „მიმქრალი შარავეანდელიდან“, როდესაც მამია გურიელის მეჯინიბე ცხენის ავეჯანდას უხერხულად დაუტყვს. მრისხანე მთავარი მაშინ არას ეტყვის თავის მსახურს. მაგრამ ვაჟა დრო და მთლიანად გაიხსნება ეს შემთხვევა. გურიელი გასასყიდად ვაჟენის ტყვეებს და ამის გამო მიმართავს იგი თავის სახლთუხუცესს: „ჩამგვარე ის ხუთი ტყვე ზოვდაგარს. ე, მეჯინიბეც გაიყოლე თან. სახლთუხუცესმა ბორკილებით შემოკვილ ხუთ ტყვეს მეჯინიბეც თან წაუმატა ნაყიდი მხეველის საფასში“.

ვ. ბარნოვის ნაწარმოებში დიალოგი ასრულებს მნიშვნელოვან როლს. ისე არსად არ ირკვევა პერსონაჟის ხასიათი, როგორც დიალოგში, რადგან მოდილოდგე მოქმედ პირს თავისი საკუთარი, თავისებური სიტყვა-პასუხი აქვს და თავისებური გარეგანი მოქმედებით (სახის გამომეტყველება, სხეულის მოძრაობა და სხვ.) ამჟღავნებს თავის ხასიათს. ვ. ბარნოვი რომანებში დიალოგს აქვს არა მარტო ამბის, შემთხვევის თხრობისთვის, არამედ ის აგრეთვე ხატავს მოსაუბრე პირს, მის მანერებს, ხა-

სიათსა, ინდივიდუალობას. ვ. ბარნოვის თითოეული პერსონაჟი რამდენიმე რაკობს საკუთარა, ჩამოყალიბებული ერთ (თუმცა ავტორი ყოველთვის ამას ვერ იცავს). ამიტომაც, რომ დიალოგი, როგორც მხატვრული ერთეული უხვად არის მის რომანებში, მაგრამ დიალოგს ჩვეულებრივად თან დაჰყვება კოლორიტული და ევზოტიკური ყოფითი ფონი. ხშირად ვ. ბარნოვი ფაქტიურად ერევა თხრობის განვითარებაში, ურთავს თავის თავთან, ან თავის გმირთან დამახასიათებელ დიალოგს. ეს დიალოგი აცხოველებს თხრობის მიმდინარეობას და იმავე დროს ამკვეთრებს მის მიზანდასახულებას.

ვ. ბარნოვი კომპოზიციის ასტატია. მოხდენილად და დინამიკურად ანვითარებს იგი რძმანის ფაბულას, ხუდაშ ხელში უჭირავს თხრობის ყველა ძაფი. მიუხედავად ზოგიერთი დეფექტისა (ზედმეტად გაღაპარებული აღწერა, წიაღსელები, სტატიკურობა და სხვ.), ვ. ბარნოვის ეს ასტატობა ნათლად მოსჩანს ყოველ მის ნაწარმოებში. მას აქვს თხრობის ნიჭი და მდიდარი ფანტაზია, უნარი დაზატოს კოლორიტული სურათები, აღწეროს ბუნების თვალწარმტაცი სურათები. ცალკეული ტიპი ასახულია საუცხოოდ, განსაკუთრებით გარეგნული სილამაზის მხრით. ამა თუ იმ ასტორიული, ან გამოგონილი პერსონაჟის გამოჩენა რომანში ყოველთვის დასაბუთებულია ფაბულის განვითარების აუცილებლობით. მდიდარი ფაქტიური მასალა და მომჭმედ პირთა დიდი რაოდენობა ვ. ბარნოვის ყოველ ნაწარმოებში საფუძვლიანად არის ორგანიზებული. მისი რომანი აგებულია მტკიცედ, მთლიან და დასრულებულ არქიტექტურულ შენობად.

ვ. ბარნოვს მკითხველი თავიდანვე შეჰყავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობაში. მოულოდნელად რომელიმე უჩვეულო სიტუაციის შექმნით ავი იტაცებს მკითხველს და შემდეგ არაოფე ანელებს დაძაბულ მდგომარეობას, პირიქით, თანდათან აძლიერებს მას და ამწირად თხრობა წარმოადგენს არა უბრალოდ ერთმანეთის რიგრიგობით შემცვლელ საინტერესო ამბებს, არამედ — ხარად და შანაგანად ერთმანეთთან დაკავშირებულ ვითარებათა ორგანიულ ცვალებადობას. ვ. ბარნოვი ნაწარმოებს თითქმის ყოველთვის აგებს, როგორც დრამას.

ვ. ბარნოვს შეუძლიან რამდენიმე სიტყვით ან წინადადებით დაგვიხატოს გარკვეული სურათი, მოგვეცეს ამა თუ იმ გმირის დამახასიათებელი თვისებები ან განწყობილებები გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებით და შემდეგ მათი განმეორება თითქოს აღარ არის საჭირო, მაგრამ აქე როდო იტყვევ იგი, ყოველთვის. მას უხერხულად როდო მიაჩნია განსაკუთრებულ განწყობალებათა და შემთხვევათა განმეორება რამდენჯერმე. ყველა ამ განმეორებას ვ. ბარნოვი თავის დაუშრეტელ სიტყვებთა მარაგის წყალობით ახალ-ახალი ეპიტეტებით და დეტალებით ტვირთავს და უკვე ნაუნობ ამბავზე ისევ საკმაოდ ვრცლად გველაპარაკება. ეს, რა თქმა უნდა, დიდად უშლის ხელს ნაწარმოების თავისუფლად განვითარებას. მართალია, შვერალი ასეთ დროს მიმართავს საინტერესო ხერხს, მოხდენილად ამას დიალოგს გწირსა და თავის-თავს შორის, მაგრამ ეს საინტერესო დიალოგი ზოგჯერ ზეიადდება და ნაწარმოების განვითარებას ზედმეტ ტვირთად აწეება.



საქართველოს
წიგლისწერეთა
კავშირისთვის

ვ. ბარნოვი შესანიშნავად გრძობს ბუნებას. იგი აგვისახავს მას არა ცივი მეთვალყურის თვალთახედვით, არამედ აღფრთოვანებით, პათეტიურად. მას გამოღვიძებული და ცოცხალა ბუნების მრავალი თვალწარმტაცი სურათი აქვს, განსაკუთრებით „გზნების რკალის“ და „სახიფათო სიყვარულის“ დასაწყის თავებში. მაგრამ მას არ უყვარს განყენებულად წარმოდგენა ბუნებისა, იგი არ შეაძლება იყოს თვითნიშანი ან მექანიკურად დანართი რამ, მისი როლი სრულიადაც არ განისაზღვრება მხოლოდ მოქმედების „მოპარობებით“. ბუნება არსებობს როგორც შინაარსის, დრამის თანამონაწილე, მისი განმმართველი. მის მიერ ასახული ლანდშაფტი წარმოადგენს ისტორიულ ლეკორაციას.

ვ. ბარნოვი ბუნებას განსაკუთრებულ სიტუაციაში იძლევა. ბუნება მისთვის მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც მისი გმირების სამოქმედოდ არის საჭირო. პეიზაჟი ნაჩვენები და გამართლებულია არა მარტო მოქმედებით, არამედ იგი თავის მხრით წინის და ამართლებს ინტრიგას, იგი ორგანიზებად არის შესული მხატვრული თსრობას ქარგაში. გავიხსენოთ ვ. ბარნოვის მიერ დახატული სურათი ბუნებისა „ნათელმოსილში“, რომელიც დაკავშირებულია ქართველი მონადირისა და ირანელი მონადირეების შეჯიბრებასთან. კითხულობთ ნადირობია ამ ეპიზოდს და ხელშემაბები კონკრეტულობით წარმოგიდგებათ სიცხისაგან გადაიწვარა ბუნება, ხეობა, რომელსაც პატარა მდინარე ჩაუდის, დაყურადებული კალა, რომლის ტრამალისთვისაც თავი შეუფარებიათ ათასგვარ საშინელ მტყცა თუ ცხოველს. და ამ პეიზაჟის ფონზე მოცემულია შეფეთა მრავალი იდუმალი განზრახვა, დიბლომატიური მლიქვნელობა და ერთმანეთის ჯობნის ინსტინქტით გატაცებულ ადამიანებას საბედისწერო შეჯიბრება. ეს სურათი ისეა შეზავებული და ისეთი მძაფრი ფერებით აქვს მოცემული ვ. ბარნოვს, რომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ მას შესანიშნავს ვუწოდებთ. მართალია, სურათი რამდენადმე „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ ნადირობას წაავსებს, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ ამცირებს ამ სურათის თავისებურ მნიშვნელობას.

ვ. ბარნოვის პეიზაჟისათვის დამახასიათებელია ინტენსიური ემოციურობა, ლირიკული ექსპრესია და ფერების, სიმდიდრე. ბუნება მისი არ არის სტატიკური, იგი ღელავს, სუნთქავს, ცხოვრობს მირებთან ერთად. „ღრუბლიანი იყო ცა. ეტყობოდა, მაღლა ქარი ჰქროდა: ღრუბლები სწრაფად იცვლიდნენ სახეს, დაქანაობდნენ ჰაერით სივრცეში. მოქმედულ ცას ტბაც ჩაეშავებინა, გამდნარი ტყვიის სახე დაედვა მძიმედ მოძრავ ტალღებისათვის. კიდევ იგრაგნებოდა ტბის ზეწარი: შეშფოთებულიყო საგებარო: ამოღულდა წყალი ბუყბუყით, განრისხებდას აბრებდა ძლიერი, ბრძოლას მჭინვარეს; ჯერ კი ისე ცდილობდა თავი შეეკავებინა თუნდ ეამიერად, თუნდ წამაერად“ („ტრფობა წამებული“). და ეს აღწერა ბუნებისა ავტორს განყენებულად კი არა აქვს მოცემული, რაც ასე ხშირია მხატვრულ ლიტერატურაში. ჯერ თითქმის რანდენიმე გვერდზე მოცემულია ბუნების აღწერა და შემდეგ იწყება მშობს თსრობა. ეს „ღრუბლიანი ცა“, „შეშფოთებული საგებარო“, „გამძვინვარებული წყალი“, რომელიც ძლიერ ბრძოლას

აპირებდა აღწერილია მაშინ, როდესაც აშოტ კურაპალატი მოშორდა კარავს და გადაადგა კლდოვან ქიმს ტმისას, სადაც მისი ძე, პატარა ეფრემი წაყვეა სტეებს სათევზაოდ.

აქა ნაკლები მხატვრული სიძლიერითაა აღწერილი აშოტ კურაპალატის სულიერი მდგომარეობა, როდესაც იგი მონასტრიდან დაბრუნდა გაწილბული შუქიას გატაცების შემდეგ:

„დაღანდა უმთვარო დამე იყო. ბნელთა. ღრუბლით შემოსილ ცას ვარსკვლავთა სხივიც დაეზო დედამიწისათვის. ბნელმა ჩანთქა აშოტი, წყვილიაღმა გარესკელმა უსხივომ. მის სულშიც ჩამოწოლილიყო შავი ჯაყრი უნათებელი. იგი სევდა შლილად ქმნილიყო მის გულში, სამარის ტრად დაუძინარად. ჰბრუნავდა მუნ, ჰბრავდა მას უყოვნებ-უსვენებლად, ჰფქვაფდა მარადღამს, ყოველ წუთს თუ წამს. უხილავი იყო ტანჯვა იგი სხვა თვალისათვის, ვით უხილავია სამარის ღილი ზემაველათათვის. მით უფრო ძნელი იყო ვაეკაციასათვის ტანჯვის ატანა, წამების ტვირთვა უთავებელის“ („ტრთობა წამებული“). ბუნება ვ. ბარნოვის ესმარება სრულად და მკვეთრად აღნიშნოს ბერსონაეის სულთაძერა.

გრანდიოზულ დრამატიულ სურათად იშლება გამჭვინგარებელი ბუნება შუამთის ნიდამოებში, სადაც მდნასტერში ჩაყვტილი იყო თინათინ დედოფალი, გურიელის ასული: „ბნელი დამე იყო ღრუბლიანი, უმთვარო, ჰა-ბნელეზული იყო ტყე უღრანი. მვიდროდ მიჯრილი უზარმაზარი ხეები სიბნელეს გავერთიანებინა და ტყე შავად წაჩმოდგომოდა თავს დედათ მონასტრის ზღუდეებს შუამთაში. ქარი მძლავრად არხევდა ტყეა, ბნელდა, აგუგუნებდა, როგორც ადვლებულ წყალს, რომელიც მოიწრაფოდა წარღვნად ყოვლისა. ტყის ერთგვარ გუგუნს ასტვადერებდნენ უცნაურა რამ ხეები, რომელი ეამითა-ჟამად შეიჭრებოდნენ გუგუნში და ხარხარ-კასკასით თავს გადაეცლებოდნენ მონასტერს, კენესა-ობვრით ჩაეშვებოდნენ სხვათა ხმათა გუნდში, ლეწით და მტერევით გზას იკვლევდნენ უფსკრულ ხეღღრანტებისაკენ“ („მიმჭრალი შარავანდედი“). ბუნების ამ მრისხანე ფონზე ვ. ბარნოვი გვიჩვენებს ამქვეყნიურ ცხოვრებისაგან გამდგარს, მონასტრის ზღუდეთა შორის თავშეფარებულ კახეთის დედოფალს თინათინს. თავისი ჩელიეფურობით და სიმკვეთრათ ეს სცენა პირდაპირ შედეგარია.

უნდა ითქვას, რომ ბუნებას ვ. ბარნოვი ერთგულ ადგილს არ უთმობს აქცერთ თავის ნაწარმოებში, მაგრამ სადაც კი მიმართავს მას, ყოველთვის წარმოგვიდგენს მოკლედ, ლამიდარული საუცხოო ფერადებით.

ვ. ბარნოვის შესანიშნავად ესეჩხება აღწერა, მხატვრული სურათების წარმოდგენა. ამ მხრით მისი თვითებული ნაწარმოებები უდიდესი ოსტატობის გამოხატულებაა. ნადირობა, სადღესასწაულო ასმარეზობა და ზეამი, მებრძოლთა შეჯიბრება და სხვა ასეთი ეპიზოდები ყოველთვის დიდი პოეტური ექსპრესიით და ეფექტიურობით აქვს აღწერილი. გეოგრაფიულ ადგილთა აღწერა ყოველთვის ზუსტია და ლოგიკური.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებთან, ენის პრობლემაა. არ შეიძლება სრულად გაფიქოთ მისი ისტორიული რომანების ხასიათი ისე, თუ არ შევეხებამ პრობ-

ლემასაც. თავისებური დამოკიდებულება მწერლისა სიტყვისადმი, როგორც ლიტერატურის მთავარ მასალისადმი, შემოქმედებითი მუშაობის უწყვეტება და მწვევები მნიშვნელობის მოვლენაა. არ იქნება მართებულად მწვევების მუშაობა სიტყვაზე, ენაზე წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ გარეგნულ გამაფორმებელი ამა თუ იმ აზრისა, ამა თუ იმ სიუჟეტისა. ენის, სიტყვის საშუალებით ელინდება მწერლის სტილი. მხატვრული აზროვნება, მსოფლმხედველობა და ისიც, რასაც ასახავს. მხოლოდ სიტყვის საშუალებით ლეხულობენ მწერლის სახეება ობიექტურ მნიშვნელობას, კონკრეტულ გამოხატულებას.

ვ. ბარნოვი ლიტერატურული ენის ოსტატია. მის ორიგინალურ შემოქმედებას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს უაღრესად თავისებური სტილი. მის შემოქმედებაში გამომყდარებულია ისტორიულად შემუშავებული კულტურა და წერის მანერა, შეჩვეულება, შრომისა, შრომისა, რუსთაველმა, საბა ორბელიანმა რომ განამტკიცეს. იგი აცოცხლებს ე. წ. „კლასიკურ ნორმებს“ ძველი ქართული ენისა, რომელიც უძველეს ძეგლებშია წარმოდგენილი.

ვ. ბარნოვიც რომანებასა და მოთხრობებში პოეტური სიტყვის ვირტუოზობა მეტად მაღალ დონეზე არის ასული. იგი ვასაოცარი ოსტატობით ფლობს სიტყვიერ მასალას. მისი სიტყვარი მდიდარი და მრავალფეროვანია. ვ. ბარნოვის მხატვრულ ნაწარმოებებში მკითხველი შეხვდება წინადადებათა ახალ დალაგებას, ფრაზათა ისეთ ვაყოფას, რაც რატმს გვაგრძობინებს. იქვე წაიკითხავთ ისეთ ფბიტეტებს, რომელნიც მის ენას ახალ კოლორიტს უქმნიან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. ბარნოვის თხრობის ფორმა. ამასათვის ნიმუშად მოვიყვანოთ აღწერა ნადიმისა მცხეთის სვეტიცხოვლის კორძზე, როდესაც საქართველო განთავისუფლდა მონღოლთა ბატონობისაგან:

„ცისფერ საყრცედ გარდათხმული ბამფო სეფა. მის გარშემო მთელ ბინდორზე მლოცავთ სუფრები. მღერა საქართველომ სხვადასხვა კუთხის. მოსწრებელი სადღეგრძელო სადღეგრძელოზედ. სუფრებიდან სუფისაკენ მოსაკოთხები. მუფის ტაბლიდან მლოცავთ ჯგუფებს კერძი პასუხად. მკერმეტყველთა შეჯიბრება ხობებმის თქმაში. ყვავალებად შაირ-ლექსი ფერად-ფერადი.

— „ნემი სუფრა ცოცხალ ყვავილთ შემპრით შეივსოს!

„აკრიფ-აფინეს სუფის ფარდები. ფართო რკალი მოცეკვავეთაფის, მოვლებული წრე სუფისაკენ ღია. პირად-პირად მოკაზმული ტურფა ქალჩაღი. მოსხებილი რაინდები მოლიმარენი. საყრავთა ჰმანი შეწყობილნი მწყობრ სამობრაოდ. ზეებიც, ჰეებიც ვერ შესძლებენ უძრავად ყოფნას. ქართული ცეკვა. დავლურები სხვადასხვა კუთხას. შეჯავფულნი გლეხნი, თავადნი.

„საქართველოს აღდგომის დღეა: თანასწორობს დღევანდელ დღეს ყოველი ქართველი! — ბრძანა მეფემ.

„მის ბრძანებას ენთრჩილნენ თვით უფლისწულნი. მკვეთრი ტამის ჰმა. ცეკვა. თამაში. ფრთენი თუ ესხათ დალოცვილებს მწყაზარ წივეებზედ! სიხარულით იღიმებოდა მთელი ბუნება. ზეებიც თუ ტანს არხევდნენ, ტოტო



აყოლებდნენ. ჩამოდგა ვაჟი. ფრენით შემოველო ფართო ყივრეზე ერთ-ერთის მოცილილზე.

- „მოცეკვავე კანდარია ტოტემ-გაშლილი.
- „იფანივით მოქნილია და უტეხელი.
- „რკინის გვერდ ნორჩი დევი მწყობრად მხლტობარე?
- „ნეტავ ვინ არის?
- „საწვეილდელი ზურაბია ქორალთაშვილი.
- „მუშპარშიაც პირველი სჩანს ხმალში განთქმული.

„შედგა რაინდი ქალთ, მწყრივების წინ. ყვავილოვანთ მოავლო თვალი. ზამბახის წინ დახარა თავი. ვასრიალდა ლელწამტანე, ზამშალი ფრთები. რა თვალბოიას ოდნავ ძირს დამშერხ ღია თვალებით ვოკმანობა, დაქპრის, თვალნი სწორ ზაზს არ არხევენ, ერთ ზოლს ჩასდევნ, ერთ რამ სახეს დააკვირებთან“ („ნათელმოსილი“).

ამ სტრიქონებში ყურადღებას იტყვის თხრობის ფორმა. მართალია, წინადადებათა დაბოლოებანი არ ერთმანებთან ერთმანეთს, მაგრამ სიტყვათა განლაგება და წინადადების მარცვალი ისეა მოზომილი, რომ ლექსის შთაბეჭდილებას სტოვებს. და ეს ჩვეულებრივია ვ. ბარნოვის სათვის, რომელსაც შეუძლია ხუთას გვერდიან რომანში დაიცვას ეს ფორმა და ოდნავი ნაძალადეობა ვერ შეაშინოს მკითხველმა. ვ. ბარნოვის რომანები დაწერილია კეთილმოყვანი პროზით, იმ პროზით, რომელიც საუცხოვოდ განმარტავს დიონისე პალიკარნელის აზრს იმის თაობაზე, რომ „პროზაული სიტყვა შეიძლება ემსგავსებოდეს მშვენიერ პოემასო“.

ახალ ქართულ ლიტერატურაში ვ. ბარნოვი აღიარებულია რიტმიული პროზის ოსტატად. რიტმიული პროზა მკერათა თანაბარ ძალოვან განმეორებას ემყარებ და თავისი სტრუქტურით ახლო დგას ლექსთან. რიტმიული პროზა სტილის ურთულესი სახეთაგანია და მწერალთა შორის მას მხოლოდ რჩეულნი ფლობენ.

ვ. ბარნოვი, ეს შესანიშნავი ხელოვანი, განსაკუთრებული ოსტატობით ფლობს ამ რთულ სახეს პოეტური მეტყველებისას. მან მთელი საძლიერით გამოავლინა ძველი ქართული ენის მუსიკალური ბუნება. ამ მხრით იგი ავრძელებს იოანე საბანიძის, გიორგი მერჩულის, ლეონტი მროველის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ და ავრეთვე „დაბადების“ ქართული თარგმანის ავტორებისა და სხვა ძველ ქართველ მწერალთა გზას. ვ. ბარნოვის პროზა დიდად უახლოვდება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიის დამახასიათებელი შინაგანი რიტმიულობით.

ვ. ბარნოვის რომანები და მოთხრობები რიტმიზებული პროზის საუცხოო ნიმუშს წარმოადგენენ და მათი სტრიქონები მკითხველზე მუსიკის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ასე არის დაწერილი მის ნაწარმოებთა უმეტესობა. მაგალითისათვის კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ ადგილები „განგების რკალიდან“, „არმაზის მსხვერველიდან“, „ტოფობა წამებულიდან“ და „მიმჭრალ შარავანდედიდან“.

- „განგების რკალში“ მეფე ლუარსაბ ასე მიმართავს მაკრინეს:
 - „ცახედ მრავალი მნათობია, დიდი თუ მცირე, ბედის ვარსკვლავი ერთი არის უსწორ-უბადლო. ამულდაზარში ბევრი არის ყვავილი ტურფა, რა შეედრება სიმშვენიერით ფურჩქენილსა ვარდსა?!“
 - „არმაზის მსხვერპლში“ ხვარამზეზე მისი მოტრფიალე აშაილი ამბობს:

„მთლად დავემონე ჩემს ბედს საბრალოს! ვეტრევი ჩემს ვარკველავს ჩემგამ შორეულს. მინათებს—ხან ხარ იმედთა შუქი. ვძრწვი უცხოველად, შიშით ვილევო“...

„ნუ მირისხდები, სულის ბადალო! ხომ აცი, კარგო, სიკვდილამდის მონა-
ვარ შენი; ტკბილი სახე თანა მყვება ყველგან, ყოველს ეამს: მამხნეებდა-
სამწიფლო გზებზედ, კტეზიფონის სასახლეშიაც ჩემთანვე იყო. მითხარი,
მამწიფე, რა შეგცოდნე, მხვევ მოღრჭბლულო?“

„ტრფობა წამებულში“ თებრონია ასე მიმართავს გრაგოლ ხანძთელს:

„დახე ჩემს თბილს, ფიფქისაგან თხზულს ვარდის ფურცლებად მკლავება
მოკლავებს, ეშხისა რტობებს, სასოდ ნახარდ ტანს შოლტივით მოქნილს,
თმას უხშირეს, გიშრის ტევრებად ქოჩრილს. შემომხედე მე სიცოცხლით-
საესეს, ვნების ნაგუბარს უღევ-უკლებელს!“

თინათანს განშორებულნი ლევან მეფე ვაეშურება ლეილუჩისაჲცენ:

„მოვალ, სატრფიალო, შენთანვე მოვალ სიხარულით და იმედით! მზინ-
და ყოფილა სიყვარული შენი, როგორც მთის წყარო, სპეტაკი, როგორც
ფიფქი მოქდალს მწვერვალისი; მაღალა და შეურყეველი, როგორც ცამდის
ატყორცნილა სალი კლდე შენის ქვეყნისა იქითკენ, ლურჯის მთებისაჲცენ,
ვარდისფერი სიყვარულისაჲცენ, ჩემგან დაღონებულს, ჩემს ლეილასაჲცენ!“
(„ნიმჭრალი შარავანდედი“).

ამ სტრიქონებში მთელი პოეტური თქმებია წარმოდგენილი. ასე მაქსი-
მალურად დაცული რიტმი მოხერხებულად და ლამაზად არის გაშლილი
ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს მიერ, რის გამოც ყველა მის რომანში მოთხრობილი ამბავი
მძაფრი მუსიკალური აღმავლობით ვითარდება. ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს შეუძლიან
ამ ფორმით გაშალოს თვით ურთულესი სიტუაციები. ვიცით მაგალითები,
რომლებიც მოგვცა ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს და რომლებიც საკმაოდ გვიმტკიცებენ.
რომ პროზის ენა შეიძლება იყოს ისევე მოქნილი, როგორც პოეზიის ენა, და
რომ პროზის სიტყვარი იყოს ისევე მდიდარი, როგორც ლექსისა.

ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს პროზა თავისი მდიდარი მუსიკალური, რიტმიული და
შრავალსახოვანი გამოთქმებით, ხშირად არა ნაკლებ მხატვრული სილამაზის
მქონე და ესთეტიკური განცდის მიმნიჭებელია, ვიდრე რომელიმე მაღალ-
ლირსებიანი რითმადაცული პოეტური ქმნილება. ამასთან არამდინადაც რიტ-
მიულ პროზას ახასიათებს მოძრაობა და მოქმედება, ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს სტი-
ლის ამ ხერხს მიმართავს იქ, სადაც მძაფრი მოქმედებაა, დინამიკაა. ასეთ
შემთხვევებში თვით ბგერათა განვითარებაც გვაგრძობინებს მოქმედება
სიმძაფრეს; ხოლო იქ, სადაც საჭიროა რომელიმე მოვლენაზე დადიჩვებუ-
ლი, შენელებული თხრობა, მწერალი მიზანშეწონილად ხმარობს რთულ
კავშირიან წინადადებას. მსგავსი განლაგება სიტყვებისა სრული სინტაქსი-
თა დაცული ყველა მის ნაწარმოებში.

ხშირია ვ. ბ ა რ ნ ო ვ ი ს პროზაში ალიტერაციაც. მაგალითად: „თითქმის
მაღალი აგებულება ოდნავ მთავრად მოყვანილი პარის ფარგალი ყელი
ყვრიმალი, ყვავილის, ღერო“ („დედოფალი ბიზანტიისა“). სანიმუშოდ კიდევ
ერთი ადგილი „განგების რკალიდან“: ლუარსაბ მეფე მაკრინეს ხილვით დი-
დად იტანჯებოდა. „რით დაიმონა გამოცდილი პირველ ნახეაზედ? მის
არსებაში აღიზარდა ანაზღად გრძნობა და დაეუფლა იგა ვნება მის ბორცს,
მის სულსა. ქალის აჩრდილმა შეიმოსა ხმა გამყვიანი და თვის გარშემო
ჩაახშო სხვა ბგერა, მაყწარებელი სიტყვა თუ ფერა; შტახსი მიუბყრა

საყნოსველად, ალვა სუნნელი; ხავერდის ხაო შესახებად ალერსიანი". ამ პეტარა ნაწყვეტში მოცემულია ვ. ბარნოვის პროზის ნიშანდობილი ელფერება. აქ გვაქვს როგორც მარცვალთა ერთნაირი რაოდენობა ცხატყე მწინადაც დებასა და ნაწილესში, ისე რითის შემთხვევა და ბოლოს ალიტერაცია (თოთხმეტმარცვლიანი ზომა — მეტრი, ალიტერაცია „ხ“-ანისა). ამ ნაწყვეტში სიტყვა „ჩააბმო“ შეკუმშულადა მოცემული. ეს იმიტომ, რომ მწერალი გაუტაცნია ლექსალურ-მეტრულ მხარეს და ამისათვის ხმოვანი „ა“ ამოუგლია სიტყვიდან, რათა დაეცვა თოთხმეტმარცვლიანი ზომა წინადადებაში. ეს მომენტი მეტად საყურადღებოა ვ. ბარნოვის შემოქმედების სიტყვიერი მასალის ანალიზის დროს.

ვ. ბარნოვს მეტად მდიდარი ლექსიკონი აქვს, თუნცა მისი სიტყვიერი ძალზე დამძამებულია არქაიზმებით. თანამედროვე მკითხველს სპეციალური ახსნა-განმარტებაცა სჭირდება მისი ლექსიკონის სრული ათვისებისათვის. ვ. ბარნოვს თავის ისტორიულ რომანებში არ ერიდება ესეთი სიტყვების ხმარებას, როგორცაა „ავღანი ადამიანი“ (ავი, მყვირალა ადამიანი), „ბაცაცი ხელი“ (ფაფუკა ხელი), „დატიტული წყალი“ (ღლამე წყალი), „დახაციცებული“ (დანატრებული), „ზუზვივ“ (ზედმიწვენით), „იმილიკი ხასიათი“ (უკადრისი ხასიათი), „მიზმაროთი“ (აბაზანა), „ფანცი“ (ფარჩეული), „ხადღმი“ (მოახლე), „ამყარია“ (დაარსებულია), „ჩხრდნეული“ (ჩახერგული) და სხვ. მართალია, ვ. ბარნოვის მხატვრულ ნაწარმოებებში ასეთ არქაიზმებს ერთგვარი გამართლება აქვთ იმიტ, რომ გვალევენ ეპოქის დანახასიათებელ ენობრვე კოლორიტსა და ინვენტარს, მაგრამ იმავე დროს ძნელად ვასაგებსა და ასათვისებელს ხდიან მათ თანამედროვე მკითხველსათვის.

ვ. ბარნოვის მხატვრულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით სრულიად ბუნებრივად ისმის საკითხი იმაზე, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს „აუცილებელ ანაქრონიზმს“ საერთოდ ენაში, არის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ ისტორიულ რომანში კართაგენისა, ეგვიპტისა და სხვა ძველი ქვეყნების შორეულ საუკუნეებზე მოუთხრობს თანამედროვე მკითხველს თანამეაროვე მწერალი. ეს გარემოება კი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ უაწყობთ ისტორიული რომანის ენის არქაულობა, როგორც ხელოვნური და გაუმართლებელი მოვლენა¹⁾. ჩვენის აზრით, ეს უკიდურესი დასკვნაა. მწერლის მიერ გამოხატული ეპოქის სიტყვიერი მასალის გამოყენების სრულიად, მთლიანად უაწყობა სწორი არ არის. ოღონდ საკითხი შეიძლება მხოლოდ იმაზე დაისვას, თუ რა მოცულობით იქნას გამოყენებული შორეული ეპოქების სიტყვიერი ინვენტარი. წარსული ეპოქების სიტყვიერი მასალა იმდენად უნდა იქნას ხმარებული, რამდენადაც ეს აუცილებელია მხატვრულ ნაწარმოებში გამოყვანილი პერსონაჟების მართებული და ყოველმხრივი გამოხატვისათვის. აბა, როგორი მხატვრული ეფექტი იქნებოდა, რომ ვ. ბარნოვს ამოტკურა პალატი აემეტყველებინა მეოცე საუკუნის რაფინირებული ენით, რომლითაც ლაპარაკობენ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებთა გმირები? ვ. ბარნოვიც მიერ ხმარებული არქაული სიტყვები ცალ-ცალკე გამოყოფით მართლაც გაუგებარი არიან მკითხველისათვის, მაგრამ წინადადება-

¹⁾ Г. Лукач — „Исторический роман и кризис буржуазного реализма“, журн. „Литературный критик“, 1938 г., № 3, стр. 84 — 88.

ში ისინი ახერხებენ შათისკანი ნიღბის მიცემას, რომ სათლადგასაგები ზღვრა შათი აზრი. ასე, მაგალითად: „ემ, ვინა სთქვა ამ ქვეყანად... არის ედემი საოცნებო და სიამე პირველყოფილი? როგორ ახერხებენ... ზობს იგი, ვარნა ეამიერად, მხოლოდ წუთიერად“. დღევანდელი სალიტერატურო ქართლისათვის სიტყვა „ვარნა“ მიუღებელია და ჩვენი მკითხველის ყურადღებაც არ არის საამისოდ მძვინდებელი, მაგრამ ვ. ბარნოვის ნაწარმოებისათვის ეს არქაული თქმა თითქოს აუცილებელია, და იქ ის გასაგებოდ არის. მკირედი დაკვირვების შემდეგ მკითხველი ადვილად დაასვენის, რომ ამ წინადადებაში „ვარნა“ უნდა უდრიდეს „მაგრამს“ და არავითარ უხერხულობასაც არა ვაჩვენებთ შათი ურთიერთით შეცვლით. ამ ხასიათის არქაიზმი გამართლებულია, როგორც სტილის ერთერთი თვისებათაგანი, რამდენადაც ის აყალიბებს განსაზღვრული ეპოქის ადამიანების აზრებსა და შეხედულებებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვ. ბარნოვს შედარებით ნაკლები არქაიზმები აქვს ადრინდელ ისტორიულ რომანებში („ისნის ცისკარი“, „სახიფათო სიყვარული“, „ნათელმოსილი“, „მიმქრალი შარავანდედი“). უფრო მეტი და ხშირად სრულიად გაუმართლებელი არქაიზმებია შესამჩნევი ვ. ბარნოვის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ რომანებში („ტრფობა წამებული“, „არმაზის მსხვერვა“, „თამარ მრწემი“, „განგების რკალში“).

ვ. ბარნოვს ეტყობა ძველი სასულიერო წიგნების რრმა ცოდნა. მის მხატვრულ ნაწარმოებებში მრავალ სიტყვას ვხვდებით საეკლესიო-სასულიერო ხასიათისას. მაგრამ არა შარტო ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი წინადადებაც-კი ხაეკლესიო ელფერიით არის ხოლმე მოცული. ასე, მაგალითად: „მღვდელმთავარო და მამათ სულიერო, არ დაეკარგვის ღვაწლი ესე ამა ქვეყანად, არც წინაშე შეუფისა“... „სახელი შენი ბრწყინვალედ აღიბეჭდების ქართველთა შატიანში, ქართველთა გულში და წიგნსაცა შინა საუკუნისა მის ცხოვრებისა“... და სხვ. ვ. ბარნოვს უცვლელად აქვს გამოყენებული სასულიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი განლაგებაც წინადადებებისა. ამათთან ერთად იგი ვარბად ხმარობს ქალაქურ, ძველი ტფილისის ყოფისათვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს. ამ მხრით მდიდარ მასალას იძლევა მისი ყოველი მხატვრული ნაწარმოები.

დაიწვებული სიტყვების გაეოცლებას აქვს თავისი დადებითი მნიშვნელობა ლიტერატურული ენის გამდიდრებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია ფრანგი რომანტიკოსების მიერ ჩატარებული შემოთბა. ფრანგული ლიტერატურის მკვლევარი ემილ ფაგე რომანტიკოს შარლ ნოდის შესახებ სწერს: „იციოდა რა საფუძელიანად ფრანგული ენა, მან მომწველებული სიტყვებისა და წინადადებების თავისებური ხმარებით განააზღო, განაგრცო ეს ენა და საბატიო ადგილი მოუბოვა მასში ძველ სიტყვებს მეტად საყურადღებო მოვლენაა, რომ მრავალი სიტყვა, რომელიც სრულიად გამოსული იყო ხმარებიდან XVIII საუკუნის ბოლოდან, და ეხლა არის ხმარებაში, ნოდის უნდა მიეწეროს... მან შემოიტანა XIX საუკუნის ენაში ერთგვარი რაოდენობა XVI საუკუნის ჯანსაღი თესლისა. ამით მან უდიდესი სამახებრი გაუწია ფრანგულ ენას“. ამასვე აღნიშნავს ემილ ფაგე თეოფილ გოტიეს შესახებაც. ჩვენის აზრით, ასეთი შემოთბა გამართლებულია ქართულ ლიტერატურაშიც. ვ. ბარნოვს სიტყვათა გა-

მოუღვევლი მარაგი გააჩნია. მას მრავალი ისეთი სიტყვა აქვს ნახმარი, რომ ჰელიც თანდათან შემოდის თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ამით ჩვენ, რასაკვირველია, სრულებით არ გვინდა იმის თქმა, თითქმის უნდა ვთქვათ, რომ ვინც მიერ ნახმარ ყველა სიტყვას მიიღებს ლიტერატურა, ხალხი. მაგრამ მის მიერ ნახმარი, ადგილი რამდენიმე ათეული სიტყვაც რომ შევიდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის საგანძურში, მაშინაც კი გამართლებულია ვ. ბარნოვის შემოღობვა ენაზე.

ვ. ბარნოვის სტილის განსაკუთრებული ხასიათია ფორმისა და სინტაქსის სიძველე. მის ნაწარმოებში შეხვდებით ისეთ წინადადებებს, სადაც არც ერთი არქაული სიტყვა არ უჩვეია, მაგრამ წყობის მიხედვით არქაულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგალითისათვის ავიღოთ შემდეგი წინადადება: „შუქურო ჩემო! რომ იცოდე, შენ ხარ ერთადერთი მისანდობელი ჩემი და ვის უნდა ეამცნო პირველი ჩემი მისწრაფებანი, თუ არა შენ?“ („ტრფობა წამებული“). ან კიდევ: „სანადირო ადგილად ხეობა ამოერჩივნათ. მომცრო მდინარეს ქალა ჩასდევდა ქანქრობიანი. შამბი; ბარდები. ტოტებზედ თუ ენწერებზედ მაიმუნთ ჯარი. გველი იყო უფრო საშიში. უჩვეულო თვალი ვერ არჩევდა ზის ტოტებისაგან თუ სქელ ფესვისაგან. მრავალი მხეცი სხვადასხვა გვარი შამინ-შამის სანადიროდ მტყიცელ დაიკული“ („ნათელმოსილნი“). ამ წინადადებებში თითქოს არც ერთი არქაული სიტყვა არაა ნახმარი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი განლაგებით მათ უსათუოდ ამჩნევია ერთგვარი არქაულობის იერი. სწორედ სიტყვათა ეს წყობა და განლაგებაა, რომ ვ. ბარნოვის შემოქმედებას აძლევს განსაკუთრებით არქაულ ხასიათს, თორემ ისე ბევრი მწერალი ხმარობს არქაულ გამოთქმას და თანადროულ სინტაქსში იგი ნაკლებად არის შესამჩნევი.

უნდა აღინიშნოს, რომ ენა ვ. ბარნოვისა და მის ნაწარმოებთა პერსონაჟებისა არაა ერთმანეთისაგან განსხვავებული. ვ. ბარნოვიც ისეთივე წყობით და სიტყვებით ლაპარაკობს, როგორც ამოტ კურაპალატი, გრივოლ ხანძთელი და სხვ. ეს პრინციპი არაა გამართლებული არა მარტო მკითხველის ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მხატვრულადაც. იგი ვრთფეროვნების ხასიათს აძლევს ნაწარმოებს. პოეტურ-ესთეტიკურ მოთხოვნების მიხედვით, მწერლის ენა არ უნდა ემთხვეოდეს მისი პერსონაჟების ენას. მწერალი თავისთავად ენით უნდა ლაპარაკობდეს ნაწარმოებში.

ეს ერთბრივი თავიებულება უფრო მეტად აძლიერებს ვ. ბარნოვის შემოქმედების სტილის სირთულეს.

ამგვარად, უდავოა, რომ ვ. ბარნოვი შექმნა თავისი განსაკუთრებული სტილი.

ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანში“¹

ვინ იყო აეთანდლა? რითი განსხვავდება იგი ტარიელისაგან? არის თუ არა იგი თავისებური ქარაქტეროლოგიური ტიპი?

ჩვენ ამ გავანმუქებთ აეთანდილის პიროვნებას თავისებურებას და შევადარებთ მას პოემაში მოცემულ სხვა ტიპებს, რომ დავინახოთ რა პრინციპზეა აგებული „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანების დახასიათება. ქარაქტეროლოგიაში ანალიზისა ღრმად დაგვარწმუნა, რომ პოემის შთაფარი გმირები ამ მხრივ არ გამსხვავდებიან ურთიერთისაგან. კერძოდ, აეთანდილი იგივე ტარიელია, მხოლოდ სხვა მხრივ წარმოსახული და თავისებურ სიტუაციაში ამოქმედებული.

რადგინდ მრავალგვარი არ უნდა იყოს ადამიანის ხასიათის ცნების განმარტება, ერთი რამ დადგენილად უნდა ჩაითვალოს: ხასიათი ნთლიანობითი ცნებაა, იგი გამოხატავს არა პიროვნების ცალკეულ ანიპტომებს, არამედ პიროვნებას როგორც მთლიანს, ცალკეული ნიშნების ერთობლიობას, იგი ხაზს უსვამს პიროვნების, როგორც მთლიანის რაგვარობას.²

პიროვნებას, როგორც მთლიანობის, რაგვარობის ქცევასა და განცდებში გამოვლადენების დახასიათებისათვის, აუცილებელია პიროვნება განვიხილოთ სამი თვალსაზრისით: 1. იმ მახინების თვალსაზრისით, რომელთა მიმართ პიროვნება უფროა გაწყობილი, 2. როგორია პიროვნების ნებელობის დანაშაუკი, ე. ი. რამდენად შესწევს სუბიექტს ნებელობის ძალა დასახული მიზნის განხორციელებისათვის, და 3. სტრუქტურის თვალსაზრისით.³

ამ თვალსაზრისათ დახასიათებამ უნდა გვიჩვენოს პიროვნების ისეთი არსებითი მხარეები, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა ადამიანებისაგან, უნდა გვიჩვენოს ის შინაგანი აუცილებლობა, შინაგანი ლოგიკა, რომლის საფუძველზედაც მიმდინარეობენ პიროვნული თვისებები. თუ ვიცით პიროვნების, როგორც მთლიანის, რაგვარობა, საფუძვლით ნათელი იქნება, თუ როგორ მოიქცევა პიროვნება არა მარტო ერთ გარკვეულ სიტუაციაში, არამედ უანრავ სხვა სიტუაციაში, რომლებშიც შეიძლება გაიშალოს ადამიანის ცხოვრება.

განვიხილოთ აეთანდილი შირველ რიგში ტელური (მიზნის) თვალსაზრისით და შევადაროთ ტარიელს.

ეთანდილი შიდალი მორალური მიზნებით აღჭურვილი ადამიანია. მისი აიციოცხლის დევიზია: მეგობრობა, მიჯნურობა, ქვეყნის სამსახური. მისი მიზ-

¹) დასაწყისი იხ. „წათობი“ № 3.

²) აკად. დ. უზნაძე — „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1940 წ., თბილისი.

³) Stern W. — Allgemeine Psychologie, 1935 წ., შაგა.

ნები მთლიანად სცილდებიან პირადს, ეგოცენტრულს. იგი ზოგადის განსაზღვრისთვისაა მოწოდებული. მასში პირადისა და ობიექტუალური მნიშვნელობის სრული გაერთიანებაა მოცემული. ამ მხრივ იგი მთლიანი ვეფხისტყაოსანის შინაგანი იმპულსია ზოგადის სიყვარულია და სამსახური. იგი ანთებულია, ერთი მხრივ, თინათინის სიყვარულთ. მიჯნურობა ხომ ამბავდებელი პათოსია, რომლითაც ადამიანი შესძლებს „ზესთა მწყობრთა მწყობრში“ შერთვას. ავთანდილი მთლიანად არის ატაცებული ამ უზენაესი მისწრაფებით. მისი პიროვნების ძირითადი მოდუსი მთლიანად უმაღლესი პარმონიისაკენ ლტოლვანი გამოიხატება. ასეთი განწყობა განსაზღვრავს მის მიზანთა სფეროებს, მისი ქცევის ყოველ მომენტს. ეს ის ზოგადი განწყობაა, რომლის ფონზედაც იშლებიან ამ რთული პიროვნების სხვა მხარეები. ასეთი განწყობის ნიადაგზე იგი ილტვის საოცარი ყრმის ტარიელის საძებრად. ამის გარეშე მას არ შეუძლიან თავის მზესთან შეწყობა. თინათინი ავალდებს:

„სამსა ძებნე წილიწადა; იგი შენი საძებარი;
პპოო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად ნოუბარი;
ვერა პპოებ, დაეიჯერებ, იყო თურმე უჩინარი“.

ავთანდილი, ტარიელის მსგავსად, დარწმუნებულია, რომ მიჯნურობა საზოგადოებრივი და მისთვის საჭიროების დროს ველად გაჭრა უმაღლესი სიყვარული და აუცილებლობაა. იგი ეუბნება შერმადინს:

„თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მანდორთა ზე რებად“.

ასეთ აზრს ავთანდილი სხვაგანაც იმეორებს. ამას შემდეგ ავთანდილს ეფუძება არა აქვს გაკიცხოს ტარიელი ველად გაჭრისათვის. იგი მას ამ მხრივ არასოდეს არცა კიცხავს. ავთანდილს არ მოსწონს მხოლოდ სულ სხვა რამ ტარიელის ქცევაში. ამის შესახებ შენდევ ვეფხისტყაოსანში ვკითხულობთ:

ავთანდილს აქვს შინაგანი ძალა, სატრაფოსთან შეწყობისათვის აიჩიოს იგივე გზა და საშუალებები, რაც ტარიელმა აიჩიოა. მაგალათად: ველად გაჭრა, სისხლისფერ ცრემლთა ღვრა და ღრმა პათოსში ჩაძირვით სატრაფოსთან მიხლოვება. ღრმა სიყვარულის იდეით ატაცებული, იგი არ იფიქრებს ქვეყანას და ტარიელის საძებრად წასვლის წინ ავადრებს მრავალ მოუგვარებელ საქმეს. იგი თავგანწირულ მეგობრობას ათავსებს თავის პირადი ნეტარებისათვის ლტოლვის ტენდენციასთან. თინათინთან შეწყობის განწყობამ გაიტაცა იგი ტარიელის საძებრად. მან იბოვნა ტარიელი. მათ შორის განმტკიცდა მეგობრობა და ამის შემდეგ ძნელია გარკვევა, რომელი გრძნობაა მასში უფრო ძლიერი — მეგობრობის თუ სიყვარულისა. ორივე ამამაღლებელია. ორივეს აქვს ძალა ადამიანის სრულ არსებად გარდაქმნისათვის: ორივე ვნით არის შესაძლებელი მსოფლიოს წყობასთან შერთვა, ამ წყობის წვდომა. ამ მხრივ ორივე თანასწორად ღირებულია. ავთანდილი ათავსებს ორივე მიზანს: სიყვარულთან შეყრისაკენ ლტოლვის და მეგობრობისათვის თავგანწირვით ბრძოლას. მეგობრობით მან უნდა იხსნას ადამიანობის იდეა. უზენაეს პარმონიისაკენ ლტოლვისას დამარცხებული ადამიანი — ტარიელი უნდა დაუბრუნოს მიწას. მისთვის წარმოუდგენელია დალატი ამ საქმისათვის. იგი სწერს როსტევეან შეფეს ტარიელთან მეორედ გაპარვის დროს:



„რადგან თავი მიტოვებ ყოველსა უბედობისა,
მე რად გაწიროს მოყვარე, მამ უმტკიცესი ძობისა? ერქონესუნი
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძოლბსა? მისი
მით ვისწაულებით, მოგვეცეს, შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.

აქედან სჩანს, რომ მას სახესებით გაცნობიერებულნი აქვს თავისი მიზნე-
ბი, იგი არა თუ შეუცნობლად ისწრაფის „ზესთა მწყობრთა წყობისა“ შერთ-
ვისაკენ. — მას გაცნობიერებული აქვს მისი რაობაც, მასთან შერთვის
თუცილებლობა და ამ მაღალ პარამონიამდე მიღწევისათვის ბრძოლა, იგი
აღუტრვილა ღრმა სიბრძნით, მას თავისი მიზნები ყუველთვის დასაბუთე-
ბული აქვს ბრძნული სენტენციებით, აეთანდლისათვის ზოგად იღებს სამსა-
ხურში ყოფნა საკუთარი ინდივიდუალობის გამოვლას წინაშედგენს. იგი
მისი უაღრესად ღრმა და მაღალ იდეური იმპულსების დაქმნაყოფილების
წყაროდ ითვლება, ასეთია აეთანდილი მიზნის თვალსაზრისით. სულ ძხვია
ამკეტქში ჩვენ ბევრი გვაქვს კიდევ აეთანდალის შესახებ სათქმელი, მაგრამ
აქ დაგვამყოფილდეთ მხოლოდ არსებითი ქარაქტეროლოგიური თვისებების
წინ წამოწევით.

როგორია იგი ნებელობის დინამიკის მიხედვით? ნებელობა მიზნის სამსა-
ხურში იმყოფება, მან უნდა განახორციელოს მიზანი, ნებელობის საშუალებ-
ებით უნდა მოხდეს ძირიონების ძირითადი განწყობის რეალიზაცია, ნებელო-
ბის აქტივობას ორი მხარე აქვს: პოზიტიურა და ნეგატიური, რადგან ნე-
ბელობის ძირითადი აზრი მდგომარეობს პრინციპში: „რაც არა ვწამდეს, იგი
ქმენ ნუ პყვე წადილთა ნებასა“, ამიტომ ნებელობამ უნდა შეაფერხოს
ძირიონებში მოზღვავებული იმპულსები, დაიფლოს ეს იმპულსები, ეს
ნებელობის ნეგატიური მხარეა, მეორეს მხრივ — ნებელობის ენერჯია უნ-
და წინაშეაღიაროს იდეური მიზნების მიზანშეწონილად შესრულებისაკენ, ეს
პოზიტიური ამოცანაა, აეთანდილი მძლავრი იმპულსებისა და ემოციების
აღამიანაა, მისი იმპულსი, მისი ემოცია არასოდეს არ არის დაბალი, დაკნი-
ნებული ვნებით, იგი ყოველთვის იმპულსად მცველი სიყვარულის პათოსია,
მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიური ენით მას შეიძლება იმპულსი ვუწო-
დოთ, აეთანდილს მეტად დიდი ენერჯიის ხარჯვა სჭირდება საკუთარი
იმპულსების დასაძლევად იმპულსების დაძლევის პროცესი მოსთვის მეტად
მტკივნეულია და იწვევს ფსიქომოცუო ზღელვარე ემოციებს, საბოლოოდ მათ
დაუფლებას იგი მანაც აშერჩებს.

ეთანდილი გაეშართება ტარიელის საძებრად, ეს ჩასვლი მას გადა-
წყვეტილ აქვს, აეთანდილი არსებითად უკვე შეწყობილია სატრფოსთან,
თინათინი დედოფალია, მეუღლე ქვეყნისა, დედოფალმა აღუთქვა, რომ შეა-
რულებს მის ჩატერას: ძებნიდან დაბრუნების შემდეგ იგი შეეყრება აეთან-
დილს, მაგრამ განშორების წუთები, საერთოდ, განშორების მთელი პერიო-
დი სავსეა ფილოზოფიური მწუხარებით.

„საწილს დაწვა, ტირის მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების,
ვითა ვერხვი ქარასავან ირხევის და იკეცების;
რა მიპლუნის, სიასლოვე საყვარლისა ეოცების,
შეკრთის, დიდი დაიზახის, მით პატავი ეოცების“.

ტარიელის ძებნაში დაქანტულ, სასოწარკვეთილებამდე მიხულ აეთანდილს:

„მოუნდის გულსა დაცესა, ზოგჯერ მიძართის დანასა“



ან კიდევ მისი:

„**ცრემლი ცხელი ასველებდეს, ნარვიზთაგან ვარდსა ბრულისა**“.

ავთანდილს „ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისა“¹ ვალითა უამრავი შეიძლება მოეხყვანოთ, საბოლოოდ იგი ყოველთვის დასძლევს თავის სურვილებს და ამ სურვილებთან დაკავშირებულ მძლავრ ემოციებს, რომლებიც მას მოუწოდებენ ტარიელის ძებნის შეწყვეტისაკენ. აგი სძლევს ყველა იმპულსი და განაგრძობს ძებნას.

ავთანდილი ძლიერ შინაგან კონფლიქტებს განიცდის მაშინ, როცა უნდა გადასწყვიტოს უცნობი ყმის უბოვნელად არაბეთში დაბრუნების საკითხი. საყვარელი მას მოუწოდებს დაბრუნებისაკენ, მოუწოდებს ნეტარებისაკენ. მაგრამ, მეორეს მხრივ, სტანჯავს სირცხვილი, უილაჯობა, რომ ვერ მიღწია მიზანს. იგი მთლიანად შეპყრობილი ჰყავს შუუხარებას, კონფლიქტებში და იმავე დროს თინათინის საყვარულს. „ამას იგონებს ტირილით ვონება-შეიწრებულ“.

უნივერსალურ ძებნაში გახლებული ავთანდილი მოუწოდებს საკუთარ თავს დათმობისაკენ. ღონე-გამოღებულმა, დამარცხებულმა, დამცირებულმა, შერიგებულმა ბედს „**მობრუნება დაამირა**“. იგი „**შხეც-ქმნილია**“:

„**თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოსკენით და ცენესითა,**
ეგრეცა ჰამა მოუხდის აღამის ტომთა წესითა“.

მას შემდეგაც, როცა იგი იბოვის ტარიელს, განამტკიცებს მასთან ურყევ და ამამდლებელ მეგობრობას. იგი საწინელი სევედით არის შეპყრობილი. საყვარულით აღმოღებული გრძელხანით ნიპქრის უკანვე, არაბეთში:

„**პირსა იხიკს, ვარდსა აზრობს ხელი წისი განამხოკლა,**
სისხლსა, მისგან დადენილსა, მხეცი ყოელი გაწამლოკლა,
მისმან ფიცხლად სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა“.

როდესაც იგი კვლავ ბრუნდება ძმინაფიცთან, ასრულებს დაპირებებს, ემორჩილება მალალ მორალურ მოთხოვნებს, სატრფოსთან განშორებისას თითქოს გახლებულია, განიცდის საწინელ ტანჯვას. მისმა „**სისხლმან და ცრემლმან გარევეთ დაწვი ქმნის ღარად და ღარად**“. მას უღრმესი პესიმიზმიც კი შეიპყრობს.

ასეთ განწყობილებაში

„**ყმა მოვიდა, საწოლს დაწვა, ზოგჯერ ტირის და ზოგჯერ ბნდების**“.
„**მაგრა ახლავს გონებითა საყვარელსა, არ მოსწყდების**“.
„**ვით შწევანვალსა თრთვილისაგან, პირსა ფერი ნოაკლდების**“,
„**ხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ აღრე დაჩრდებას**!“

– იგი ებრძვის საკუთარი შიშვე განცდების გამოძევებებს. მოუწოდებს საკუთარ თავს დათმობისაკენ და თან ჰკიცხავს მოუსვენარ და ხარბ „**გულს**“.

იგი იმორჩილებს თავის გულს, დაიუფლებს საკუთარ იმპულსებს, ემოციათა ღელვას. მაგრამ ისევე დროს მას ისევ იპყრობს გამოუთქმელი სევდა, რომლის გამოთქმისათვის რუსთაველის გენიაც იძულებულია მიმართოს პიპერბოლებს. იმავე დროს ისევ მოუწოდებს თავის თავს დათმობისაკენ.

როდესაც მაღალი მორალის სამსახურისთვის მან დროებით უნდა და-
თმოს თავისი სატრფო, იგი აფორიაქებულია:

„ვმა მივიღა გულ-მოკლული, ცრემლი ველთა მოედინა,
მართ მასივე სიყვარული უარებდის თვალთა წინა.
ზოგჯერ აღვის, ზოგჯერ დაწვის, ხელთა რაღმცა დაეძინა!
რაცა აჯა დათნობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა!“

მოსთქვამს, ტირის თავის უბედობაზე, უძლევა პესიმისტურ გოდებას და
ისევ მოუწოდება თავს დათმობისაკენ. ევედრება ღმერთს, მასცეც საშუა-
ლება დაიუფლოს საკუთარი განცდები იმდენად, რომ უბინი ქცევაში არ
გამომკლავდნენ.

„იტყვის: „ნეტარ მიჯნურობა არ დამანდეს, დამცავეფარე!“
დათმობასა ეაჯებას: „გულსა შენ რა მოუგვარე!“

თინათინა განშორებით გულგანგძირული:

„მივა და მიპატროს გულმდღერად, ვერ ვიტყვი ცრემლთა შერობას.
წამ-წამ მობრუნდის, იაჯღას მისთვის შხისავე მზობასა,
უძვერტდის, თვალნი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის, მიპხდის ცნობასა“.

„რა მივახლის დაბნედად, ვერ ხელჰყვის დაძვრად ენისად,
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან, მსგავსად დიჯლისა ღენისად,
ზოგჯერ დაბრუნდის, ივერეტდის ღონედ პატყთა თმენისად,
რნ ვაეშართის, არ იცას, მას თუ არბევედის ცხენი სად“.

საილუსტრაციოდ შემოთ მოყვანილი მაგალითებიც კმარა. ავთანდილი
შეტად მძლავრი იმპულსებისა და ემოციების ადამიანია. მისი სიყვარული
ღრმაა, ძლიერი და ინტენსიური. მას შეუძლიან გახელებამდის მივიდეს. თუ
ისეთ შედარებით მარტივ სიტუაციაში, როგორცაა ავთანდილის სიყვარუ-
ლის განვითარება: სიტუაცია, მისი სიყვარულის პათოსი ისეთ სიღრმეს
აღწევს, რომ მისი გამოთქმა მხოლოდ პიებრბოლებით შეიძლება. ადვილად
წარმოადგენია, როგორი იგნებოდნენ მისი განცდები, რომ იგი მოქცეული-
ყო იმ კოლიზიების ხლართებში, რომელშიაც ტარეული მოქცევა. რაოდენი
ნებელობათი ენერჯიის დახარჯვა დასჭირდებოდა მის მიერვე გამოთქმული
პრინციპების — „რაც არა ვწადდეს, იგი მქვენ, ნუ ჰყევ წადილთა ნებასა“ —
შეასრულებლად.

„გულო“ მას პირადი ნეტარებისაკენ მოუწოდებს. ამის შესრულების შესა-
ძლებლობა მას აქვს. მას შეუძლიან ხელმეორედ არ წავიდეს ტარეულთან,
არ ჩაივდოს თავი სამინედ განსაკუდელში, შეეწყოს სატრფოს. მაგრამ ავ-
თანდილი დასძლევს სიყვარულის პათოსს და თავის არსებობას დაუმორ-
ჩილებს მაღალ მორალურ მიზნებს. პირადსა და ზოგადს, იგი ერთმანეთს
შეუთანხმებს. იგი ყოველთვის აღიერი სიტუაციის ნიადაგზე აწარსებებს
ვადწყვეტილებას. საკუთარ ვადწყვეტილებას ან ყოველთვის ამაბუცებს
საკუთარ პიროვნებაში განმტკიცებულ ყველაზე ძლიერ მორალურ ვადწყო-
შასთან.

თავის თავს დაუფლებული აეთანდილი მტკიცე ბასიათის ადამიანი. მისი პიროვნების სტრუქტურა პარანოიულია. მისი უმაღლეს იდეალურ მოთხოვნებში ბუნებრივ მიდრეკილებებთან დაკავშირებული ბუნებრივ მიდრეკილებად ქცეულან. შეგნებული მოტივაცია მხოლოდ ამ იმპულსებად ქცეულ მიზანდასახულებათა შორის არჩევანს თუ წარმოადგენს. ყოველთვის იმარჯვებს უფრო მაღალი მორალური მიზანდასახულება, რომელიც სრულ პარანოიაშია მასში განმტკიცებულ სხვა მიზანდასახულებებთან. მაღალი მორალური მიზნისათვის საკუთარ ინტიმურ მიზანდასახულებათა დამოშობის პროცესში წარმომობილი ძლიერი ემოციური განცდები საესებით ბუნებრივი მოვლენა მიზნებით აღჭურვილი ძლიერი და ღრმა ადამიანისათვის, რომელიც მიზნებისათვის ბრძოლის პროცესში გამარჯვებასა და დამარცხებას ყოველთვის სრული ადამიანური სიმამურიტ განიცდის.

ასეთია აეთანდილი, როგორც პიროვნება, როგორც ქარაქტეროლოგიური ტიპი. საჭმარსია იგი შევადაროთ ამავე თვალსაზრისით განხილულ ტარიელის ხასიათს, რომ მათ შორის ვიპოვოთ სრული იგივეობა. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მათი განცდებისა და ქცევების განსხვავებულ სიტუაციაში მიმდინარეობის შედეგია. სხვა მხრით, ხასიათის შინაგანი ლოგოსის, შინაგანი აუცილებლობის თვალსაზრისით, ისინი ერთგვარნი (მაგრამ არა იდენტურნი) არიან. ამას ნათლად ამტკიცებს ტარიელის ქცევისა და განცდების ანალიზი.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტარიელი მაღალი მორალური მიზნებით აღჭურვილი ადამიანი. მისი სიცოცხლის დევიზია ამანდლებელი მიჯნურობა, ქვეყნის სამსახური და მეგობრობა. ტარიელს გამიჯნურობის აზრზე უკვე გვექონდა ლაპარაკი. მისი მიჯნურობა ხომ უმაღლესი მორალური ტენდენციების ასახვას წარმოადგენს. ქვეყნის სამსახური ხომ მისი პიროვნების იმპულსია. ამას ნათლად ადასტურებს ის ეპიზოდი, როდელიც ასახავს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თათბირს სასიძოს მოკვლის შესახებ. ტარიელის ქცევა ფარადან მეფის დარბაზში, ხატაელებთან ბრძოლის ამბავი და სხვა. ეს ტენდენცია ნათლად მვლანდება აგრეთვე პოემის დასასრულს, როდესაც ამაღლებული ტარიელი შეუდგება ქვეყნის სამსახურს. რა ვუყოთ, რომ ბედის ტრიალსა თუ შეადონებმა იგი დროებით მოსწყვიტეს მაღალი სოციალური მიზნების სამსახურს და ამ მიზნებისათვის ბრძოლაში დამარცხებული ადამიანის ტრაგედია გზიარა. აეთანდილიც ხომ მთელი არსებით მზადაა მიჯნურობაში დამარცხების „ველად გაქრისათვის“ და ამ გზით პარანოიას დამკვიდრებისათვის. აეთანდილიც ხომ მეგობრისათვის მიიტოვა თავისი სახელმწიფო მოხუცი მეფისა და დედოფლის ანაბარად და საკუთარი პიროვნება ბრმა ბედისწყრას ჩააბარა. აქი აეთანდილს მოახსენებს მის მიერ მეფესთან სათხოვნელად წარგზავნილი მეფისადე ვეზირი:

„თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოლორდენ, რად გაგიშვან, რად მოსტყუდენ, ანუ მზესა რად მოშორდენ!“
 შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დავკთამამდენ, გაგვიწყორდენ!
 ეგე აგრე არ იქნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ“.

რა ვუყოთ, რომ ტარიელის ხაშობლობდან გაქრას უფრო მძიმე შედეგებამ მოჰყვა. ეს სრულებით არა სველია მინი ზამიათის აღნიშნულ შესაკვს.

შეგობრობის მაღალი დევიზი ტაროელისათვის ზომ გამტაცებელ მსოფლიოებად არის გადაქცეული. ამის შესახებ საჭირო არ არის ბეჭეტი. პოემაში მრავლად გამოთქმული მომენტებიდან აქ შოვიყუთულ ფრიდონთან შეხვედრის ამბავი.

განწირული, ტანჯვით გარინდებული ტარიელი მსულღანზარის ეკლებს შესტირის თავის უბედობას. იგი ჩაძირულია თავის მუხხარე განცდებში, და ამ ასეთ ნომენტში დაინახავს დაძრილ ფრიდონს. "რომელიც მართ ვითა ქარი მოქროდა გაფიცებული მწყრობელი". იგი შეაჩერებს მას, მიუღერებს, ეტყვის: „დადექ, გაშიგონე, შენი საქმე შეცა მინა“, „დადექ, დაწყინარდი, გარდავხდეთ ძირაა ხეთასა; არ შეუღრეების ქაბუცი ქარგი მახელითა ევეთასა“.

აქ ტარიელი ამკლავნებს უძლიერეს სიმბატისა, რაც შეგობრობის ფსიქოლოგიური საფუძველია. იგი თითქოს იფიქრებს თავის წყლულს. ამშვადებს გახელებულ ადანიას: „აჩქარება შენი ყოლა არა უნდა“. თავის გაჭირვებით არ აწუხებს ფრიდონს. ტარიელი ეტყვის ფრიდონს: „ამბავი ჩემი არ გაგვეგონების, უფრორე წყინარად გიამბობ, თუ ფამი ჩვენ გვეტონების“. ტარიელი ყოველგვარი ანგარების ვარეშე თავკმწირული შიღის თმში ფრიდონის დასახმარებლად და ვასაოცარ გვირობას იჩენს. ტარიელში შეგობრობას ძლიერი ტენდენციის მჩვენებელია პოემის ის ადგილი, სადაც უკვე გამარჯვებულა, ქაჯეთიდან დაბრუნებული სამი გვირი არჩევანში არიან, რომელ სახელწოდოს უნდა ესტუმრონ მირველად. ტარიელი, მიუხედავად იმისა, რომ შთელი არსებით არის ატაკებული ინდოეთს წასვლისათვის, სთმობს ასეთ წადილს და დაფინებით მოითხოვს არაბეთში წასვლას, რათა პარველ რიგში მოგვარებულ იქნას ავთანდილის მოუგვარებელი საქმეები. იგი ხუმრობით და თან ბრძნული სიდარბასლით აცნობებს ავთანდილს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება შეგობრობისადმი. აქ იგი ხიზლს გამოხატავს ანგარებისა, ყოყონობისა და თავმოწყონების, არ ბირადის წინ წანოწყვის მიმართ და მოითხოვს შეგობრობაში უანგარო ინტიმურ მიზიდულობას და მთავრანობას, სრულ ერთიერად გაგებას.

ამრიგად, ტარიელს სრული შესაძლებლობა აქვს სიტუაციის შესაფერისად შეგობრობის სამსახურში მოაქციოს შთელი თავისი მაროგნული ძალები.

როგორც ავთანდილის, ისე ტარიელის გონება მაღალი ღირებულების ნამსახურშია. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ავთანდილს ეს ღირებულება უფრო გაცნობიერებული აქვს. თითქოს ავთანდილი უფრო შეგნებულად ემსახურება მას, რადგან იგი მრავალ ბრძნულ აზრს გამოთქვას თავისი განცდების და ქცევების დასაბუთებისა და ტარიელის ქცვის შეფასებასათვის. სინამდვილეში ასე არ არის.

საერთოდ, მსოფლმხედველობის მიხედვით „ეფუხის-ტყაოსანი“ მთლიანი ნაწარმოებია. ამ მხრივ მთავარი გვირები სრულებით არ განსხვავდებიან ერთიერთისაგან. არა თუ, ტარიელი, რომელიც პოემის სივრცეზე უმარე ბრძნულ აფორიზმს და სენტენციას გამოთქვამს და რომლის ქცევაც სიბრძნის გამოხატველია, არამედ თვითფატმანი, ასმათი, ფრიდონა და, რა თქმა უნდა, თინათინი და ნესტან-დარეჯანიც გამოსთქვამენ ბრძნულ აზრებს: ამკლავნებენ ისეთ მსოფლმხედველობას, რომელიც ძირითადი ღერძია „ეფუხის-ტყაოსანში“ გამოთქმული ფილოსოფიისა, საერთოდ ქართული ჰუმანისტური და რენესანსის ბერიოდის მსოფლმხედველობისა. ქვეყნის მთლიან-

ნობის ასეთი გაგება სისრულით გატარებულია „ვეფხისტყაოსანის“ ყოველ შერ-
ნაკვეთში. ეს თითქოს ესმის პოემის ყოველ გმირს. მაგალითად, ასმათმა იქცის
მთლიანობის აზრი, მთლიანობისაკენ სწრაფვის აუცილებლობა, მთლიანობის
შეუძლებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ტრაგედიის შინაარსი. როდეს-
საც აეთანდილი მოიტანს ნესტანის პრენის ამბავს და მის წერაღს, განცვი-
ფრებული ასმათი, რომელსაც არა სჯერა ამბის ასე დასრულება, რომელსაც

„ტერფით თხემანდის გაუხდა მას შეტი საკვირველობა,
იტყვის: „რა ვნახე, რა მესმის, არმცა ამისი მრთელობა“.

აეთანდილი აჯერებს მას, რომ ეს შირთაღია, „ესე ამბავი მრთელაა“...
ასმათს ესმის, რომ ჰარმონიასაკენ, მთლიანობისაკენ ლტოლვის ამბავი
სისრულეს მიუახლოვდა, მთლიანობა აღდგა. როდესაც იგი შეეყრება გა-
მარჯვებულ გმირებთან ერთად ნესტან-დარეჯანს, იტყვის:

„ასმათ ჰკადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არ დაბრულნი.
მოლოს ასრე განაცხადნა განგებამან, დაფარულნი“.

აქ ასმათმა დაამტკიცა, რომ მას ესმის მსოფლიო საიდუმლოების აზრი,
რომ მთელი მათი ბრძოლა, ტარიელის, აეთანდილის, ფრიდონის ბოზოქარი
გზა უხენაეის საიდუმლოების, „დაფარულის“ გამოსაცნობად მიემართებო-
და. შრომათ, ბრძოლით, შემოქმედებით ამოხსნილ იქნა აზრი „დაფარულ-
სა“. იგივე ასმათი გამოსთქვამს შესანიშნავ ფსიქოლოგიურ და ფილოსო-
ფიურ შეხედულებას, „სადაც საყვებით გარკვევითაა გამოსახული ადამიანის
მთლიანობას შესახებ ჰუმანიზმის კონცეპტია:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთხედან ჰყიდიან,
რა გული წავა, იგაცა წავლენ და მისკენ მიდიან“.

ფატმანიც, ეს „მრუშობის“ წარმომადგენელი პოემაში, ჰაესებათ გატაცე-
ბულია პოემის სხვა გმირების ლტოლვით დაფარულის გამომქლავებისაკენ.
მიუხედავად აეთანდილთან რომანტიულა დამოკიდებულებისა, იგი, როგორც
კი შეიტყობს აეთანდილის ზოგნაურობის აზრს, წამოიძახებს ბრძენის სი-
დინჯითა და ენაწყლიანობათ:

„ფატმან სთქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომზედეს მო, — რანი,
დღეს რომე მესმინეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“.

ფატმანი სწერს ნესტანს:

„ფატმან სწერს: „აჰა, მნათობო სოფლისა, მზეო ზენაო,
შენთა შორს-წყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრუნაო“.

აქ ნესტანი გაიგივებულა მსოფლიოს მთლიანობის საწყისთან — მზესთან.
მას ესმის ქვეყნის წყობაში მასთან სიახლოვისა და სიმორის მნიშვნელობა.

ნესტან-დარეჯანის წერილი ხომ მთლიანად სრულქმნილი მანიფესტია მა-
შინდელი ქართული რენესანსის ფილოსოფიისა, ქართული ჰუმანიზმისა,
თანათნისაც ხომ საფესებით გაცნობიერებული აქვს მსოფლიო მთლიანობის
აზრი. მაღალი, სრულქმნილი მორალური ღირებულებებისაკენ ლტოლვა ხომ
მისი ძირითადი არსია. იგი სთმობს აეთანდილს და ნებას აძლევს მას თავი
დასდვას „დაფარულის“ ამოხსნისათვის.

თუთონ ტარიელს ზრნ საფესებით გაცნობიერებული აქვს საკუთარი

ლტოლვა მთლიანობასთან შეწყობისათვის. მისი ლტოლვა ზესთამწყობართან შეწყობისათვის სავსებით შეგნებულა, იგი ამ პროცესის მთავარი შემსრულებელი გამოირჩევა. ამის მიღწევისათვის უამრავი ჭირის გადახდა, ყოველნაირი უკმაყოფილება დასჭირდა. ასეთი მიმღე ბრძოლის პროცესში მას არა თუ ესმის აზრი აღამიანის მაღალი ლტოლვისა არამედ განიცდის კიდევ მას. ტარიელი იბრძობს ყველაზე მნიშვნელოვან ფრაზას, რომელიც მთელს პოემაში უმნიშვნელოვანესი ადგილია რუსთაველის მსოფლმხედველობის გაგებისათვის:

„მიმდინი საწუთროსანი, მისთა ნივთთავან ჩრებინან,
იშვებენ, ნავრა უმუნთლოდ ბოლოდ ვერ მიურჩებინან,
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებინან“.

ამრავალ ტარიელს სავსებით შეგნებული აქვს „ბრძენობის“ აზრი, იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა მწყობრთა მწყობრთან შერთვასათვის. ამისათვის ეურჩებოდა იგი ქვეყანას, ბოლო ამ ურჩობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც იგი სრულებით გაუდგბ სოფელს და თავისებური ვხვებით, შინაგანი პათოსის საშუალებით მოინდომა მსოფლოთს მთლიანობასთან შეწყობა. ყოველივე ამის გამო და აგრეთვე იგი იმასაც მივიღებთ ნხედველობაში, რომ ტარიელი და ავთანდილი არც ნებელობის დინამიკის მიხედვით განსხვავდებიან ურთიერთისაგან, უნდა დავაკენათ, რომ ავთანდილთან ერთად ტარიელიც, — ბირველ რიგში ტარიელი, — ითვლება რუსთაველის მსოფლმხედველობის მედიუმად.

ტარიელის მდგომარეობაში ავთანდილის გზაც ისეთივე იქნებოდა, როგორც ტარიელის. ავთანდილის მთელი სიბრძნე ძირითადად გამოშატეულია იმ აზრისა, რომელიც ზემოთმოყვანილ ტაბეებში ტარიელმა გამოსთქვა. ავთანდილის აზრები წარმოადგენენ ამის გამლას. ამის ნიადაგზე მან შეადგინა მთელი სამოქმედო და სააზროვნო პროგრამა.

ილუსტრაციისათვის ვსეც კმარა. ზეენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ავთანდილის მიერ ბრძნული აფორიზმების, მაღალ-აზრიანი სენტენციების წმარება სრულებით არ აღასტურებს იმას, რომ იგი ტარიელისაგან განსხვავებული ქარბქტეროლოგიური ტიპია.

ახლა შევადაროთ ტარიელი და ავთანდილი ნებელობის დინამიკის მიხედვით. აქაც სრულ ერთგვარობასთან გვაქვს საქმე. ტარიელის ნებელობის შესახებ ჩვენ ვრცლად უკვე გვეონდა ლაპარაკი. თუ გავიხსენებთ ზემოთქმულს, მაშინ უეჭველად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ იგი მტკიცე და დაუფლებელი ნებელობის აღამიანია. მას ყოველთვის გამოაქვს გაცნობიერებულა გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება წარმოიშვება მასში განმტკიცებულ განწყობასთან შეთანხმების ნიადაგზე. ყოველი მისი ახალი ქცევა იღვური სიტუაციის ნიადაგზე წარმოშობილი გადაწყვეტილებია შედეგია. მისი მაღალი მოთხოვნილებები იმპულსებად გადაქცეულან. ეს იმპულსები მეტად მძლავრია. მათ რეალიზაციას ცნობიერი ნებელობითი აქტები სჭირდა. ამისათვის იმპულსებულა ეს იმპულსები შეიკავოს, ქცევაში არ გამოამყვანონ. მისი ემოცია ყოველთვის პათოსია, მაშინაც-კი, როდესაც ის მთლიანად მიეცემა ამ პათოსს, თითქოს ამ პათოსის პონა ხდება. ასეთი მდგომარეობაც შეგნებული ნებელობითი რეალიზაციაა საკუთარი არარეალიზირებული განწყობისა. მაგ., როდესაც იგი მთლიანად დაიპყრის ემოციურმა განცდებმა და როდესაც გადაწყვიტა ვარდაცვალების გზით სატრ-

ფოსთან შეწყობა, იგი მტკიცედ ეუბნება ავთანდილს: „ჰკითხე ასთაჲ, ჰქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გიფაზიროს“.

მისი პიროვნების ატრუტურა ჰარმონიულია. თავისი პიროვნების განუყრელ თვისებად ქცეული მაღალი მორალური ტენდენციები ჰარმონიულ ურთიერთობაში იმყოფებიან ბუნებრივ მიდრეკილებებთან. მასში ცალკეული, ნაწილობრივი პროცესები ისე არიან გაერთიანებული, რომ ჰარმონიულ მთლიანს ჰქმნიან. მთელი მისი არსება ყოველ მომენტში განაცდის სრულ მზაობას თავისი იდეალური მიზნების განხორციელებისათვის. მისი ნუნელობა მტკიცე და საიმედო შუამავალია განწყობის განხორციელებისათვის. აქტიობის პროცესში წარმოშობილი ძლიერი ემოციური ავანცდები ამ აქტიობის შეფერხების შედეგად არიან წარმოშობილი. ისინი არ წარმოადგენენ აფექტებს, რომლებიც მიმდინარეობენ პიროვნებაში ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ფსიქიკური ტენდენციის შეჯახების გამო, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, ღრმა და ძლიერი ადამიანის აქტიობასთან დაკავშირებული ძლიერი ემოციები არიან. ასეთი ჭარბი ემოციები ახასიათებენ ავთანდილსაც. ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უფრო მწვავე სიტუაციაში ავთანდილის ემოციების გამოშვლავება დაუძლეველ, უცნობიერების დამბინდველ აფექტად შეიძლება იქცეს. რუსთაველი როგორც ავთანდილის, ისე ტარიელის ასეთი პათეთიური მდგომარეობის გამოხატვას ჰიპერბოლებში აწარმოებს, რითაც მას სურს ზედადამიანური პათოსისათვის განსაკუთრებული ზანის გასმა. იმავე დროს, რადგან რუსთაველმა იცის, რომ ემოცია მჭიდროდ არის დაკავშირებული სხეულთან, გამოსახულების მოძრაობასთან, ასეთ მძლავრ პათოსის გამოშვლავებას იგი გამოხატავს შესატყვისი ჰიპერბოლებში. მწუხარების, შიშის, სიხარულისა და მრავალი სხვადასხვა თუ უსიამოვნო განცდის სხეულებრივ პროცესებთან კავშირის გამოსახვა შესატყვისებშია შეუმცდარად. განცდების ჰიპერბოლა იწვევს შესატყვისი სხეულებრივი გამოსახულების ჰიპერბოლაში მოცემასაც. ამიტომ არ უნდა გაგვიოცონ რუსთაველის რაინდების განუწყვეტელმა ცრემლთა ღვრამ, „დაწვთა ხოკვამ“, შოკისა და ზულყრის მკვარმა რეაქციებმა და სხვ. ისინი სრულებით არ გამოხატავენ პათოლოგიურ მდგომარეობას. ისინი მხოლოდ და მხოლოდ ზეკაცის განცდების სიმბოლიურ სხეულებრივ გამოსახულებას წარმოადგენენ. ავთანდილი, რომელიც „საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ეხოცების“, „შეკრთის, დიდი დაიზახნის, მით პატივი ეოცების“, „მოუნდის გულსა დაცემჲ, ზოგჯერ მიმართის დანასა“, „პირსა იხოკს, ეარღსა იპობს, ხელი მისი ვანამხოკლა, სისხლსა მისგან დადენილსა მხეცი ყოველი გაწამლოკლა“. „რა ვაფართის, არ იცის, მის თუ არბევდის ცხენი სად“. ან კიდევ ტარიელი, რომლის ქცევა უფრო მძლავრ აფექტურ ზანზეშაა მოცემული, რომელსაც შოკიც კი ეოსდის, სრული გესტაბის მდგომარეობაც აქვს, მძლავრ აფექტის წუთებშიც ტარიელი და ავთანდილი დარბაისლურ, უმაღლეს სიბრძნეს წარმოსთქვამენ. ასეთი თითქმის აფექტური ადამიანები სრული შეგნებათ ისწრაფვიან ზესთამწყობრთან შერთვისაკენ. ისინი უმაღლესი მორალური მიზნებით არიან გატაცებულნი. რაც მთავარია, ასეთი ადამიანები, ჯოჯოხეთური ფსიქიკური ტანჯვის გამოვლენ შემდეგ სავსებით ვანსადნი, სიხარულითა და ნეტარებით აღსავსენი უბრუნდებიან ცხოვრებას. რა თქმა უნდა, თუ მათ გცევას პირდაპირა მნიშვნელობით გაფიგებთ, მაშინ იგი პათოლოგიური ხასიათის ცცევად უნდა მოგვენათ-

ლა. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც, თუ გნებავთ, შიშველი ანუ ასეთ პათოლოგიურ თვისებებს ამჟღავნებენ, არა სრულფასოვანი ცნებები უნდა ვეწოდებინა. მაგრამ ასეთი ახსნა, „ვეფხისტყაოსანში“ უნდა განვიხილოთ უკვე ნაწარმოებში სიმბოლოსი, ჰიპერბოლისა და პოეტური ხატვაჲ მნიშვნელობის სრული გაუგებრობა იქნებოდა. რა ცუდი ფსიქოლოგი, ადამიანის სულის სუსტი მესაიდუმლე იქნებოდა რუსთაველი, რომ არა სცოდნოდა, რამ ნიშნავს პათოლოგიური და ჯანსაღი ადამიანი. სრულებით გაუგებარი იქნებოდა, რატომ დააკისრა ასეთი დიდი, საზოგადოებრივი ანუ სახელმწიფო, არასრულფასოვანი ადამიანი. მაგრამ რუსთაველი დიდი ფსიქოლოგია, ადამიანის უძირვანა გაცდების მცოდნე. ადამიანის სულში მღელვარე წინააღმდეგობათა პარპოზიის თუ დინამიკის მესაიდუმლე. მან იცის ადამიანის მთლიანობის აზრი. იცის, რომ ეს მთლიანობა წინააღმდეგობათა ერთიანობაა. მთლიანი ადამიანი შეიძლება ატარებდეს მრავალ ძლიერ პათოსს, მრავალგვარ შინაგან მღელვარე განცდებს, მაგრამ ყველა ისინი შეიძლება პიროვნების ცენტრის, მისი ძირითადი მოდუსის სხვადასხვა მხრივ ვაშლას წარმოადგენდნენ.

რუსთაველმა შესანიშნავად იცის პრინციპი ადამიანის ხასიათის გაგებისა. წყობად ამიტონა, რომ რუსთაველი მრავალ საწინააღმდეგო თვისებას, განცდებს, ქცევებს ათავსებს ერთსა და იმავე ადამიანში, ხშირად ისეთ მძლავრ და ურთიერთ საწინააღმდეგოს, რომ გენიოსის გაქანება საჭირო, რათა ასეთი წინააღმდეგობები ერთი მთლიანი წამყვანი, პიროვნული ცენტრის ირგვლივ შეიკრან. ყველა გმირს საფეხებით და გარკვევით გააჩნია ცენტრი. გარკვეულა მოდუსი, რომლისაგანაც მომდინარეობენ მათი მრავალფეროვანი და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო განცდები და ქცევა. მაგრამ ყველა ისინი წარმოშობილნი არიან ამ ძირითადი ცენტრის, პიროვნების განწყობის წარმატებით განზოციელების თუ შეფერხების შედეგად და რა თქმაობა ამ განწყობის სიმძლავრის, სისრულისა და სიტლანქის გამო, ეს განცდები და ქცევები ზეადამიანური სიმძლავრით მჟღავნდებიან. იმიტომ, რამ, რომ პოეტი მათ მიმდინარეობას ხშირად ჰიპერბოლებით გამოხატავს. მაგრამ ასეთი განწყობის განუწყვეტლივ დინამიკაში, აქტიუბაში მყოფობის გამო, პიროვნება საბოლოოდ ყოველთვის პოულობს გარკვეულ გზას მისი რეალიზაციისათვის.

ამრიგად, ზემოთქმულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ტარხელი და ავთანდილი, ქარაქტეროლოგიის თვალსაზრისით, ერთი გვარის ხასიათის ადამიანები არიან. ერთგვარია მათი განწყობა, ამ მოდუსით განსაზღვრული მიზნობრივი ლტოლვა, ხასიათის დინამიკა და სტრუქტურა. ქცევით ფენომენების მიხედვით განსხვავებულობა ხონ ქარაქტეროლოგიურ ტიპოლოგიურ განსხვავებულობას არ ნიშნავს.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ არც ფრიდონი განსხვავდება მათგან. ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ფრიდონის ხასიათში, ხასიათის შინაგანი ლოგიკის, შინაგანი აქცილებლობის მიხედვით, გარკვევით ან პოტენციურად მოცემულია ყველა თვისება, რომელიც დამახასიათებელია მთავარი გმირებისათვის. მაშასადამე, პოემის სამივე მთავარ გმირში ვერა, ვახტანგის თუ ვახტანგის ქარაქტეროლოგიურ სხვაობას, რომელიც ხშირად მოცემულია სხვა დღეებში ნაწარმოებებში, მაგალითად, პომპროსის „ოდი-სესა“ და „ილიადაში“ ან, თუ გნებავთ, „ნიბელუნგების სიმღერაში“.

პონტროსის პოემაში ოლიმპის ღმერთებიც ხასიათის მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. პოემის გმირები, სრულქმნალები (სრულქმნალები), ღმერთებიც ამ ქვეყნად, სავსებით თავისებური ქარაქტეროლოგიის ტიპები არიან.

„ნიზელუნგების სიმღერაში“ მახლობელი მეგობრები, ზიგფრიდი და გაგენი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათის ტიპები არიან. მათგან სავსებით განსხვავდება რიუდინგერი. იგივე ითქმის ქალთა მთავარ ტიპებზე — ბრუნჰილდისა და კრიმჰილდისზე. ასეთ მკვეთრ ქარაქტეროლოგიურ თავისებურებებს უხვდებით როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის დიდ ეპიქრ ნაწარმოებებში.

ახლა ვეკითხოთ, რა არის იმის მიზეზი, რომ რუსთაველმა თავის პოემაში ძირითადი გმირები ურთიერთისაგან არ განასხვავა? ნუთუ რუსთაველმა არ იცოდა ლატერატურული ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის პრინციპები? თუ ეს პრინციპებმა მას ცნობიერების სიმალემდე არა ჰქონდა აყვანილი, რად არ დაეხმარა პოეტური ალღო ამის გარკვევაში? ნუთუ იგი ვერ ჩასწვდა იმ ქარაქტეროლოგიის პრინციპს, რომ ხასიათის ტიპში უნდა იქნას ასახული პიროვნების მთლიანობის რაგვარობა, მისი შინაგანი ლოგიკა, დისპოზიციები, რომლებსააგანაც შინაგანი აუცილებლობით მომდინარეობენ შესატყვისი ქცევები. ასეთი მთლიანის რაგვარობის გათვალისწინების შემდეგ მკითხველმა ყოველთვის იცის, თუ როგორ მოიტყუვა ასეთი შინაგანი ლოგიკის ადამიანი სხვადასხვა წარმოსახულ სიტუაციაში.

რუსთაველი არა თუ ჩასწვდა ამ პრინციპს, არამედ იგი ცნობიერებას სიმალემდეც აიყვანა. რუსთაველმა იცის, რომ „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძის კაცით კაცამდის“. როცა მას სჭირდება, იგი კალმის ერთი მოსმით ასახაფს განსხვავებულ ქარაქტეროლოგიურ ტიპებს, მაგალითად, ფატმან ხათუნს, უსენს და სხვებს. იგი სავსებით გარკვევით განასხვავებს ადამიანებს ქარაქტეროლოგიის ძირითადი პრინციპების ნიადაგზე. მაგალითად, ჭსენი, ზეფის ვაზირა და სხვები როგორც მიზნის, ნებელობის დინამიკის, ტემპერამენტის, ისე პიროვნების სტრუქტურის მიხედვით სავსებით განსხვავებულ ტიპები არიან ავთანდილთან და ტარიელთან შედარებით.

ფატმანი, რომლის ხასიათიც შეუდარებელი სინჯალით არის მოცემული, აბსოლუტურად განსხვავდება თინათინისა და ნესტანისაგან. რა აქვს საერთო ფატმანს თინათინთან — იმ ფატმანს, რომელიც არის:

„თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკეთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ-პირხმელი,
მუტრითა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის-მსმელი“.

ასეთი ფატმანი ვერც ერთ სიტუაციაში, ვერ შესძლებს ნესტანობას და თინათინობას, ისე, როგორც უსენი, რომელიც „მჟღე არის და თვალად ნისი“, ვერ შესძლებს ავთანდილობას. რუსთაველმა იცის, რომ ყოველ ადამიანს აქვს შინაგანი გარკვეული შესაძლებლობა. მან იცის, რომ „ქოკასა შავან რაცა დგას, იგივე წარბოღინდება“, რაც, ცნებების ენით თუ გამოვითქვამთ, ადამიანის შიშართ ნიშნაეს იმას, რომ ყოველი ადამიანის ქცე-

ვა განსაზღვრულია მისი შინაგანი დისპოზიციებთა, წინასწარ მოცემულია პიროვნულ თავისებურება მთლიანობის სახით, რომლიდანაც წარდგინდა ნარეობდეს განცდებისა და ქვეყნის ნაკადი. რუსთაველმა იცნა მთლიანობის მთლიანობის აზრი. იცის, რომ „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰყრიდა“. მას არ გამოჰპარვია მეტად მწვავე კოლიზიებში თავისი გმირების გულის, გონების და ცნობის დღეღის არც ერთი მცირე ნუანსაც. იგი ისე ზედმიწევნით ჩასწვდა განცდებისა და სხეულის დამოკიდებულების ყოველ მხარეს, რომ ჟეჟურადღებოდ არ დასტოვა თვით დიდი ტრავიკული ამბია მოთხრობისათვის გამზადებული ადამიანის მოზის თავისებურებაც. აი რისგორ იწყებს ამბას თხრობას ტარიელი:

„დიღჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა,
ვითა მზე ჯღბ მოღრუბლებით, დიდბან შუქნი არ ადარნა;
ვერ გაახვნა სააუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა“.

რუსთაველმა ყოველ თავის მთავარ გმირს თანაბარი სიჭარბით მიანიჭა ყველა ადამიანური შესაძლებლობა. მაგალითად, ფუნქციების მიხედვით თუ განეხილავთ, ქარბად მიანიჭა გონება, გრძობა და სხვ. ისე, რომ შესატყვის სატუალაში ისინი სავსებით ერთნაირად შესძლებენ გამოვლენას. იგივე ითქმის მთლიანობითი ხასიათის პიროვნულ თავისებურებზე, როგორცაა მიზანი, ნებელობის დინამიკა, იმპულსების სიძლიერე, პიროვნების სტრუქტურა და სხვ.

რა არის ამის მიზეზი? რუსთაველს არა სურდა და არა სჭირდა განსხვავებული ქარაქტეროლოგიური ტიპების ასახვა. მან მოგვცა ადამიანობის უნივერსალური ტიპი ტარიელისა და ავთანდილის სახით. რადგან ტარიელით დაეაწყეთ, ამიტომ განვავარდნით ამ თვალსაზრისის გამლა ტარიელობის გაგების ნიადაგზე.

ტარიელი ადამიანი — ნიკრთქოსმოსია, რომელშიაც ყოველი მძალი ადამიანური ლტოლვა მოცემულია ერთნაირი სიჭარბით. უზენაესი სისრულისაკენ ლტოლვის განწყობის განხორციელებისათვის მასში პიროვნების ყველა ძალა შეწყობილი და შეხმარებულია. ცალკეული პიროვნული თავისებულების მიხედვით იგი მაღალგონიერი, უღრმესი პათოსის მქონე ამოღებულნი იქნებიან, იმავე დროს მეგობარი, უბაღლო გმირა და სხეულით მშვენიერი. აი ასეთმა ადამიანმა სისრულისაკენ სვლის მძიმე გზაზე შაღწია იმ საზღვარს, რომელიც ბორცვილი ადამიანისათვის დაუძლეველია. მაგრამ ამ „ხრწნადი ოთხთა კავშირისაგან“ შემდგარ ქვეყნის წიაღში მოქცეულმა ტარიელმა ვადასწყვიტა ამ არავისგან ვადაულახავი ჯებირის ვადალახვა, „სულთა სირასთან“ შერთვა, „მზესთან“ მისვლა, „ხესთა მწყობრთან“ შეწყობა. მან წიაღწია იმ საზღვარს, როდესაც მისი სული დიდ ტანჯვაში ვანათლდა უმაღლესი პარმონიის ბილვით. იგი მიადგა სისრულის იმ საზღვარს რომელსაც დანტე ალივიერმა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ზრძენი ვირვილიუსის დახმარებით მიღწია. მაგრამ. მიუხედავად ამისა, ტარიელი მიინცდამარცხებებს გრძნობს; მიუხედავად დიდი ექსტაზისა, რომელსაც იგი განიცდის „მზის“ ყოველი ვახსენების წუთს, მიუხედავად იმისა, რომ იგი შინაგანი პათოსით ყოველთვის შერწყმულია რესტანთან, „მზესთან“, ის იმავე დროს ჯოჯოხეთურ ტანჯვას განიცდის. იგი ეწინარეს ყოველისა ადამიანი და, როგორც ადამიანს, სისრულე სჭირია, როგორც მთლიან არს-

ბა, და არა მარტო მას „სულს“, რომელსაც უმადლესი ჰარმონიის ტერმინ-
თაც შეუძლიან დასტებენ.

ტარიელს, როგორც უმადლესი პეტერისტული მიზნების სისტემის
სისტრულ სჭირია მიწაზე ყოფნის დროს. ამიტომ არის ტარიელის ტანჯვა
შიძე და განუზომელი. მას სწამს, რომ იგი „სულთა სირაში“ შესვლის შემ-
დეგ „მზესთან“ შესაძლებს შეყრას, მაგრამ, როგორც ადამიანს, ეს სისტრულ
მას სჭირია მიწაზე. მომქმედ აქტიურ ადამიანს ჰარმონიული ყოფნა სჭირია
ამ ქვეყანაზე. ამიტომია, რომ ტარიელში ამ ხაზით მოწოდებული ძალები
შფოთავენ, ზობოქრობენ, გამოსავალს ეძებენ. ეს გამოსავალი უკვე აღიკვე-
თა ჩვეულებრივი ადამიანური აქტივობით. მიწისავე მიზიდულების მქონე
ძალები სჭირიან და მოსთქვამენ სრული ადამიანობის იდეის მიწაზე დამ-
კვიდრების შეუძლებლობას. ასეთი აგონიის ეპოს დაიბადა ავთანდილი.

ტეშმარიტების ძიებაში დიდი დიდი, სისტრულსავე დროულად დამარცხე-
ბული ფაუსტი ძლევის ცხოვრების აზრის შეცნობისა და განცდისავე. მას
ფინიას სახით ჯალოქარი მოევიწყება, მისგან მეფისტოფელი იბადება. მე-
ფისტოფელი ხომ წარმომადგენელია ადამიან-ფაუსტის ლტოლვათა. ფაუსტი
დროებით მიენდო თავისსავე წიაღიდან წარმოშობილ ბოროტ ძალებს. მაგ-
რამ მეფისტოფელი ხომ ერთი მხარეა, ერთი ნაწილი ფაუსტის მდიდარი და
ღრმა სულია. ფაუსტის ბუნების ამ სიღრმემ და სიდიადემ სძლია თავისი
ბოროტი ნაწილები და ჩასწვდა მორალურ ტეშმარიტებას.

ტარიელის გზა ტეშმარიტებისავე იყო მიმავალი. იგი წყვეტადიდან სინა-
თლისავე გაემართა. მას უკვე განცილი აქვს ქვეყნის აიტებო და სიმწარე,
ბედის სიმუხლდე. მან ისიც იცის, რომ ამ მუხთალ ქვეყანას შეუძლიან ავი-
დეს მსოფლიო ჰარმონიის უფრო მაღალ საფეხურზე; იცის, რომ ყოველი
არსი უზენაესისავე სწრაფვის პოტენციით არის აღჭურვილი. ამიტომ ისიც,
როგორც ადამიანი, არსთა შორის მაღალი არსება, „ერთისავე“ სწრაფვის-
თუ მიუბრუნდება ქვეყანას, ეს უნდა იყოს უკვე სრული მობრუნება ამაღ-
ლებული ადამიანისა. მისი გზა შინაარსულად სხვაა, ვიდრე ფაუსტის გზა-
მია შეუძლიან მიენდოს მხოლოდ საკუთარ თავს. უნდა მიენდოს იმ ძალას,
რომელსაც შეუძლიან შეაკავშიროს დაშლილი, ჰარმონია დარღვეული ნაწი-
ლები, — იმ ძალას, რომლის ძირითადი ტენდენცია მდგომარეობს მთლიანობის
აღდგენაში. ეს არის მეგობრობის ძალა, რომელიც ტარიელში მოცემულია
გაუშლილი მძლავრი პოტენციის სახით. ტარიელი გაიშალა სხვა ასპექტში.
მისი უნივერსალური ბუნება ამოქმედდა ახალი მიმართულებით. იგი მიწაზე
სისტრულსა და სიმშვიდის დამკვიდრებისათვის ახალი გზების ძიებისაა
სხვა ასპექტში გამოვლინდა. ტარიელი აქ იგივე ავთანდილია. ამიერიდან
ტარიელი, როგორც ყოფილი ტარიელი, მწიის თვალსაზრისით, არაარობამ
წარმოადგენს. იგი ცათ ამაღლებისავე ლტოლვილია. ამიერიდან მოქმედე-
ბაშია ეს ტარიელი, რომელიც მიწისავე მობრუნებისათვისაა ანთებული.
ტარიელის ბუნების ერთმა მხარემ, მიჯნურობამ, გაიტაცა მისი ბუნების
დანარჩენი მხარეები. იგი მიუახლოვდა ციურ სისტრულს, მაგრამ რომ გაი-
შალოს უნივერსალური ადამიანის ბუნება, უნდა გაიშალოს ის ძალებიც,
რომელნიც ახალი გზებთან ახალ სისტრულსავე მოღწოდებენ ადამიანს.

ასეთი მისწრაფების წარმომადგენელია ავთანდილი ტარიელში. ავთან-
დილს ყველა ის თვისება აქვს, რაც ტარიელს, ყველა ის შესაძლებლობა
გააჩნია, რაც მის ორეულს, მაგრამ ამჟამად მისი ქცევა საფუძველია არა

სისრულის დამკვიდრება ზეცაში, „მზეში“, არამედ მისი „მზის“ ჩამოყვანა მიწაზე. ამერიიდან ტარიელი მოქმედებს როგორც აეთანდილი, რეკონსტრუქციის ცეცხლის მას. ტარიელი პასობრივი ხდება. აეთანდილი ამხრევეს ხეობას ამოუწურავი ენერჯით. პოეზიაში მოთხრობილი თვითონ აეთანდილის მთელი ცხოვრება, სხვა სიტუაციაში გაშლალი, იგივე ტარიელის ცხოვრებაა. თუ აეთანდილი ტარიელის სიტუაციაში მოქმედობდა, მისი ცხოვრება ისეთავე იქნებოდა, როგორც ტარიელის მომბოქარი ცხოვრება. ერთი და იგივე გვარის უნივერსალური ბუნების ადამიანები, უკეთ რომ ვსთქვათ, ერთი და იგივე გვარის ადამიანის განსხვავებულ სიტუაციაში თავისებურად გაშლილი ორი ცხოვრება ჟამთა სარბოლაში შეხედნენ ერთმანეთს ქვეშაირიტების გზაჯვარედინზე, საიდანაც ერთი გზა მიემართება ცისაკენ, მეორე მიწისაკენ, ორივეს ცხოვრების მსვლელობა წარინართა მიწისაკენ, ქვეშაირიტების მიწაზე დამკვადრებისათვის. ამ გზის არჩევანში უპირატესობა ერგო ტარიელის არსს იმ მხარეს, რომელსაც ეწოდება მეგობრობისა და მიწიერი სიბრძნის სიმბოლო — აეთანდილი.

აქ გაშალა რუსთაველმა უნივერსალური ადამიანი — მიკროკოსმოსის სახე თავისი გენიალური პოემის სიერცეზე. რადგან ზოგადი იდეის მხატვრული გამოსახვა მხოლოდ მაშინ არის მართალი, მიმზიდველი და ღირებულნი, როდესაც ამ იდეას მიენიჭება კონკრეტული და ინდივიდუალურად დამოუკიდებელი არსებობა, ამიტომ ადამიანობის იდეის დრისა და სიერცეში გაშლისათვის, ამ იდეის მატარებლის აქტიური სუბიექტია მთელი სისრულით ჩვენებისათვის მან იგი ყოველმხრივ გაშალა; განსაკუთრებით კი ამ მთლიანის ორ მხარეს ტარიელსა და აეთანდილის სახით ობიექტურად დამოუკიდებელი ღირებულება მიანიჭა. რადგან აქ ერთი და იგივე იდეა ორ მხრივია გაშლილი, თვითული განსხვავებულ სიტუაციაში მიმდინარეობს და ამით მათ მთლიანისაგან დამოუკიდებლადაც გარკვეული ღირებულება მიენიჭა, ამიტომ უფლება გვაქვს ამ მთლიანის სრულად გაგებისათვის განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ყოველ ზოგად იდეას აქვს თავისი ლოგიკა. სავალდებულო არ არის ლოგიკური ყოველთვის ემთხვეოდეს ფსიქოლოგიურს. შეიძლება ერთი და იმავე იდეის ტარება დაეკისროთ ხასიათის მიხედვით სავსებით განსხვავებულ ადამიანებს. მაგრამ, როგორც ხედავთ, პოემის გმირების ქცევისა და განცდების ფსიქოლოგიური ანალიზი გვარწმუნებს, რომ აქ სავსებით თავისებურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. „ეფთხის-ტყუარასში“ ლოგიკური მთლიანად ემთხვევა ფსიქოლოგიურს, ლოგიკურ მთლიანშია ფსიქოლოგიურთან. ადამიანობის იდეა, რომელსაც თავისი შანაგანი ლოგიკა აქვს, გაიშალა მრავალ კონკრეტულ ასპექტად; განსაკუთრებით ხორცშესხმულ ტარიელსა და აეთანდილის სახით. ისინი არიან ერთი „გვარი“-დან, ადამიანობის იდეიდან წომდინარე, ერთი და იმავე მიზნისაკენ მსწრაფი, ერთგვარი პიროვნული თვისებებით აღჭურვილი, „ერთფერი“ პერსონაჟები. მხოლოდ ერთი გაშლილია მიჯნურობის პათოსში, მეორე — მეგობრობის პათოსში. ისინი სავსებით პარმონიული ადამიანება არიან. მეცნიერული ფსიქოლოგიის მიხედვით ტარიელი არ არის კონფლიქტური ადამიანი, მისი ქცევა და განცდები, თუ პოეტურ პიპრობოლებს შევარბილებთ, სავსებით გასაგებია თანამედროვე მეცნიერული ქარაქტეროლოგიის ნიადაგზე.

რუსთაველმა იცის მთლიანობის აზრი, „ზესთა მწყობრთა მწყობრის“ კანონზომიერება. იგი გატაცებულია უზენაესი ტრადიციების გაქმნელებით „უზესთაესობა“-სთან შერთვის წყურვილით. იცის ასეთი სტანტულის ყოფის მოწყვედი ადამიანის, ოთხთა კავშირის „ქმნისა და ხრწნის“ წილში მოქცეული არსების ბედი. „ერთფერთა“ ურთიერთობაში მისწრაფება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის წესის გამართლებას. ადამიანი, მიუხედავად სისრულისა, დროისა და სივრცის კატეგორიას. დროისა და სივრცის გარეშე მდგარ მსოფლიო საწყისთან საესებთ მიახლოვება და შერთვა მიუღწეველია.

რუსთაველმა თავისი პოემის გმირებს, ხორციელ ადამიანთა უნარის ფარგლებში, სრული შესაძლებლობა მისცა მსოფლიოს წყობის უნაღწეს კიბურზე ასვლისა, „მზესთან მიახლოვებისა“. ეს გზა ჯოჯოხეთური წამებით ძლივს განვლო უნივერსალურმა ადამიანმა ტარიელმა resp. ავთანდილმა, რომელიც წარმოადგენელია არა მარტოდენ ადამიანისა არამედ ადამიანობის იდეისა, ადამიანობის როგორც გვარისა. ასეთმა უნივერსალურმა ადამიანმა მიაღწია სისრულის საზღვარს, რომლის მიღმა ადამიანური ძალებით სულა შეუძლებელია. საბოლოოდ ტარიელმა შესძლო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის წესის ასრულება — ლეთაების მიერ „დასაზღვრულ“ მიჯნამდე მიღწევა.

რუსთაველმა, გადავლო რა სიბრძნის თვალი თავის პოემის ადამიანთა სისრულისათვის მღელვარე ბრძოლას და ამ ბრძოლის ნაყოფს, „არვისგან მისანდობელი“ საწუთროს ფარგლებში მომწყვდეულ ადამიანთა ბედს, მას მხოლოდ და მხოლოდ შეეძლო ეთქვა ჯანმრთელი პესიმოზმისა და ლეთაებრივი ირონიით აღსავსე სიტყვები:

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა;
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა;
ვის გძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა“.



შოთა შიშიშვილი

შოთა შიშიშვილი როგორც ქართული ენის მკვლევარი

(გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო)

შოთა შიშიშვილი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგში უხდებოდა ზუსტობა და ყველა ამ დარგიდან დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ნაშრომები. თავისი მოწოდებით ჯანაშიელი ისტორიკოსი იყო, მაგრამ თუ იგი პარალელურად ლიტერატურის ისტორიის და ენათმეცნიერების საკითხებსაც იკვლევდა, ეს ძიებანი მას წარმოედგინა საისტორიო კონცეფციის მასალად, როგორც საქართველოს ისტორიის საერთო სურათის შემადგენელი ნაწილი. ამისდა მიუხედავად, ჯანაშიელის ნაკვლევს ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ქართველურ ენათმეცნიერებაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ეს ნაშრომები ამ დარგების განვითარებაში საბაძო ადგილს იჭერენ.

ამ მკვლევარანათვის დამახასიათებელი ფართო დიპაზონი — მეცნიერების სხვადასხვა სფეროთი დაინტერესების მხრივ — კარგად ჩანს ენათმეცნიერების დარგშიც: აქაც ფართოა და მრავალმხრივი ის პრობლემატიკა, რომელიც აინტერესებდა ჯანაშიელს, როგორც ენათმეცნიერს. გრამატიკა, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგიები, ქართველურ ენათა შედარებითი შესწავლა, ქართველურ ენათა გენეალოგიური ურთიერთობა მსოფლიოს ენებთან, ქართულასა და კავკასურ ენათა ურთიერთობა, — აი ის დარგები, რომელთაც შეეხებია შ. ჯანაშიელის დაუღალავი კალამი.

გრამატიკა

1906 წ. გამოქვეყნდა ჯანაშიელის „ქართული გრამატიკა“. ეს ნაშრომი ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების მეორე პერიოდს განეკუთვნება. პირველი პერიოდი ანტონის გრამატიკული სკოლის ბატონობის ხანაა არსებითად. მიუხედავად პირველსა და მეორე პერიოდს შორის ჩვენი ერაყთი იმ რეფორმებს, რომლებიც ჩატარებულ იქნენ ქართული ორთოგრაფიისა და სალიტერატურო ენის სფეროში ილია ჭავჭავაძისა და სხვათა

ხელმძღვანელობით თუ მონაწილეობით. ლოგიკისტურ გრამატიკის პრინციპებზე მდგომ ანტონ კათალიკოსისათვის გრამატიკა არას ხელოვნურად შექმნილი მეტყველებისა და სწორწერისა. „გრამატიკამ არს შემძლებელნი: მარჯობა უბნობად და მართლწერად“, — გვეუბნება ანტონი. აქედან გასაგებია ის ტენდენცია, რომელიც ავალებს გრამატიკოსს — თავის ნებაზე წარმართოს თვით ენის განვითარება, ვადააქეთოს არსებული მეტყველება გრამატიკის შაბლონის მიხედვით, დაუმორჩილოს გრამატიკას პრინციპებს ენის ფორმები. ამ თვალსაზრისს მიეყვარათ უნივერსალიზმისაცენ: ლოგიკა ერთია, საყოველთაო, მასმასადამე, გრამატიკა უნდა იყოს საყოველთაო, ერთიანი. აქედანვე გამომდინარეობს ას შეზღუდვა, რომელიც ისახება ცალკეული ენების გრამატიკული სისტემის აგების მიმართ: ბერძნულ-ლათინური გრამატიკის ტრადიციები სავალდებულოდ იქნა მიჩნეული სხვა ენებისათვის, და, ამდენად, ასე აგებული გრამატიკა, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ენის სპეციფიკური თვისებების ამსახველი. მიუხედავად ანტონის დიდი დამსახურებისა ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში, მაინც მისი გრამატიკა ხელოვნურია და მოუზრგები ჩვენი მეტყველების ბუნებრივი ვითარებისათვის. მე-19 ს-ის პირველ ნახევარში ანტონის სკოლის მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული მთელი რიგი გრამატიკები.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში ერთგვარი გარდატეხის საფუძველია ის ლიტერატურული მოძრაობანი, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის შუა წლებში. ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ორიოგრაფიული რეფორმები და იმავე დროს ქართული ენას მეცნიერული დანიშნავების დასაწყისი, ინდოევროპული ენათმეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გაცნობა, — ყველაფერი ეს, ზოგად ხაზებში, ხელსაყრელ პირობებს ჰქონდა იმისათვის, რომ ქართული სასკოლო გრამატიკა ახალ ნიადაგზე დამდგარიყო.

ეს მეორე პერიოდი განსხვავდება პირველი პერიოდისაგან როგორც მასალობრივად, ისე მეთოდოლოგიურად. მეორე პერიოდში იბადება აუცილებლობა შემუშავდეს ახალი სალიტერატურო ქართულის გრამატიკა.

მეორეს მხრით, გრამატიკის ბუნების ანტონისეული გაგება უკუგაღებულა და დამყარებულა ახალი თვალსაზრისი გრამატიკის მიზან-ამოცანების გაგებაში: გრამატიკა არის შეჯამება ენაში არსებული წესებისა და კანონებისა მხოლოდ (წინა პერიოდში ამ მხრივ და სხვა მხრივაც გამოხატვის წარმოადგენს დიმი. ყიფიანის გრამატიკა).

ასეთი თვალსაზრისიდან ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე განმსახვავებელი მომენტი თუ ტენდენცია ახალი გრამატიკული ლიტერატურისა და იწეროს ქართული გრამატიკა, ე. ი. ისეთი გრამატიკა, რომელშიც აღწესებული იქნება ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის სპეციფიკური ნიშნები, არ იქნება მიჩქმალული თავისებურება ჩვენი ენისა სხვა ენებთან შებირისბირებით.

შესამე მხრით, არის ცდები, ქართული ენის გრამატიკული ფორმები განიხილებოდეს მოძვე ენებთან (მეგრულ-სვანურთან) შედარების ფონზე.

მოსე ჯანაშვილი მკვეთრად იმიჯნება გრამატიკის საგნის ანტონისეულ გაგებისაგან: „გრამატიკის დამწერი კანონმდებელი არ არის, — აცხადებს

ავტორი, — კანონები თვით ენაშია; საქართველოში მხოლოდ გრამატიკის შემდგენელმა ეს კანონები უმეტესაწლებოდ გამოარკვიოს, გამოარჩიოს, რამდენადაც...

ჯანაშვილის გრამატიკა ახალი სალიტერატურო ქართულში გრამატიკაა. ქართულ ენაზე ჯანაშვილი მიიხსენებს სრულიად საქართველოს ენას — როგორც საკუთრივ ქართულს (თავისი კილოვანებით), ისე მეგრულ-ქანურ-სვანურს. აქედან გასაგებია ავტორის განზრახვა: შემუშავებინა ისეთი გრამატიკა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდ სრულიად საქართველოს ენა — საკუთრივ ქართული და მეგრულ-ქანურ-სვანური. აქვე გათვალისწინებული ყოფილიყო დიალექტების მონაცემებიც. ავტორი წინასიტყვაობაში გარკვევით ამბობს: „ქართ. გრამატიკაში ჩვენ შევიტანეთ იმდენი და ისეთი მასალა, რომელიც... ქართველს მისცემს შეძლებას, შეისწავლოს თავისი დიალექტი, სრულიად საქართველოს ენა“. ამგვარად, დამუშავებული გრამატიკა, რა თქმა უნდა, სცილდება სასკოლო გრამატიკის ფარგლებს და ერთგვარად შეცნობიერებული გრამატიკის ხასიათს ატარებს... ჩვენთვის, — განაგრძობს ჯანაშვილი, ვითარცა ქართ. გრამატიკის შემდგენლისათვის, ერთნაირად ძვირფასი იყო და არის როგორც ქართული ბრუნვა და უღვლილება, ისე სვანური და მეგრული მიმოხრა, უღვლილება თუ კანკალება. ვინც არ იცის ქართული მის წარსულსა და აწმყოში, არსება, მირობანი და კანონები მისი და მისი კილო-კვებისა, მას, ვეჭვობთ, ესმოდეს მშვენიერება იმ დიად შეტყვევებისა, რომელიც არის საეროვნო, საგვარტომო ენა, ვადაშლილი და ვადაფურცნილი მრავალ ტოტებად“.

ავტორს მოცემული აქვს პარადიგმებში პარალელურად მეგრული და სვანური ფორმები, როგორც ბრუნების, ისე უღვლილების გარჩევისას ავტორი არ ივიწყებს იმავე თანმიმდევრობით და წესით მეგრულ-სვანურის კანონზომიერების გათვალისწინებას. შეპირობებულია აგრეთვე სიტყვაწარმოებითი ფორმები.

გრამატიკაში არის ახალი მომენტები, რომლებიც მას გარკვეულ ადგილს განსაკუთრებინებს ქართ. გრამატიკულ ლიტერატურაში. მაგალ. მნიშვნელოვანია ბრუნების სისტემიდან ტერმინოლოგიური სიახლე. რომელსაც პრინციპულად მნიშვნელობა აქვს: ავტორი მოქმედებითს ბრუნვას უწოდებს შემოქმედებითს, ვითარებითისათვის მოცემული აქვს ზმნისზედათი და, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად ხმარობს სახელობით მეორეს. სახელობითისა და მოთხრობითის გაერთიანება სახელწოდებით ეფუძნება ამ ბრუნვათა სინტაქსურ ფუნქციას და იმავე დროს, როგორც დღეს ცნობილია, ისინი ისტორიულადაც ახლო მდგომნი არიან; თუმცა სხვადასხვა ფორმაციისანი არიან, მაგრამ ორივე ნაცვლასახელური წარმოშობისა... ეს ტერმინოლოგიური ერთიანობა ამ ბრუნვათა ურთიერთობის სწორი გაგებისა და ავტორის ლინგვისტური აზრობის მაჩვენებელია.

გარდა ამისა, „ქართ. გრამატიკაში“ შედარებით სხვა ამდროინდელ გრამატიკებთან, ვრცელადაა წარმოდგენილი სიტყვაწარმოება, ფართოდაა განხილული უღვლილების ტიპები; აღსანიშნავია ამასთანავე რთული წინადადების სინტაქსის უფრო ვრცელად წარმოდგენა.

ამგვარად, ჯანაშვილის „ქართ. გრამატიკა“ ერთგვარად შედარებითი გრამატიკის ხასიათისაა. რასაკვირველია, მას ვერ მივიჩნევთ ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკად, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ

მასში ცდაა — ქართული გრამატიკული მოვლენები განიხილებოდეს მეგრულ-სევანურის სათანადო ფორმებთან შეპირისპირებით. ამ მხრივ ჯანაშვილის გრამატიკას ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართული გრამატიკული მოვლენების განვითარებაში.

თავის დროზე „ქართ. გრამატიკა“ გარკვეული გამოძახილი ჰყოვა ქართულ პრესაში. მის განოსვლისთანავე დაიბეჭდა რეცენზიები ისეთი ცნობადი პირებისა, როგორც არიან ლუარსაბ ბოჯაძე, ალ. ხახანაშვილი, იუსტაბულაძე. სამივე რეცენზენტი გრამატიკის შთაქარ ღირსებად მიიჩნევენ მეგრულ-სევანურთან შედარებების შემოტანას.

ეტიმოლოგიური ძიებები

მ. ჯანაშვილის ნაშრომებში უხვად ვხვდებით ეტიმოლოგიურ ძიებებს. საამისოდ მას გამოყენებული აქვს ფართო ენობრივი მასალა: ძველი ქართულის მონაცემები, დიალექტები (პირველ რიგში ინგილოური და ხევსურული), მეგრული, ქანური, სევანური... ვახუშტის გეოგრაფიის გამოცემის წინასიტყვაობაში და უმთავრესად ტექსტში შენიშვნების სახით რედაქტორს მოცემული აქვს ეტიმოლოგიური ანალიზები უამრავი ტოპონიმიკური ტერმინისა. ამ ძიებებში ბევრია ხალხური ეტიმოლოგიის ხასიათისა, ბევრი კიდევ მისაღები ან ყოველშემთხვევაში სადაო.

1893 წ. გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდილია ავტორის საყურადღებო წერილი სათაურით — „მცირე შენიშვნა“, რომელიც არსებითად ეტიმოლოგიური ხასიათის ნაშრომია. აქ განხილულია ტერმინები ზ ა ფ ხ უ ლ ი, ზ ა მ თ ა რ ი. ავტორი ამ სიტყვებს შლის ასე: ზ ა + ფ ხ უ ლ, ზ ა + მ თ ა რ. ზ ა, ჯანაშვილით, სევანური ზ ა არის, რომელიც ნიშნავს წელიწადს, ხოლო ფ ხ უ ლ ძველ ქართულში ფხიანს, თავთავიანს, ფთოლიანს უღრისო. ზ ა მ თ ა რ-ში ზ ა იმავე წელიწადის აღნიშვნელია, ხოლო მ-თარი უღრის თოვლს (შეადარე მეგრული თ ი რ ი — თოვლი). მაშასადამე, თოვლიანი წელიწადი... ეს ეტიმოლოგიები გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. 1904 წ. გამოცემულს ვახუშტის გეოგრაფიაში ჯანაშვილს განმეორებული აქვს ასეთივე მსჯელობა. ოღონდ დამატებული აქვს ზ ა ფ ხ უ ლ-ის განმარტების დროს საპირისპირო ფორმა — აფხაზური ა ფ ხ მ ნ, ე. ი. ფ ხ უ ლ-ს უკავშირებს აფხაზურ ძირს ა-ფ ხ მ ნ. სამეცნიერო ლიტერატურაში ზ ა ფ ხ უ ლ-ის ეტიმოლოგიის შესახებ იხსენებენ პეტრე ქარაიას, რომელმაც 1912 წ. გამოსულს ნაშრომში ქართ. ფ ხ უ ლ-ს დაუპირისპირა აფხ. ა ფ ხ მ ნ, გამოყო. რა ამ სიტყვებში ზ ა ნაწილიად: ზ ა-ს- გამოყოფა და სევანურთან დაკავშირების ისტორია იწყება ვაცილებით ადრე — 1893 წ.; და მისი დამდგენია ჯანაშვილი; ხოლო აფხაზურას სათანადო ძირთან მისი შეპირისპირებაც იმავე მკვლევარის მიერაა მითითებული პირველად.

1893 წელსავე დაბეჭდილია ჯანაშვილის ნაშრომი: „ლაშა აყა-იღამ წარმოსდგა თუ აფხაზურ ენიღამ შემოვადა ქართლის ცხოვრებაში“. აქ იგაეკამათება გ. წერეთელს, რომელმაც ლ ა შ ა (გიორგი ლაშა) რუსული სიტყვიდან აყა მომდინარედ მიიჩნია. ამ სიტყვას კი (აყა) თამარა პირველად გაიგონებდა თავისი პირველი ქმრისაგანო, ჯანაშვილი, უარპყოფს ამ გულ-

უბრყვილო ახსნას და აღნიშნავს, რომ ეს სახელწოდება აფხაზთა ერთად, ე. ი. აფხაზურადან არის შემოტანილი. აფხაზურად ალაშაქი (ქუჩა) სიტყვით, ნიშნავს სინათლეს, და ამასვე უნდა უკავშირდებოდეთ ალაშარი.

იმავე წელს გამოქვეყნებულ ეტიმოლოგიურ ნაშრომში — „ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ — ჯანაშვილი იძლევა საგან-სიტყვის სწორ ეტიმოლოგიას. დღეს ეს ეტიმოლოგია დადგენილია და საბოლოოდ გადაწყვეტილი პროფ. ვლკ. ბერიძის მიერ. იმავე ნაშრომში გარჩეულია ქართ. შეწირვა, სვან. ლი-მზირ. ავტორის დასკვნით, წარმართობის დროს კერპების შეწირვას ერქვა მზორვა, სამზორავი, უზორა (უწირა). აქედან ზვარა, ზვარაკი (შესაწირავი). ნაშრომში — „ქართული ენა და ქართველები“ ჯანაშვილი იძლევა ნახშირ-სიტყვის ეტიმოლოგიას. ვახიარებულია ესეც.

ტობონიმიურ თუ ეთნიკურ ტერმინთა ანალიზიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბევრი რამ, მაგრამ აქ მავუთითებთ შემდეგზე: ეთნიკურ ტერმინებში ჯაფახ, ტაოზ, მესხ, მოსოხ და მისთანებში ზ-ს მიჩნევა მრავლობითი რიცხვის სუფიქსად. რომელიც დროთა ვითარებაში შეზორცება ფუქს, ლიტერატურაში მიეწერება ნიკო მარს. გაცილებით ადრე ეს აზრი გამოსთქვა ჯანაშვილმა.

ლექსიკოლოგია

გასული საუკუნის 90-იან წლებში მკვეთრად ისწება საკითხი ქართული ლექსიკონის შედგენას შესახებ. ინტელიგენტულური ცხოვრების გაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ უპასუხებდა მაშინდელი ქართული ლექსიკოგრაფიის სინამდვილე. საბას უკვდავი ლექსიკონი, ჩუბინაშვილის თარგმნითი ლექსიკონები და ზოგიერთი სხვა უკმარი იყო ახალი მწერლობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ხელშეუწყები კილოური მასალა, ეგზომ მრავალფეროვანა და მდიდარა, ელოდა შინაგანი ლექსიკური მარაგის გამოზედერებელს, დამამუშაებელს. ამას კარგად გრძნობდა ოდროინდელი მოწინავე ქართული ინტელიგენცია. და აქ ერთი პირველთაგანი მ. ჯანაშვილი იყო, რომელიც გულსტიკვილით აღნიშნავდა ქართული ლექსიკონის საქმის მოუგვარებლობას და ენერგიულად მუშაობდა ამ მიმართულებით.

1895 წ. „ივერიის“ ფურცლებზე („ქართველები და ქართ. ენა“) სინამდვილით აღნიშნავს ჯანაშვილი, რომ ყველა გაეცხებით — რა მდიდარი ენა გვაქვსო და არ კი ვფიჭობთ — შევისწავლოთ, გამოვამზებუროთ ჩვენი ენის ლექსიკური საუნჯენიო. ავტორი დაწვრილებით ჩერდება დიალექტების ნაირსახეობაზე და მათ მნიშვნელობაზე ლექსიკური ფორმების სხვადასხვაობას წარმოშობაში. ხაზგასწითაა ნათქვამი, რომ საქორა ყველა კუთხეში ვიყოლიოთ მომზადებული პარები, ადგილობრივი ინტელაგენტები სიტყვების შესფროვებლად. ყოველი შეგნებული ქართველი მოებალე დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიპაძოს ფუტკარს, რომელიც ყვაეილების სურნელბას თაფლად აქცეეს და მერე თავისი ნაყოფით თვითონაც სარკებლობს“, — დასძენს ავტორი. თავის მხრით მას შეუქრებია საინგილოში 600 სიტყვა,

ქართლში — 200, ივერთელს, ვინმე მესხს — სამცხეში რამდენიმე ავტორი ქვირფასი სიტყვა და სხვ. დასასრულ ავტორი ამბობს, რომ სავსეა ლექსიკონი ფორმებით რაზიკაშვილის, გ. წერეთლას, ნინოშვილის და სხვების. ყველა ამის აღნუსხვა უნდა დაევალოს ქართულ ლექსიკონს, რომლის შედგენაც ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ამ წერილის ვრცლად გამოცემა ჩვენ გეპარდება არა მხოლოდ მ. ჯანაშვილის დასახასიათებლად ესაა გამოსხატულება იმ დროინდელი საზოგადოებრივი აზრისა. ამასვე სჩაიან სხვანიც (თედო სახოკია, გრ. ყიფშიძე, სილ. ხუნდაძე, მ. მირიაშვილი, ი. აბულაძე). ამავ საგანზე გულისტყვილით ლაპარაკობს შემდეგ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე აკად. ნ. მარი (იხ. მისი წერილი საქაურით: „ერთი დიდი საკითხის შესახებ“. ავტორი ლაპარაკობს ქართული ლექსიკონის საქმის დაჩქარებაზე და მითითოვს კვალიფიციური პირების შემოკრებას ამ დიდი წამოწყების ირგვლივ).

მ. ჯანაშვილი იმთავითვე შეუდგა ქართული ლექსიკონის შედგენას. ეს ვრცელი ლექსიკონი მან დაასრულა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, და იგი დღეს გამოცემას ელის. მასში შეტანილია 105 ათასამდე სიტყვა. ამ ლექსიკონის რეცენზენტი პროფ. ვუკ. ბერიძე აღნიშნავს, რომ „ესაა წიგნი, თავისებური ენციკლოპედია, საიდანაც სპეციალისტები და ჩვენი კულტურის, მოყვარენი ბევრ რამზე საჭიროსა და სასარგებლოს გამოიტანენ ერობრივი საკითხების დამუშავებისას“.

„სახალხო გაზეთის“ ნომრებში მოთავსებულა ჯანაშვილის ვრცელი რეცენზიები ქართ. ლექსიკონებისა. კრიკაშვილის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონს“ მან მიუძღვნა რამდენიმე სტატია, სადაც მოცემულია შესწორებები და შევსებები. რამდენიმე სტატია ჰქონდა აგრეთვე ავტორმა დ. ჩუბინაშვილის სამეცნიერო ლექსიკონის განხილვისას. მასვე ეკუთვნის ილ. ჟუგანაძისა და ვუკ. ბერიძის ლექსიკონების რეცენზიები. მასვე დამუშავებული აქვს ინგილოურის ლექსიკონი.

დიალექტოლოგია

ჯანაშვილამდის ქართულ დიალექტოლოგიაში თითქმის არაფერი იყო გაკეთებული. ქართული კილოების შესახებ ცნობები აქა-იქ მოიპოვებოდა ადრინდელ ქართველოლოგიურ ნაშრომებში. ვენის უნივერსიტეტის პროფ. ფრანც. ალტერი, 1798 წ. გამოქვეყნებულ წიგნში *Über Georgianische Literatur* ქართულ კილოებად მიიჩნევს მხოლოდ ქართულსა და იმერულს, ეყრდნობა რა პაოლინოსა და პალასის ლექსიკონებს. ქართველთმეტყველების ფუძემდებელი ბროსე 1834 წ. (*Nouveau Journal Asiatique*) გამოჰყოფს 5 დიალექტს — კახურს, იმერულს, გურულს, მეგრულს, ცენტრალურ ქართულს და 4 „პატუს“ — „კავკასიის სვანურს“, „ლანიის პანურს“, „ფხაზურს და მესხურს. როგორც ხედავთ, აქაც დამაკმაყოფილებელი სურათი არ არის: ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული ენები და დიალექტები, ამასთანავე ქართ. კილოები სისრულით ჩამოთვლილიც არაა. ქართ. კილოების ფაქტები აქა-იქ გავსდებიან გამოკვლევებში ქართველი ტომებისა

ეთნოგრაფიიდან და ისტორიიდან. მაგ., რადეს ნაშრომში *Die Chewaren und ihr Land* (1878) მოცემულია ხევსურული თნომატოლოგიური და ტოპონიმიკური ტერმინები. ერკერტის წიგნში *Die Sprachen des kaukasischen Stammes* (1895) დახასიათებულია ზოგადად ხევსურული (როგორც არქაული დიალექტი) იმერული, ინგილოური, გურული, ფშაური და თუშური. ინგილოურს ავტორი ჰყოფს ორ კილოკავად: „მთის ინგილოურად“ და „სამხრულ ინგილოურად“. ყველა ეს ცნობა მას მიღებული აქვს ჯანაშვილისაგან პირადი მიწერ-მოწერის გზით. პირადი მიწერ-მოწერით სარგებლობს არსებითად ავრეთვე დიდი ენათმეცნიერი პუგო შუხარტიც თავის სხვადასხვა ქართულელოგიურ ნაშრომში.

მაგრამ ყველაფერი ეს ქართული ეოცხალი მეტყველების შესახებ მკრთალსა და ზერელე წარმოდგენას იძლეოდა.

ქართული დიალექტების საფუძვლიან შესწავლას სათავე დაუდო მოსე ჯანაშვილმა. ამდენად მისი ღვაწლი ქართ. დიალექტოლოგიაში დიდია.

1896 წ. გამოქვეყნდა ჯანაშვილის „ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი“. ამ წიგნში დამატების სახით მოცემულია ავტორის დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგი. ესაა პირველი შემთხვევა ცალკეული კოლოს სერიოზული შესწავლისა. დახასიათებულია ინგილოურის თავისებურებანი და მოცემულია 800-მდის ინგილოური სიტყვის განმარტება.

მისივე ფართო შრომა ამ კილოს შესახებ დიბეჭდა 1913 წელს „მეცლ საქართველოს“ II ტომში („საინგილო“). გარდა გრამატიკული დახასიათებისა და ლექსიკონისა, იქვე მოცემულია ვრცელი ტექსტები, რომლებშიც წარმოდგენილია მდიდარი და ქართ. დიალექტოლოგიისათვის საყურადღებო კილო — ინგილოური, და ეს ტექსტები ამ კილოს შესასწავლოდ დღემდინ ერთადერთია დიალექტოლოგიურ ლიტერატურაში. დიალექტოლოგიური ტექსტების პირველი აკადემიური პეზლიაცია ეუთვნის აკად. ნ. მარს (იმერხეული ტექსტები, რომლებიც დაერთიან ხანძელის გამოცემას). ამის შემდეგ აღსანიშნავია ჯანაშვილისეული ტექსტების გამოქვეყნება.

მართალია, გრამატიკული ინტერპრეტაციები ავტორისა არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, აქვე არც ლექსიკონია უნაკლოდ შედგენილი, მაგრამ ეს მაინც არ ამცირებს ღირებულებას ამ ნაშრომისას, რომელიც დღემდინ იწარჩუნებს ცხოველ ინტერესს საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

უკანასკნელი ხანებში ჩანაწერებმა ცხადყო, რომ ჯანაშვილისეული ტექსტები აკადემიური ხასიათისაა, სიმუსტის თვალსაზრისით ძირითადად ეჭვიმუტანელია. და ის სხვაობანი, რომლებიც შეიმჩნევა ამჟამად ფექსირებულ ტექსტებში, უმთავრებლად მაჩვენებელია ამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დიალექტის სახეცვალებისა. ეს კიდევ უფრო ზრდის ჯანაშვილის ნაშრომის მნიშვნელობას, რამდენადაც მასში აღწესებულია ის ფორმები, რომლებიც დიალექტის განვითარების დღევანდელ საფეხურზე განსხვავებული სახით წარმოგვიდგება.

ეს ნაშრომი თავის დროზე ჯეროვნად შეათვსა ისეთმა სამეცნიერო ორგანიზმ, როგორცაა „Записки Восточн. Отд. Импер. Русского Археологиче-

ского Общества" (1915), სადაც მოთავესებულია აკაკი შანიძის ურცელი რეცენზია.

ხანმეტ-ჰამეტ ტექსტების აღმოჩენასთან დაკავშირებით ჯანაშვილის მიერ გილოურში ჰამეტობის კვალი დაინახა (ჰუთხრა, ჰუხარიან). გიორგი ახვლედიანი თავიდანვე მართებულად გამოსთქვამდა ეჭვს: „საკითხი ასე უნდა დასვეს, — ამბობს გ. ახვლედიანი, — ინგილოური 'ჰაე არის წმინდა ფონეტიკური წარმოშობის, თუ მორფოლოგიური მნიშვნელობის მატარებელია". დღეს დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ინგილოურში ჰაე ფონეტიკური წარმოშობისაა და არა მორფოლოგიური დანიშნულებისა (იხ. სპეციალური გამოკვლევა სტ. მენთეშაშვილისა — „ჰამეტობა ინგილოურში". აღრე ეს ცხადი გახდა აკ. შანიძემ).

მე-19 ს-ის პირველ-ნახევარში ჯერ კიდევ რომანტიკული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს ხალხურ მეტყველებას, როგორც არქაულ ფენომენს. ენათმეცნიერული გეოგრაფიის სკოლამ თვალნათლივ ცხადყო, რომ თანამედროვე დიალექტებში ზოგჯერ დაცულია უფრო ძველი გრამატიკული თუ ლექსნეკური ფორმები, ვიდრე რამდენიმე ათეული საუკუნის წინათ ფიქსირებულ ენობრივ ძეგლში. ერთის შეხედვით, ეს დებულება პარადოქსად გამოიყურება, მაგრამ დიალექტოლოგიურმა ძიებამ უამრავი ცალკეული ფაქტის საფუძველზე ნათელი გახდა თანამედროვე კილოთა მეტი არქაულობა ძველ ლიტერატურულ ენასთან შეპირისპირებით. მ. ჯანაშვილი იმდროინდელი დიალექტოლოგიური დისციპლინის სიმადლეზე დგას. მას შეთვისებული აქვს ახალი მეთოდოლოგიის მონაპოვარი ხალხური მეტყველების არსებითი ნიშნის გაგებაში. მან კარგად იცის, რომ დიალექტის მონაცემები მნიშვნელოვანია ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას. მკვლევარი ცდილობს კილოურ მასალაზე დაყრდნობით აღადგინოს ქართული ენის უძველესი ფორმები. ეს ისტორიზმი გამოსტყვივის ყოველ მის დიალექტოლოგიურ ძიებაში. ჯანაშვილი ამბობს: „კილოკავების უგუფებელყოფა, კარნაქტილობა მათ შესწავლაში მავნებელია იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ კილოკავეებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შენახულია მრავალი, ძველის-ძველადგანვე ქართველებისაგან შექმნილი, სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საჭიროა გამომზევდეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საეროვნო ენას... კილოკავეები და აგრედ-წოდებული „გაქავებული“ სიტყვები უშრეტი წყაროა სამწერლო ენისა, როგორც რომელიმე მთინარე დიდება თავისი ნაკადულ ზის შემორქვნიით, ისე ენაც, თავისი წინსვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თავის კილოკავეებიდან. უამისოდ ვი დიდ მანძილს ვერ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, ვალატაკდება, და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშარში მიმდინარე ხევის, რომელიც სათავეებში, წყარო-ნაკადულების სიცოცხლის გამო, ზღვამდის ეელარ აღწევს“.

ქართული ენათა შედარება

ცნობილია, რომ შედარებითს ქართველურ ენათმეცნიერებას სათავე დაუდო პროფ. ა. ცაგარელმა, რომელმაც შეუპირისპირა ქართული მეგრულ-სვანურს, და ამგვარად „ქართველურ ენათა ჯგუფად“ წარმოგვიდგა ქართული, მეგრულ-სვანური და სვანური.

პირველი მკვლევარი და, შეიძლება ითქვას, ერთად ერთიც, რომელმაც ქართველური ენათმეცნიერების შედეგები თავის დროზე გადმოიტანა საქართველოში — ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში — გახლავთ ნაშეილი. იგი არა მხოლოდ რეცენზიებით გამოთვამულა პროფ. ცაგარის ნაშრომებს „Мингрельские Эпюды“ და სხვ., არამედ თავდადებული დამტკველი გახდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ქართულ-მეგრულ-სვანურ-სვანურის ერთობლიობისა. ეს შედარებები, როგორც აღვნიშნეთ, მას მოცემული აქვს „გრამატიკაში“. ამავე პარალელებით აღსავსეა მისი დიალექტოლოგიური ნაშრომები. ვახუშტის გეოგრაფიის შესავალ წერილში რამდენიმე ფურცელზე გადაშლილია ქართულ-მეგრულ-სვანური პარადიგმები და სხვ. საერთოდ ვინ ვერ ნახავთ მის ვერც ერთ საენათმეცნიერო ნაშრომს, სადაც არ იყოს მოყვანილი ფაქტები მეგრულ-სვანურიდან, თუმცა ზოგჯერ ნაძალადევი შეღარებანი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი და საყურადღებო. წითელი ზოლივით გასდევს ჯანაშვილის ნაშრომებს ქართველურ ენათა ერთობლიობის იდეა.

მაგრამ ერთი რამაა ხაზგასასმელი: მეგრულსა და სვანურს ენებად არ მიიჩნევს მკვლევარი, მია ქართული ენის კილოებს უწოდებს. მისთვის ამოსავალია ისტორიულ-კულტურული კონტრინი, როდესაც მეგრულ-სვანურს დედაქართულის კილოებად რაცხს და არა ენებად, რატერმინოლოგიურ სხვაობასაც ყოველთვის შეეძლო გარკვეული გაუგებრობა დაებადებინა. ამ გაუგებრობის ეშინია მოსე ჯანაშვილს და იგი უთუოდ მართალია, მია უმეტეს მაშინდელს პირობებში, როდესაც არსებული ნაციონალური პოლიტიკა ცარიზმისა ხელს უწყობდა ეთნიკური მთლიანობის დარღვევას და მთლიანი ეროვნული სტრუქტურის დაქუცმაცებას. გავისხენით თუნდაც სვანური თუ მეგრული ანბანის შემოღების ედებო... და ვინ იცის, ეგებმს ლინგვისტური თეალსაზრისითაც მეგრულ-სვანურს ენებად მონათვლა მთლად მყარი არ იყოს, რამდენადაც ჯერ კიდევ სადათა მეცნიერებაში ენისა და დიალექტის გამიჯენის კრიტერიუმთა დადგენა...

არ ეთანხმება ჯანაშვილი აკად. ნიკო მარს, რომელაც ჰანურს ენად მიიჩნევს. სტატიკაში — „ლაზური კილო და არა ენა“ ავტორი არჩევს მარს „ჰანურის გრამატიკას“ და მიდის იმ დასკვნამდის, რომ მეგრული და ჰანური იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ერთმანეთის მიმართ კილოკატრს ურთიერთობაში იმყოფებიან. აქ იგი აღარებს მეგრულსა და ჰანურს როგორც ლექსიკის, ისე პრუნებისა და უღვლილებას დარგში. საყურადღებოა, რომ ერთ ადგილას მეგრულ-ჰანურის ფორმებს — და ლეფი, ჯიმი, ლეთი, ქუალეფი, ჯალეფი — უღარებს ქართულს ძმანგბი — დანების და მათ ერთობლიობას ხედავს... ავტორი დაასკენის: „ეს ლაზური ენის გრამატიკა განსხვავდება მეგრულისაგან იმდენად, რამდენადაც „იმერული ენის“ გრამატიკა „ქართული ენის“ გრამატიკისაგან და „გურული ენის“ გრამატიკა „ქართული ენის გრამატიკისაგან“.

ამ საკითხში სიმართლე ჯანაშვილის მხარეზეა: დღეს მეცნიერებაში დამტკიცებულად ჩაითვლება მეგრულისა და ჰანურის კილოური მიმართება.

ლაზურის შესახებ მსჯელობისას ავტორი ეყრდნობა გრიგოლ ვაშლიანის მიერ ჩაწერილ მასალას, რომელიც მას შეუგროვებია ჯანაშვილის თხოვნით. ამ რეველს აწერიაო, ამბობს ავტორი, „ქართული ლექსიწერილობის კვლევის მასალა. შეკრებილია ბათუმელი ქანისაგან ხასან ეფენდი მოლლა ოღლი-საგან“.

ქართველურ ენათა ზინალოგისად უკეთესობა სხვა ენებთან

ქართული ენის ნათესაობის გარშემო მეცნიერებაში რამდენიმე თეორია არსებობს. „ასეთი ბაბილონის გოდოლისებური არეფ-დარეფა აზრებისა და შეხედულებისა ქართულს ენაზედ, — ამბობს ჯანაშვილი, — აიხსნება იმითაც, რა ყველა მათ, ვინც ქართულის ენის სხვა ენებთან მონათესაერბასა სჯიან, ზედმიწევნით ვერ გაუცნიათ ქართული ენა, მისი სიგრცე-სიგანე, მისი მთელი აგებულება და აშკარაა, რომ ქართული ენის შესწავლა მაშინ მოიტანს შესაფერის ნაყოფს, როდესაც იგი ყველა შტოებიანად იქნება ბე-ჯითად შესწავლილი, შედარებული და გამოკვლეული“. ამას სწერს ჯანაშვილი 1888 წელს წერილში: „მეცნიერთა აზრი ქართულის ენის შესახებ“. აქ განხილულია ყველა თეორია.

აკად. ნ. მარის მიერ წამოყენებულ თეორიას ქართულის სემიტურ ენებთან მონათესაობისას ჯანაშვილმა რამდენიმე წერილი უძღვნა: „ქართულ ენის სემიტურობისა და სხვათა კითხვების გამო“, „ეითომ მონათესაობა სემიტურებთან“ და სხვ. იგი არ ემხრობა მარის აზრს და ცდალობს გააკრიტიკოს იგი კონკრეტული მასალის საფუძველზე. ჯანაშვილი პირველი იყო ჩვენში, რომელმაც გააკრიტიკა ქართულ-სემიტური თეორია.

ავტორს პირველყოელისა დაუჯერებლად მიაჩნია ბევრი აღდგენილი ფორმა, რომელიც ვარსკვლავის ქვეშაა მოცემული. აგრეთვე ზოგჯერ ბელონურ ფორმების დამოწმებას უწყაებს მარს. მაგალ., მარს ქონა ზმნასთან იძლევა ფორმა აქუნს. ჯანაშვილი შენიშნავს, რომ აქუნს არა გვაქვს ძველ ქართულში, ვინაიდან ნ და ს შესამე პირის მარცნილებია: დგან = დგას, ჰნებავნ = ჰნებავს. ასევე: აქუნ = აქუს. არსადაა აქუნს.

ჯანაშვილი ემხრობა ქართულის ინდოევროპულ ენებთან მონათესაობის თეორიას. ეს თეორია წამოაყენა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა და შემდეგში განაგრცეს ლინგვისტური მეცნიერების ფუძემდებელმა ბოპმა და ქართველთმეტყველების ფუძემდებელმა ბროსემ. ბოპმა ანაწურა ყველა ის მასალა, რომელიც კი შეიძლებოდა მოგვეყვანა ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ. მიღებულ იქნა ნეგაციური შედეგი: საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ქართული არ ენათესაება ინდოევროპულ ენებს. მიუხედავად ამისა, ჯანაშვილისათვის ეს თეორია მისაღებია. მაგრამ ავტორი არა დგას ლაიბნიცის გზაზე: ნათესაობის დახამტიცებლად ნახესხები სიტყვების ანალიზს არ ეყრდნობა. იგი ცდილობს ქართულ ფორმებში მონახოს პაპალელები. მასალა, რომელიც ავტორს მოცემული აქვს, არ არის დამაწმუნებელი... ავტორმა ვრცელი შრომა უძღვნა ქართველურ ენათა ნათესაობის სლავურ

ენებთან: **Картвельский язык и Славяно-русский.** აქაც მკვლევართა ნაშრომების გარეგნულ მსგავსებას ეყრდნობა. ვახუშტის გამოცემის წინასწარებაში ჯანაშვილს მოჰყავს საბუთები ქართულის მონათესაეობის შესახებ უკვე უღივლი ული ჯგუფის ენებთან. მაგალითების ამ რიგში ბევრი რამ ახგარმდგასაყვად გამოიყურება.

მაცნეველური ენეზის დამოკიდებულება კავკასიურ ენებთან

ჯანაშვილი ყურადღებას აქცევს ქართულისა და აფხაზურის ანალოგიებს. ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებში ავტორი უპირისპირებს, მაგალითად, ვ ი მ ყ ო დ ე ბ ი — ვ ი მ ყ ო დ ი -ს აფხაზურ ს ჰ ყ ო უ პ -თან და იძლევა უღვლილების მთელ სერათს. იმავე დროს მის ყურადღებას იპყრობს აფხაზურის წესი — ა-ს დართეა და მოაქვს სათანადო მაგალითები: კაბა — აკაბა, კალთა — აკალთა, ხერხი — ახუარხი, და მრაველი სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ქართულისა და ჩ ა ნ ზ უ რ ი ს ლექსიკური შეხვედრები. ჯანაშვილს მოჰყავს უმკველად დამაფიქრებელი ფაქტები, როგორცაა: ბეპულა — პოლუ, ბზა — ბზა, ღმერთი — დელი (შეად. ოდელია და სვანური დალი), მარხილი — მეხი, სერი (სალამო) — სურე, ხევი — ხი, ქათამი — კოთამ, ხახვი — ხობ, ცხვარი (სვან. თინალ) — ეი და მისთანანი. ეს აღნიშნულია შრომაში: „ქართული ენა და ქართველები კავკასიაში“ (1893 წ. გაზ. „ივერია“). ავტორი დაასკვნის: „დროა შევისწავლოთ არა თუ ქართლისიანთა, არამედ კავკასიანთა ენაც. ენა მკვიდრი კავშირია ერთობისა, ძმობისა და ძლიერებისა“. ჯანაშვილს კარგად ესმოდა, რომ კავკასიურ ენათა მეცნიერული დამუშავება ვადაუღებელი ამოცანაა და ეს ევლია ქართველ მეცნიერთა.

მოსე ჯანაშვილი ერთი პირველთაგანია, თუ არ პირველი, რომელიც ქართულ ეურნალ-გაზეთებში ეწეოდა ზოგადი ენათმეცნიერების მიღწევათა პოპულიარიზაციას, ვომენტირებას. გასული საუკუნის 80-იან წლებში პირველად გაისმის ჩვენში ჯანაშვილის მიერ სახელედი ბოპისა, შლანერისა, ჰუმბოლდტისა, გრიმისა, ბიურნუფისა და სხვათა. იგი აცნობს ქართველ მკითხველებს ინდოევროპულ, სემიტურ, თურანულ ენათა ოჯახებს, ლაპარაკობს მსოფლიოს ენათა ურთიერთობაზე, ენის წარმოშობაზე და საერთოდ თეორიული ენათმეცნიერების პრობლემაზე. წერილების ხერხაში — „რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი“ ავტორი ამჟღავნებს ზოგადი ფონეტიკის რიგიან ცოდნას.

მისი ყურადღების გარეშე არა რჩება გამოკვლევები კავკასიური და ქართველური ენათმეცნიერებიდან საზღვარგარეთ. ასე, მაგალითად, 1895 წელს ბეჰდავს ერკერტის წიგნის *Die Sprachen des Kaukasischen Stammes* ვრცელ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას, 1902 წ. აქვეყნებს შუხართის ქართველოგიური ნაშრომების რეცენზაებს, და ასე და ამგვარად, აცნობს ქართველ ფართო მკითხველ საზოგადოებრივობას იმ შედეგებს, რომლებიც მოპოვებულა ევროპაში ქართული ენის კვლევა-ძიებიდან.

ჯანაშვილს პირადი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ევროპელ მეცნიერებთან. განსვენებულის არქივში ბევრი საყურადღებო წერილია ისეთი გა-

მოჩენილი ენათმეცნიერებისა, როგორც არიან ჰუგო შუხართი, ლემან-პაუპტი, ერკერტი და სხვანი. ერკერტისაგან, მაგალითად, მას მიღებულია მქმნდჳ: მხ წერალი... ლემან-პაუპტს იგი ასწავლიდა ქართულს 1899 წ. სჩტლანსსტანს გაროდ.

ამეთია მოკლედ და სქემატიურად ის დიდი საენათმეცნიერო მუშაობა, რომელიც ჩაუტარებია განსვენებულ მ. ჯანაშვილს თავისი შინაარსიანი ცხოვრების განმავლობაში.

ჯანაშვილის ნაშრომები საენათმეცნიერო დასაბუთებაა ქართველი ხალხის მთლიანობისა, ერთვნილი ერთობლიობისა. „ქართულ ენად ჩვენ მიგვაჩნია, — ამბობს ავტორი, — ჯამი იმ სიტყვიერ და სამეტყველო საუნჯისა, რომელიც დროთა განმავლობაში შეუქმნია და შეუმუშავებია არა ქართულს ან კახელს, არა იმერელს ან მეტს, არა სვანს ან მეგრელს, არა აჭარა-კლარჯელს ან ჭანს, არამედ მთელს ქართველობას, ქართველთა გუარტომს“. იმ ეს დევიზი მოსჩანს ყოველს მის ნაკვლევში.

ეს ნაშრომები პროფესორ ჯანაშვილს ნაყოფიერი ენათმეცნიერის სახელს უმკვიდრებს. ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორია არ დაივიწყებს ამ ამავს, რომელიც დასდო მან ჩვენში ენათმეცნიერული დარგის განვითარებას... როდესაც დღეს ვაფასებთ მ. ჯანაშვილის ლინგვისტურ მემკვიდრეობას, აქ ზოგი რამ შესაძლოა საცილობლად მივიჩნიოთ, მაგრამ ეს გზა, რომელსაც ადგა განსვენებული კვლევა-ძიებებს დროს, უეჭველად სწორი და გამართლებულია. ეგი იდგა იმდროინდელი ლინგვისტური ცოდნის სიმადლეზე და ჰქონდა ჩინებული ენობრივი ალთო. და იქ, სადაც ზოგჯერ მისი მსჯელობა დასაბუთებული არ არის მიგნება მიიწე სწორია.

გარდა იმ პოზიტივეური ნაკვლევისა, რაც დაგვიტოვა განსვენებულმა, უეჭველად ხაზგასასმელია მისი ღვაწლი საქართველოში საენათმეცნიერო კულტურის დამკვიდრების საქმეში...

და ყველგან და ყოველთვის ჩვენ წინაშეა მთლიანი პიროვნება, რომელიც მშობლიური მეცნიერების აღორძინების აქტიური მონაწილეა და, კერძოდ, ქართული ენის — ჯანაშვილის სიტყვიერ — სრულად საქართველოს ენის, — უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი და მისი დიდი მოამაგე.

შალვა და დიანი — „საქართველოს“

ბანდოც-ბა „საბჭოთა მშობლი“, 1944 წ., გვ. 43.

საბრუნო კრებული ოთხი ნაწარმოებისაგან შედგება: „ი. ს. ჯ. ა. რ. ე. ლ. ბ. ა.“, „დაუფიქვარი ეპოპეა“ და „ზურგის მძიმეები“. ყველა ესეი სამამულო ომის წლებში (1941 — 1943) დაწერილი და ჩვენი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული.

კრებული უმთავრესად მატერულ პუბლიცისტიკასა და ნარკვევებს შეიცავს. თავისი ხასიათით გამოირჩევა პირველი ნაწარმოები კრებულისა („ი. ს.“), მაშინდელ ბელადისადმი სათაური ნაცვალახლსაც წარმოადგენს და ამავე დროს ბელადის ინიციალებსაც (ი. ს.).

ნაწარმოები დაწერილია სამამულო ომის პირველ წელს, როდესაც „სამშობლოს ცას შავი ღრუბლები ზათქით გაეკრუნ“, როდესაც „მტერმა კადნიერმა, გამყენებულმა, მუხთლური წესით გადმოლაბა ჩვენი სახლები“ და საბჭოთა ქვეყანას მძიმე განსაცდელი დაატეხა თავს. ამ ისტორიულ გამოცდის ემს დიდი ბელადი ჩვეულებრივი სიმტკიცით შეხვდა მოულოდნელად მოვლენილ საბრუნო განსაცდელს. მას საბჭოთა ზღვს ჩაუნერგა დიადი რწმენა გამარჯვებისა, რწმენა ჩვენი საქმის სამართლიანობისა, ის წინ უძღვება ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ზღვს და მაკაყეს იგი საბოლოო გამარჯვებისაკენ.

ასეთია ძირითადი თემატიკა შინაარსი ნაწარმოებისა.

პოეტური ენარის თვალსაზრისით ნაწარმოები წარმოადგენს ზოტბას გენაღური ბელადისა, რომლის ბუნებაში „ჩაქსოვილია, ვით საქართველოს მალალ მთების წიაღსა შინა, მდინეული ძვირფასთა იხრთა, დიდი განჩი ზღვსის სიკეთის“.

ზოტბა დაწერილია თითხმეტმარცვლიანი თეორი ლექსით. თეორი ლექსს ქართულ მწერლობაში საკმაოდ დიდი ტრადიცია მოეპოვება საქმარისთა გავისხნოთ გრიგოლ ორბელიანის მალალ პოეტური შედევრები და აგრეთვე ივ. მარბალს მიერ ამტყველებული შექმარისის სტრიქონები, ასეთ ნამუშებთან შედარებით, ცხადია, საბრუნო ნაწარმოები მტკათლად გამოიყურება, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნამდვილ პოეზიას აქ ენაცვლება მალალფარდოვანი რატორიკა, მიუხედავად ამისა, ნაწარმოები შინაც იტყვევს ყურადღებას ავტორისათვის ჩვეული ენამწვერობით, ქართული საბრუნის ბუნების დრმა და ორგანიული განცდიით.

საბრუნო კრებულის მეორე ნაწარმოები „ქართული ეპოპეა“, რომდინამე თავისგან შეადგება, პირველ თავში ავტორი იძლევა საქართველოს წარსული ისტორიის მოკლე მარბილიყას, მისი შემოქმედებით გენის მიღწევათა ჩამოთვლას, რაგორც სულიერი, ასე მატერიალური კულტურის დარგში. აქვე ავტორი მეთხველს მოაგონებს ქართველი ხალხის გონებისა და გონობის გამომატყველ დიად აღმამანთა გაღვრებას, რომელსაც ამშვენებენ პეტრიწი, ომბზარი, რუსთაველი, ილია, ავატი, აგრეთვე სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწენი — გორგასალი, თორნიეც ერისთავი, ვიარგა საყაყე, შეფე ერეკლე.

შედეგ თავებში ავტორი პოეტურად გვიხატავს ჩვენი ქვეყნის ბუნებას, ავგონებს ჩვენი ზღვსის მდიდარ სულიერ თვისებებს და ცხოველყოფელ ნებისყოფას, რამაც საბრუნოება მისცა მის გამკლავებოდა გარემო მტრებს და შეექმნა დიდი კულტურული საგანმტრეი ეროვნული შემოქმედებისა. დიდმა ოტორმარბის სოციალისტურმა რევოლუციამ, ავტორის სუტებით სწორი და მართებული შეხედულებით, — გამოიყენა საქართველო დიდი ისტორიის შარა-გზაზე და მისცა საწყისი ჩვენი ქვეყნის მანამდე უნახავ აყვავებასა და აღორბინებას. „საქართველოს ეროვნულ შუბლს, — სწერს ავტორი, — აქვს ერთიც და შეტად დიდი მიხედავ უსახდერო გაბარებისა, ეს არის საბრუნო, საამაყო შეგნება, რომ ყველა იმ გამარჯვებათა მეთორი დაბადებულბა მის, წიდიში, — აქ არის დარწმული მასა აყვანი, აქ არის გატარებული მისი ახალგაზრდობის წლები. ავტორი, ეტება რა დიდი ბელადის სახეს, მის დიად ისტორიულ წილსა და დანიშნულებას კაცობრიობის ცხოვრებაში, დასძენს: „ბრუნოლად არ უცხოვრია რამოდინამე ათასეულ წელთა მანძილზე ქართველობას“.

ტყუილად არ უწუნებია, არ შეუქმნია თავისი სავანძურა და შემდეგ ხელით ხელში გვერ-
ლად არ დაუცავს იგი. ამისათვის მას ბევრი უტანჯავს, გადარტყნია მრავალი განსაცდელ-
ლი და ეს ყველა ოტრზე იმისათვის, რომ შესძლებია კაცობრიობას წამოეყვანა სი-
რით, დიდი აღმინა, რომლის გენოსობა ჯერ კიდევ ჩვენ მიერ გაუგებრობაშია დას-
მუხვდომი. ღირდა, ჩვენი წინაპარნი, თქვენი ცხოვრება რაიმე! თქვენმა მშენებმა, თქვენ-
მა შედარებელმა, თქვენი ისტორიის შიანობამ ვერაძეებს ეს დღევანდელი დიდი სიამაყე".

დასასრულ ავტორი გვიხატავს ჩვენი ხალხის აღფრთოვანებას ვმირტლი წითელი არმიის
ძლიერობისა წინმსწავლობით, რომელიც სპობს და ანადგურებს, ჩვენი მიწა-წყლიდან
სდევნის ფაშისტ-გერმანულ დამპყრობთა ბილწ ურდობებს.

მთლიანად ნაწარმოები განსწავლულია კეთილშობილი და გულწრფელი პატრიოტიზმით,
სამშობლოს და ბელადისადმი ერთგულებით და სიყვარულით. საუკეთესო ნაწილში ნაწარ-
მოები წარმოადგენს ჩვენი ხალხის ამოღოვის, მისი წარსულის და დიდი აწყნის სადი-
დებლად წარმოთქმულ ჰიმნს.

შესაძე ნაწარმოები კრებულსა „დაუფიწვარა ეპოპეა“ ეტება სტალინგრადის
გმირულ დაცვას და მტრის ჭრთობის განადგურებას: „ჩვენმა ჩვენივე, ხალხთა შედუ-
ლებულმა მფობრობამ, შედარებლობამ აჯობა უბეშ ძალას, აჯობა დამპყრობელს, აჯობ-
და მის უდიერ იდეას!“ — ამბობს ავტორი ამ წერილში.

უკანასკნელი ნაწარმოები „სურვილი მქოცება“ ორი ნარკვევისგან შედგება: „ქარ-
თელი ქალები“ და „სოფელი“. ამ ნარკვევებში ნაჩვენებია სპარტოელი ომის
დღეებში, გმირულად მომუშავე ზურგის აღმინები, რომლებიც თავისი შრომით ამტკი-
ცებენ და ამაგრებენ სამშელო ომის ფრონტს.

მირველი ნარკვევი „ქართული ქალები“ ავტორს გაუმიფრებია ხალხური
ზღაპრითა და გადმოცემებით, — ის ინტერესით იკითება, შედარებით ნაჩვენებ, სქემა-
ტიურ შთაბეჭდილებას სტაგებს მფორე ნარკვევი. ის უფრო სახელთახელოდ დაწერა
საგაზეთო კურსებზედენივთ წარმოადგენს თავისი ციფრებით და მშალა ცნობებით.

ნარკვევში კრებული მთლიანად, თავისი შატრიული ღირებებით, ცხადია, ვერ შედ-
რება შალვა დადიანის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს სხვა დარგში — ტრამატრეკიასა
და ბელეტრისტიკაში. მათთან შედარებით კრებულში მოაყვებულ ნაწარმოებები უბოლოდ
და წარმავლ მნიშვნელობას ატარებენ. მაგრამ ამ წერილებსა და ნარკვევებში ჩვენ
ვგრძნობთ მოჭალაქე-მწერლის გულის დეოქებას, მის დრასა და მტრულე შემოქმედელურ
განცდებს სამშელო ომის ისტორიულ დღეებში. ამ დროს მწერალი თავის ხალხთან იმ-
ყოფნობდა, მისი დიქრისა და გრძნობების მოზარე იყო, მასთან ერთად იბრძოდა მტრის
დასამარცხებლად და ჩვენი ქვეყნის განსამარცხებლად, მისი შედინება და თვისუთალი
ცხოვრების განსამტკიცებლად.

ეს წიგნი შალვა დადიანის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დამახასიათებელ ფურცლებს
შეიცავს. ამ ფურცლებში თავის დროზე გაკრეული როლი შეასრულეს ჩვენი ხალხში სა-
ბრძოლო ენტუზიაზმის უფრო მეტად გაღვივებისათვის.

მიომოხილვარი.

8. ნატროშვილი — „დავით გურამიშვილი“.

საბლიტბაში, 1943 წ. 83. 107.

დავით გურამიშვილი თავისი ბიოგრაფიით და შემოქმედებით რუს და უკრაინულ ხალ-
ხების ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, ამ უნივე იგი გვეღინება ჩვენი დიდ სამშობ-
ლოში ამემათ დამყოფრებულ ხალხთა ურყევი მფობრობის შორეულ წინამორბედად.

გ. ნატროშვილი თავის წიგნში მხატვრულად გადმოგვყვამს ი. გურამიშვილის ბიოგრა-
ფიას. ავტორი მეთხველის ცნობიერებაში მიშვიდევლად აღადგენს პოეტის სახეს, რომელ-
მაც დიდ რუს და უკრაინულ ხალხებთან ერთად საბჭო დიდება პრუსიელ ავტორითა
წინააღმდეგ ბრძოლაში, ეწამა ვერაჯი მტრის მიერ მიგუებურგის ციხეში პატიმრობისას, ზა-
ლოს უკრაინაში დამყოფრდა, ქართული ლექსის დიდ კულტურას დაუკავშირა უკრაი-
ნული ხალხური ლექსის მდიდარი ტრადიცია და შექმნა თავისი ღირსშესანიშნავი წიგნი
„დავითიანი“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი წერს: „გურამიშვილი პოეტური სიმბოლო ქართულ და უკრაინულ ხალხთა შეგობრობისა, თავისი ცხოვრებით, თავისი შემოქმედებით მან ქართულ პოეზიაში იზარა რუსეთისა და უკრაინის კულტურის წყაროებს“. **მარტინოვი**

წიგნში წარმოდგენილია ერთი თავი პოემისა „ქობი ქართლისა“, სტატუს-კვანტის შესავლად დ. გურამიშვილის პატრიოტულ ლირიკას. პოეტი წარმოგვიდგება აქ, როგორც ღირსეული შვილი თავისი ჭეყნისა, მუდამ გულშემატკივარი და მოკავრული მშობლიური ხალხისა.)

ავტორის სიტყვით, პოემა „ქართლის ქობი“ არის: „ღუქვად თქმული მატანე“ ჩვენი ჭეყნის ვითარებისა მეტყვამეტე საუკუნეში. დ. გურამიშვილი თავისი დროის საქართველოს ნაციონალური ტრაგედიის მიზეზად ფეოდალურ დაქაჩულობასა და შინაგან აღრულებლას სთვლიდა. ავტორი თავის წიგნში ეხება საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, რაც დიდად ინტერესებდა დ. გურამიშვილს.

მე-18 ს. საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა თვალს მიპყრობილი იყო კრამაროწმუნე რუსეთისაკენ, რომელსაც უნდა დაეცვა ჩვენი ჭეყნა გარეშე თავდაპირველთა გაძლიერებული აგრესიისაგან. თვით ვახტანგ მეექვსის თემის არ იყოს, საქართველო „ფოცხვერის ქანგებისაგან“ უნდა გამოეცლია შეგობრულ კავშირში მყოფ რუსეთს. ავტორი ხაზს უსვამს იმ დიდ სიყვარულსა და ერთგულებას, რომლითაც მუდამ გამსჭვალული იყო დ. გურამიშვილი თავის სამშობლოსადმი.

წიგნის ცალკეულ თავებში: „გურამიშვილის საფლავის ეპიტაფია“, „დაღესტნის ტყე“, „ბაჯაროსისკაცის უფროსი“, „მაგდებურგის ციხეში“ და „უკანასკნელი წლები“ დიდი ცოდაწით და ხიფვარულით არის დახატული პოეტის მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრება.

სარეცენზიო წიგნში ავტორი აყენებს შეტად საინტერესო საკითხს პოეტის განათლებისა და მსოფლმხედველობის წყაროების შესახებ. არის გაბედული ცდა გავარკვიოს გურამიშვილის ისტორიული კონცეპცია და მისი დამოკიდებულება ქრისტიანულ მსოფლიოსთან. ავტორის აზრით, გურამიშვილის შემოქმედებაში წარმართობისა და ქრისტიანობის შორის ბძობლის კვალი ნათლად სწანს.

მის გულში იბრძოდა ორი ადამიანი — ერთი წარმართი და მეორე ქრისტიანი. ეს იდენტური ბძობა მომდინარეობს არა მარტო ქართული წყაროებიდან; პეტრის ხედვის პარიზონტი უფრო დართია და საინტერესო. პოემა „მზიარული ზანულის“ გარჩევისას ავტორი ასყენს, რომ აქ არის ნამდვილი წარმართული მსოფლმეგობრობად და მკაცრი ასკეტის მიუ. ავტორი აღსანიშნავია: „უბუნებითი წარმართი, მაგრამ ვინებთა ქრისტიანი, თავდაპირველად ის ნამდვილ მშეს უმღერის, ყოველგვარი ფილოსოფიური სბეუელაციის გარეშე, უმღერის როგორც წარმართი. მაგრამ იმავე წუთს, როცა იგრძნობს, რომ საკმაოდ შორს გასცილდა ქრისტიანული რწმენის დოგმატებს, კვლავ უბრუნდება რწმენის წიარს და ცდილობს თავისი უნაპირო უანტაზოა ქრისტიანობის ჩარჩოებში ჩააქტოს“. ნაწილობრივ ეს მართლაც რომ ასეა. ამას ადასტურებენ პოეტის მიერ ლექსების ბოლოს დაჩოთული განმარტებანი, სადაც ავტორი მიმართავს მკითხველს თხოვნით, რომ მისი ლექსი უსათუოდ ქრისტიანულად გაიკოს, შეეთა-მზეში აუცილებლად ქრისტიანთა ღმერთი იგულისხმოს და არა სბეა. ეს არაა ნამდვილი ფიზიკური მზე — პოეტის აზრით ეს არის ის მზე, რომელიც ანათებს ადამიანთა რეალურ სამყაროსაც და მზისზედა მსოფლიოსაც. იგია რაღაც მიუწყდომელი ნათელი, როგორც რუსთაველის მზე, რომლის ელვათა კრთომა ღამითაც დაინახება.

წიგნში აგრეთვე შეტად საინტერესოა თავი: „გურამიშვილი და ანტიური მსოფლიო“. ავტორის აზრით, გურამიშვილი არა მარტო იხსენებს ძველ ფილოსოფოს ეპიკურეს სახელს, არამედ კიდევაც ცდილობს მისი ფიციური მომდგრების სწორი გაგებაც მოგვეცა. პოეტი ადამიანის სიცოცხლის პოზიტიური იდეალის ძებნის პროცესში ანფითარებს აზრს, რომელიც შორს ზრდის ეპიკურეს მონაცემებისაგან. როგორც ვაღმოცემა აზრობს, გურამიშვილი იცნობდა უკრაინულ პოეტს და ფილოსოფოსს გრიგოლ სკოპოროდას, რომელიც პოლტავის იმავე მხადაშეში ცხოვრობდა. ეს ორი პოეტი იდენტურ სფეროში ზშირად ხედებთან ერთმანეთს. თითქმის ასევე იხსენიებს სკოპოროდაც ეპიკურეს და უფრო გაბედული იცავს მას მტრებისაგან. ავტორი კარგად არკვევს, თუ რა საკითხებით ხედება გურამიშვილი ეპიკურეს. ის მხოლოდ ერთ წერტილში შეხება ეპიკურეს და იმე წუთშივე დაშორდა“. მაგრამ ეს თუნდაც მეტად ხანმოკლე შეხებერა პოეტისა და ფილოსოფოსისა აუცილებლად მართებულიად აღნიშნა ავტორმა თავის წიგნში.

დ. გურამიშვილისათვის მანინ ნიშანდობლივი იყო ნაციონალურ წიარში დაბრუნება მან გაბედულად უარყო აღმისაფლური პოეზიის ტრადიცია, პატრიოტულმა დიდმა გრძნო-

ბამ მასში ყოველივე ირანლის მიმართ შეერივებლობა გააღრმავა. გ. ნატროშვილმა ახრით, თარი შთავარი და გადაწყვეტი წყარო გურამიშვილის შემაჯამებლისა, რომელიც ღრმა შთაფრებებს აძლევს პოეტის ფანტაზიას, არის ერთის მხრივ აუცილებლად „გვერდის ტყაოსანი“, ხოლო, მეორე მხრივ — ბიბლია. მართალია ავტორის დებულებები „საქართველოს მთავანი ასწავლის პოეტს, რომ რეალური ცხოვრება ტრეფა საბედნარია და აღამიანი ამ ქვეყნად ბედნიერებისთვის არის დაბადებული. ამ შემთხვევაში დ. გურამიშვილი ჩვენს წინ დგება როგორც სამქვეყნო პოეტი. მეორე მხრივ ბიბლიის გავლენამ დააბრუნა პოეტი 8 — 10 საუკუნეების ქართული პოეზიის ტრადიციებთან.

გ. ნატროშვილის სარეცენზიო წიგნში განსაკუთრებით საინტერესო ორიგინალური შეხედულებებია წამოყენებული იმ განყოფილებაში, რომელსაც ეწოდება „დავითიანის ლიტერატურული წყაროები“. აქ საინტერესო ქვეთავებია, როგორც აღნიშნეთ, ა) „ბრძოლა წარმართისა და ქრისტიანისა“, ბ) „გურამიშვილი და ანტიური მსოფლიო“, „ორი შთავარი წყარო“. წიგნის აღნიშნულ თავებში ავტორი აყენებს მეტად საინტერესო ახალ დებულებებს, რომელთა საარგუმენტაციოდ სარგებლობს მრავალმნიშვნელოვანი ლიტერატურული მასალით.

ღამაზად არის დაწერილი წიგნის უკანასკნელი თავი: „სიკვდილისა და კაცის შეღაპარება“. ავტორი დიდი სიმღერით გადმოგვცემს ბედსაგან გაწმილებული პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს.

დ. გურამიშვილის პოეტური პიროვნების გარშემო დაწერილ კრიტიკულ ნარკვევთა შორის გ. ნატროშვილის მონოგრაფია უფროდ საინტერესოა და მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს.

დ. შამათავა.

ბ რ ი ს ტ რ თ ი ლ ი — პოეტიკა.

წინანდობა, თარგმანი და კომენტარები პ. რ. ს. დანელიანის, რ. ა. დავითიანის, შ. ა. შაფერაშვილის, ს. ბ. ლინის, ს. ხაბუაძის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1944 წ.

ცნობილია, რომ ქართველ ხალხს უძველესი დროიდან გააჩნდა უდიდესი ინტერესი იმ კულტურის მიმართ, რომელიც საბერძნეთში შექმნა. ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობა დადასტურებულია, როგორც წინაქრისტიანულ, ისე ქრისტიანობისა და მის მომდევნო ხანაშიც: იმიტომ ბუნებრივია, რომ მრავალი რამ ითარგმნებოდა ბერძნულიდან ქართულად და პირუტყვ, ისე რამ, ბერძნული მწერლობა იმთავითვე ყოფილა ქართული საზოგადოებრივობის მოწინავე ნაწილის უზრადლების საგანი. ძველი დროის თარგმანებიდან ზოგი რამ ზელთა გვაქვს, ზოგიც დაკარგულია.

დღეს, საბჭოთა მეცნიერების ინტენსიური განვითარების პირობებში, რომელსაც უკვე მოგვეუბნებია სათანადოთ მომზადებულ მუშაკთა კადრები, საესებთ ბუნებრივია, რომ ბერძენ ავტორთა თარგმანების საქმე უფრო ფართო მასშტაბით წარიმართოს. მართალია ამ მხრივ ვარკვეული წარმატებაც მოგვეპოვება. უკვე გვაქვს პლატონისა და არისტოტელის თხზულებათა ნაწილის, თარგმანი, აგრეთვე თარგმანი ბერძენ მწერალთა ცნობებისა საქართველოს შესახებ („გეოგრაფია“, სამ ტომად), შესრულებული ისეთი ერთეულის მიერ, როგორცაა დ. ყაუხჩიშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერალმა ალ. ქუთათელმა ა ეხლაზან მთარგმნა ეს კი ლეს „მიიჯამებულნი შრომეთი“. მაგრამ ეს როდია საქმარისი, აუცილებელია მთარგმნელთა მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება, მოწყობა მათი ნაშეშვარის საჯარო გარჩევისა, დაქარება ქართულ-ბერძნული ლექსიკონის გამოცემისა, რომელშიაც უნდა იყოს ასახული ჩვენი მწერლობის მიერ წინათ შესრულებულ თარგმანთა გამოცდილება.

ყოველივე ეს ფრიად შეუწყობს ხელს ამ მეტად საშური საქმის წარმატებას. ამ შენიშვნის თემა პრიოც. ს. დანელიანის თვალსაზრის ნაშრომის განხილვა. მრავალგანსახილველია გვაქვს მისი არისტოტელის „პოეტიკის“ თარგმანი, რომელსაც წინ უძღვის საუფლებიანი გამოკვლევა, ხოლო თარგმანს ერთვის სათანადო კომენტარები.

„პოეტიკა“ წარმოადგენს არისტოტელეს კლასიკურ შრომას, სადაც მან შეაჯამა და ერთი მთლიანი სისტემის სახით ჩამოაყალიბა თვისი შეხედულებანი ხელოვნების საკითხებზე.

„პოეტის“ ზენამდე თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. ზოგი მისი ნაწილი დაკარგულია, ზოგიც შესაძენვედ შემოკლებულია. „პოეტის“ შესდგება 26 თავისაგან და შეიცავს 5 ნაწილს:

- ა) შესავალი, რომელშიაც საუბარია საერთოდ ზელოვნების სპეციფიკებასა და მისი დარგების შესახებ (თავი 1—5).
- ბ) ტრაგედიის შესახებ (თავი 6—22).
- გ) ეპოსის შესახებ (თავი 22—24).
- დ) კრიტიკის შესახებ (თავი 25).
- ე) ეპოსისა და ტრაგედიის შესახებ (უქანსკენელი მე-26 თავი).

ამრიგად „პოეტის“ უმთავრესად იხილავს ლიტერატურის ზელოვნების გველაზე უფრო რთულ დარგს, ტრაგედიას.

ბუნებრივია, რომ ამ ნაწარმოებისადმი ინტერესი იმთავითვე დიდი იყო. მისი გავლენა ეტყობა ჯერ კიდევ რომელი პოეტის პირადიდან, რომელშიც ამავე თემაზე დასწერა პოეტმა „პოეტის“ შესახებ“ (მიმართული პიზონებისადმი).

უდიდესი იყო ინტერესი არისტოტელეს „პოეტისადმი“ აღორძინების ხანაშიც. ზელოვნების თეორიული საკითხების შესახებ არისტოტელეს „პოეტის“ ესა თუ ის დებულება ზოგჯერ მიჩნეული იყო ურვევ დოგმად. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა „პოეტის“ იმა თუ ამ დებულებების არა სწორ გაგებასაც. ასე მაგალითად, ფრანგმა კლასიკოსებმა არისტოტელეს მიაწერეს მოქმედება სმით ერთიანობის შესახებ.

გულზე თარგმანს არსებითაჲ ქვეყნებოდეთ, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ს. დანელიას ქართულს შეკვეთულ ეტყობა რუსული ენის ერთგვარი გავლენა, როგორც სინტაქსის, ისე ლექსიკის მხრივ. აქ გვულისხმობთ მთარგმნელის მიერ წინადადებათა რუსულ ყაიდზე იგებას, აგრეთვე ზოგიერთს პარადიპირ რუსულად გააზრებულ სიტყვათა ხშირებას, რაიც ქართულს ყოველთვის როდი შეეფერება. ნიმუშად საცმარისაა მოვიყვინოთ მაგალითები თვით წინასიტყვაობიდან: იბ. წინასიტყვაობა გვ. IX: „მედის (ივლისხმება ფილიპ მაცედონელი) არჩევანი მოხდა არისტოტელს“; გვ. XI: „არ შეიძლება არ ითქვას, რომ არისტოტელი არ ყოფილა უნიბო აღმზრდელი“; გვ. XVI: „ადგილ პატივით დასაფლავეს მადლობელმა სტაგიროლებმა“ და სხვ. მთარგმნელი რუსული ენის გავლენა რომოდენადმე თვით თარგმანშიაც ვეღანდებდა.

არ უნდა იყოს საესებით სწორი **ჯანჯ ფაჟაჲ** — „ბუნები; თან:ხმად“, უფრო გასავები იწებოდა — ბუნების მიხედვით, ბუნების შესაფერისად. ან კიდევ: **მარ უთჲ რჟაჟაჲ** ნათარგმნი — „ძირითადი პრინციპებიდან“ — სიტყვა-სიტყვით ეს გამოთქმა ნიშნავს „აბა ებე ები დ ან“, „სააწყისებ ბი დ ან“. უმჯობესია იწებოდა ბერძნული ტექსტის თარგმნის დროს ლათინური ტერმინების გამოყენებას ვერვიდეთ, მით უმეტეს, რომ ბერძნულიდან თარგმნის ხანგრძლივი, მრავალ-საუტყნაანი ტრადიცია საქართველოში ასეთ გზას არსოდეს არ მიმართავდა ზოლმე.

სიტყვა **μαθητικα** თარგმნილია „მიზაძვანი“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში მრავლობითი ხშირად არ არის სავირო, სრულიად საცმარისი იწებოდა აქ „მიზაძვა“ გვეთვა. ასევე ზედმეტი გატაცება მრავლობითი რიცხვს ფორმით თარგმანის იმავე პირველ გვერდზედაც შეიძლება ვიპოვოთ: „ყველა ესენი ბაძვერ რიტმით, სიტყვით და ბარმონით — ან ცალკე აღებ უღებ ბით, ან ერთად შეკრებ უღებ ბით“. შესატყვისი ბერძნული ადგილი ასე იკითხება: **„მარჯათჲ მარ მარჯათჲ რჟჲ მარჯათჲ ან რსმად აჟი სრჟი აჟი დჟმარჲ, რსრჟი მ ჴ, ჴმარჲ რჲ მარჯათჲ“**. აქაც შევეძლო მრავლობითი რიტმისათვის თავი დავედღოთ, თარგმანის ბოლო ნაწილში მინც. არ არის სწორი თარგმანი **„ჯჟმარჯათჲ — „სარგებლობენ“**, რადგან, **„ჯჟმარჯათჲ“** პეტრაქის პროკლე დიდილობის თარგმანში ასეთ ნიორად არის გადმოცემული: **„ჯჟმარჯათჲ“** 116პ. 118პ. **„არს მჟმარჯათჲ“** 117^ჲ და სხვ. *) ერთი სიტყვით, გვეს გარეშეა, ეს სიტყვა ამ კონტექსტში უნდა ითარგმნოს — „ვხმარობ“, „გამოვიყენებ“. — რადგან ქართული **„ესაარგებლობ“** პეტრაქალურ ხასიათის სარგებლიანობას გვულისხმობს მამინ მივიღებთ „... პარმონიასა და რიტმს გამოვიყენებ“ და არა „... პარმონითა და რიტმით სარგებლობენ“.

ეს შენიშვნები ეხება და თარგმანის პირველ გვერდს, ბოლო მეორე გვერდზე უნდა აღინიშნოს უნერბული თარგმანის ერთი მაგალითი (გვ. 4): „სიტყვიერი ზელოვნება ბაძავს

*) იხ. ითანე პეტრაქის შრომები ტ. II. გამოკვლევა და ლექსიკონი ს. ფაქხიშვილისა. სტალინის საბ. თ. ს. უ. გამოცემა, თბილისი, 1940 წ., გვ. 173.

შინაარსი:

ზრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა 33-3

მხატვრული ლიტერატურა

აღ. აბაშელი — ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას (ლექსი) 7
 ნიკო ლორთქიფანიძე — ქედურელნი (მოთხრობა) 8
 შირზა გელოვანი — წიგნიდან „ომის ლირიკა“ (ლექსები) 21
 ნ. ტიხონოვი — მძულვარება (მოთხრობა); თარგ. ს. კლდიაშვილისა 24
 გიორგი კაჭახიძე — სამშობლოს ნათელი; იმ საყვარელ წიგნზე მეტი (ლექსები) 29
 როდიონ ქორქია — შავი ლაქა (ისტორ. ნარკვევი) 31
 გიორგი შატერაშვილი — თამარის დაკარგვა ვარდის ქალაქში (ლექსი) 55
 ლევან გათუა — ყინცვისის ანგელოზი (მოთხრობა) 58
 ბონდო კეშელავა — შვილბილი (ლექსი) 74
 უშანგი ჩხეიძე — გიორგი სააკაძე (პიესა) 75
 სოლომონ თავაძე — კაცკასიონის კარებთან (დასასრული) 123

კრიტიკა

ლ. კალანდაძე — სიმონ ჩიქოვანის პოეზია 155
 გ. ჯიბლაძე — შალვა დადიანი 166

ქართული ლიტერატურის წარსულიდან

გერონტი ქიქოძე — ეგნატე ნინოშვილი 178
 შალვა დადიანი — ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები 186
 ვლ. ნორაკიძე — ილიაშვილის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანში“ 202

მეცნიერება

შოთა შიშიგური — მოსე ჯანაშვილი როგორც ქართული ენის მკვლევარი 218

ბიბლიოგრაფია

მიმომხილველი — შალვა დადიანი — „საქართველოს“ 230
 დ. შამათავა — გ. ნატროშვილის — „დავით გურამიშვილი“ 231
 პ. ბერაძე — არისტოტელეს „პოეტიკა“, თარგმ. პრაფ. ს. დანელიასი 233

